

2

ISSN 0132-6023



# האנציקלופדיה

3

1983

## ქართველის ღმერთი

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  
 უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;  
 დედის ნანასთან ქვითინი მთისა  
 მას უმზადებდა მომავალ გმირსა...  
 გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნალექმა,  
 კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,  
 სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,  
 თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.  
 მითხარ, — სადღაა მამა-პაპური  
 მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  
 სახელისათვის ამაყი თრთოლა,  
 მამულის მტერთან შედგარი ბრძოლა?  
 მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
 რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
 მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
 ჩვენ უნდა ვსდითთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
 ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
 ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...  
 აქ არის, დედაე შენი მაღალი  
 დანიშნულება და საღმრთო ვალი!  
 აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
 საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —  
 შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,  
 ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —  
 რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
 და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...  
 მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,  
 და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.  
 დედაე! ისმინე ქართველის ვედრება:  
 ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
 რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
 უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

ილია ჭავჭავაძე

# სესია

309

გამომცემის ოცდაშვიდგზე წელი

3

მე რ ვ ი

1983

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუენალი

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პროზა და კოეზია

- 3. ნოდარ აღმაშენებელი — ლექსები
- 7. სოსო კაიჭაძე — საღვთო, გზის პირას. მოთხრობა. დასასრული
- 52. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
- 56. ნილი ნეკერიძე — ლექსები

## მწერლის არქივიდან

- 58. გურამ რჩეულიძე — იულონი, პიესა

## პროზა და კოეზია

- 99. გაყვალა გონაშვილი — ლექსები
- 101. ხეთისო წილაური — ლექსები
- 103. თანავი ჩხიძე — პირველი მასწავლებელი. ლირიკული ეტიუდი

## გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

- 114. დიმიტრი შვალიძე — „სანატ-პეტრობურგის უწყება-ნი“ ერეკლე II შესახებ. დასასრული

## წერილები

- 119. გივი ალხაიშვილი — სიბრძნე ხვეტი
- 130. ამირან გოგართელი — კარვანი, ანუ თავისუფლების სიყვარული
- 140. რეზა თვარაძე — სოფელი და ზესტალოფელი, დასასრული

## ახალი თარგმანები

- 157. ალ დავთ — როდის ჩავიდა პეტრე იბერი იბრუსალიშვილი. ფრანგულიდან თარგმნა ლეილა კაკაბაძე
- 160. ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია

### ხარედაქციო კოლეგია:

- ჭაბუა ანირაქიძე
- თაღო ბაქიშვილი
- მთავარი რედაქტორის მოადგილე
- გივი ბაგვატორი
- გურამ გვირგვინი
- რისმაზ გორდუნიანი
- გიორგი გუბლია
- ნოდარ დუმბაძე
- მერაბ ელიოზიშვილი
- ვაჟა ლორთქიფანიძე
- ოტია კაჭორია
- გურამ ფანჯიქია
- მერის ფოცხიშვილი
- ნუგზარ შატანიძე
- ჯანსუღ ჩარკვიანი
- ავთანდილ ჩხიკვიძე
- პასუხისმგებელი მდივანი
- სოსო ცინცაძე
- გივი ძველაძე
- ნუგზარ ნაბთელი
- თამაზ ნივინიძე
- ტარიელ შანტურიანი
- რეზო შანიშვილი



# ნოდარ ადიშვილი

## სავსა მთვარე

ამბობენ: ორი ზარია,  
რომელს რეკავენ ნეტავ,

ამბობენ: ორი კარია,  
რომელს აღებენ ნეტავ.

ვაი,  
რა სავსე მთვარეა,  
ნცხეთის საყდარსა ზედა.

## რომ მეგონა...

მიირწევა ზღვაზე აფრა,  
მიირწევა ველზე ხნული...  
არ დაგწყდესო გული, მაგრამ  
შენ რას დაგიჯერებს გული.

შენ რას დაგიჯერებს ქარი,  
შენ რას დაგიჯერებს თოვა,  
.....  
მძინარე ჩანს სხვისი მკვდარი,

ნუ მანვალებთ,  
ნასვლის დროა.

რომ მეგონა  
წალმა ბრუნავს,  
რომ მეგონა  
ვარდებს ვშლიდი,

მიმაქვს ცარიელი სურა,  
მიმყავს ფრთებდაჭრილი ჩიტი.

## ყველა მოვა...

მიდის ყვაველები გროვა, —  
მზე, მთვარე და წვიმები,  
მაგრამ ყველა, რომ კვლავ მოვა —  
მიდის იმის იმედით.

ყველა მოვა,  
ყველა მოვალთ, —  
ჩიტო, — ჩემო თოლიგე,  
ან ეს გოგო, —  
ისე როგორ წავა კვლავ არ მოვიდეს,

კვლავ დავდგებით,

ვაშლის ხეო, —  
ერთმანეთის პირისპირ...

და ეგების — დღევანდელზეც  
უკეთესნი ვინ იცის.

მოვა ია,  
მოვა ვარდი,  
მოვა — მთელი ამაღა,

არ დარჩება გაზაფხული  
წყაროს ცრემლის ამარა.

როგორ თანდათან ქცეულა ქარად  
გუშინ რომ ფრთებზე იფენდა ცისფერს...

ვანგრევ არაგვზე ზაფხულის კარავს,  
ვემშვიდობები მხიარულ სიზმრებს.

წყალს მიაქვს  
ჩემი ბროლი და ქარვა,  
ბრჭყვიალებს ცრემლი შვიდივე სიმზე.

### შემოდგომის სტრიქონებიდან

ჩამუქდა ძველი გადასახედი,  
ჩათავდა ძველი ჩანგის წკრიალი.

თვალს მიეფარა ქართლის ბალები,  
ჩემი,  
    შენი  
    და  
    ლმერთის ზიარი.

მაგრამ იცოდე,  
რომ მაინც გალობს, —  
გზა ამ ქოხისკენ თოვლით ნაფენი...

იცოდე, —  
განა რაიმეს გამო, —  
რომ მარტო არ ხარ,  
სხვა არაფერი.

### ნასოფლარი

სად ხარ, სიყრმის სიმღერავ, —  
    ხმებო ზეცით ნაცვარო,  
გლებხის ბიჭო, მიქელავ —  
    ჩიტის ნამონაფარო...

იქნებ ზრუნვა შეგაკელ, —  
    მზე, გული, ან მარილი,  
იქნებ ჩითის პერანგზე —  
    ვერ დავქარგე ყვავილი.

იქნებ შენს საკადრისად —  
    ვერ ვთასმავდი ქალამანს,  
ფოთოლი ვარ  
ჭადრისა,  
რატომ ძენწის არა ვარ...

ვაი, ტკბილო სიმღერავ, —  
ხმებო ზეცით ნაცვარო,  
გლებხის ბიჭო,  
მიქელავ, —  
ჩიტის ნამონაფარო.

### შენ არ იტყვი...

რაც დრო გადის უფრო ნისლავს,  
კვდება კართან ძალღი ყეფით...

განა ამბავს ვყვები სხვისას,  
სულ ჩემია, რასაც ვყვები.

ბარემ შემოტეხე კარი,  
გულისგული ამოიცან...

შენ არ იტყვი:  
მე მოვკალი,  
მეც არ ვიტყვი მომკლა ვინცა.

თეთრი ღაძრიდან თეთრ ყვავილს  
 მოწყვეტს და მიაქვს ცისკენ,  
 შორიდან მე ვარ მგონია,  
 ახლოდან — სხვაა ისევ.

— თუ სხვისთვისა ხარ, —  
 — მშვიდობით,  
 თუ ჩემთვისა ხარ, — მიხსენ,

.....

ასე ხშირად რომ მეშლება  
 ახალუხლებში თავი, —  
 ამიტომ ვუთამამდები  
 ამ გულქათათა ყვავილს:

შორიდან  
 მე ვარ მგონია,  
 ახლოდან — სხვაა ისევ.

### უნარწარო ძვები

ნეტავ  
 არც თქვენ გეკითხათ და  
 ნეტავ  
 არც მე მეთქვა,

საით  
 სევედის ნაკვალევო,  
 საით  
 ხმებო მთების...

ცაო! მაინც იცინი და  
 წყალო, მაინც ფეთქავ.

ვევდები,  
 ჩემო საყვარლებო,  
 სიყვარულით  
 ვვევდები.

### ვინ გაიგებს...

ცოცხალი ვარ, —  
 არ გთხოვ საშველს,  
 მოვევდები და —  
 არ გთხოვ ტირილს...  
 სიმღერებით ვიხდით სასჯელს, —  
 მე და ჩემი გუდა-სტვირი.

ვარ მიბმული, ამ ლელვსულელს...

მოფრინდება მალე ყვავი —  
 გაფრინდება  
 სული სულეთს...

ვარ მიბმული,  
 თეთრი კრავით,

ვინ გაიგებს  
 ვინ ვიყავი,  
 ან წასვლისას რა ვისურვე.

### კვლავ უყვარხარო...

კვლავ ჩემი სიყრმის მუხა, შურყანი,  
 გადარჩენილი ცეცხლს და იანვარს...

და კვლავ მიმიხმო ღამის სათევად  
 ძველმა შუკებმა და სიხალისემ

კვლავ უყვარხარო, — ვისაც  
 უყვარდი, —  
 ვიღაცა ისევ გასცა ნიავემა

და მთვარის წვეთი —  
 ციციანათელა  
 ისევ გაუძღვა ფიქრებს მთვარისკენ.

სად ხართ,  
კვლავ იმ მზით ანთია ზეცა,  
სად ხართ,  
კვლავ იმ გზით მიიწევს ნადი...  
მასსოვს წითელი კაბები გეცვათ  
და ქარში გაყრილ ნაკვერჩხლებს  
შგავდით.

რა ფერის იებს  
კოცნით და  
კონავთ...  
მასსოვს,  
მასსოვნართ,  
მაგრამ არაფერს,

ნეტავი ახლა  
სად ხართ,  
სად დაფრენთ,

არაფერს  
აღარ აბრუნებს ხსოვნა.

### კიდევ რას უბერავს ქარი

კიდევ რაღას კივის ქოტი,  
ბედი კიდევ რას მპირდება,

ჰკითხო რამე  
ამ ძველ მთვარეს,

ნუთუ უფრო დავბერდები,  
ნუთუ უფრო დაბინდდება.

კიდევ —  
რას უბერავს ქარი,

იქნებ გამოაღო კარი,

კიდევ —  
რაღა დარჩათ ქარებს.


### სიყვანვილე

გადიწევა სარკმლის ფარდა, —  
თვალს ცისფერი იტაცებს.  
უფრო მეტი ცაში ვარ და  
უფრო ცოტა — მიწაზე.

თეთრი ნუცა,  
ჰოი, ნუცა ბებია!

შინაურნი შიშს მოუცავს, —  
შიშნარევი ხმებია,  
შლის შავ კარტებს

დავბრუნდები, —  
უთხარ ყველას,  
შე ლამაზო ბებერო,  
.....  
ცას ვინ გამოკერებია,  
მე რომ გამოვკერო.



# საღვან, გზის პირას

ამოთხრობა

იქმ დრო, როცა თავაუღებლად მუშაობდა, წერდა ბოროტი ქინით შეპყრობილი, თავს აიძულებდა, საათობით მჯდარიყო მაგიდასთან და გამოხრიოკებული გულიდან გამოეწურა რაიმე ადამიანური განცდის უქანასკნელი წვეთი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდა, ვეღარაფერს დაგწერო. დაფეთებული გონება ბნელი გვირაბის ედლებს აწყდებოდა, გამოსასვლელს ეძებდა, მაგრამ გამოსასვლელი არსად იყო და აღარც იმის ძალა შესწევდა, რომ როგორმე გამოემტვრია ქვის კედლები და სამზეოზე გამოსულიყო. ამისთვის საჭირო იყო მყარი და საიმედო საყრდენი, რომელიც გეზსა და ენერგიას მისცემდა მის თავგანწირულ კვეთებას, ეს საყრდენი კი ვერა და ვერ იპოვა — რა სავალალოა ამის აღიარება ახლა, როცა ყველაფერი დაასრულისაქენ მიეჭანება — ეს საყრდენი ვერა და ვერ იპოვა, რადგან ის, რისი იმედით ჰქონდა და რაც ამ საყრდენად საკუთარ თავში ეგულებოდა, საეჭვოდ მოყანყალებული და უვარგისი აღმოჩნდა: ეპოტინებოდა სიყვარულს, მაგრამ ხელში რჩებოდა მარტოობის შიშით გულგამოხრული ეგოისტის ნაძალადევი ვნებები; ებლაუჭებოდა სიკეთეს, მაგრამ პატივმოყვარეობისა და თვალთმაქცობის ისეთ ლეყებოში ტუნტრა ხელი, რომ გული აერია; ამას იქით კი რჩებოდა რაღაც უსახელო და შეუტნობელი მესამე — მოძრაობა

ბნელი გვირაბის გამოსასვლელთან მომლოდინე სინათლისაქენ, რომელიც ჯერჯერობით არაფერი იყო და თუ ოდესმე მიაღწევდა ამ სინათლეს, ეს იქნებოდა გადასვლა ბნელი არარაობიდან ნათელ არარაობაში, ბნელი უკუნეთიდან ნათელ უკუნეთში ისევე, როგორც ბრმა გადადის ღამიდან დღეში და აი, უეცრად გამოჩნდა ეს სინათლე, ჯერ შორიდან, გვირაბის მოსახვევიდან ივლავა და გაქვავებულ ბინდბუნდს მეყსეულად გამოსტაცა ქმრის წერილის კითხვაზე შესწრებული ქალის ინსტინქტური მოძრაობა და შემცბარი სახე, შემდეგ მთელი გვირაბის ოვალში ჩადა, ჩამკვიდრდა, შემეკრთობელი თავისუფლებით გახსნა თავის კაშკაშა სიმკვირვალეში გამავალი ღიობი და ამ ორი თვის თვალსაწიერი სივრცე — ყოველი დღე, ყოველი წუთი, ყოველი განცდა და მოგონება — იმ ნალოდინარი ნათელით აავსო.

— მეშინია... — დაასწრო თინამ. — ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვეღარ გამოვიდოდით ამ გვირაბიდან. რამ შემაშინა?

— მართლა რამ შეგაშინა, ჩვეულებრივი გვირაბი არ იყო? — გაოცებით შეხედა ნიკომ. — შიგ ხომ არ ჩავრჩებოდით.

— რა ვიცი, რაღაც ცუდად გავხდი. არა, შიში კი არ იყო...

შიში, შიში, შიში იყო ეს სინათლე! ამ შიშმა შეანჯღრია და გამოაღვიძა! და ყველაფერი ამ სინათლეშია: დასა-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 2.

წყისიცი და დასასრულიც. ამაზე მეტი უსამართლობა იქნება?..

— ნერვიულობ ალბათ, — უთხრა თინას. — მაინც ნერვიულობ. მაგის ბრალია.

— ჰო, ალბათ...

— გენატრება?

— კი! — თითქმის დაიყვირა ქალმა, თავი დაიქნია და სახე ხელეში ჩამალა და ნიკოს მოეჩვენა, რომ თინამ ახლა მის შეკითხვას კი არ უბასუხა, რომელიღაც ადრინდელი პასუხის გამოსწორება სცადა ამ წინასწარ მომზადებული და შემთხვევის მომლოდინე დასტურით. ლოდივით აწვა გულზე ის დღე, როცა დიდი ყოყმანისა და თავშეკავების მიუხედავად, მაინც ვერ გაუძლო აქამდე ნამალავ სიმართლეს და თავგანწირული და ლამის გამოსათხოვარი გულახდილობით ალაპარაკდა. მაშინ ისინი მდინარის პირას გაშლილ ბრუნენტის ლაბადაზე ისხდნენ და ნესტიანი სიგრილით აბუზულები უსაზმნოდ მისჩერებოდნენ წყლის მღორე დინებაზე მოქანავე ტიტცივას. ქალს შიშველ მხრებზე ხალვათად ნაქსოვი შვინდისფერი ჟაკეტი ჰქონდა წამოსხმული, მუხლებზე კი თბილად გახუნებული, გაცრეცილი და საოცრად ოჯახური სიმყუდროვის გამომხსივებელი ჩითის ხილაბანდი ეფარა და მისი რბილი, მქრქალად მომწვანო-მოყვითალო ნაყშებით მოხატული ქსოვილის გრძნეული სიმუნჯე და ქალის საიდუმლო ცხოვრების თანაზიარი ლამის ძალღუერი ერთგულება ნიკოს მესამე პირის თანდასწრების შეგრძნებით აცბუნებდა, თანდათან უნელებდა ქალის სხეულის სიახლოვით ადრულ სურვილს და სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა: მეტი-მეტად ორაზროვანი და გამოსაცნობი იყო თინას მინდობილი და მღელვარე თავისუფლება, ეს სასიჩვი სითამამე, რომელიც მომავლის თანდათან მოსაჩვენებელ უფრო იყო გამიზნული, ვიდრე დღევანდელი დღისათვის, მისი მოცახცახე და თითქოს მომბოდიშებელი ხმაც მომავლის შიშნეულ მოლო-

დინში გაისმოდა და ნიკოც, მისდა უნებლიედ, იმ მოახლოებულ მომენტში ჩასაფრდა, იქიდან მიაყურადა ქალის მოულოდნელად გულწრფელ აღსარებას: — ზოგჯერ ისეთი აუტანელი იყო... პირდაპირ საღისტურად მაწამებდა, რამდენჯერ თავის მოკვლამდე მივუყვანივარ საზიზღარი ეჭვიანობით. მტრისას, თუ შინ არ დავხვდებოდი, ან სადმე თუ შემაგვიანდებოდა. ზოგჯერ კი მიწვევდა დავვიანება. ამ დაწყევლილ ფოსტას ზაფხულობით იმდენი საქმე აქვს, რომ ძლივს ავუღივართ... ნახევარი საათიც რომ დამგვიანებოდა, გიყს ჰგავდა. არ ვიცი, რატომ შვრებოდა ამას, ეჭვიანობის საბაბი არასოდეს მიმიცია, მაგრამ მაინც ეჭვიანობდა. თვითონვე იცოდა, რომ სისულელე იყო ეს, რცხვენოდა კიდევ, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი, რა ჭირდა, მერე კი მივხვდი და ეს მთლად საშინელება იყო... — თინა გაჩუმდა, გაფაციცებული და ჩადარავებული გაჰყურებდა გარემოს, თითქოს უნდოდა ამ სმენადქცეულ სიწყნარეში, ამ გამაფრთხილებელ, უეჭველი სიმართლის მომთხოვნ ყოვლისმცოდნე მღუმარებაში ნაწილ-ნაწილ ამოებოჭა და ზუსტი სიტყვებით შეეკრა ნათელი და გასაგები აზრი, მისახვედრად აეხსნა ნიკოსთვის ის, რაც თვითონ ბოლოს და ბოლოს ამოხსნა და რასთან შეგუებასაც მოწამებრივი თავდადებით ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ძნელი იყო ამასთან შეგუება; ნიკოს ახსოვს ეს, შეუძლებელი იყო ამასთან შეგუება. იმან უკანმოუხედავი, ყველაფრის შემწირავი ერთგულებით იცოდა მეგობრობაც და სიყვარულიც და სხვისგანაც ამას მოელოდა, კი არ მოელოდა, მოითხოვდა რაღაც გამანადგურებელი ძალმომრეობით და შეუწყალებელი სიმკაცრით და ამის ატანა მართლაც შეუძლებელი იყო. შემდეგ, როცა ერთმანეთს დაშორდნენ, ნიკო მიხვდა, თუ რა კატორღას დააღწია თავი და რა ბევრი რამ დაკარგა მასთან მეგობრობის წლებში, მაგრამ მაშინ წი-

წალმდევობის გაწევა არ შეეძლო — მომწესხველი, დამდამბლაგებელი მაგია ჰქონდა მის მოძალადე და დამწყრობელ სიმართლეს, რადგან გჰყვებოდა, განადგურებდა, ყოველ ნაბიჯზე ცხვირ-პირში გაჩრიდა საკუთარ სისუსტესა და უბადრუკ კეთილგონიერებას, ათასგვარ დამამცირებელ ხრიკებს გაიძულებდა, რომ როგორმე ხელიდან დაძრომოდი, დასხლტოდი და სადმე დამალვოდი მის დამქანცველ, თავის მომაძულებელ თვალთვალსა და მეურვეობას. ზოგჯერ ისიც კი გეჩვენებოდა, რომ ეს მისი მუხანათური ფანდი იყო, რითაც ადამიანის მიტყუებას და დასაკუთრებას ცდილობდა; ავადმყოფურად ეშინოდა, რომ ვინმე ჩეზიარებოდა ამ საკუთრებაში და ამიტომ დაუფარავად ეკვიანობდა ყველაზე, ვისგანაც ამის საფრთხეს იგრძნობდა. ჰო, ეშინოდა, ეკვიანი, მზრუნველი, მიყურადებული შიშით ეშინოდა, რომ ის ვილაც მოზიარე თავისი მომხიბვლელი სიცრუითა და წარმავალი ვნებების მაცდური სილამაზით დაანგრევდა მისი უპატრონოდ მოძუნძულე სიმართლის დროებით თავშესაფარს, ძლიერ რომ მოიღობა შენს დანაკუწებულ და ნაწილ-ნაწილ დატაცებულ არსებაში. და ეს ავადმყოფობას ჰგავდა. თვითონაც ზედებოდა ამას, ზოგჯერ საშინელი დანაშაულის შეგრძნებაც აწვალებდა და მაშინ მთლად აუტანელი იყო, რადგან ყოველად უვარების ხერხებით ცდილობდა ამ დანაშაულის გამოსყიდვას. „შენ ვერაფერს ვერ დაწერ, იმიტომ, რომ მარცხის გეშინია. სანამ არ შეურიგდები, რომ შეიძლება ვილაცას არ მოსწონდე, შენგან არაფერი გამოვა“. — უთხრა ერთხელ ნიკოს და ეს იყო მწარეზე მწარე ჰეშმარიტება, რომელიც შემდეგ თვითონაც მრავალჯერ უღიარებია, მაგრამ მაშინ საშინლად დაიბოღმა და თავის დასაცავად რაღაც ღვარძლიანად მიახალა, იმან კი თავისი შემწყნარებლური ღიმილით მოუბოდიშა, თავზე ხელი გადაუსვა და უცებ უგულოდ

ახარხარდა, ვითომ გეხუმერო, მაგრამ ნიკომ ამ ხარხარის მნიშვნელობაც ხუთი თითივით იცოდა: მას უნდოდა მართო ნიკოსთვის კი არა, საკუთარი თავისთვის გაექარებინა ამ უღმობელი სიმართლით მიყენებული ტყვილი, რადგან იცოდა, თუ რა მწარე და გულის მომკვლელი იქნებოდა მისი მოსმენა. ყოველთვის ასე იცოდა: მაშინვე გააბიაბრუებდა თავის სიტყვას და საქციელს, სულ სხვა რამეზე გადაიტანდა საუბარს, ჩვეული გატაცებით ალაპარაკებოდა ახალწაკითხულ წიგნზე ან ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ამბებზე და ისეთი გადამდები იყო ეს გატაცება და ისე მართალი და საშიში იყო ამ დროს, რომ ნიკოს მაშინვე ავიწყლებოდა წუთის წინანდელი წყენა და მოწესხველი ინტერესით იძირებოდა ამ გასაოცრად ზუსტი და მოულოდნელი დაკვირვებებით აღსავსე ექსტაზურ მონოლოგებში. ყველაფრის უფლება ჰქონდა ამ კაცს, ყველაფრის, სახეშიც რომ შეეფურთხებინა, მართალი იქნებოდა. ოდესმე დასრულდება ეს წამება?

— ზოგჯერ კი პირიქით, ძალიან გულგრილი იყო, — თქვა ქალმა მცირე დუმისის შემდეგ, როცა თავის მონაცოლს გულისყური გადაავლო და იფიქრა, გასაგებად ავხსენი ქმრის უცნაური ეკვიანობის მიზეზით. — რაღაც სხვა საზრუნავი გაუჩნდებოდა და სულ აღარ ვახსოვდი. მთელი კვირა ისე გავილოდა, რომ ჩემკენ არ მოიხედავდა. თითქოს მეც ეს უნდა მდომოდა, თითქოს უნდა დამესვენა, ხომ? მაგრამ ეს უფრო ძნელი იყო...

— რატომ? — ქალს კი არა, თავის თავს ჰკითხა ნიკომ, უკვე მერამდენედ, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიიღო ნაღდი და ერთადერთი პასუხი.

— მეშინოდა და იმიტომ, — დაუფიქრებლად უთხრა თინამ. — ვიცოდი, რომ მალე ისევ მომიბრუნდებოდა და თავიდან უნდა შევჩვეოდი, როგორც



უცხო; არა, თვითონ კი არ იცვლებოდა, თვითონ ისევ ისეთი იყო, მაგრამ მე მიჩნდებოდა ეს გრძნობა, თითქოს უკვე უცხო ვიყავი მისთვის, თითქოს უფლება არ მქონდა ხელახლა შევტრიალიყავი მის ფიქრებსა და საზრუნავში და ყოველთვის ისევ ვემზადებოდი ამ უფლების მოსაპოვებლად, შორიდან ვუახლოვდებოდი, ნიადაგს ვსინჯავდი... ღმერთო, რა ჯოჯოხეთი იყო! ხანდახან მგონია, რომ განგებ მომიწყობ ბე-  
დმა ეს გამოცდა, უნდოდა გაეგო, გავუძლებდი თუ არა...

— გაუძელი? — პასუხის გასაიოლებლად, ვითომ ღიმილით ჰკითხა ნიკომ, მაგრამ მთლად დაიძაბა ამ პასუხის მოლოდინში და სუნთქვაც კი შეიკრა, რომ ქალის ოდნავი რეაქციაც არ გამოჰპარვოდა.

თინა კარგა ხანს ჩუმად იყო, ნერგულად წიწკნიდა ბალახს და პასუხს ეძებდა და ნიკოს მოეჩვენა, რომ ეს მოულოდნელი შეკითხვისაგან გამოწვეული ნერვიულობა არ ყოფილა, რადგან ქალი მთელი არსებით ელოდა ამ შეკითხვას და როცა ის გაიგონა, თითქოს შვებაც კი დაეუფლა და მხოლოდ იმაზე ფიქრმა შეაყოვნა, რომ ბოლოს და ბოლოს საშუალება ეძლეოდა ეთქვა ის, რაშიც აქამდე თავის თავსაც ვერ გამოტყდომოდა. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ მას არ უყვარდა ქმარი, მაგრამ საკუთარ გულსაც ვერ უბედავდა ამის აღიარებას, აღიარება კი არა, ეჭვითაც არასოდეს დაეჭვებულა, რომ ის მსასოვარი, ლამის ღვთაებრივი მოწიწება, ყოველთვის რომ გრძნობდა ქმრის სიახლოვეს, სიყვარული არ ყოფილა. ის მხოლოდ მისი უჩვეულო ბუნებით იყო დაფეთებული, მისი მომნუსხველი სიმართლისა და კაცური ძლიერების ტყვეობაში იმყოფებოდა და ეს გრძნობა საოცრად, თითქმის ტყუპისცალივით ჰგავდა სიყვარულს. მაგრამ ჯერ ვერ თქვა ეს, ჯერ მხოლოდ იმით, რომ გუმანით ნაგრძნობ გარდაუვალი მომავლის წინაშე პირნათელი ყოფილიყო და არა-

ფერი შეშლოდა, ეჭვით, ყოყმანით მხრების აჩეჩვით ამომარცვლა: ვიცი, არაფერი არ ვიცი... — და საღდაც მარჯვნივ, მდინარის გაყოლებაზე გაიხედა, რომ ნიკოსთვის ამ პასუხით წამოფრენილი შიში დაემალა, მაგრამ მაშინვე იმის უფრო შეეშინდა, რომ სხვა დროს აღარ მიეცემოდა ამის თქმის საშუალება და თავგანწირვით წამოიძახა:

— ვერა, ვერ გაუძელი! — და თუმცა ნიკო მხოლოდ ამ პასუხს ელოდა, მაინც გულწრფელი გაკვირვებით და თითქმის საყვედურით შეხედა ქალს, იმან კი თავის გასამართლებლად სასწრაფოდ დაუმატა: — შეუძლებელი იყო ეს...

ეს მართლაც შეუძლებელი იყო. ვინ-ვინ და ნიკომ კარგად იცის — ეს შეუძლებელი იყო. მას ხომ სულით ხორცამდე აქვს გამოცდილი და იცის: ვერავინ ვერ გაუძლებდა ამას. ყოველ ადამიანს სწამს, რომ სიმართლით უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაზე, სიმართლით და სიკეთით, მაგრამ სხვადასხვა ნიზეზით ვერ მიუღწევია ამ ნაოცნებარი სიმართლისათვის და თავს იმიტოლ ინუგეშებს, რომ რას იზამ, ცხოვრება არ გაძლევს ასეთი ფუფუნების უფლებას, ცხოვრება გაიძულგებს, აკეთო ის, რაც არ გინდა, ილაპარაკო ის, რაც თავად არ გჯერა, ცხოვრება გიკარნახებს, რომ მუდამ სხვისთვის სიკეთის ქმნას, ზოგჯერ საკუთარი კეთილდღეობა არჩიო, რადგან ყველაფერი უფრო რთულია, ვიდრე მართლის მთქმელს ჰგონია, ყველაფერი უფრო დასაფიქრებელია და ამიტომ, რომ ყოველი კაცი თავის საკუთარ სიმართლეებს ქმნის, პატარა-პატარა იძულებით სიმართლეებად აქტუმაყებს იმას, რაც მასაც ერთადერთ და განუყოფელ ჭეშმარიტებად მიაჩნია და თან ორივე ხელით ებღუძება მაშველ აზრს: ხომ არსებობს ქვეყანაზე ეს ჭეშმარიტება, ხომ არიან კიდევ მისი ერთგული ადამიანები და ეს სავსებით საკმარისია სიმისოდ, რომ კაცმა კაცობა არ დაკარგოს, პი-

რუტყვად არ იქცეს და არ გაველურდეს. ბრაქალა მას, რაც არსებობს სადღაც თავისთვის და მას ვერ შეეხება, ვერ გამოელაპარაკება, ვერ გააბრტყამს, ვერ მოეფერება, შეილს ვერ გაუჩინოს და იქნება ასე, თავისი შორეული არსებობით დამაიმედებელ და მიუწვდომელ სადღაცაში, მაგრამ თუ ერთხელ მაინც პირისპირ შეეფეთა იმ ლტახობით კარგსა და ყოჩაღს, ხელით შეიგრძნო მისი ხორციელობა, მოისმინა მისი ნამდვილი ხმა, შეისუნთქა მისი ადამიანური სუნის, დაინახა მისი მოძრაობა — გველი, გველი ზუსტად მისი თავის სიმადლეზე ეკიდა მარჯვნივ, ორიოდ მტკაველის დაშორებით! — მოისმინა მისი აზრები და განიცადა მისი გრძნეული სიახლოვის ელდა, მაშინვე ხვდება, თუ რა ძნელია ამ უმსგავსობის გვერდით ცხოვრება და რა ამაზრზენად მახინჯია, რაც არ უნდა მშვენიერი იყოს იგი — გველი, გველი ორიოდ მტკაველის დაშორებით შემოხვეოდა თხმელის ტოტს და აქეთ-იქით აბრწევდა ღონიერ სხეულს! — და ამიტომ თავგანწირვით გადაეფოფრება საკუთარ წვრილ-წვრილ სიმართლეებს, როგორც კრუხი თავის აწიაქმბულ წიწილებს და იმით ინუგეშებს თავს, რომ მეტისმეტი სიმართლეც სიცრუეა და არის მასში რაღაც პათოლოგიური და მიუღებელი და ბოლოს და ბოლოს, კაცმა არ იცის, რა არის ეს სიმართლე, რადგან ცხოვრება თავისას მოითხოვს და აღსავსეა უთვალავი ურთიერთობებითა და ადამიანური ვალდებულებებით და რომ არ ეკუთვნის მარტო საკუთარ თავს და ამით ხარ ძლიერი და მართალი — გველი, გველი ზუსტად მისი თავის სიმადლეზე ეკიდა, მარჯვნივ, ორიოდ მტკაველის დაშორებით შემოხვეოდა თხმელის ტოტს, აქეთ-იქით აბრწევდა ღონიერ სხეულს, რკალურად ასავსავებდა წვრილ თავს და წყალში გადასავარდნად ემზადებოდა, ანკესის ტარზე ხელშეყინული ნიკო ერთბაშად გათანგა მთელ სხეულში გამდგარმა მოშიშინე დამბლამ,

გაჩნობული იქდა და თვალს ვერ აშორებდა თავისი ძლევეამოსილი სიმარტოვით მოზვიმე არსებას. ეს გველი მაშინ შენიშნა, როცა წყალში ჩავდებულ ტივტივას გამართვას ელოდა, მაგრამ უცებ ვერ მიხვდა, რომ გველი იყო — შავი მბზინავი წერტილი თანაბარზომიერი და რბილი სრიალით მოსკრავდა წყალს მდინარის გაღმა ნაპირიდან. სიფრიფანა ტალღები შლეიფად იშლებოდა და ორი-სამი მტკაველის არეში ლივლივებდა უნატიფეს ნაოკებად. ჩამავალ მზეზე ვერცხლოვანი ათინათებით ციმციმებდა ეს ამაზრზენად ლამაზი ჭავლები, ეს ვულის ამრევი მშვენიერება, ეს შემზარავად დახვეწილი ბალეტი წყლის გასარკულ ზედაპირზე და მდინარის მღვრიე სიღრმიდან დაძრული და თანდათან მომძლავრებული საორღანო რულადებით იცვებოდა დაბურთული ბუჩქნარისა და სიმინდის ყანების მწვანე იარუსებში ჩაძირული დარბაზის დაელექტროებული მღუმარება. ერთხელ უკვე განუცდია ასეთი რამ — უცებ გაახსენდა — ერთხელ უკვე განუცდია, ბავშვობაში, როცა სიცხით გათანგული იწვა წითელი ქსოვილებით მორთულ ოთახში და აღხიან ბურანში ვალურსული უსმენდა, უსმენდა კი არა, მთელი თავისი გათარანებული არსებით შედნობოდა სადღაც შორს, მეორე ოთახის მიუწვდომელ სიღრმეში მჟღერ მუსიკას — ალბათ რადიოთი ვადმოსცემდნენ რომელიღაც კლასიკურ სიმფონიას — და ნიკოს გაბურსალეებულ შეგნებაში აქამდე წარმოუდგენელი, თვალის ამხელი სიმართლის დაღადისით შემოდოდა მისი ძლევეამოსილი ჰანგები. ყოველი ბგერა დაბადებიდანვე მშობლიური ენით მოუთხრობდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა მუდამ, გაჩენის დღიდან დღევანდლამდე და ვიდრე შორეულ დასასრულამდე, რომელიც აჰა, უკვე დამდგარა და მთელი თავისი სიღიადით ქღერს ამ

სოსო კაიხაძე  
საღვაც, ზრის პირას

ჯადოსნური მუსიკის აპოთეოზში და ეს სინანული, ახლა რომ ასე ტკბილად ტყენს გულს, ხომ არ არის იმ სიცხიან ბურანში ნათელხილული მომავლის უცარი გახსენება? და ისე ცხადი და გასაგები იყო ეს ყველაფერი და ისე ამაზრუნად ბუნებრივი და ველური იყო რაღაც მასში, რომ ნიკოს ეთეროვან არსს თანდათან იპყრობდა ამ ბუნებრივთან და ველურთან შეხების მჩხიბავი შიში და ახლა, როცა მდინარის პირას ფლატეზე ჩამოძვარს გარდუვალად უახლოვდებოდა ეს ჯადოსნური ხელოვნებით ნაქსოვი შლეიფი და მის მეტალურად მკვრივ ნაკეცებში ვერცხლოვანი ათინათებით კრიალებდა ჩამავალი მზის სხივები — სუფთა, გამჭვირვალე ბგერები ეჯახებთან ერთმანეთს, წამიერად ერთდებიან და ისე იფანტებიან წითლად დაფერილ ოთახის კედლებში — ნიკომ ისევე იგრძნო ეს ნეტარი შიში, ამ სილაშაზეს, ამ სრულქმნილებას რომ მოჰქონდა მდინარის გაღმა ნაპირიდან გამოღმისაკენ — აჰა, ის მოდის, მოემართება, თამამად თავადერილი მოიჩხევა, მოქნილი, ელეგანტური და თავის სიმართლეში დაჭერებულ, ლამაზი ამ სიმართლით, უძლეველი ამ სიმართლით და მისი ყოველი ნაბიჯი მშვენიერია, ყოველი მოძრაობა თვალწარმატებელია პირველიდან უკანასკნელ შეტოკებამდე, როცა თითს დააჭერს დამიზნებულ იარაღის შეფიცულ სასხლეტს!

— არა, არა მგონია, რომ მასე ყოფილიყო, — თქვა თინამ. — უბრალოდ, მე ვერ გავუძელი, მე თვითონ აღმოჩნდი ძალიან სუსტი და ვერ გავუძელი, თუმცა მართლა მინდოდა მეცხოვრა მისი კანონების მიხედვით, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა ეს, დავიდალე... არ გეგონოს, რომ ოდესმე უსიამოვნება მოგვსვლოდეს ან ერთმანეთისთვის ვერ გავგეგოს. არასოდეს დამიჩვივია არც სიღარიბე, არც სხვა გაჭირვება. ესეც შეუძლებელი იყო მისი გვერდით. მე კმაყოფილი ვიყავი ჩემი ცხოვრებით და თუ ოდესმე მეღიბრა, კვლავ

სიამოვნებით მივიღებ მას... ოღონდ ყოველთვის ერთი რამე მაწუხებდა ვიცოდი, რომ არ ვიყავი ისეთი, როგორადაც მას ვეჩვენებოდი და ეს ნტარჯავდა. მე ვცხოვრობდი ისე, როგორც მას უნდოდა, როგორც თვითონ მკარანახობდა, ეს იყო და ეს, მეტი ვერაფერი... არ შემეძლო რაიმე მერჩია, რამეში შევშველებოდი, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, უფრო სწორად, მეშინოდა, რომ ჩემი სიტყვა და საქციელი არ მოერგებოდა მის კანონებს. იმას ყველაფრისათვის ერთიანი საზომები ჰქონდა, მე კი თითოეულს ცალ-ცალკე ვზომავდი და ბოლოს და ბოლოს დავიდალე, ვეღარ შეეძელი. ზოგჯერ კი მინატრია თავის დადწევა, ამაში მართალი ხარ, კი მინატრია, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ მარტო დარჩებოდა და იღარდებდა. გული მიკვდებოდა ამის გაფიქრებაზე. ბავშვივით ეშინოდა სიმარტოვის. და სიზმრების. სიზმრებისაც ძალიან ეშინოდა, — სიცილით თქვა თინამ. — გაიღვიძებდა შუალამისას და ფეთქებული, შუქს აანთებდა და იჭდა, ვიდრე შიში არ გადაუვლიდა. საოცარია, არაფრის არ ეშინოდა, სიზმრების — კი. როგორ მაწამებდა, ღმერთო, როგორ მაწამებდა! ხანდახან იმაზეც დამიჭერია თავი, რომ მისი სიკვდილი მინდოდა...

ნიკოს ქრუანტელმა დაუარა, ისე დაჭერებულად თქვა ეს ქალმა. ასე ლაპარაკობენ დავრდომილ, სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფზე, რომელიც თვითონაც იტანჯება თავისი განუკურნელი სენისაგან და ახლობლებსაც ტანჯავს გულისმომწყველი სიბრაულულითა და მწუხარებით. თინამ უკვე ყველაფერი თქვა, მისი დანარჩენი სათქმელი მხოლოდ თავის მართლება იქნებოდა, თვითონაც მიხვდა ამას, ამიტომ გაუყრდა, კაცის მძიმე, დაძაბულ დუმილს მიაყურა და შენიშნა, რომ ის ჯერ კიდევ სათქმელს ეძებდა, გაფაციცებული იყურებოდა საქარე მი-

ნაში, რომ იქნებ იქ, შეყვითლებული მთებით მოზღუდულ ფერადოვან გარემოში აღმოჩინა რამე ისეთი, რაზეც ბუნებრივად გადაიტანდა საუბარს და ამ უხერხულ დუმილს დაარღვევდა, მაგრამ ქალის უკანასკნელი სიტყვებით დაფანტული გონება შესაფერისს ვერას ეპიდებოდა და ამიტომ ისევ თინამ დაასწრო:

— მგონი ამინდი ფუჭდება...

— ჰო, — თავი დაუქნია ნიკომ, — მინა ჩამოსწიე, შეგცოდება. — ისეთი გულითადი თანაგრძნობითა და შემბრალებელი მზრუნველობით წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს მანქანის საკმელში შემოჭრილ სიგრილეს კი არა, საკუთარი სიტყვების გულის მომკვლელ სიმართლეს არიდებდა ქალს, მისივე მწარე გულახდილობის ტკივილისგან იფარავდა და თინამაც ასეთივე დაუფარავი გულითადობითა და მაღლიერებით უთხრა: — არა, არ მცივა, — მაგრამ მაინც წამოიფუთნა მხრებზე მოსხმული ქაკეტი, ნიკოსკენ გადაიხარა და თავი მხარზე დაადო. ნიკო ახლა მთლად დაიბნა და გაშეშდა, რადგან ყველაფერს მოელოდა ამ სიტუაციაში, ამას კი არა, მაგრამ, როცა ლოყაზე მიელამუნა ქალის თბილი, სურნელოვანი თმა და ისევ დაეუფლა ის საუცხოო ჟრუანტელი, ყოველთვის რომ ეუფლებოდა მისი სხეულის შეხებისას, ამ ვერაგულ ჩანაფიქრსაც მიუხვდა: თინას გუმანმა უკარანახა, რომ ახლა მხოლოდ ეს ფიზიკური სიახლოვე და ვნება თუ უშველღა კაცის ვასაჰირს, მცირე ხნით მაინც გამოიყვანდა მდგომარეობიდან, სულს მოათქმევინებდა და ძნელი საუბრის გასაგრძელებლად მოამზადებდა, ამიტომაც მიეხუტა ასე მოულოდნელად, თავი მხარზე ჩამოადო და მარჯვენა მკლავზე მოეხვია. — უნდა დაგაჯახო რამეს და დაგამტერიო! — ბავშვურად გაეთამაშა და საჭეზე მოვლებული ხელი გაუჯავა. ნიკოს მართლა კინალამ წაერთვა მანქანის მართვის უნარი, მაგრამ შებოროკილი ხელის გამო კი არა, იმ სუნთქვის შემკე-

რელი სურვილისაგან, ქალის საქციელმა რომ მოჰგვარა, თვითონაც გადინხარა და თმაზე მიელაცია, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა თავისი მოულოდნელი გულახდილობით შემკრთალი და დაბნეული თინა ასევე გადმოიწია, მხარზე მიეყრდნო და კაცის მონატრებულ არსებას თანაგრძნობის იმედით გადასცა თავისი სხეულის საიდუმლო თრთოლვა და მღვღვარება. მაგრამ მაშინ სულ სხვა აზრი ჰქონდა ქალის ამ საქციელს, მაშინ ნიკომ იცოდა, რომ ეს მინდობილი, შინაურული სითამამე ყოველგვარ ხორციელ ვნებას გამოირიცხავდა და უფრო მაღლიერებას გამოხატავდა იმის გამო, რომ აიძულა ასე იოლად გაეთავისუფლებია გულში გამოკეტილი მტანჯველი სიმართლე. ის მთელი სულითა და გულით იქ იყო, წინანდელ ცხოვრებაში, ქმრის გვერდით იმყოფებოდა და ამისმა შეგნებამ თანალობის ტკივილით გამსჭვალა ნიკო, მასაც საოცარი მაღლიერება მოეძალა ამ ალალი და ნამალავი გრძობების გაზიარებისათვის, რამაც საშუალება მისცა მშვიდად, თავისი მამაკაცური პატივმოყვარეობის ზემოთ მიეღო ქალის ეს ნუგეშის მაძიებელი და მეგობრული გულახდილობა. მაგრამ მაშინ ისიც იგრძნო, რომ თინას საქციელსა და მთელ განწყობილებაში იყო რაღაც ისეთი, რაც ხვალისდელი მომავლისათვის იყო განკუთვნილი, აი, ამ წუთისათვის, ახლა რომ დამდგარა, აი, ამ მთრთოლვარე სიხარულისათვის, მანქანის ლღ ქროლვას რომ შეერთებია და რასაც, შესაძლოა, თვითონ ვერც აცნობიერებდა ქალი, ვერ ხვდებოდა, რომ ამ ტრაგიკული და გამოსათხოვარი აღსარებით, ყველაფერთან ერთად, იმ ნაბიჯისთვის ემზადებოდა, ხვალ რომ უნდა გადაეღვა, ესე იგი, აღდეს, როცა გადადგმულია ეს ნაბიჯი და ასეთი მოუთმენლობით მიექანება საღდაც, საბედისწერო დასასრულისაკენ. და ისიც შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი

სოსო კახიანიძე

საღდაც, ზნის პირას



მხოლოდ ნიკოს ეჩვენებოდა, მაგრამ მაშინ, მდინარის პირას, შიშით გაიფიქრა, რომ უკვე აღარაფერი შეაჩერებდა ამ დანაშაულს, ყოველ შემთხვევაში, თვითონ უკვე ველარაფერს უშველიდა: საქმე მართო ის კი არ იყო, რომ რაღაც ანდამატური ძალით იზიდავდა ამ ქალისავენ და მასთან ყოველი შეხვედრა ბედნიერებას ანიჭებდა, არა, ამ ლტოლვას სხვა, შემამოფოთებლად უამური და ვერაგული მიზეზიც ჰქონდა და ნიკოს არ უნდოდა ბოლომდე ჩაპკვირებოდა ამ მიზეზს, გულისგულამდღე ჩაპყოლოდა და გაეცხადებოდა, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ სწორედ ეს მეორე და მთავარი არ ანებებდა ყველაფერზე ხელის აღებას და იქაურობიდან გადახვეწას. ნიკოს შეეძლო მაშინვე ეთქვა ქალისათვის, რომ იცნობდა მის ქმარს, მოეთხოო მათი უცნაური მეგობრობის ამბავი, ეთქვა ისეთივე აღსარება, როგორც მისგან მოისმინა და მაშინვე ყველაფერი დაემთავრებოდა, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო ახლა — ეს ნამდვილად იცოდა — შეუძლებელი იყო ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, მასაც გაუჩნდა ნათელი და გამოკვეთილი მიზანი — აღმოეჩინა და სამოქმედოდ გამოეწვია თავისი მკვლელი.

მკვლელი! ეს სიტყვა უცებ ქუხილით აუფეთქდა გულში. მკვლელი! უცებ მიხვდა, კი არ მიხვდა, გაახსენდა, რომ ამ სიტყვას თავისი ზუსტი მნიშვნელობაც ჰქონდა. მკვლელი! ეს სიტყვა გულისხმობს, რომ ადამიანმა ადამიანი მოკლა, არსებობა მოუსპო, აიღო დანა და გულში ჩასცა, აიღო ქვა და თავი გაუსრისა, თოფი ესროლა და ტვინი გაანთხევინა! შიშით აბურძღლა ამის წარმოდგენაზე. აქამდე თითქოს არც მისულა მის შეგნებამდე, რომ იმ კაცს, ვის მიგნებასაც ასე ესწრაფოდა, ადამიანის მკვლელობას აბრალებდნენ. ადამიანის კი არა, ადამიანების! „იგი მკვლელია! — ამბობდნენ მასზე და ამით ყველაფერს ამოწურავდნენ, საუბარს წერტილს უსვამდნენ, ყველა სხვა სი-

ტყვას ზედმეტად მიიჩნევდნენ ვინაობით, განსაკუთრებული აზრით აღსავსე სიტყვის შემდეგ. მაგრამ ნიკო არასოდეს ჩაფიქრებია მის ნამდვილ მნიშვნელობას, ყოველთვის ისე წარმოედგინა, რომ ეს სიტყვა მხოლოდ იურიდიული ტერმინი იყო და სხვა არაფერი, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ დანაშაულის სახეს მიაანიშნებდა და სხვას არაფერს. და უცებ! ერთადერთი და ზუსტი შინაარსით გაცოცხლდა ეს სიტყვა, თავისი მარადიული აზრით შეიმოსა და თავზარი დასცა. მკვლელი! ნუთუ მართალია ეს! — როგორ გგონია, მართალია შეეძლო ადამიანის მოკლა? — ჰკითხა თინას და შენიშნა, როგორ შეკრთა ის, უცებ მოსცილდა და მოიბუზა. გავიდა ერთი, ორი, სამი წუთი. სანამ თინა რაიმეს თქმას გაბედავდა, ბოლოს ნიკომ გაიგონა სუსტი, მღელვარებითა და გაურკვეველობით დამხრჩვალ ხმა: — არ ვიცი... ძნელი სათქმელია... მაშინ, როცა... ალბათ...

კარგი ჰო, თინას პასუხს ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ასეთებს ყველაფერი შეუძლიათ: სიყვარულიც და სიძულვილიც. მაგრამ ისინი არასოდეს ლაპარაკობენ ამაზე, ისინი მოქმედებენ. შემზარავი სანახაობა იყო აღბეჭდილი შემთხვევის ადგილას გადაღებულ ფოტოსურათებზე, გამოძიებელმა რომ აჩვენა: კლდეზე მიტეპყილ მსუბუქ ავტომობილში ეგდო დაფლეთილი და გასისხლიანებული გვამი. სურათები სულ სხვადასხვა რაკურსით გადაეღოთ — მთლიანად, ნაწილ-ნაწილ, შორიდან, ახლოდან, შიგნიდან, გარედან და ნიკოს ახლაც დეტექტორი კინოფილმის ეპიზოდებივით ელანდებოდა ეს მალიმალ მონაცვლე კადრები, გამოძიებლის ნიშნის მომგები დუმილიც ყურებში უდვას და მისი გულგრილი კომენტარებიც: „აი, ხომ ხედავთ, დაჯახება უკანიდანაა მომხდარი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე მანქანა ერთი მიმართულებით მიდიოდა. თვითმცლელი დიდი სისწრაფით წააოეწია, უკანა გვერდითა მხრიდან დაარტყა, ოც



მეტრზე ათრია და კლდეს შეინარცხა, შემდეგ კი ვეღარც თვითონ დაიმაგრა საქე და ხრამში გადაეშვა“.

სხვა ფოტოსურათებზე თვალნათლივ ჩანდა გადაგლეჯილი ბორდიური, ჩარღვეული გზისპირი და ხრამში ვეებერთელა მკვდარ ხოჭოსავით ამოტრიალებული თვითმცლელი — ესეც შორიდან ახლოდან, ნაწილ-ნაწილ და მთლიანად, მაგრამ მძლოლი არც ერთ ფოტოზე არ ჩანდა, — არც მკვდარი, არც ცოცხალი. „გადაჩვენამდე ვადმოხტა და მიიმალა, — თქვა გამომძიებელმა ყველა სხვა ვერსის გამომრიცხავი ტონით. — მგონი თქვენთვისაც ყველაფერი ნათელია, არა?“

ყველაფერი ნათელია, მაგრამ არაფერი არ არის ნათელი: ტრაგედიის მონაწილენი აღარ არსებობენ და აღარავის შეუძლია იმის ახსნა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ან რატომ მოხდა ეს ყველაფერი. კაცი, რომელიც ჩამონგრეული გვირაბის საქმეს იკვლევდა, მკვდარია; მთავარი დამნაშავე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაგრამ არსებობს ვიღაც მესამე, თინამ რომ დალანდა პალატიდან გამომავალ სუსტ შუქზე, ვიღაც ბობრი კაცი, საღლაც, გზის პირას, რომელმაც რამე უნდა იცოდეს, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც, თუ სად იყო იმ ავბედით ღამეს თინას ქმარი და იჭდა თუ არა თვითმცლელის საქვსთან აგარიის დროს. არაფერი არ არის ნათელი, არც ის, თუ რაზე ჩურჩულებდნენ დუქანში თავმოყრილი მუშები ასეთი შიშითა და სიფრთხილით, რატომ უშვებდნენ ნიკოს ჩაიკრიტიკებულ\* შეკითხვას ყურიდან ყურიში და რატომ მიუტობოდათ თვალები კარისკენ, თითქოს წუთი წუთზე ელოდნენ იმის მოსვლას, ვის წინაშეც თავიანთი სიფრთხილისა და შიშის გამო პასუხი უნდა ეგოთ. — ღორები, ღორები, ბინძური ღინგებით გადაჯიჯგნილ აგარაკზე, ღორები! — ჰო, ყველაფერი ნათელია: მკვლელი უკვე მკვლელობამდე აღარ არსებობდა, იგი საღლაც იყო მიუკვლევლად დამარხული და განადგუ-

რებული და შემდეგ გათამაშდა ეს საჩინარეობით და ჯგერადი დამნაშავეს გაუჩინარებით და ყველაფრით და ეს გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ თავიდან მოეშორებინათ ერთადერთი და მოუსყიდველი მოწმე, განემუხტათ ასაფეთქებლად შეწყობილი ნაღმი და დამშვიდებულიყვნენ, და თუ ეს ნამდვილად ასე მოხდა, მაშინ ნიკოც გულარხენიად ივლის ამ ქვეყანაზე, მაშინ საფიქრალი და საწუხარიც არაფერი ექნება და თამამად დასარულებს სიმართლის მძებნელი კაცის როლს, მაშინ თავსაც დაირწმუნებს იმაში, რომ ნამდვილად დაეძებს თავის მკვლელს, რათა მის წინაშე პასუხი აგოს ყველაფრისათვის: წარსულის, აწმყოს, მომავლისთვის; მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მკვლელი მართლა იმალებოდეს სადმე, არის თუ არა დამნაშავე, იჭდა თუ არა იმ საიდუმლოებით მოცულ დამეს თავის მანქანის საქვსთან, იქნებ მართლა გაქცეულიყო და გადაკარგულიყო, რადგან მაინც ვერ დაამტკიცებდა თავის სიმართლეს და პასუხისგება არ ასცდებოდა — ეს ვერსია ყველაზე უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდა, თავისი უეჭველი შესაძლებლობით აფრთხობდა და აფორიაქებდა — გავადრო და ისევ გამოჩნდება, რათა პასუხი მოსთხოვოს ყველას, ვინც საკუთარი სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის თვალი დაივსო და ყური დაიყრუა მაშინ, როცა ის მარტოდმარტო გრძნობდა და ხედავდა და ამბობდა, რომ ასე არ შეიძლება, რომ ბოროტებაა ეს ყველაფერი! არა, ცუდს არაფერს ჩაიდენს — ეს იცის ნიკომ — ცუდს არაფერს ჩაიდენს, მაგრამ მოვა და თავისი სიმშვიდის წამართმევი და ხიწვივით ზედმეტი არსებობით დააეჭვებს ყველას საკუთარი ბრძნული წონასწორობისა და დაქირავებული კეთილდღეობის სრულფასოვნებაში — ღორები, ღორები ბინძური ღინგებით გადაჯიჯგნილ და გაოხრებულ აგარაკზე, ღორე-

სოსო კაიხაძე  
საღლაც, გზის პირას

ბი! შარაზე კი მიმოდინ მოაგარაკენი და ალმაცერად, ქურდულად, ერთმანეთის წინაშე გაუმჟღავნებელი ფარული აღტაცებით და ამავე დროს ნიშნის მომგები ირონით და მოხეივამ პარტავნობით უმზერენ თავის ორსართულიან სახლის წინ გამოტანილ შეზლონგში გადაწოლილ მრისხანე შესახედაობის კაცს, რომელსაც უძრავად გაშეშებული ფეხი ყურთბალიშინ ჩორკოზე დაუსვენებია, იდაყვამდე თაბაშირში ჩასმული მარცხენა ხელი შავი სატინის თავსაფრით მკერდზე დაუკიდია და დაფანჩულ წარბებში ჩასაფრებული ბრაზიანი თვალებით ზვერაგნ შარაზე გაბაწრულ დასიცხულ მოაგარაკეებს, გავარვარებულ პლაცს რომ გამოქცევიან და სანახევროდ შიშველტიტველნი, მოთენთილნი და გადაქულებულნი, ბედნიერების გამომხატველი უნიათო ღიმილით და მზისგან მიღუშული სხეულების მორღვეული ლასლასით რიგდებიან შარაგზის გაყოლებით ჩამწკრივებულ ჩრდილოვან ეზოებში, რათა დაკმაყოფილებული გნების ნეტარი აპათიით შეუერთდნენ ოთახებისა და აივნების მაცხონებელ სიგრილეს. გუშინ ეს კაცი გააფთრებით მიერეკებოდა თავის გასაოცრად ჯიშინ და გაჭიქებულ ღორებს შარაგზის გადაღმა, დიდი ეზოსაკენ, სადაც დამსვენებლებით სავსე პარმალიანი სახლის უკან, გავრანებულ ყანისპირებში გროვ-გროვად ეყარა უპატრონოდ გაველურებული ხეებიდან ჩამოცვენილი დაჭიანჭებული ზილი და ათასნაირი საჭმლის ნარჩენებით სავსე ბუხებდახვეული ნაგავი. საომარი შეძახილებით, ცოცხალმკვდარის გინებით და დაფეთებული ღორების განწირული ჭყვიტინ-ხროტინით იწყებოდა ეს გლადიატორის შერკინება მძვინვარე პირუტყვთან, ეს სისხლანი ორგია, რომელიც ყველაფრის მნახველ რომაულ ამფითეატრებსაც დაამშვენებდა: იღებოდა კარი და ორი უშველებელი ჯაგარაშლილი ღორი ჯაჭვების უღარუნით მოათრევდა ბრეზენტის სპეცტანსაც-

მელში და ქირხის ჩექმებში საბრძოლოდ გამოწყობილ კაცს, რომელსაც ორივე მაჯაზე დაეხვია ფუთიანი ჯაჭვები და წარმოუდგენელი ძალით უკავებდა თავს ასწლოვანი მუხების ძირფესვიანად ამომთხრელ ტახებს; საკმარისი იყო წამით წამოსწეოდა, რომ გამეტებით უზაპუნებდა ფერდებში ხან ჯაჭვს, ხან წიხლებს, ღორები კი აქეთიქით აწყდებოდნენ, კბილებით ეტანებოდნენ საძულველ პატრონს, მაგრამ პატრონი გასაოცარი სიმკვირცხლით ტრიალებდა და საცირკო იღეთებს აკეთებდა დაზაფრული და გაშტურებული დამსვენებლების თვალწინ, რომლებიც სულ იმის მოლოდინში იყვნენ, რომ ერთხელაც იქნებოდა და ჭიშკრის კარბაზე ტვინს შეანთხევდა წონასწორობადაკარგული კაცი, მაგრამ ის სწორედ ბოძებზე მიბაჯაჯგინებდა ფეხებს, ერთს არაადამიანური ძალით დაქაჩავდა ჯაჭვებს და კისერმოკრეხილი ღორები ხროტინით შეტრიალდებოდნენ ადგილზე, კაციც ცქაფად გასხლტებოდა ჭიშკარში და კუნტრუშითა და ყიჟინით მიყვებოდა სადავემიშვებულებს, ვიდრე ისინი ჩვეულ ადგილს არ მიაშურებდნენ და ძირს დაფენილ ვაშლებს არ გაედებოდნენ. და სწორედ აქ იწყებოდა გენერალური ბრძოლა — ღორების დაბმა! ვერავინ მიმხვდარიყო, თუ რატომ იყო აუცილებელი კაცისათვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რატომ არ შეიძლებოდა ამ ღორების მოვლა უფრო მშვიდად და ადამიანურად, ისე, როგორც უვლიან ყველგან ყველა ღორს, მაგრამ ღორებიც არასდიდებით არ ებუებოდნენ პატრონს, გავეშებით ბღღენიდნენ მიწას, ღობე-ყორეს აღნიშებდნენ, კაცს ირგვლივ ურბენდნენ, თითქოს მისი ჯაჭვებში მომწყვდევა და მოხრჩობა უნდათო და ისიც ბურღივით ტრიალებდა, ჯაჭვებს მკლავებზე იხვევდა და თანდათან იურვებდა გაცოფებულ პირუტყვს, მაგრამ ერთხელ მაინც ვერ გამოზომა, ორივე ღორი ერთმანეთის გვერდიგვერდ და ერთი მიმართულე-

ბით გაეცა და მათი შეწყვილებული ღონით დაქაჩულმა თავი ველარ დი- მაგრა, ჰაერში ავარდა და ვაშლის ხეს შეენარცხა — წამით თითქოს დანებ- და კიდევ, თითქოს დამარცხებულმა ფარ-ხმალი დაყარა, მაგრამ მაშინვე, ღობეს მიმდგარი ქალების წივილ-ი- ვილსა და მამაკაცების შეძახილებზე საი- ქიოდან წამოხტა, ტალახში გაწვა, ფე- ხები ხეს შემოაკვანტილა, მთელი ტა- ნითაც გველეშაპივით შემოეხვია ზედ, კუდი პირში მოიქცია და მკლავების ღონეს მიწებდა — უკვე სამწვიდობოს თავდაგულებულმა ღორებმა ლაღად გა- ათრიეს მოფომფლოვებული ჯაჭვები და ყანისაკენ გავარდნენ, მაგრამ მაშინვე ყელის გამომადრავი ვიწყით ამოტრი- აღდნენ ადგილზე, კაცმა კი ამასობაში დრო იხელთა, ფეხების ფხარკალით და ქლოშინით შემოახვია ჯაჭვები ხეს, მაგრად გაკვანძა, ერთხანს ტალახში ჩა- მუხლული ქელავდა, მერე მკვირცხლად წამოდგა, დასვრილი ხელები ტანსაც- მელზე შეიხოცა და მხოლოდ ახლა მო- ავლო გამარჯვებულის მოზეიმე მზერა ენაჩავარდნილ მოავარაკეებს — სანა- ხევროდ შიშველი, საბანაო კოსტიუმებ- ზე გადაცმულ სარაფნებში ძუძუებამო- ყრილი და ვარდისფრად მკლავებდა- ფუფქული ქალები ჩალის ქუდებში მო- ჩრდილული აღტაცებით უმზერდნენ ტყიდან გამოვარდნილ ველურს და თა- ვიანთ შეცბუნებულ, რაღაცაში დაეჭ- ვებულ მელოტ კავალრებს მანუგეშე- ბელი გულგრილობით ეჭუქუჭუებოდ- ნენ, კაცები კი უმაღლეს ფსონზე ჩა- მორიგებულ კარტივით ჩითავდნენ სა- კუთარ პიროვნებებს და შიგ ისეთი რა- მის აღმოჩენას ცდილობდნენ, რაც ოდნავ მაინც შეებრძობებოდა ახლახან ნანახი სურათის გამანადგურებელ აზრს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ეს საშინელი ომი გრძელდებოდა, ისინი ქურდულად, ცალი თვალთ გა- დახედავდნენ ხოლმე თავიანთ მონუს- ხულ, ვერავლად თვალეხანთებულ ქა- ლებს და მათ ნერვულ ყესტებსა და მიმიკებში თავიანთი მამაკაცური ღირ-

სების შემარყეველი ეჭვებით, მაგრამ მაინც ბედს შერიგებული სულგრძელო ბით და რატომღაც აღძრული სენტი- მენტალური, ლამის დაძმური თანაგრ- ძნობით და შენდობის წადილით ეძე- ბდნენ მათი მარადიული ქალურობის გამამტლავებელ ვნებებს, მაგრამ ისეთ რამეს ხედავდნენ, რაც სულ სხვა, უფ- რო შეურაცხყოფელი და დამამცირე- ბელი სიმართლით თრგუნავდა ამ დი- დსულოვან და ქედმაღლურ სურვი- ლებს: ქალთაგან ერთნი, იმის მაგი- ვრად, რომ ამჟამად გამამტლავებიათ თავიანთი ნამდვილი განცდები და ამით კაცებისათვის მათი პატივმოყვარეო- ბის დამაკმაყოფილებელი საზრდო მიე- ცათ, პირიქით, ცდილობდნენ თვალთ- მაქცური გულგრილობით შეენიღბათ საკუთარი მუხანათური ცნობისმოყვა- რეობა და შიგ მოხვანცალე კუდიანი შეგრძნებები და რაკი თავადაც ხედე- ბოდნენ, რომ ეს მეტისმეტად სარისკო თამაში იყო, ისევ მზრუნველი დედაწი- ლური შიშისა და სახელმწიფო დაწე- სებულების ეზოში ასეთი თვითნებობით გამოწვეული აღშფოთების გამობატვით ცდილობდნენ თავის დამგრენას, მეო- რენი კი სულ სხვა გასაჭირში იყვნენ და ამასაც გრძნობდნენ მათი გულთმი- სანი კაცები: მათთვის მთავარი სხვა რა- მე იყო — ეს ტყიდან გამოვარდნილი ველური კი ვის სჭირდება, ღმერთმა თავის ცოლს მოახმაროს! — მთავარი ის უჩვეულო, თავისი უნიღბო პირდა- პირობით გამოიზიანებული სიმართლე იყო, ავერ, სულ ახლოს, მათ თვალწინ რომ არსებობდა, სადღაც ცირკში ან კინოში კი არა, არც წიგნებში და ტე- ლევიზორში, არამედ ავერ, მათი უზ- რუნველი და თვითკმაყოფილი ბედ- ნიერებით ვალაღებულ გარემოში, ამ მაცოცხლებელი სიამით დამათობე- ლი მზის ქვეშ, ამ ალერსიანი ზღვასა და აბრეშუმისგან ხასხასა სასწაულო- ქმედი ქვიშის ცხელ ნეტარებაში, მო- ტორიანი ნაგების კინემატოგრაფიულ

სოსო პაიჭაძე

საღვაც, ზვის პირას



ტარცალსა და მყუდრო წიწვნარის სუ-  
რნელოვან სიგრილეში, ჰაეროვანი შე-  
ზლონგების მომთენთავ ბურანსა და  
ატროკებულ ხორცის ურცხვად კანო-  
ნიერ თავისუფლებაში, როცა საჭირო  
არ არის არც კაბის კალთების ქაჩვა წა-  
მოწმეღებულ მუხლებზე და არც სა-  
გულეში ჩაიციქირებული თვალებისა-  
თვის თავის მორიდება და არც სხვა  
რამ და მთელი არსებით დაცურავ ყო-  
ველდღიური ცხოვრების დამეფყებელ  
სინანულიან სიხარულში, სადაც ყვე-  
ლაფერი სრული ბედნიერების ილუზი-  
ითაა გაციისკროვნებული—მთელი წლის  
ნაგროვებ-ნასესხები ფულით დაქირა-  
ვებული აგარაკი, უკან მოუხედავი და-  
რდიმანდობით ნაყიდი წვრილმანი სია-  
მენი, სუფთა, რადაც ამოუხსნელი თი-  
ლისმითა და მუსიკის ჰანგებით დამა-  
ტკბობელი რესტორანი, სადაც ქმართან  
ერთად ზიხარ და თოროდე ყლუპი სას-  
მელით გახალისებულნი, თანამზრახვე-  
ლის შეთქმული მზერით უყურებ უც-  
ნობ და მიანც საერთო საიდუმლოება-  
სთან ზიარების გრძობით დაახლოე-  
ბულ ადამიანებს და სრული უფლება-  
მოსილების შეგნებით გადაჰყურებ ჭერ  
კიდევ მბეჭუტავ დღის სინათლეში მო-  
ლივლივე ზღვას, რადგან გჯერა, რომ  
შენც ისევე გაქვს მოპოვებული აქ ყო-  
ფნის უფლება, როგორც სხვებს და  
აქედან რომ გახვალ და ნაქირავებ  
აგარაკს მიაშურებ, შენც ისევე ზოგად-  
ქალური სტიქიის თამამი ზეიმიითა და  
თვით შენთვისვე გასაკვირველი ავზო-  
რცული თავისუფლებით დაწვები ქმა-  
რთან, რადგან იცი, რომ ეს ყოველ-  
ღიური დავიდარაბისაგან მოცლილი ხა-  
ნმოკლე თავისუფლება მარტო შენ არ  
გქონია და ამ ლოგინში შენამდეც ბე-  
ვრი წოლილა და შენს მერეც ბევრი  
დაწვება, ეს საწოლი ხომ მხოლოდ  
ამისთვისაა აქ დადგმული. ფუჰ, ღმერ-  
თო მაპატიე და, თუ ეს ყველაფერი  
ასეა, მაშინ ვინ არის ეს კაცი, რო-  
მელიც არც ცირკის არენაზეა გამოსუ-  
ლი, არც კინოეკრანზე და არც ტელე-  
ვიზორში, არამედ აგერ, შენს გვერდით

ბღღინავს თავისი სიზიზღარნი და  
ბით და ყველაფრის უარყოფელი და  
გამბითურბელი საზრუნავებით, სულ  
ახლოს დგას, სავსებით რეალური და  
მიწიერი და შეგიძლია გამოელაპარაკო,  
ხელი მოჰკიდო, შეისუნთქო მისი ოფ-  
ლიანი ილღებისა და ღორების შარ-  
დით აქოთებულ ტლაპოში ამოთხაპუ-  
ლი სხეულის მძალე სუნი და რა უნდა,  
რატომ იჭრება ასეთი ურცხვი და მო-  
ძალადე სიმართლით შენს ხანმოკლე ბე-  
დნიერებაში, რას გამოფენილა ახლა  
ამ შარავზე დამარცხებული და ყველასა-  
გან მიტოვებული და რატომ გვაცბუ-  
ნებს შეუცნობელი დანაშაულის მწა-  
რე ეჭვით და რას გვებრძვის თავისი და-  
ჩეჩქვილი ძვლების ნათელი შინაარსით!  
და ეს ქალები, ქალები კი არა, კაცები  
დუქანში რომ მოუყრიათ თავი და უხა-  
ლისოდ, შეთქმულთა საიდუმლო ორა-  
ზროვნებით რომ პასუხობენ ნიკოს ჩა-  
კირკიტებულ შეკითხვებს, რატომ ელო-  
დებიან ვილაცას ასეთი იმედიანი და  
გასაქცევად გამზადებული ფრთხილი  
მოლოდინით და ნიკოსაც რატომ უნ-  
და და არც უნდა, რომ მალე დარწ-  
მუნდეს გამოძიების სიმართლეში და  
გაუწილდეს ეს ნეტარი შიშის მომგვ-  
რელი მოყოყმანე იმედი, როგორც მა-  
შინ, დიდი ხნის წინათ, როცა ის  
მთლად გასისხლიანებული და ტალახში  
ამოთხაპული შემოვიდა ოთახში და და-  
მნაშავის ღიმილით გაუღიმა, თითქოს  
პატიებას თხოვდა თავისი უმსგავსი სა-  
ქციელისათვის და იმისთვის, რაც აწი  
უნდა ჩაედინა: — „ჩუ!“ — თქვა სიმწ-  
რის ღიმილით და გამაფრთხილებლად  
შემართა ორი გადაყვლეფილი თითი. —  
„განგაში არაა საჭირო. ყმაწვილმა თა-  
ვისი კუთვნილი მიიღო“. — ცერი მკე-  
რღზე მიიდო და თვალი ჩაუკრა, შემ-  
დგე სარკე აიღო და გახეთქილი ნიკა-  
პი შეათვალიერა — რატომღაც არა-  
ვინ ახსენებს ამ ჭრილობას, არც თი-  
ნას უთქვამს, რომ ნიკაპზე ნაიარევი  
ემჩნეოდა, უცნაური კია, ასეთი ჭრი-  
ლობა უკვალოდ არ ქრება. — „ყოჩაღ,  
მაგრად უმუშავნიათ, რას ერჩი!“ — და

გადაიხარხარა, როგორც იცოდა ხო-  
ლმე, როცა რაიმე ძალიან უხაროდა ან,  
სწყინდა, გულიანად, ჩაბჭირებით, თით-  
ქოს იმ წყენის ან სიხარულის გული-  
დან ამოღლეტას ლამობსო, — ეს თი-  
ნამაც უთხრა ერთხელ, რაღაც უთხრა  
ამის მაგვარი, როცა მის თავგადასავ-  
ლებს უყვებოდა — და ნიკოს არ უკი-  
თხავს, რა მოხდაო, თუმცა ცნობის-  
მოყვარეობა კლავდა, მაგრამ ისიც იცო-  
და, რომ ახლა იწყებოდა მისი მორიგი  
გამოცდა და შიშისაგან ენა გაუხევდა.  
უხმოდ ამოიღო ბალიშის ქვეშ ამოკე-  
ცილი სუფთა ცხვირსახოცი და გაუწო-  
და. იგი ეზოში გავიდა, ონკანზე ხელ-  
პირი ჩამოიბანა და შემობრუნდა.

— მიხდება, რომ იცოდე! — თქვა  
ისევ სიცილით, როცა სარკეში მობა-  
ნილი ჭრილობა შეათვალიერა. — ახლა  
დანა აიღე და წამომყევი.

ნიკო შიშისაგან ვახევდა. იცოდა,  
რომ იგი არ ხუმრობდა და მართლა მი-  
დიოდა იმათ საქებრად, ვინც ამ დღე-  
ში ჩაავდო. შიშით მაინცდამაინც არ  
შეშინებია, ეს თითქოს კარგად ახსოვს,  
ან იქნებ შეშინდა კიდევ, მაგრამ ეს  
არ იყო მთავარი — არ უნდოდა, რომ  
დავიდარაბაში ვახვეულიყო, რადგან,  
ვინ იცის, რა მოჰყვებოდა მერე ამ  
ამბავს, ყველაფერი მშვიდობიანადაც  
რომ დამთავრებულიყო, ან იქნებ მაინც  
შიში იყო მთავარი? ასეა თუ ისე, და-  
საკეცი დანა აიღო და გარეთ გავიდა.  
თითქმის შუაღამე იყო, მაგრამ ქუჩაში  
მაინც ჩანდნენ კანტიკუნტი გამვლელ-  
ები; რამდენიმე კაცი მანქანას ელოდა;  
ჩაბნელებულ სკვერშიც რაღაც ლან-  
დები ბორიალებდნენ და ის პირდა-  
პირ მათკენ წავიდა, ნიკოს კი მუხლი  
მოექვეთა, გაჭირვებით გადადგა ნაბი-  
ჯი, ჯიბეში ტყვიასავით ჩამძიმებულა  
დანა ვერაფრით ადგილიდან ვერ დამ-  
რა, თუმცა არც ახსოვს, აპირებდა თუ  
არა საერთოდ მის ამოღებას, რატომ  
მას არ მივეციო, გაიფიქრა გულის ჩა-  
მთუთქავი სინანულით და რაღაც სას-  
წაულის მოხდენის იმედით ფეხათრე-  
ული გაემართა იმ ლანდებისაკენ, რომ

რაც შეიძლება გვიან მისულიყო, თან  
გონებაში ამ დაგვიანების გამამართლე-  
ბელ მიზეზს ეძებდა, მაგრამ სკვერში  
თითქოს არაფერი საეჭვო და საშიში არ  
ჩანდა და გულმოცემულმა ნიკომ ნა-  
ბიჯს აუჩქარა, თითქმის გაიქცა კი-  
დეც, მაგრამ ის უკვე უკან ბრუნდებო-  
და და ბნელ კუნძულებს აკვირდებოდა.  
ნიკო მიხვდა, რომ სკვერში ისინი არ  
იყვნენ, ვისაც ეძებდა და სიხარული-  
საგან ხმა აუთროლოდა.

— არ არიან? — ძლივს ჰკითხა ისე,  
რომ სამარცხვინო მღელვარება არ გა-  
ემქლავებია.

— ვინ? — გულგრილად თქვა მან.

ნიკო გაშრა. უცებ იაზრა, რომ ეს  
მორიგი გამოცდა იყო და მეტი არა-  
ფერი. მაშინვე როგორ ვერ მიხვდა  
ამას, როგორ წამოეგო ანკესზე, რო-  
გორ გათქვა თავისი სიგლახე! ცხა-  
დია, მან ყველაფერი შეამჩნია, ასე-  
თი რამ არ გამოეპარება. დროზე უნ-  
და გამოასწოროს ეს საშინელი შეც-  
დომა:

— ვინ და, ვინც გაგალამაზა! — უთ-  
ხრა უკვე ყინჩად და მოუთმენლობის  
გამომხატველი ტონით, თან თვალები  
დააცეცა და ხელიც კი მოიჩრდილა შუა  
ქუჩაში მავთულზე ჩამოკიდებული ფა-  
რნის შუქისაგან.

— აქ უნდა იყვნენ, სად წავიდოდნენ,  
— უბასუხა მან, — შეიძლება დაბლა  
ჩავიდნენ. — და პროსპექტზე გასასვ-  
ლელი ქუჩაბანდისაკენ გაიშვირა ხე-  
ლი.

— რამდენი იყო?

— სამნი იყვნენ.

— სამთან კიდევ შეიძლება, — ურც-  
ხვად თქვა ნიკომ. — იარაღი აქვთ? —  
ყელში გაეჩხირა ეს მისთვის უჩვეუ-  
ლო, ამ წუთისათვის შეუფერებელი და  
ყურით მოთრეული სიტყვა.

— აქვთ ალბათ.

— უჰ მაგათი!... — კბილები გააქ-  
რაქუნა ნიკომ. უკვე მთლად გაუქრა  
შიში და მხოლოდ იმასლა ცდილობდა.

სოსო პიხაძე

საღვთ. გზის პირას



რომ როგორმე გადაეფარა წვლანდელი მარცხი. ახლა ისიც კი ეგონა, რომ მართლა თავგანწირვით იბრძოლებდა, თუ სადმე მიაგნებდნენ იმ სამეულს. ბოლოს და ბოლოს, რა ვახდა სამი ლაწირაკი!... მაგრამ მას ძებნა აღარ გაუგრძელებია, არც ადრე აპირებდა და ამისმა შეგნებამ ნიკოს მთლად მოსწყვიტა გული — აშკარა იყო, რომ კიდევ ერთ გამოცდაში ჩაიჭრა და ამ ნიშნის გამოსასწორებლად კარგა დიდი დრო იქნებოდა საჭირო.

— დანა მომეცი, — მშვიდად უთხრა მან.

ნიკომ უსიტყვოდ ამოიღო და გაუწოდა. მას ზედაც არ დაუხედავს, ისე მოისროლა მშენებლობისთვის შემოვლებულ ღობის იქით.

— რა ჰქენი! — მართლა სინანულით იყვირა ნიკომ.

— ჩუ! — ტუჩზე თითი მიიღო მან და მხარზე ხელი გადახვია, — ზომ ვეზღავ, რომ გული გისკდება.

— მისკდება კი არა...

— შეგეშინდა?

— ისე, რა... — თქვა ნიკომ და გულზე მოეშვა იმის გამო, რომ სანახევრო სიმართლის თქმა მაინც ვაბედა.

— ყოჩაღ! — გულწრფელი სიხარულით შესძახა მან. — შიში აკეთილშობილებს აღამიანს! შენზე ნაკლებად არც მე შეემეშინდა, სიმართლე თუ გინდა.

ეს უკვე მისთვის ჩვეული მობოდიშება იყო. ახლა პატიებას თხოვდა ნიკოს ამ უმოწყალო გამოცდისათვის.

— რომ შეგვხვედროდნენ? — ჰკითხა ნიკომ.

— არ შეგვხვდებოდნენ, — თქვა მან.

— ეს აქ არ მომხდარა, მოედანზე იყო. ნიკომ უკვე უამისოდაც იცოდა, რომ ეს აქ არ მომხდარა.

— მაინც, ვთქვათ და, შეგვხვედროდნენ?

— მაშინ შენ აიღებდი დანას და ჩასცემდი პირდაპირ გულში, — თქვა მან, ისევ გაიცინა და ხელი მოხვია, მაგრამ ნიკო მიხვდა, რომ ის მართლა ამ-

ბობდა ამას, სიცილი კი მხოლოდ ენაზე ლბად აიფარა, რომ ეს შეუბრალებელი სიმართლე საკუთარი თავისთვის და ნიკოსთვისაც დაემალა. თვითონ სურდა, რომ ასე მომხდარიყო, კი არ სურდა, სწამდა, რომ ეს აუცილებელი იყო, არა, მკვლევობა არა, ეს მას არ უთქვამს და არც უფიქრია, მკვლევობა კი არა, რალაც ისეთი თავგანწირული და ალალი ერთგულება, როგორც თვითონ შეეძლო. ენატრებოდა, სწყუროდა ამ ერთგულებისა და სიმართლის ვინმეში აღმოჩენა და ყოველი საშუალებით ცდილობდა მის შეგრძნებას, მაგრამ ვერ შეიგრძნო და ეს იყო მისი ტრაგედია. თუმცა გაბოროტებული არასოდეს ყოფილა. უდიდესი შეწყყარებისა და მოთმინების უნარი ჰქონდა და უდრტვინველად ეწეოდა ამ უთანასწორო სიკეთისა და სიყვარულის უღელს.

— ნიკო, შენ თუ გიყვარდა ვინმე? ძალიან თუ გიყვარდა?... — უცებ საბურავის გასკდომასავით გაიფონა ქალის შეკითხვა და კინაღამ მუხრუჭს დააჭირა ფეხი და კიდევ დააჭირა, რომ ნათქვამის ტონს დაკვირვებოდა და გამოეცნო, მაინცდამაინც ახლა რატომ დააინტერესა ამან ან შემდეგ რა საუბარი მოჰყვებოდა ამ შეკითხვას, ამიტომ დაუგვიანა პასუხის მიცემა, თინა კი ჯიბრიანად გამართული და თავადერილი იჯდა და ვითომ გზის ყურებაში იყო გართული, სინამდვილეში კი გამომცდელად უდარავებდა კაცის საქციელს, რადგან ელოდა, რომ ამ მოულოდნელი შეკითხვისაგან დაბნეული ნიკო მისთვის საჭირო განცდას გაამჟღავნებდა თავისი შიშველი და სტიქიური რეაქციით — ქალისთვის ახლა ყოველ უმნიშვნელო ნიუანსსაც ღრმა აზრი ჰქონდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ ბნელში ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას მომავლის მიმზიდველ გაურკვეველობაში და სულ პაწაწინა სხივიც კი იმედსა და თავდაჯერებას შემატებდა — პასუხი არ იყო მთავარი, მთავარი ის იყო, თუ



როგორ გაცემდა კაცი ამ პასუხს და ნიკომაძე, რაკი ქალის განზრახვა დაიპყრა, ამ გათავისუფლებული მოლოდინის გამბიზბრულებელი ხუმრობა დააპირა:

— შენზე უფრო არავინ... — მაგრამ მაშინვე, ამ სიტყვების დამთავრებამდე, დამთავრებამდე კი არა, პირველი ბერების წარმოთქმისთანავე ყელში ბურთი გაეჩარა, იმდენად უჩვეულო და მისთვის უცნობი რამის თქმას აპირებდა და იმდენად თავისთავად, მისი ნება-სურვილის გარეშე იშვა ეს სათქმელი, თითქოს ვიღაცამ უკარნახაო, ქალმა კი თავის უეცარ შეცბუნებასა და გულის ჩქროლვას დაწლობა არ აცალა და ამ უადვილო აღიარების გამქილიკებელი კეკლუცობით უთხრა: — ეს ხომ მეც ვიცი, მაგას არ გეკითხები, — და ენაზე იკბინა, რადგან ეს ფლირტული სითამამე და სიმსუბუქე უეცარი დანგრევით ემუქრებოდა ისედაც მოყანყალეზულ კეთილგონიერებისა და საჭირო თავშეკავების ზღუდეს. კაცმაც იგრძნო ნაადრევი საშიშროება და ამიტომ თავდაპირველ შეკითხვას მიაშურა:

— რა ვიცი, ალბათ მიყვარდა...

ეს არც მთლად სიმართლე იყო და არც ტყუილი, ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ უფიქრია, სიმართლე იყო თუ ტყუილი. რა უპასუხოს? ის კანტიკუნტი იმპულსური განცდები, ხანდახან რომ გაკრთებოდა წარსულის მოგონებებში, მეტისმეტად ნამცეცა და მყისიერ სიხარულებადაა გაფანტული მთელი ცხოვრების გზაზე და არა და არ ერთდებოდა მთლიან, განუყოფელ გრძნობად, რომ ბოლოს და ბოლოს ამოავსოს ის სიცარიელე, სადაც ნამდვილი მამაკაცური ვნებები უნდა ბინადრობდეს. უთხრას ეს თინას? თვითონ ხომ უამბობს თავისი მოუგერიებელი სიყვარულის ამბავს? ხომ უმკლავნებს ამ უცნაური და უხერხული გულწრფელობით თავის გულისთქმას და ხომ უკითხავს ქმრის საიდუმლო წერილებს, სადაც ყოველ გვერდზე და ლამის ყოველ სტრიქონში ყვირის ეს

გაოცებული და ღონიერი კაცური სიყვარული? აი, ახლაც რაღაცას ყველაზე უფრო დასაძინებელი და დასაძინებელი ნაღვლიანი გატაცებით და მთლად დავიწყებია, რომ ნიკო ისევ ეძებს მისი წელანდელი შეკითხვის პასუხს, თავის გახრიოკებულ გულში იჩიჩქნენ, რომ იქნებ რამე აღმოაჩინოს, მაგრამ სად იპოვოს თუნდ ოდნავ მსგავსი იმისა, ერთხელ პატიმრის წერილში რომ ამოიკითხა და მთლად ბოლო მოკლო, იმ ამბისაგან კი არა, შიგ რომ წააწყდა, უფრო იმისაგან, თუ რა ვაბედულად, რა სიკეთის მთესველი თავგანწირვით და მარადიული სიმდიდრის სიამაყით გამოხატავდა კაცი მას, ყოველ შემთხვევაში, მთელი შეძლებით ცდილობდა, მის მღელვარე და გაუმართავ თხრობაში ცხადად გამოსჭვიროდა იმის სურვილი, რომ საკუთარი თავისთვის კი არა, თინასთვის ეჩუქებია ეს საიდუმლოდ ნაგროვები სიმდიდრე, მისთვის დაეტოვებია, რომ გასაჭირში შეხიდეოდა, იმედად და რწმენად ჰქონოდა და გამხნევებულიყო. მას შემდეგ რამდენჯერ უფიქრია ამ წერილზე, როგორი სინანულიანი და გულდაწყვეტილი სიხარულით გახსენებია მისი ვაჟკაცური და უანგარო სიკეთე და რამდენჯერ უცდია, როგორმე წარმოედგინა ის მთვარიანი ღამე, სარკმლებმოლიავებულ გრილ ოთახში მძინარე ადამიანების მშვიდი სუნთქვა და უშფოთველი იერი და ამ სიმშვიდესა და უშფოთველობაში თავისთავად გაჩენილი, სადღაც, ბნელი ოთახის კუნჭულში მიმალულ კვერცხიდან გამოჩეკილი ფრთხილა განცდა, რომელსაც წინასწარვე ჰქონდა თავისი მომასწავებელი ფერიც და ხმა: ფერი — თითქოს კამკამა მოყვითალო ნისლში მანათობელ ციციანთელასი და ხმა — თითქოს ყვავილზე დაცემული წვიმის წვეთისა, სუსტი, წკრიალა, იმ ნისლეულ სიკამკამეში მრეკავი — წკაპ! და კაცმა თვალი გაახილა და ყური მიუგდო ამ ხმას,

**სოსო აიხაძე**  
სადაც, გზის პირას

ამ ტკივილიან ბგერას, რომელიც —  
ნიკო გულისგულში ზვდება ამას, ფეხის  
ფრჩხილებამდე იცის, თუ როგორი იქ-  
ნებოდა ეს შეგრძნება — რომელიც  
გაუნელებელი მწუხარების მომნიჭებელ  
ექოდ ვახშიანდა მის არსებაში და მთე-  
ლი საუბრუნე გავიდა უეცარი გამოღვი-  
ძებიდან იმ მეყსეული წამის გაელე-  
ვამდე, სანამ ძილით ვაბურსალეზული  
გონება — ასე ეწერა იმ წერილში —  
ძილით ვაბურსალეზული გონება ამ  
ბგერის აზრს გამოიცნობდა — კაცი იწ-  
ვა სიბნელეში თვალგახელილი და გა-  
ლურსული და ყურს უგდებდა უცნაუ-  
რი ჩქამის მფრთონავ ექოს და შენდგე  
გაიგონა ბავშვის გაოცებული შეკითხ-  
ვა — „ვინ?!“ — და ეს შეკითხვა კი  
არ იყო, არც შიშის შეძახილი, არამედ  
სულ სხვა, სამყაროს პირველხილვით  
გამოწეული გოგონების ხმა იყო, ის  
სიტყვა, რომელიც დედის წიაღის გა-  
მოსვლის ყამს უნდა წარმოეთქვა და  
ვერ წარმოთქვა, ის ბგერა, რომელიც  
პირველი მიწიერი განცდის შეხებისას  
უნდა აღმოხდებოდა, მაგრამ ვერ აღ-  
მოხდა, და კაცმა უცებ იაზრა რაც მო-  
ხდა, იქით მიიხედა, სადაც შვილის სა-  
წოლი ეგულებოდა და მასსა და საწოლს  
შორის ჩადგმული მაგიდის ფეხებ-  
თან დაინახა იატაკზე ჩამოვარდნილ  
საბანში ოთხზე წამოყუცებული ბავშ-  
ვი, რომელიც თვალდაწყვეტილი შესც-  
ქეროდა უეცრად სულ სხვა რაკურსით  
გამოცხადებულ სამყაროს, მარადიუ-  
ლი სიმშვიდის შემაშფოთებელ განცდე-  
ბში ჩაყურსული აკვირდებოდა თავისი  
ყოფიერების არსს და ირგვლივ შემო-  
ჯარულ აყირავებულ საგნებში ნაცნო-  
ბი და მანუგეშებელი ფორმების გა-  
მოცნობას ცდილობდა. და კაცის შეგნე-  
ბასაც წამის უსწრაფესად მისწვდა ბა-  
ვშვის მდგომარეობა, გულგახეთქილი  
წამოვარდა, შვილთან მიიჭრა, ხელში  
აიყვანა და ჩაიხუტა. „ნუ გეშინია“, —  
უჩურჩულა ყურში ისე, რომ ქალი არ  
გაეღვიძებინა — „ნუ გეშინია!“ და ნე-  
ტარების ღიმილით განათებულ ბავშვს  
მაშინვე ტკბილად ჩაეძინა, წუთის წინ

გამოცხადებული თავუკულმა აყირავე-  
ბული ცხოვრებაც უამური სიზმარე-  
ვით გაქრა, მაგრამ სამუდამოდ ჩა-  
ლექა გულსა და გონებაში, რათა ოდ-  
სმე, დიდი ზნის შემდეგ, გასაქირში გახ-  
სენებოდა, კი არ გახსენებოდა, მთე-  
ლი თავისი ქეშმარიტი აზრით გაცოცხ-  
ლებულიყო და მარადიული ადამიანუ-  
რი ნუგეშის იმედით გაეცხადებია ძილ-  
ღვიძილში დალანდული მამის მქრქალი  
სახება. მაგრამ ნიკოსთვის ამ წერილში  
იყო კიდევ ერთი, კინალამ უფრო მთა-  
ვარი და თავისი უცხო სიმართლით  
დამორგუნველი ზღწრფელობა: როცა  
შვილის მშვიდმა და იმედიანმა სუნთქ-  
ვამ ისევ აავსო ოთახი და ცხოვრებას  
თავისი ჩვეულებრივი სახე დაუბრუნა,  
კაცმა მიძინარე ცოლს შეხედა: ზატხუ-  
ლი იყო. ქალის თავთან გაღებულ სარკ-  
მელში მოჩანდა ვარსკვლავიანი ცა  
და სახლს უკან მოქათათე მთვარის  
თეთრი არილი. თინა გულაღმა იწვა,  
ცალი ხელი ბალიშზე მოეხარა და მშვი-  
დად ეძინა. მკერდსა და სახეზე ეფინა  
სარკმელში შემოსული უჩინარი მთვა-  
რის მქრთალი ნათელი და მთელი მი-  
სი პოზა და იერი ნეტარ სიმშვიდესა,  
იმედიანობას გამოხატავდა და ამ სიმ-  
შვიდესა და იმედიან ყოფნაში და  
იმაში, რომ ქალს არც ბავშვის ხმაზე  
და არც ქმრის ხმაურზე არ გაღვიძე-  
ბია, იყო რაღაც იმ წუთას აუხსნელი  
ტკბილი და ძვირფასი მაღლიერების  
გრძნობა და კაცი მიხვდა, რომ მზად  
იყო მთელი ცხოვრება მდგარიყო ასე  
თვალმოუხუჭავად და მუხლმოუხრელად  
და ედარაჯნა ამ მშვიდი ძილისა და იმე-  
დიანი სუნთქვისათვის და ბედნიერი  
იყო, რომ არ გააღვიძა ქალი და არ გა-  
უნაწილა ის ტკივილი, თვითონ რომ  
განიცადა. და ეს იყო სიყვარული. იგი  
მიხვდა, თუ როგორ უყვარდა ყვე-  
ლაფერი, რაც მის ირგვლივ იყო: ქა-  
ლი, ბავშვი, მაგიდა, საწოლები, კა-  
რადის თავზე შემოწყობილი სათამაშო-  
ები და მთელი ეს ღარიბული ბინა, სა-  
დაც მათთან ერთად ცხოვრობდა და  
სუნთქავდა, მაგრამ მაშინ სიტყვა არ



დასცდენია ამაზე და მხოლოდ შემდეგ, ოჯახისაგან მოშორებული მიხვდა, რომ საჭირო იყო ამის აღიარება, საჭირო იყო ეთქვა ქალისათვის, თუ როგორ უყვარდა იმ დამეს ისიც და ყველაფერი, რაც მისი იყო, მისი ხელი შეხებოდა და აი, უთხრა კიდევ, დაუფარავად: თავმოუბნელი ბავშვური მღვლეარებით და ამაში იყო მისი ძალა! ყველა აღამიანურ განცდას, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი, ხელახალი აღმოჩენა და გულში ჩამკვიდრება სჭირდება, რათა არასოდეს არ დაეკარგოს და სულ იარსებოს, შენთვის კი არა, სხვისთვის, სხვისდა იმედად და ნუგეშად, როგორც საიმედოდ შენახულმა განძმა. მაგრამ ნიკომ ვერასოდეს ვერ შეძლო ეს. როგორ უთხრას თინას, რომ თავისი ფუტურო სიამაყითა და პატივმოყვარეობით კლავდა ამ გრძნობებს, ჩანასახშივე აშთობდა და შემდეგ ეგონა, არასოდეს ნამდვილი სიყვარული არ განმიცდიაო, არადა, განუცდია თურმე — ახლა ხვდება ამას, ამ თვალისაშხელი ჰეშმარიტებით გაცისკროვნებული წერილის სინათლეში — ახლა ხვდება, რომ თურმე უყვარდა ის მოწაფის ფორმიანი ცხვირაპრეხილი გოგო, თავისი აბეზარი ოინებით რომ არ ასვენებდა და ერთხელ ისე გააბრიყვა, რომ მასწავლებელთანაც კი დაასმინა, გაკვეთილზე ხელს მიშლისო, არადა, ახლა ახსენდება, რა საამო ელდა დაეცემოდა ხოლმე, როცა შესვენებებზე წიგნში თავჩარგულს გოგო უქნიდან მიეპარებოდა, ქალაღის წვერით კეფაზე ან ყურის ბიბილოზე უღიტინებდა, რათა მისი ყურადღება მიეპყრო, წიგნს მოეწყვიტა და სამოქმედოდ გამოეწვია, მაგრამ ვერ გამოიწვია, ვერც მაშინ და ვერც მერე, რადგან კარგი ნიშნის მიღება და უფროსების ქება უფრო მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე იმ გოგოსთან ყოფნის უბრალო და ნათელი სიხარული. ის ტკბილი გულისჩქროლვა კი, გოგოს სიახლოვეს რომ ეუფლებოდა ხოლმე, სიყვარული იყო და სხვა არაფერი, ნამდვილი, ბედნიერების მომ-

ნიჭებელი და განმწყმენდი სიყვარული, რომელსაც აღიარება და გაფრთხილება უნდოდა, ის კი ვერ გაუფრთხილა, რადგან უფრო მეტის მოლოდინში იყო, უფრო დიდ მსხვერპლს მოითხოვდა გოგოსაგან, ვიდრე ყურში ღიტიანი და მალულად ჰვრეტა იყო, თვითონ კი გაბუსუნებული დაიარებოდა და ნაბიჯიც არ გადაუდგამს მისკენ, რათა არ დაემცირებია თავისი ფუყე და მშინარა სიამაყე. იმის სიამაყესა და განცდებზე კი არასოდეს უფიქრია — ამასაც ახლა ხვდება, ამ წერილის უბიწო სინათლეში! ან იქნებ ეს მაშინ იყო, სტუდენტობის ეამს, როცა ტყეში მიკარგულ ციხის ნანგრევებთან ქეიფის შემდეგ ამხანაგებს ჩამორჩნენ და გზაკვალარეულებმა ძლივს გამოაღწიეს რომელიღაც სოფელში, სადაც მატარებელი ჩერდებოდა. მთელი დღის ხეტიალით დაღლილ-დაქანცულები და ამ მოულოდნელი სიმარტოვით შეცბუნებულები მოდიოდნენ თივის ზვინებით მოფენილ სათიბში და ნიკოს ვერ გადაეწყვიტა, შეხებოდა თუ არა მის წინ ლანჩებამძვრალი ფეხსაცმლის ფრატუნით მიმავალ ტანმორჩილ გოგოს, ეთქვა თუ არა რამე ისეთი, რაც ოღნავ მიინც გამოხატავდა მის გულში წამოფრენილ გრძნობებს, არადა, ესეც სიყვარული იყო, ახლა ხვდავს ამას, ამ სხვისეული სიხარულის სინათლეში — ესეც სიყვარული იყო, რადგან ყველაფერი, რასაც ხვდავდა და გრძნობდა: ის გრილი საღამო, ის რუხი ღრუბლებით მოქურხებუი ცა, მშვიდი და თბილი პულსით მფეთქავი სურნელოვანი თივის ზვინები და მათ შორის მოკუხცულზე ყვითელნისკარტა შაშვები, ირგვლივ შემომდგარი გაკრეფილი ბაღების შეცბუნებული სიმსუბუქე, შორს, რკინიგზის პირას ბინდბუნდში მოციმციმე მწვანე შუქი და ყველაფერი იმიტომ იყო ასე მშობლიურად საყვარელი და ძვირფასი, რომ მასთან ერთად გოგოც ხვდავდა და გრძნობდა და ამ საიდუმლო თანაზიარობის, ამ წუთას მხოლოდ მათი კუთვნილი სამ-

სოსო კაიხაძე  
საღაღაც, ზღის პირას

ყაროს ბუსუსდამყრელი შეგარძნება სათიბში მდუმარედ მიმავალ თითქმის უცხო გოგოს სამუდამოდ ახლობელსა და განუყრელს ხდიდა და შემდეგ, როცა სიცივისაგან აბუზულები და ერთმანეთს მხრებით მიტყუპებულები ბაქანზე ისხდნენ და მატარებელს ელოდნენ, ნიკოს განძრევისაც ეშინოდა, რომ არ გამქრალიყო ასე უბრალოდ და ბუნებრივად მოსული სიხარული და ეგონა, რომ ასე იქნებოდნენ მუდამ, ერთმანეთზე უხმოდ მზრუნველნი და ერთიმეორისათვის ბედნიერების მიმნობებელნი, მაგრამ ქალაქში ჩასვლისთანავე ყველაფერი განქარდა და გადაიკარგა, რადგან არც იმ სურნელოვან სათიბში და არც უკაცრიელ ბაქანზე არაფერი არ უთხრა და არ გააკეთა ისეთი, რაც ორივეს დიდხანს, ერთმანეთის წინაშე თუნდაც მცირეოდენი მოვალეობის გრძნობით ჩაუტოვებდა გულში ამ ნათელ სიხარულსა და ბედნიერებას. არადა, საჭირო იყო ამ მოვალეობის შეგრძნება და დამახსოვრება. საჭირო იყო იმ მაღლიერების სამარადისოდ შენახვა, ერთხელ ტორშერის სიფრიფანა შუქით განწმენდილ მყუდრო ოთახში რომ დაეუფლა, როცა ღვინით ოდნავ აღვზნებულ ირწეოდა ნელი საცეკვაო მუსიკის ტაქტზე და ნეტარების ბურანში ჩაძირული ისმენდა ყურთან მოჩურჩულე ქალის თბილ და მომნუსხველი გულითადობით აღსავეს ხმას, ან იქნებ ეს დიდი ხნის წინანდელი განცდა კი არ არის, არამედ ახლა მის მხარზე მიყრდნობილ თინას სხეულიდან ვადმოღვრილ სითბოსა და სიხარულში იმ შორეული წარსულის ილუზიით ცოცხლდება მივიწყებული გრძნობა, მაგრამ ასეთ თუ ისე, ნიკოს ახსრვს, რა დაბნეული და ვაოცებული იყო სულ სხვა, აქამდე უცნობი ურთიერთობის აღმოჩენით, რომელიც ახალ ცხოვრებას ჰპირდებოდა.

ქალი ჩუმად, თითქმის ყურში ელაპარაკებოდა მდორე და ერთფეროვან ცხოვრებაზე, ვილაც უტყვირილო და მოსაწყენ ადამიანებზე, მათ რედაქციაში რომ დაბორილებდნენ, უნიჭო და

თვითკმაყოფილ მკლბანელებზე, ნამდვილი შემოქმედების სიხარული რომ განუტყლიათ, პროვინციული და ტლანქი მანერების მქონე მიმაცაცებზე და ჭორიკანა ქალებზე. „შენ სულ სხვა ხარ, — ეუბნებოდა იგი, — პირველი დანახვისთანავე მივხვდი, რომ კაცი მოხვედი, რომ არ ჰგავდი იმ კაცუნებს, მატლებივით რომ ფუთფუთებენ დერეფნებში, ფუჰ!.. — თვითონვე არ მოეწონათავისი შედარება და გაიცინა. — სულ გაკვირდებოდი, რას აკეთებდი; ვისთან დადიოდი, ვის ელაპარაკებოდი. შენი მოთხრობა რომ წავიკითხე, მაშინ მთლად გავგიჟდი, ვიფიქრე, უნდა მოვასწორო და დავითრიო, ვიდრე სხვები ჩაიგდებენ ხელში და გააფუჭებენ მეთქი. ძალიან გახოვ არ გეწყინოს, ასე რომ გელაპარაკები, არც ცუდი რამე იფიქრო ჩემზე. იმათთვის არ მემეტები, იმიტომ რომ შენ სხვა ხარ. ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ხომ?“ ნიკომ მორცხვად დაუქნია თავი და რალაც ჩაიბურღლუნა, რადგან პირველი შემთხვევა იყო, ასე რომ ლაპარაკობდნენ მასზე და მის მოთხრობაზე და მიხვდა, რომ რალაც ჰქონდა ისეთი, რაზეც დაყრდნობა შეიძლებოდა, რაც საიმედო ბიჯვად შეუდგებოდა მის მოფამვალეულ თავდაჯერებას. ეს მისი პირველი დაბეჭდილი მოთხრობა იყო და თუმცა არც ისეთი სიხარული არგუნა, როგორსაც მოელოდა, მაგრამ მაინც შემატა მცირეოდენი ძალა და სიმტკიცე და ახლა ქალის ამ მოულოდნელმა სიტყვებმა მთლად თავბრუ დაახვია, იგრძნო, რომ აქედან იწყებოდა ის გზა, რომელსაც მისთვის ნანატრი თავისუფლება უნდა მოეტანა. შემდეგ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე ხვდებოდა ამ ქალს, მისი ლამაზი ოთახის მოსაღებუნე სიმშვიდეში ჩათბუნებული და ჩამყუდროებული ისმენდა მის აღვზნებულ მონოლოგებს და თვითონაც თავდავიწყებული გატაცებით უყვებოდა ჯერ დაუწყრელი რომანებისა და მოთხრობების სიუჟეტებს, რომლებსაც — მაშინვე იცოდა ეს, მაშინვე

ხვდებოდა, რომ ამ შთავაზნებულ, მთელი სულისა და გულის დამცლელი საუბრებით ხელოვნურად იკლავდა თავისი მოუხელთებლობით გამლიზანებულ შემოქმედებით ჟინს და ამით იკმაყოფილებდა მშვიერი ძალღვივით მოძუძგურებულ პატივმოყვარეობას — რომლებსაც ვერასოდეს ვერ დაწერდა, ვერც მალე და ვერც დიდი ხნის მერე და მართლაც ვერ დაწერა, რადგან ყოველი აზრი, ყოველი ფრაზა, რასაც გონებაში აკოწიწებდა და რის ვაივავლახით გადაჰქონდა ქალაღზე, ყოვლად უგულო და ფშუტე ექოდ უბრუნდებოდა უკან, თითქოს ამომშრალ ჭას ჩასძახოდა, თითქოს თვითონ იყო ეს ამომშრალი ჭა, რომელიც მქისე, ცარიელი ბგერებით პასუხობდა მისი ხელოვნური განცდებით დაფეთებული ცხოვრების განწირულ ძახილს; დრო კი უღმობელი სისწრაფით მიდიოდა და თანდათან არიგებდა გულის გამტიალებელ სიმარლესთან, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა შერიგებოდა ბედს და სხვათა მსგავსად მიჰყოლოდა ჩვეულებრივი სიცოცხლის მოსაბეზრებელ მდინარეებს; გულის მომკვლელი იყო იმის გაფიქრება, რომ ამაო ოცნებებსა და იმედებში შემოეხარჯა ნახევარი სიცოცხლე და აღარაფერი შერჩა ხელთ, არც ნაოცნებარი სახელი და დიდება და არც ორდინარული ცხოვრების თვითკმაყოფილი სიმშვიდე, რომლითაც თავს მაინც შეიქცევდა; ყველაფერი ამ იმედებს შესწირა: ნაცნობ-შეგობრები, ნათესაობა, სამსახური, ოჯახსაც ვერ მოეკიდა და ბოლოს, რომ ეგონა, თავისუფლება მოვიპოვეო, საკუთარი ხელით შემოწულ ვალიაში აღმოჩნდა და ახლა აქეთ-იქით უნდა ეხეტქოს და იფართხალოს გამოსასვლელის საძებნელად — დაღლილი, დაჩლუნგებული, დაყრუებული იყო მისი ვაოცებისა და თანავარძლობის უნარი, აღარსად იყო ის გრძნეული სიმართლე, რომლისკენაც მიიღტვოდა, აღარ იყო ის საიდუმლო „სეკრეტები“, რომელთა აღმოჩენას ასეთი იმედითა და თავდაჯერებული სიჭიუტით ცდილობდა. „სეკრეტები!“ „სეკ-

რეტები!“ ეს „სეკრეტები“ ბავშვური სიხარულით გაახსენდა ამას წინათ, თუცა სანაპიროს გასწვრივ გაყოლებულ წიწვნარში მიდიოდა და ჩრდილოვანი ტევრის სიმშვიდითა და სურნელებით ტკებოდა. დიდი ხანია უნდოდა აქეთ გამოვლა და ამ უდაბური ადგილების დათვალიერება, რადგან ხშირად ხედავდა, როგორ ბრუნდებოდნენ აქედან სოკოებიანი კალათებით დატვირთული მხიარული ქალები და ბავშვები, მას კი სოკოს კრეფა სასკოლო სახელმძღვანელოების ნახატებში ენახა და ამიტომ რამდენჯერმე გადაწყვიტა, ერთხელ მაინც წავალ და ვნახავო, მაგრამ ვერასოდეს ვერ წავიდა და მხოლოდ ახლა, თბილი და ნათელი ამინდით გახალისებულმა ბოლოს და ბოლოს გაბედა და იმ უშენისაკენ გაემართა. უსაზმნო სიხარულით მიცუნდრუტებდა ზღვის ნაპირ-ნაპირ, ცდილობდა, სწორ ხაზზე ევლო და წამდაუწყუმ უკან იხედებოდა, რათა ნორტი ქვიშაზე დატოვებული ნაფეხურებისათვის ემზირა, მერე სპირალური ზიგზაგების ხაზვა დაიწყო და ბოლოს დიდრონი ოკრობოკრო ასოებით გამოიყვანა — „თინა“, თან რატომღაც შიშით მიმოიხედა, ვინმემ არ დამინახოსო და მაშინვე მწარედ გაელიმა ამ უდაბლო სიფრთხილისა და ჩვეული კეთილგონიერების გამოჩენაზე, არ იქნება ჩემი საშველიო, სინანულით ვაიფიქრა და უკვე დინჯად განაგრძო გზა. ვეებერთელა დაჭაობებულ ველზე ბლუჯა-ბლუჯად ამოწვერილიყო ლერწამი, ზოლო იქ, სადაც ქინქლების გუნდები ბუქლაობდნენ და ნემსიყლაპიები პიკირებდნენ, მოჩანდა მზის აღმაცერ სხივებზე მოკამკამე გადასარკული ტბორები და ნიკოს რატომღაც თავისი ბავშვობის საყვარელი გასართობი მოავგონდა — მეზობლის გოგო-ბიჭებთან ერთად სახლის უკან მდებარე უშენზე „სეკრეტების“ კეთება. ყველა თავისთვის, საიდუმლოდ ჩიჩნიდა ბალახში სათითურის ტოლა ორმოებს, შიგ ფერად-ფერად მინის ნამ-

სოსო კაიხაძე  
სადავო, ზვის პირას

კრევებს, ჰრელაჰრულა ზღვის კენ-  
ჭებს, ვერცხლის ქალაღდების ნაკუწებს,  
მინდვრის ყვაილების ნაირ-ნაირ ფუ-  
რცლებს აწყობდნენ, ზევიდან შუშის  
მოზრდილ ნატებს აფარებდნენ და მი-  
წას აყრიდნენ, რომ სხვისთვის შეუმ-  
ჩნეველი ყოფილიყო ის ორმოები, შემ-  
დეგ კი ვითომ შემთხვევით წააწყდებო-  
დნენ მონიშნულ ადგილს, ცნობისწადი-  
ლით თვალდაჰყეტილი ამხანაგების წი-  
ნაზე საჩვენებელი თითის ფრთხილი  
სრიალით წრიულად მოასუფთავებდნენ  
შუშის სახურავს და გოცებით, შეცხა-  
დებით, ვაი-ვაის ძახილით აღმოაჩენდნენ  
მეწაში ჩამარხულ „სეკრეტს“, რომე-  
ლიც მართლაც საოცარი იდუმალებით  
და თვით მისი შემოქმედისათვის  
მოულოდნელი სილამაზით იმზირებო-  
და ბალახიდან. მიუხედავად იმისა,  
რომ ყოველ მათგანს საკუთრად ჰქო-  
ნდა ასეთი „სეკრეტი“ და არავის-  
თვის არაფერი მოულოდნელი და საი-  
დუმლოებით მოცული არ იყო, მაინც  
ალტაცების შეძახილებითა და გულ-  
წრფელი გაკვირვებით ხედებოდნენ ყო-  
ველი „სეკრეტის“ აღმოჩენას და დიდ-  
ხანს და გაცხარებით კამათობდნენ მათ  
ღირსებებზე. ასეთი „სეკრეტებით“ იყო  
მოფენილი მთელი ეს ჰაობიანი ველი და  
ნიკოს რატომღაც ეს ბავშვობის გასარ-  
თობი ვაახსენა მისმა დანახვამ და სინა-  
ნულით დაუწურა გული ამ უბიწო, თა-  
ვისი მიამიტური სიხარულებით აღსავსე  
წარსულის მოგონებამ, უნდოდა გაეხსე-  
ნებია, მართლა ასეთი ლამაზი იყო ის  
ბავშვობის დროინდელი „სეკრეტები“  
თუ მაშინ ეჩვენებოდა, მაგრამ ვერ გაი-  
ხსენა, რადგან რამდენი დრო გავიდა მას  
შემდეგ და განა ახლაც აქვს იმ სილამა-  
ზის შემჩნევისა და განცდის უნარი? გა-  
ნა ახლაც შეუძლია გაიგოს ეს თანამ-  
გრძნობი, გამამხნევებელი, გულითადი  
ალტაცება სხვისი უბრალო და კონკრე-  
ტული სიხარულის გასო? არასოდეს არ  
დაფიქრებულა იმაზე, რომ ქალის დაუ-  
ფარავი და აფოფინებული მღელვარება,  
მასთან სიახლოვის გამო რომ განიცდიდა,  
მისი შემგულიანებელი, თავდაჭერებისა

და რწმენის მომცემი გულუხვი ალტა-  
ცება, მთელი არსებით რომ გამოხატავდა  
ნიკოს საუბრების მოსმენისას, მისი სი-  
კეთისა და სიბოზს გამომსხივებელი ქა-  
ლური მზრუნველობა შესაძლოა თვით  
ქალისავე შინაგანი განცდების ნაყოფიც  
ყოფილიყო, მისი საკუთარი ვნებების,  
მისი აღამიანური სიხარულისა და ტკი-  
ვილების გამოხატულება. ყველაფერი,  
რასაც ის ამბობდა და აკეთებდა, რასაც  
გრძნობდა და ფიქრობდა, რაც აღელვებ-  
და ან ამშვიდებდა და ისიც კი, რომ  
მართლა უყვარდა ნიკო ამ პატივისმცე-  
მელი, მისი კაცური ღირსებებისა და ნი-  
ჰის უყოყმანოდ მცნობელი სიყვარუ-  
ლით, ნიკოს მხოლოდ თავისი ძლიერე-  
ბის საჯარო აღიარებად მიაჩნდა, ყველა-  
ფერს თავის კუთვნილად მიიჩნევდა და  
მისხალსაც არ უნაწილებდა ქალს, ეს ქა-  
ლიც იმისთვის არსებობდა, რომ მის  
გულწრფელ შეფასებებსა და ემოციებში  
ნიკოს ნანატრი თავისუფლება მოეპოვე-  
ბია, მასში, ამ ქალში, ერთადერთში  
მთელ ქვეყანაზე, გადაეტანა და დაემ-  
კვიდრებია ის, რის ქალღღღზე გადატა-  
ნასაც ვერ ახერხებდა და ამით ოდნავ  
მაინც დაექმყოფილებინა თავისი მსუ-  
ნავი პატივმოყვარეობის შიშიშილი; ეს  
ქალი სწორედ ამისთვის მოველინა მის  
ცხოვრებას და ამისთვის გამოუგზავნა  
ღმერთმა და ამიტომ უხაროდა მას-  
თან ყოფნა და ამიტომ უყვარდა ისე,  
როგორც შეიძლება უყვარდეს მამაკაცს  
რაიმე გამორჩეული ტანსაცმელი, როცა  
გრძნობს, რომ იგი რაღაცნაირ სიმტკიცე-  
სა და ძალას მატებს მის დაეჭვებულ კა-  
ცურ იერსა და გარეგნობას, უყვარდა  
ისე, როგორც შეიძლება უყვარდეს აღა-  
მიანს მოხერხებული სავარძელი ან თა-  
ვის გემოზე მორგებული სასთუმალი,  
რომელზეც ტკბილად ეძინება და რო-  
მელსაც თავად არავითარი გრძნობა არა  
აქვს, ან თუ აქვს, მხოლოდ იმდენად, რა-  
მდენადაც მასში მისი სხეულის ფორმა  
და სუნია ჩარჩენილი. უთხრას ეს თი-  
ნას? უთხრას, თუ როგორ უყვარდა ეს  
ქალი და როგორ იოლად და უსინანუ-  
ლოდ დაშორდა ერთი წლის შემდეგ, რა-

დგან მიხვდა, რომ უკვე აღარაფერი  
ჰქონდა ისეთი, რაც ერთხანს მაინც შეა-  
მაგრებდა ქალის მსასოფარ სიხარულს?  
უთხრას ეს? უთხრას, რომ, როცა კიდევ  
ერთი წლის შემდეგ ის რაღაც უცაბელი  
სენით გარდაიცვალა, საფლავზეც არ ას-  
ულა, რადგან მის ჰირსუფალთაგან არა-  
ვის იცნობდა და ვერავინ დაინახავდა  
და შეაფასებდა ამ ღიღუღიანობებს,  
ვერც უმცროსი და, მასთან ერთად რომ  
ცხოვრობდა რაღაც საიდუმლოებით მო-  
ცული და მოუხელთებელი არსებობით:  
წინკარში, საკიდზე ეკიდა მისი საშინაო  
ხალათი, დაბლა ეწყო რამდენიმე წყვილი  
კობტა და ჰაეროვანი ფეხსაცმელი, საა-  
ბაზანოში მინის თაროზე ჩამწყვრივებუ-  
ლი სატუალეტო საგნები აშკარად ორ  
ადამიანს ეკუთვნოდა, ზოგჯერ იქ დაუ-  
ღევრად მიყრილ სიფრიფანა საცვლებ-  
საც წააწყდებოდა ხოლმე და ერთხელ  
საეარცხელზე შერჩენილი წაბლისფერი  
თმაც ნახა და, საერთოდ, ბინაში ბევრი  
რამ იყო ისეთი, რაც დის არსებობას  
ადასტურებდა, მაგრამ ნიკოს ერთხელაც  
არ უნახავს იგი ცოცხალი და ხორციე-  
ლი, მხოლოდ ალბომში ჩაყრილი ფო-  
ტოსურათებით იცნობდა ამ მუდამ მო-  
ცინარ ლამაზ გოგოს, სულ რომ ნაცნობ-  
მეგობრებით იყო გარშემორტყმული და  
მხოლოდ ერთ სურათზე იყო მარტო,  
ოღნავ თავმობრუნებული და ეშმაკურად  
თვალმოკუტული, თითქოს ამბობდა, მე  
ვერაფერს გამოიპარებთ, ყველაფერი  
კარგად ვიციო და შეუძლებელიც იყო  
არ სცოდნოდა, რადგან ნიკო ყოველ მის-  
ვლაზე გრძნობდა, რომ გოგო ახალგა-  
სული იყო შინიდან და ის აწუხებდა, ნე-  
ტავ რას ფიქრობს, როცა და სახლიდან  
უშვებს, ან სად არის ხოლმე, როცა აქ  
ღამით ვრჩებით, მაგრამ ქალი ამაზე არ  
ლაპარაკობდა, ოღონდ ხანდახან ნამე-  
ტანს აჩქარებდა, ახლა წადი, მეტი დარ-  
ჩენა აღარ შეიძლებაო და ტანისამოსის  
ჩაცმაშიც კი შეელოდა, რომ რაც შეი-  
ძლება სწრაფად გაესტუმრებია შინი-  
დან. ნიკოს მოსწონდა კიდევ ეს დაძა-  
ბული, სამიჯნურო რომანების იდუმალე-  
ბით მოცული შეხვედრები, ათასი შესა-

ძლებელი შემთხვევის მოლოდინი უღი-  
ზიანებდა წარმოსახვას და ბოლოს  
ბოლოს რაღაც გარდაუვალი საბედის-  
წერო შეხვედრის მისტიკური შიშიც კი  
გაუჩნდა — უცებ ელდანაცემმა გახედა  
თინას, თითქოს რაღაც მსგავსება ია-  
ზრა მასსა და სურათზე ნანახ თვალმოწ-  
კურულ გოგოს შორის, მაშინვე ისიც  
ვახსენდა, რომ ერთხელ თინამ თავის  
დაზეც უამბო, ყოველ შემთხვევაში, სა-  
დაღაც ახსენა, მაგრამ ის კი არასოდეს  
უთქვამს, რომ მარტო ცხოვრობდნენ.  
შეუძლებელია ეს, მშობლები ხომ ახ-  
ლაც იქ ჰყავს, ქალაქში, და, საერთოდ,  
საიდან მოიტანა ეს მსგავსება, ისე გან-  
სხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც  
ცა და დედამიწა! — მაგრამ არსად არ  
შეხვედრია, არც მაშინ და არც მერე,  
რადგან მისი დის დაკრძალვაზეც არ მი-  
სულა... უთხრას ეს თინას? აუხსნას? თი-  
ნას კი არა, საკუთარ თავსაც ვერასოდეს  
ვერ აუხსნა, თუ რატომ ქნა ეს, ამაზე  
დაფიქრებისაც კი ეშინოდა, რადგან ფი-  
ქრი ისეთ სიმართლეს ჰპირდებოდა, რო-  
მელიც მთლად ბოლოს მოუღებდა, წინა-  
სწარვე გრძნობდა, რომ ამაზე ფიქრი იმ  
ხასხასა სინათლით განათებულ დღეე-  
ბთან მიიყვანდა, როცა მტკიცე და უშ-  
ფოთველი ბედნიერებით აღსავსე პატა-  
რა ბიჭი იმედითა და სასოებით ჩააფრი-  
ნდებოდა მალალი, მხარბეჭიანი, მუდამ  
მოცინარი და რაღაც თავისებური ცხო-  
ველური სუნით გაქვნილი მამაკაცის  
ღონიერ ხელს და სიამაყით გაცის-  
კროვებული დაფრინავდა ზაფხულის  
მზით გაჩახჩახებულ ქალაქში; „სტუმარია“  
უთხრა დედამ ამ კაცზე და ახლა  
ისიც ახსოვს, თუ რა მაგიურად მოქმე-  
დებდა ეს სიტყვა მის შეგნებაზე, —  
სტუმარი! — როგორი შეუცნობელი სი-  
ამაყითა და კაცური თავდაჯერებით ავ-  
სებდა იგი; ახლაც ყურში უდგას მისი  
რბილი, ზავერდოვანი ხმა და მელოდი-  
ური, თბილი, თითქოს ორღანოს დაბა-  
ლი რეგისტრებიდან გამოღვრილი სი-

სოსო პაიჭაძე  
სადავო, ზვის პირას

ცილი, რომელიც მუდამ რაღაც კარგისა და ყველასათვის სასარგებლო საქმის კეთების ბუნდოვანი სურვილით ავსებდა ბიჭის გულს, განსაკუთრებით, საღამოობით, როცა ერთად კოტრიალობდნენ თალარით მოჩრდილულ აივანზე და კაცი დაუზარებლად უყვებოდა თავისივე გამოგონილ მართლაც დაუჯერებელ ამბებს ყაჩაღებსა და ღარიბ ძმებზე, რომლებიც უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხელში ჩასავდებად სასწაულებრივ გვირობებს ჩადიდდნენ და ამ ზღაპრებსა და თავგადასავლებს კი არა, კაცის თბილ, გრძნეული გულითადობით აღსავსე ხმას და სიცილს ბიჭი უნებლიედ გადაჰყავდა სატყარი სიკეთითა და სილამაზით მომნუსხველ ფერადოვან სამყაროში, კაცის სახელიც გამამხნეველ ძალას აძლევდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ თილისმური სიტყვის ყოველი ბგერაც სტუმრის ღონიერი სხეულის თითოეული ნაკვთისაგან იყო წარმოქმნილი და მისი შინაგანი ენერჯის ხმებს გამოსცემდა. ისიც ახსოვს, თუ როგორი ცრემლმორეული ბედნიერებითა და მსასოფარი შიშით შეჰყურებდა ხოლმე დედა, როცა ისინი ხელოვნულად იუზოდან გადადიოდნენ ან საღამოს შინ დაბრუნებულნი გატაცებით, წვრილმანების გამოუტოვებლად და ხელების ქნევით უყვებოდნენ მთელი დღის თავგადასავლებს: ბიჭი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა კაცის ამხანაგებზე, სტადიონზე, კინოზე, ბილიარდზე, ზღვაში ბანაობაზე და მალაზიაზე, სადაც აუარება ხალხი ირეოდა და თეთრხალათიანი და თეთრჩაჩიანი სტუმარი ხალისიანი ლაზღანდარობითა და მეგობრული ღიმილით ხედებოდა და აცილებდა ყველას, ვინც კი შემოვიდოდა. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ხანა ნიკოს ცხოვრებაში, რადგან უყვარდა ეს კაცი, უყვარდა მსასოფარი, მანუგეშებელი, იმედიანი სიყვარულით, ცდილობდა მიეხატა მისი სიარულის, მისი ხმის, სიცილისთვის და იმისთვისაც კი, რომ კაცს რაღაც მსუყე, თავისი სინაღდითა და ვე-

ლური სიძლიერით მიმზიდველი სუნი ჰქონდა — ეს სუნი ყველაზე უფრო ტად აკლდა შემდეგ, როცა სტუმარი ისევე უცაბედად გაქრა მათი ცხოვრებიდან, როგორც მოვიდა, აკლდა არა მარტო ნიკოს, არამედ მთელ სახლს, — კედლებს, ავეჯს, სასტუმრო ოთახში ჩამოკიდებულ დიდ სურათს, რომლიდანაც სამხედრო ფორმიანი ახალგაზრდა კაცი ღიმილით იმზირებოდა დაბლა კედელთან მიღგმულ ხალიჩაგადაფარებულ ტახტისაკენ, სადაც დედას ეძინა ზოლმე. სტუმარი წავიდა ერთ ჩვეულებრივ საღამოს, მას შემდეგ, რაც ორი დღე დაღამე არ გამოჩენილა და გულშეწუხებული ნიკო ფანჯარას არ მოსცილენია მის მოლოდინში, დედა კი დამუნჯებული იჯდა და ნერვული თითებით ქარგავდა ყურთბალიშის პირს, და, როგორც იქნა, ისიც მოვიდა, ჩვეულებრივ გამამხნეველი, მადლიანი ღიმილის ფრქვევით და კეთილი თვალების ციმციმით და, მივიღვარო, თქვა. „სად?“ — გულისხმეთქვით ჰკითხა ნიკომ, მაგრამ მას პასუხი არ უცია, მთელი თავისი ავლადიდება — ერთი შარვალი და ორი ვარცხნილი პერანგი გაზეთში გაახვია, იღლიაში ამოიჩარა, ეზოში ჩავიდა და იქიდან დაუძახა ნიკოს. როცა გულში ჩაიკრა და მაგრად მოუჭირა მსხვილი, ძლიერი მკლავები, ნიკომ ნეტარებით შეისრუტა მისი სხეულის ბუნავივით მყუდრო სითბო და ალბათ ეს სითბო იყო, სამუდამოდ რომ ჩარჩა მეხსიერებაში, მაგრამ არასოდეს თავის ცხოვრებაში არ უფიქრია, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა ბევრი რამის გასაგებად და ასახსნელად და კიდევ ის ახსოვს, რომ ეზოს გაღალმა, ქუჩაში მილიციის დიდი მანქანა იდგა და როცა სტუმარი მანქანასთან მივიდა, ორმა მილიციელმა უკანა კარი გამოაღო — ეს კარგად ჩანდა, რადგან გვიანი შემოდგომა იდგა და ეზოში ტოტებგაბარჯულ ლედვის ხეს ფოთლები გაცვენილი ჰქონდა. და კიდევ ახსოვს ნაყინი, პირველად რომ უყიდა სტუმარმა. პაპანაქება იყო და უშველებელ ხის ძირას იდგა პატარა, დამრალი, გრძელცხვირა



მენაყინე, რომელსაც კისერზე ღვედით ეკიდა ნაყინის ცისფერი ყუთი. როცა ნიკო და სტუმარი მივიდნენ, მან ღვედი ჩამოიხსნა, ყუთი ქვაფენილზე დადგა, სარქველი ახადა, იქიდან გრძელტარიანი კრიალა ჩამჩა ამოიღო, ცირკის მსახიობივით შეახტუნა და შეაბზრიალა ჰაერში, ჰოპო, დაიძახა, ყუთში ჩაქრა და მაშინვე ისევ ჰაერში შეისროლა, მერე მოუთმენელი ცნობისწადილით თვალდაჭყეტლ ნიკოს ცხვირწინ კრიალა ყალობიდან ნაყინს თავი ამოაყოფინა, ზევიდან მრგვალი, შებრაწული ქერქი დააფარა, ქვევიდანც ამოსდო და ორი თითით წკიპად მიაწოდა; ნიკომ გაუბედავად ჩამოართვა, ჯერ მენაყინეს შეხედა, მერე სიხარულით განათებულ სტუმარს და ორ თითს შუა მოქცეულ ნაყინს სუნთქვაშეკრული მოლოდინით აუსვა ენა. ახლაც ახსოვს მისი გემო და არც არასოდეს დაავიწყდება. ახლა აღარსად არის ისეთი ნაყინი, აღარც ისეთი მენაყინე და აღარც სტუმარი. მისი გარდაცვალების ამბავი ამ ზეითი თუ ექვსი წლის წინ შემთხვევით გაიგო, მაგრამ დაკრძალვაზეც ვერ ჩავიდა, რადგან უკვე აღარც დედა იყო ცოცხალი და სხვა არავინ ეგულბოდა ისეთი, ვინც ღირსეულად შეაფასებდა მის საქციელს. როგორ აუსხსნას ეს თინას? როგორ უთხრას, თუ როგორ უყვარდა ეს კაცი და რა გულგრილად ჩაუარა გვერდით ერთხელ, როცა ზღვა ხალხთან ერთად სტადიონზე მიდიოდა — სწორედ იმ სტადიონზე, სადაც პირველად იმან წაიყვანა და მთელი პარკი მზესუმზირა უყიდა — როცა სტადიონზე მიდიოდა და სკამებზე დასაჯენი ძველი გაზეთების გამოიდველ დაგლახებულ და დაფეთებულ მოხუცში რაღაც პირველი პათოლოგიური ვენების უამრავ გახსენებასავით შეიცნო თავისი ბავშვობის კერპი და სასოება და სანამ შეჩქვევებულ და უნებლიედ შეყოვნებულ სახეს მოარიდებდა, თვალი შეასწრო, როგორ დასტაცა ახორსოცებულ ამხანაგებთან ერთად მიმავალმა ბიჭმა მთელი ბლუჯა გაზეთი,

როგორ დაიხზავლა გამწარებულმა სტუმარმა, ხელი გამოიშვირა და რაღაც შესჩივლა მოლიმარე ხალხს... „როცა ხედავ, როგორ ეცემა შენს გვერდით შენი სისხლი და ხორცი, როცა ხედავ, როგორ ეკიდება ცეცხლი შენს მიწაზე აშენებულ სახლს, შენს ხეს...“ მაგრამ ეს იყო ომი და მხოლოდ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამის სურათი და ველოსიპედის ბორბლის ტრიუმფალური აგონია აკავშირებს ამ სიტყვების ბუნდოვან სიმართლესთან. ახლა კი რაღაც აბიურებს ამის ახსნას, ამ უტყაბედად მოვლენილი სინათლის სიმჭვირვალეში ყველაფერი თავისი ჭეშმარიტი სახით იკვეთება; ის საშინელი, დენთითა და გავარგარებული რკინით დაგზნებული მოგუგუნე, მოტკაცუნე, კვამლის შავ ბოლქვებში გახვეული ხილული ცეცხლი ბავშვობის ხსოვნაში დანთებული მხიარული ჭიაკოკონა იყო იმ თვალთ უხილავ, ამაზრზენად ცივ და მზაკვრულად უალო ცეცხლთან შედარებით, შეუმჩნეველად რომ მოსდებოდა არე-მიდამოს და თანდათან ყლაპავდა, ნთქავდა, უკვალოდ და უფერფლოდ ანადგურებდა ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდებოდა — შენს მიწაზე აშენებულ სახლს, შენს ხეს, შენს სოფელს და ამას უკვე ველარაფერი აღუდგებოდა წინ, თუ არა სიკვდილი, სიკვდილი, რომელიც მართო ტყვიას კი არ ეღობება ვიღაცის გადასარჩენად, რაღაცის დასაცავადან იმ ხილული ცეცხლის ჩასაქრობად, არამედ სიკვდილი, რომელიც პასუხისგება იქნებოდა ამ უხილავი და ჩაუქრობელი ცეცხლის დანთებისათვის. მაგრამ გვიანდაა, უკვე ამის განცდაც აღარ შეუძლია! მეტისმეტად დიდი დრო და ენერგია შეაღია თავისი პატივმოყვარეობის ლოლიავს და ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ უკვე საკუთარ გრძნობებსაც აღარ ენდობა, აღარც კი იცის, სად იყო ყალბი და სად გულწრფელი; როდის ამბობდა მართალს და როდის ცრუობდა, როდის სურდა ნამდვილად და როდის ეჩვენე-

სოსო პაიჭავაძე  
საღვაც, ზრის პირას

ბოლა, რომ სურდა; ყველაფერი ერთმანეთში აითქვიფა და გათანაბრდა და თავს იმითლა ინუგეშებდა, რომ თვითონვე ხვდებოდა ამას, ყოველთვის ცდილობდა იმის დამახსოვრებას, რომ თვითონაც ხვდებოდა, თორემ თუ ესეც დაავიწყდებოდა, მაშინ მომავალშიც ველარაფერს გამოასწორებდა, მომავლის იმედი კი ჭერ კიდევ არ დაეკარგა. მაშინ, როცა ყოველი დღე, ყოველი საათი და წუთი აღსავსე იყო სარედაქციო საქმეებით, ნაცნობ-უცნობებთან შეხვედრებით, მაღალფარდოვანი საუბრებით, კრებებით, პირმოთენობით, ჭორებით, თავის მოჩვენებით, ღვინის სმითა და ყალბი სადღეგრძელოებით, წვრილმანი წუხილებითა და სიხარულებით და ვინ იცის კიდევ რით არა, იოლი იყო თავის დარწმუნება, რომ დრო არ ყოფნიდა თავისი ნამდვილი მოწოდების აღსასრულებლად, რომ დადგებოდა ჟამი, გათავისუფლდებოდა ყოველივე ამისაგან და ბოლოს და ბოლოს სერიოზულად მოკიდებდა ხელს იმ საქმეს, რისთვისაც იყო გაჩენილი. ამასობაში კი გადიოდა დრო, წლები ემატებოდა, აგერ, ორმოცდახუთსაც გადააბიჯა, ხელში კი არაფერი ჰქონდა იმ მეტრისმეტად საეჭვო და მერყევი ფასეულობის გარდა, რასაც კარგი კაცის სახელი ერქვა. ნიჭიერიო, ამბობდნენ მასზე, შემოქმედებით ალღოსა და გემოვნებას უქებდნენ, დახვეწილი ინტელიგენტი და პატიოსანი ადამიანიო და თვითონაც კმაყოფილი იყო, რადგან ყველაფერი ეს კარგადაც საღებოდა და ძვირადაც ფასობდა. თანაც არც შესახედაობა აკლდა და არც ქალების ყურადღება; წერდა კარგ, ზოგჯერ მართლაც ნიჭიერ საგაზეთო წერილებსა და ნარკვევებს, რომლებიც თავიდან ბოლომდე ტყუილითა და ყალბი პათოსით იყო დატენილი, რადგან ყველას ეს სჭირდებოდა, და მიდიოდა ასე საამო თვითკმაყოფილებით აღსავსე ცხოვრება. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენა იყო, მხოლოდ დღევანდელი დღე, რომელიც მომავლისათვის სჭირდებოდა და ხვალ, როცა ეს მომავალიც

დადგება, ბოლოს და ბოლოს მოიცილის თავის თავთან დასაბრუნებლად, მამილოთის საფლავეზეც ავა, უფროს დასაც გაიხსენებს და სტუმარსაც, ყველაფერს ისე განიცდის, როგორც მის გულს სწყურია, მაშინ იმაზეც დაფიქრდება, თუ რატომ დასთმო თავისი ერთადერთი სიმართლე და რატომ დაიხია უკან, როცა იმ სიმართლემდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩებოდა, არა, უკვე ეს უკანასკნელი ნაბიჯიც გადადგმული იყო — სამი თვის შფოთვისა და დავიდარაბის შემდეგ ამაყად, ზეიმით, საკუთარი თავისადმი ნიშნის მომგები და მოჯიბრე სიხარულით გადაწყვიტა, რომ ყველაფერს გამოამხეურებდა, არასდიდებით არ დათმობდა არც ერთ სიტყვას, მძიმესაც არ მოაკლებდა, რადგან ეს ყველაფერი სიმართლე იყო და ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ითქვას ეს სიმართლე, ხომ უნდა იცოდნენ, რომ ხალხის მოტყუება და თვალში ნაცრის შეყრაა ყველაფერი, რის საქებრადაც გამოგზავნეს, რომ საშინელი დანაშაული იმალება იმ მოჩვენებითი კეთილდღეობისა და წესრიგის მიღმა, რასაც ტაშს უკრავენ და ხელის აწევით იწონებენ, რომ ბოროტმოქმედება იმ ადამიანთა საქმიანობა, ვინც თავდადებულ და უანგარო მოღვაწეებად მიაჩნიათ — სამი თვის ნერვების გლეჯად, გულის მჯიჯგნავ ეჭვებად და დამუხცველ ყოყმანად დაუჭდა ეს სიმართლე და ახლა არასდიდებით არ დათმობს, არც ერთ ფრაზას არ შეცვლის, რადგან ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დასრულდეს ეს დამახსოვრებული აწმყო და ხომ უნდა დაიწყოს ამდენი ხნის ნალოდინარი მომავალი! მაგრამ, დათმო, პირველსავე შემოტევაზე, როცა ყველაფერში დაეთანხმნენ, მაგრამ დაწვრილებით და ნათლად აუხსნეს, რომ ეს ყველაფერი ასეა საჭირო სწორედ საქმისა და სიმართლისთვისო, თავი დაუქნია და შვებით ამოკუნთქა, რადგან უკვე ამ გულითადი საუბრის დამთავრებამდე მიხვდა, რომ მისი ეს თავგამოდებული კვეთებაც მხოლოდ პატივმოყვარეობის დაკმაყოფი-

ლების სურვილი იყო და სხვა არაფერი, მხოლოდ თავის გამოჩენა და ყურადღების მიპყრობა უნდოდა, — უთხრეს კიდევ ეს დაყვავებით, მამაშვილურად, საკუთარი გამოცდილების გაზიარებით, — თორემ თავისთავად ის უშეჭველი სიმართლე იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც უბრალოდ სიმართლე იყო და სხვა არაფერი და დათმო, იოლად, უსინანულოდ, საკუთარი თავის წინაშე ვალის მოხდის შეგნებით, სულარსებულ და შეჩვეულ სიმშვიდეში დაბრუნების მტანჯველი წყურვილით, ორიოდ კვირის შემდეგ კი გაზეთის პირველ გვერდზე იხილა თავისი მოქმედების საშინელი შედეგი: უშველებელი ფოტოსურათიდან ილიმბოდნენ და საზეიმო დაპირებებს იძლეოდნენ ისინი, ვინც ციხეში უნდა ყოფილიყვნენ! „როცა ხედავ, როგორ ეკიდება ცმცხლი შენს მიწაზე აშენებულ სახლს, შენს ხეს, შენს სოფელს...“ ვერა, ვერასოდეს გადააბიჯებს იმ ნაოცნებარ მომავალში, სადაც გულისგულამდე ღვიძლი და ბუნებრივი იქნება ამ სიტყვების სისხლისმიერი სიმართლე. რამდენი რამაა ჩახურგილი აქეთკენ მომავალ გზაზე — ახლა ხვდება ამას, ამ პატარა ბარათის თვალისამხელ სინათლეში — რამდენი მიუხვედრელი და განუცდელი რამ: ჯარისკაცურ ფორმიანი მოღიშარი მამის სურათი, საქარგავზე თავდახარილი დედის ნერვული თითები, სტადიონისაკენ მიმავალ ხალხში დანახული სტუმრის სახე, უკაცრიელ სათიბში მიმყოლი გოგოს გავარგარებული დუმილი, უფროსი დის აფოფინებული სიხარული, საწოლიდან გადმოვარდნილი ბავშვის „ვაი“, სარკმელთან მშვიდად მძინარე ქალი, რომელსაც მკერდსა და სახეზე აფენია უჩინარი მთვარის შორეული ნათელი — რატომ ცოცხლდება ახლა ეს ყველაფერი ასეთი მომასწავებელი აზრით და რატომ ჯგუფდება და ირაზმება პასუხის თხოვნით და რატომ არ ეშვება ვიღაც მოუშორებელი და მოძალადე, რატომ ახედებს უკან ამ გამოვლილი და ნაცნობი წვრილმანებისკენ და რატომ ავალებს,

რამ თავიდან განიცადოს და შეიგრძნოს ყოველი მათგანი და ყველაფერი ერთად, რატომ არ ანებებს თავს არასოდეს, არ ადრე და არც ახლა და არც ამ ხელის გაწვდენაზე მოახლოებულ მომავალში, რომლისკენაც მიაქროლებს ეს საკუთარ ნებაზე მიშვებული ავტომობილი? — ეს მოძალადე შენი ქმარია! — კინაღამ დაუყვარა ნიკომ ფიქრებში წასულს ქალს. — ის მისმობდა ყოველთვის თავისი უმოწყალო სიმართლის სიმალღეზე, რომ იქიდან გადმომეხედა ჩემი უბადრუკი კეთილგონიერებითა და ფუტუროკმაყოფილებით ამოქოლილ უფსკრულში; ის წამომავდებდა ხოლმე შუალამისას, ისევე, როგორც მაშინ, ჩვენი მეგობრობის წლებში, როცა უბოდში და ანგარიშგაუწვევლი თავხედობით შემომიხტებოდა სახლში, საბანს გადამხდიდა და ფაცხაფუცხით ჩამაცემდა, რომ მძინარე ქალაქის კრისტალურ სიწყნარეში ჩასაფრებული ქემარიტებების საძებნელად წავეყვანე, წამომავდებდა შუალამისას, საწოლზე ჩამომიჯდებოდა და ჩვეული გატაცებით მახსენებდა ჩემსავე წარსულს, შესახარებელი სილამაზით მიხატავდა მომავალს, რომელიც ახლა ასე გამპარტახებული სინანულით გაცხადებულა დღევანდელ დღეში, აწმყოში ჩაგუბებულა და ჩამყავებულა, როგორც ანკარა ნაკადული სადინარგადასილულ ტბაში. ის და მხოლოდ ის ჩამჩერებოდა სულში და გაფაციცებით დაეძებდა იქ სიცოცხლის მცირეოდენ ნიშანს, რომ სული ჩაებურა და გაეცოცხლებია, რომ სამუდამო სიბრძავისაგან ეხსნა ჩემი თვალი, რომ სმენა გამხსნოდა მიწიერ ხმათა მოსამენად, რომ ერთმანეთისაგან გამერჩია ყალბი და ნამდვილი; ის და მხოლოდ ის მაეჭვებდა მუდამ თავისი ჯიუტი ჩინით ჩემი სურვილებისა და მიზნების სინაღდეში, ჩემი საზომების სისწორეში და ეს აუტანელი იყო, რადგან სიმართლეს ჰგავდა, ისეთ სიმართლეს, რომლის შეცნობა და აღიარება არასდიდებით არ

სოსო პაიჭაძე  
საღვაც, გზის პირას

შემძლო; ის და მხოლოდ ის მიიღულე-  
ბდა სასოწარკვეთით მეძებნა ჩემს თავ-  
ში ისეთი ძალა, რაც დაუდგებოდა ამ  
საძულველ სიმართლეს, ამ ძალით ცხო-  
ნებას, ამ არამკითხვ მოამბის სულთამ-  
ხუთავ მზრუნველობას, რომელსაც ერთ-  
ხელ უკვე რის ვაი-ვაგლახით დაეუძვერი  
ხელიდან. არავინ იცის, თუ რა ძნელი  
იყო ეს, ვერავინ მიხვდება, თინას ვარ-  
და, ვერავინ წარმოიდგენს, თუ რა გა-  
ფთრებული იმედითა და ქიშპით ავიღე-  
ბდი ხოლმე კალამს, რომ დამეწერა რამე  
ისეთი, რაც მას დააჩერებდა, დაუცხრო-  
ბდა სისხლისმსმელი სიმართლის წყურ-  
ვილს და დამიხსნიდა ამ ყოფისაგან. წე-  
რა იყო ერთადერთი ხსნა და საშველი,  
რადგან ნებისმიერი სხვა საქციელი, რი-  
თაც მასთან გათანაბრებას ვცდილობდი,  
მხოლოდ მისივე უბადრუკი მიბაძვა იყო,  
მისი მაგნეტიზმის წრეში მატრიალებდა  
და კიდევ უფრო მსრესდა საკუთარი  
უმწიფობისა და ნაკლოვანების შეგრ-  
ძნებით. და მეც ვწერდი და ვწერდი,  
დღესა და ღამეს ვასწორებდი დამოუკი-  
დებლობის მოპოვების ჯიბრიანი იმე-  
დით, მოშულლე სიხარულითა და გაბო-  
როტებით და ვერ ეხვდებოდი, რომ  
ყოველი ფრაზა თუ აზრი, რაც თავში  
მომდიოდა, ყოველი ამბავი, მისი შეხე-  
დულებების თარგზე იყო გამოჭრილი,  
მის იდეებსა და მრწამსს ვამოხატავდა,  
ბგერებსაც კი მისი ხმით ეჩურჩულებდი  
და გამოწმობდი, თითქოს ცალ-ცალკე  
შეძლებოდათ რაიმე აზრის გადმოცემა.  
ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა,  
რომ თვითონაც იქვე იყო, თავზე მადგა  
და თითოეულ სიტყვას მკარნახობდა,  
ყოველი ასოს დაბადებას განიცდიდა,  
გაოცებული მითვალთვალებდა, თუ რო-  
გორ ამოქმონდა ქაღალდზე აქამდე მი-  
სთვის უცნობი სულის სიღრმეში ჩამარ-  
ხული სიმდიდრე, თითქოს უძველესი სუ-  
მარხის გახსნას ესწრებოდა და გარგნე-  
ბული იყო იმით, თუ რა ძვირფასი გან-  
ძი ყოფილა ჩამარხული იმ ადგილას, სა-  
დაც უთვალავჯერ დაუდგამს ფეხი და  
გულგრილად გადაუვლია. და მეც  
თრთოლვით, შიშის კანკალით ველოდი

ამ მიწის გულიდან ამოღებული განძის  
მთელი ბრწყინვალეობით გამოფენილ  
ნასწარ ვტკბებოდი იმ წუთის ღვარძლი-  
ანი სიხარულით, როცა თავიდან ბოლო-  
მდე წაუვკითხავდი ჩემი გააფთრებულა  
შემოქმედების ნაყოფს და მოზეიმე დუ-  
მილით დაველოდებოდი მის თავზარდა-  
ცემულ აღტაცებას, მაგრამ ის ცნობის-  
მოყვარეობით და თანაგრძნობით მოის-  
მენდა ჩემს მღელვარე, უზენაესი ქეშმა-  
რიტების მოღალადე ხმას, გამამხნევებ-  
ლად დამკრავდა მხარზე ხელს და სხვა  
რამეზე გადაიტანდა საუბარს, ქალაქგა-  
რეთ წასვლას ან ღვინის დაღვევას შემო-  
მთავაზებდა და ამით დამთავრებოდა  
ყველაფერი. მეორე დღეს ისევ თავგან-  
წირვით ვეკვეთებოდი კალამს და ზეგა-  
რდნო ნათლით მოსილი ვხატავდი ფა-  
ქიზი სულის ადამიანს, რომელიც სა-  
კონცერტო დარბაზში იჯდა, დიდი კომ-  
პოზიტორის სიმფონიას უსმენდა და მუ-  
სიკის ფრთებით ატაცებული მიფრინავ-  
და თავის მონატრებულ ბავშვობაში და  
უკვე მუსიკას კი არ უსმენდა, იმ მონა-  
ტრებულ ბავშვობაში დატანტალებდა  
ერთდროულად ბავშვიც და მოხუციც,  
ერთდროულად მომავალიც და მიმავა-  
ლიც და ყოველი ბგერა, ყოველი აკო-  
რდი იმ გაცოცხლებულ მოგონებებში  
სახიერდებოდა, ბავშვური გულუბრყვი-  
ლო სიხარულით და ცხოვრებისეული  
გამოცდილებებით მხრებდამძიმებული  
მოხუცის ტკბილი ნაღველით განიცდიდა  
ჩრდილოვანი ჭალების მაცოცხლებელ  
სიგრილეს, მზით გაფიცებული ყანე-  
ბის ვნებიან სიმხურვალეს, რომელშიც  
პირველი სიყვარულას შიში და სიტკბო-  
ებაც იღვიძებდა და უკვე დაძაბუნებული  
ბებრული ხორცის უნიათო სურვილიც  
სავსავებდა, როგორც წყალწყალა ჭია-  
ყელა ნაადრევი გაზაფხულის მოფუჟუ-  
ნე მზეზე, აყვავებულ ბაღში მოფაცურე  
ფუტკრების ბზულიც ესმოდა და მინ-  
დვრებში მოფარფატე პეპლების შარი-  
შურიც და რომელიღაც პასაჟმა სამზა-  
რის ბინდბუნდში მოფათურე ბებიის  
ხმაც კი გაახსენა, ყველს აკოცე და ჭადს  
უკბიჩე, ბებიაო, რომ ეუბნებოდა — ეს

ადგილი განსაკუთრებული მონდომებითა და წარმატების იმედის აღწერა, რადგან იმან, ვისთვისაც ამ მოთხრობას და საერთოდ ყველაფერს წერდა, ერთხელ გაიხსენა, როგორ იღვა მიცვალებული ბებიის კუბოსთან და ვერაფრით ვერ მიმხვდარყო, თუ რა დაემართა ბებიას, ანუ გაუნძრევლად და უბროტესტოდ რომ იწვა ყვაწილებში და რატომ იყო დამწუხრებული იმდენი ხალხი, მაგრამ მერე მის დამქანარ, გულზე დაკრფილი ხელებს დააკვირდა და უცებ მეზის გაგარდნასავით მისწვდა მის შეგნებას, რომ ეს ხელები აწი ვერასოდეს ვეღარ ამოიყვანდა ყველს კრიალა ქოთნიდან და იქვე ჩაცუქქულ ბიქს ვერ მიაწოდებდა ჩვილ, ღაბუა წიწილასავით თბილად მფეთქავ „ჭაჭუსს“ და ამის წარმოდგენაზე სინანულით აღრიალდა, აქამდე მდღეობდა შოასანმა ქალებმა კი მისი ტირილის გაგონებაზე თავპირში ხელები წაიშინეს, დაწვები ჩამოიხიოკეს და ისეთი წივილკივილი და ზარი შექმნეს, რომ ბიქს ეგონა, ესენიც ჩემს სატკივარს ტირიანო და უბედურებისაგან თავზარდაცემული მთლად გადაფიჩინდა. და ეს ადგილი გულის გამხეთქავი სიამაყით წაუკითხა, რადგან დარწმუნებული იყო, მჭადის და ყველის ამბავი დაახლოებით იმავე განცდას ვადმოსცემსო, იმან კი, ჩვეულებისამებრ, გამამხნეველად დაპკრა ხელი მხარზე, კარგიაო, უთხრა, ოღონდ ეს მოხუცი არ ვარგა სამაგისოდ, ან მუსიკა ყოფილა უვარგისი, რადგან მუსიკით ტკბობა იმას კი არ ნიშნავს, ბავშვობა ან სიბერე ვავახსენდეს, არამედ იმას, რომ მთელი სულით და გულით, მთელი არსებით შერწყმული ხარ ამ მუსიკასთან, რომ შენში ხშიანობს, შენი სულის ლტოვიდან იბადება და ძველს კი არ ვახსენებს — ახალთან ვაზიარებს, წარსულში კი არ მიჰყავხარ, — მომავალში მივაქანებს, მომავლის ხილვებსა და განცდებში ვაგრძობინებს ბედნიერებას, უზუნაეს სიმართლეს ვავიხველს, იმ სიმართლეს, არსაიდან რომ არ შემოველება, სხვა რომ არაფერი არსებობს იმ სიმარ-

თლის გარდა, მარტო ის რომაა და სიკეთეს რომ მოგაწყურებს, აი, ამას რომ იგრძნობ, მაშინ სხვა საქმეაო, ყველი და მჭადი კი მართლაც კარგად გამოგსვლია, ყოჩაღ, მთლად ცხონებული ბებიაჩემი გამახსენდა, იმანაც მასე იცოდა, დალოცვილმაო, ოღონდ მუსიკა არაფერ შუაშია, მოაშორე და მშვენიერი მოთხრობა გამოვაო და უცებ გადაიხარხარა თავისი გამბითურებელი და თავლაფის დამსხმელი სიმართლის ვასაქარწყლებლად, ბოდიშის მოსახდელად, მომნანიებლად, როგორც იცოდა ხოლმე ყოველთვის. მე კი რამდენიმე დღის ვაბოროტებული სამზადისისა და ტენის ჭყლეტის შემდეგ ისევ თავგანწირვით მივუჯდებოდი მაგიდას და ვწერდი მოფხრობას ერთ ახირებულ კაცზე, რომელსაც ძალიან უყვარდა ბავშვები და მათ ვასახარებლად ასეთი რამ მოიმოქმედა: მოულოდნელად ისკუბა ცირკის არენაზე და შეეცადა ზურგზე მოხტომოდა საშინლად გაჯიუტებულ ჯორს, რომელიც ტყუპტყუპ ტლინკებს ისროდა, საკბენლად ეტანებოდა კაცს და სათოფეზე არ იკარებდა არც შიშისაგან თმაბურძენულ კლოუნებს და არც ვითომ საშინლად გაცივებულ მომთვინიერებელს, ახირებული კაცი კი ბედნიერი ბავშვების სიცილ-კისკისში ქიჩმაჩობდა, წამდაუწყებლად ძირს ეპერტყებოდა, სამოსიც სულ შემოეფლითა, მაგრამ იქამდე არ მოეშვა ამ შეურაცხყოფელი თავდასხმებით გაცივებულ პირუტყვს, ვიდრე იმან ბოლოს და ბოლოს ტლინკი არ ჩააზილა და ნეკნები არ ჩაულეწა. ტკივილისაგან გონდაბინდული კაცი არენიდან საკაცით გაპყავდათ, მას კი ბედნიერების ცრემლები ადგა თვალებზე, რადგან ჩაღწილი ნეკნების საფასურად ბავშვების სიხარულით ვაბრწყინებული სახეები მიაქონდა. და როცა ეს მოთხრობაც სულმოუთქმელად ჩავიკითხე, იმან ჩემცეე დიქციონის გამოკავრებით თქვა: „სასტიკი ვირი! სასტიკი ბავშვები!“ მე კი ასეთი მიუხევედრელობით თუ სიჯიუტით გაღიზიანე-

სოსო კაიხაძე  
სადაც, ზღის პირას

ბულმა, ღვარძლიანად ვუთხარი, რომ აქ არც ვირი იყო მთავარი და არც ბავშვები, არამედ კაცი, რომელმაც სხვისი სიხარულისათვის... „სასტიკი კაცი!“ — ტყვიასავით დამახალა მან და ენა ჩამავდებინა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. სასტიკი კაცი! მე უკვე მძულდა ეს სასტიკი კაცი ისევე, როგორც მონას სძულს თავისი დამმონებელი, მაგრამ მიყვარდა კიდევ ისეთივე ბრმა და აუხსნელი სიყვარულით, როგორც იმავე მონას თავისი სულთამხუთავი. და კვლავ შეპყრობილივით განვაგრძობდი წერას, რადგან მაინც მქონდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს დადგებოდა დღე, როდესაც თავისუფლებას მოვიპოვებდი. ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი საკუთარ თავს და უწინდებურად აღარ ველოდებოდი მისი სიმართლის კარნახს, მაგრამ მხოლოდ ვუახლოვდებოდი. ჭერ ისევ მისი ტყვე ვიყავი და მძულდა, მეზიზღებოდა, ვნატრობდი, რომ მანქანა დასჯახებოდა, ვინმეს მოეკლა, გამქრალიყო ჩემი ცხოვრებიდან, რომ ხელ-ფეხი გამხსნოდა, თავისუფლად ამომესუნთქა და ისე მეცხოვრა, როგორც მომეპირიანებოდა, არ მეგრძნო მისი უზუტუპატორული სიმართლის თვალთვალი და დევნა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიმეთვისებია და დამეჩემებია ყველაფერი, რაც მისი იყო, რაც ამ აუტანელ საპყრობილეში გამომწყვდეულ თავისუფლებას მომიტანდა, თუნდაც ასეთ თავისუფლებას, ჭანდაბას ჩემი თავი, თუნდაც ასეთს, ყველაზე იოლსა და შესაძლებელს, რაზეც კი ოცნება შემექლო. ჭრეჭრეობით კი მხოლოდ ვუახლოვდებოდი, შიშით, სიფრთხილით, მოუშორებლად აკვირებული ავი წინათგრძობით. შემდეგ მივხვდი, თუ რა იყო ეს ავი წინათგრძნობა, მერე, როცა ერთმანეთს დავშორდით და ისეთივე მოუცილებელი წარსული გახდა ჩემთვის, როგორც იმათთვის, ვინც ჩემამდე და ჩემს მერე შეხვედრია და ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ უკან მოუხედავად განშორებია. უკან მოუხედავად! მე სწორედ ამ უკან მოხედვის მეშინოდა, მომავლიდან უკან

მოხედვის, იმ წუთის წინასწარ განცდა მაშფოთებდა, როცა დიდი ხნის შემდეგ სადმე შევხვდებოდით და აღარაფერი გვექნებოდა ერთმანეთისთვის სათქმელი, როცა ჩვენი მეგობრების წლები მიცვალებულის ცხედაროვით დავეყენებოდა ჩვენს შორის და უხერხულ დუმილს გვაიძულებდა, მხოლოდ იმაზე გვაფიქრებდა, რომ როგორმე მალე მოგვეშორებია ეს ცხედარი, სასწრაფოდ ჩაგვეგოზა მიწაში და ზედ ყვავილები მიგვეყარა, ყვავილები მაინც! თვალნათლივ ვხედავდი ამ შეხვედრას და ჩვენი სახეებიც წარმომედგინა — არა ისეთი, ახლა რომ წარმომიდგენია, ახლა სულ სხვა იქნება, ახლა ვერც მოვასწრებთ ერთმანეთის დანახვას, ახლა მისი სახე მყისიერად იღვებს და მაშინვე განქარდება არყოფნის დამაბრმავებელ სინათლეში! — მისი სახე: უტეხად ამაყი, ძლიერი, შემწყყარებული ღიმილით განათებული და მაინც ოღნავ შემკრთალი და შეცბუნებული, თავის უფლებებში დაეჭვებული, თითქოს თხუთმეტი წლის შემდეგ შინადაბრუნებული პირველად შეხვდა მის ხელში ფეხადგმულ მეზობლის ბიჭუნას, უნიფხვოდ რომ დტანტალებდა, კისერზე აჯდებოდა და ბიძას რომ ეძახდა და უცებ დააბნია მისმა მოულოდნელმა, თავხედურმა ნახტომმა პირდაპირ კაცობაში შელახული თავმოყვარეობის გრძნობით დათრგუნა და გააბრაზა, თითქოს რაიმე დავეშავებინოს მისთვის იმ პატარა ბიჭს თავისი დაუკითხავი და ხულიგნური გარდასახვით: და ჩემი სახე: ამ მოულოდნელობის ეფექტით გამარჯვებული, ამ აქსელერაციული აფეთქებით მოზეიმე, ნიშნის მომგები სიამაყითა და მადლიერებისა და პატივისცემის თვალთმაქცური ნიღბით, ნასწავლა გულითადობითა და მოკრძალებით, რომელშიც აშკარად გამოსჭვივის ამ მძიმე, ორთავეს დამთრგუნველი უხერხულობისაგან მალე განთავისუფლების მოუთმენელი სურვილი, ისეთი, ლიფტში რომ ეუფლება ყველაზე ახლობელი ადამიანის პირისპირ დარჩენილ კაცს, თუნდაც საყვა-



რელი ქალის პირისპირ, როცა ამ ერთი ციკქნა დასწულ საკანში ყოფნის რამდენიმე წამი, ნებისმიერი სიტყვა ან საქციელი, თვით დუმილიც კი, უდიდეს სიმართლეს მოითხოვს, ამ რამდენიმე წამში კონცენტრირებული მთელი ცხოვრების სიმართლეს, მათი აქამდელი ურთიერთობის შემაჯამებელ სიმართლეს და ამიტომ ერთი სული აქვს, სახამ ლიფტი გაჩერდებოდეს და კარი გაიღებოდეს და თითქოს ლიფტიდან კი არა, რენტგენის კაბინეტიდან გამოდის და რენტგენოგრაფის პასუხივით ელის წინ მიმავალი ქალის პირველ სიტყვას — მინახავს ეს გამომეტყველება მის ძველ ნაცნობ-მეგობართა სახეებზე ქუჩაში, რესტორანში ან სადმე სხვაგან შეხვედრისას რომ გამოხატებოდათ ხოლმე, როცა გვერდის ავლით ან შორიდან მისალმებით ცდილობდნენ თავის დაძვრენას, ანდა, თუ ეს შეუძლებელი იყო, წუთით გაუჩერდებოდნენ და ცხენჭეკაზმულნი მოიკითხავდნენ და ამ მიკიბულ-მოკბულ მოკითხვებსა და პასუხებში აშკარად იგრძნობოდა გულითაღობის ღიმილით შენიღბული დადარაჯებული და უნდობელი სიფრთხილე, თითქოს ეშინოდათ რაიმე ისეთი არ ეთქვა ან არ ჩაედინა, რაც ძალღივით უქებნდა მათი ძლივს მოწესრიგებული ცხოვრების ძვირფას სიმშვიდესა და კმაყოფილებას და კარგად გაჩერებულნიც არ იყვნენ, რომ უკვე წასვლას აპირებდნენ, უხერხული ღიმილით აფუჩჩებდნენ ნაძალადევ საუბარს და ისე შორდებოდნენ, როგორც შემთხვევით ნაცნობს, მაგრამ სახეებზე მაინც ეხატათ თვით მათთვისვე აუხსენელი სინანული და ეჭვი — ამას ნათლად ვხედავდი მაშინ, როცა მეც თავაზიანი და ცნობისმოყვარე მზერით გამოემშვიდობებოდნენ: — „აჰა, შენც გაები, ჯიგარო? — მეუბნებოდნენ მათი თვალეზი, — შენც მიგიტყუეს მახეში? დროზე დააღწიე თავი, ბოლომდე მაინც ვერ გაუძლებ, დროზე უშველე თავს, თორემ გვიან იქნება!“ და მიდიოდნენ, სასწრაფოდ უბრუნდებოდნენ თავიანთ ცხოვრებას და შვებასთან ერთად მიჰქონდათ

სევდა და სინანული და ეჭვი იმისა, რომ ვაითუ, მე მათზე ძლიერი აღმოვჩენილიყავ და შევეგუებოდი იმ ყოფას, რასაც თვითონ ვერ შეეგუენ. მაგრამ ვერც მე შევეგუე. შეუძლებელი იყო ეს — ყველაზე უფრო თინა მიმიხვდება — შეუძლებელი იყო ამასთან შეგუება, ამიტომ სასოწარკვეთილი ვიბრძოდი თავისუფლების მოსაპოვებლად, ისევ ვწერდი და ვწერდი, რადგან ეს იყო ერთადერთი გზა მისგან თავის დასაღწევად და მეჭერა, რომ ბოლოს და ბოლოს მივაღწევდი სასურველ მიზანს. და ვწერდი მოთხრობას ერთ კაცზე, რომელიც შუალაშით დგებოდა, პალტოს უბეში პურის გოგორას ამოიდებდა და ქუჩაში გადიოდა, რათა მაწანწალა ძაღლები დაეპურებია, დილით კი სამსახურში მიდიოდა და საყვედურს საყვედურზე იღებდა იმის გამო, რომ სამუშაო მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა და ვერ ასწრებდა ციფრებით აჭრელებული ქალაღების გადაწერას, რომლებიც საქმეს ძალიან სჭირდებოდა, და ბოლოს სამსახურიდანაც დაითხოვეს და თვითონაც მშვიერი დარჩა და ძაღლებიც. და როცა ამას ვკითხულობდი გულს ბავაბუვი გაჰქონდა, რადგან ვიცოდი, რომ მხოლოდ მას შეეძლო ამის გაკეთება ისევე ბუნებრივად და საქმიანად, როგორც იცოდა ხოლმე ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა შუალამზე ადგებოდა, გათოშილი ქალაქის ცარიელ ქუჩებში დაეხეტებოდა, რომ სადმე კოცონს მიფიცებულ დამის დარაჯს წასწყდომოდა, მასთან ერთად სივარეტი ვაებოლებია და დილაზე ესაუბრა. მაგრამ ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მან სიცილით თქვა, გიჟის გარდა, არავინ დაეხეტება ქუჩაში შუალაშით იმისათვის, რომ მშვიერი ძაღლები დააპუროს, მით უმეტეს, თუ დილით სამსახურში წასასვლელიცაა და თან ასეთი საჭირო საქმეც აბარიაო: თუ გიჟია, გიჟს სამსახურში რა უნდა, გიჟი საგიჟეში უნდა იყოს, ხოლო თუ ჰქვია, ია,

სოსო პიჭაძე  
საღვაც, ზნის პირას

მაშინ სხვა რაღაცაა საჭირო, თორემ ძალღები ბევრს ეცოდება, მაგრამ არავინ არ იტყვას ძილს მათთვის და არც სამსახურს კარგავს, თუ რაღაცაში არაა საქმეო; აი, ეს რაღაცაა მთავარი და ამას რომ იტყვი, მაშინ სხვა ამბავიაო. და მე მაიფიქრებდა ეს უბრალო და ნათელი ჭეშმარიტება და სიმწრისაგან თმას ვიპიტავდი, რატომ თვითონვე ვერ ვხვდები, თავს რად ვიბითურებ-მეთქი. რა იყო ის „რაღაც“, რომელიც ყველგან და ყველათურში უნდა დამენახა და განმეცადა; ის „რაღაც“, ურომლისოდაც ნებისმიერი მოვლენა, ყოველი ადამიანური ქმედება, თვით ყველაზე აშკარა და უჭველი სიმართლეც კი ყალბი და გაუგებარი იყო; ის „რაღაც“, რომელიც თვით მასაც აიძულებდა მთელი ორი დღე და ღამე თვალი არ მოეხუჭა და არც მე დავეძინებოდი იმის გამო, რომ მოპირდაპირე სახლში ვიღაც დავრდომილი ბერიკაცი სიკვდილს ებრძოდა! „მე უნდა ვიგრძნო ის წამი, როცა მისი სული სხეულს გაეყრება!“ უხერხული და ღამის ირონიული მალაფარდოვნებით ამბობდა ის და დღე და ღამე ფანჯარასთან იჯდა ან ქუჩაში ბოლთას სცემდა და ბერიკაცის ბინის განათებულ სარკმლებს გაჰყურებდა, სადაც მაქმანის ფარდებს მიღმა წამდაუწყებ ჩნდებოდნენ ღამისმთეველი ნათესავების ლანდები ან ვიღაც გამოიხედავდა და ცნობისწადილით დააჩერებოდა სახლის წინ მოსეირნე ადამიანს. მე კი ვიწეკი, ძილს ვებრძოდი და იმის გამოცნობას ვცდილობდი, ნათუნებრივი იყო მისი თანაგრძნობა ვიღაც მოხუცი-სადმი თუ ჩემს წინაშე პოზიორობდა. ხანდახან ისიც კი მეჩვენებოდა, რომ იგი საკუთარ თავს ცდიდა ამ გასაოცარი მარტვილობით, იმას ამოწმებდა, ჰქონდა თუ არა ალალი თანაგრძნობისა და სხვისთვის მწუხარების უნარი, თვითონ მას კი არა — თავისთავს ამ შემთხვევაში საცდელი ცხოველივით იყენებდა — მას კი არა, ადამიანს, ვის მარადიულ სიკეთესა და დიდსულოვნებაზე ჭერ კიდევ არ ჰქონდა გული გატეხილი, ვიღაც სხვა, თავის ძალასა და სიკეთის ქმნის უნარში

დაეჭვებულ კაცს, რომ მისთვის რაღაცაა და თავდაჯერება მიეცა. ნუთუ მე ვიყავი ვი მისთვის ეს კაცი, ეს ურწმუნოებითა და გულგრილობით დასნეულებული ავადმყოფი და ჩემს განკურნებას ცდილობდა თავისი თავდადებული ექსპერიმენტით? მე კი საშინელი სიძულვილი და პროტესტის გრძნობა მკლავდა, როგორც სიცხიან ბავშვს ნემსშემართული ექიმის დანახვაზე, ან შესაძლოა, სულ სხვაგვარად იყო საქმე, მაგრამ მაშინ სწორედ ამ პროტესტმა და სიძულვილმა მაიძულა წამოდგომა და ქუჩაში გასვლა, რომ მისთვის სახეში შემეხედა და თვალნათლივ დავრწმუნებულიყავ ჩემი მიხვედრის სისწორეში; ან იქნებ გუმანმა მიკარნახა, რომ სადღაც იქ, სულთმობრძავი ბერიკაცის სიახლოვეს იმალებოდა ის „რაღაც“, რომელსაც თავის დახსნის მტანჯველი სურვილითა და იმედით ვეძებდი; ის „რაღაც“, რომელიც ყველგან და ყველათურში შეუცნობლად ბუდობდა; ის „რაღაც“, რომელიც ვერ დავინახე მუზეუმის დარბაზში გამოფენილ ტილოზე, სადაც მხარეთქობზე წამოწოლილი კაცი თეატრალური ექსტით ებრძოდა საფეთქელზე მიწებებული წითელი ლენტის საბედისწერო სიმძიმეს; ის „რაღაც“, რომელიც წაიღო საბავშვო ველოსიპედის ბორბალმა თავის უკანასკნელ გზაზე ეზოდან ჰოსპიტლის მწვანე გალავნამდე; ის „რაღაც“, ეზოში ჩასული სტუმრის გამოსათხოვარ შემოხედვას რომ ახლდა მილიციის მანქანაში ჩაჯდომამდე; ის წყეული „რაღაც“, რომელსაც ვეწვოდი და ვერ ვეწვოდი, თითქოს საკუთარი ჩრდილი ყოფილიყოს, ფეხის ყოველ გადადგმვაზე რომ მოუხელოთებლად წინ მიმიძლოდა. ავდეკი და გარეთ გამოვედი. თბილი, წყნარი ღამე იდგა. ცაზე არც მთვარე ჩანდა და არც ვარსკვლავები ციმციმებდნენ, მაგრამ მაინც მშვიდი და სათნო ნათელი ეფინა ქუჩას, სახლებს, ადამიანის სმენისთვის მიუწვდომელ ხმებზე მიყურადებულ მფეთქვე სიჩუმეს და მყუდროებას. პირდაპირ ჩაბნელებულ სადარბაზოს გამხდარი სილუეტი გამოეყო, ნელა მომია-

ბლოვდა და მითხრა — „დამთავრდა“, მაგრამ იგულისხმა — „დაიწყო“, უნდა ეთქვა „დაიწყო“, რადგან ეს სიტყვა ახლა ყველაზე უფრო ზუსტად და გასაგებად გამოხატავდა იმას, რისი თქმაც უნდოდა და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მან არ ეთქვა ის, რასაც აპირებდა, რადგან შეეშინდა, რომ ჩემთვის გაუგებრად, ჩემთვის ყალბად, ჩემთვის ყურთ წამლები უღარუნით გახშიანდებოდა ეს სიტყვა ამ გრძელ სიწყნარეში, ისევე ყალბად და ყურით მოთრეულად, როგორც შემდეგ გაისმა ჩემი ნათქვამი — „იარალი“, მაგრამ მაინც უნდა ეთქვა — „დაიწყო“, ისევე, როგორც მე ვთქვი ის „იარალი“, რადგან იგი იმ დროს ამომწურავად და ყველაფერზე პასუხის გამცემად გამოხატავდა ჩემს ლაჩრობასა და არაკაცობას, „იარალი“, რომელიც უნდა მომიღეროს, როცა ისევე დაბრუნდება, აუცილებლად რომ მოვა, უსათუოდ რომ უნდა მოვიდეს, თუ კიდევ არის სამართალი ამ ქვეყანაზე, უნდა მოვიდეს და მომიღეროს, რათა აღასრულოს თავისი ვალი და მე შევალ ამ იარალის ცივ წყვილადში, როგორც სინათლის სხივი, ზეგარდმო სიშორიდან მომავალი; უნდა ეთქვა „დაიწყო“, რადგან ჩემს წინაშე იდგა არა ხორციელი აღამიანი, არამედ ლოცვით ვაცისკროვნებული წმინდანი და მომეჩვენა თუ მართლა იყო, მის სახეზე დავინახე უღრმესი აზრით აღსავსე სიხარული და არც ის ვიცი, რა იყო ამის მიზეზი — საკუთარ თავზე გამარჯვების შეგნება თუ სიამაყე იმის გამო, რომ მისი ნებაყოფლობითი მარტვილობა ასეთი ყოვლის ამხსნელი და გამამართლებელი დასასრულით დავკვირვინდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მივხვდი, რომ კიდევ ერთხელ ვიწვნიე სასტიკი შარცხი და ამ შეგნებით გაპარტახებული მღუმარედ ვიდექი და ვუყურებდი, როგორ აღებდნენ ფანჯრებს მესამე სართულზე, შემდეგ ფარდებიც გადასწიეს და დავინახე, როგორ იმატა შუქმა ფანჯრებში, მერე ქალის თავშეკავებული ქვითინიც გავიგონე და ისევე მიწყნარდა არემარე,

მხოლოდ ღია ფანჯრებში მოჩანდა მოფუსფუსე ჭირისუფალთა მზრუნველობის სახეები. ჩვენ მღუმარედ დავეშვიოთ დაღმართზე, განათებულ ქუჩაზე გამოვედით და ნელ-ნელა დავუყვავით მძინარე ქალაქს — ჯერ კიდევ თბილი და წყნარი ამინდები იდგა და ხეებს მოწყვეტილი ყვითელი ფოთლები სატაძრო-რიტუალური ცერემონიალის ძლიერამოსილი სიმშვიდით ცვიოდნენ გრილ მიწაზე. ეს იყო ჩემი პირველი გამოქვეყნებული მოთხრობა, რომელზეც მესაუბრებოდა ქალი ტორშერის სიფრიფანა შუქით გაწმენდილ ოთახში ჩვენი პირველი შეხვედრისას. მაშინ არც მან და არც მე არ ვიცოდით, რომ ჩვენი საიდუმლო პაემნების დროს ამ მოთხრობის გმირთან დადიოდა მისი უმცროსი და, ის გოგო, რომელიც ვერასდროს ვერ ვნახე, ვინც მხოლოდ ალბომში ჩაყრილ სურათებიდან მიმზერდა და საბედისწერო შეხვედრის ავი წინათგრძნობით მაშინებდა.

— დანა-ჩანგალი, — ჩაესმა ნიკოს ქალის ხმა.

— ა?

— ნიშანი იყო გზაზე, ვერ დაინახე?

— სიცილით თქვა თინამ და ნიკო ვერ მიხვდა, ამ მართლაცდა სასაცილო, თავისი საყოველთაო მისიისათვის შეუფერებელი რიხითა და საბრძოლო შემართებით მომზირალ დანა-ჩანგლის შინაარსს აქილიკებდა ქალი თუ იმასაც, რაც მათთვის ამ ჩვეულებრივი საგზაო ნიშნის აზრს უკან იმალებოდა, რადგან არც თინას და არც ნიკოს ფიქრები და განცდები არასდიდებით არ ეკარებდა საგზაო რესტორნების მიწიერსა და ყოფით სმართლეს და ორივეს დაწვრილმანებული და მიზნის დამამცრობელი კირკიტის უამური შეგრძნებით ამძიმებდა, ამიტომ ამ შეგრძნების მისაჩქმალავად და კიდევ იმის მოსაჩვენებლად, რომ ვითომ აღარც კი ახსოვდათ ის ბობრი კაცი, რომელსაც რაღაც უნდა სკოდნოდა, და

სოსო ააივაძე

საფლავ, ზნის პირას



ვითომ სხვა არაფერი არსებობდა ამ წუთას, მათი ერთად ყოფნის გარდა, ნიკომ მხოლოდ ქალზე მზრუნველი გულითაღობითა და თავაზით თქვა:

— ჩავიდეთ, დავისვენოთ, დაღლილი იქნები, — და თინამაც კინაღამ დაიჯერა ნიკოს გულწრფელობა, ყოველ შემთხვევაში, აღარ ჩასძიებდა ჩვეული გაფაციცებით და დადარაჯებული სიფრთხილით, ნათქვამი ისე მიიღო, როგორც კაცს უნდოდა და დაეთანხმა, ჩავიდეთ, მუხლი გაემართოთ, რაღაც მთლად მოვითმინო და ამ გუმანით შეთქმულმა და ერთმანეთის თვალის ასახვევმა თამაშმა ორთავეს შვება მოჰგვარა, თითქოს მართლა იგრძნეს საამო დაღლილობაც და ცოტაოდენი შიმშილიც, ეს თუ არა, მუხლის გამართვა და მიწაზე ფეხის დაბიჯება ნამდვილად არ აწყენდათ, მით უმეტეს, რომ ხელმარცხნივ გზატკეცილიდან გაპარულ ორღობის ბოლოს კორომში ჩახატული მშვენიერი ფაცხა იდგა და მის ირგვლივ ფერდობზე შეფენილი ჩრდილნარიც საამო სიფრილისა და სიმყუდროვის აღქმით ეპატივებოდათ. ნიკომ ნელ-ნელა მიაგორა მანქანა ორღობის თავში მოწყობილ პატარა სადგომზე, სადაც კიდევ იდგა სამი თუ ოთხი მსუბუქი ავტომობილი და ერთი საექსკურსიო ავტობუსი შიგ უპატრონოდ დატოვებული ჩანთებითა და ტანსაცმლით. ამის დანახვაზე ნიკომ გაიფიქრა, ალბათ დასაჯდომი ადგილიც აღარ იქნებო, მაგრამ რესტორანი სანახევროდ ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე მაგიდას უსხდნენ დასაწყობლად შემოსული მგზავრები, უკანა მხარეს გამავალ ფანჯრებში კი მოჩანდნენ კორომში გაფანტული მოხალავათებული ტურისტები და მათი თავმოებურებული გიდი, რომელიც წყაროს პირას, კუნძულზე ჩამოძვდარიყო, სიგარეტს აბოლებდა და გულგრილად და მოთმინებით არაფერს არ ელოდა. ნიკომ კუთხეში მიდგმული ცარიელი მაგიდა დაიჯულა და გარეთ გავიდა. თინა წყაროსაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდა, ნიკომ კი მანქანასთან მოცდა გადაწყვიტა, იქნებ რა სჭირდებო, მაგრამ

ქალი მობრუნდა, ხელი დაუქნია და ორივენი მივიდნენ წყალთან, ხელპირად დაწინამეს და უტეებ განხალისდნენ სადღაც. შორს, ყველაფრისაგან მოცილებულად ყოფნისა და თავისუფლების შეგნებით. თინამ ოთხად ვაკეცილი ყვავილებიანი ცხვირსახოცი ამოიღო კაბის ვეებერთელა ჯიბიდან, სველი თითებით გაშალა, ნიკოსთან მივიდა და დაწვები და შუბლი შეუმშრალა, ფრთხილად, მზრუნველობით, ხაზგასმული ინტიმური განდობით და მოწყურებული სითამამით — ეს მაშინვე იგრძნო კაცმა — გაბედულად და მანც შეჩქვებებული სიფრთხილით, თითქოს რის ვაივავლახით შეჩვეულ და მოთვინიერებულ ნაგავს ეფერებოდა და მის კეთილგანწყობილ სიყუჩესა და თვალების ლულვაში გულის მომხალავათებლად გრძნობდა თავისი მავიური შიშისაგან გათავისუფლების პროცესს, და იმასაც მიხვდა ნიკო, რომ ეს ნაგავი თვითონ კი არ იყო, არამედ ქმარიც და თვითონაც, ორივე ერთად, უფრო სწორად, მათი გამამთლიანებელი ცხოველური ბუნება, მათი საერთო ველური არსების ორი სახე — აგრესიული და თვინიერი, რომელსაც მთელი ცხოვრება იშინაუბრებდა ქალი თავის ქმარში და ბოლოს და ბოლოს ნიკოში მოიშინაურა და ახლა შეეძლო მიახლოებოდა, ხელით შეხებოდა და მოფერებოდა კიდევ მარდიული შიშისაგან თავდახსნილი ცბიერი ცნობისმოყვარეობით, თავისი ქალური ძლიერების სრული ზეიმით და არავითარი საფრთხე არ დამუქრებოდა მისგან, იმ მიუკარებელი და მღრინავი არსებისაგან, რომელიც ახლა ნიკოს სახით გამოეცხადა, უკვე მორჩილი და თვინიერი, ვისთვისაც ამ სურნელოვანი ცხვირსახოცის ნაზი ქსოვილი მარტო შუბლის შესამშრალებელი სუფთა ნაჭერი კი აღარ იყო, არც მარტო ერთგულებისა და გულითადი მზრუნველობის გამოვლინება, არამედ საიდუმლოს განდობა, სხვისთვის მიუწყვდომელთან მიწყვდენა, რასაც კაცში სათუთი მადლიერებითა და მარადიული მოვალეობის გრძნობით უნდა ჩაესახლებინა ქალის სული. მაგრამ თი-

ნას არ ეცალა ამ გრძნობის ასახსნელად და გასაცნობიერებლად; იგი ახლა ისვენებდა; იგი ახლა უბრალოდ სავსე იყო ადამიანური სიხარულით და სიყვარულით, ამიტომ უჩვეულოდ ატაცებული და აფოფინებული შეუერთდა ტყის შრიასსა და სურნელებას, ბილიკიდან გადაუხვია, ბუჩქებში გაერია, ფერდობზე მიმოფანტულ ექსკურსანტებში აბორიალდა და ვილაცას გამოელაპარაკა კიდევ, სადაურობა გამოჰკითხა და ვაზვიადებული ვაოცებით შეიცხადა მათი გზის სიშორე და გაბედულუბა, მერე უფრო ზევით აუყვა და ტევრში გაუჩინარდა — აქედან ველარც ნიკოს ხედავდა და ველარც ავტობუსის მგზავრებს, აღარც მათი ლაპარაკი ესმოდა და აღარც გზატკეცილზე მიმქროლავი მანქანების ხმაური, მიდიოდა და ისეთ ადვილს ეძებდა, სადაც ვერავინ მიაგნებდა და ვერც წვიმა ჩამოაღწევდა — ცა უკვე მთლად სავდროდ მოქურუხდა, ერთი წვეთაც ჩამოაპარა ტოტებში, შიშველ მკლავზე დაეცა და ჟრუანტელად დაურბინა, თბილი ქარის ნაკუწიც შემოეხვია ყელზე, მკერდზე მიეფერა და უბეში შეუცოცდა; ხის ძირას ბალახში ჩაჯდა, გულალმა გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო, ნეტარების ბურანში ჩახუტა თვალები და მაშინვე მზით გაჩახახებულ ვეება ფანჯრებიან ოთახში აღმოჩნდა. საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა უზარმაზარი ნაცნობი ქალაქი, მზის გულზე აკიაფდა მისი ქათქათა ვერტიკალური კონტურები, ტყის მოშრიალე სიჩუმე აავსო მისმა შორეულმა, ზღვის მოქცევასავით ძლევამოსილმა გუგუნმა, მიწისა და ბალახის გამაბრუებელ სურნელს შეუერთდა მისი ქვაფენილებისა და ასფალტიანი ქუჩების მხუთავი, ბული. თუ ეს იმ პირველი, თავისი მოულოდნელი სიუცხოვით თავზარდამცემი ლოგინის სუნია, ლოგინის კი არა, სისხლით, ხორციით, ძვლებით გაპოხიერებული თბილი სამარის, რომელშიც სიკვდილიდან გამოღვიძებული წვეს ახლა და ამქვეყნიურ ნათელში დაბრუნების

ურვილით ელოდება ვილაცის შეხებას და აპა, შეეხო კიდევ, წელსა და მკერდზე ვებზე მოეხვია, ტანზე მიიკრა, მიიხტა, გაოცებული სიყვარულით დაუკოცნა სახე, ყელი, მოხალავთებული ძუძუები, ხელში აიყვანა და ამ გაბრწყინებული ქალაქის ქათქათა სივრცეში გაიტაცა — როგორ ელოდა ამ წუთს, როგორ ეწადა ეს თვინიერი, ნატიფი, გამამდიდრებელი სიყვარული, როგორ უბრუნდება ნაძალადეგად გაცემული და დახარჯული სიმდიდრე და როგორ იგსება მისი ძვირფასი საკუთრების ნატრული სიხარულით, რა კარგი, რა ადამიანური ბედნიერების მომნიჭებელია ეს ყველაფერი და ნუთუ ოდესმე უნდა გაქრეს და დამთავრდეს და პირმოღებულ სიცარიელედ უნდა დარჩეს გულში მისი დაუფიქარი ხსოვნა! — ამ სიცარიელის ხორციელმა შეგრძნებამ შიშით გამოიქნია ნეტარების ბურანიდან და მთლად ჩამოქუფრულ და სავდროდ გალურსულ გარემოში დააბრუნა. წამოჯდა, მოიბუხა, ფეხებქვეშ კაბა ამოიფუთნა, თავი ჩახარა და ატირდა — ჭირვეულ ბავშვივით ფეხებგაწყობილი და მხრებჩამოყრილი ტიროდა, სველ ცხვირსახოცს წიწწინდა და ყმუოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, სულმოუთქმელად, მოსასწრებად ზლუქუნებდა, მერე სიცივისაგან აკანკალდა და მიხვდა, რომ ძვალრბილში ნესტი გასკადომოდა, წამოდგა, ერთი ორჯერ საბოლოოდ ამოიხვინა გული, ცრემლი მოიწმინდა, კაბა გაისწორა და ნელ-ნელა დაეშვა წყაროსკენ, სადაც ნიკო ეგულებოდა; მაგრამ ის რესტორანში იჯდა და ცივ ლიმონათს წრუპავდა; ქალის დანახვაზე გარკვებით და საყვედურით გაშალა ხელები, სად დაიკარგეო, წამოდგა და სკამი გამოუჩოჩა, მერე სიტყვიერადაც ჰკითხა:

- სად დაიკარგე?
- ტყეში.
- მგელი შეგზვდა?
- ჰო.

სოსო პაიჭაძე  
სადავო, გზის პირას

— შეგეშინდა?

— ჰო. რატომ არ წამოხვედი, შალვას ეძებდი? — ნიკო კი არა, თავისი თავი დაგესლა ქალმა და მაშინვე სინანულით იგრძნო, თუ რა მწარედ ეტყინა კაცს ეს შეკითხვა.

— ჰო, ვეძებდი. — წყნარად, ბოდიშის მომხდელად უთრხა მან.

— რაო მერე? — ნაძალადევი ინტერესით ჰკითხა ქალმა. ნიკო შეყოვნდა, იმ გესლიანი შეკითხვის მოჭიბვე ბოროტი სიხარულით აფართხალებულ გულს ჩაცხრობა აცალა და დინჯად უთხრა:

— აღმოვაჩინე. — ეგონა ქალი არ დამიჯერებს და ისევ მიკბენსო, მაგრამ თინა მიხვდა, რომ კაცი ტყუილს არ ამბობდა და წინასწარ მომზადებული ცინიკურად თანამგრძობელი ღიმილი სახეზე შეეყინა.

— სად?

— აქ.

— როგორ?

— ისე. ვიკითხე და მითხრეს, სადაც არის. ოღონდ შალვა კი არა ლადო ჰქვია, ვლადიმერი, და აქ კი არ მუშაობს, რესტორან „სამთისში“ თუ „სამთავისში“. უკან უნდა დაებრუნდეთ.

— უკან? — თინა თითქმის მექანიკურად აძლევდა შეკითხვებს, რადგან ჯერ კიდევ ვერ მისწვდნოდა მის შეგნებას, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა მართალი ყოფილიყო.

— ჰო, უკან. თურმე გამოგვივლია და ვერ შეგვინიშნავს. უკეთესი არაა?

— კი, თავი დაუქნია ქალმა. — უკეთესია, რა თქმა უნდა...

ნიკო მიხვდა, თუ რა იფიქრა ქალმა ამ უკან დაბრუნებაზე: მან უცებ იაზრა, რომ კაცმა გადაიფიქრა გზის გაგრძელება, ხელი აიღო თავის განზრახვაზე, შინ დაბრუნება გადაწყვიტა და ეს გამორჩენილი რესტორანი და იქ ბოზობი კაცის ყოფნა ამის საბაზად მოიგონა. მიხვდა ამას და გამომცდელად შეხედა ქალს, უნდოდა გამოეცნო, გაუხარდა თუ ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ თინას არც სიხარული ეტყო-

ბოდა და არც წყენა, რაღაც სულ სხვა განცდა ეხატა სახეზე: მას უცებ შეელო გაახსენდა! მთელი გზის განმავლობაში თითქმის პირველად წარმოუდგა თვალწინ მისი მომლოდინე, გზას მიციცქირებული სახე და გული დაეთუთქა, მაშინვე ისიც გაისაცნაურა, რომ ბოლოს და ბოლოს მართლა უნდა დაბრუნებულიყო შინ, სულ ერთია, წინ წავიდოდნენ თუ უკან, მართლა ნახავდნენ თუ არა იმ კაცს, შალვა იყო თუ ლადო, ბოლოს მაინც სახლში უნდა მისულიყო, რადგან სხვაგან ვერსად წავიდოდა, სხვა გზა არ ჰქონდა, ავად თუ კარგად, ჰადმე შეწყდებოდა ეს მოგზაურობა და ყველაფერი დამთავრდებოდა. ნიკოს სიტყვების სიმართლეში კი ეჭვიც არ შეჰპარვია — ეს ვერ გამოიცნო კაცმა — ეჭვიც არ შეჰპარვია, მაგრამ მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რას შეიტყობდნენ იმ რესტორანში, რამე ისეთს გაიგებდნენ, რაც დაკარგული ქმრის აღმოჩენაში დაეხმარებოდა, თუ მის არყოფნაში დაარწმუნებდა, მთავარი ის იყო, რომ ნიკოს უნდა დაშორებოდა და შინ დაბრუნებულიყო, რათა მერე მართო ქმარზე კი არ ეფიქრა, მართო მისი სიყვარული კი არ ეტარებია აუტანელ ტვირთად, ნიკოსთან გატარებული დღეების ხსოვნაც ამ ტვირთისათვის მიემატებია, იმაზეც უნდა ეტება თავი, თუ რა იყო ეს, წუთიერი გატაცება თუ ნამდვილი გრძნობა, ერთმანეთისთვის შეედარებია: ის — ტლანქი და ველური, ყველაფრის წამრთმევი და დამთრგუნველი, თავისი მტაცებელი სიმართლით მომნუსხავი და ეს — თვინიერი და მორჩილი, შეგუებული აზრებითა და ნატიფი საქციელით სანდო, უბრალო და ადამიანური სიხარულის მომცემი, რომელიც მუდამ ენატრებოდა და აწი უფრო მოენატრება, რაკილა ერთხელ იგემა მასთან ზიარების მშვიდი და ნათელი ბედნიერება.

— წავიდეთ. რაღას ველოდებით, — უთხრა კაცს და წამოდგა. — დროს ნუღარ დავკარგავთ.

— რა გეჩქარება?

ქალმა არ უბასუხა, ოღონდ ისეთი სახით შეხედა, რომ ყველაფერი ნათელი იყო: უკვე აზრი აღარ ჰქონდა ამ ერთმანეთის მომფრთხილებელ და თვალთმაქცურ თამაშს. ამიტომ კარგა ხანს უხმოდ ისხდნენ მანქანაში და თითქმის უფიქრო და გულგაწვრილებული მოლოდინით შეჰყურებდნენ კოკისპირული წვიმიან ანიაღვრებულ გარემოს: შუქფარების ქავლი ორიოდ ნაბიჯზე ჰკვეთდა ჩამობურთულ სივრცეს, წვიმის ფარდაზე ირეკლებოდა და ჭუპრის პარკივით ეხვეოდა ირგვლივ შესულითა და კაპანწყვეტით მიმავალ მანქანას. ნიკო გავაციცებით მისჩერებოდა გზას და ყოველ შენობას ყურადღებით აკვირდებოდა, რადგან უკვე, მისი ვარაუდით, მიზნის სიახლოვეს უნდა ყოფილიყვნენ და ცდილობდა, ისევ არ გამოჰპარვოდა რესტორნის არსებობის მაუწყებელი რაიმე ნიშანი, თან იმაზე ფიქრობდა, რომ ამ მერესში გზის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა და ღამის გასათევზეც უნდა ეზრუნა. მით უმეტეს, რომ მთლად გაწამებული და თავმობეზრებული თინა საავარტელში მოკუნტულიყო, ფაქეტი მხრებზე მოფუთონა და დაქანტულობისაგან ილუღებოდა.

— სადაცაა მივალთ, — შეეხმიანა ნიკო. — ეს ამინდიც რაღა ახლა გადაირია, არაფერი არ ჩანს.

— სად მივალთ? — ჰკითხა ქალმა.

— რესტორანში ამისთვის არ მოვბრუნდით?

— ჰო, ამისთვის მოვბრუნდით. მგონი მოვედით კიდევ.

ხელმარცხნივ, მოხრეშილი მოედნის სიღრმეში მთის კალთას მიკრული განათებული შენობა იდგა.

— მოვსულვართ, — თქვა ნიკომ და გულში ყინულივით ცივი, გამდნარი სიმძიმე ჩაედგარა. — თუ დაკეტილი არ არის.

მაგრამ რესტორანი ღია იყო. აქე-

დნევი მოჩანდა გამჟვირვალე ფარდებს იქით ბუნდოვნად მორიალე ლანდშაფტს.

— გააჩერე, — უთხრა თინამ.

— ჰო, მივიდეთ ბარემ და სადმე დავაყენებ. იქნებ ღამის გათევაც აქ მოგვიხდეს.

— არა, ახლა ვააჩერე. — დამხრევალი, უპაერო ხმით გაიმეორა თინამ და ნიკოს თითქოს მასი გულის ბაგაბუგიც შემოესმა.

— რა მოხდა?

— მეშინია... — თქვა ქალმა. — ხელფეხი სულ გამიშეშდა.

— კარგი ახლა, რის გეშინია, — ნაძალადევი სიმხნევით უთხრა ნიკომ, მანქანა კლდის ძირას მიაგორა და გააჩერა. — ერთ-ორ ჰიქას გადაჰკრავ და გუნებაზე მოხვალ. რისი უნდა გეშინოდეს?

— რა ვიცი... — გაღიმება სცადა თინამ. — მეშინია რაღაც...

ნიკომ მხარზე ხელი დაადო და გამამხნევებლად და თანაგრძნობით მოუჭირა. ქალმა სასოწარკვეთილი, გამოსათხოვარი მზერა მიაპყრო.

— მოდი... — უთხრა ჩურჩულით. — მოდი ჩემთან... — და სანამ კაცი მისი ნათქვამის აზრს ჩასწვდებოდა, თვითონვე მიჩრდა, ხელები მოხვია და ჩაეხუტა. გულგახეთქილმა ნიკომ კანკალით დაუტოცნა შუბლი, თმა, თვალები, ხელები, თინაც სულშეხუთული და აცახცახებული ეძებდა მის სახეს, ყურადღებას აღარ აქცევდნენ იმას, რომ ეამიყამ შემხვედრი მანქანების შუქი ანათებდა ბნელ სალონს; ვილაცამ დაუსტვინა კიდევ, ვილაცამ ყიჟინაც დასცა შეხილით ჩაქროლილი ავტომობილიდან, რესტორნის წინ განათებულ მოედანზე ვილაც მთვრალი ლანდები აბორილდნენ და ნიკო დამბლადაცემულივით გაშეშდა მათ დანახვაზე, გაშრა, გაილურსა, ქალის კალთაში გა-

სოსო პაიჭაძე

საფლავ, გზის პირას

ყუჩლა — ისინი იყვნენ, მაინც იყვნენ იქ, ქუჩის გაღმა მხარეს სანახევროდ განათებულ ვიტრინასთან; შორიდანვე მოჰკრა თვალი ვეებერთელა მინების წინ მობანცალე სამ ლანდს და იგრძნო, როგორ შეცბა და შეიძვბა მისი ძმაცაცი და როგორი სინანულით და ბოღმის მოხდით გადმოხედა მას, შემდეგ კი უხმოდ გაემართა იმ სამი ლანდისაკენ, ნიკოსთვის არც არაფერი უნიშნებია, არც უკან მოუხედავს, მომყვება თუ არაო, ამაყად გამართული და გამზადებული მიდიოდა და მისვლისთანავე მოუქნია ხელი ერთ-ერთ მათგანს, მაგრამ ვერ გამოზომა, თვითონვე წაიფორჩხილა და კედელს მიეხეთქა და ისინიც მაშინვე მისცივიდნენ და უმოწყალოდ დაუწყეს ცემა. ნიკო გაოგნებული და გახევებული იდგა ადგილზე, ციდან ჩამოვარდნილი საშველის იმედით შეჰყურებდა ამ უთანასწორო ბრძოლას და არაფრით არ ეჭერა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ხდებოდა, ვერც წინ წასვლა გაებდნა, ვერც ხმის ამოღება, შიშის ვლდით გათანგული და ხელფეხშეკრული იდგა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა ეღონა ისეთი, რაც შემდეგ სათქმელად და თავის სამართლებლად ვამოადგებოდა, რაც მერე, როცა ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, იმის საშუალებას მისცემდა, რომ ეთქვა, ასე და ასე მოვიქციე, როცა შენ მიწაზე ეგდე და ვერაფერს ვერ ხედავდიო. ის კი რამდენჯერმე წაიქცა და წამოიღგა, თავგანწირვით იბრძოდა და ყოველ გაბრძოლებაზე თანდათან ელეოდა არაქათი, ბოლოს კედელთან ჩაიჩოქა და თავზე უმწყოღ წაიფარა ხელები. ისინი ახლა დაჩოქილს მიადგნენ და უკვე ყასიდად, ყოველი შემთხვევისათვის უბრაგუნებდნენ ხან მუშტებს, ხან წიხლებს და ნიკო თავზარდამცემი ბოროტი ალტაცებით მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო, რომ ბოლო მოეღო მის უსასრულო მონობას და ტანჯვას და რომ სამუდამოდ თავისუფლდებოდა ამ ნარ-

კოზული ნეტარებათ მომნუსხველი და საძულველი სიყვარულისაგან, საოცრად იოლად, თავისთავად მოვიდა ეს ნანატრი თავისუფლება და უკვე შეეძლო დაპატრონებოდა საკუთარ თავს და დამტკბარიყო ამ თავისუფლებით. და ისეთი ძლიერი და ყველაფრის გამმართლებელი იყო ეს გრძნობა და ისე მუხანათურად ზეიმობდა კედელთან ჩამხობილ სხეულზე ყოველ დარტყმას, ისეთი გამეტებით, შეუბრალებლად, მთელი თავისი სათქმელისა და გაბოროტების ამომნთხევი ბოღმით უზაპუნებდა მომჩვარულ ტანს, რომ ამ ველურ ჭინს აყოლილმა ნიკომ მართლა გადადგა ნაბიჯი, ბორდიურში ჩაგოზილი უშველებელი ქვა ამოაძრო და ვის მოუქნია ასეთი ზიზღით, მთელი სულისა და გულის ამომტანი გინებით, იმ სამს, თუ ქვაფენილზე წაქცეულ ადამიანს? — ლოდი ერთ-ერთი მათგანის მხარზე ასხლტა და ვილაცის განწირულ ღრიალთან ერთად შეასკდა განათებულ ვიტრინას; შუშის მსხვრევის ხმამ და ელექტროსიგნალის ზრიალმა დააყრუა არემარე და შიშისაგან გონდაკარგულმა ნიკომ ძლიეს აღიქვა თავქუდმოგლეჯით გაქცეული სამი ლანდი და იმ ზეცის ჩამომქცევ ზრიალში გაიგონა სასოწარკვეთილ ზღუქუნში დამხვრჩვალი ყვირილი: „გაიქეცი, ნიკო, გაიქეცი!“, მაგრამ ნიკო ადგილიდან არ იძვროდა, ვედარც გაქცევას ახერხებდა და ვერც მისკენ მიდიოდა. რადგან ნუთუ მართლა დასასრულია ეს ყველაფერი და ნუთუ მართლა რჩება ამ უდაბურ, გულას გამტიალებლად ცარიელ და მიუსაფარ თავისუფლებაში, სადაც მთელი თავისი დღე და მოსწრება იმას უნდა ეცადოს, რომ როგორმე გამოისყიდოს ეს დანაშაული, ეს საძაგელი სულმდაბლობა, ეს დამსამარებელი მარცხი და საკუთარი თავს უნდა უმტკიცოს, რომ ამ გამბითურებელი დალატისა და ლაჩრობის მიზეზი შიში ან გულგრილობა კი არ იყო, არამედ შურისძიება, სამაგიეროს ვადახდა, ანგარიშის გას-

წორება მისი დამმონებელი სიყვარულისა და სიკეთისათვის, ვაჟაკური განცხადება იმისა, რომ უკვე აღარ სჭირდება მისი მოძალადე ერთგულება და მზრუნველობა და რომ არსებობს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმე ამქვეყნად, ვიდრე მის ავადმყოფური, თავის მომავლურებელი, ყელში ამოსული სიმართლეა. და ნიკომ არ იცოდა, მართლა ეს იყო თუ არა მისი საქციელის მიზეზი, მაგრამ იმას კი ნამდვილად გრძნობდა, რომ ამაში თავის დარწმუნება იყო ახლა ერთადერთი საშველი, რადგან საღდაც, სულ ახლოს ისმოდა მილიციის მანქანების სირენების ყმუილი და ელექტროსიგნალის გაბმულ ზრიალში ჩამხრჩვავი გულამოსკვნილი ვედრება: „გაიქეცი!.. გაიქეცი! არ მოხვიდე!... მოგკლავ!“ და ნიკოც უკან მოუხედავად გაიქცა, ბნელ ქუჩაბანდში შევარდა, დაბლა დაეშვა და უცებ გაჩახახებულ მოედანზე ამოყო თავი, ინერციით კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და დაფეთებული და თავგზაბანეული შედგა: აქ, ამ ხელისგულოვით შიშველ არეზე, ლამპიონებით გაჩირაღდებულ ხილულ სივრცეში, რომელსაც ყოველი მხრიდან ერთვოდა მტრულად ჩასაფრებული ქუჩებისა და ქუჩაბანდების ბნელი შენაკადები, ამ დანის პირივით აღესილ და თავბრუდამხვევი ხაზებით დაქსელილ ასფალტზე მას უცებ მთელი თავისი ძალმოსილებით დაატყდა თავს ის გამაოგნებელი შიში, რომელსაც ასეთი ფეთებით გამოექცა; ის შიში, რომელიც სამუდამოდ ჩასახლდა მის არსებაში, ჩაყურჩა და გაილურსა, რათა შემდეგ, დიდი ხნის მერე, ასეთი საბედისწერო და თვლისამხელი აზრით გაცოცხლებულიყო; ის შიში, რომელიც გრძელ, სლიბ, გრძნეული ელდაჟ გამთანგავ ქვეწარმავალოვით იწვა მასში, საღდაც შორს, მომავლის ნისლეულ სივრცეებში სძრავდა ტანს და იქ ამაზრუნენად მოხვანცალე კუდს ეძებდა, რათა მას შეერთებოდა, ერთიან არსებად ქცეულიყო და დასრულე-

ბული აზრი მიეცა მისი მარადიული მოლოდინისათვის! და აი, შეუერთდა ერთხელ, რამდენიმე დღის წინ, როცა რკინიგზის სადგურიდან შინ ფეხით ბრუნდებოდა: უკაცრიელ საურმე გზაზე წამოეწია კოკისპირული წვიმა, თითქოს ერთბაშად გადაიხსნა ზეცაში დაგუბებული წყალსატევების ყველა ჭებირი და თავის უშველებელ სხეულში დაუტევარი წყალი ზავითა და გრილით ჩამოიქცა ზაფხულის ხვატით დაშაშრულ მიწაზე, თვალის დახამხამებაში დაევერა უზარმაზარ სივრცეზე გადაშლილი სიმინდის ყანა, გაშმაგებულ ნიაღვრებად დაიძრა გზისპირა ფლატეებზე და ყველაფერი წალეკა. ყანების ირგვლივ შემომდგარი ქარსაფარი ზოლი მიწას განერთხო, უხილავი მდინარის ნაპირებზე აბურღული ბამბუკის რაყაც საცოდავად ცახცახებდა ფოლადის როზგებქვეშ და მდინარეში გადასახტომად გარბოდა, დაფეთებული ნიკოც აქეთიქით აწყდებოდა და თავშესაფარს ეძებდა, მაგრამ უღმობელი, მოთარეშე, მოზეიმე წვიმა ყველაფერს თქერავდა თავისი მძიმე და გაფიცებული ფლოქვებით და აღვირახსნილი მიეკენებოდა მიუსაფარ სივრცეზე, ტყვიისფერი ღრუბლებით ჩამოქუფრულ თვალსაწიერზე კი შენობის ნასახიცი არ ჩანდა და ნიკომ ისევ მდინარის პირას ჩაწულჩაბურღულ ეკალბარდებსა და თხმელის ბურჩქებს მიაშურა, მაგრამ ჩასვლისთანავე გულგახეთქილი ამოვარდა ზევით, რადგან გაცოფებული მდინარეც ავისმომასწავებელი სისწრაფით აესებდა ჩაღნიშებული კალაპოტის ნაპირებს და არემარეს წალეკვით ემუქრებოდა; ნიკო ისევ გზაზე გავარდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა, მაგრამ გალუმპული და ტყვიასავით დამძიმებული ტანსაცმელი ლაჩებში ეკვროდა და ფეხებს უბორკავდა, თან სულ უფრო და უფრო გაგიჟებული

სოსო გაიზაძე  
საღდაც, გზის პირას

თქვენი მსუილით აწყდებოდა თავ-პირში და უეჭველ დახრჩობას უქადავდა; მაინც გარბოდა, დახრჩობის შიშით კი არა — თუმცა ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ თუ გამიგონია, წვიმას აღამიანი დაეხრჩოსო — დახრჩობის შიშით კი არა, რაღაც უსაზნნო ყინით შეპყრობილი, დაუოკებელი ყმუილითა და ყელში მობჭენილი მგუდავი აღტაცებით გარბოდა აღვართქაფებულ შარაზე, თან გაფოთებული აცეცებდა თვალებს, რომ სადმე აღამიანის არსებობის კვალს წასწყდომოდა, დაენახა სახლი ან ფარდული, ან ნანგრევი მაინც, რათა ეგრძნო, რომ მთლად მარტო არ იყო ამ პირველყოფილი წარღვნის წიაღში, რომ ვინმეს დაენახა ეს თავგანწირული და გმირული ბრძოლა, ღიანამგრძნობელი მზერით გაემხნევებინა, თავისი უმოქმედო არსებობით მაინც შეშველებოდა და დაეფრთხო ის ველური, ასეთი ბედისწერული მუქარით რომ მოსდევდა უკან, ის უხილავი და დაუნდობელი, რაღაც ცუდსა და უსამართლოს რომ უპირებდა და უცებ, როგორც დაწყების მომასწავებელი ნიშანი, ზედ მის თავზე გაიხლიჩა ჩაკუპრული ზეცა, მკახე ნათელი კიდით კიდემდე გაიხლაქნა ცის ტატანზე და სანამ გამაყრუებელ გრი-ალსაც გაიგონებდა, თავზე ხელებწაფარებული ყვირილით დავარდა ძირს და პატეებისა და მონანიების ვედრებით ჩაეხუტა სადღაც, სულ ახლოს ჩამოვარდნილ მცხით შეძაგდაგებულ დედამიწას — მკვლელი! მკვლელი! იგი მოდის იარაღმომარჯვებული და თავისი სიმართლით გაამაყებული, ლამაზი ამ სიმართლით, უძლეველი ამ სიმართლით და მისი ყოველი ნაბიჯი მშვენიერია, ყოველი მოძრაობა წარმტაცია პირველიდან უკანასკნელ შეტოკებამდე, როცა თითს დააჭერს დამიზნებული იარაღის ცივ სახსლეს! — ვიღაც მხრებზე ეჯაჯვრება, თავს უწევს და წამოყენებას უპირებს — „ნიკო, ნიკო!“ — ჩასძახის ქალის შემფოთებული ხმა და ნიკომაც ნელ-ნელა

გაისაცნაურა თინას კაბის რბილი ქსოვილი, მისი სხეულის მანუგეშებელი სითბო და სურნელი და ერთხანს ისევ მის კალთაში თავჩარგული და განაბული იწვა, მერე წამოიწია, გაიმართა, სახე მოისრისა... — არაფერია... — უთხრა ქალს და ხელისგულზე აკოცა. — რაღაც თავბრუ დამეხვა... გამიარა უკვე.

— დაილაღე ალბათ, — თქვა ქალმა. — მშიერიც ხარ არ შევიდეთ?

— უნდა შევიდეთ, აბა რა ვქნათ.

ნიკომ ავტომობილი მოაბრუნა, რესტორნის წინ მოწყობილ სადგომზე შეაგორა და სახურავიდან მოთქიშინე წყლით აქაფებულ კიბესთან გაჩერდა.

— რამე წამოიხურე, — უთხრა ქალს და უკანა სავარძელზე მიგდებულ პიჯაკს გადასწვდა, რომ მისთვის მიეწოდებინა, მაგრამ თინამ მანქანის კარი გააღო და იმ თავსხმაში კაბის ამარა გადავიდა, არც გაქცეულა, არც ნაბიჯს მოუჩქარა, ნელა, ლოდინ-ლოდინით წავიდა რესტორნის შესასვლელისაკენ და სანამ ნიკო პიჯაკს ჩაიცვამდა და მანქანიდან გადმოვიდოდა, თხემით ტერფამდე გაილუმბა. ნიკო სირბილით წამოეწია, მკლავში ხელი წაავლო და ლამის ძალით შეაგდო კარებში და მაშინვე, თითქოს მათ მოსვლას ელოდაო, დარბაზში დაფა-ზურნის ხმამ იფეთქა, თამბაქოს კვამლით აქოთებულ ბუდთან და მთვრალეულ გნიასთან ერთად დაეძგერათ სახეში და ორივე ზღურბლზე გააშეშა.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — ამ ყაყანსა და ჭყვიტინში გამოაღწია ვილაციის ომახიანმა შეძახილმა და ბავშვებივით ხელიხელჩაკიდებულ თინასა და ნიკოსკენ ვულმოდღღეზილი და მასპინძლურად ხელგებაშლილი კაცი გამოემართა, ეტყობოდა, ორთავეს გულში ჩაკვრა განეზრახა, მაგრამ მუსიკის ცეცხლოვანმა რიტმმა ესტრადისაკენ გაიტყუა და ზედ შემოსკუპებულ დაქიჩმაჩებულ დამკვრელთა წინ ბაღდაღური ჩაახუჭუჭა. თინამ და ნიკომ დრო იხელთეს, კედელ-კედ-

დელ გაიძურწნენ დარბაზის მოპირდაპირე კუთხისკენ, ცარიელ მაგიდას მიუხდნენ და გარემო ექვით მოათვალიერეს: ბობრი კაცი ჯერჯერობით არ ჩანდა; ერთმანეთზე მიტყუებულ მაგიდებთან რამდენიმე კაცი ქეიფობდა და ხორაგის ნამუსრევით დაზვიანულ სუფრასა და ირგვლივ დახვავებულ ცარიელ ბოთლებზე ეტყობოდა, რომ ღრეობა დასასრულისაკენ მიდიოდა; კარი გაიღო და დარბაზში კიდევ სამი კაცი შემოვიდა, ალბათ ისინი, წელან მანქანიდან რომ დინანხა ნიკომ; ორი მათგანი სუფრისკენ გაემართა, მესამემ კი მკლავები გაშალა, პოპ-პოპის შეძახილით შეუერთდა მოცეკვავე კაცს და უშველებელი ღიმი შეათამაშა; სუფრასთან მსხდომებმა გამამხნევებელი ყიჟინა დასცეს და ვილაკამ ღიმი წითელი ვაშლიც სტყორცნა, მაგრამ ღიპიანი ვერ შესწვდა, ვაშლი კედელს მოხვდა, ასხლტა და თინასა და ნიკოს მაგიდასთან დაეცა. „ბოდიში, მეგობარო!“ — გამოსძახა ნიკოს ვაშლის მსროლელმა, სკამიდან წამოიწია, გულზე ხელი მიიღო და მოწიწებით დახარა თავი — „ბოდიში მომიხსენებია“ — და თინას გაუღიმა: — მპატიეთ, დაიკო“, თინამაც შეცბუნებული ღიმილით დაუქნია თავი, კაცმა კი რალაც გადაულაპარაკა თანამეინახეებს და იმთაც, ზოგმა აშკარად, ზოგმა შეფარვით დაუწყეს ჰკრეტა გალუმბულ, თმაგაწუწულ ქალს; ნიკომ აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ შეენიღბა თავისი უხერხული მდგომარეობა და როგორ განედევნა რალაც ავისმომასწავებელი განცდა, რომელიც ახლა კი არა, მაშინვე დაეუფლა, როცა კედელ-კედელ მიიპარებოდნენ ცარიელი მაგიდისაკენ და ცალ თვალს თინასაკენ აპარებდა — ტანზე მიკრული სველი კაბა ისე თვალსაჩინოდ და გამომწვევად აქანდაკებდა ქალის ჩამოქნილ ნაკვთებს და ეს ჩამოწუწული თმაც ისეთი ხელწამოსაკრავი სიმსუბუქითა და ავბორცული ეშხით მოსაედა მის გარეგნობას, რომ აქ

აუცილებლად რალაც მოხდებოდა, მაგრამ ნიკოს ამ მოსახდენის მოლოდინი კი არა, უფრო იმის შეგნება აფრთხილდა, რომ ქალმაც იგრძნო ეს სიტუაცია და წინასწარ დაიჭირა მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დაცვის თადარიგი: ერთთავად შეიმართა და შეიძგება, განწყობა და გამომეტყველება გამოიცვალა, საგანგებოდ გაუუცხოვდა ნიკოს, თანდათან მიატოვა და ვილაკ უფრო საიმედო და ნაცად მფარველს ჩაბარდა — ქმარს! ეს აშკარა იყო — ქმრის სული გამოიხმო, გვერდით ამოიყენა, მის ბუნებასა და ძლიერებას შეეხიზნა და იქიდან გახედა მოქეიფე კაცების მიძძგურებულ ყურადღებას, ცბიერი ქალური განზრახვით და ფრთხილი მედიდურობით მიუჩოჩდა, თითქმის ისე, როგორც უფროსი ძმის სიახლოვით გულმოცემული ბიჭი წაეყინება მასზე უფრო დიდსა და ღონიერ ბიჭს და ნიკო მიხვდა, რომ აქ დამთავრდა მისი მეუფება, რადგან უკვე თვითონაც ისეთივე უცხო და შემთხვევითი მამაკაცი იყო თინასათვის, როგორც ესენი და თვითონაც იმდენივე უფლება ჰქონდა მასზე, როგორც ამათ, უფრო სწორად, არც მას და არც ამათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ, რადგან ქალი მთელი თავისი გარეგნობით, ლამის გამომწვევი სითამამითა და აშკარა გადაწყვეტილებით სხვას ეკუთვნოდა, მათზე უფრო ნაღდა და სანდოს და ამ კუთვნილების შეგნებით იყო ამაყი და თავისუფალი და თუ უნდოდა, ასე სველ კაბაში გამოკვალთული და გამაღიზიანებელი კი არა, მთლად შიშველი დაჯდებოდა ამ მთვრალი კაცებისა და ნიკოს წინაშე და, საერთოდ, როგორც მოებრიანებოდა, ისე მოქეცოდა — ქალი უკვე ემზადებოდა ამ თავისუფლებისათვის, თავისი ჰკვიანი და აწონილ-აწონილი გრძობებით დაქანცული და გაბურბებული ნელ-ნელა უახ-

სოსო პაიშაძე  
საღვაც, ზვის პირას

ლოვდებოდა ბახუსის საუფლოში თავაშვებულ კაცების მაცთურ სილაღეს და უკან მოუხედავად შორდებოდა ნიკოს, ამან კი აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რამე ეთქვა და გაეკეთებინა ისეთი, რაც ქალს გონიერებისაკენ მოუხმობდა და ამ საღდაც მიმავალ გზას გადაუღობავდა, თუ ამის უფლებაც აღარ ჰქონდა ახლა, როცა საღამე აქ უნდა ყოფილიყო ის ბობრი კაცი და აგერ-აგერ უნდა შეეტყვოთ ის ამბავი, რაც ყველაფერს დაასრულებდა, ბოლოს მოუღებდა მის უფლებებს და ქალს კანონიერ პატრონს დაუბრუნებდა, სულ ერთია, შვედარი იქნებოდა ეს პატრონი თუ ცოცხალი; მაგრამ ბობრი კაცი ჯერჯერობით არ ჩანდა, არც მომსახურე პერსონალთან ჩანდა ვინმე, ამიტომ ნიკომ აქეთიქით თვალის ცეცება და ოფიციალის ძებნა დაიწყო, რომ ამით მაინც შეენიღბა თავისი გასაპირი და თინას ყურადღებაც მიეპყრო, მაგრამ ქალზე აღრე ერთმა მოქეიფემ შენიშნა მისი წრიალი, ფეხზე წამოხტა და მთელი ხმით დასჭექა:

— ოფიციალტ, სტუმრებს მიმიხედეთ!

მაშინვე ერთი კაფანდარა კაცი გამოცხტუხდა კედელში დატანებული ჭრილიდან, ღიმილით და თავის კანტურით მიეახლა დამძახებელს, იმან კი რაღაც უჩუჩჩულა, მხარზე ხელი დაჰკრა და გაუშვა.

— მეგობარო, მეგობარო! — მიამახა შეწუხებულმა ნიკომ, მაგრამ ოფიციალტი უკან მოუხედავად გაუჩინარდა იმავე ჭრილში. ნიკო წამოდგა და გამოდევნება დააპირა, მაგრამ თინას მარტო დატოვებაც ვერ გაბედა და ისევ დაჯდა, თან უხერხულად გაუღიმა ეშმაკური ჩანაფიქრით მომზირალ კაცს, რომელიც ხელებით რაღაცას ანიშნებდა და ამედებდა და სანამ ნიკო ამ ნიშნებს ამოიცნობდა, ოფიციალტმა უშველბელი ლანგარი მოარბენინა, თავაზიანად მიესალმა და სუფრის გაწყობას შეუდგა. ცქაფად,

მარჯვედ ალაგებდა მაგიდაზე ათასნირი დელიკატესით სავსე თეფშებს, მეორე გზობაზეც ერთი იმდენი მობრტანა, თან ოთხი ბოთლი შავი ღვინო და ორი შამპანური მოაყოლა და გაოგნებული ნიკოს თვალწინ დასხნა.

— კი მაგრამ, რა ამბავია ამდენი ხორავი, რომელი დევები ჩვენ გვანხე?! — უთხრა ოფიციალტს რაღაცაში დაქუცებულმა და გულშემოყრილმა.

— მიბრძანეს, ბატონო, — მოქეიფეებზე ანიშნა ოფიციალტმა.

— რა საჭიროა, — წამოდგა ნიკო, მაგრამ თინამ სახელოზე მოქაჩა და დასვა.

— შეეშვი, — უთხრა წყნარად, — მაინც ვერაფერს გახადები.

ნიკო მიხვდა, რომ ქალი მართალი იყო და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, გაღმიდან მოჩიჩინებულ კაცს ხელების გაშლით ანიშნა, რა არის, რას ჰგავს ეს ყველაფერიო. ის კი წამოდგა, ღვინიანი ჭიქა აიღო და მათკენ გამოემართა.

— ნება მიბოძეთ, სუფრა დაგილოცოთ, — თავაზიანად და ამაყად თქვა მოსულმა — იცოცხლეთ, ქალბატონო, — თავი დაუკრა თინას, შემდეგ ფეხზე წამომდგარ ნიკოს მიმართა: — კარგად ბრძანდებოდეთ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. ღმერთმა შეგარგოთ ეს მშვენიერი სუფრა.

— გაგიმარჯოთ. დიდი მადლობა, მაგრამ რა საჭირო იყო, რატომ წუხდებოდით. — უთხრა ნიკომ და ჭიქა მიუქახუნა.

— მაგას ნუ მიწყენთ! — თითის აწევით გააფრთხილა კაცმა. — ქართველები ვართ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. გარდა ამისა, — დღევანდელი დღე ჩვენ გვეკუთვნის, — ხელით ანიშნა თანამეინახეებზე. — დღეს ზეიმი გვაქვს და ამიტომ მასპინძლობაც ჩვენზეა. ისე, თუ გვიკადრებთ და შემოგვიერთდებით...

— არა, გმადლობთ. ჩვენ მალე უნდა წავიდეთ. — უთხრა ნიკომ, — დიდი მადლობა.

— ა. ქალბატონო რას იტყვის? — ახ-

ლა თინას მიეხატაცია კაცი და თვალუ-  
ბით შექამა.

— არა, არა, დიდი მადლობა, — უთ-  
ხრა თინამაც. — კარგად ბრძანდებო-  
დეთ. — და შამპანური მოსვა.

— ბოდიში, აბა, — თავი დაუქრა კა-  
ცმა, თავზიანად გაეცალა, ორიოდ ნა-  
ბიჯის შემდეგ, მუსიკაო, ილრიალა, ხე-  
ლები გაშალა და აგრიალბული დაფა-  
ზურნის ხმაზე დაუარა.

— მაგარი ვინმეები ჩანან, — უთხრა  
ნიკომ თინას: — რა ვქნათ ახლა?

— რა უნდა ვქნათ, ვიქეიფოთ, —  
თქვა ქალმა და ისევ აიღო ღვინით სავ-  
სე ჭიქა, — გაგვიმარჯოს, ჩვენს გაცნო-  
ბას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს, — გაეცინა ნიკოს. —  
იმედია, აწი არ დავკარგავთ ერთმა-  
ნეთს.

— იმედია.. — თქვა თინამ. — ხომ  
იცი, ღვინოში გაცნობილი აღამიანი...

— დალიე, ცოტას შეგათობბს, თო-  
რემ მთლად სველი ხარ, გაცივდები. —  
ნიკო უკვე ამ პირმოთნე და ლაქუცა  
მზრუნველობის გამოჩენითა ცდილო-  
ბდა ქალის შეჩერებას, თითქმის ევე-  
დრებოდა და თავს აბრალბდა, ესლა  
დარჩენოდა ერთადერთ იმედად, მაგრამ  
თინა ულმობელი იყო:

— არ გავცივდები, — თქვა მან, —  
გავში უკვე, — ჭიქა კი მაინც გამო-  
ცალა.

ნიკო მიხვდა, რომ ყველაფერი ამო  
იყო.

— ყურადღება, მეგობრებო! — გაი-  
სმა მოქეიფეთა სუფრაზე ვილაციის  
სააღლუმო ბრძანება და დარბაზიც მა-  
შინვე დაშოშმინდა, თინაც და ნიკოც  
გაჩუმდნენ და ფეხზე წამოდგარ სა-  
ხეგაბადრულ კაცს მიაჩერდნენ, რო-  
მელიც ალბათ თამადა უნდა ყოფილ-  
იყო. — ყურადღება! მე მინდა შემო-  
გთავაზოთ ერთი ძვირფასი სადღეგრ-  
ძელო. დღეს ჩვენს მამაკაცურ ღრეო-  
ბას შემოუერთდა შესანიშნავი მანდი-  
ლოსანი და თავისი მობრძანებით გაანა-  
თა ეს პირქუში, გარემო!

— ოო! — შესძახეს ერთხმად, ორმა-

სამმა ტაშიც შემოჰკრა და ყველანი  
ფეხზე წამოდგნენ, სავსე ჭიქები აიღ-  
და თინასაკენ მობრუნდნენ. თანამეი-  
ნახეთა ერთსულოვანი მხარდაჭერით  
კმაყოფილმა თამადა კი კვლავ საზეი-  
მო ხმით გააგრძელა:

— საქართველოში ძველი დროიდან-  
ვე სუფევდა ქალის კულტი. ჩვენც ქარ-  
თველები ვართ და ჩვენი ვალია შევი-  
ნახოთ და დავიცვათ ეს დიდებული ტრადი-  
ციია. ამიტომ მეგობარს არ ეწყინება,  
თუ ცალკე შევსვამთ მისი მომხიბველი  
მეგობრის... — თამადა განგებ შეყოყმა-  
ნდა და ნიკოს შეშველების მოლოდინში  
შეკითხვის გამომხატველი ტონით დაუ-  
მატა: — თანამშრომლის... მეუღლ...

— მეუღლის... — ღიმილით ჩამოართ-  
ვა ნიკომ და რატომღაც თავი დაუქნია,  
თინა კი, სანამ თამადა მათი ურთიერთო-  
ბის გამოცნობას ცდილობდა, ჩადარა-  
ჩებული და სუნთქვაშეკრული ელოდა  
ნიკოს პასუხს და როცა ეს პასუხიც გაი-  
გონა, გული მოეძმარა, თუმცა თვითო-  
ნაც ხვდებოდა, რომ ახლა, ამ ვითარება-  
ში მხოლოდ ეს იქნებოდა ერთადერთი  
გონივრული პასუხი, თუ უნდოდათ, რომ  
როგორმე შეენელებინათ მთვრალი კა-  
ცების აგრესიული თავაზიანობა და ყუ-  
რადღება, მაგრამ გული მაინც მოეძმარა,  
რადგან მეტისმეტად გამოთვლილი, თა-  
ვის შესაფარებლად საიმედო და დამა-  
მკირებლად პრაქტიკული იყო ნიკოს  
ნათქვამი სიტყვა „მეუღლე“, ისეთი უა-  
მური და პროტესტის აღმძვრელი სიბ-  
რალულობით დააწვა ქალის გულსა და გო-  
ნებას, თითქოს ბაზრის შესასვლელში  
მჭდომარე მათხოვრის შარვლის ტოტი-  
დან გამოყოფილი ნაიარვეი ტაკვი დაენა-  
ხოს, თვალცი ისე მოარიდა ნიკოს დაბ-  
ნეულ და პატიების მთხოვნელ ღიმილს,  
როგორც მათხოვრის წინ ქვაფენილზე  
გადმობრუნებულ ქუდს და ყველაფერს  
მიმხვდარი კაცების ირონიულ ღიმილს  
შეხედა, ისინი კი თამადის სიტყვის და-  
მთავრებას აღარ დაელოდნენ და ქალის

სოსო პაიჭაძე

საღვაც, ზვის პირას

შეთქმულებრივი გამოხედვით წაქეზებულნი, ერთად აყაყანდნენ, ჰიქების ჰახუნნი ატეხეს და ლამაზ-ლამაზი და მალაფარდოვანი სიტყვების კორიანტელში ადღერგძელეს თინა.

— მეუღლე არ მალდგრძელებს? — დაუფარავი ირონიით ჰკითხა თინამ ნიკოს და ჰიქა აიღო. — მალე, სამადლობელი უნდა დავლიო.

— ყოჩაღად იყავი, — უთხრა ნიკომ, — მთელი ცხოვრება წინ გაქვს...

— გამოსათხოვარია?

— შენ როგორ გრძნობ?

— მე ვგრძნობ, რომ რაღაც სისულელეს ჩავიდნენ... ღმერთო, მიშველე! თქვა თინამ და სახეზე ხელები აიფარა.

— ბედნიერებას გისურვებ, — უთხრა ნიკომ და ჰიქა მიუჰახუნა. — ნუ დათვრები ძალიან.

— გეშინია?

— ჰო, — თავი დაუქნია ნიკომ.

— აღარ შეიძლება ამდენი შიში! — იყვირა თინამ და ჰიქას ხელი დაავლო. — აღარ მინდა ამდენი შიში!

— ნუ ნერვულობ, ყველაფერი კარგად იქნება, — ძლივს გამოდგრა კაცმა: — დადგი ეგ ჰიქა.

თინამ საყვედურით კი არა, თითქმის სიძულვილით შეხედა და ჰიქა სულმოუთქმელად გამოსცალა.

— მეგობრებო! — ისევ გაისმა თამადის ხმა. — დღეს ჩვენ აქ უბრალო ქეიფი არ გვქონია. უმიზეზოდ ღვინის სმანია და დროსტარებას არ ეშხი აქვს! ქართველი კაცი ყოველთვის დიდი სიხარულის დროს იღხენდა: ქორწილში, დღეობაში, ნათლობაში, ომში გამარჯვებული და ასე შემდეგ. ჩვენც დიდი გამარჯვების დღე გვაქვს დღეს, მშვიდობიან ბრძოლაში გამარჯვების დღე! ჩვენმა გამარჯე კოლექტივმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე და გადაკარბებით შეასრულა წლიური გეგმა-ვალდებულება! — თანამეინახეებმა ტაში დასცხეს. — ეს ჩვენი კოლექტივის დიდი გამარჯვებაა. ამ ლხინის უფლება ჩვენი ოფლით მოვიპოვეთ. გაუმარჯოს ლხინისა და ზეიმის უფლებას! აბა, ერთხმად!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — შეხახუნის სუფრის წვევრებმა. ატყდა ჰიქების ჰახუნნი და გადაძახილ-გადმოძახილი. შემუსიკეებმა მთიულური დასცხეს. თამადამ ნიკოს ანიშნა, ჰიქა ასწიე და შემოგვიერთდით, შემდეგ კი თინას დაადგო თვალი, მკლავები გაშალა, ძუნძულით შემოუბრინა ქალს, თავი დაუკრა და სცეკვაოდ გაიწვია. თინამ ნიკოს შეხედა, მაგრამ ეს არ იყო ნებართვის მთხოვნელი მხერა, — ნიკომ იმწამსვე დინახა ეს — ასე შეხედა ერთხელ დედან, როცა სტუმართან ერთად საღდაც მიდიოდა და თავის სიცოცხლეში პირველად ტოვებდა შინ დაფეთებულ და მტკივნეული ეჭვით გულგასენილ ბიჭს, შეხედა მისთვის უჩვეულო და თავის უფლებებში დაეკვებული სინანულიანი სიხარულით, სიბრალულითა და პატიების უსიტყვო მუდარით, რაღაცის ამხსნელი გულდათუთქული ღიმილით... აი, ასე ზღურბლზე შემდგარი და წასასვლელად გამზადებული მომნანიებელი სახით შეხედა თინამაც, გულდაწყვეტით გაუღიმა, ნაუცბათევედ გამოემშვიდობა და ახორხოცებული დარბაზის უცნობ თავისუფლებაში გადააბიჯა; და მოქიფეებმაც ღვინისაგან წაქეზებული გუმანიით იყნოსეს თავიანთი გამარჯვება, საბრძოლო ყიყინით წამოიშაღნენ, ტაში-ტუშითა და ცეკვა-თამაშით შემოეხვივნენ თინას და ნიკოს, ციმციმ აიტაცეს მათი მაგიდა და თავიანთი სუფრისაკენ გააქანეს, ისე რომ ყურად არ უთხოვებიათ ნიკოს უნიათო და ვალის მოსახდელი პროტესტისათვის, ვალდებულმა თამადამ კი კიდევ ერთხელ შემოუცეკვა თინას, ფეხზე წამომდგარმა თინამაც უქანასკნელად შეხედა ნიკოს, თითქოს ანიშნა, მალე მოვალ, ჰკუთით იყავიო და ნიკომაც დამჯერე ბავშვივით დაუქნია თავი, მაგრამ გული ახალმა და უფრო მწარე ეჭვმა გაუფლითა — ქალი უკვე მარტო მას კი არა, ქმარსაც გაუბრბოდა, ველარც მისმა ძალამ და უფლებამ შეაკავა და სხვა-სთან წავიდა! თავის მარცხს უკვე შეგუებული იყო ნიკო, კარგა ხანია მიხვდა, რომ თვითონ აღარ შესწევდა ქა-

ლის შეჩერების უნარი და ამიტომ უბრძოლველად გადააბარა ქმრის სულს, ისევ მას დაუბრუნა და თვითონ გულდაჭრებით გადგა ვანზე, მაგრამ ახლა ქალი იმასაც ტოვებდა და ამ მთლად უნამუსო და თავაშვეებულმა დალატმა ნიკოს სულ ბოლო მოუღო. თინა კი სწორედ ამას ელოდა, უკანასკნელ წამს დაიჭირა ნიკოს განწყობა და ამით წაქეზებული და თავისი ბუნდოვანი სიმართლით გამხნეებული გაჰყვა ვიღაც მესამე კაცს, თამადას კი არა, — თრობის აღვირახსნილი თავისუფლებით გაბრუნებულ დარბაზს, ყველას ერთად, მთელ ამ მოყაყანე, მოჰყვიტინე, ავბორცული ვნებებით ატაცებულ გარემოს, რომელიც მას ითხოვდა, უხმობდა, ნაღდი და დაუფარავი სურვილით ეძახდა, მიუკიბ-მოუკიბავი გულწრფელობითა და გაშიშვლებული გრძნობით უღებდა გულს და სხვა არაფერი არ უნდოდა მასთან ყოფნის გარდა, მთელი არსებით მას ეკუთვნოდა და არაფრის არ ეშინოდა — აქედან უფრო შეიძლებოდა უკან დაბრუნება! ახლა, როცა წუთიწუთზე იყო მოსალოდნელი ბობრი კაცის გამოჩენა და რალაცის შეტყობა, ქალი უკან დასაბრუნებელ გზას იტოვებდა, უკანასკნელი თავგანწირვით ცდილობდა იმის გაკეთებას, რასაც ნიკო ვერ ახერხებდა, ვერ ახერხებდა კი არა, არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა — თინამ წელანვე შენიშნა, რომ კაცი შიშის ფეთებით ეძებდა ამ გამოსავალს, რესტორანში შემოსვლამდე და შემოსვლის შემდეგაც იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო, რომ თავი დაეხსნა ამ ვასპირისაგან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავტომობილში მონდა; მას შემდეგ, რაც ამ ქვიშიან ნაპირზე ჩამოვიდა და პირველად მოისმინა თინას ქმრის ამბავი; მას შემდეგ, რაც მისი მოძებნა და სიმართლის გაგება გადაწყვიტა; მას შემდეგ, როცა პირველად შეეხო ქალს მოყანყალეებულ ბონდის ხიდზე და პირველად ჩასახლდა მასში ეს უცნაური, გაუგებარი, მოუშორებელი შიში, რომელსაც მალავს და ვერც მალავს, უმხელს და ვერც უმხელს და

მინც რომ გრძნობს ქალი მის ყოველსიტყვასა და საქციელში; ახლა კი თინა კვანძის გახსნა მოახლოებულია და ყველაფერი ავად თუ კარგად უნდა დასრულდეს, მთლად გონდაბნეულია ამ შიშით და მხოლოდ თინასგან ელოდება ხსნას და საშველს — როგორ აშკარად ეტყობა ეს შეცბუნებულ და ახალი სიმართლით გამხნეებულ სახეზე, როგორი სიძულვილითა და უპატიებელი საყვედურით უყურებს მთვრალი კაცების წრეში მოცეკვავე და მოკისკისე თინას, თითქოს მართლა არაფერი არ ყოფილა ან ყველაფერი ტყუილი და უზნეო ქალის თვალთმაქცობა იყო: ის დაუვიწყარი საღამო ბონდის ხიდთან, ის მითრთლვარე შეხვედრები მდინარისპირა ქალებში თუ ქვიშრობებში, ის ორპროვანი, მომავლის წინაშე თავის გამმართლებელი საუბრები უკაცრიელ სანაპიროზე, ეს აფორიაქებული ვნებებით ჩაქროლილი გზა, ეს მონატრებული და მადლიერი ალერსი შემხვედრი მანქანების შუქით განათებულ კაბინაში — არაფერი არ ყოფილა, ან ისეთივე ავბორცული ჟინი იყო, როგორც ეს თრობა, როგორც ეს გამომწვევი სიცილ-კისკისი, როგორც ეს ტოკვა და ცახცახი გაღეშილი კაცების ალყაში! ო, ეს ურცხვი, უნამუსო, მოლაღატე დიაცი, ეს უზნეო გულისტქმებს აყოლილი კახა! როგორ უცაბედად გაიყიდა, როგორ პირველსავე ქიქაზე გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე და გაათავისუფლა ნიკო ამ სინდისის მქენჯნავი დანაშაულისაგან, ამ შიშისაგან, მოუშორებლად რომ სდევს ყველგან, როგორც საკუთარი აჩრდილი! მაგნე, გულის მკორტნავი სიხარულისაგან აფართალეებულ თინას კი უკვე ფესსაცმელებიც აწეძრო, კასტანიეტებით ეპირა აწეულ ხელეგში, ერთმანეთზე ატაცუნებდა და კი არ ცეკვავდა — დათუთქული ფეხისგულებით მიხტოდა ცხელი ფარდაგის ხაოიან ზედაპირზე, კი არ აბიჯებდა — შიშველი ტერფების აწივლე-

სოსო კაიხაძე

სადავ, ზნის პირას

ბული ნერვებით ეხებოდა გავარვარ-  
ბული ქვიშრობის მწველ სიტკბოებას,  
კი არ გაუბოდა — სულწასული მოლო-  
დინის ელდით გაქნეული უსხლტებოდა  
დასაქერად გამოდევნებული კაცის ხე-  
ლებს და — „აქ, ამ ცხელ სილაში უნდა  
გავაჩინოთ ჩვენი შვილი!“ — ყვიროდა  
კაცი და ეს სიტყვები, ეს სიცოცხლის  
პირველყოფილ აზრში ჩაუტყუებლად  
ბული ღალადი ორივეს ველური ვნე-  
ბით ათრობდა და ქალის მთელი არსება  
თავდავიწყებით როკავდა შორეული  
უღრანებიდან გამოხმობილი ტამბამე-  
ბისა და ბუკების ხმაზე; და — „არ შეხ-  
ვიდეთ! ჩამოინგრევა ეს გვირაბი, ჩამოი-  
ცრევა!“ — ყვიროდა იგივე ხმა თვით-  
მცლელი მანქანის კაბინაში და დარბაზს  
აზანზარებდა აღმუვლებული ძრავის და-  
მანგრეველი ვიბრაცია; და — წკაპ! მუ-  
სიკის, ტაშის, ძრავის გრიალში გაისმა  
უცნაური ჩქამი და ვილაძამ თვალს გაა-  
ხილა და დაინახა საწოლიდან ჩამოვარ-  
დნილ საბანში წამოყუნტული ბავშვი  
და ღია სარკმელთან მშვიდად მძინარე  
ქალი, რომელსაც მკერდსა და სახეზე  
ფინა უჩინარი მთვარის შორეული ნა-  
თელი და შემდეგ გაისმა კაცის სასწაუ-  
ლი ხმა: „ნუ გეშინია! ნუ გეშინია!“ და  
მერე იგივე ხმა საზარლად აქვითინდა  
ელექტროზარის გამბულ ზრიალსა და  
სირენების გულგამყინავ ყმუილში: —  
„არ მოხვიდე, ნიკო, გაიქეცი, არ მოხ-  
ვიდე! მოგკლავ!“ მაგრამ ნიკო გაშეშე-  
ბული იდგა, მუსიკის ქყვიტინში, მემთ-  
ვრალეთა ხორხოსა და ბრაზა-ბრუხში  
ღვინით აგუგუნებულ და გაბრუებულ  
გონებაში უსმენდა ამ ჩაუტყობელ და  
მშობლიურ ხმას, ამ გამამხნეველ მო-  
წოდებას, ამ მონატრებული სიმართლი-  
თა და სინათლით გაცისკროვნებულ ლო-  
ცვას და თვითონაც ერთბაშად გაივსო  
ამ სინათლითა და სიხარულით, მახრჩო-  
ბელა აღტაცებამ გაუძაგრა ყელი, ღვი-  
ნით გალიცილიცებული ტოლჩა ჩაბლუ-  
ჯა, აიტაცა და — სიმთვრალისაგან გამ-  
რუდებული აღქმის ბრალი იყო თუ სხვა  
რამისა — პირველი სიტყვის წარმოთ-  
ქმისთანავე მოეჩვენა, რომ უცნაურად

შეცვლოდა ხმა, თითქოს თვითონ კი არა,  
ვილაც სხვა ლაპარაკობდა მისი პირით,  
„ყოველ სიკვდილს თავისი სიმართლე  
აქვს...“ — თქვა და სულის მოსაბრუნე-  
ბელ შეყოვნებაში ზედ ყურთან გაიგონა  
თინას დაზაფრული ხავილი: — „გაჩუმდი!  
თუ ღმერთი 'გწამს, გაჩუმდი!“ — მაგ-  
რამ უკვე გაჩუმება აღარ შეეძლო, სი-  
ტყვები თავისით დაიძრნენ გულიდან,  
მოკუმული ბაგეები გამოხეთქეს, გალა-  
ქლავებული სახეების უსიერ ტვერში  
და დარბაზის ნისლეულ უდაბურობაში  
განიბნენ: — „ჩვენ გვინახავს, როგორ  
ეგებებოდნენ ადამიანები სიკვდილს ერ-  
თი გოჯი მიწის დასაცავად, გვინახავს,  
როგორ კვდებოდა მეგობრის გადასარ-  
ჩენად თავგანწირული მემომარი. იყო  
ამ სიკვდილებში შემადრწუნებელიც  
თავისი უაზრობით და აღმაფრთოვანე-  
ბელიც თავისი სიდიადით, მაგრამ ეს  
ყო ომი და ყოველი სიკვდილი თვით  
ყველაზე შემთხვევითი და ბრმაც კი,  
იყო სიკვდილი სიცოცხლისათვის...“ —  
არ დალიო, ნიკო, გეხვეწები, წავიდეთ  
აქედან! წავიდეთ! — ისევ ჩაესმა ქალის  
გულშემოყრილი მუდარა, ხელის აქნე-  
ვით მოიცილა მყისიერად გაელვებული  
სიბრალული და ხმას აუწია: — „ყოველ  
სიკვდილს თავისი მიზანი აქვს! როცა  
ხედავ, როგორ ეკიდება ცეცხლი შენს მი-  
წაზე აშენებულ სახლს, შენს ხეს, შენს  
სოფელს, მაშინ აღარ გახსოვს აღარაფე-  
რი — შენს წინ მხოლოდ სიკვდილის მი-  
ზანია განათებული და გამოკვეთილი და  
არ არსებობს ძალა, რომელიც თუნდ ერ-  
თი წამით გაგახსენებს შიშს, სიფრთხი-  
ლეს!“

ტოლჩა ნახევრამდე არ დაელია, როცა  
იგრძნო, რომ გონება ეკარგებოდა და  
თვალთ უბნელდებოდა და არ იცოდა,  
სასმელისაგან ემართებოდა ეს თუ უკა-  
ნასკნელი სიტყვის წარმოთქმისთანა-  
ვე მოვარდნილი პანიკური შიშისაგან,  
ვერ ბედავდა სასმისის ჩამოღებას და  
შესვენებას, რათა არ დაენახა დარბაზის  
კუთხეში მომლოდინე იარაღშემართული  
კაცი, თვალეები ტოლჩაში ჩაეყო, ნელ-  
ნელა, გაჭიანურებით სვამდა და აგუგუ-

ნებულ ყურებსა და გონებაში ურახუნებდა თამადის ომბახიანი შეძახილი: — ბრავო! ბრავო! შევსვით ომში დაცემულ ვაჟკაცთა სადღეგრძელო!

...შემდეგ იგრძნო, რომ ვიღაც ანკლრევდა და უროსავით ჩასძახოდა:

— მეგობარო!.. მეგობარო!.. ადექით!.. გაიღვიძეთ!..

ძლივს წამოწია თავი, სახე მოისრისა და მიმოიხედა. ჯერ ცარიელი დარბაზი დაინახა, მერე ხორაგის ნამუსრევით და ნამწვავებით დახორილი მაგიდა, მერე თავზე წამომდგარ ვილაცას შეხედა. მაშინვე იცნო ბობრი კაცი.

— ადექით. იქ რაღაც მოხდა. — უთხრა ბობრმა კაცმა. — მგონი მანქანა გადავარდა.

— რა მანქანა?.. სად?.. — უაზროდ ჰკითხა ნიკომ.

— იქ, სამთისის ბოლოს. — უთხრა კაცმა. — ხრამში გადაიჩეხა.

— ესენი სად არიან? — სუფრაზე ანიშნა ნიკომ.

— წავიდნენ.

— სად წავიდნენ?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბობრმა კაცმა. — საიდანაც მოვიდნენ...

— თინა?

— თინაც წავიდა. თქვენ გეძინათ. ისინი კი ჩასხდნენ და წავიდნენ.

— იმათ წაჰყვა? — უგულოდ იკითხა ნიკომ. ვერაფრით ვერ სწვდებოდა მის შეგნებას ეს საუბარი.

— წაჰყვა. — თავი დაუქნია ბობრმა კაცმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ლირექტორი ვარ.

— ჰო, — დაეთანხმა ნიკო და ისევ დაკვირვებით შეხედა. კი, ნამდვილად ბობრი კაცი იყო.

— რა მანქანა! — იყვირა უცებ და წამოხტა. — დაილუპა ვინმე?

— არ ვიცი. თქვა ბობრმა კაცმა. — ღამეა, არაფერი არ ჩანს.

ნიკო გარეთ გავარდა. მანქანების სადგომზე არც ერთი ავტომობილი არ იდგა, არც მისი! ჯიბეები მოიჩხრიკა. აღარც გასაღები ჰქონდა. ერთხანს უაზროდ მისჩერებოდა სიბნელეს და ნაწვიმარ ქვაფენილს, მერე ყინულივით ცივი და მწვივანა აზრი ნელნელა შეუძვრა გონებაში, ანგარიშმიუცემლად წადგა ფეხი იმ მხარეს, საითაც იყურებოდა, ჯერ ლასლასით წავიდა, შემდეგ თანდათან მოუჩქარა ნაბიჯს და ბოლოს თავქუდმოგლეჯით გაიქცა; უსაზნოდ, უმისამართოდ მირობდა, გუგუნით, გრილით, საფეთქლების დამხეთქავი ფეთქვით აწყდებოდა გონებას ოთხი მაგიური ბგერა: თინა!.. თინა!.. თინა!.. მერე დაგმანული ბაგეებიც გამოხეტქეს ამ ბგერებმა და თავზარდამცემი სიმართლით დანადამულ სიჩუმეში დაიქუხეს: — თინაა! — და თითქოს ამ ქუხილმა გამოაფხიზლო, ადგილზე გაქვავდა და უკაცრიელ გზატკეცილს გახედა, რადგან გაახსენდა, რომ არ იცოდა, თუ საით უნდა გაქცეულიყო. ან გაქცეულიყო კი საერთოდ?

(დასასრული)

მეოცნება მეცხრეკლასელი

სადაა ეხლა ის უცნობი მეცხრეკლასელი —  
დავით ციგროშვილი, თავისთავის უარმყოფელი?

ნეტავი რამე თუ შეგისრულა,  
თუ აღასრულა, რასაც გპირდებოდა  
მუხლებზე დაცემული,  
თვალცრემლიანი...

თუ იპოვა, რასაც ეძებდა?  
რისთვისაც კლანჭებს იღესავდა  
და გზადაგზა ქვებს აგროვებდა...

სადაა ეხლა ის მამლაყინწა,  
დებოშის ამტეხავი და მრავალჯერ თავგატეხილი.

სადაა დავით ციგროშვილი — ის უცნობი მეცხრეკლასელი?  
იქნებ, არახიჯის ნაგზაურებზე  
თავისი ყრმობის ნატერფალებივით  
დარჩა წვიმის და ქარების პირისპირ...  
და შეერია ფოთლების ნეშოს  
და შეუერთდა ჩრდილების ქარავანს...

ანდა, იქნებ, თბილისშია...  
რომ უყვარდა, იმ ქალის ნაწნავებში ჩახლართული,  
იმის გზებზე მტვრადგაფენილი.

როგორ დაიკარგა ამ ხალხმრავალ დედამიწაზე,  
როგორ გაქრა, რომ არავის არ შეხვედრია,  
არავისთვის არ გაუნვდია ხელი,  
და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა...  
ისე გაიღია, გაუჩინარდა,  
თავისთავის უარმყოფელი.

როგორ გაქრა...  
როგორ დაიკარგა...  
ხომ იცოდა ბედისწერის ავანჩავანი...  
ხომ სცადა კიდეც გამკლავება —  
ხან ფსევდონიმს ამოეფარა,  
ხანაც ბრძენი მოლაყბის ნიღაბს...  
ყინულის სკაფანდრიც მოირგო,  
ირონიის ჯაჭვის პერანგიც...

მაგრამ სულ ამოდ...  
მაგრამ სულ ტყუილად...  
ყველაფრისაგან მხოლოდ ბასრი ეკლები დარჩა...  
სადა იგი, როგორ დაიკარგა,  
როგორ გაქრა ამ ხალხმრავალ დედამინაზე?

და ერთი მუჭა ეკლიანი ფოთლების გროვა,  
ყდებში ჩასმული,  
სულ ეს დარჩა, სულ ესაა  
მხოლოდ და მხოლოდ.

შეიძლება, ზედაც არ დახედო,  
შეიძლება, ცეცხლსაც მისცე,  
შეიძლება, თაროზეც გამოაშრო...  
შეიძლება, შეიყვარო კიდეც...  
შეიძლება...

სად გაქრა, ნეტავ, მეოცნებე მეცხრეკლასელი?

### ნაში

და შორეული მოლოდინით დაღლილი ფურცლის  
თვალისმომჭრელ სიქათქათეში  
სტრიქონი, როგორც სისხლის კვილი...

თითქოს ჭრილობებს ვიფარავდეთ —  
ისე ვბლუჯავთ სიტყვების ბალახს...  
თითქოს ვიფევთ სასიკვდილო ნატყვიარებში!

ბოლოს სიტყვამ იპოვა სიტყვა...

სიტყვებმა გაიხსენეს ნათესაური წარსული,  
კვლავ შეიკრნენ,  
შეეხიდნენ ერთიმეორეს,  
შეენასკვნენ უხილავი სინათლის ძაფით...

სიტყვამ იპოვა ნათესავი სიტყვა.  
სიტყვამ მოიწმინდა მარტოობის ცრემლი.  
სიტყვას აღმოხდა: „ძმაო ჩემო“.

### წელიწადის მიწურული

შემოდგომა, როგორც უზარმაზარი სასაფლაო...  
შემოდგომა სიკვდილმრავალი,  
რომ აჯამებს გაზაფხულის და ზაფხულის ავლადიდებას.

შემოდგომა სიკვდილმრავალი.

დგას ფოთოლთა დამძიმების დრო  
და ბალახთა მიქცევის უამი.

ყანას მიჰკვალავს თვითმავალი გილიოტინა.  
გადასხეპილი პურის თავთავი...

ფოთოლი დაბერდა,  
ფოთოლი გახმა,  
ფოთოლი ვარდება,  
უახლოვდება დედამიწას ტრიალ-ტრიალით...

შემოდგომა სიკვდილმრავალი.

ყოფნა-არყოფნის საჭოჭმანო ფილოსოფია  
ატრიალეთ ენის წვერზე, სინჯეთ კბილებით...

ფოთოლი დაბერდა,  
ფოთოლი მოკვდა.  
სხვა რა გითხრათ ამ ამბავზე მნიშვნელოვანი.

ფოთოლი ვარდება...  
უახლოვდება დედამიწას ტრიალ-ტრიალით.

გაზაფხული შენც გეძახის

გაზაფხული ვერ ამოდის მერვე  
სართულზე.

მან მხოლოდ ნედლი  
და გახსნილი მიწისპირი გადაიარა.  
აჭრელებულმა საღებავებით.

ყოველ მტკაველზე მიაშხეფა თითო  
ყვაილი,  
თითო ფოთოლი,  
თითო ცრემლი და ა. შ.

გაზაფხული ვერ ამოვა მერვე  
სართულზე,  
ვერ ამწვანებს ბეტონის კედლებს

და ვერ გიმღერებს იმ სიმღერას,  
რაც პროსპექტის ხეებს უმღერა...

არა სცალია სამუშაოფოდ —  
მთებისაკენ მიენჭარება...

ის შენც გეძახის  
და თუ სიზმრებს გაექცევი და გარეთ  
გახვალ

ფეხშიშველი და მკერდგაღელილი —  
იმის კვალზე მოტყაპუნე წვიმა  
ნაგიყვანს  
ბავშვობის ჭრელი ღრუბლებისაკენ.

ლექსის ახსნა

რამდენჯერ მოვკვდი —  
ყველა სტრიქონი თითქოს იყო  
ამოსუნთქვა უკანასკნელი...  
დამშვიდობება ამ მიწასთან,

ამ ქალაქთან,  
ამ მაგიდასთან,  
ამ მდინარესთან —  
ყველაფერთან, რაც მიყვარდა,  
რაც ვატარე ციებცხელებით...

ნაღვლიანია ჩემი მინა,  
ჩემი ლექსის გულის ბალახი.  
აგონიის შავი ლულულული  
ჩახლართვია სტრიქონის ქოჩორს...

და სიკვდილის თარიღები, როგორც  
ლოდები,  
ყრია იქ,  
სადაც ფიქრი წყდება და სტრიქონს  
სძირავს  
გაფითრება უკანასკნელი.



სანამ ამ ცის ქვეშ ჰიმნებს ვთხზავდი,  
კოსმიური ხეობებიდან  
ამოზრდილი ღამის ყლორტები  
სანამ იშრობდნენ ჩემს  
საგალობლებს,

სანამ სიზმრებს გულს ვაყოლებდი,  
სანამ მივდეგდი ვეფხვის ნაბნკლევებს,  
სანამ ხმალს ვცვეთდი ყივჩაღის  
ხმალზე,  
სანამ შენს სახელს ვჭურჭულებდი —  
უთვალავი ჟამი გასულა...

სანამ ცის ქოხში სიზმრებს  
ვთხზავდი —  
უთვალავი ჟამი გასულა...  
სანამ ცის ქოხში ჰიმნებს ვთხზავდი,

დაბერებულან ვარსკვლავები...  
შენც შორი გზით წასულხარ უკვე  
და გზაც ნაშლილა სამარადისოდ.


### ეული

ჩემი ფიქრი თოვლიან ღამეში —  
თოვლივით ტიტველი და  
მიუსაფარი —  
წვალობს გაყინულ მოედნებზე და  
უკაცურ გაჩერებებზე,  
უსინათლო და გონგამოლეული...

და არ იცის, საით წავიდეს,  
რა გზას დაადგეს ამ თოვლიან  
შუაღამეში —  
ვის სიზმარში შეაბიჯოს,  
ვის მოლოდინს შეეხიდოს,  
ვის ხსოვნაში გაიბილიკოს...

შეჰყურებს ქუჩის ხეების წალიკს,  
თვალბჩამქრალი სახლების ხეივანს

და არ იცის, საით წავიდეს...





მუდამ იქნება გაზაფხული ჩემთვის  
დიდი სიხარული  
და მადლობა სიხარულისა  
ათიათასი გაცინება სიცოცხლისა,  
სიმღერა ჩემთვის,

მეცნიერება სილამაზისა,  
შუქი და სუნთქვა, ამოცნობა,  
დამახსოვრება  
საკვირველება და უმნიკვლო  
ბედნიერება.

მითხარი ჩემო მეგობარო,  
გალე კარი შენი ქალაქის,  
საზეიმოდ გააწყე და ყვავილები  
გამოიტანე  
ფართო ქუჩებით, აუზებით, მწვანე  
ბაღებით

შეამკე და სიცილის სახლებს  
ფერად-ფერადი სურათები ჩამოჰკიდე  
ყელსაბამებად,  
დაიხარჯე მშვენიერი სარკეებისთვის,  
გაამზადე ძვირფას სასხოვრად.

ახლა დავჯდები და ამ სტრიქონზე  
„გაზაფხული ჩემი, მაგრამ ღრმა  
ძალა არის“  
გულამომჯდარი დაეიწყებ ტირილს,  
დამამშვენებს სიყვარული,  
გამასპეტაკებს

ცა ჩამოვა ჩემთან ფრთხილად და  
მონივრებით  
შევიმოსები ბედნიერებით, ღრმა  
ძილისაგან გამოფხიზლდები  
დაეშვება წვიმად ჩემი მადლიერება.

ოცდამეათე საუკუნეში  
უმშვენიერეს გაზაფხულზე,  
ყვავილობის დროს  
ადამიანი დიდად ძვირფასი  
თუ ჩემს ღარიბ სარკოფაგს გახსნის  
მინდა გადავცე პერგამენტი  
სიყვარულისა  
იმ დროისათვის მინდა ვიყო  
ულამაზესიც  
სისხლის და ტვინის უფრედები მინდა

მქონდეს სუფთა და საღი  
რომ სინჯარბში ჩემი სისხლი იყოს  
წმინდა და ალისფერი  
სიყვარულის სუნთქვით სუნთქავდეს  
ულამაზეს სურათებად აჩნდეს  
სიცოცხლე.  
დავიწყებული მქონდეს მაშინ  
ათასი წყენა  
და პირის ამხდელს სიხარულის  
სალამი ვუძღვნა.

დაიშრიტა სიყვარული,  
განიერი კალაპოტით შემოდოდა ის  
ამ ქალაქში  
და სასმელი ჰქონდა ამ ქალაქს,  
ბუნება კი იყო ისე ამწვანებული,

რომ სიმწვანეში კაცი თავის  
თავსა ხედავდა  
პანანინა ნაჭუჭებით ამოვხაპეთ  
ჩვენ ეს მდინარე.

აი ეს ცრემლი,  
სანყალი კაცის გულიდან რომ  
ამოცურდა  
უზარმაზარ გულგრილობაში  
შთაენთქა

აი ეს ქალი —  
მშვენიერი ხე სათნოებისა, წაიქცა.  
სად არის სალბუნი, ნათელი,  
შენყნარება,  
სად არის თვალი სიყვარულისა.

ყველა ბრძენია, ბრძენობანას  
თამაშობს ყველა  
სიტყვას და საქმეს საძრომელი  
გაუჩქადა ხვრელი  
საოცრებათა ქვეყანაში

გგონია თავი  
ამ კაცს კაცისგან  
თვით ეშმაკიც ვერ გამოარჩევს.  
ძნელდება ყოფა, მშვენიერი  
სიცოცხლე მიდის.

ჩუმი ვტირივარ სიყვარულზე,  
რომელიც ქალაქს გამოეცალა  
და საზეიმო ღიმილად იქცა  
გაჰქრა სიმშვიდე, თავმოდრეკა და  
მიტყევა  
სიყოჩაღისგან და მეტისმეტი  
სიამაყისგან  
ლამის არის ერთმანეთი კიდევ

დავკბინოთ  
ასე მცირე გადასარბენზე.  
სილამაზეს ყველამ ჯიბისკენ  
ვუკარით თავი  
და ჩვენი თავი ჩვენსავე თავს  
შემოვუნახეთ  
გვმართებდა კი სიყვარულით  
ერთმანეთი გადაგვეფარა.

გული მექნება სავსე სევდით  
და დატირებით,  
სახე მშვიდი და ხელები ცივი,  
ვიქნები ძველი საუკუნის  
ძვირფასი ქალი,  
ბევრი ნაოჭით და თეთრი თმებით,  
ულამაზესი ჩამივლიან გვერდზე

ქალები,  
გაზაფხულივით საოცრები და  
ამაყები.  
გაჰყვება იმათ სიყვარული  
უკურნებელი  
სულ მთლად დაფრები და  
დავბერდები.

ეს არის ჩემი ბედისწერა  
კარდაკარ დავალ  
მომეცით რამე:  
სიხარული, ტკივილი, ცრემლი

რომ საპასუხოდ მადლიერება  
მოგიძღვნათ  
და დაგემშვიდობოთ.

რა უნდა ვუთხრა მე ჩემს სიზმრებს,  
და ჩემს ქალაქებს,  
რა უნდა ვუთხრა მე ჩემს რაინდებს,  
სულ დიდებულად უნდა ვიჯდე  
ქვაზე და ღორღზე

ხელისგულებით ვფარავდე ეკლებს-  
ვაგებდე ტაძრებს, კარიბჭეებს  
საცეცხლე კოშკებს,  
ზნეთა კეთილთა დაფებს ვწერდე და  
ვმშვენიერებოდე.

## გურამ რჩეულიშვილი

# იულონი

იულონისა და სხვა ცხრა ბიჭის ტრაგედია, რომელიც მიმდინარეობს ერთ ოთახში.

მოკმედი პირები:

- ბურაში — პიესის ავტორი.
- იულონი — 30-35 წლის თმბგაცვენილი, გაპარსული ბიჭი.
- თაზიკო — სტუდენტი.
- რეზო — კოპებიანი, დიდთავა, ექსცენტრიული ბიჭი, მხატვარი.
- პატარა ბურაში — ლლიტინა, რეზოზე მალლა მდგომი იმითი, რომ ესმის მისი მხატვრობა.
- დიდი ბიჭა — ნაციხარი ქურდი.
- სულხანი — ისიც მწერალი.
- ჯიშუარი — სათვალისანი ბიჭი.
- ირაპლი — ბიჭი, რომელიც სწავლობს ფილოსოფიას კანტი-კუნტად.
- ბიუღი — ბიჭი მიდრეკილებით სიტუაციონალში, რომელსაც ხაზს უხვამს.

გურამისაგან დაწერილი პიესის შემსრულებელი.

ბიჭები, გურამისაგან პიესის საყურებლად მოწვეულნი.

მოკმედება მიმდინარეობს ცარიელა ორკესტრის სივრცეზე გაკვირვებულ პატარა სიღრმის ოთახში, რომელიც ჭერში დაკიდებული ნათურით ნათდება.

თეზიკო და იულონი წარმოადგენენ პიესას, რომლის ავტორია გურამი. სხვები უყურებენ მარჯვენა კუთხიდან: პატარა გურამი და რეზო იატაკზე სხედან, დიდი ბოზა ზის მათ უკან. ის ორივეზე დიდი ჩანს, გიული დაჩოქილია მის იქით გვერდზე, ხელები გულზე აქვს დაკრეფილი, კისერი წაგრძელებული, რაც შეიძლება ხაზგასმული ბრიყველი სახით უყურებს სპექტაკლს, ასეთი სახე მას აშკარად სიაშინებდა; ირაკლი, ხალხის ბოლოს, მაგიური სახით მიუყურებელი კედელზე, უყურებს მხოლოდ მო-

თამაშებს, აშკარად უნდა გვერდზე მიიხედოს, მაგრამ ეს დიდ ცოდვად მიაჩნია. სულხანი, გურამი და ჯიშუარი შეუმჩნეველად დგანან იქვე.

**თაზიკო** — აი, მე ისევ მოვედი შენთან, ჩემო უფროსო ძმაო.

**იულონი** — მე უკვე გითხარით, რომ მე ძმა არცა მყოლია არასოდეს და არც მინდა ვი-ცოდე, რაიმე მისი არსებობის შესახებ.

**თაზიკო** — სამწუხაროდ მაინც უნდა გითხ-რათ სიმართლე, რომლის გამორკვევასაც ორი-ვესთვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს.

**იულონი** — მე უკვე გითხარით — მოსმე-ნაც კი არ მსურს.

**თაზიკო** — სამაგიეროდ ეს მჭირდება მე,

მე, რომელიც გავიზარდე ბავშვთა სახლში უპატრონოდ, მე, რომელმაც ჩემი შრომით მივალწიე უმაღლესის კარებს.

**იულონი** — სიამოვნებით შემიძლია დაგეზმართო მხოლოდ გარკვეული თანხით.

**თაზიკო** — ეს ყველაფერი იმის შემდეგ, რაც არ დაგზოგე არაფერი, აღმოგიჩინა ერთი ნათესავი მაინც ამ ქვეყანაზე და ის ნათესავი არის ჩემი ძმა.

**იულონი** — ყმაწვილო, თქვენ გეშლებათ: მე მყავს ღედა, მყავს ღეიდა, რომლებიც დადასტურებენ, რომ მე ძმა არა მყოლია.

**თაზიკო** — ძმაო იულონ, ნუთუ მართლა ვერა გრძობ, რომ მე შენი ძმა ვარ, რომელიც უკუღმართი ბედის გამო ვაიზარდა საბავშვო სახლში, როცა მისი უფროსი ძმა იულონი, გვარად გიორგაძე და არა გეგეკორი, როგორც ახლა ითვლება, იზრდებოდა მდიდარ ოჯახში.

**იულონი** — ეს ოჯახი არის ჩემი, ეს ქალი არის ღედაჩემი.

**თაზიკო** — ის ისეთივე ღედაა შენთვის, როგორც ჩემთვის.

**იულონი** — მაშ შენც მისი შვილი ყოფილხარ.

**თაზიკო** — მე? ხი, ხედავ როგორ არა გწამს შენც, რომ მისი შვილი ხარ.

**იულონი** — მე?

**თაზიკო** — შემომხედე, ძმაო, პო, შენ ამდენი წელი იწვოდი ეპეებით.

**იულონი** — მე? არა, არა, არასოდეს.

**თაზიკო** — იწვოდი ეპეებით, რომ მათი შვილი არ იყავი.

**იულონი** — ეპეებით, მე ვიცოდი, რომ...

**თაზიკო** — მე კი ნამდვილად ვიცოდი, ვინ იყო ჩემი, ორივეს ღედა, მე ვიცოდი იმიტომ, რომ ვიზრდებოდი ცუდად, ვიზრდებოდი საბავშვო სახლში, უპატრონოთა თავშესაფარში.

**იულონი** — არა, არასოდეს, არც ეპეით...

**თაზიკო** — შენ არ უტყუდებოდი შენ თავს, შენ არ ეძებდი, როცა გრძნობდი, შენ ეს არ გპირდებოდა, შენ ცხოვრობდი მდიდარ ოჯახში...

**იულონი** — მე არ ვიცოდი არაფერი...

**თაზიკო** — ხედავ, ჩემო უფროსო ძმაო, უკვე როგორ დაფრთხი, მე კი ჯერ არ დამიბტკიცებია, რომ შენი ნამდვილი ძმა ვარ...

**იულონი** — მაგის დამტკიცება შეუძლებელია...

**თაზიკო** — შეუძლებელია?! ხი, ხი, ხი, მაგის დამტკიცება აღარა ჰირდება.

**დიდი ზოზა** — ყველაფერი ცხადია, კაცო.

**რამზო** — ხი, ხი, ხი, რა ღიღია და რა შავია.

**პატარა გურამი** — რა ღიღია და რა ექსცენტრიულია...

**რამზო** — მაინც თეზიკო რას ამბობს. ვითომ, იულონის ნათესავია...

**პატარა გურამი** — ნათესავი კი არა, ძმაო.

**რამზო** — მერე რა მოხდა?

**პატარა გურამი** — შენ წადი, ხატე.

**რამზო** — ის ნახატი როგორი გამოდის, იცი?

**პატარა გურამი** — პო, ის ძალიან იმპულსურია ჭრეჭრეობით...

**რამზო** — სუსო, სუსო, რა ღიღია და რა სიმპატიურია...

**პატარა გურამი** — რა ღიღია და რა ექსცენტრიულია...

**დიდი ზოზა** — მორჩით, კაცო, მანდ ბაზარი...

**რამზო** — რა ღიღია და რა ნოყიერია...

**პატარა გურამი** — რა ღიღია და რა დეტექტიურია...

**დიდი ზოზა** — მორჩით, კაცო, ბაზარი, არ გესმით? თქვენ გიყურებთ ხალხი.

**რამზო** — ხალხს ეხლავე დაეხატე ტილოზე.

**დიდი ზოზა** — იქნება მეც მიპირებთ დახატვას?

**რამზო** — შენ ვითომ ვინა ხარ რო?

**დიდი ზოზა** — მე ვინა ვარ?

**რამზო** — ერთი ტილოს კაცი ხარ.

**პატარა გურამი** — ჩუმად, ეგ ლევი ბოზაა.

**დიდი ზოზა** — როგორ არ იცით, ვინცა ვარ?! ბოზა ვარ, არ გავიგიათ დიდი ბოზა, კაცო?

**სულხანი** — გითხარით, მავათი მოყვანა არ იქნებოდა. ახლა აღარ დაგვამთავრებინებენ.

**ირაკლი** — ჯერ სპექტაკლს ვუყუროთ, კაცო, მერე ვთქვათ ჩვენ ჩვენი აზრები.

**დიდი ზოზა** — მეც მაგ ბაზარზე ვამბობ...

**ირაკლი** — შენ არ გეუბნები.

**რამზო** — რა ღიღია და რა მწიფეა...

**პატარა გურამი** — რა ღიღია და რა, ირაკლია.

**რამზო** — ნატურია, ნატურია...

**პატარა გურამი** — ჩემი ნათქვამი ხო იცი.

**რამზო** — ზუსტი ხარ, კარგი ხარ, დაკარი ხელი.

**დიდი ზოზა** — და აღარ მორჩებით მანდ ყაყანს?! ბოზა ლაპარაკობს თუ ვინ?! გააგრძელეთ, კაცო მანდ წარმოდგენა!

**სულხანი** — მიიდი იულონ, გავაგრძელოთ. თხუთმეტ წუთში მოვრჩებით კიდეც, მეც უნდა წავიდე.

**ირაკლი** — წასვლას მოუყვდა პატრონი, თვინდან როგორაა ვთქვით, არ გახსოვს?

**დიდი ზოზა** — სად მიღისარ, კაცო.

**სულხანი** — რა ვიცო, საქმე მაქვს.

**დიდი ზოზა** — საქმე ყველასა გვაქვს აქ, კაცო.

**რამზო** — ბოზასთან წავიდე ბაზარში.

**პატარა გურამი** — ბოზასთან ბაზარში ბატონ ბუღბუღ ბევრი ბარტყებით.

**რამზო** — სუსო, სუსო რა ღიღია და რა სავია...

**გურამი რამაღლიშვილი**  
**იულონი**



**პატარა გურამი** — ბატები ბუდობენ ბევრ ბარტყებით.

**დიდი გოგა** — გიტირებთ ყოფას ორივეს ადგილიც არ არის, კაცმა ჭკუა გასწავლოთ.

**რამო** — ჭკუა სასწავლია...

**პატარა გურამი** — ჭკუები სასწავლია...

**დიდი გოგა** — და თუ მე მობრახებთ, წყსიერად მიინც გამცინეთ. „კაკინბულ“ არის ბობაში, რისი გადაღებაც შეიძლება...

**ირაკლი** — ეს ბობა ვინ მოიყვანა?

**გურამი** — მე!

**ირაკლი** — რა უცნაური ტობია არა?

**სულხანი** — ძველი ნაციხარია; ახლაც განაბია. არ იცნობდი?

**ირაკლი** — მაგას არა. ეს რეზოც აღარ ისვენებს.

**სულხანი** — გააჩერე მერე!

**ირაკლი** — რაც გინდა იყოს, მხატვარია, მგრძნობიარე ნატურა იწვევს ამას უნებლიედ.

**სულხანი** — ამას სულ ასხია, პატარა გურამს.

**ირაკლი** — რას ამბობ. მაგას რომ ესმის რეზოს მხატვრობა, ისე არავის. მაგან აღმოაჩინა, ხომ იცი.

**სულხანი** — მაგაზე კარგა ბობა გაიგებს, რამე რომ იყოს.

**დიდი გოგა**: ახლა ამათ წამოიწყეს ბაზარი, ისე ლაპარაკობენ, თითქოს აქ არა ვართ.

**ჯიშური** — ეგ გასაგებია, მე მგონია...

**სულხანი** — გაჩერდით რა, ბიჭებო, გავაგრძელოთ წარმოდგენა, მერე ხუთწუთიანი ვარჩევა მოგაწყობ და მე პირადად წავალ სულ 15-20 წუთი დრო მაქვს.

**დიდი გოგა** — აქ უსაქმური არავინ არის.

**ჯიშური** — რა თქმაა, ყველანი წავალთ.

**რამო** — სად წავალთ?

**გურამი** — შენ გაჩუმდი და შენი საქმე იცოდე, როცა კისტს მოგვეცემენ.

**გიული** — მაგ კისტზე მომავონდა, ახლა გიყების გამოსაშვები საღამო რო იყო. ერთი ავიდა კიბეზე და ლებავს კედელს თეთრ ფერში, ამ დროს მეორე დატყვიანებულ გივს დაჰქირდა კიბე, მივიდა წამოსაღებად და ზედ ასულს ეუბნება — ბიჭო, კისტი მაგრა დაიჭირე, კიბე უნდა წვილიო.

**პატარა გურამი** — კაცო, რდღაც წვერებმა შემაწუხა, რამე ისეთი და უცებ-მეზრდება.

**გიული** — წვერებიანი კია, მაგრამ კარგია.

**პატარა გურამი** — კარგი გულით ნათქვამი თუა, კარგია.

**გიული** — რას იზამ, ყველას არ გვესმის ხატვა.

**პატარა გურამი** — თორე მათემატიკის ამოცანებს აბუღბუღებ.

**გიული** — რა შუაშია ეგ?

**რამო** — რა გიყია და რა ტუტუტი.

**გიული** — ვინ მეუბნება ბიჭო მაგას, თავგასიებული რეზო?

**რამო** — რა გრძელია და რა მკვანია.  
**გიული** — ვინაა მკვანე, დიდთავა, ვინაა...

**რამო** — როგორა გავს მიიმუნს სიმპატიურობით...

**პატარა გურამი** — დეფექტურია და დეფორმირებული.

**გიული** — ვინაა, ბიჭო, დეფორმირებული, პა?

**დიდი გოგა** — კარგით, კაცო, ისეც წამოიწყეთ?

**გიული** — შენც დაემატე, თუ გინდა!

**დიდი გოგა** — და ეს გიული ვინ არის, კაცო?!

**გიული** — გიული ვარ, ქლენტი.

**დიდი გოგა** — ქლენტი, მენტი, გიული, მიუღი? წამოხტებიან ეს ლაწირაკები და ვერა ხედვს, ბიჭო, ჰანჭურით ხმები, რა გახტუნავენს.

**სულხანი** — კარგით რა, ბიჭო, ერთი წამით მოგავსმენინეთ სპექტაკლი!

**დიდი გოგა** — მეც მაგას არ ვასმენ?

**გურამი** — განაგრძე, თეზიკო!

**იულენი** — სად ვაგჩერდით?

**გურამი** — იქ, სადაც შენ ეუბნები თეზიკოს — „ამის დამტკიცება შეუძლებელია, რომ შენ ჩემი ძმა ხარ“.

**დიდი გოგა** — როგორ შეუძლებელი, კაცო, იქ ყველაფერი ცხადი იყო, ის იმის ძმა, ის უარს ამბობს და მორჩა!

**გიული** — რა მორჩა, ძმაო, ეხლა იწყება.

**დიდი გოგა** — შენ გაითხავ რამეს? მე კაცს ვეუბნები. შენ როგორ გეხმის, ის არ გვაინტერესებს.

**გიული** — აბა რაზე ვარ აქ?

**დიდი გოგა** — მე ბობა ვარ ლევი და არა ცერემონ-მეისტერი!

**სულხანი** — შენც იმაზე ხარ, რაზეც სხვები, ოღონდ ჩუმად იყავი და მოუხსინე.

**რამო** — ეს სუსანა, სუსანა რა დიღია და რა სავია, ეს სუსანა რა ქალია.

**პატარა გურამი** — რაფაელის მადონაა.

**რამო** — ოღონაა...

**პატარა გურამი** — მორჩი ბიჭო, რა შენი საქმეა სიმღერა.

**რამო** — რა, ნახატები გამიფუტკდება, რომ ვიმღერო?

**სულხანი** — კარგით რა, თქვენ გიცდით.

**რამო** — რა სიტობა და რა ლეიბია.

**პატარა გურამი** — რა დიღია და რა ექსცენტრულია, რა ოლოლი...

**რამო** — (წამოხტება) ოლოლი, ოლოლი, ბიჭო, ხომ არ ვაიგო მხატვარმა ლადომ, პა, ირაკლი, ხო არ ვაიგო?

**ირაკლი** — ლადო თითონ ეთანხმება, ხო იცი.

**სულხანი** — იფ, რა კარგი რამეა ოლოლი...

**დიდი გოგა** — ეგ რომელი ოლოლი?

**თეზიკო** — ვიცი, მე ვიცი, იმაი ქუჩაზე მი-  
ნახია.

**ირაკლი** — შოფრებთან დადის, ხო იცი.  
მეორადი სასქესო ორგანოები აქვს ზედმეტად  
განვითარებული, იმიტომ უყვართ შოფრებს. ლა-  
დოსაც ეგეთი ქალები უყვარს დასახატად, ხო  
იცი.

**სულხანი** — რუბენის ქალებსა გავს.

**დიდი გოგა** — გამარკვეით საქმეში.

**ირაკლი** — მე ვერ მოვეყვები, თითონ მო-  
ყვეს.

**რეზო** — ბიჭო, დავიდუპე, ბიჭო, შევრცხვი,  
ველარც მიმესვლება ლადოსთან.

**პატარა გურამი** — ძალიანაც კარგი.

**გიული** — რა ძალიანაც კარგი?

**პატარა გურამი** — არაფერი, ისე ვთქვი,  
შენ ვერ გაიგებ.

**დიდი გოგა** — კაცო, რა ხელებითა წერთ,  
ისე მოყევით, ჩვენც საქმის კურსში ვიყოთ.

**რეზო** — ბიჭო, ეს რა მომივიდა, მე ვერ  
მოვეყვები თვითონ.

**ირაკლი** — შენ კარგად ყვები, კაცო, მაშინ  
მე დავიწყებ, მერე შენ გააგრძელებ.

**რეზო** — ვაჰ, რა მომივიდა!

**პატარა გურამი** — რა მოგივიდა?! არაფე-  
რიც არ მოგივიდა.

**რეზო** — ლადომ რომ გაიგოს, ლადომ რომ  
გაიგოს...

**პატარა გურამი** — გაიგოს და გაიგოს,  
თვითონ ვითომ არ მოუნდება ხოლმე, ჰა?

**გიული** — სულ ტიტვლებს ხატავს თვითონ?

**სულხანი** — აბა, ჩაცმული რა დილიხორია.

**ირაკლი** — მერე რა მეორადი ორგანოები  
აქვს, ხომ იცი?!

**თეზიკო** — ერთხელ მე ვუყურე ბოძზე ამ-  
ძვრალმა, ტიტვლებს ხატავდა.

**დიდი გოგა** — თავისი მეორადი ორგანო-  
ებით?!

**გიული** — ეგ მეორადი ორგანოები რაა, ა?  
ირაკლი, კაცი უმაღლესს ამთავრებ და ეგ არ  
იცი? მერედი და...

**გოგა** — ის არის, რაც არი, მოაყოლებ კაცს.

**ირაკლი** — ყური დამივდებ მაშინ. სულ  
ორ წუთში გავაგრძელებ სპექტაკლს.

**რეზო** — რა დღია და რა საღია.

**პატარა გურამი** — მაიცა, მოუესმინოთ შენ  
ამბავს.

**ირაკლი** — ერთ დღეს კუზმანა არა მხედება  
ქუჩაში, — პატარა გურამი მუღუნება ერთი კა-  
ცის ნახატები უნდა გაჩვენოთ, ლადოს ჯობიაო.  
მე არ დავუჭერე, ხომ იცი, კუზმანა რისი კუზ-  
მანაა, თუ არ შეგაცდინია. თითქოს ძალით წამო-  
მიყვანა. თურმე რეზოსთვის უთქვია წინასწარ,  
ირაკლი უნდა მოვიყვანოთო. ამას სახლში დი-  
დი ტილო გაუქრავს და მუშაობს. ხირსიმა  
უნდა დავარქვაო, მითხრა. მერე სხვებიც ვნახე.  
რაც მთავარია, გულწრფელი ნახატებია.

**რეზო** — ეჰ, რა ძველი დახატულ იყო. ოლო-  
დროს თან არ მეცალა, გამოცდები..

**პატარა გურამი** — არა, ბიჭო, კი არ მიი-  
ღეს აკადემიაში...

**ირაკლი** — იმიტომაც ჯობია იმათ, გარყე-  
ნილი არ არის, ჩანსალია ხომ იცი.

**დიდი გოგა** — თან საქმე, კაცო, მე ოლო-  
ლას ამბავი მაინტერესებს.

**ირაკლი** — ჰოდა, მომეწონა ნახატები. პი-  
რში, ხო იცი, არ ვეტყვი. ახლა, შეგებრდი, ძია  
ლადოსთან წაგიყვან-მეთქი. ხშირად დავდივარ,  
ხო იცი, იმათთან.

**დიდი გოგა** — ოლოლი ჩქარა იქნება,  
კაცო?!

**ირაკლი** — ჯერ მივიყვანო იმათთან სახლ-  
ში. იმას ვამბობდი, მეორე დღეს წაგიყვანე, გა-  
ცაინი ლადო და დავტოვე იქ — ნახატებზე  
უნდა ემუშავა. ერთი დიდი დაუნთავრებელი  
ტილო ედგა რაღაც თარსად. დაუწყო ამ ყუ-  
რუშსაღმა ყურება.

**რეზო** — ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, როგორ შევრცხვი  
ლადოსთან.

**ირაკლი** — მერე რა მოხდა, თვითონ მოყ-  
ვეს:

**დიდი გოგა** — დაიწყე ბიჭო, რისი გრცხვე-  
ნია?

**პატარა გურამი** — აცალეთ, თვითონ დაი-  
წყებს უთქმელად.

**რეზო** — ბიჭო, სულხან, რა მომივიდა. ნე-  
ტა გაიგო თუ არა ლადომ. რო გავიდა ჰო, ჯერ  
ხატავდა, მერე წაიღია მე მითხრა, თუ გინდა  
დარჩი და ნახატები ათვალეიერო. ოლოლიც იქ-  
ვე დადიოდა ლადოს სურათის გვერდით. მერე  
დაიღა დასახატ ჰოზაში. ლადო წაიღია. ამ  
დროს, ჩემ საუბედუროდ, არ გამოირთო სინათ-  
ლე და მე უცებ ვეტაკე ოლოლის.

**ირაკლი** — ჰი, ჰი, ჰი...

**სულხანი** — ხა, ხა, ხა...

**გიული** — ჰიჰ, ჰიჰ, ჰიჰ...

**პატარა გურამი** — მერე რეზო, მერე რე-  
ზო?!

**დიდი გოგა** — ჰა, ჰა, ჰოო თუ არა?!

**რეზო** — არა, ბიჭო, ისევე აინთო სინათლე.

**ირაკლი** — ეგეთ ტიპებზე სინათლე დამა-  
წყნარებლად მოქმედებს. მეორე დღეს მივე-  
დი, ხო იცი, ლადოსთან, რა მექნა, იქ აღარ  
მიმესვლება. ოლოლი ამბობს, დიდი თავი ჰქო-  
ნდა და კობეტი ესხდა ზედ, თორემ არაფერზე  
უარს არ ვეტყვიდიო, ხო იცი.

**დიდი გოგა** — ნატური ეგერ თქვა?!

**ირაკლი** — ჰო, თვითონ მითხრა.

**დიდი გოგა** — ჰა, ჰა, ჰა...

**უპეღანი** — ჰა, ჰა, ჰა, ხი...

**გურამ რეაუნიონი**  
იულონი



**რამო** — ლადომ გაიგო, ლადომ გაიგო?  
**ირაკლი** — ჭერ არ გაუგია, მხოლოდ ეტყვის ოლოლო, ხო იცო.  
**რამო** — არც ნახატი უნახავს? ლადო რომ წავიდა, იმის დამთავრება დაეწყეთ მე თვითონ.  
**ირაკლი** — ლადოს ნახატი?  
**სულხანი** — ლადოს ნახატი?! აჰა, ჰა, ჰა...  
**რამო** — აბა, ბიჭო და გამიფუქდა. ემ სხვანაირადა ხსნის საღებავს, მე სხვანაირადა ვხსნი საღებავს.  
**პატარა გურამი** — ვაჰ, რა ექსცენტრულია!  
**დიდი გობა** — ექსცენტრული კი არა, გიყო ყოფილა, კაცო.  
**რამო** — ეგრე გამოდის არა ჩემი საქციელიდან?  
**დიდი გობა** — კაცო, ის ქალი, ოლოლი, მართლა იმნაირია?  
**პატარა გურამი** — ახლა შეუჩნდება ამას ოლოლი.  
**დიდი გობა** — მა შენ გიყურო? ცოტა მაინც გაზრდილიყავი. არცა ჩანხარ, რო დადიხარ.  
**პატარა გურამი** — თორემ შენა ხარ?!  
**დიდი გობა** — მე რაც ვინდა იყოს, მაინც ბოზა ვარ. ლევი, დიდი ბოზა.  
**სულხანი** — ააა, აბა მოგდომიათ თქვენ მთელი დრო! რისთვის მოვედით აქ.  
**დიდი გობა** — მე რას მიყურებთ, კაცო. მეც მაგას ვამბობ, დაეწყეთ და ყველამ თავი დაეიჭიროთ რამენაირად. ნურც ერთმანეთს ვაწყენებთ და ნურც თეატრს დავეშლით ხელს, თორემ...  
**პატარა გურამი** — თორე ჩავარდა წარმოდგენა და ეს არის.  
**რამო** — მერე რა წარმოდგენა?!  
**გურამი** — ჰი, მართლა სულ გაღლიცინდით. დაილა ხალხი. დაიწყე იულან.  
**იულიანი** — მე მზადა ვარ, გურამ!  
**გურამი** — თეზიკო, მოემზადე შენც.  
**თაიჩიკო** — მე უკვე იმდენჯერ მოვემზადე, თავი დამებნა.  
**სულხანი** — იმ კაცს უთხრეს, წყნარად იქცევა, შენ რა მოგივიდა, რას იპრანჭებო ქალივით?  
**თაიჩიკო** — შენ შენთვის იყავი, მე თვითონ მოვევლი ჩემ თავს.  
**სულხანი** — რა გეწყინა, შე კარგო კაცო. სიტყვა ვეღარ უთქვიათ!  
**თაიჩიკო** — მე არ მწყინს. უბრალოდ სხვისი საქმე არ არის.  
**იულიანი** — კარგით, ნუ იჩხუბებთ ამისათვის, მე მზადა ვარ გავაბრძელო.  
**რამო** — ერთ სიტყვასაც ვიტყვი და მერე.  
**დიდი გობა** — ეგ რომ არ გეუქვა, ისე ვერ იტყობი? ახლა უფრძელესი არ გამოვიდა ვითომ?  
**პატარა გურამი** — კაცო, ბოზას დაუგდეთ ყველამ ყური.

**დიდი გობა** — ბოზა ყურებს აუწყებს ვილაცას.  
**ირაკლი** — და, ეს ბოზა რა გაგვიხდა, რა არის ამისთანა?!  
**რამო** — არსენას ამბავი არ გამაგონოთ, არა, ბოზა?  
**დიდი გობა** — ნუ სარგებლობთ ბოზას სიყვითით. ახლა რომ ხმას არ იღებს, რო გაბრაზდეს, მერე რას ფიქრობენ?  
**პატარა გურამი** — აქ ყველანი იმიტომ მოვედით, რომ ვიხუმროთ.  
**რამო** — ვიხუმროთ და ვილაზნანდართ.  
**დიდი გობა** — და სალაზნანდაროდ სხვა ადგილი ვერ ნახეთ, კაცო?!  
**გიული** — ეგაა ბიჭო ის სხვა ადგილი.  
**დიდი გობა** — მაშ ვილაზნანდართ.  
**ირაკლი** — აკი ვილაზნანდარეთ. არ გეყოფათ?  
**დიდი გობა** — ლაზნანდარობის ყოფნა იქნება?  
**პატარა გურამი** — რა დიდია და რა ლაზნანდარა.  
**რამო** — რა არი, რა რა არი.  
**ჯიშვარი** — აქ მართლა იმიტომ მოვედით, მე მგონი, რომ ამხანაგის დაწერილ პიესას გუყუროთ.  
**სულხანი** — რა თქმა უნდა, იმიტომ მოვედით, მოვეუსმინოთ, ბიჭებო.  
**ირაკლი** — ჩვენი მიზანიც ეს არის. მოვეუსმინოთ წარმოდგენას და ჩვენი აზრი ვთქვათ. თქვენ რას იტყვით?  
**დიდი გობა** — აზრი უნდა ვთქვათ, აბა როგორ?!  
**რამო** — ჭერ მოგვასმენინეთ ბოლომდე.  
**პატარა გურამი** — მოსმინეს და მოიწონეს.  
**ირაკლი** — პოდა, დავეგდოთ ყველამ ყური, თორე ისე უაზრო იქნება ჩვენი აქ ყოფნა, ამდენი ხანი ჩაკეტილში, თუ ვერ გავერკვევით რა შინაარსის და რა ღირსების პიესა დაწერა გურამმა.  
**ჯიშვარი** — ირაკლი სწორეს ამბობს. ეს უაზრობა რომ არ დაგვემართოს, გთხოვთ ყველას გაჩუმდეთ და მოვეუსმინოთ პიესას, რომ გამართლებული იყოს ჩვენი დღევანდელი აქ ყოფნის მიზანი, წარმოდგენის მოსმენა. მე მგონი ამაში გაუგებარი არავისთვის არაფერი არ არის, არა?  
**სულხანი** — არის!  
**ირაკლი** — რა არის გაუგებარი?  
**ჯიშვარი** — ჩვენი მიზანი არ იყო წარმოდგენის ყურება?  
**სულხანი** — იყო!  
**ირაკლი** — აბა რა არის გაუგებარი?  
**სულხანი** — გაუგებარი ის არის, რატომ მოვედით ყველანი აქ.  
**ჯიშვარი** — არ მესმის, რის შესახებ ამბობ.  
**სულხანი** — მე ვამბობ სწორედ წარმოდგენის შესახებ, როგორც მხატვრულად. ისე



იღვის მიხედვით. მე ვამბობ იმ ხალხის შესახებ, რომლებიც თამაშობენ წარმოდგენის გმირებს და რომლებიც უყურებენ მას.

**ჯიშვარი** — ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია რატომ წამოიწყე ეგ ლაპარაკი.

**სულხანი** — იმიტომ, რომ ყველანი ცდილობთ რაც შეიძლება შორიდან აუაროთ გვერდი იმ ძირითად, შინაგან მიზეზს, რატომაცა ვართ ჩვენ ყველანი აქ მოსულები.

**ჯიშვარი** — ეგ ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა.

**სულხანი** — მოდი, ერთხელ მაინც მივიღეთ ახლო სინამდვილესთან. როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი წარმოდგენებით, ქვიფით, ლიწით და სხვა რალაყეებით, როცა ერთმანეთს ვხვდებით.

**ირაკლი** — შენ ეგ თავის მოტყუება გგონია, რატომ?

**სულხანი** — აი გავერკვივით, რატო. მეც იმიტომ წამოვიწყე ეს ლაპარაკი, სულ მივიღვივარ მაგასთან და რალაც გვერდს ვუვლით.

**ჯიშვარი** — ყოველ შემთხვევაში, ეგ ჩემი ბრალი არ არის.

**ირაკლი** — არც ჩემი ბრალია.

**დიდი ბობა** — მაშ გამოდის, რომ მე ვარ დამნაშავე.

**გურამი** — შენ რა შუაში ხარ?

**დიდი ბობა** — მეც მაგას არ ვამბობ?

**სულხანი** — ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე, ყველანი!.. აა, არა, ასე არ უნდა მეთქვა. მინდოდა გულწრფელად დამეწყო და არ გამომივიღა. ჩვენ ყველანი არა ვართ დამნაშავე. არც რეზოა დამნაშავე, არც პატარა გურამი, ბობას დღეს პირველად ვხვდავ, ბობაზე არაფერს არ ვამბობ.

**გიული** — მაშ ვინ არის დამნაშავე?

**სულხანი** — არ ვიცი, თითქოს ვიცი და რალაც არ მყოფნის, რომ თქვა ზედმეტი გულახდილობა მინდა და არ გამომდის. ვგრძნობ, რომ იმას არ ვამბობ, რაც უნდა მეთქვა.

**ირაკლი** — შენი ნათქვამით მე და ჯიშვარი ვართ დამნაშავეები.

**სულხანი** — ჰო, შენ და ჯიშვარი ხართ დამნაშავეები.

**ირაკლი** — შენ, ბიჭო, შენი თავის დაძვრენა გიყვარს.

**სულხანი** — აი, ხედავ, არ გამომივიღა. მინდოდა პირდაპირ მეთქვა, ალაღად და კაცს ვაწყენინე.

**ჯიშვარი** — ამიტომ უნდა დაუფიქრდე, როცა ლაპარაკობ.

**სულხანი** — აი, აი, არ ამბობ სწორეს, როგორ არ გითხრა. სულ ვერ გამიგეთ, კაცო. მე სულ სხვა მინდოდა მეთქვა. მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენთან ერთად მეც დამნაშავე ვარ გარუნულად, მეც ისევე ვიქცევი, როგორც თქვენ. ეგრე ნუ იყურები, ჯიშვარი. შინაგანადაც ისევე ვიქცევი, როგორც შენ, მაგრამ არის რა-

ღაც, რასაც, უბრალოდ არ მაძლევთ საშუალებას, რომ ვთქვა.

**ირაკლი** — აი, შენ ამბობ, რომ ისევე იქცევი, როგორც ჯიშვარი ან, დავუშვათ, მე, მაგრამ სულ ორი სიტყვა თქვი და შენი ქცევით უკვე დაიწყე გამოყოფა.

**ჯიშვარი** — მე, მე უბრალოდ ძალიან მიქირს მასთან კამათი.

**სულხანი** — ჩემთან ორივე სწორი ხართ. მე არ ვიყავი სწორე, როცა დავიწყე არ შეიძლება... ვიცოდი, ასე დამთავრდებოდა.

**ირაკლი** — რა, ვერ გაგიგებდით ჩვენ?

**სულხანი** — არა, მაგას არ ვამბობ.

**ჯიშვარი** — მე ვიცი, რომ სწორედ მაგას ამბობ, თან იძახი, მინდა გულწრფელი ვიყო.

**სულხანი** — ნუ დამეხვეით ორივე, ბიჭო. მართლა სხვა მიზანი მქონდა, როცა ლაპარაკი დავიწყე. არ მინდოდა არც ერთის წყენინება, არც რაიმე თქვენთან...

**ირაკლი** — როგორ, კაცო, ჩვენ სულ გამოგეთიშე? პირადად ჩემზე ვამბობ.

**სულხანი** — არა, არა, იმიტომ კი არა, რომ თქვენ გამოგათიშეთ, თუნდაც შენ. აი, უყურე, არ დამამთავრებინე ლაპარაკი. ახლა უკვე ის აღარ არი, რაც მინდოდა.

**ჯიშვარი** — შენ სულ ის არ გამოგდის. მაპატიე, მაგრამ...

**სულხანი** — მე მართლა სულ ის არ გამომდის.

**ირაკლი** — ეგ დათანხმება კაცის გაფარჩაკებაზე უარესია, ხო იცი.

**სულხანი** — არ ვიცი, არ ვიცი, მოდი რა, დამიგდე ყური, ირაკლი.

**პატარა გურამი** — დაუვადოთ და მოვეუსმინოთ, კაცო, ერთმანეთს.

**სულხანი** — შენი ჭირიმე, ცოტა ხანს ნუ ანგლობთ, თუ შეიძლება.

**რეზო** — იქნება რა აქვს კაცს სათქმელი.

**სულხანი** — მადლობთ, რეზო, რო გჯერა, რომ მართლა ბევრი მაქვს სათქმელი. უფრო სწორად, რალაც მაქვს სათქმელი.

**რეზო** — ხო, მესმის, ხო, იცი...

**სულხანი** — აი, იცი, რა იყო ირაკლი? შენ იმიტომ მოგმართავ, რომ პირველად შენ გამოემეკამათე. გურამს მერე მოუხდი ბოღიშს, რომ წარმოდგენას ვაწყვეტინებ. თუშკა, არ უნდა ბოღიშო. აი, წელან ერთი მომენტო იყო, აი, აქედან შეგებდე ყველას, აი, ასე ვონებაში სხასა შუაში დავიჭირე გამართული ხელი, ისე რომ ორად გამოყოფილიყო ოთახი, მოთაშაშეები—იულონი და თეზიკო და სხვები. მერე თითქოს წამოვედი უკან, აი აქეთ, და ისევე დავიჭირე ხელი. ახლა ერთ მხარეს მოექცენენ არტისტებიდან თეზიკო, მყურებლებიდან მის გამოყოლებაზე — პატარა გურამი იგივე კულმანა, ირაკლი, გიუ-

**გურამ რეზულიშვილი**  
იულონი

ლო, ჭიმჭერი, მგორე მხარეს იყვნენ: იულონი, რეზო, გურამი, და მე. რალანაირი შური ვიგრძენი, იმდენად შუაში, მარტო გეომეტრიულად კი არ გამოგოთ, სითბოთი შუაში იღვა ბოზა. ახლაც, აი, როცა ცალი თვალთ გავხედავ, თითქოს ბოზას სხეული მთლიანად იწოვს ყველას — ნიჭზე, სიდიდებზე, ვაჟაკობაზე, ასეთ წყრობანა, პრაქტიკულ რალაცებზე არ ვამბობ, ცოლდეთ... აი, ისევ ვერა ვთქვი. ეს იცით რისი ბრალა? რალანაირად ზედმეტად ვგრძნობ იმას, რაც უნდა მეთქვა.

**პატარა გურამი** — ადგილი გამოიკვალე უბრალოდ და ისევ ამოკრიფავ სათქმელს.

**ირაკლი** — ჩემთვის გასაგებია, რაც უნდა თქვა.

**ჯიმჭერი** — ჩემთვისაც გასაგებია რაც უნდა თქვა. აქ ბოზაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ...

**სულხანი** — არა, არა, სწორედ ბოზაზეა ლაპარაკი.

**რეზო** — და რა გახდა კაცო ეს ბოზა.

**სულხანი** — შენი კვირიმე, ახლა ნუ იხუმრებ, გათხოვთ.

**ირაკლი** — ჩემი აზრით, აქ საქმე სუფთა სუბიექტურ აღქმაში უნდა იყოს.

**ჯიმჭერი** — ეგ არ არის სულხანის უბედურება.

**ირაკლი** — თუნდაც ბოზას ამბავი...

**დიდი ბოზა** — და მორჩით კაცო ეს ბაზარი, ბოზა მოკვდა თუ წავიდა?!

**ჯიმჭერი** — სწორეს ამბობს ბოზა. როგორ შეიძლება კაცი აქ იდგეს და ისე ილაპარაკოთ იმაზე. შენ უკვე აპირებ პირში მეცე! ცუდ ლაპარაკზე არ ვამბობ. უბრალოდ, კაცზე ილაპარაკო, გააჩიო ის, როცა თვითონ აქა დგას.

**სულხანი** — ბოდიში ჭიმჭერ — ბოდიშს ხაზს არ ვუსვამ, იცოდე, შენ რა თქვი, ვერ გავიგე, ბიჭებო, მიგდებთ ყველა ყურს? მე მინდა ყველას გელაპარაკოთ, და რაც მთავარია, ყველას ერთნაირი გულისყურით, ე. ი. ერთნაირი ყურადღების მიქცევით, იმ წყრობანის ინტერესის სრული გამოკრებივით, რომელსაც მე ამ წაშში ვგრძნობ და რომელიც მაიძულებს ჩვენი პასუხის დიდი ნაწილი სწორედ გეუთვნოდეს ირაკლის და ჭიმჭერს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არავინ ნაკლებად არ მიყვარს.

**პატარა გურამი** — ეგ არც გვიფიქვია.

**სულხანი** — თქვენ ფიქრზე არ არის, მე თვითონ ვიფიქრე.

**პატარა გურამი** — შენ გინდა თქვა, რომ ყველა ერთნაირად გიყვარვართ?

**რეზო** — სიყვარულის ახსნა მოგინდა შუა სპექტაკლის დროს?!

**სულხანი** — ჰო, ჰო, და ჰო! შენ იხუმრე, მაგრამ სწორე თქვი. თან კარგადაც იხუმრე და კარგადაც ჩაამატე, ესე იგი თავის ადგილზე თქვი, მაგ ხუმრობაში, რომ მე „სიყვარულის ახსნა მომინდა“, არ იყო არც არავისადმი მი-

მართული დაცინვა, არც ზედმეტი გრძობა. მანდ იყო ობიექტური სითბო. მაგ სიტყვებში, როცა ამბობდი, რეზო, ვიგრძენი, როგორ გაგინათდა სხეული და როგორ მოგინდა შენ თვითონაც აეგხსნა სიყვარული. მე შენ მაგიერ გამეხარა, ისევე, როგორც მიხარია ბოზას მაგიერ.

**დიდი ბოზა** — ჰე, ჰე, ჰე, ისევ ბოზაზეა ლაპარაკი?!

**სულხანი** — ჰო, ბოზა, შენი კვირიმე, ნუ მიწყენ, ისევ შენზეა ლაპარაკი. წელან რომ ვამბობდი და ვერ დავამთავრე. აი, შენ რომ გიყურებ, თბილი შურით მევენება გული, სიყვარულს შურით: როგორ შეგიძლია ასე განურჩევლად გიყვარდეს ყველა, თანაც ისე, რომ არ გეცოდებოდეს არავინ, ამასთანავე შენ თავზე ისე ლაპარაკობდი, როგორც სხვაზე ისიც გიყვარდეს და ამ დროს არ იყო ფრჩხილის ოდენა ეგოისტული კი, აი, აი ასე დაგინახე ყველას შუაში და, სხვათაშორის, არც შემთხვევით მოხდა, რომ კუჭმანა იგივე პატარა გურამი, და რეზო თითქმის შენთან ერთად სხედან. სამივენი რალანაირად ძალიან გეგხარეთ ერთმანეთს.

**დიდი ბოზა** — კაცო, ამ კურტებს?!

**სულხანი** — ჰო, ჰო, ჰო, მაგ კურტებს. აი, რომ მეთქვა მე სხვაზე, უნდა წყენოდით ჩემგან, მიუხედავად იმისა, რომ შენ სხვაზე ნაკლებია არა ხარ ვაჟაკობით, მეტიცა ხარ, მაინც არ წყენობდი შენგან ნათქვამი და ღაჩავარდ არ იღებენ.

**დიდი ბოზა** — ეგეთი რომ იყო დიდი ბოზა, არ იცოდით?

**სულხანი** — მოდი, ბოზა, ისე ჭიგრიანად, როგორც შენ გულს გაუხარდება, როგორც შენ აი ამას, აი ამ მეკრდს ესია მოვენება რომელზედაც ჩემ მუშტს ვერტყამ, ისე ჩაგოცინი.

**დიდი ბოზა** — მოდი, ბიჭო, ბოზა მხად არის. ჩასაკოცინად.

**სულხანი** — ჰმ, ამის დედა ვატირე, რალაც უტეხ დავთვერი უღვინოდ! შენ გენაცვალე, რეზო, და შენ, კუჭმან! ბიჭებო მაპატიეთ რა, ამით რომ ველაპარაკები მარტო, მაგრამ ამითან რალაც საქმე მაქვს. ბოზასთანაცა მაქვს ეგ საქმე, თქვენთანაც ყველასთან ახლა რა იყო, იცით? შეიძლება ზედმეტი ვთქვი, სადღაც დამძლია ატირებულობამ, მაგრამ რანაირი შეგრძენება მქონდა, იცით? ძალიან ნაცნობი ყველასათვის. აი, ასე ხო დგას ხოლმე წრე: შეკრული წრე და დაბალ ტაშს უკრავს, საცეკვაო ტაშს; წრის გული კი ცარიელია და მოცეკვავეებს ელის. რალანაირად ვიგრძენი, მთელი კუნთები დამიქვია, აი, სახეზე კი წამომახურა. აი, ეგრე, ასე იღეპით ჩემ გონებაში თქვენ, როგორც ახლა დგებართ წრედ და უკრავთ დაბალ ტაშს; მე სადღაც უქნიდან, მთელ ტანში მტკრვით წამოვდი, გამოვარდვიე რკალი წელში მოხრილობა, თავდაღუნულმა, ოღონდ სახეზე გამართვის სურვილი, წინ გაშვებული მუშტით გაკიშულ



ხელზე: ცარიელა წრეში შემოვარდნილმა, ერთი შემოვლა ასე შემოვლარა. ტაში მხოლოდ, როგორც ახლა, ოდნავ უფრო დაძაბული გახდა. მე ვიგრძენი საკუთარი ზერხემლის, მოღუნული ზერხემლის დაუოკებელი სურვილი და უცბად ავარდნილ ვაშლილ ტაშთან ერთად გავიმართე. ო, რა სასიამოვნოა წელმობრძელად ყოფნას შედეგად გამართვა, სხეული იზრდება და ბეჭები აღარ ეტევიან გარშემო სივრცეში. მანამდე მობღუჯული მუშტი იშლება უზარმაზარ ნიჩაბივით, ნიჩაბივით უვნებლად და ალაღად და ყოველისშემძლედ.

ამ გამართვაში არ არის, გეფიცებით, არც თავის მოწონება, არც სურვილი იმისა, რომ მართო იცეკვოს, აქ ჩემთვის მხოლოდ უფლებაა იყო ისეთივე ადამიანი, როგორც თვითონელი ტაშის დამკვრელია, როგორც თვითონელი იმთ-განია, რომლებმაც წრე შეკრეს.

**პატარა გურამი** — მაშ, ეს მოდი, წრის შემკვრელებს გაუმარჯოს!

**სულხანი** — არა მაშ, ეს მოდი, მე გამიმარჯოს!

**რეზო** — სწორია, სულხანს გაუმარჯოს!

**ირაპლი** — გაუმარჯოს!

**ჯიშხარი** — უღვინოდ გაუმარჯოს!

**ლიდი გობა** — თუ გამარჯვება, ყველას ვაგვიმარჯოს!

**პატარა გურამი** — მოდით, ეს უღვინოდ მთვრალეებს გაუმარჯოს!

**სულხანი** — სწორია, მე მაგიტო დავლიე ჩემი საღვებგაძელო, ჩემთან ერთად, კუზმან, შენ გაგიმარჯოს, ვაგიმარჯოს შენ შენი სიყვარულით, შენი კაცობით, აი ასე, პირდაპირ შენი კუზმანობით, აი ასე დიდად, ჩემთვის თბილად და უაზროდ, როგორც ეგ სიტყვაა თავისთავად. და მე მიაპატიე თუ...

**პატარა გურამი** — ვიცი, ეგ ყველაფერი რაზე დაიწყე, დედა მომიკვდეს, თუ შენზე მე ნაწყენი ვიყო.

**სულხანი** — არა, ტყუილა ნუ მარწმუნებ, შენ გაქვს უფლება და უნდა იყო კიდევ ნაწყენი.

**პატარა გურამი** — ეგ ჩემი ნებაა, მე გეუბნები, რომ არა ვარ ნაწყენი!

**სულხანი** — ეგეთი გული რომ გაქვს, იმიტომ გენაცვალე.

**პატარა გურამი** — ეგ კარგი გულით არ მომსვლია...

**სულხანი** — ჩემთვის სულერთია რითე მოგივიდა...

**პატარა გურამი** — სხვა არაფერი არ შემეძლო მექნა...

**სულხანი** — სწორედ ეგ არის დიდი და კარგი, რომ ასე გულხანდით ხარ, როგორ გრძნობ ახლა იცი, აი ასე, მოდი, ჩემ ილიის ძირში მინდა მოვიტყუო შენი მხრები, ასეთი ნათესაური შეგრძნება მარტო მაშინა მქონდა როცა ჩემი ორივესი ირინკა მომყავდა ხოლმე ქუჩა-

ში, უფრო სწორად, როცა კიბეებზე ჩამოდიოდით.

**პატარა გურამი** — რეზო, გახსოვს ირინკა?

**რეზო** — როგორ არ მახსოვს ირინკა!

**სულხანი** — არ შეიძლება ის გენახოს და არ გახსოვდეს პა კუზმან?

**პატარა გურამი** — კარგი, აღარ გინდა. ნულარ ივონებ...

**რეზო** — რაც გინდა იყო, კაცს უყვარდა...

**სულხანი** — აი მაგიტომ ვენაცვალე მეგ კაცს, რომ ის გოგო უყვარდა, ის არ შეიძლება ცუდს ყვარებოდა.

**რეზო** — ახლაც უყვარს და არ გინდა, ბევრს ნუ ილაპარაკებ იმაზე...

**სულხანი** — ახლაც უყვარს? მეც მიყვარს კიდევ, ოღონდ გავუშვი და აღარ მოვა ჩემთან აღარასოდეს...

**რეზო** — შენ გავუშვი?

**სულხანი** — მე გავუშვი!

**პატარა გურამი** — კარგით, ნულარ ილაპარაკებთ ირინკაზე!

**სულხანი** — კუზმან, გახსოვს ის საღამო? მე მაშინ არ ვიცოდი, რომ შენც ძალიან გიყვარდა ირინკა, გახსოვს რა თემები აქვს მაგ გოგოს? არა ვტყუივარ! მე ვიცოდი თქვენი ამბავი, ოღონდ თავი მოვიტყუე, არა, კიდევ ვტყუივარ! თითქოს არც თავი მოვიტყუე, სულ სხვა რაღაც...

**პატარა გურამი** — მახსოვს, იქიდან რომ ერთად წამოვედი, მაშინ კინაღამ არ გაგიყარე დანა მუცელში...

**სულხანი** — კი ვხედავ, ვხედავ როგორც აი, ამ ჩემ ხუთ თითს, აი ამ ხუთ თითს ერთი, ორი, ხუთი, მეზარება ბოლომდე დათვლა, ისე ვხედავ იმ დღეს, იმ კიბეებს, რომელზედაც ჩვენ ჩამოვედი. მე მთვრალი ვიყავი...

**პატარა გურამი** — მე წვეთი არ დამიღვია იმ დღეს.

**სულხანი** — ისე მოვიტყუე, არც მე ვიყავი მთვრალი, მაგრამ მთვრალზე უარესად ვიყავი, კიბეებზე ჩამოსვლის დროს მარჯვენა ხელი გადავხვიე კუზმანას, მარცხენა ირინკას, გოგოს ყოველთვის მარცხენა ხელს ვხვებ, მიყვარს როცა ილიის ძირში შემოვლდება, როცა მომეკარობა ქალური მხრებით, რომლებიც ერთმანეთთან მიდიან მკლავის მოხვევისას, თრთიან, მაშინ შემოდის ჩემ სხეულში ქალი და სახეს გულზე მიდევს. ამ დროს ვგრძნობ ქალს, ამ დროს ვიგებ ნათესავია ის ჩემთვის, თავისი სხეულით თუ არა, უკანასკნელი ბოზიდან უპატიონსენს ქალამდე შემოძლია ასე ამოვიცნო ქვეშეცნულად ჩემი ნათესავი სხეულით, მისი დიდი გავებით და მთელი არსებით შევიყვარო ის, თუნდაც მარტო ერთი საათით, ოღონდ მაინც მთელი არსებით...

**გურამ რეაუნივილი**  
იულონი

პატარა გურამი — სულხან, ნულარ ილაპარაკებ მეტს!

სულხანი — ე...

პატარა გურამი — იცოდე, შეიძლება, მაწყენინო...

სულხანი — არ შეიძლება ეგ ბიჭო, სწორედ მაშინ კიბეებზე მარჯვენა მხარეს შენ მყავდი მობლუჯული და ისევე გიგარძენი, როგორც ირინჯა, როგორც ჩემი ნათესავი სხეულით ე. ი. ამიტომ გენაცვალე, აი ამიტომ შემიძლია დავმცე შენ წინ მუხლებზე, ენით ავლოკო ის მიწა, რომელიც შენ გარშემოა და თავი არ დავიმცრო, ეს ხომ გესმის! მე შემიძლია გავაყუთო ეს შენი გულსათვის, შენი გულსათვის ვურტყა თავი იატაკს.

პატარა გურამი — სულხან, სულხან!

ბიჭვანი — სულხან, სულხან!

რეზო — ადექი, ბიჭო, გეყოფა თავის რტყმა!

პატარა გურამი — მეც შემიძლია, როგორც შენ გააკეთე. ავლოკო მიწა, არ გჯერა? ადექი, ნუ ხარ დარჩოქილი და ნახე, ნახე მეც, მეც...

რეზო — კუზმან, კუზმან!

ბიჭვანი — კუზმან, კუზმან, სულხან, გეყოფთ მიწის ლოკვა და თავის რტყმა!

ჯიშვარი — თქვენი ჭირიმეთ, გეყოფათ ორივეს, რა მოგდით?!

დიდი ბოზა — ხალხო, რას ლეღავთ, არტისტები აქ არა უფილან, რალა ამ პარტიოსან ხალხს ვაწვალებდით, შენი არ მიყვირს, დიდო გურამ?

სულხანი — აი მაგ პირდაპირობისათვის გენაცვალე ბოზა. არც ირაკლი, არც ჯიშვარი მაგას არ მეტყუოდნენ ჩემ ალტინებზე. ხე, ხე შენ შეინდებოდათ რამე არ იფიქროსო.

ირაკლი — შენ ისევე ჩვენი პიროვნების შეურაცხყოფაზე გადადიხარ ძალით განოწყვეული პათოლოგიური მოვლენიდან...

სულხანი — ხი, ხე და მაგას ეძახი, რომ გამოგეთ...

ჯიშვარი — შენ რალაც წინა აზრით მოდიხარ ჩვენთან, ეგ არის შენი ლაბარაკის ნაკლი...

სულხანი — გაჩერდით, თორე ვიფიცებ, არა გჯერა, არა, მართლა ვიფიცებ, მაპატიეთ, რომ თითქოს უკვლავებ ხელში ჩავიგდებ, ვიცი რომ ეს ბოლიში უფრო გწყინთ, მაგრამ არ არის ეგ მართო ჩემი ბრალი, ეგ ჩემი ტრაგედიაა. ბიჭო გესმით? ტრაგედია! რამეს რომ ვამბობ, ეგ ჩემი ტრაგედია! ან ვაკეთებ, ერთ ნაწილს უნდა ვესიამოვნო, მეორეს უნდა ვაწყენინო, ამიტომ შემეყვარა ბოზა რომ ეგეთი არ არის, აჰა ბოზა შენ წინ თუ გინდა მუხლს მოვიყრი, ვეხებზე გაოკებ, როგორც ყველაზე პარტიოსანი, ობიექტური კაცის წინ, შენ წინაშეც რეზო, შენ წინაშეც კუზმან და არ შემიძლია იგივე გავაკეთო ირაკლისა და ჯიშვარის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარს არა, თქვენზე ნაკლებად არც ერთი და, ღმერთო, ტყუი-

ლი არ გამოვიდეს, ისევე შეიძლება თქვენზე მეტადაც მიყვარდეს ისინი.

დიდი ბოზა — რალა მე გინდა რომ შენც იმეორე...

სულხანი — არა, ბიჭო, შენი მობაძვა კი არ მინდა...

დიდი ბოზა — მა რა გინდა, კაცო?

სულხანი — მე მინდა ვეხებში ჩავივარდებ იმიტომ, რომ რაც გინდა ცუდი საქმე გააკეთო, საქმესთან ცუდი გულით არ მიდიხარ, იმიტომ რომ შენ არ იცი ტყუილი შეცოდება რა არი, იმიტომ რომ შენ ყველაზე სამართლიანი კაც ხარ, ვგრძნობ რო ავიწყებ, იქით აღარ მივედივარ, მაგრამ ველარა ვჩერდები, აი ეგეთივე კაცია კუზმანა, არ იცოთ კუზმანა ჰე, ჰე, ჰე, არ გეგონოთ, რომ ვიციროდ, მე და ამას უფრო ძველი ანგარიშებიც გეკონდა, გინდოთ გიოხრათ, გაგახსენოთ, ერთხელ მე ამ კაცს...

პატარა გურამი — არ გინდა ახლა მოგონება...

რეზო — სხვა დროს რა სულხან...

სულხანი — რას მეხევეწებით? გეგონებთ მართლაც ხელში ჩამეგდოს უფროსობა.

რეზო — მა, ხო არ გცემთ?

სულხანი — მცემთ!

დიდი ბოზა — კაცო, მერე და ხელის დასახანი წყალი სად ვიშოვოთ?..

სულხანი — ეგ როგორ გავიგოთ, ხუმრობთ თუ მართლა ჰე, ჰე, ჰე...

დიდი ბოზა — როგორც ბოზა ამბობს, ისე უნდა გაიგოთ!

რეზო — უბრალოდ თქვა და მორჩა!

სულხანი — მე მითხარი რამე ჯიშვარი!

ჯიშვარი — ჰო, შენთვის მინდოდა მეთქვა...

სულხანი — რა გინდოდა?

ჯიშვარი — არაფერი, სულ უბრალო რალაცა. ნუ აიღე თავიდანვე ეგეთი ტონი, თითქოს მე გიწვევ...

სულხანი — არა, კაცო, რატო გეჩვენება, ნუთუ მართლა ეგეთი ტონი მაქვს?

ჯიშვარი — მე არ მეჩვენება.

ირაკლი — ახლა თქვენ დაიწყეთ, სად წავიყვანთ იცი თუ ლაბარაკი?

სულხანი — რატო გაუბიხარ მერე ლაბარაკს?

ირაკლი — არ მინდა ეგეთ აფეთქებამდე მივიღე.

პატარა გურამი — ირაკლი თავს უფროსობა, არა, ირაკლი?..

რეზო — გოგლი-მოგლი, გოგლი-მოგლი...

ირაკლი — რა გოგლი-მოგლი ბიჭო?!

რეზო — გოგლი-მოგლი ორი კვერცხით...

ირაკლი — ჩემზე ამბობ მაგას?

პატარა გურამი — ჯერაც არ გიკამია გოგლი-მოგლი.

ირაკლი — რომ ვეკამ, ორგანიზმს ჭირდება და იმიტომ ვეკამ, როგორც წამალი ისე მაქვს გამოწერილი...



**დიდი გოგა** — ვისთვის გოგლი-მოგლი და ვისთვის ორასი გრამი ჭკპის არაყი...

**რჩეუი** — გოგლი-მოგლი...

**ირაკლი** — შენ, გეუბნები, დაუფიქრდი, როცა ლაპარაკობ...

**პატარა გურამი** — ფიქრის თავი სადა აქვს, ისე იმხელა თავი აქვს...

**ირაკლი** — ჰოდა დიდი თავი რომა აქვს, იმიტომ უნდა დაუფიქრდეს, რომ მთელი ქონდეს ყოველთვის.

**სულხანი** — კარგით, გეყოფათ, ნუ მიიღებთ ასე არასერიოზულად ჩემ ლაპარაკს.

**ირაკლი** — ისე, სულ შენი ბრალია. ახლა ამ ხალხმა ჩვენზე რა უნდა იფიქროს? ისეთი სიტუაცია შექმენი, თითქოს ჩვენ ყალბი ტიპები ვიყოთ...

**სულხანი** — სწორეს ამბობ, მართლა ვერ მოვიქვც კარგად, ბიჭებო, თქვენ წინაში ვითხოვ ბოდიშს, არა ირაკლისთანა და ჯიმშერთან, ეგენი ეგრე მიიღეთ, როგორცა ხედავთ, მართლა კარგები არიან, ეს კრიტიკისი კაცია, ეს ფილოსოფიას სწავლობს.

**დიდი გოგა** — ვა?

**ირაკლი** — აი, ისევე არასერიოზულ მდგომარეობაში ჩავყავყავ.

**პატარა გურამი** — აფსუსი არ არის, მავას რეზოს თავი არ აქვს...

**ირაკლი** — თქვენ სულ იცინით და უკვე ძნელი გახდა სერიოზულად ლაპარაკი, თუნდაც იმიტომ, რომ აქ როგორღაც შეურაცხყოფის გრძნობა თითქოს დაიკარგა, მე რომ მითხრას კუზმანამ კიდევ შეიძლება მოვითმინო, მაგრამ ჯიმშერს პირველად ხედავს...

**ჯიმშერი** — ირაკლი ისევე არასწორად დაიწყე შენ ლაპარაკი, აქ ყველა ერთნაირათა ვართ, იმიტომ მე არც მიმიღია შეურაცხყოფად...

**ირაკლი** — რო არ მიიღე, ეგ შენი ნაკლია. **ჯიმშერი** — იყოს ჩემი ნაკლი, ყოველშემთხვევაში, ეგ არ არის იმისი ბრალი, და თუ მართალი გინდა, მე მიხარია კიდევ რომ ასე პირდაპირ უტყერებონიოთ მომმარათავენ.

**სულხანი** — სწორეს ამბობ შენ ჯიმშერ, სწორეა კაცი, რა გინდა?

**ირაკლი** — მე რა ყოველთვის დამნაშავე გამოვდივარ?

**სულხანი** — გულახდილობა გვაკლია ჩვენ ყველას, გულახდილობა...

**ირაკლი** — მე შემიძლია ვიყო გულწრფელი თქვენთან...

**სულხანი** — მოდი, შეგეცადოთ მართლა, თითოეული ჩვენი სიტყვა იყოს გულახდილი...

**ირაკლი** — მეც მაგ აზრისა ვარ, თქვენ რომ თითქოს ჩემ წინააღმდეგ გაილაშქრეთ, გვგონება მე აზრების შემგმელი იყო, რაც მე მაგ აზრისთვის ვადავიტანე, ჯერ მთელი ჩემი ოჯახი მაგ იღებებისათვის ვაწყდა, მერე სულ მთლად ბავშვმა დაიწყე ღამ-ღამობით წიგნზე მუშაობა,

მა, მაგის გამო იყო რომ კინაღამ არ დავბრმავდი.

**სულხანი** — აი ისევე გადაუხვიე გულახდილობას და შენი ამბების მოყოლა დაწყე.

**ირაკლი** — ჯერ ხო არ მითქვია ბოლომდე?!

**ჯიმშერი** — არა, ირაკლი, აქ სულხანი სწორეა, ბოზას გულახდილობა რომ მოგწონთ, რატომ მოგწონთ?

**სულხანი** — ალალია და იმიტომ!

**ჯიმშერი** — არა ხარ სწორე, შენ გგონია ირაკლი ბოზაზე ნაკლები გულის არის?

**სულხანი** — არა, როგორ გითხრა?

**ჯიმშერი** — აი, ისევე არ ხარ სწორე. ფიქრობ რომ ხო და აზრობ სხვას არც შენ შეგიძლია ხედავ იყო ალალი, გულახდილი...

**სულხანი** — მე ვცდილობ, რაც შემიძლია...

**ჯიმშერი** — რაც შეუძლია ირაკლიც ცდილობს, ოღონდ მეტი არ შეუძლია, იმიტომ რომ თავისი ფორმა არ აქვს, სხვათაშორის ეს უფრო რჩობა მაგისი ბრალი კი არ არის, უფრო რჩობა გვახასიათებს ყველას ჩვენ და თითქმის უკლებლივ...

**სულხანი** — ეგ არის ჩვენი ტრაგედია.

**ჯიმშერი** — შენ გგონია რომ ახლა დამეთანხმე, არა, ეგ არ არის ჩვენი ტრაგედია, რადგან ის საერთოდ არ არის ტრაგედია, ის არის ჩვენი ბუნება, ქართველი კაცის ბუნება, რომელმაც არასოდეს არ იცის რა არის ის თვითონ და სისტემატურად ცხოვრობს წარმოდგენებში და არა თავის სინამდვილეში.

**სულხანი** — თითქოს გავიგე და ისევე დამეკარგა ძაფი.

**ჯიმშერი** — აი, რეზო აიღე. სწავლობს საინჟინროზე და დარწმუნებულია, რომ მისი მოწოდებაა ხატვა, ვთქვათ რეზოს მართლა აქვს ხელოვნების ნიჭი, აიღე... აი შენ ამაყიდა გაქვს არტისტული ნიჭი, შეიძლება ძალიან დიდცი, მაგრამ დარწმუნებული ხარ რომ უნდა თითონ შემქმნელი ხელოვანი და ამ ფორმასა და აზრს შორის ჭიდილში მიღის შენი ცხოვრება, ვიტყვი უფრო მეტს — გიული იმდენად შეეჩვიათვის მოსულენო ბიჭის როლს, რომ ის არამტოვ თავისთვის ბუნებრივ, საშუალოდ ჭკვიანი ადამიანის ფორმაში არ ვასცვლიდა მას, არამედ ძალიან ჭკვიანობასაც ითავილებდა თავისი არსებობის გამოხატვის დროს.

**სულხანი** — მართლს ლაპარაკობ ხო იცი... ჰო, სამწუხაროდ, მგონი მართალია.

**ჯიმშერი** — რათა სამწუხაროდ? აი ისევე ამოვარდა ფორმიდან. უბრალოდ არ შეგიძლია გახადე არტისტი, ფანტაზიას შემოქმედებას სწორედ იქ მისცე გასაქანი, იქ გახადე დიდი, რატომ არ არის იცი ეს სამწუხარო?... გისმენ, კუზმან ამაზე შემდეგ.

**პატარა გურამი** — კაცს უნდა, თითონ წერ-

**გურამ რჩაულიშვილი**  
იულონი

დეს; რომელი უფრო ღიძია, ხო უნდა გავითვალისწინოთ?..

**ჯიშური** — ის კი არ უნდა გავითვალისწინო, რომელი უფრო ღიძია, არამედ ის რომელი უფრო თავისია...

**სულხანი** — სწორე ხარ, თითქოს, სწორე... ოღონდ რაღაც, მინც, ვერა გვრძნობ...

**ჯიშური** — ჰო, შენ გგონია მე მწყინს, რომ ვერა გრძნობ ამას, რომ თუნდაც პატარა გურამი სამუდამოდ დაიღუპა, როგორც პატიოსანი ინჟინერი და ვერასოდეს ვერ იქნება ხატვის ტონის მიმცემი თავისი აზრებით... ერთი წამითაც არა...

**ირაკლი** — ყველა გამოულანძღვ ერთ წუთში.

**ჯიშური** — მე? ერთი წამითაც არა, ერთი წამითაც. პირიქით, მე ჩემ ამბავსაც ვეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ნიჭი არა მაქვს მსახიობობისა თუ ოდესმე რამეზე ვონებობ ეს არის სცენა, ვიყო სცენაზე ხალხით სასვე დარბაზში და ვიყო ღიძი არტისტი უზარმაზარი კოფრიან მტკვანში მექიროს შანდალი ანთებული სანთელით და ნელა, სულ ნელა ვმართავდ მობრილ ხელს სანამ ის არ მიადრეკს უსასურლობას ჩემი მტკვნის შემწყობით და სანამ ეს სინათლე არ გაანათებს ყველაფერს ზი, ჰი, ჰი გვიცინებთ, ყველას ჰა?

როგორ შეიძლება სათვლიან ჯიშურს ქონდეს ასეთი სურვილი იყოს არტისტი? თანაც ექიროს ასე მაღლა აწეული შანდალი აი ასე! ასე მაღლა აწეული ერთი კი არა, ორი შანდალი, ათი შანდალი, ასი შანდალი!

**რაზი** — ეგ ხომ მეც მინდა!

**სულხანი** — ათასი შანდალი!

**ღიღი ბოზა** — კაცო, კაცო!...

**ირაკლი** — ეგ როდის მოგივინდა თავში?

**ჯიშური** — ეგ მე არ მომსგლია თავში, მე მაგ სურვილით გაგზნდ... კარგით, მე უკვე დავმშვიდდი და თითქოს შემძლია ნორმალურად ვილაპარაკო... არტისტულობა, ჩემი აზრით, არის სუფთათ ჩვენი ქართული ბუნება.

**ღიღი ბოზა** — ვითომ, კაცო?..

**ჯიშური** — ზი, ჰო თუნდაც, ოღონდ სერიოზულად, ყველაზე გულახდილი, ალაღა ბოზას ლაპარაკი ე არის სუფთა სცენური, ოღონდ მისი ფორმა ისე შეესაბამება შინაარსს, რომ ვერც კი არჩევ ერთმანეთისაგან დანარჩენებით...

**ირაკლი** — ეგა გლუბავთ ქართველებს.

**სულხანი** — ფორმით ვატყებთ არის საშინელი რაღაცა, აი მე ჩემ თავზე შემძლია ვთქვა...

**ჯიშური** — თქვენ არ მოგწონთ ფორმით ვატყებთ, არც მე მომწონს, მაგრამ მე, მე ვამაყობ, რომ ვარ იმ ერის შვილი, რომელსაც არასოდეს არ აკმაყოფილებს თავისი არსებული ფორმა, რადგან არ იცის რომელია ის — დაუკმაყოფილებლობა არსებულით. ეს არის ფორმა და ამას ქვიან ქართველი კაცი, აი მეც

ვარტისტობა ახლა, ზედმეტად ვიქნე ხელსაყრელი მე ამით ვამაყობ, ამან შეიძლება დამლუჯოს მან შეიძლება დაგვლუპოს ჩვენ ყველა, დავგლუპოს სხვა ფორმის ძიებამ, მაგრამ ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ არსს, ის იმდენად ნამდვილი იქნება, რომ არც ერთი ჩვენგანი არ ინანებს, რომ იყო მისი გზის უნებლოე მსაჯურალი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ის შეიძლება გავლანძლოთ კიდეც.

ჰო, იმდენად ბევრი რამე უნდა თვითულ ჩვენთაგანს რომ ძნელია გაერკვიო რომელი უფრო გინდა; დიახ, ჩვენი ქართველობის უმეტესობა ყველა დარგში თანაბრად ნიჭიერი ხალხი, ხოლო ყველაფერი თანაბრად ნიჭიერ კაცს არ შეიძლება ქონდეს თავისი ნამდვილი საქმე — ის აქვს მხოლოდ ცალმხრივად ნიჭიერ კაცს და გენიოსს, რომელიც ჩემი აზრით ცალმხრივად განვითარებული კაცის უმაღლესი ფორმაა, ამიტომ არის ჩვენგან ასე იშვიათი ცალმხრივად განვითარებული კაცი და გენიოსი...

უმორჩილესად გთხოვთ არ მიიღოთ შიშველ ქეშმარიტებად ჩემი სიტყვები, რადგან მე მაინც ამ პიესის ერთ-ერთი გმირი ვარ, ხოლო ძირითადი აზრი შეგიძლიათ გამოიცნოთ არა ერთის ან ბევრის ნალაპარაკებიდან, არამედ იმ გარძნობიდან, რომელიც აიძულებს მათ ილაპარაკონ...

მაშ ასე, ახლა ყველას გთხოვთ გამხიარულდეთ... თქვენი ჯიშური... და კიდევ გთხოვთ დაუკრათ ტაში, ხოლო მე, გავაცეთებ რვევარანს ან როგორც მიღებულია, მეც დავუკრავ თქვენთან ერთად ტაშს. ბრავო!

— ბრავო!

— ბრავოთ, ბრავო!

— ბრავო, ბრავო და ვაშა!

— და ძალიან სერიოზულად ვაშა!

— შენ ილაპარაკე, იმდენი, რომ ყველა ჩვენი სიტყვა ამის შემდეგ უაზროდ მომჩვენება... — ნუ გეშინიათ, თქვენ ისეთი ბიჭები არა ხართ, რომ ლაპარაკი ვეღარ შესძლოთ. სხვა რომ არაფერი, იმაზე ილაპარაკებთ, რამდენი ილაპარაკა ჯიშურმაო.

— მაინც დაიკარგა ლაპარაკის ხალისი და სხვა რამე გვინდა.

— მაშინ გავაგრძელოთ სპექტაკლი!

— ნამდვილად გავაგრძელოთ სპექტაკლი!

— ნამდვილად გავაგრძელოთ!

— ჰო, მეც მაგის მომხრე ვარ!

— ცოტა გავერთობით მაინც, ყურების დროს...

— მე უკვე აღარ ვიცი, საით ვუყურო...

— კარგი ბოზა, ზედმეტი ნუ მოგდის.

— თქვენ გგონიათ, მე ზედმეტობით მომდის?!

— ეგეთ ლაპარაკს ბოლო არა აქვს,

— ჰოდა, გავაგრძელოთ, იქნება გულზე რო

მზობედეს კაცს, ისეთი რამე მოხდეს წარმოდგენაში.

არი გურამ შიგ ეგეთი მომენტი?

— როგორ გითხრათ?

— როგორც არის, ისე თქვი, კაცო!..

— არა, ისე კი ვიტყვი, სიტყვა ვერ ვნახე სათქმელად, მოკლედ, კაცი რო კვდება, ქვია იმას თქვენთვის რამე მომენტი თუ არა?

— გაანჩია, როგორ კვდება კაცი.

**პატ. გურამი** — მე ვიცი მაგისი შინაარსი, აი უყურეთ და ნახათ როგორა კვდება კაცი.

**ჯიშუარი** — იცით რა, აქამდე თითქოს აღარ მინდოდა, იმდენად აღზნებული ვიყავი, ახლა რალაც მომინდა, აშკარად ვგრძნობ, რომ მომინდა რამე ხდებოდეს სცენაზე და მე მხოლოდ მაყურებელი ვიყო.

**გურამი** — მაშ, ვთხოვ ბიჭებს დაიწყონ, თორე თვითონაც ძალიან მოიწყინეს, დაილაღე თუხიყო? ამდენი ხანია შენ და იულონი უხმოთა ზიხართ მოწყენილები მაქეთა კუთხეში.

**იულონი** — არა, ჩემთვისა ვფიქრობდი.

**თაზიკო** — მე ყურს გიგადებთ.

**პატ. გურამი** — თქვენ რა მართლა დაქირავებული არტისტებივით იქცევით?

**თაზიკო** — სიტყვა, სიტყვაა, რახან შეგპირდით, ვითამაშებ კიდევ ბოლომდე!

**გურამი** — დავიწყეთ ბარემ!

**თაზიკო** — კარგით, ადექი შენც იულონ, მე უკვე მეშინია, ისეთი სახე გაქვს...

**იულონი** — ჩემი ა!

**თაზიკო** — ჰო, რალაცნაირი მჟავე სახე გაქვს, ნამძინარევი.

**იულონი** — მჟავე სახე ა?

**თაზიკო** — თუმცა, როდის არა გაქვს შენ მჟავე სახე?!

**იულონი** — მჟავე სახე?!

**თაზიკო** — რატო მიყურებ ეგრე, არ ვამბობ სწორეს?

**ჯიშუარი** — აქ ათასი ეგეთივე სწორე რამეს თქმა შეიძლება, ოღონდ არ არის საჭირო!

**თაზიკო** — მე სწორედ მპირდებოდა და იმიტომ ვთქვი!

**გურამი** — რატო დადექი თეზიკო ეგეთ ხასიათზე?

**თაზიკო** — როგორზე?

**გურამი** — რალაცნაირად, გამომწვევად ლაბარაკობ.

**თაზიკო** — მე ვლაბარაკობ გამომწვევად?

**გურამი** — აღარ გინდა რომ ითამაშო?

**თაზიკო** — პირიქით!

**გურამი** — აბა, რატო ლაბარაკობ ასე?

**თაზიკო** — გაბრაზებული უფრო კარგად ვითამაშებ ხი, ხი, ხი, არა, იულონ?

**სულხანი** — რას იტყვით, ბიჭებო, დავიწყეთ ნამდვილი წარმოდგენა?

— მე მინდა, რომ დავიწყეთ, არა იმიტომ, რომ სანახაობა ვნახო. მე მგონი გამიგებ გურამ, ეს ჩემი სიტყვები შენ პიესას არ აყენებს

ჩრდილს, უფრო პირიქით, უბრალოდ ისეთი განწყობა ჩამოვარდა, რომ ყველას გვეპირდებოდა რალაცა სხვას ვუყურეთ, რომელიც შენგან და მოუცილებლად ხდება.

აი, ახლა ცოტა გვერდზე ვიდექი და რალაცნაირად გვერდიდან აღვიქვი ყველაფერი. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მართლა სცენაზე ხდება ყველაფერი, ჩემ გონებაში სინამდვილეს ძირი გამოეცალა.

**ირაკლი** — ეგ შენ თვითონა ხარ ყალბი ტიპი და იმიტომ გეჩვენება.

**დიდი ბოზა** — მეც ყალბი ტიპი ვარ, მეც ეგრე მეჩვენება.

**ჯიშუარი** — საინტერესოა. ალბათ არის წუთები, როცა ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავთ საგნებს.

**იულონი** — ჩემი საქმე არ არის, არც ვაპირებ თქვენ ლაბარაკში ჩარევას. საერთოდ არ მიყვარს... მაგრამ ამდენი გულახდილობის ცდებისაგან მეც უძიროდ დამტოვეთ, თითქოს პაერი ლაბარაკობს, თქვენი სიტყვებისგან თავი თითქოს იბერება, თავისუფლდება ტვინისაგან და შიგ დიდ მძიმე ბუშტებდ დადიან უაზრო სახელები ბო-ბა, გურამი, სულხანი, ჯიშუარი ისევ ბო-ბა, მერე თითქოს ვიღაც უბერავს ჰე, ჰე, ჰეიი.

**პატ. გურამი** — რეზოს მეტი ვინ შეუბერავს. სიუუ...

**რაზო** — სავია, სავია რა დიდი და რა სავია...

**პატ. გურამი** — რა სიმპატიურია.

**სულხანი** — ეგ რა, ცდა იყო რომ გავმზიარულდეთ?

**პატ. გურამი** — არაფერიც არ იყო, დიდი იყო და შავი იყო...

**რაზო** — ოთხი ცალი იყო და ოთხივე ექსცენტრული...

**სულხანი** — ხალხი თქვენ გიყურებთ. რაგბს იძახით, ანგლობთ თუ მართლა აღარა ხართ ქუაზე?

**პატ. გურამი** — ვანგლობთ!

**რაზო** — და მეტი რა დაგვრჩენია, არა ბოზა?

**დიდი ბოზა** — დიდი ბოზა, უარს ამბობს ბო-ბოზაზე.

**გურამი** — და მერე ბოზა რომ გახდეს არ ვშინია?

**გიული** — ა, ამდენი ხანია ხმა არ ამომილია.

**სულხანი** — ჰა? ეს რალა იყო ახლა, მართალია სულ უკან წავედი, თითქოს პაერიდან მოსულმა გიულიმ რომ წერილი ხმა ამოიღო და მართლა ხდება ეს თუ არა, არ ვიცი!..

**გიული** — შენ იციოთ თვარა, მე ქე მაქვს ჩემი ოთახი, აგერ მიდევს ჯიშუარი გასალები.

**სულხანი** — რას ლაბარაკობს ეგ, გესმის?

**ჯიშუარი** — არ მესმის?

**გურამ რჩაულიშვილი**

**იულონი**



**პატ. გურამი** — ო, რა მწიფეა ეს სულხანი!  
**რეზო** — ო, რა ქარია!  
**პატ. გურამი** — ო რა მაგრა ასხია ხეს!  
**რეზო** — ო, რა ქარია!  
**გიული** — გიყების ანეგლოტი მომავლდა მაგაზე...

**რეზო** — ესეც რა ნოყიერია?!  
**გიული** — მათქმევინეთ, ბიჭო, ბოლომდე. თქვენ ამდენი ილაპარაკეთ და ერთი არ შემოიწყვეტინებია.  
**ირაკლი** — მე, მე... ლაპარაკი თვლით არის.

**სულხანი** — რატომღაც ახლა ვერ ვამტყუნებ, საერთოდ, რაც ვინდა მოხდეს ან ითქვას ისეთი აწეული სიტუაციაა, სწორედ მიწიდან აწეული, რომ ვერაფერს ვერ ვიტყვით.  
**დიდი ბოზა** — მიწიდან თუ ჰქუდიდან?  
**გიული** — ე, ბიჭო მათქმევინეთ!  
**სულხანი** — რა?  
**გიული** — გიყებზე ანეგლოტი!

**სულხანი** — მართლა გიყებვით ვართ, ხო იცი, არავითარი კონტაქტი არ არის ჩვენ ლაპარაკში, ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს ერთი გამოვა იტყვის, მეორე გამოვა იტყვის, მერე მიდის უკან და უჩრდებდა თავისთვის, როგორც ობობა რომელმაც ქსელი გააბა. და ჩასაფრებულე უცდის შიგ ბუხის ვაბზას.

**დიდი ბოზა** — და მართლა ეს ხალხი აზრების ობობები ხართ, კაცო?!  
**ჯიშვარი** — ნამდვილად, თანაც საშინლად მოშორდა ყველა ლაპარაკი ნიადაგს, აიწია, აიწია და თითქოს ლაღებლებს მიეპყინა, ახლ-ერთი გზა დარჩა რო გავიშალოთ, რეზოს თამალობით, თავის მიხედვით ვამბობ...  
**რეზო** — მერე!  
**ჯიშვარი** — ო... გაბრაზდით, ეგ ჯობია!  
**რეზო** — რა ჯობია?  
**ჯიშვარი** — ასე ნუ იქნება და გაბრაზდეს მაინც ვინმე, შეიგრძნოს კიდეც გაარტყას მეორეს!

**პატ. გურამი** — ვა მაგას შენ ამბობ სათვალისა, შენზე ჰქვიანი აქ არავინ არ მეგონა.  
**სულხანი** — მერე არ არის?! არა თქვეა ჰქვიანური, მართლა ცოტა უნდა დავიწიოთ მიწაზე, თორე ჰქუდიდან ავიწვევით და გიულის რო უნდა მოეყოლა იმ ანეგლოტის გიყებივით, ზეზე რო აღიოდნენ და ერთი ეუბნებოდან...  
**რეზო** — გიყებო, ბოლოში ბიჭებო დამწიფდით?!

**პატ. გურამი** — მე ჯერ არა.  
**გიული** — მაგი უკვე დალა.  
**რეზო** — ბიჭებო დამწიფდით?  
**დიდი ბოზა** — კაცო, შენ ისეც მკვებ ხარ, სხვებს რას ეკითხები, ყულში გამეჩხირე ხურმასავით და ეგ არის.  
**რეზო** — მაშ, მოდი ბოზა შენ დაარხიე.  
**დიდი ბოზა** — ბიჭებო დამწიფდით?

**პატ. გურამი** — ჩვენ კი დამწიფდით, მაგრამ პირველი შენ არ ჩამოვარდე, ყველაზე მოწვეული შენა ჩანხარ.

**დიდი ბოზა** — დამწიფდით თუ არა?  
**პატ. გურამი** — მიდი ბოზა!  
**დიდი ბოზა** — მიდი და შენი ყოფილი კურსიდან გიყურებთ.

**სულხანი** — მეც, ძმაო, კუთხეში წავალ, არაფერი აზრი აღარა აქვს აქ დგომას.  
**ირაკლი** — მე თავიდანვე ჰქუა ვიზმარე, აქ რომ უზნივარ...  
**გურამი** — ო... ასე გაჩუმდით ყველა.  
**რეზო** — მე... მე!  
**გურამი** — გაჩუმდი შენც, გესმის?  
**პატარა გურამი** — ჩიტი გამოფრინდება?  
**გურამი** — შენი თავიდან, გეყოფა არ გამცე პასუხი, როგორც პიესის ავტორი დიქტატორობას ვიღებ ჩემ თავზე, იულონ, თეზიკო დაიწყეთ, მერმე ჩავერევი მე, დამწერი...  
**რეზო** — და მე, მხატვარი.  
**გურამი** — გაჩუმდი, შე საწყალო, დიდთავა!  
**რეზო** — საწყალო ხი, ხი...  
**გურამი** — რა გაციუნებს ე?

**პატ. გურამი** — რაც მაგას გოგოები ყავს რატო არ იცინებს, სხვა რა აღარდებს? ნახავს გოგოს, ეტყვის — წამოდი უნდა დაგხატო და მერე მორჩა, არა, შენ რა უნდა უთხრა, დიდო გურამ, გოგოს?..  
**ბოზი** — ხა, ხა, ხა!  
**სულხანი** — ხი, ხი, ხი!

**გურამი** — ვისაც რა შეუძლია, იმას ეუბნება!  
**გიშვარი** — ხა, ხა, ხი, ხი.  
**გურამი** — კარგი რა, ვიანგლეთ მორჩა, ისეც ანგლობა? ვიწყებთ, ბრძანებს დიქტატორი!  
**ჯიშვარი** — უკაცრავად, კიდე უნდა შეგაწყვეტინოთ...  
**სულხანი** — რა მოგივიდა, ამ წყნარ კაცს, დღეს?

**ჯიშვარი** — არ ვიცი მე თვითონ, რალა-ნაირად თითქოს მართლა ბურუსში ვარ, თან მეციუნება.  
**გურამი** — მესისლი, მაგრამ სწორე გითხრა. ბიჭებთანაც უხერხულია.  
**ჯიშვარი** — ჰო, ვიცი, ისეც მაგათი მოთამაშებების სასარგებლოდ და ჩვენთვისაც, რალაც ასე უცებ ერთი შეხედვით გაცილებით რეალურ ამბავზე პიესაზე გადასვლა რაც უწყველად უფრო რეალურია ჩვენ ლაპარაკთან შედარებით, რალაც ზედმეტად კონტრასტული იქნება და მეშინია ისეც არ ამოგვაგდოს ე. ი. პიესაც ისე არ აღიქვა, როგორც ამ ამბების გაგრძელება.

**სულხანი** — ვერაფერს ვერ ვიტყვი.  
**გურამი** — ჰო ვერაფერს.  
**ჯიშვარი** — ამისათვის, რომ იყოს რალაც შუა ხაზი, მოკლედ, შენი სიტყვებით მოგვიყვი რა არის პიესის თემა...

**გურამი** — პირდაპირ მოყოლა ძნელია, იმდენად უბრალო თემა — ოჯახური ტრადედა: ერთი არაი ნაშვილები, აკანაშივე ოჯახი ზრდის, უელის, მეორე უმცროსი ძმა კი გაიზარდა სა-



ბავშვო სახლში, ის იკვლევს თავის გენეალოგის და იგებს რომ მისი უფროსი ძმა...

**იულიანი** — მე, არა? ესე იგი...

**ბურაბი** — ჰო, შენ!

**იულიანი** — კარგი, გააგრძელე ზელს არ შეგიშლი.

**ბურაბი** — უფროსი ძმა იზრდება ე. ი. უკვე გაიზარდა მდიდარ ოჯახში; უმცროსი ძმა არის ბუნებით ბოროტი, მიდის უფროსთან, რომელმაც მხოლოდ ბუნდოვანი ექვით იცის, რომ არ არის მათი შვილი...

**სულხანი** — დანარჩენს ჩვენი თვლით ვნახეთ.

**ჯიშუბრი** — ჰო, საკმარისია ეს, ისე ვთხოვე შესავლისათვის...

**სულხანი** — ჩემ სხეულსაც თითქოს მომზადება ჰქონდა სხვის მოსასმენად. იმდენად ვიყავი გატაცებული საკუთარი ლაპარაკით.

**ირაკლი** — ერთი შეკითხვა მეც მაქვს ავტორთან, თუ გაგვიმართებ პიესის იდეა რა არის, ეგ დაგვეზარება კარგ ვაგებაში.

**ბურაბი** — იდეა?

**ირაკლი** — იდეას სხვანაირი ვაგებით კი არ ვამბობ „იდეურება“ არ გგონოს, უბრალო იდეას გეუბნები, რა აზრი უნდა გამოვიტანოთ?

**ბურაბი** — აზრი? არ ვიცი მაგ მხრივ სრული უაზრობა უნდა იყოს ჩემი პიესა.

**ირაკლი** — ყველაფერს თავისი იდეა აქვს, რო გინდოდეს, უიდეოდ ერთ სიტყვასაც ვერ დღწერ, ამხელა პიესას იდეა არ ჰქონდეს არ შეიძლება.

**ბურაბი** — იდეა შეიძლება აქვს, ოღონდ ფორმულირება არ შემიძლია.

**ირაკლი** — მაგის იდეაა, ალბათ ოჯახის არდარღვევის იდეა.

**ბურაბი** — არ ვიცი!

**ჯიშუბრი** — მე მესმის, რომ შეიძლება არ ესმოდეც...

**სულხანი** — ჰო, თითქოს სადღაც მიეწვდი, რა უნდოდა ვთქვა გურამს.

**ბურაბი** — მე არაფერი არ მინდოდა ვთქვა.

**იოლიანი** — მაშ სულ ტყუილა მოესულვართ და ეს არის!

**ბურაბი** — შეიძლება!

**ჯიშუბრი** — ნუ ლაპარაკობ ასე გურამ, თითქოს ჭიბრით, ხომ იცი რომ არა ხარ სწორე!

**ბურაბი** — მეტი მე არაფრით არ შემიძლია თავი დავიცვა.

**ჯიშუბრი** — შენ არავინ არ გესხმის თავს.

**ბურაბი** — არც ვამბობ მაგას, უბრალო კონკრეტული იდეა არა მქონია მხედველობაში, ეს გამოდის საერთოდ ჩემი შეხედულებებიდან ნაწარმოების არსის შესახებ.

**ჯიშუბრი** — მაგასაც აქვს თავისი იდეა...

**ბურაბი** — ნუ ვიხმართ აქ მაგ სიტყვას, ყოველგვარი წინა აზრის გარეშე ვამბობ, რადგან იდეა უკვე საზღვრავს რაღაცას თითქოს

ახვეტას ვავსებდე — თუმა — ოჯახური ტრაგედია, იდეა — ? არაფერი, არაფერი არ მომხსენებია თავში.

**ირაკლი** — მაშ რისთვის უნდა ვუყუროთ?

**ბურაბი** — ჩემი აზრით, პიესა თუნდაც რომანი არასოდეს არც ემსახურება რაიმე იდეას, უფრო ფართო ვაგებით ჰუმანურ იდეასაც კი მიუხედავად იმისა, რომ კარგ, დიდ ნაწარმოებში უმკველად კაცთმოყვარეობაზეა აღებული ძირითადი ხაზი, იგივე შეიძლება ითქვას ცუდ ნაწარმოებზეც...

**ირაკლი** — ჰოდა, ეგა ყოფილა მისი დედააზრი.

**ბურაბი** — ეგრე შეიძლება არც დაგეწერა არაფერი, ცხოვრების დედააზრია საერთო გამონახტული ლიტერატურულ ფორმაში — იცხოვრო შენ ახლობელთან და შეიყვარო ის, როგორც შენი თავი.

**ირაკლი** — ჰო, ეგ უკვე იდეაა.

**ბურაბი** — ასეთ ზოგად რამეს არ შეგიძლია კონკრეტული ნაწარმოების დედააზრი უწოდო.

**ირაკლი** — მეც ეგა ვთქვი, კონკრეტული იდეა გვიანტერესებს — მეთქი.

**ბურაბი** — ნაწარმოების კონკრეტული იდეა არის ის შეუტყობელი განწყობლება, რომელიც ქვეშეცნეულად მოქმედებს მხახველზე, მკითხველზე, ემატება წვეთებად მის საკუთარ იმდროინდელ განწყობას და აღრმავებს მას, თუ მისი საკუთარი განწყობა არის, უხეშად რომ ვთქვათ, კარგი, კაცთმოყვარე — უღრმავებს კაცთმოყვარეობას, თუ არის ავი — უღრმავებს სიავეს და ამას შეება ორ სხვადასხვა კაცში ერთი და იგივე ნაწარმოები, რომლის იდეა, როგორც მიღებულია ითქვას, ვთქვათ, არის — ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ან სხვა რაიმე.

**ჯიშუბრი** — მე გეთანხმები, ოღონდ არის ერთი ფაქტორი.

**ბურაბი** — მხოლოდ ნაწარმოების მხატვრული მხარე, მისი აღზნებადობის განმსაზღვრელი, რომელზედაც თვითოეული ადამიანი თავისებურად რეაგირებს და რომელიც სრულიად მოულოდნელ რეაქციას იწვევს ხოლმე პიროვნებებში, არის იდეა და ის ფაქტორი, რისა თქმაც გინდოდა შენ...

**ჯიშუბრი** — ეგრძნობ, რომ სულ სწორე არა ხარ, მაგრამ არ შემიძლია არ დავეთანხმო.

**სულხანი** — ჰო ცილებმა, ცილებმა ეგ შეგჩინება და იდეა და მაინც თითქოს ვერ დავმთავრე ჩემ გონებაში.

**ბურაბი** — აააა

**ირაკლი** — ეგ უკვე ცხარობს.

**ჯიშუბრი** — გურამი?

**ირაკლი** — ჰო, გურამის არასწორობაზე ლაპარაკობს ეგ თუმცა, პირდაპირ მეც მივირს

**ბურაბი რჩაუღივილი**  
**იულიანი**

პასუხის გაცემა, ისე მიუღდა საკითხს, თითქოს ყველა გზები მოკრა.

**ჯიშვარი** — აი, რა გამოიწვია გურამი, რომ გაცხარდი, როცა ლაპარაკობ შენ ნაწარმოებზე, არასოდეს არ უნდა გაცხარდე.

**გურამი** — არ გავცხარდე!

**ჯიშვარი** — არა, ყოველთვის დარჩება სხვა-სათვის რაღაც გაუგებარი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით იღვა შენ უკვე გიგვე თავისი არსით...

**სულხანი** — ჰო, ავტორი ხარ მინც, რაც გინდა იყოს!

**დიდი ზოგა** — ავტორი რა, კაცი არ არის?

**გურამი** — მართალია, თქვენ თუ გაქვთ უფლება გაცხარდეთ, მე არა მაქვს? მეც ისეთივე ნერვები მაქვს, როგორც თქვენ. მეერ რა, რომ იღებ როგორც ჯიშვარმა თქვა, უკეთ მესმის თქვენზე, მე რამეს გაგება ხელს არ მოშლის, ისევე ვიგრძნო და განვიცადო ის. — ა, აბა არა?

**ირაკლი** — მაინც არ ვარგა ეგეთი ლაპარაკი, თითქოს ჩიხში გვაყენებ, უკან დასახვევი გზაც არ არის რომ გეკამათოთ, თორემ ფაქტიურად არც უხეშობ ძალიან.

**ჯიშვარი** — ტონი მიიღო ისეთი, ეგ უარესია.

**სულხანი** — არი ჩვენ ნათქვამში, გურამ, სიმართლე!

**გურამი** — ჰო, ყველანი მართალი ხართ, მე მინდოდა მეთქვა, რომ მე მტყუანი ვარ, მაგრამ ეს ახალი ჩიხი იქნებოდა თქვენთვის; თუ დაიკრებთ, არ მინდა და მაინც რატომღაც იქნება ასეთი დაძაბული მდგომარეობა ჩემი ლაპარაკიდან

**სულხანი** — გურამ! გაუშვი ეშმაკებისაკენ ყველაფერი!

**გურამი** — ბიჭებო! არა გრძნობთ, რომ ამ წუთში ჩემი საკუთარი ნაწარმოები უნდა ითამაშონ, ჩემი საკუთარი ფილტვებით დაწერილი, ყვირილით დაწერილი და მე ამას განვიცდი; განვიცდი ისე, როგორც არც ერთი თქვენგანი. ამიტომ გელაპარაკებთ ზედმეტად გამომწვევითაც კი, არეულად რომ შემდეგ შეუფასებაში, თქვენ გულში კი არა, — ჩემთან როცა შეაფასებთ, შეღავათი არ მისცეთ მას. — აი ეს არის სრულიად უადგილო გულახდილობა თუ გინდოდათ, ბოდიში, მე ისევ ჩაგაყენეთ ჩიხში, მაგრამ მეც ხომ არტისტი ვარ გულით:

არ გესმით თქვენ, მე მინდოდა მეყვირა მთელი ფილტვებით მინდოდა მეყვირა აი ასე გაშლილი ხელებით, აწუხლს ადღლეხილს ჰააააუ და არ მომრიდებოდა არაფრის — ეს იყო მთელი ჩემი კაცთმოყვარეობა! გესმით, რას ნიშნავდა. ეს ხმა, ეს ყვირილი ჩემთვის!

**სულხანი** — ოოოუ მეც დამებერა მართლა ფილტვები, თითქოს რაღაც ამოვისსუნებე მერე და სიმძიმე მოეხსნა გულს. აი ახლა მართლა მზათა ვარ სიამოვნებით უსმინო პიესას და

თანაც ნაწარმოების აღზნებითობით გამოწვეული განწყობილების მხრიდან, რასაც სულხანის ხმობილი.

მოდით აქეთ, მოდით, ერთად დავდგეთ ყველა, ყველამ ერთმანეთს გადავხვიოთ ხელი და სველამ ერთი საათით მაინც ვიგრძნოთ ერთი მიზანი: ვუყუროთ პიესას და განვიცადოთ სუფთა მხატვრული სიამოვნება.

პიესა, რომელიც დაწერა გურამმა და რომელსაც წარმოადგინენ თეატრი და იულონი:

**თეატრი** — რა უცნაურია არა?

**იულონი** — ჰო, საკმაოდ.

**თეატრი** — ერთმანეთის პირდაპირ ცხოვრობთ, მე თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცი, თქვენ კი მე პირველად მხედავთ.

**იულონი** — არა მაგაში კი არ არის საქმე, რომ მე უფრადლებას არ ვაქცევდვ სხვებს... ჩემი ცხოვრება სხვანაირად აეწყო.

**თეატრი** — ნუ შეწუხდებით მაგაზე, მე ისევ ბევრი რამე ვიცი თქვენ შესახებ, მე თქვენ ყოველდღე გხედავთ მარტოს, მხოლოდ მარტოს და არასოდეს ამხანაგებთან.

**იულონი** — ეს იმის ბრალია, რომ ბევრ ხმაურს ვერ ვიტან.

**თეატრი** — მხოლოდ იმ დღეს დაგინახეთ გოგოსთან ერთად.

**იულონი** — გთხოვთ, მაგის შესახებ არ გინდათ.

**თეატრი** — ჰო მართალი ხართ, არცა არის საჭირო, ისეთი სახით დაბრუნდით უკან, ყველაფერი გასაგები იყო.

**იულონი** — მე უკვე გთხოვთ.

**თეატრი** — მთხოვთ? ო, მე მაგ „თ“-სათვის უზომოდ მაღლობელი ვარ!

**იულონი** — არ ვიცი, რატომ უსვამთ ამ უბრალო ზრდილობას ხაზს?

**თეატრი** — ეს ჩემი თვისებაა, რომ ყველაფერს ხაზი გავუსვა, თუნდაც სულ უმნიშვნელო იყოს.

**იულონი** — თქვენ არ გიცნობდით, თქვენ მე პირველმა შემამჩნიეთ.

**თეატრი** — უკვე ჩემს მოვალეობად იქცა, რომ პირველმა მე დავიწყო ყველაფერი, აი მე თქვენ პირველად მოგიყვებით ერთ ამბავს, გაინტერესებთ? ჰა? ჰა? ძალიან ახლოს ხომ არ მოვედი!

**იულონი** — გთხოვთ, ნორმალურად ილაპარაკეთ!..

**თეატრი** — მე? ნორმალურად? მე, იცით, პატარა ეშმაკი მიზის აი, აქ, თავის კუთხეში, რომელიც უფლებას არ მამძღვეს ნორმალური ლაპარაკისა.

**იულონი** — თქვენ ჩვენ მეზობლად ცხოვრობთ?



**თავიკო** — არ მესმის? სად ვცხოვრობთ? ეს ხომ უკვე გითხეთ. მეც უკვე გიპასუხეთ.  
**იულონი** — ჰა, ჰო.

**თავიკო** — მე დელათქვენსაც ვიცნობ, მისი შლიაპის ფერიც კი ვიცი, აი ხედავთ რა დავვირგებულ ვარ, გიყვართ ის ქალი ძალიან?  
**იულონი** — მართლა დავვირგებულ ხართ.

**თავიკო** — ხო გითხარით, ხო გითხარით, თქვენ ჩემგან ბევრ კარგ რამეს გაიგებთ.  
**იულონი** — აა, სანტერესოა, მაგრამ მეჩქარება იცით, მე წავედ!

**თავიკო** — წადით, წადით, უფრო სწორად იარეთ, მე ასე გღვეთ ფეხდაფეხ და გელაპარაკებთ.  
**იულონი** — მე მგონი, ჯობია სხვა დროისათვის გადავდეთ.

**თავიკო** — სხვა დროისათვის... ოი, ოი, ოი რა საწყენია რომ არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია, ძლივს ვნახე აღამიანი ვინც ყურის მიგდებს, ვინც ვიცი რომ ვერ გამეჭყვება.  
**იულონი** — მე არ ვაპირებ გაქცევას, არც ყურის გღვბას ვაპირებ.

**თავიკო** — ნუთუ — რატომ?  
**იულონი** — საქმე მაქვს სხვაგან.

**თავიკო** — იქით, ქუჩაში ხევის ბოლომდე და უკან არა? მე ხომ ვიცი თქვენი საქმე, მარტო სიარული, ერთხელ გავიარეთ ერთად.  
**იულონი** — მე მეჩქარება!

**თავიკო** — რა ცუდია, რომ არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ, აი მე აძლენი ამბავი ვიცი თქვენ შესახებ, თქვენ კი ჩემი გვარი და სახელიც კი არ იცით.

**იულონი** — სხვა დროს იყოს, შემდეგ...  
**თავიკო** — თქვენ გინდათ თქვათ, რომ შემდეგ ნაცნობები ვიქნებით, ეგ არ კმარა იცით ჩემთვის, მე მინდა ჩემ შესახებაც იცოდეთ რა-მე.

**იულონი** — თქვენ შესახებ?  
**თავიკო** — აი, თქვენ შესახებ მე ვიცი, ხართ მარტო, არ გიყვართ ამხანაგები, გპავთ მდიდარი ღედა და სხვა არაფერი.

**იულონი** — რატომ ყვებით მაგას, არ მესმის, ვინ მოგვით უფლება ილაპარაკოთ ჩემზე?  
**თავიკო** — უფლება? მე მაინტერესებს ვინ წამართვა უფლება ილაპარაკოთ ჩემ თავზე.  
**იულონი** — ილაპარაკეთ მერე!  
**თავიკო** — მერე ყურის დამგდები ხომ მინდა?!

**იულონი** — ნახეთ ვინმე ამხანაგი, მეგობარი, ნათესავი.  
**თავიკო** — ნათესავი?! მე მინდა ჩემ ძმას ველაპარაკო.

**იულონი** — მაშინ უნდა წახვიდეთ მასთან, სამწუხაროდ მე არ შემიძლია გავხედო მაგ სურვილისათვის თქვენი ძმა.  
**თავიკო** — აი მე კი შემიძლია, მე უფრო მეტს ვიტყვი, მე როგორც ძმას, ისე მინდა გელაპარაკოთ, როგორც უფროს ძმას, ჰი, ჰი, ჰი.

იცით რატომ ვიცი? მეშინია ვინმემ, საერთოდ, რაიმე ჩემი ნათქვამი სერიოზულად ამოიკითხოთ და უფრო სასაცილო არ გავხდე ამით.

**იულონი** — არა იცით... რაშია საქმე?  
**თავიკო** — ვიცი, ვიცი, რაშიაც არის საქმე — მე მინდა ჩემ ამორჩეულ ძმას მოვუყუვე ჩემ შესახებ რაიმე, აი თუნდაც საბავშვო სახლზე, სადაც ვიზრდებოდი.

**იულონი** — თქვენ იზრდებოდით საბავშვო სახლში?  
**თავიკო** — ჰო, ჰო, საბავშვო სახლში, ოღონდ ჩუმად, ასეთ რამეზე ყოველთვის ჩუმად ყვებიან: მე ვცხოვრობდი მალა ოთახში ძველი ციხის გალავნის ზევით, აი, როგორც შენ გეხებო, ისე ახლოს იყო უფსკრული.

**იულონი** — უფსკრული...  
**თავიკო** — უფსკრული... და რატომ მომაგონდა იცით ის?

**იულონი** — უფსკრული?  
**თავიკო** — ხი, ხი, დიახ, უფსკრული... ერთხელ ღამე, როცა ორნი ვიდევით მის თავზე და მე მინდოდა შიგ გავდავარდნილიყავი იმ უძირაობაში და რალაცამ შემეცავა. ჩემ ზევით ბურჯის თავზე იდგა ატყორცნილი ალვის ხე, შემოდგომის პირი იყო ისე ბოროტად შრიალებდა, ხის იქიდან ჩანდა სულ, აბსოლუტურად უმოძრაო მთვარე, მისი სინათლე ეცემოდა შორს, უფსკრულის იქით, და უფსკრული მოჩანდა ორმაგად შავი და საშინო.

**იულონი** — თქვენ გინდოდათ უფსკრულში გადავარდნა?  
**თავიკო** — მე არ ვიცი რამ მიხსნა იქ გადავარდნისაგან, უმოძრაო მთვარემ, ბურჯის თავზე ამოსულმა ალვის ხემ, თუ უფსკრულის სიშავემ.

**იულონი** — მაშინ თქვენ საბავშვო სახლში იყავით არა?  
**თავიკო** — ჰო, საბავშვო სახლში და ძალიან მძიმე იყო ცხოვრება იქ, მე არ ვიცი რამ მიხსნა უფსკრულში გადავარდნისაგან, მაგრამ ვიცი რამ მიმიყვანა მის პირამდე.

**იულონი** — ო, ასეთი მძიმე იყო იქ ცხოვრება?  
**თავიკო** — მძიმე?  
**იულონი** — მე მინდოდა მეთქვა ასეთი ძნელი იყო?

**თავიკო** — ძნელი? არა ჰტ, ხი, ხი თქვენ არაფერი არ იცით, თქვენ ერთი სული გაქვთ გამეჭყვით, ოღონდ მე არ მოგეშვებით. მე მოგიყვებით ყველაფერს ბოლომდე, მე არ მეშინია შეურაცხყოფის, მე ის გრძნობა, რასაც აყენებენ შეურაცხყოფას, იქ დაეკარგე, უფსკრულის პირას, ღამე, როცა მარტო ვიდევო.

**იულონი** — ღმერთო ჩემო!  
**თავიკო** — მაშინ არ იყო იქ ღმერთი, მაშინ მე ვიყავი ათი წლის და მყავდა აღმზრდელი მამა.

**გურამ რამულიშვილი**  
**იულონი**

სწავლებელი პავლე დგებაძე, ჰი, ხი, ხი, აო მოგწონთ სახელი და გვარი?

**იულიანი** — არა, არაფერი, ჩემთვის სულ ერთია.

**თაზიკო** — თქვენთვის სულ ერთია?

**იულიანი** — არა, სახელი და გვარია სულ ერთი.

**თაზიკო** — სახელი და გვარია თქვენთვის სულ ერთი ე. ი. პავლე დგებაძე და მერე იციით, რას ნიშნავს ეს სახელი და გვარი ჩემთვის, ხა?

**იულიანი** — არ მესმის?

**თაზიკო** — არ გესმით? აჲ ჰი, ჰი, ჰი, ხი, ხი, აი ზომ ხედავთ, რო ვიციინ, ეს სულ ის პატარა ეშმაკია, რომელიც თავის კუთხეში მიზის და როცა რამე მტკიცეწეულს ვეხები, რამაც შეიძლება ამაღელვოს და თვითმკვლელობამდეც კი მიმიყვანოს, მაშინ ეს ეშმაკი ტვინის კუთხეში ეშმაკურად ლივლივით მისვამს თითს, მიღიტიწებს და მეც ვხიბხითებ ჰი, ხი, ხი, ხი, ხი, გესმით.

**იულიანი** — ა!

**თაზიკო** — ო, ასე მოქმედებს ჩემი ლაბარაკი თქვენზე, მე კი ჯერ თითქოს არც კი დამიწყია, მე მხოლოდ გაკვირვებით ვახსენებ პავლე დგებაძე, მე მინდა რომ გაიფიქროთ ეგ სახელი და გვარი, აბა.

**იულიანი** — რატომ?

**თაზიკო** — გაიმეორეთ!

**იულიანი** — რა საჭიროა?

**თაზიკო** — რომ უფრო კარგად დაგამახსოვრდეთ!

**იულიანი** — განა ასე საჭიროა ეგ?

**თაზიკო** — გაიმეორეთ, თქვენ მასთან გექნებათ საქმე ე. ი. პირდაპირ მისი ბრალია, რომ მე დღეს აქ ვდგევარ და თავს ვიძიებ, იმან მასწავლა, რომ არსებობს თავის დამტკიცება, რადგან მეტი აღარ შეიძლება, რაც იმან დამამცირა, იმის მერე ვარ მე ავადმყოფი იმ ეშმაკის სენით, რომელიც ტვინში თითს მისვამს და მაციინებს, როცა სერიოზულად მინდა დავილაპარაკო, აი ახლაც, ხი, ხი, ხი გაიმეორეთ სახელი და გვარი იმისი, დაგავიწყდათ...

**იულიანი** — პავლე დგებაძე.

**თაზიკო** — ხი, ხი, ხი, აი ასე — იქ, იმ დიდი შავი უფსკრულის ზევით დგას პატარა ქოხი, სლაც დამტკიცებულ მერხებს ინახავენ პრიუტიდან. იმ ქოხში წამოყვანა დასასჯელად მე ჩემმა აღმზრდელმა მასწავლებელმა, ორი დღე ვიყავი შიგ დამწყვდელული, მშვიდი, და მციოდა, როცა დავუსტდი ის მოვიდა, მე მივიყუნტე კუთხეში და ვგარჩობდი რომ ის მოდიოდა ჩემკენ, მე არ ვიციდი რისი მეშინოდა, არ მეშინოდა სიკვდილის, ცემის, მთელი სხეულით ვტროდი, ინსტინქტით მეშინოდა სხვა უფრო უფლის და ის მოხდა. იმ კაცმა, ხომ არ დაგავიწყდათ, პავლე დგებაძემ მტაცა კისერში ხელი იმ ამბის მორჩენისთანავე, მიმართია უფსკრუ-

ლის პირას და გადამვიდა იქით „იციოდე“ ვინმეს გაუგია ეს ამბავი სხვა დროს ხელსუფლებაში გიშვებ“ მითხრა და მე გულში დავიფიქრე ვისათვის არ მეთქვა ეს ამბავი, რადგან მაშინ ხელს გამიშვებდნენ და ჩავარდებოდი უფსკრულში... დღემდე არ გაუგია არავის, ხი, ხი, დღეს კი მომინდა და პირველივე შემხედურს მოვეყვი, რომ გამერთო ის.

**იულიანი** — გასართობად...

**თაზიკო** — მხოლოდ გასართობად

**იულიანი** — (თავისთვის) ო, შეიკავებ თავი, წყნარო იულიანი! (იმას) ღმერთო ჩემო!

**თაზიკო** — კიდევ იმითომ რომ გცოდნოდათ.

**იულიანი** — (თავისთვის) იულიანი დაწყნარდი, ნუთუ დგება დრო და ყველაფერი ის, რაც არ მჭერარება ხდება მართალი. (იმას) მცოდნოდა?

**თაზიკო** — გცოდნოდათ, რომ ერთხელ ვინც დაკარგა თავმოყვარეობა და მოითმინა, ის მოითმენს იმდენჯერ, რამდენჯერაც დადგება მოთმენის საჭიროების წინაშე, ა, გაიგეთ?

**იულიანი** — (თავისთვის) მერე რა, რომ გავიგე და ნეტა არ გამეგო ყველაფერი. (მას) გავიგე და არაფერი არ მესმის.

**თაზიკო** — იცით ვინ არის ის ადამიანი, რომელიც იმ უფსკრულის პირას ეკიდა?

**იულიანი** — (თავისთვის) ის მგონი მე ვარ, ოლონდ აწყუპოში.

(იმას) თქვენ, არა?

**თაზიკო** — მოიწიეთ აქეთ, მე, დიახ! მე (ჩემად უფრო იმას), მე ვარ თქვენი ძმა.

**იულიანი** (თავისთვის) — მივალწიე იმას, რის გაგების ამო სურვილი მე ბავშვობიდან მტანჯავდა და რისი მოსმენისაც ჯოჯოხეთივით მეშინოდა. (იმას) ჩემი ძმა?!

**თაზიკო** — შენი უმცროსი ძმა, რომლის არსებობის შესახებაც შენ არაფერი არ იციდი.

**იულიანი** (თავისთვის) — მე გულით ვგარჩობდი, რომ სატანა იქნებოდა ჩემი ძმა და როცა ვისმენ, ახლა არ მჭერა. (იმას) დედას არაფერი არ უთქვამს ამის შესახებ.

**თაზიკო** — დედას? ხი, ხი, რომელ დედას?

**იულიანი** — ჩემ დედას.

**თაზიკო** — ის შენი დედაა? ხი, ხი, ხი, ის ისევეა შენი დედა როგორც ჩემი, ის ჩვენი დედა არ არის, ჩვენი დედა მოკვდა, ჩვენმა დედამ ჩვენ სიკვდილამდე გაგვეიდა, შენ მიგვიდა მაგ ოჯახს, მე გადამაგლო, გესმის, გადამაგლო, თავიდანვე დაკარგული მქონდა ფასი, ამიტომ გადამაგდეს, შენ კი — ხი, ხი, ხი, არ არის სიცილის დრო, მე კი ვიციინ.

**იულიანი** — ო, ღმერთო, და შენ ეგ შეგიძლია დაამტკიცო...

**თაზიკო** — სიტყვით არ გჭერა არ გჭერა ჩემი მოწყობის, რომელიც დავიფიქრე ჩემ გულში არ მეთქვა არავისთვის და მხოლოდ მეზუა სამაგიერო შენთვის, შენზე, ჩემო ღვიძლო ძმაო, იულიანი... რადგან, როცა მე იქ ვეკიდე, შენ აქ



თბილ ლოგინში დედასავით მზრუნველი ქალის მოხანულ ჩაის სვამდი. ჰე, ჰე, განა მაგიტომ მიწნდა ვიძიო შური? — ის კაცი წავიდა, დიდი მავით რომელმაც ამწია, აღარ არის, გაქრა, შოკვდა, სიბრაზე დარჩა გულში, თავში კი ის პატარა ეშმაკი ზის, ის მისვამს ქუცქუცით ტენიზე და ხითხითებს ხი, ხი, ხი და მე მინდოდა მეტოა შური, რომელიც მხოლოდ ჩემ ძმანზე გაქრის ყველაზე მეტად. იცი, ჩემო ძმაო, ხი, ხი, შენც ხომ კაცი ხარ, მე კი როცა კაცებს დავიწინახებ მივდივარ მათკენ, მსიაპონენებს მათ სხეულზე ხელის ასმა, ეს ეშმაკი ჰე, ტენიში მიდიანენებს ჰიპ, ჰიპ, ჰი, ჰი, იძახის და მიმსუბუქებს...

**იულონი** — (თავისთვის) დრო დგება. (იმას) შენ არა ხარ ჩემი ძმა, შენ არა გაქვს საბუთო.

**თეზიკო** — ხი, ხი, ხი! ჰო, შენ მაძლევ უფლებას, ყველაფრის უფლებას, მე დავტყვები სხვა ადამიანის, ჩემი სისხლის ტანჯვით, აი ჩემო ძმაო, ის ნივით, რომლის ნამტკრევსაც შენ იცნობ, დაუყვირე, ასე გამოამართვი, მართლდებოდა შენ გულში დამარხული ეჭვი, ქრება ის უკანასკნელში იმედო.

**იულონი** — (თავისთვის) დადგა დრო. (ისე) — ღმერთო ჩემო, ეს თილისმა, ამის ნაწილი, შენ, შენ, შენი ხარ მაშ ის ადამიანი, რომელზედაც უნდა ვიძიო შური ამდენი ხნის წამებისათვის, ამდენი წლების ეჭვებისათვის მართო სიარულისათვის ღვიძლო ძმავე.

**თეზიკო** — ეს მე ვძიობ შენზე შურს იმ შორეულ ტანჯვისათვის და არა შენ ჩემზე ხი, ხი, ხი!

**იულონი** — ისევ სხვა ძიობს? რა გინდ ძმა იყოს ვფიცავ რომ ის მაინც სხვაა. ო, ამოიღე მახვილი, შენ იყავი დაბადებული ამ წამისათვის რომელიც გაორმაგდა. დადგა შენი ხმლის აზოლები დრო, შენი ბლავილის დრო, ჩემს უფორმო ტანჯვას ბოლო ედება და იქცევა ისტრაგედიადა, რომელსაც ხელი შეუძლია შეახო... აი ასე, მახვილით ხელში შიგ გულში, მუცელში! ფერდებში! ფილტვებში! ჰა, აჰ, იჰ.

**თეზიკო** — ო ო ო ძმაო იულონ — დანით მოკვდი, ღმერთო, ნუ შეუნდობ ნუ აპატიებ მას კაცის მოკვლას, გინდ... ხი, ხი, ხი

**იულონი** — აჰა კიდევ, აჰა და გაჩუმდი სამუდამოდ!

**თეზიკო** — მე კი ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს უნდა დავებრჩეოთ აი, აჰ, აჰ ყელში მიპერდა ყოველთვის რაღაცა ო ოპ.

**იულონი** — (გაშლილ დანას ჩასცემს ყელში) აი ეგეც ბოლო ბიჭებო, სისხლი! მართლა მოკლა!

- სისხლი!
- სისხლი!
- იულონ!
- იულონ!
- იულონ!

- თეზიკო?
- მაჯა აღარა მუშაობს, შიგ გულში აქვს ჩრტყმული დანა, მეორე კრილობა ფერდა აქვს, მესამე მუცელში!
- აუჰ, აუჰ!
- თვითუბოლი სასიკვდილოა, არა?
- ვერა ხედავთ, კაცი აღარ არის!
- არ გინდათ, გაუშვით ხელი იულონს, ამ ოთახიდან მაინც ვერსად გაიქცევა!
- სად უნდა გაიქცეს?
- მოიცათ, თეზიკო ნამდვილად მკვდარია?
- მაჯა აღარა მუშაობს!
- რა უცებ მოკვდა კაცი!
- მართლა არ მესმის არაფერი, როგორ მოხდა?

— თითქოს ყველაფერი ეს აქ არ მომხდარა!  
— განცდის საშუალება არ არის ისე უშუალო იყო ყველაფერი!

— აქ თეზიკო იდგა, აქ იულონი, მერე იულონმა მოკლა თეზიკო, თეზიკო ახლა მკვდარია, იულონი დგას კუთხეში და იღიმება, დიმილი არ არის, მა რა არის, ასე მშვიდად დგომა?

— გაჩუმდი რა!  
— ყველა ვაგჩუმდეთ, მიცვალებულის სული ახლა ამ ოთახიდან გადის!

— ჩუუ! იქვეით ასე ჩუმად კუთხეში და იღარდებ ჩვენი ამხანაგის სიკვდილი!

— იულონ!  
— ჩუუ! იულონი იღარდებს ჩვენთან ერთად, იულონი მერე... ჩუუ აი კიდევ ერთი ძარღვი შეენძრა თეზიკოს და სული მოშორდა გვამს.  
— აცალეთ მის სულს დატოვოს ოთახი.

— სულმა დატოვა სხეული.  
— მაგრამ ის ჯერ კიდევ აქ ტრიალებს, ოთახში!

- ჯიმშერი!
- რა?
- როგორ მოკვდა, არ მესმის!
- რა ქნა?!
- რა ქნა!
- ღმერთო ჩემო, რა მოხდა?
- ახლა რა ვქნათ?
- როგორც ერთმა კაცმა, ისე შეეკრათ პირი!
- ახლა ჩვენა გვაქვს მიზანი!
- ჩვენ უნდა გადავიცეთ ხელისუფლებას მკვლელი!

- მე, მე არ მესმის...
- შენ რას იტყვი, ბოზა?
- თუ ჩვენ ვერ გავსაჯეთ აქ და ვერ გავარკვევით საქმეში, იქ რას გაიგებ?
- ჩვენ თვითონ უნდა გავიგოთ სიმართლე!
- ჩვენ თვითონ!
- აქვე უნდა დავადგინოთ ყველაფერი!
- თეზიკო კი მოკვდა!

**გურამ რჩაულიშვილი**  
**იულონი**



— გაქრა დაბნეულობა და ყველაფერი მიზნისაკენ მიდის.

— ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს სიკვდილის ფაქტი ხორცშესხმული დგას ამ ოთახში.

— მისი შეცნობა არის ჩვენი ერთობლივი მიზანი.

— ნუთუ ამხელა ტრაგედია იყო საქირო, რომ ყველას ერთი მიზანი გვექონოდა... მკვლელს აქვე გავამართლებთ.

— აქვე, ამავე ოთახში, მკვლარი სხეულის წინ.

— მე მგონი...

— მეც მაგის მომხრე ვარ, აქვე, ამ ოთახში თუ ვერ გავარკვეით სიმართლე, გარეთ სულ გაიბნევა საქმე.

— მე მგონი... ე. ი. ყველაფერი ასეა თუ ორი კაცი ვერ დაადგენს დანაშაულის ზომას იქ უმწეო იქნება, როგორც მთელი საზოგადოება, ისევე ხელისუფლება.

— ვიცი მოკვდა, ჩვენ კი ასე თავისუფლად ვლაპარაკობთ.

— კაცი მოკვდა, მე კი ტირილიც არ შემოძლია.

— სხვაგან რომ გამეგო ამხანაგის სიკვდილი, ვიტყვებდი, ახლა რაღაც იმდენად აშკარაა...

— თითქოს ხელი მოგვიდეს სიკვდილს.

— უუუუუუ და არ შემოძლია აღვიჭყა.

— ჰო, ძალიან ცივი სიკვდილია. საერთოდ სიკვდილი ცივია, განსაკუთრებით როცა ასე უშუალოა, თითქოს დარდის ან სევდის ადგილი აღარა რჩება, როგორც მშრალ ფაქტს ისე უუუუ რებ, იმდენად აღარ შეიძლება მეტი დარდი... მეტი სევდა... სიკვდილზე მეტი დარდი...? გესმით, ახა უნდა იყოს კაცო... რაღა უნდა იდარდოს კაცმა...

— ეს მაინც რა კარგი ბიჭი იყო?!

— ჰო, გახსოვს ზღვა?

— როგორ არ მახსოვს ზღვა... ახლა მკვლარი გღია...

— თქვენი ყველაზე ახლობელი ძმაკაცი იყო...

— რა უცნაურია ყველაფერი

— მეტია, მეტია აი მინდა ვიდარდო, ვიტყვო და არ შემოძლია, თითქოს უკან დასახევი გზა მოჭრა სიკვდილმა, იმის იქით რომ იდარდო რაღაც უნდა იყოს... იქ კი მკვლარი წევს.

— თქვენ სულ დაგავიწყდათ დამნაშავე.

— ჩვენ ვფიქრობთ...

— ჰო, ვფიქრობთ და საღაც ჩიხში ვემწყვდებით.

— მე პირადად არც მესმის რა უნდა გავაკეთოთ, ამიტომ წინასწარ გეთანხმებით ყველაფერში.

— აშკარაა აფექტა ქონდა ადგილი.

— აფექტი? კაცი ჰკუზუხე არეულსა გავდა.

— ბიჭო თეზიკო, კუზმან გახსოვს ზღვა?

— საწყალი თეზიკო.

— გურამ, პიესის მიხედვითაც კლავდა არა?

— ჰო, კლავდა!

— ჰოდა მოკლა კიდეც, აირია იმ დღისათვის...

— უფრო წესიერად ვილაპარაკოთ, მე გეტყვით, თვითონ უფრო მეტს იტყვის.

— თვითონ რა უნდა თქვას?

— როგორ მოუვიდა.

— თვითონ მხოლოდ ბოლო სიტყვის უფლებას ვაძლევთ!

— ჭერ გავარჩიოთ!

— მაშინ როგორც წესია, ავირჩიოთ ერთი მოსამართლე, მსაჯული, დანარჩენები იქნებიან ბრალმდებელ-დამცველები.

— შენ იყავი მოსამართლე!

— მე?!

— ჰო, შენ, როგორც პიესის ავტორი ყველაზე მეტად იძულებული იქნები ობიექტური იყო.

**გურამი** — განაჩენს ვინ მოიყვანს სისრულეში?

**იულონი** — მე თვითონ!

— შენ ახლა ხმას ნუ იღებ!

**გურამი** — კარგი! მე ვარ მოსამართლე... ვინ გამოვა ბრალმდებლად?.. რა სიჩუმი, არავინ არ აპირებს გამოსვლას? რა ადვილი მეგონა სულ წუთების წინ ეს ამბავი?! აბა, ძალიან ძნელი სხვას რამე დააბრალო! თან ყველაფერი თითქოს ისე ცხადია, რომ ლაპარაკიც არ შემოძლია!

**გურამი** — როგორც თქვენგან არჩეული მოსამართლე, მე თვითონ გავყოფთ ორ ნაწილად, თითოეული ბრალდებულის გამოსვლის შემდეგ გამოვა დამცველი მის საპირისპიროდ, მოგიწოდებთ ობიექტურობისაკენ, კონკრეტული ლაპარაკისაკენ, ასე... მე ვარ მოსამართლე, პირველი ბრალმდებელია პატარა გურამი, დამცველი რეზო, შემდეგ გამოვლენ სულხანი — ჯიმშერა, ირაკლი და ბოზა იქნებიან ნაფიცი მსაჯულები გიული წარმოადგენს ხალხს.

**გიული** — ჰე, ჰე, ჰე! თავი შეიკავე, ბიჭო, კაცი ჭერ წესიერად არც კი მომკვდარა.

**გურამი** — დაიკავებ თქვენი ადგილები, ოღონდ თქვენ დადგებით თეზიკოს ცხედართან. ასე... ვიწყებთ... ყველაფერი იქნება ოფიციალური. ეს აუცილებელია ობიექტურობისათვის... ვიწყებთ!

— ჩვენ მზადა ვართ!

— ჩვენ დავეძქით ჩვენ ადგილებზე!

— ჩვენ სახეებზე წერია საქმის მთელი სერიოზულობა!

— ანტიური სიმშვიდით უღვებთ საქმის გარჩევას!

— (თავისთვის) ღმერთო ჩემო! სიკვდილიც კი თეატრალურ ტრაგედიაში მოვიდა ამ ოთახში.

**გურამი** — მე, გურამმა, მოსამართლემ გადავხედე რა ჩემს გონებაში იულონის წარსულს თვით დღევანდლობამდე, მოგვიყვებით მის ბიოგრაფიას ვიდრე მკვლელობის ფაქტამდე. გადამოკვებთ მოკლედ გარკვევით, მით უმეტეს, რომ მოსაყოლი ბევრი არააფერია:



### იულონის ცხოვრება თვით მის მიერ გაკლულოების ჩაღმინის ფაქტამდე

იულონი, ქართველი 28 წლის, დედისერთა, დაბადებული და გაზრდილი ქარხნის მუშის ოჯახში, მამა ახლაც მუშაობს. თვეური ხელფასით 1899 წლამდე, ღვას თქვენ წინაშე, მართალია ეს ცნობები ამხანაგო ბრალმდებელი.

— მართალია.

— მე განვარტობ: იულონი იზრდებოდა საშუალო შეძლების ოჯახში მე, როგორც მისმა მეზობელმა, შემოძლია ვაღმეგვით ზოგიერთი მისი სულიერი განცდათაგანი, დანახული ჩემს მიერ გარედან, რომლებიც საქმის განხილვის დროს გაცილებით უფრო დაგვეზნარება, ვიდრე სხვა დანარჩენი ცხოვრებისმიერი ზედაპირული ფაქტები, უფრო სწორად შემთხვევები მისი ცხოვრებიდან, რაც ჩემი ზრით, თითქოს არ მოიპოვება, ან თუ არის ასეთი, ჩემთვის უცნობი; იულონი გაიზარდა ყოველგვარი შემთხვევების გარეშე, თერთმეტი კლასი დაამთავრა საშუალო, იმავე წელს მოეწყო უმაღლესში; ორი წელი იყო ფრონტზე, შემდეგ დაბრუნდა უკიდლოებით, თუ არ ჩავთვლით იმ ორად ორ მედალს კავკასიის დაცვისათვის და სამაგალითო შრომისათვის მოსავლის აღების გამო რუსეთის ზურგში; ის მაშინვე აღდგენილი იქნა უმაღლესში, სამი წლის წინ დაამთავრა ისტორიული ფაკულტეტი და დაიწყო მუშაობა მხარეთმცოდნეობის სამმართველოში ექსკურსიების გამყოფად, რომელიც მიუხედავად მისი წყნარი ბუნებისა ან სწორედ ამიტომ, საგულუნხმოა, რომ ძალიან უყვარდა, რადგან წყნარ ხალხს სიზიარდ უყვარს ხოლმე მოგზაურობა და განსაკუთრებით უცხო საზოგადოებაში, სადაც ოფიციალურად ლაპარაკობენ და ინაზღაურებენ თავის სიმორცხვეს უშუალო დამოკიდებულების დროს.

მისი სულიერი სამყაროს უფრო ზუსტი დახასიათებისათვის მე მოვიყვან სამ ამბავს ჩემთან კავშირში, ორი ცხოვრებიდან; პირველი შეეხება ზავეშობას:

იულონი ჩემზე ღიღია ექვსი წლით, როცა მე ვიყავი ოცე წლის ის იყო თოთხმეტი წლის, მე დღემდე არ შემოძლია დავივიწყო ის თოთხმეტი წლისა; ეს იყო ჩვენ ეზოში, ბიჭები ბურთის ვთამაშობდით მე ბუნდოვნად აღვიქვამდი, რომ ღიღი ბიჭი (იულონი) მოპირდაპირე უცოდნად ღვას მოედნის გარეთ და გვიყურებს, რომ ამ ბიჭს აცვია თეთრი პერანგი, მაღალი საყლოთი, აქვს შავი შევარდნილი თვალები და საოცრად ღიღი შუბლი და გვიყურებს. ის დაღვა მოწინააღმდეგის კარს უკან ჩუმად, თავისთვის, რამდენი ბურთიც არ დაეარტყით, ვერ შევადგებ, დაითარსა ტუხი, რაღაცნაირად ყველამ ერთნაირად ვიგრძენით, რომ აქ იღვა თარსი და დავიწყეთ ბურთის აღების დროს თარსის შევიგნება ჩუმად, ვადაფურთხებით თფუ, თფუ, თფუ ეშმაკს, და ყველა გულში იულონი ვგუ-

ლისხმობდით ის კი იღვა, თავისთვის და გვიყურებდა და თითოეულ ჩვენთაგანს ეჩვენებოდა და რომ მის უყურებს; ბოლოს მე ვეღარ მოვიტონინე და მთელი ძალით დაეარტყი ტალხიანი ბურთი მისკენ — კამერა ობოლოჩკა მთელი ძალით მოხვდა მას სახეში, უფრო სწორად, წინ წამოწყული შეხლსა და თვალებზე, ტალხი შხაფენით მიეხსა მის თეთრ ხალათს, ის შეტოკდა უხმოდ, მიტრიალდა და წავიდა. უცნაურად დაიკარგა თამაშის ხალისი და მე პირველად და მგონი უკანასკნელადაც გამიხარდა, რომ დღემდე დამიძხა შუა თამაშის დროს სასულუმოდ — ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომ მას ხელმეორედ დაძახება აღარ დასჭირვებია.

მეორე ჩვენი ასე თუ ისე დასამახსოვრებელი შეხვედრა შეეხება მისი ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დროს; მას ეცვა თეთრი, ახალი კიბეტი გულზე დამკარგებული ორი მედლით, მედლის რგოლები ყვითლად ლაღაღებდნენ, ისინი ირხეოდნენ არა ჩვეულებრივ ერთი გვერდიდან მეორისაკენ, არამედ ზევიდან ქვევით, მე ეს განსხვავება საკმაოდ უცებ მომხვდა თვალში. ის იღვა ლიას სახლის აივნის ქვეშ, მეც ლიასთან მედიდობე დიდიინით, უცებ ვიგრძენი რომ ოფლმა დამახსა სახეზე, აივანზე ვედრით ხელში იღვა ლია, მე დაძახებაც ვერ მოვასწარი, რომ მან წყალი გადმოასხა, სულ მთლად ამოწუწული იულონი გარეგნულად მშვიდად იყურებოდა ზევით, მეორე ნაბიჯი გვერდზე გადადგა და ნერვიული მოძარობით დაიძრა ადგილიდან.

— რა ქენი ეს? — ვუთხარი ლიას ზევით ასულმა და არ ვიცოდი გამეცინა თუ გაებრაზებულყავი.

— მოუხდება, აღარ გაჩერდება ყოველდღე აქ, გამომივდა გმირი მედლებით, — უდარდულად თქვა მან.

იმ დღიდან სწორედ ვერაფრით ვერ ვაიჭულე თავი ძველებურად მსიამოვნებოდა ლიასთან მისვლა. სწორედ ამ ლიასადმი ახლადგაჩენილი სიძულვილის გამო შემკარგა იულონიც. რაღაცა სრულად საწინააღმდეგო და ერთნაირად უსიამოვნო ვიგრძენი ამ ორივე ადამიანზე და უცებ თითქოს გონება გამეხსნა, ისე შევიცხადე, რომ იულონი ყოველთვის იკავებდა ადგილს ჩემს შეგრძნებაში, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მასზე (გონებაზე) ოღონდ ყოველთვის ერთნაირად იღვა ის თეთრ პერანგში ბურთისგან სახედსკრილი და არ ვიცოდი მწყენოდა თუ გამხარებოდა, სხვათაშორის არც ერთი გრძობის საბაბი არა მქონია, იმდენად ცხადად იყუთებოდა მისი ფორმა ჩემში და უკვე შემდეგ, როცა დავიწყე წერა საერთოდ და განსაკუთრებით, ამ პიესაზე მუშაობისას, ვიგრძენი, რომ იულონი ქვეშეცნულად აძლევს

**ბურბე რაქულიწვილი**  
იულონი



ფორმას ჩემ დილოჯს, მე არ გავემეცი ამას, პირიქით ჩავეყვი და ჩემ მთავარ მოქმედ გმირსაც იულონი დავარკვი. მიუხედავად ამისა, მე ვატყობდი რომ არამცთუ მთლიანად, არამედ ნაწილობრივაც არ ვიცილობ ამ კაცს.

ამიტომ მე გადაწყვიტე ექსპერიმენტის სახით მეცოთხა იულონისათვის ითამაშებდა თუ არა ჩემ პიესაში.

— პიესაში ა? — მცოთხა მან — კარგი პიესაა?

— კარგია, — ვუთხარი მე.

— პიესაში? სიამოვნებით — მითხრა მან და ყურებამდე გაიღიმა — უცებ შეტრიალდა ჩემ თავში ყველაფერი, ამ თანხმობისაგან სინათლისათვის დაიღვრა ვრძობა ჩემ სხეულში, მე პირველად ახლა დავინახე, რომ მას კბილები ჰქონდა და არაჩვეულებრივი სითბო ვიგრძენი მისადმი. „რა უბრალო და რა კარგია ყველაფერი“, ზუსტად ასეთი შეგრძნებები დაგროვდა, დაზავდა ჩემ გონებაში და პირველად გავიგე, როგორ შეიძლება გიყვარდეს ახლობელი შენი, როგორც შენი თავი. იულონზე არ ვამბობ მხოლოდ, საერთოდ ვინც არ უნდა იყოს ის...  
.....

ახლა ის დგას როგორც სამარცხენო აღამიანი, კაცის მკვლელი ჩვენს წინაშე და მე გეფიცებით, როგორც მთავარი მსაჯული, მიუზღავ მას საკადრის სასჯელს, მანამდე კი გთხოვთ ყველას დამეხმაროთ მკვლელის სულიერი სიმტყუენის ან სიმართლის მთლიანად გამომვლადენებაში, მე სულიერს ხაზს ვუსვამ, რადგან გარეგნული, ფიზიკური აქტი უკვე მოხდა და მხოლოდ ამისათვის მკვლელი, მიუხედავად მისი სულიერი გაწყობილებისადმი. აგებს პასუხს... ასე... გთხოვთ თქვენ განაწილებული როლების მიხედვით დამეხმაროთ საქმის გარჩევაში.

**ირაპალი** — მე მთლიანად ვიზიარებ მოსამართლის სიტყვას.

**დიდი ბოზა** — მკვლელობის ფაქტი ცხადია, მთავარია სასჯელის სისასტიკის, ზომა გვაეარკვიოთ.

**პურამი** — პირველად გამოდიან ბრალდებულები, რადგან ის რასაც დაცვა სჭირდება ჩვენ ჩერ არ ვიცით, ვიმეორებ მკვლელობის ფიზიკური აქტი მომხდარია და მისი დაცვა შეუძლებელია, ამიტომ გვაინტერესებს მკვლელის სულიერი დანაშაულის ზომა ვიცოდეთ, რომ საშუალება იყოს მისი დაცვისა. თითო წყვილი ბრალმდებელი-დამცველის შემდეგ თავს იმართლებს დანაშაუდ თუ შუალედებში რაიმე სიტყვა არ ექნებათ მსაჯულებს, იგივე გამეორდება მეორე წყვილის გამოსვლის შემდეგაც... დავიწყეთ!

**ირაპალი** — მხატვრობის მცოდნე პატარა გუარამ! თქვენ დაიწყეთ ბრალის დადება!

**პატ. პურამი** — მე რაღაც მოვიფიქრე, დაიბ, მოვიფიქრე, როგორ უნდა დავიწყეთ!

**ირაპალი** — სულ გააზრებული გაქვთ?

**პატ. პურამი** — მე დავიწყებ!

**პურამი** — დაიწყეთ!

**პატ. პურამი** — ახლა ამის დრო არ არის, გარამ მე სწორედ ამით ვიწყებ — დამოგდეთ ყური; მე ვარ ბრალმდებელი, მაგრამ ჩემს ბრალდებას ვიცი თქვენ არ მისცემთ სერიოზულ მნიშვნელობას, რადგან თვითონ არა მთვლით ასეთად ე. ი. ჭკვიანად ან სერიოზულად არ შემეკამათეთ. მე არც ვარ არც ერთი და განგებ ვუსვამ კოდე ხაზს ჩემს სიმსუბუქეს, რადგან მე ვიცი, არ მეყოფა უნარი ბოლომდე გავიტანო თავზე აღებული სერიოზული როლი. ახლა მე ოდნავ ტუტუცი და სასაცილო ვარ? მაგრამ დამიანი სრულიად სერიოზული თავისი ჭკევით და სინამდვილეში ცოტა მიჩაქე და ტუტუცი, არა მგონია ამაზე სასაცილო იყოს რაიმე. მე მშინარა ვარ და ამას ვერ ავიტანდი, ამიტომ წინასწარ ვიზღვევ თავს ტუტუტური საქციელით, რომელიც ნელ-ნელა ჩემი ძირითადი ბუნება ხდება (ახლა კმარა, გაითვალისწინეთ, ეს არ არის ირბიბი თავის ქება, — ეს თქვენ, მტყუენბის გარეშე, სიტყვაზე) უნდა დამიჩეროთ, როგორც ჭეშმარიტება.

ზემო შესავალი მე დამჭირდა მხოლოდ ერთი მიზნისათვის, მეტე ყურადღება მოგექციათ ჩემთვის და მეტი ანგარიში გაგეწიათ ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებისათვის, რასაც ბოლოს, ანგარიშის გაწევის შესახებ თქმული სიტყვით მე მგონი, მივალწივ.

**ირაპალი** — აქ არ უნდა ზედმეტი კომენტარები!

**პურამი** — მსაჯულს ვთხოვ, ნუ გვაწყვეტინებს ჩემი ნებართვის გარეშე!

**ჯიშუშარი** — ნება მომეცით მეც. როგორც ბრალმდებელმა მხარე დაეუქირო ჩემი კოლეგის შესავალ სიტყვას, რომელსაც არანალები მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენ ვსჯით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია განსჯათ თვით შორეული სულიერი კუნძულები დანაშაულისა, ამიტომ სასამართლოსათვის დამცველ ბრალმდებელთა სულიერი სამყაროს გაცნობა ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენს.

**პურამი** — მე კმაყოფილი ვარ ბრალდებულ პატარა გუარამის გულახდილობით.

**პატ. პურამი** — მოხდა ის, რაც მე არ მინდოდა ე. ი. ზედმეტი ხაზის გასმა ჩემი სიტყვებისადმი, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ, რადგან საშუალება მომეცა მეთქვა ეს უქანასკნელი სიტყვები.

მე ვიწყებ: მე როგორც საერთოდ მოყვარული ხელოვნებისა და განსაკუთრებით სახვითი ხელოვნებისა, რომელშიაც სერიოზულად მესმის ზოგიერთი რამე, დავიწყებ სიტყვას ბრალდებულის მშრომა გარეგნობის აღწერით, რაც თავის მხრივ მოიკრიბავს მის სულიერ შინაგან სამყაროს, რომელზედაც ალბათ იზრუნებს ჩემი კოლეგა ჭიშუშარი.

აი ჩვენ წინაშე დგას იულონი, ოცდარვა

წლის კაცი, დამახასიათებელი ნიშნებით: მას თმები გაცენილი აქვს, რამოდენიმე კბილი აქვლია...

— 32.

**პატ. ზურაბი** — მხოლოდ საჭიროება მიიძღვლება ვილაპარაკო ასეთ ფაქტებზე. ის ოდნავ მოხვლია წელში და შეიძლება თქვას მოტეხილიც, ახლა კი შეხედეთ მის სახეს, უცებ გეცემათ თვალში უზომოდ დიდი შუბლი, რომელიც ზედ ადგას, სწორედ ზედ ადგას და ფარავს მთელ სახესა და სხეულს, შუბლის ქვევიდან, სიღრმიდან გამოდიან მისი შავი ნაღვლიანი თვალები და თუ მათ ცოტა დიდხანს უყურებთ ე. ი. როცა ნაღვლიანი გამოიმეტყველების გარდა დავინახათ მასში ფარულ მიზანს, რომელიც უცხადესი ხდება ამ თვისების შემწვევისთანავე, იმდენად უცხადესი, რომ ქრება მისი შუბლი, წელში მოღუნული სხეული და სხვა დღე თუ უაზრო შტრიხები მისი გარეგნობისა და რჩებიან მარტო თვალის გუგები, შავი, წვრილი, გამხვრეტავი, რომლებიც იყურებიან წინ და არაფერს არ ხედავენ თავის გზაზე გარდა მიზნისა, რომლის შესაბამადაც ავლილი შესაძლებელია მისმა გონებამ არაფერი არ იცის, მაგრამ თვალები, სარკე შინაგანი ბუნებისა, ისევე უბღუღებულყოფს ყველა მსხვერპლის სერიოზულობას მიზნამდე მისაღწევ გზაზე, როგორც საკუთარი თითქმის მობოზრებულ სხეულს და უზარმაზარ შუბლს; ასეთ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს ერთი მკვლელობა ისევე, როგორც ასი მკვლელობა და არ ერქვას მკვლელო, რადგან ვერ იგრძნობს თავის დანაშაულს, რადგან მათ შეუძლიათ სხვისი დანახვა, სხვისგან მისაღები მიყენებული, შეურაცხყოფის აღქმა, როგორც ბავშვობისდროინდელ ბიოგრაფიაში იყო ნათქვამი და სწორედ ამიტომაც ვერ გრძნობენ თავის მიერ სხვისადმი მიყენებული შეურაცხყოფის სიდიდეს თვითმკვლელობამდე. არის ადამიანი ეგოისტი, მისი, თვით ეგოიზმის, შეგრძნების უარყოფამდე, რაც მას უკარგავს მთლიანად შიშის გრძნობას, ეს კი აიძულებს მის გარშემო მყოფ ყველა ადამიანს, რომელიც მისი თვალების ფარულ აზრს ჩაწვდებდა კანკალბედს და თავის გრძნობებს მუდმივი საფრთხის ქვეშ. მე არ ვიტყვოდ ამ სიტყვებს მის წინ, რომ მის ახლა მახვილი ეკიროს წედანდელით ხელში, მე მაშინ პასუხს ვერ ვაგებდი ჩემ თავზე, თუშეკა ამ დებულების გასამტკიცებლად დევაპატებ, რომ ასეთი ადამიანები სულ სხვაგან ხედავენ თავის მსხვერპლს, სიბრაზის საგანს, ვიდრე ჩვენ და შესაძლოა არავინ არის მისი ხელით სიკვდილისაგან ისე დაზღვეული, როგორც მისი პირდაპირი ბრალმდებელი ე. ი. მე.

**ზურაბი** — თქვენ დაამთავრეთ პატარა გურამი?

**სულხანი** — ჰო, ჰო ასე...

**დიდი ბოზა** — კაცო ეს ამბავი...

**ჩაჩო** — შენც ადელი ბოზა?

**დიდი ბოზა** — ბოზას რა, ნერვები არა აქვს?

**ზურაბი** — დამცველის სიტყვამდე ხომ არავის სურს კითხვა ან სიტყვა?

**გიული** — ვის სურს? არავის!

**ზურაბი** — ბრალდებულო იულონ! თქვენ თანახმა ხართ იყოს რეზო თქვენი დამცველი?

**იულონი** — ჩემთვის სულერთია!

**ირაკლი** — ე. ი. თანახმა ხართ?

**იულონი** — თანახმა ვარ!

**ზურაბი** — დამცველის სიტყვამდე, თქვენ ხომ არა გაქვთ სათქმელი რამე?

**იულონი** — მე? არაფერი!

**ზურაბი** — სიტყვა ძველად დამცველს!

**ჩაჩო** — მე! მე პირდაპირ დავიწყებ. იულონს ჩემი დაცვა არა ჰქირდება, რადგან მას იცავს კანონი, ის არის მისი მფარველობის ქვეშ და კანონის გარდა არავის შეუძლია გაუსწორდეს მას. ჩემი უარით იულონს ეშინოდა ჩვენი თვის უცნობი რაიმე მიზეზის, რომელიც ყველაზე მაღლა დგას, ყველა ჩვენ შეგრძნებაზე, და მას ამ შიშმა გადააბიჯებინა საზღვარი, რათა გარკვეული დროით უზრუნველყო თავისი თავი კანონის მფარველობის ქვეშ შესვლით, და მე თქვენ გეტყვით, მხატვარი რეზო, იულონის დამცველი, არის ამბები, რისი გამართლება არც ერთი გზით არ შეიძლება და ამ ამბავთა რიცხვს გვუთვინის მკვლელობა, მე ხაზს არ ვუსვამ უდანაშაულო კაცის მკვლელობას, ჰო, ასეთი დანაშაულის გამართლება არ შეიძლება არც კანონით, არც გონებით, მაგრამ არ არსებობს დანაშაული, რისი პატივაც არ შეიძლებაოდეს, თუ ჩვენ მიემართათ ყველაზე სამართლიანსა და დიდს გრძნობათა შორის — ინტუიციას, ხოლო მე ეს ინტუიცია მუხუნება, რომ თი ადამიანი დამნაშადე არის, არ გაიგოთ, თითქმის ამ მკვლელობაში არ იყოს დამნაშავე — მკვლელობა ფაქტია, მე მოვიყვან აქ მეტი სიცხადისათვის ბრალდებულ პატარა გურამის სიტყვებს, „ასეთ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს ერთი მკვლელობა, ისევე როგორც ასი მკვლელობა და არ ერქვას ბოროტმოქმედი, რადგან ვერა გრძნობს თავის დანაშაულს, რადგან მას შეუძლია სხვისი დანახვა, ისევე როგორც საკუთარი თავის დანახვა. მე მასხენდება ჩვენი შეხვედრის დასაწყისში სულხანის სიტყვა: „ბოზა, შეხვედრის იმიტომ, რომ საქმესთან ნამდვილო გულით მიდიხარ, ყველა შენი ცუდი საქმის დასაწყისი არის ალაღმართალი, მკვლელობის, ცუდი საქმის ფაქტი აქ რჩება ფაქტად, ამიტომ მიემართავ მე ინტუიციის ძვირფას გრძნობას და ვცდილობ ამ ადამიანის არსს უფრო ღრმად ჩაწვდევ. მე უცებ ამ ლაპარაკის დროს თავში მომივიდა ერთი სათქმელად აქ უადგილო ამბავი: ხშირად დავკვირვებივარ ცხოვრებაში, რომ

**ზურაბე რეზოლიზმილი**

(იულონი)



ზოგ გოგოს გატეხილი აქვს სახელი, მაშინ, როცა კაცი არ უნახავს და სამუდამოდ იმკვიდრებს ამ სახელს, როცა სხვა მართლა გარყვნილ გოგოს აქვს პატიოსნის სახელი და მიუხედავად მთელი უგარყვნილესი ორგეიბისა, რჩება მუდამ ქალწულად, რადგან ყველა ახალმაჰაქვს თვითონ ისე ეძლევა, როგორც ქალწული და ყოველი პირველი კოცნის დროს უწითლდება სახე, როგორც უმანკოს. მე მწამს, რომ არ შეიძლება ამაზე მეტი შინაგანი, სულიერი პატიოსნება, როცა სხეულის ყოველგვარი გარყვნა არ მოქმედებს შინაგანად, სულზე, და ნე ათჯერ, ასჯერ მეტ პატივს ვცემ ასეთ ქალებს, ვიდრე სხეულით, მხოლოდ სხეულით პატიოსნებს და გინდაც სხეულით და სულით პატიოსნებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გამოუცდილით ერთ-ერთის დაკარგვა და ამიტომ მათზე მსჯელობა არცა ღირს — ეს ისე დაშაბეებისათვის — მე მინდოდა მეთქვა, რომ კი არ ვამართლებ, არამედ პატივს ვცემ იმ მკვლელს, რომელიც არ იტანჯება თავისი მკვლელობისგან, ეს მის შემდეგ, რაც ის საერთოდ მგრძნობიარე ადამიანია, ადამიანი არა გაფუჭებული, რადგან საწყისი მისი დანაშაულისა იყო წმინდა და მხოლოდ ფორმა, ფორმა იყო შეცდომითი, არანამდვილი, და ამ ფორმისათვის შეგვიძლია სხეული სინდისით დასაჯოთ ის, ოღონდ არ შეგვიძლია სულის სიღრმეში არ ვაპატიოთ ეს დანაშაული, მუსლი არ მოვიდრიკოთ იმ სულიერი სიდიდის წინაშე, რომელსაც ამ ყველაზე დიდმა დანაშაულმაკი ვერ მოსცხო ჩირქ...

**გურამი** — თქვენ დაამთავრეთ?  
**რეზო** — დანარჩენის თქმა მე აღარ შემიძლია, დანარჩენს მე ვგრძნობ როგორც ნახატს. მომეცით ტილო, რომ მასზე გამოვხატო იულონი, ზუსტად ამ პოზაში მდგარი მკვლარი თეზიკოს თავთან არა მხოლოდ ნახატი ჩემი გეტყვით თქვენ, რომ რაც უფრო დიდია მსხვერპლი, ჩადენილი სისაზიზღრე მით უფრო გაართლებს ამოკითხვა შეიძლება დამანაშაუას მთელ სხეულში. უფრო მეტად თვალეში, მთელი ეს ნატურა იღვება მოკლებული, სიყვითისაქენ და სიბოროტისაგან რაიმე გადახრას და არა ბოროტი თვალეებით, როგორც ეს საქმიად უპასუხისმგებლოდ აღნიშნა ჩვენს წინ გამოსულმა ბრალმდებელმა.

**პატ. გურამი** — მაგას, დამეველ რეზოს, არაფერი არ ესმის, ეგ ექსცენტრიკია, მაგას შეუძლია ახლა იცინოს ან იტიროს ერთნაირად ეგ შესაძლოა კარგად ხატავდეს, ოღონდ მაგის ნახატიდან ორ სხვადასხვა კაცს ორი სხვადასხვა რამის ამოკითხვა შეუძლია, ამიტომ მისი ეგ ბოლო თეორია მიუღებელია.

**რეზო** — ჩემი თეორიები მიუღებელია?  
**გურამი** — გაქვთ ვინმეს სათქმელი?  
**რეზო** — ხომ ვგრძნობ, რომ ვერ შეეძელი დაცვა, სადაც მე თვითონ არა მჯეროდა ჩემი

სიტყვების, ოღონდ წარმოუდგენლად ახლოს ვარ, თითქოს ხელით ვეხები სიმათლეს.  
**პატ. გურამი** — გულში ყველა მართალია.  
**ირაკლი** — გულში ყველა მართალი კი არა მტყუანია — აბა დაუფიქრდი!  
**პატ. გურამი** — ეგ სულერთია!  
**ირაკლი** — სულერთი როგორ არის?!  
**პატ. გურამი** — აზრს ნუ მირევ რეპლიკებით!

**გურამი** — მსაჯულს ვთხოვ თავი შეიკავოს!  
**ირაკლი** — ყველას ხომ ერთი მიზანი გვაქვს?!  
**გურამი** — პო და ღმერთმა იცის ვისა სჭირდებოდა ამხელა ტრაგედია, რომ ეს დაბნეული დამოკიდებულება ერთმიზნიან ურთიერთობად ქცეულიყო, მისი შემწეობით მხოლოდ...  
**რეზო** — ნუთუ თეზიკო მართლ მკვდარია?  
**პატ. გურამი** — საწყალი თეზიკო!  
**რეზო** — მე მზადა ვარ სულ დავიბნე, თითქმის ტირილამდე, საკმარისი იყო იულონი და გედანაშაულებინათ, ვაგვიყვ მისი დაცვის სურვილით, ახლა კი როცა ვაგვამართლეს, თითქოს ვგრძნობ რომ მე ვამან, მაგან მოკლა ჩვენი თეზიკო ვახ, ვახ, მე...

**გურამი** — გთხოვთ ნუ გამოდინხართ მინიჭებული როლიდან.  
**რეზო** — რა?! ნუ გამოვდივარ?! მე ვაგვამართლეს იულონი თქვენ კი არა... კიდევ ვაგვამართლო იულონი?! მას ეს მკვლარი, მას თეზიკო, იცით როგორ ცურავდა ის, როგორ უყვარდა ზღვაზე ერთი რუსის გოგო, მოსკოველი, ახლა კი აქა წევს... უჭუ, უჭუ, უჭუ, ვტირივარ ბიჭებო.

**პატ. გურამი** — რა გინდა, რა ბიჭო ვახ, ვახ!  
**რეზო** — რა?!  
**პატ. გურამი** — რა გინდა, ბიჭო რა?  
**რეზო** — რა მინდა?! მოკალით ეგ მამაძალიც, ოინჩი მაგას!  
**პატ. გურამი** — ვინ? იულონი? ეგ მკვლელსა ვაგს ბიჭო არა გრცხვენია, არ იცნობდ მინჯ იულონს!

**ირაკლი** — ფაქტი, ბიჭო ფაქტი ვერ მესმის...  
**გურამი** — დაწყნარდით ყველა!  
**დიდი ზოზა** — რას ამბობ გურამ, კაცო, როგორ დავეწყნარდეთ?!

**რეზო** — სცადე და დაწყნარდი ახლა, როცა ეს-ეს არის შენი ენით, ენას თავი დაანებე, გრძნობით, მკვლელს ამართლებდი...  
**ირაკლი** — ეგა გლუპავს შენ...  
**დიდი ზოზა** — რას სულელობ, რა სიტყვებს იძიხვ, რა ეგა, გლუპავს, გესმის! თუ სიტყვა ჩალაა პა? თუ აქ კაცი არ მომკვდარა, ხალხო!...

**პატ. გურამი** — კაცი კი მოკვდა, არც ყველაფერი მართალია რასაც იტყვი, მე ჩემ სიტყვებზე ვამბობ...

**გურამი** — გთხოვთ, ყველა გაჩუმდით, შედით მკვიდრის სულის პატივისცემის მდგომარე-

ობაში და რაც უფრო მთავარია, მოუსმინეთ ცოცხალ კაცს, რომელიც ყველაზე ახლო დგას ამ საქმესთან. ვიდრე, რომელიმე ჩვენგანი...

**ირაკლი** — იულონს მივცეთ სიტყვა.

**რაზი** — იულონი...

**პატ. გურამი** — იულონს, პო!

**დიდი ბობა**: — საინტერესოა, კაცო, რას იტყვის იულონი, ნუთუ იტყვის, რომ არ მოკლა?

**გურამი** — თეზიკოს მკვლელ იულონს ეკუთვნის სიტყვა!

**დიდი ბობა** — რა უნდა თქვას აზრზე არა ვარ?

**ირაკლი** — მოვესმინოთ და გავიგებთ!

**იულონი** — მე მომისმინე? გინდათ ეს?

**გურამი** — კი არ გვინდა, თქვენ უნდა ილაპარაკოთ, თქვენ ვალდებული ხართ!

**იულონი** — მე თავს არ ვიპართლებ, ეს იცოდეთ, თუმცა ყოველი სიტყვა ისე ვაისმება ჩემი პირიდან, როგორც თვითგამართლება, რაც მე არ მინდა და რასაც გვერდს ვერ ავუვლო. მე აქ სააშკარაზე გამოიჩინეს, მე წყნარი, თავმდაბალი იულონი, მე, მე თითონ არ ვიცი, როგორ, მაგრამ, მკვლელი, რომლის მთელსაშინელებაც მიუხედავად მისი თვითთელი დეტალის ცოდნისა ჩემამდე არ მისულა, და ახლანდელი ჩემი ყოფა უფრო სიფხიზლში თვლემსა გაეს და გარკვეულად შვიდ ქვერტასაც კი, რადგან როგორც ჩემმა დამცველმა თქვა, მართლა გაურყენელი დავრჩი, ეს იმიტომ, რომ ჩვენ გონებას ეფარება ერთი მოგონება, ერთი უგმირო ტრაგედია, რომელიც ჩემად იქცა ისე, რომ მასში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და ალბათ მისი სხვისთვის მოყოლის შემდეგ შევივარძობ მომხდარი ამბის მთელ საშინელებას, მანამდე კი იმ მარტო ჩემთვის ასკუბული ტრაგედიის საბურავში ვარ და მე მსიამოვნებს, როგორც არ უნდა ცუდათა ღერღვეს იტყვას, მე მსიამოვნებს რომ მოვეყვები იმ არა ჩემ ტრაგედიას, რის შემდეგაც დამრჩება ეს საკუთარი ტრაგედია და როგორი მერე... გესმით თქვენ, რა არის საკუთარი ტრაგედია? ეს არის ვაცოლებით დიდი და ძნელად მისაღწევი, ვიდრე საკუთარი ბედნიერება, საკუთარი ცხოვრების კომედია: შე კი უკვე ექვსი წელია გულში ვატარებ სხვის მოგონილ უბედურებას, ჩემთვის ტრაგედიად ქცეულა, არა ექვსი წელი კი არა, მის შემდეგ სულ ყველა ჩემი ოცდარვა წელი გავიდა, ღმერთო ჩემო ოცდარვა წელი. რაც მე არ მჭონია ჩემი საკუთარი არაფერი, ჩემთვის ქონება რაღაცა ბედისწერის ხმით მხოლოდ ტრაგიკულია, გადავლილი ჩემ თავზე, იქნებოდა და მე ვეძებდი მას, მის ნაცვლად კი ხან ბურთს მარტყამდნენ სახეზე, ჭკუჭყან, ტლახიან სველ ბურთს, ხან წყალს მასხავდნენ აივნიდან და ეს შეურაცხყოფა იზრდებოდა უბედურებამდე ოღონდ მყოფინდა მხოლოდ ცოტა, ძალიან ცოტა ხანი, შემდეგ ვხვდებოდი, რომ ის იყო შეურაცხყოფა, მე კი მინდოდა რაღაც

უფრო დიდი, სავსე და მე ინტუიციით, მარტო ცხოვრებას, მარტო ფიქრს შეჩვეული კაცის ტუციით ვიცოდი, რომ ის დიდი, საჭირო შეიძლება იყოს ჩემთვის ბედნიერება და ქვეყნენულად ამ გრძნობას სწორედ უბედურებაში ვეძებდი, ამიტომ ვიღებდი პატარა ბავშვისაგან მორტყმულ ბურთსაც კი უხმოდ, რომ ერთი წამითაც სამაგიეროს გადახდის შემდეგ გამარჯვებული არ გამოვესულიყავი.

ექვსი წლის წინ მე წამიყვანეს ფრონტზე და როცა იქ თოფით მოვკალი პირველი კაცი, გამეღიმა, მივხვდი, რომ მოკლა ბრძოლაში მტერი, ეს არ შეიძლება იყოს უბედურება, მე კი მხოლოდ ამ ამბის განსაცდელად წავედი საომრად, მოხალისედ, რადგან როგორც დედისერთის შემდეგ ვანთავისუფლებდა ჩარიდან და მე კიდევ მივხვდი, რომ ომში არამეტო არ ტრიალებს ტრაგედია, არამედ საერთოდ დაკარგულია იქ რაიმე უბედურების შეგრძნება, აქ როგორც არსად, ისე უფასურდება ყველაზე ძლიერი განცდებიც და მსხვერპლი სასაცილოდმდე არა-რაობა ზდება, მაგრამ ჩემი ბუნება ეძებდა, ეძებდა და მან იპოვა უდიდესი უსამართლობა, უდიდესი ბოროტება, ჩადენილი სხვის მიერ, აღმაინის მიერ და ის იქცა ჩემ ტრაგედიად, რადგან ის, რაც შეუძლია გააკეთოს ერთმა ადამიანმა, შეუძლია გააკეთოს ყველამ უკლებლივ სწორედ ამიტომ სხვაც ასევე აგებს იმ უსამართლობისათვის პასუხს როგორც თვითონ ჩამდენი, განაჩენის გამოტანისას ვთხოვთ გაუწიოთ ჩემ ამ სიტყვებს ანგარიში და გაითვინაწინოთ. რომ ისინი ჩემ გასამართლებლად არ იყო ნათქვამი, არ იყო ნათქვამი ჩემი სასჯელის შესამსუბუქებლად. მე ახლა ვეღვა, და ვიგრძნობ ვადას იმ ამბის მოყოლადე, რაც საფუძვლად დაელო შემდეგ ჩემი ცხოვრების ფორმას, რაც ახლა არ მამძღვეს საშუალებას აღვიქვა ჩემი დანაშაული, მაგრამ მე გადაწყვიტე და მე მოვეყვები და როგორც ეთქვი მე ამ მოყოლას, ამ სხვისადმი ნაწილობრივ მიანც გადალოცვის მოხარული ვარ: საქმე კი იყო სრულიად უბრალო და ჩვეულებრივი. ეს უკანდაცევაა, რათა უფრო კარგად შევივარძლო, ჩემწვდეთ ჩემ ტრაგედიას, რომელიც სხვამ ჩაიდინა და რომლისთვისაც მე ჩემ სინდისთან ვაგო პასუხი, რადგან ჩემ სინდისს ყველაზე მეტად ჭირდებოდა პასუხისგება. ამ ამბის სათაური ასეთია:

### არა შიშილმბა იმცის ტანჯვის მაძიებელ კაცისათვის ტრაგედიად

ჩვენი ათეული ბრუნდებოდა ტბის ნაპირიდან, სადაც სისრულეში მოვიყვანეთ სამი გერმანელისადმი მისილი სასიკვდილო განაჩენი. მოდიოდა წერილი წვიმა, რისგანაც მიწა ბარაქია-

**გურამ რჩაულიშვილი**  
იულონი



ნად იყო გაყენებული და უფრო და უფრო მეტად იკრავდა ჩემ სალდათურ ჩემებს, ეს ცოტა სასიამოვნოც კი იყო, რადგანაც სხვა რამეზე ფიქრის საშუალებას არ იძლეოდა. ტბა დარჩა უკან ტყეში, სადაც იღვა ნაწილი, კიდევ რჩებოდა ორი-სამი კილომეტრი, ვარშემო იღვა აბსოლუტური სირუხე თვალუწვდენელი ტრამალისა, მე აშკარად ვგრძნობდი, როგორ არ ვნიშნავდით არაფერს ამხელა სივრცისათვის და უცნაური თბილი შიში შეპარებოდა გულში. მე შემეცოდა ჩემი თავი, რომელიც არც ერთი მხრივ არ იყო დაცული, ეს სენტრემეტრული შიში იყო, უფრო სწორად ლიტერატურული, რომელიც გამომდინარეობდა ჩემი თავისა და ტრამალის შედარებიდან, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ფიქრებს თავიდან ვიშორებდი და მთელი ყურადღება გადაქმნიდა ტლახიდან რაც შეიძლება ნაკლები ენერჯის დახარჯებით ფეხის ამოტანაზე. თუმცა მთელი ამ ტრამალის აზრით უაზობაში იყო ერთი საინტერესო ამბავი და თვითონვე ჩვენთაგანისთვის აშკარა გამოსავალი; ეს იყო სალდათის მანარის უტყუარი ჩვეულება დაემორჩილოს სხვას, მთლიანად მისცეს თავისი ბედი სხვის ბრძანებებს. მე ოდნავ ეშმაკურად, რამდენადაც შეიძლება ასეთ დროს (ხანდახან გაცილებით უფრო მეტად შეიძლება, ვიდრე ჩვეულებრივი მოვლენის დროს) გადავხედე ჩვენ ათმეთაურს, რომელიც აშკარად გრძნობდა რომ მას ათი კაცის ბედი ახარია და ისეთივე კმაყოფილი იყო უფროსობით, როგორც ჩვენ კიყავით კმაყოფილი დამორჩილებით და მე მგონი ეს დამორჩილებულება იყო ერთადერთი პირობა, რომ ასე ვთქვათ, კმაყოფილი ან უკმაყოფილო ვყოფილიყავით, გვეზონოდა რაიმე გრძნობა ჩასმული თავის ფორმაში. და ჩვენ ვმოძრაობდით, გვიბრძანებდნენ მარჯვნივ-მარჯვნივ, თუ არა და პირდაპირ ტრამალის ბოლომდე, შემდეგ უკვე იქით.

ჩვენი საქმე პატარაა, რასაც გვიბრძანებენ შეასრულე, აი მთელი ლოგოცა სამხედროსი. ვანსხევეებით სამოქალაქო ცხოვრებისაგან, სადაც რეალური ყოველ წამს ფიქრობს თითონ თავისი გართობის შესახებ და აკეთებს ათსგვარ სისულელეს და პასუხს აგებს მასზე.

მე შევეჩვიე ფიქრს და განსაკუთრებით გაცივრებული ვფიქრობ მაშინ, როცა სხვები აზროვნებენ ჩემი საყოფაცხოვრებო საკითხებზე. მისთვის ჩემს მაგიერ, აზრებს ხელს უწყობს განსაკუთრებით რიტმი იარო ფეხაწყობილი. მწყობრში — ეს არის უდიდესი განტვირთვა ადამიანისა, მე ვიტყვილი თითქმის ჰერეტის პროცესი, როცა სხეული შენ აღარ გეკუთვნის, ამ დროს უმეტესობა ნეტარებს, გრძნობს უცნაურ განცხრომას, ხოლო მისთვის, ვინც შეჩვეულია ფიქრს აზრი არ წარმოადგენს რაიმე

გამომწვევს ან დამლულს — ის მუყოფნის მოდის თავში, ვაბმული რიტმის შეგრძობის და არის წუთები. როცა გელომება კიდევ შინაგანი ბრყვეული სიამოვნებისაგან, „დამლურეთ“: ხელმძღვანელობს ათმეთაური და მერწმუნეთ გაცილებით განსაღად ეღერს სიმღერა შესრულებული ბრძანებით, მწყობრში, კიდრ ვიტარით ხელში სუფრახზე. ეს ბრძანება ან წუთები საკმაოზე მეტად დროული იყო — მარცხენა ფეხზე პირველმა ხმამ დაიწყო პირველად. ხმაამლა, გამართულმა და უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენით ყველამ, გაქრა ის უშინშენელო შეგრძნებაც კი შიშისა, რომელსაც იწვევს ყოველი მხრიდან დაუცველი ტრამალი, პატარა საფარი გორაკებით. სიმღერის ბოლოს ჩვენ ყველა (ჩვენი ვხმარობ ვანგებს, რადგან სიტყვა „მე“ მწყობრში თითქმის იყარგება და მას რასაც გრძნობს ერთი, გრძნობენ ყველა) განსაკუთრებით ხაზს ვუსვამდით მარცხენა ფეხის დარტყმას, რომელზედაც უნდა მოსულიყო ახალი ბრძანება, ახალი სიმღერის დაწყებისა.

ჩვენი ათეული უკვე ტყეს მიუახლოვდა, სადამდესაც საკმაოდ დიდი გზა გამოვიარეთ, მაგრამ დროის გასვლა თითქმის არ გავვიგია — ისევ მწყობრის ერთ-ერთი ბრწყინვალე თვისებაა. ის კარგავს დროის შეგრძნებას: ათმეთაურმა ტყის ზოლთან მოახლოებისას გვიბრძანა შამხანების მომარჯვება და ვაშლა, აქ ერთი წამით ფსიქოლოგიურადაც იშლება მწყობრის და ყველა სხვადასხვა წერტილიდან ელის სროლას, აქ სხეულის კანკალამდე იგრძნობა თუ რა საშინო იყო დაუცველ სტეპში სიარული და ახლა ყველა ორმაგი ენერჯით მიანიჭებს, რომ დროზე შეაფაროს ტყეს თავი. აქ ტყე, პირდაპირ იწყება ტრამალის შემდეგ უზარმაზარი წიწვები არეული ფოთლიან ხეებში. ჩვენ უკვე ისევ მწყობრში დაწყობილმა მივდივართ ბილიკზე. გარშემო უზარმაზარი ხეები გვარტყია და რადაც უცნობი, ხეს მოფარებული შიში ვეკოპრობს; სტეპის შემდეგ ტყეში შესვლასთან ერთად დამკვიდრებულ უშიშროების სასიამოვნო გრძნობასთან ერთად ორმაგად იზრდება ფარული შიშიც, შიში ყოველი ხისადმი, მაგრამ აქაც, როგორც სტეპში, მწყობრი თავისას აკეთებს, „სადაც სხვები იქაც მე“ ფიქრობს თვითონ ან საერთოდ არ ფიქრობს. ეს თავისთავად ხდება ჩვენში, გაცილებით ადვილია, სასაცილომდე ადვილი, როცა სხვაეც კვდება შენთან ერთად, შენს გვერდით: აქ არ არის მამაცობაზე ოდნავი პრეტენზიაც კი, ამიტომ ომში, ყველაზე მხდალი ადამიანებიც კი ჩვეულებრივი ცხოვრების დროს, სიამაყის მაგალითებს იძლევიან.

როგორც ხედავთ მწყობრსაც არ შეუძლია აიძულოს ფიქრს შეჩვეული ადამიანი არ გაუქციოს ანალიზი თავის თვითონ ნაბიჯს ოლონდ აქ ფიქრი არ იწვევს გაღიზიანებას, ის თავისთავად რიტმულად მოდის თავში და ეს რიტმი, რო-

გორც მე ყოველთვის მიგწევნებოდა, გაყვანილი სევდითა და სითბოთი, უმწყო სიყვარულით რაღაც არაკონკრეტულსადმი, შეიძლება საღდაც გულის სიღრმეში, თავის თავის შეცოდებით, რომ „აი შენ როგორი ყოფილხარ სინამდვილეში, დიდი ფარის ნაწილი და სხვა არაფერი“.

ფიქრი ყველა დროს — ეს არის, ჩემის აზრით, ადამიანის ტრავმაცია, ის ყველანაირად მისიწრაფის ოლონდ ისევ და ისევ აზრის საშუალებით, გახლეს ცხოველივით უფროსობი, პლასტიკური, მორჩილი, რაც შეიძლება ინტენსიურად იგდებს თავიდან ყველა დარდს (დარდი პირველი და ძირითადი ნიშანია აზრისა) — და რაც უფრო მისიწრაფის თავის მოტყუებისაკენ, მით უფრო შორდება თავის პირვანდელი ინსტინქტების მდგომარეობას და უფრო მაგრათა ყოფს თავს ათასი პარალელური დარდების, აზრების ქსელში. და რამდენადაც შორს მიდის ეს გზა, მით მეტი დარდიანი, გულნატკენი და სასაცილო, — თავის უსასრულობადაც თავგაურთველი ფიქრებით — ხდება ადამიანი მთელი დანარჩენი ბუნებისათვის, რომელმაც უფიქრებლად იცის ჭეშმარიტება და თან ჭეშმარიტებათა შორის ყველაზე ძვირფასი — ბუნებამ იცის რომ ჭეშმარიტების მისაღწევად ფიქრი არ არის საჭირო, ფიქრი საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ დაშორდეს ჭეშმარიტებას — ეს უკანასკნელი (დაშორება) როგორც ზემოთა ვთქვი, არის ადამიანის არსებობის მოწოდება და ერთგვარი კონტრასტი მშვიდი, კანონზომიერი სამყაროსათვის, რომელიც ისევე უყურებს კაცთა არეულ ვნებებს, როგორც საყუარ სიმშვიდეებს.

და მაინც, ყველა ამ აზრის შემდეგ მიმდარა მიწურის კუთხეში, მე ვფიქრობდი და ვფიქრობდი ორმაგი სიამოვნებით, სიამაყით, თითქოს დაიცინებოდა უყურებდი ორ, ხესავით დიდი, უგრძნობ სალდათს, რომლებიც ფეხზე მდგარი და ამ წუთში უფიქრებელი ჩენზე გადმოყუდებული წიფლებივით, ეშხადებოდნენ მახორკის გასახვევად (ამ დროს ისე დიდიანი ნიკოტინის შესუნთქვის სურვილი, რომ ფიქრი არ შეიძლება, თუ არ ჩავთვლით დარჩენილ სურვილის გრძნობას, ხოლო ასეთი სურვილი ზეკს ხესაც, რომელიც ნოტიოს ისრუტავს), უცებ საშინელი სიციხადი ვერაქენი ჩემი უპირატესობა იმ გაერთიანებულ, სხვა, ორი ადამიანისა და ხეების სახით, — ბუნებასა და ჩემ შორის, ეს იყო სიამაყე ჩემი აზრებისათვის, რადგანაც აზრი არის ადამიანის გონების უდიდესი დამსახურება, ეს უკანასკნელი აძლევს მას უპირატესობას მთელ დანარჩენ სამყაროზე, იმიტომ არ გვიყვარს ჩვენ, უფრო სწორად, პატვის არა ვცემთ ჩვენ ადამიანებს, ვინც სხვაზე ნაკლებსა ფიქრობენ და ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ შურით მათი უღარდლობისადმი, არამედ ეს თვისებაა, რომლითაც მაღალი ხე უყურებს და

ჩაგრავს დაბალ ხეს თავისდაუნებლიდ: ყოველგვარი წინაპრის გარეშე. დანარჩენი სხვა დამუკიდებულება, ცხვირის აწევა, დაცინვა, და სხვა უფიქრული, განუფიქრებელი ადამიანებისადმი არის გამოგონილი, მოწიპებული უმეტესად თვით უკანასკნელთა მხრიდან, ძირითადი კი არის, ვიმეორებ, ობიექტური განსხვავება ტვინის, აზრის, დარდის შეგრძნების ხარისხებს შორის.

მე დარდს ვუსვამ ხაზს და ამხეცა მაქვს ჩემი შეხედულება, პირდაპირ კავშირში მყოფი ჩემ მონათხრობთან. დარდის შეგრძნება არის კუთვნილება, მე მგონი, სწორედ ყველაზე მეტად ქართველი ადამიანისა. ხშირად შემომხევი, განსაკუთრებით, ტყვეების დახვერების დროს, რისი შესრულებაც ხშირად გეწევდა. რომ გერმანელს სახეზე ყოველთვის უფრო მეტი უქმაყოფილება ეხატებოდა, უქმაყოფილება, შიში, გარკვეული პრეტენზია თავის სიცოცხლეზე უფლებები-სადმი, ხშირად დავკვირვებოდა კინოშიაც, რომ როცა ევროპელს კლავენ, ან ცოლს უუპატიურებენ, ან ახლობელს მოულოდნელად მკვდარს ხედავენ სახეზე უქმაყოფილება ეხატებათ და ყოველთვის მიკვირდა ამ სამი ამხელა ტრაგედისაგან როგორ შეიძლება იყო უქმაყოფილი და მეტი არაფერი — თითქოს ჯამაგირიდან ორჯერ მეტი დაგიქითეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ჩვენ ათეულს მოუწია აგრეთვე მოღალატეების დახვერებამ, რომლებიც არაჩვეულებრივად ყოვლოჩინობდნენ, თავს იმხნეებდნენ და უქმაყოფილო სახეებს იჭერდნენ გერმანულბოივით, მაგრამ თითონ დახვერების წინ ისეთი სევდა, წმინდად არამწიფიერის უსაზღვრო სევდა დაინახე მათ თვალეში, სევდა მოკლებული შიშის გრძნობას და დაფარული გაუტეხელობის საფარით, რომ მე ამ სევდამ შეშხაა, მე შხად ვიყავი გამგელოდ თოფი ხელიდან, მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ სხვები ისევე ესროდნენ მათ, როგორც გერმანელებს, უფრო მეტი სიმრავლითაც კი, და ეს იყო მხოლოდ მოღალატე, დასახვერები ხალხის დამსახურება, რადგან მათ ყველანიარად შესძლეს თავისდაუნებურად დაეფარათ თავიანთი სევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაქენი ვერ შესძლებდა მოეკლა ეს ადამიანები — იმდენ ნათესაობას იგრძნობდა მათ-დამი. ისევე მინდა აზრის სიციხადისათვის კინოს მაგალითი მოვიყვანო, რატომღაც კინოში ყველაზე კარგად მქლავდება ფსიქოლოგია ერისა ან ყველაზე გავრცელებული სანახაობა რომ არის, იმიტომ აქცევს კაცი მეტ ყურადღებას.

მე არ მომხვედრია ხელში დასახვერება ქართველი, მაგრამ ორივე ეს გრძნობა, გერმანელის, ევროპელის უქმაყოფილება, დაფარული სევდა უმეტესად სენტიმენტალური ცრემლებით, რომლებიც მხოლოდ თავს ტირიან და მოღალატის არა-

**გურამ რჩაულიშვილი**  
იულონი



მიწიერი სევდა დაფარული უქმყოფილების ან გამოშვებული ვაჟაკობის ნიღბით იმდენად ნაცნობი იყო ჩემთვის, რომ მე ცოცხლად ვიდგენდი თავს დასახერხებელ რიგებში და არა ყოფილა არც ერთი ჩემი მახლობელი, რომ აზრით არ დამეხერხებინა და ყოველთვის, ყველა ქართველის სახეზე ვკითხულობდი დარსს, უსაზღვრო დარსს, გამოშვებულს იმითი, რომ მას დარჩა იქ სამშობლოში უსაყვარლესი დედა, მიწა, კარმიდამო, სადაც გაიზარდა და ყველაფერი გამოდიოდა მის შინაგან ბუნებაში, როგორც უქმყოფობა დანახული იმითი თვალთ შიშობის თვალთ, და თავისი საკუთარი თვალთ, ეს არაჩვეულებრივი პარმონიათ ერწყმოდა. მის არამიწიერ გამოსახულებას, მას რომელიც აღარ უნდა იყოს, რომელიც უნდა წაიფიდეს სხვაგან.

ეს ორი გრძნობა, უქმყოფილება და სევდა ერთად, ძალიან ღრმავათ ზის ქართველი კაცის შინაგან ბუნებაში და სწორედ მათი შეერთება წარმოშობს გრძნობათა შორის ყველაზე ადამიანურ შეგრძნებას — დარსს. უცნაური ჩაცნობა ვიცი ხოლმე, მაპატიეთ და სიცხადისათვის ისევე კინოს მავალით მოვიყვან, იცივე, წინ დასახელებული შემთხვევების დროს. კინო არის არტისტიკა და ამ არტისტობის დროს მთავარია როლის ბუნებრივი შესრულება — ევროპელისათვის ბუნებრივია უქმყოფილება (იმ შემთხვევებში) ხოლო ქართველი დაბნეულია, მან არ იცის, ამ გრძნობათაგან, არტისტობის დროს, რომელს მისცეს უპირატესობა, ამიტომ მისი თამაში არაბუნებრივი გამოდის — არაბუნებრივია ესეც ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ადამიანური თვისება, ამითი ყველაზე მეტად გამოიერიჩვეით ჩვენ, ქართველები, სხვა ეროვნებებისაგან და მხოლოდ ჩვენ სხვა ხალხებს შორის, სწორედ ამიტომ, მიუხედავად დიდი ვნებებისა არ გვახასიათებს არც ერთი უკიდურესობა — ამაზე მეტყველებს მთელი ჩვენი ისტორია ნაოშარი, დაჩეხილი ხშირად გამარჯვებულის, მაგრამ შინაგანი ინტელექტით ყოველთვის ერთ დონეზე მდგარი, შუაში გაშარჯვებულ და დამარცხებების საზღვარზე, გამარჯვების დროს დამარცხებული, შემინებულის კი სულით და დამარცხებისას გულგატეხილი, დამარცხებული, რაც შინაგანი წონასწორობის მუდმივ ურღვევებს უწყობს ხელს; ჩვენა ვართ ხალხი ურწმუნო და ღმერთების მოყვარული.

მე, მავალითად, არასოდეს არ შემძლია ერთ აზრს ჩავყვე ბოლომდე და უფრო მეტიც, არ შემძლია მართო ერთ აზრზე, სუფთა ერთ აზრზე ვიფიქრო ერთი წამიც კი, ჩემ ძირითად აზრებს ყოველთვის გვერდზე მიყვება აუარებელი ქვეაზრები, სახეობა და უმეტესად ვხედავ სხვა სახეებს, ხოლო ვფიქრობ ავიფევა სხვა, როგორც ახლა — ზოგადად.

როგორც უკვე ვთქვი მე ვიჭევი მიწურის

კუთხეში, ამ დროს არ ვიცოდი, როგორ შეერთებინა ჩემი ფიქრები სხეულისათვის. მზე საერთოდ მცოცა და მათი მოწყობა ყოველი დაძინების ან წათვლების დროს, მთელ პრობლემას წარმოადგენს ჩემთვის ახლა ისე ვიყავი, გართული მათი გათბობით, მყუდრო მდგომარეობაში მოყვანილი, რომ ყველა ზეით ნათქვამი მსჯელობა მრდიოდა თავისთავად, ზედამართულად, რომელიც კონკრეტულ შინაგან გრძნობებთან წონასწორობაში. მაშ ასე, ვფიქრობდი და ვზრუნავდი ფეხების მოწყობაზე, თითქმის გადაწყვიტე კიდევ, რომ ადამიანმა შეიძლება ყველაფერს მიადწიოს, მოაწყოს ყველაფერი. სულ ყველაფერი, გარდა ფეხებისა, რომლებსაც რატომღაც მაინც ვცივებთ. უცნაურად ამეკვიცხა ეს ფეხების აზრი და ოდნავ გამეღამა. მე ყოველთვის მელიმება, როცა თავს ტყუილში ვიჭერ. ძლივს მივხვდი, რომ მთელი ამ ფეხების პრობლემა გამოშვებული იყო დილანდელი განცდისაგან — ჩვენ ფეხებუპირილი კაცი კინალამ დაგვბრტით: ის აქედან ჩვენი ზურგით იმისგანადა საკაცეზე დასმული, მხოლოდ იმისათვის, რომ იქ დაგვეხერხება; საკაცის უკან წამოღება დაგვეზარა და იქვე დაგვტოვებ, ტბის პირას. უცნაური შეგრძნება დამჩა იმ კაცისაგან, მას ვერაფრით ვერ უუყურებდი, ვერ აღვიქვამდი როგორც ადამიანს, რომელიც ფიქრობს, ის იყო ჩემთვის უფრო, სწორედ უფრო და დაბრუნებისას სწორედ ასეთი შეცოდება დამჩა გულში: „რა ცოდოა უფეხო კაცი“. ეს ფრაზა ავადმყოფობამდე განმეითარდა და მთელი გზა მიტრიალებდა თავში, სწორედ ამ განცდის შედეგი იყო ახლა რომ ჩემ თავში ფეხებს ვგრძობდი და მათი მოწყობა პრობლემად გადამეჭა. „უცნაურია უფეხო კაცი“ განვგარბობდი ფიქრს და მიუხედავად ცოდნისა ვერ მესმოდა, რომ ის ასე არ განხდა. მაგრამ მე ვთქვი, რომ ჩემ თავში ყოველთვის არის მრავალი პარალელური ფიქრი, რომელთა შორისაც ერთ ძირითადს შეადგენს იმ საზოგადოების საერთო საზრუნავები, რომელშიაც მე ვიმყოფები. ერთი საათის წინ კი მოვიდა ბრძანება, რომ ჩვენ პირისპირ დადგა გერმანელების ოთხი პოლი. ჩვენ უნდა სასწრაფოდ დაგვეხია უკან, იმ დროს ჩვენები უკან იხევდნენ, უკანდახევის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ავყრილიყავით დილისათვის ე. ი. თითქმის ბინდუნდული უნდა დაგვეტოვებინა მიწურები.

ამ ჩემი აუღლებელი და მონოტონურად მოსული აზრების დროს. მე შევასრულე რამოდენიმე ბრძანება, ვიდექი მწყობრში, მოვისმინე პოლის უფროსის ამონაწერი არმიის სამომედლო გეგმიდან, ვუპასუხე ათმეთაურის რამოდენიმე შეკითხვაზე, სხვათაშორის გაცილებით უფრო კარგად, ცხადად ვფიქრობდი, რადგან

როგორც ერთხელ უკვე ვახსენე, ჩემ ფიზიკურ ფიქრებს სხვები განაგებდნენ და უფრო ცხადად ვგარკვევდა, რომ ფეხების სიცივე და არა ფეხები იყო ერთ-ერთი, რაც მე მეკუთვნოდა ჩემი ფიზიკური ფიქრებიდან — ფიქრები არის ფიზიკური და სულიერი — ეს დაყოფა განსაკუთრებით კარგად იგრძნობა არმიაში. ის, რომ დილაზე ადრე უნდა ავმდგარიყავი სიცივეში, სველი, თითქმის მშვიერი, ეკუთვნოდა სხვას და მე ვიყავი ამის მოხარული, მაგრამ ერთი საკითხი სულიერი ფიქრებიდან განსაკუთრებით შემომიჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო არაფერი რთული და უცნობი. მე მინდა მოგიყვებო ამ უკანასკნელის შესახებ, რადგანაც ის დაედო ორგანულ საფუძველად მთელ ჩემ წინა მონაყოლს.

სანამ ამ ამბავს დავიწყებდე, დამატებისათვის კიდევ ვიმეორებ: ტრის დროს მთლიანად იკარგება მსხვერპლის ტრაგიკულობის შეგრძნება, ამ უკანასკნელის განცდა კი იყო მიზანი ჩემი ჯარში წასვლისა. ერთი შეხედვით, ეს ამბავი მე უნდა გამხარებოდა ე. ი. ტრაგიკულობის შეგრძნების სურვილის დაკარგვა, მე ვიქნებოდი უღარდელი, ბედნიერი ადამიანი, მაგრამ შიში თანდაყოლილი, ბუნებრივი, საშუალებას არ მძლევს გვერდი ავუარო რომელიმე ჩემ განცდას, გამოვირცხო ის ჩემი დარღვივებიდან და უკვე ამ ტრაგიკულობის ეგრძნობა ხდება, ჩემთვის ახალი დარდი, მაშინ მე ახალი ძალით ვეძებ მას, მიმქრალ სურვილს და რაც უფრო მიმქრალი იყო ის, მით მეტად აღვიღს იჯაეებს ჩემს არსებაში წინა პლანზე გამოსვლის დროს: და აი, მე ავადმყოფურად აღვიქვი, რომ ამ აუარებელ გავრცეებაში, არაადამიანურ პირობებში, ისეთი რამეც კი არ ხდება, რაც გაცივების საფუძველს მინც მოგვეცემს. თუმცა არ არის მომენტი, როცა ადამიანს არა აქვს რაიმე მოუწესრიგებელი სულიერი საზრუნავი თავის სინდისში.

მე განვავარძობ მოყოლას: მწყობარში დგომის დროს, ჩვენ წინ ჩაატარეს ახალი პარტია პატიმრებისა: ხუთი მოლატე და, ერთი გერმანელი, ექვსივენი ერთმანეთზე უკეთესები, მოსულები, ღონიერები. როგორც ვთქვი ჩემი თავი დაკავებული იყო სხვა ფიქრებით. ოღონდ შიდა პარალელური აზრი ძირითადი ფიქრებისა ყველა წერტილში იწერდა ჩვენ წინ ჩავლილი პატიმრების გარეგნობას და მისი მიხედვით ანალიზს უკეთებდა მათ ხასიათებს. ჩქარა მათი ჩავლის შემდეგ შევაძინე, რომ ყველა სხვა ანტრატული დარდი გაქრა და წინ წამოვიდნენ პატიმრების სახეები, ისინი ამ ერთფეროვან მწვანე მახარებს შორის განსაკუთრებით მკვეთრად ჩანდნენ: მე დამანტერესა, რიგის დაშლის შემდეგ გავწიე ბარაკებისაკენ, სადაც ისინი ჩაეკეტეს პირველად. აქ უკვე თავი მოეყარათ სალდათებს, ზოგი მათგანი მიუხედავად

აქრძალისა, მინც რამოდენიმე სიტყვით ცდილობდა გამოლაპარაკებოდა მათ.

სამი მათგანი, ქერათმიანები, ისხდნენ აბსოლუტურად უნიციტაციოდ, ისინი, როგორც ეტყობა, არა ფიქრობდნენ დახვერცის შესახებ, რაც ყველაზე მოსალოდნელი იყო, არც ვადარჩენის რაიმე იმედი ეტყობოდა მათ ხადებს. ისინი პირდაპირ იყურებოდნენ სალდათებისაკენ, მათი მზერა მიდიოდა მათ უკან და ვერ აღიქვამდა ვერაფერს, რაც გარშემო ხდებოდა, შესაძლოა ისინი ერთგვარ ნეტარებასაც კი განიცდიდნენ, რომ მათი ბედი სხვას ჩააბარეს ხელში და მამასადავით თითონ საფიქრალი აღარაფერი აღარა აქვთ — იქ კი, რაც იქნება იქნება, დანაშაული მათ ერთნაირი აქვთ, ისე რომ სადაც ერთი, იქაც ყველა. როგორც ზევით აღვნიშნე ასეთი შეგრძნება ხშირად სიამოვნებად იქცევა ადამიანს. მეოთხე ფეხშიშველად ქერა აშკარად ხუმრობის ხასიათზე იყო და ეს არ იყო მოჩვენებითი პოზა, თუმცა შესაძლებელია თავისი აზრით იგი ამას პოზისათვის აცთებდა. ის ადვილად ბარაკის გასწვრივ გავებზე კუჩულებს დაწყოლოდა და თითებს შუა გამოვარდნილ ზომაზე მეტად გრძელ ცერს ათამაშებდა ისე, რომ ყოველი მისი შებრუნებისას ზურგისკენ, სალდათები ხმამაღლა იცინოდნენ და რაღაც მზიარულს, უძახდნენ. ის იგივეს აკეთებდა ფეხშიშველა ფეხებით, რომლებზეც გრძელი, ხელისთითებისაირი თითები ქონდა. ეს განსაკუთრებით მოწონდათ ჯარისკაცებს: ჩქარა მათ შორის გარკვეული თანხმობა ჩამოვარდა და ორივე მხარემ დაიწყო ერთმანეთის გართობა. როგორც ეტყობა, არც ერთ მხარეს არ უნდოდა ჩაუვლოდა საქმის ნამდვილ ვითარებას, ისინი ცდილობდნენ ოფიცის ჩამოვლამდე მაქსიმალურად გამოეყენებინათ დრო გართობისათვის. ისინი სწორე იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა მათგანმა იცოდა: ხვალ საკუთარი ხელთ შექმნილ დაეხვრება მოლატე — ეს კანონია. ეს კი... ბიჭი კარგა მზარული, შეგიძლია გაერთო. მეხუთე, აშკარად აპოლიტიკურად განწყობილი ჯარისკაცი, ცდილობდა, რაც შეიძლება მაგრა ეკვინა მსმენელისათვის ყოველი თავისი სიტყვით, მას ყურადღებას აქცევდა სულ ორი-სამი კაცი, ერთი მათგანი იყო სათვალეზიანი, რაც მთელ სამეულს ჭკვიანურ, ინტელექტუალურ შეხედულებას აძლევდა. მე ასეთ ერთსაც ვხედავდი, რადგანაც, ჯერ ერთი, ასეთი აზრი ამ სამეულს შესახებ მართალი იყო, მეორეც, სათვალეზი დღემდე რჩება ჩემთვის მისი მფლობელის ინტელექტუალურობის გარკვეულ საზომად. სამოქალაქოშიც როცა დავინახავ სათვალეზი კაცს იმ საათში გონებაში გამორბენს, რომ ის ჭკვიანი კაცია. სათვალეზი სალდათი, პრეტენზიის მქონე ჭკვიანის-სახელები, რაღაც გამოძვევებული

**პურამ ჩაქულიშვილი**  
იწლიონი



ტიკურ საუბარში ჩაება ტყვესთან, რაც უკანასკნელს საშუალებას აძლევდა, დაუსრულებლივ გესლი ენთხია და ამით მიეყენებინა თავისი თავისთვის მაქსიმალური სიამოვნება მის მდგომარეობაში. მყოფი კაცისათვის, ეს სიამოვნება თავისი დროის მონაკვეთში არც ერთი თავისუფალი კაცის სიამოვნებას არ ჩამორჩება რაშიც უნდა იყოს, ხოლო თუ აშკარად მის დასასყელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, რომელიც მეტს აღარაფერს კარგავს, მაშინ მაღლაც კი დავება ჩვეულებრივ კმაყოფილებით გამოწვეულ სიამოვნებაზე.

მაშასადამე ხუთივე გართული იყო თავისი საქმით: სამი მშვიდად იჯდა აბსოლუტურად უაზრო სახით, დანარჩენი ორდან ერთი ხუმრობით ერთობოდა ყურადღების ცენტრში მდგარი, ხოლო მეორე — აშკარად მდგომარეობის უფროსად გრძნობდა თავს, რადგან როგორც ვთქვით, შეეძლო ეთქვა რაც მოესურვებოდა — ის უკვე აღარ აგებდა თავის თავზე პასუხს.

რჩებოდა მეექვსე ტყვე — გერმანელი, მან კი გადაწყვეტით არ იცოდა რა გაეკეთებინა. უბირველეს ყოვლისა, მას სციოდა და არა ქონდა არაფერი, რითაც შეეძლო თავი გაეთხო, სიარულს, ხელების ქნევის გასახურებლად კი ვერა ბედავდა და თუ ბედავდა ძალიან პატარა მასშტაბებით, ისე რომ გახურების მაგიერ ძაბვა ებოძა. მას არავინ არ უუყურებდა, ეს მდგომარეობა ჭერ სიამოვნებას, შემდეგ კი როცა მოლატერებსა და სალდათებს შორის ახლო დამოკიდებულება გაიმართა, ის შეშინდა და ყურები ცქეცია, შემდეგ როცა ისევ არ მიაქციეს ყურადღება საოცრად ტუტუტურად გაიღიმა და გააკეთა მოძრაობა კისრით, თავის მხრებში დამალვისათვის, მაგრამ ეს უცნაურად უნებრხელი გამოუვიდა. რადგან დიდი, წახანგოვანი თავი ოდნავ კი ვერ დაიმორჩილა, ეს იმ წამს შევეჩვიე და შეეშინდა, თითქოს ასეთი უნებრხელი მოძრაობა მის დანაშაულს გაზრდიდა. ცოტა ხნით ის ისევ გაუყრდა, შემდეგ კი წამოდგა, მხრები აიტუხა, საიდანღაც დააძრო ერთმუშაომოტრეული სათვალე და ცხვირზე ჩამოიცივა, შემდეგ უფრო თამამი მოძრაობა გააკეთა ხელებით, გათბობისთვის. წვეტიანი ცხვირი აშკარად გამოზობოდა სათვალის შიგნიდან: მხრებში ჩაუარდნილი, თავით, საღდაც მიმალული გრძელი კისრით, მაღალი ხმელი ფეხურით, ის აშკარად კითხვის ნიშნისა გავდა, რომელსაც წერტილდაც შავი, ტალახიანი ბატინებიდან გამოვარდნილი თეთრი ცერი ქონდა. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ამ კითხვის ნიშნისათვის ვინმეს ეპასუხა.

უცხოელი ყველაგან და ყოველთვის გარკვეულად ჰკვიანსაც ნიშნავს ეროვნების განურჩევლად, ყოველშემთხვევაში, კაცს რომელმაც

იცის ისეთი რამე, რაც შენ არ იცი (თუნდაც თვალში ტყვისი მორტყმა-ჩუკოტკელმა) ამისთვის ყოველთვის გაიძულებს ეს შეუცნობლობა, — ერთგვარი შინაგანი ანგარიშის გაწევით და პატრივისკემითაც კი მოეპყრო მის, მაგრამ უცხოელი სათვალეებში, ისეთი ნახევარაზნაბისათვის, როგორცა ვარ მე, უკვე ჰკვიანი კაცია, ხოლო სხვა სათვალეებისათვის, რაღაცით, მხოლოდ სათვალეებისათვის გასაგები ინტელიციით, თანატოლი და ამავე დროს ღირსეული მეტოქე. მე ეს არ შემიძლია ვთქვა ყველას შესახებ, ყოველშემთხვევაში, ვიგრძენი, როგორ გაუტრბინა ზუსტად ამ შეგრძნებამ სათვალეებიან სალდათს, რომელიც პოლიტიკაზე ლაპარაკობდა, მერე ის წამოდგა, თითქოს ახლა პირველად დანახა ტყვე გერმანელი, გერმანელმა თავი ამოსწია მხრებიდან და როგორც მსხელს, ისე მიაშტერდა წამომდგარ სათვალეან სალდათს, ისინი ყოველგვარი წინამოლაპარაკების გარეშე წაივინდნენ ერთმანეთისაკენ და დადგნენ ისე ახლოს რამდენდაც ღობე უწყობდა ხელს. მე მომეჩვენა, რომ რაღაც იყო მათ სახეზე ღიმილის მსგავსი და თუ გერმანელი იყო ნისიამოვნები აღმოჩენით, არანაკლებ კმაყოფილი ჩანდა მოლატერე.

— Вот очкастый — დაიძახა აშკარად გამხიარულებულად უკრაინელმა მეორე ჯგუფიდან და სათვალეანი რუსისაკენ წავიდა. არ იცი, ამ დროისათვის ყველას მოწყინდა ხუმრობაც, სერიოზული ლაპარაკიც, თუ იგივე აზრმა გაუტრბინა ყველას თავში ქვეშეცნეულად, ისე იყო თუ ასე ყველაანი ნელ-ნელა მოგროვდნენ ჩვენიანის გარშემო, აქტიური ორი მოლატერეც რაღაცნაირ ისეთ პოზაში დადგა, თითქოს სალდათებს შეუერთდა. მხოლოდ ის სამი იჯდა ისევ განურჩეველი სახეებით. „კარგი იქნებოდა ახლა ბაპირისი“ ხმადაბლა თქვა ერთმა სამთავანმა, გარშემო ისეთი სირუშე იდგა, რომ მე აშკარად ვავიკრძნე მისი ხმა. ვილაკამ სირუშის დამრღვევს გადაუდგო ქისა მახორკით.

გარშემო სახეები მომზადებული იყო ეშმაკური ღიმილისათვის, რაღაცა მძაფრის, მართლის სათქმელად და ყველა იცილიდა. სხვებმა როგორღაც ქვეშეცნეულად იგრძნეს, რომ სათვალეანი ლაპარაკებდა მათ მაგივრად, სათვალეანი წინასწარგანზრახულით დუმდა, სანამ არ მოიკრიბა მთელი ყურადღება და არ იგრძნო თავი მდგომარეობის უფროსად. გერმანელი, რომელიც დასაწყისში არ ელოდა სრული უგულებელყოფის შემდეგ ასეთ ყურადღებას, შეშინდა, გააკეთა კისრის მოუხეშავი მოძრაობა, რის შემდეგაც თავი ისევ წინანდელ მდგომარეობაში დაჩა და რაღაც საოცრად ბავშვურად და ბრიყვულად გაიღიმა. მისმა მეტოქემ თავის გარშემო მდგარებს ვალახედა და თვალის ჩაუკრა,

ეს თვალის ჩაკერა ეკუთვნოდა მოლატელებსაც და ყველამ ერთად, ჩემი ჩათვლით, ღრმა აზრიანად გავიღიმეთ — ეს იყო დასაწყისი, მაგრამ სილობრიზი წინ რჩებოდა — სათვლიან რუსს მშვენიერად ცოდნია გერმანული და მან აღარ დააყენა დალაპარაკება.

— *Yind sie gesund?* — იციხა მან ცბიერად. გერმანელმა, თითქოს დიდი ხნის შიმშილის შემდეგ ჰაერშივე დაიჭირა ნატეხი პური და შეეშინდა რომ არავის წაერთვა უკან, ისე უპასუხა — *Ja, Ja,* — მას სისწრაფისა და მონდომებისაგან ქლოშინი აუვარდა.

*Gesund, gesund,* — გამოაჯივრა უკრაინელმა — *A, нука, спроси, чего перся в нашу землю* — მან დამმუქრებელი სახე მიიღო, ჯარისკაცები მის გარშემო შევიქმუნენ და სახის გამომეტყველებით აიძულდნენ, რომ გერმანელს ამ სიტყვაზე პასუხი გაეცა. მას უფრო ბავშვური და დაბნეული გაუხდა სახე. ეს კითხვა გერმანელისადმი ჯარისკაცებთან ერთად ეკუთვნოდათ მათაც და ამას მშვენიერად გარძობდნენ ჯარისკაცებიც.

სათვლიანმა რუსმა უფრო ინტელექტუალური საუბარი გვერდზე გადადო და ეს კითხვა თარგმნა. გერმანელი ხელბის გაუბეღადი ქნევით ქლოშინით ალაპარაკდა, ენისპოდნე ძლივს ასწრებდა გადათარგმნას, მის სიტყვებს სალდათები ბუზღუნით იმეორებდნენ, მე მომეჩვენა, რომ ზოგიერთ მათგანს კიდევ შერაცხვა რალაციის, ბავშვები, ფერმა, ხიდი წყალზე, გაზაფხულზე ზამბახები მე მიყვარს ცოლი, პიტლერს ჩამოავდნენ, მე გლეხი ვარ, ეხოხებით იმეორებდნენ მთარგმნელის სიტყვებს ისინი გერმანელი კი სულ უფრო შედიოდა როლებში, ხელები გაიშვრა, მას ისეთი სახე ქონდა, რომ მის უღანაშულობაში არ შეიძლებოდა კაცს ეჭვი შეპარვოდა და ჩვენიანებმაც დაუჭერეს ეს ალაღად.

ჩვენ მიწურებში დავიშალეთ დასასვენებლად და თავის წესრიგში მოსაყვანად პატივრები ჩაკეტეს სარდაფებში, განკარგულების მოლოდინში, მაგრამ როგორც პოლკის უფროსმა თქვა, მათ შესახებ არავითარი მითითება არ იყო მოსულა, რომლის გარეშეც მათი დახვრეტის უფლება არა გვექონდა, რასაკვირველია თავისუფლად გაშვებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი ძირითადი გარემოება — ყოვლად შეუძლებელი იყო უკანდახვის დროს მათი თან წყევანა, ეს გამოიწვევდა დამატებით ათას სიზნულეს.

როგორც ვთქვი, ჯარისკაცები დავებრუნდით მიწურებში და დავიწყეთ თავის წესრიგში მოყვანა, ბინდისას აანთეს კრაქი. ჩემს გვერდზე საცვლების ამარა უკრაინელი შერავალს იყვარებდა, ხანდახან უღარდელი სახით იხახდა რამოდენიმე „ოო“-ს სიმღერის მსგავსად.

მე ხშირად ცუდ რამებს ვფიქრობ ადამიანებ-

ზე, სანამ ისინი დამელაპარაკებინან; მაგრამ საკმარისია გავესაუბრო, რომ მთელი ცუდი აზრების ქრებინან, მიუხედავად ჩემი გარეგნული სიმარტოვისა, საოცრად მიყვარს საზოგადოება და განსაკუთრებით საუბარი, რომლის დროსაც ვამბობ აბსოლუტურად ყველაფერს, იმ აზრებსაც კი რისი სამუდამოდ ჩემთვის დატოვება განზრახული მქონდა საუბრის დაწყების წინ.

ჰო, გვიყვარს ჩვენ ქართველებს გამოლაპარაკება, თუმცა ვის არ უყვარს ის, მაგრამ ხშირად სხვაზე მეტად ჩვენ უბრალო საუბარში გვახსიათებს თავის გამოჩენა, გაჯირითება, რომელიც ცოტა უსიამოვნოა ყოვლიანური, ოღონდ როცა მიხვდები, რომ ეს ასეა, შემდეგ უკვე გვიყვარს ეს ბავშვური თავისება.

სერიოზულად მე ანაფერია არ შემიძლია და განსაკუთრებით არ შემიძლია ვერ ვიტანდე ვინმეს.

— და იმათ რას უზამენ, ა? — კი არა მკითხა, თქვა საცვლებიანმა უკრაინელმა.

— ეშმაკმა იცის, — ვთქვი და მეორე პარალელურმა აზრმა მამხინე მიკარნახა, რომ ჩვენ როივენი ერთდაიგოვე რამით ვიყავით გატაცებული, რომ ჩვენნი გონების ძირითადი საზრუნავი სწორედ ეს იყო „რას უზამენ იმათ“ და ეს იმითომ კი არა, რომ ვინმეს ეცოდებოდა ისინი, უბრალოდ იმ დროს, როცა მთელი ჯარა მოქმედებს ბრძანებით, ბრძანებში ნათქვამია, რომ მოვეშალეთ, დილით გავიდეთ, ყველაზე მეტად ბუნებრივი იყო ბრძანების გარეშე დარჩენილ ადამიანებზე ფიქრი, ფიქრი იმ ხალხზე, რომლის ბედიც კანონით განსაზღვრული არ იყო. პლასტიურად შემოცურდა ჩვენს საუბარში სხვისი ხმები და ყველამ უნებურად დაიწყეთ ფიქრი, რას უზამენ იმ ხალხს, რომლის შემდგომი ბედის შესახებაც ბრძანება დილაბდეც ვერ მოვა. ის, რომ მათი წყევანა დილით თან არ შეიძლებოდა, ცხადი იყო. ჯარისკაცები ერთგვარად გამოცოცხლდნენ კიდევ; გამოიარულდნენ, დაიწყეს ცდა ერთმანეთზე უყეთესი გამოსაჯლის მოგონებისა. განსაკუთრებით ტელილობდა რამე მახვილი მოგონებინა ერთი დონბასელი მემალაროე, ისიც უკრაინელი, ის ყოველი ფრაზის შემდეგ, რომელიც თავისი მოსწრებულობით მოცილს იწვევდა, იქმავდა კეთს ახალი რამის მოგონებამდე და უშეწყისი სახით დადიოდა კუთხთან კუთხეში. რალაციარი თბილი განწყობა ჩამოვარდა მიწურში, რაც განპირობებულ იყო სხვა, უტხო ადამიანებზე ფიქრით.

დილით, როცა დაგვაწყეს დიდი გასასვლელისათვის ზურგისაკენ ისევე მოიძლია წვიმა, მაგრამ ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ სტიქიური მოკუნენებისათვის ყურადღების მიქცევას. პოლკის უფროსმა წაგვიკითხა დღის რეჟიმი, სადაც აღ-

**გუარამ რჩაულიძის მილი**

რულინი

ნიშნული იყო, რომ მოლატეების საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: ვინაიდან შტაბიდან მათ შესახებ არავითარი ბრძანება არ იყო მოსული, მეორე ათეული, ჩვენ, როგორც აღნიშნულია დღით ვიყავით დაკავებული, წაიყვანდა ბადრაგით პატიმრებს და ჩააბარებდა საფელში მღვარ შტაბს, ხოლო თითონ საღამოსათვის დაგვეწვოდა ტყის სამხრეთ ნაპირას — დაწვევის ადგილი ზუსტად იყო მითითებული.

მთელი ის დღე შეუსვენებელი ვიარეთ, და საღამოსათვის უკვე აღნიშნულ ადგილს მივუახლოვდით, იქ ჩვენ უკვე გველოდებოდა ბადრაგით გაყოლებული ათეული. ათმეთაურმა საღაც უპატაკა პოლკის უფროსს, ჩვენ მოხარული ვიყავით, რომ ვხედავდით მათ კარგად მყოფს და ცოცხლებს. დაიწყო ხმელი ჟღერის დანაწილება. ვიღაცა დაინტერესდა მათი დავლების შესრულებით, ყველანი ნათამაშებნი იყვნენ, რომ ასე კარგად აუვიდა ათეული რთულ ამოცანას. ბადრაგის უფროსმა მოყვა, რომ შტაბამდე მათი მიყვანა ვერ შესძლეს, რადგან მტერმა გზა მოუჭრა, გარშემო რაკალი ისე შევიწროვდა, რომ ტყვეებთან ერთად უკან გამოსვლა შეუძლებელი შეიქმნა „ავიღეთ და გავუშვიო ტყვეები“ — თქვა მან.

— А немца то этого, Мефистофеля, расстреляли — მხრები შეაქანა ახმახმა უკრაინელმა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ვახშამი თავდებოდა, ზვიკინა წვრილად ცრიადა და მთელ სხეულში იპარებოდა ნესტი, აღარავის არ სიამოვნებდა შესვენება, ისე რომ ყველას გაუხარდა, როცა გზის გასაგრძელებლად მწყობრში ჩადგომის ბრძანება გაისმა. უხმოდ გავუყევით გზას. გზა ის-ის იყო გაცდა ტყეს და ტრამალში გავიდა, ყრუდ, დაგუბებულად ისმოდა საღამოს ჩქემების მწყობრი რიტმი, ტრამალი ნელ-ნელა უმად ყლაპავდა ჩვენ ათეულს მთელ პოლკთან ერთად, შორს საღაც ისმოდა ყუმბარების აფეთქების ხმა. იღვა ჩვეულებრივი განწყობილება ომის დაწყების წინ და ჩვეულებრივზე ცოტა მეტი სიჩუმე, რომელსაც არავინ არ არღვევდა.

— Ну его и по делам, — თქვა ხმაშალა და მკვეთრად ამოძახებთ ვიღაცამ, როგორც ეტყობა დიდი ხნის ნაწვალები ფრაზა და უცებ თითქოს მთელმა პოლკმა ამოიქმინაო ისე მწყობრად, მსუბუქად და ოდნავ ხალისიანდაც კი გაისმა ჩქემების რიტმი, თითქოს რაღაცა დაგუბებული, გამოუვალი ზარი ყველამ გადაისროლა საღაც უკან. გაისმა ათმეთაურის ბრძანება და დამწყებმა ჯარისკაცმა წამოიწყო სამწყობრო სიმღერა ყველაფრის მამატიებელი და ყველაფრის შემცნობი.

და გრძელდებოდნენ ჩემთვის დაუმთავრებელი ომები, თვით ჩემი დაქრის დღემდე, შემდეგ კი მთელი ექვსი თვე ვიწეკი პოსპიტალში თაბაშირში ჩასმული, უმოძრაოდ და ერთად ერთი რითაც შემეძლო გავრთობილიყავი, ეს იყო ფიქრი, უფიქრელად კი მე არ შემეძლო, ფიქრი არის ჩემი მეგობარი და მტერი, ფიქრი არის თვით ადამიანი, ასე ვფიქრობდი მე მაშინ პოსპიტალში და ასე ვფიქრობ დღესაც აქ. მაშ გავუმარჯოს ფიქრს როგორც არ უნდა იყოლიგი ამ ლოზუნგის ქვეშ გავატარე ექვსი გრძელი თვე ზურგზე მწოლიარემ, თაბაშირში ჩასმულმა, პოსპიტალში და ფიქრს ჩემი მრავალნაირი, ზოგჯერ უქნაურიც კი იყო: როგორ შეიძლება ერთი ადამიანი გამოყო სხვებისაგან. უფრო კონკრეტულად მომიღოდა აზრის ფორმა რუსული ფრაზით, წინ მონაყოლი კონკრეტული ამბის შესახებ *расстрелять так всех вместе а то не одного*, სწორედ ეს, ყველა ერთად, ყველა ერთად, — დახვრეტავ თუ გაანთავისუფლებ აბსოლუტურად სულ ერთი იყო ჩემთვის, — მტანჯვდა მთელი ექვსი თვე და არ მასვენებდა არც ახლა.

მაგრამ ის შემთხვევა, რომ შეიძლებოდა გერმანელიც გაეშვათ მოლატეებთან ერთად, აშკარად მათზე ნაღებად დამნაშავე, როგორც პიროვნება, ან დაეხვრიტათ ისინიც იმ გერმანელთან ერთად — არ გამოდის ახლაც თავიდან, მე დღემდე ვერ ვიღვან, როგორ შეიძლო ასეთი უზარმაზარი უსამართლობა ჩედინათ ადამიანის ხელებს და თანაც, რაც ყველაზე შემზარავია, ის ადამიანები, რომელთაც ეს ჩაიდინეს, მე დარწმუნებული ვარ, არ იყვნენ ბოროტმოქმედები. მაშ რა ინსტინქტმა აიძულათ ისინი მოქცეოდნენ იმ ერთს ისე, როცა სხვები გაანთავისუფლეს, როცა თავისუფლად შეეძლოთ ის მეექვსეც გაეშვათ მათთან ერთად — მე არ შემეძლია ჩაწვდემ ამ საიდუმლოებას, არა იმიტომ რომ თითქოს ის არ მესმის. ვახსოვთ ადრე გაუსვი ხაზი მოლატეების ერთობას, ეროვნულ ერთობას, სულიერსაც, საღამოებთან ტყვეთა ბარაკში მომხდარი ამბების დროს, იმ ამბავსაც, რომ ის მაინც გერმანელი იყო, თავდაპირველი მტერი — ყველაფერი ეს სწორეა, ასეა — ოღონდ თუ არის ეს გამართლება? დაეუშვათ და ასეც არის, ამ ამბავს ამართლებს ომის დაუწერელი კანონი, მაგრამ შეიძლება ამ ამბის გამართლება, როცა წევხარ პოსპიტალში და არ გესმის ყუმბარის ხმაური, როცა ზიხარ სახლში და შენ სიცოცხლეს არ ემუქრება არავინ, მე ვარ ადამიანი ზედმეტად მგრძნობიარე, მით უმეტეს, სენტიმენტალური.



ვიმეორებ, მე შემედლო საკუთარი ზელებით და-  
მგზვრიცა ექვსივე ერთად, მხოლოდ ერთად,  
მაგრამ არ შემოდლა შევეურიგდე იმ ამბავს, რომ  
სადაც არიან ნაჯარისკაცები მოქალაქეები,  
ვინც ასე განაცალკევებს ადამიანები, სადაც  
არის ხალხი, ვინც აიძულა ადამიანის ბუნება  
ასე მოქცეულიყო, მე ვაპატივდები მას ბოროტ-  
მოქმედს, ბოროტს ბუნებით, მაგრამ ისინი იყ-  
ვნენ ჩვეულებრივი ჯარისკაცები, ხშირად სენ-  
ტიმენტალურობამდე მგრძნობიარენიც კი. ჯარ-  
გად მასხვს, როგორც ატარა ერთმა მათგანმა  
ფრთხილბედილი ჩიტი და როგორ დატოვა სა-  
კუთარი ხელით მისთვის გაკეთებულ ბუდეში და  
როგორ ეჩხუბებოდა მეორე „ამ ადგილზე ჩიტი  
შეიძლება კატამ ან მელამ შევამოსო“.

ერთი გაფიქრებითაც კი, რომ ის ადამიანები  
იყვნენ ჩვეულებრივი გულჩვილი ხალხი და მა-  
ინც გააკეთეს ეს, სისხლი მიჩერდება სხეულში  
და შიში მიპყრობს, მინდა მივეკრა ლოგინს, და  
არა ვნახო არავინ არასოდეს, ხოლო იმ დღის  
შემდეგ მე დავკარგე უნარი სხვებს ვუყურო  
თვალეში და იცით რატომ?

მე შეგპირდით და ყველაფერს ვიტყვი: ხში-  
რად, ძალიან ხშირად, უძილო ღამეებში ჰოსპი-  
ტალში წოლის დროს, მე ვეკითხებოდი ჩემ  
თავს — რას იზამდი შენ იქ, იმ ჯარისკაცების  
ადგილას იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ  
მეც ისევე მოვიქცეოდი.

მე ვამთავრებ ჩემ მონაყოლს ე. ი. ეს ამბავი  
იყო, რაც შეიძლება გადაუმხდარიყო ტანჯვის  
მძიმეებელი კაცისათვის ტრაგედიათ, მე ვეთანხ-  
მებით რომ ბევრი რამ არის მასში გაუგებარი,  
უცნაური, თუმცა შესაძლოა ის გაცილებით  
უფრო გასაგებია თქვენთვის, ვიდრე მე თითონ  
მესმის, ყოველ შემთხვევაში, ის რაც მე ჩემი  
ხელით არ მიქნია, მაინც არ ითვლება კაცობ-  
რიობის კანონით ჩემ დანაშაულად (ის მხოლოდ  
ცოდვად აწვება მას, თვითუღეს) ხოლო სხვისი  
ცოდვების ტარება მხრით, მე ვერ შეეძელი და  
აი ნაყოფი, ჩემი ხელით უდანაშაულო კაცის  
გაუმართლებელი მოკვლა, ნაყოფი ჩემი ახირე-  
ბული, არაფრით დასაბუთებული უცნაური  
ფიქრებისა, სამწუხარო დადასტურება, ისევე იმ  
კაცობრიობის კანონისა, მე ვიტყოდი მახინჯი  
დადასტურება, მაგრამ მაინც დადასტურება,  
რადგან იგი უკვე მოხდა და მისი ჩამდენი არ  
იყო გივი, კანონისა, რომ ვინც ჩაიდენს დანა-  
შაულს, ის აგებს პასუხს.

ხოლო ორი სიტყვა ზრდილობისათვის: მე  
დავამთავრე, ხოლო განსჯა თქვენი საქმეა და მე  
წინასწარ მივესალმები განაჩენს როგორც არ  
უნდა იყოს იგი...

ღმერთო ჩემო, საბოლოოდ მაქვს ჩემი სა-  
კუთარი დანაშაული, რომელსაც აღარ გავუყურო  
არავის, როგორც მე ფაქტიურად არ გამოყვეს  
იმათ თავისი დანაშაული...

**გურამი** — ჩვენ მოვისმინეთ შენი ნაამბობი  
იულონ!

**პატ. გურამი** — ჩვენ არ გავვიშვია არც ერთი  
სიტყვა!

**გურამი** — მე პირადად, ბევრი დრო მჭირ-  
დება, რომ მთლიანად შევიგრძნო შენი ნათ-  
ქვამი.

**ჯიშვარი** — უცნაურად ცხადი იყო ყველა-  
ფერი!

**ირაკლი** — ჰო, უცნაურად ცხადი.

**ჯიშვარი** — იმდენად ცხადი, რომ თითქოს  
ძალიან ახლო მომიტანეს თვალეზთან.

**ირაკლი** — მეც ვგეთი შეგრძნება მქონდა.

**ჯიშვარი** — ისე ახლოს, რომ თვალეზი  
დამივლამდა და ახლო ფოკუსი დაეკარგე.

**დიმი ბოზა** — ყველაფერი ცხადი იყო,  
კაცო, ოღონდ ვერ გავიგე...

**სულხანი** — არაფერი არ იყო მანდ გაუგე-  
ბარი, ყველაფერი იდო ხელისგულზე, სწორედ  
საშუალო მანძილი და მე უყურებდი ზვიდან.

**გიული** — სწორეს ამბობს სულხანი...

**რეზო** — საწყალი თეზიკო კი მკვდარია.  
იცით როგორ ცურაობდა ზღვაზე.

**გურამი** — სამწუხაროდ, მე მხოლოდ ცივ  
ფაქტს აღვნიშნავ — ვინც მოკვდა, უკვე იმდენ-  
ად საინტერესო აღარ არის, სამაგიეროდ ორ-  
ჯერ უფრო საინტერესო ხდება მკვლელი.

**ჯიშვარი** — ჰო, სამწუხარო ფაქტია.

**ირაკლი** — რა თქმა უნდა.

**სულხანი** — არა, არა და არა!

**გურამი** — რა არა, ჰა?

**სულხანი** — თქვენ არა სცემთ პატივს პი-  
როვნებას!

**რეზო** — პიროვნება მკვდარია და სჯობია  
მისი მთელი ამბის მოგონებით ან სიჩუმით  
სცემ პატივი.

**პატ. გურამი** — საწყალი თეზიკო!

**სულხანი** — ვიმეორებ, რომ არა!

**რეზო** — ა?

**ჯიშვარი** — რა არა?

**ირაკლი** — ჰო, თქვი, კაცო, რა არა, იქნება  
სწორე ხარ!

**სულხანი** — მე რაღაცნაირად მეტი პატივი  
მინდა ვცე მას.

**ჯიშვარი** — ჩვენ არ გვინდა?

**გურამ რეჟულიშვილი**  
იულონი



**სულხანი** — ნუ შევიბრებთ, მე მაგ ტონით არ მოთქვია.

**ჯიშვარი** — არც მიფიქრია ეგ, უბრალოდ შენ ისევ ის არ გამოვივინა.

**სულხანი** — მე?

**ჯიშვარი** — ჰო, შენ!

**სულხანი** — არ მესმის, რა არ გამოვივინა?

**გურამი** — უფრო მეტი პატივისცემა. თეზი-კომ ვააკეთა თავისი საქმე, თუ ამას საქმე ქვია, იმიტომ რომ მოკლეს...

**რეზო** — საწყალი ბიჭი!

**ირაკლი** — კარგი ტიპი იყო, ხო იცი?!

**გიული** — ტიპი იყო ხი, ხიკ...

**ირაკლი** — არა?

**გურამი** — ჩვენ კი იმის შესახებ ვერაფერი ვერ გავიგეთ, მართლა თითქოს იმიტომ მოვიდა აქ რომ მომკვდარიყო?

**სულხანი** — ყველაფერი ბურუსში გახვევა.

**ჯიშვარი** — აქ ყველაზე უკეთესი ყველაფერი, თითქოს გამოვიტანეთ გარეთ ჩვენი დარდები, ის კი მოკვდა უთქმელად...

**რეზო** — ვინ იცის, რა სათქმელი წაიღო თან, ეხ, ეხ..

**პატ. გურამი** — სამაგიეროდ ორჯერ მეტი გავიგეთ იულონის შესახებ, რომელსაც მკვლელობის შემთხვევაში ვერ გავიგებდით...

**სულხანი** — ა!

**გურამი** — არაფერი, მე ოდნავ მიხარია კიდევ რომ ერთის სიკვდილი დამეხმარა მეორეს, ხანაათის შეცნობაში, თავისი თავის სრულ ამოწურვაში...

**ირაკლი** — ეს უკვე რამეს ნიშნავს.

**სულხანი** — გაგიფიქრე თქვენი? გაგიფიქრე?

**გურამი** — არა, არ გავიფიქრე, უბრალოდ არ ავლევებულვართ.

**ჯიშვარი** — ო, მე თავებურ მეხვევა და აღარაფერი აღარ მესმის.

**რეზო** — რას ლაპარაკობ, გურამ!

**დიდი გოგა** — მეც ვიტყვი, კაცის სიკვდილის გახარება იქნება, კაცო?

**სულხანი** — გიხაროდეს კაცის სიკვდილი?!

**გურამი** — მე არ მეგონა, თუ ასე გავიცივრდებოდათ ეს ამბავი!

**ჯიშვარი** — რა ამბავი გურამ?!

**გურამი** — რომ მე ოდნავ მიხარია კაცის სიკვდილი.

**პატ. გურამი** — შენ მაგაში დარწმუნებული ხარ?

**სულხანი** — უფრო მეტიც, უფრო მეტიც...

**გურამი** — რა უფრო მეტიც?

**სულხანი** — შენ არა ხარ კარგი ადამიანი...

**გურამი** — სულხან ნუ ლეღავ, შენც გსიამოვნებს ცოტა ეს სიკვდილი არა?

**სულხანი** — მე?!

**ჯიშვარი** — მაგას არ ამბობ მართლს, მე მეგონი მაგაში...

**გურამი** — რა, შენ გგონია? მაგაში?

**ჯიშვარი** — შენ უკვე გადადიხარ...

**გურამი** — რაზე?

**სულხანი** — უსინდისობაზე, ჰო უსინდისობაზე!

**გურამი** — ო, მე ძალიან მიხარია.

**ირაკლი** — გიხარია?

**სულხანი** — რა გიხარია?!

**ჯიშვარი** — უკვე აღარ მესმის, რა გიხარია?!

**გურამი** — მიხარია, რომ უსინდისო მაინც ვარ...

**სულხანი** — შენ უსინდისოც არა ხარ, შენ..

**გურამი** — მე მეტი ვარ?

**სულხანი** — ჰო, ჰო, მეტი ხარ, მეტი, მე ვერ ვამბობ...

**რეზო** — ან რა არის სათქმელი... ეგ უგულობა!

**ირაკლი** — მართლა უგულობა!

**გურამი** — დღეს ჩემი დღესასწაულია!

**გიშვარი** — დღესასწაული?!

**გურამი** — რატომ გიცივრთ. რატომ ღელავთ ასე ძალიან?

**სულხანი** — შენ, შენ ქუჟაზე ხარ?

**გოგა** — მე? არა!

**სულხანი** — შენ, შენ გურამ!

**გურამი** — ისეთ ქუჟაზე ვარ, როგორც არასოდეს, როცა გიყურებთ ოდნავ მეძინება კიდევ.

**ჯიშვარი** — შენ შეურაცხყოფას გვაყენებ ყველას.

**გურამი** — აი ახლა, ასე თუ ისე, სწორი ფორმულირება მიეცით ჩემ სათქმელს.

**სულხანი** — იცი, მე ყოველთვის გულში ვფიქრობდი, რომ შენ ასეთი ხარ.

**გურამი** — საინტერესო აზრები გქონია დამარხული, აბა კიდევ გაუქმე, იქნებ იპოვო, რომ მე მოწოდებით მკვლელი ვარ.

**სულხანი** — შენ უსინდისო ხარ!

**გურამი** — რაც შეეხება მაგ მუხლს — მე მხოლოდ მწერალი ვარ, ამიტომ მიხარია კაცის სიკვდილი, მერე დააწერ მის შესახებ.

**ჯიშვარი** — შენ ტყუილი ხარ, გურამ!

**გურამი** — საიდან მოგივიდა თავში ასეთი უცნაური აზრი?

**სულხანი** — ასეთი ცივისხლიანობა ასეთ დროს, შენ რა უნდა დააწერო? მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენ ასეთი ხარ.

**გურამი** — შენ მწერალი ხარ არა? ხედავ რა ქვერტის უნარი გვაქვს მწერლებს, საკმარისია კაცი დანიანობ, რომ უკვე იცი რა კაცია, არა სულხან?

**სულხანი** — გურამ! ნუ გამოგყავარ მოთმინებიდან, მე ვერ ვაგებ ჩემ თავზე პასუხს!

**გურამი** — მე ყოველთვის ვითვალისწინებ მაგას შენთან ლაპარაკის დროს.

**გიული** — ხი, ხიკ.

**სულხანი** — შენ უსამართლო ხარ, გურამ!

**გურამი** — უსამართლო?

**გიული** — ხი, ხიკ.

**სულხანი** — ჰო, უსამართლო, უსამართლო!

**ჯიშვარი** — მე რომ შენ არ გიცნობდ

გურამ, ვიტყვი რომ მართლა უსინდისო ხარ!  
**ირაკლი** — ეგეთი შთაბეჭდილება.

**გურამი** — როგორი, ირაკლი, გენაცვალე?  
**გიული** — ხი, ხიკ.

**ირაკლი** — ჩემ პირადობასაც ეხები?  
**გურამი** — ო, როგორი ამყები ხართ, ახლო

არ უშვებთ კაცს თავის პირადობასთან, სკოლის  
დირექტორი რომ ვიყო, ქების სიგელს მოგცემ-  
დით.

**სულხანი** — ეგ შეურაცხყოფა!  
**გურამი** — აა? ვასაგებია!

**გიული** — ხი, ხიკ!  
**სულხანი** — შენ მოთმინებიდან გამოგყავართ

ჩვენ.

**გურამი** — ნუთუ არის მდგომარეობა, საიდა-  
ნაც ჩვენი გამოსვლა შეიძლება?

**ირაკლი** — კიდე კარგი იკადრე და ერთად  
გახსენე ყველა შენ თათან ერთად.

**გურამი** — ეგ არაფერი, შეღავათია თქვენ-  
თვის, იმის შემდეგ რაც უსინდისო დამოძახეთ.

**ირაკლი** — მე არა...  
**გიული** — ხი, ხიკ!

**გურამი** — ჰე, ჰე, ჰე გაგიხარდათ ყველას,  
რომ ჩემთან ერთად გახსენეთ, სულხანს უცებ

გაუხდა ჩემი მომხრობი სახე, ჯიმშერს კი,  
ჭკვიან ჯიმშერს გაორებული, ვითომ ვერ ამჩნევს

რომ ჩემ მხარეზე გადმოვიდა სიამოვნებით.

**ჯიშუარი** — მე, არა, იცი...  
**გურამი** — შენ წარმოიდგინე, ვიცო!

**სულხანი** — მე მართლა სულ ავირიე, დავი-  
ბენი, ბოდიში, აღარ მესმის, ვარდა ერთისა, რომ

შენ არა ხარ კარგი კაცი.

**გურამი** — ოო სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა,  
ღმერთს გეფიცებით, მე ეგ ცუდი კაცის სახელა

მსიამოვნებს, უფრო მეტიც, მე ეგ მამართლებს,  
ეგ ამართლებს ჩემ ახლანდელ მდგომარეობას!

**ირაკლი** — არა მგონია, ხო იცი...  
**გიული** — ხი, ხიკ!..

**გურამი** — ირაკლი, შენ ჭობია, საერთოდ.  
ხმა არ ამოიღო. მე მსიამოვნებს თქვენი გაბ-

რახება, შეურაცხყოფა, რადგან ასეთი შეურაც-  
ხყოფის შემდეგ უცებ გულში გიხარიათ, როცა

ჩემ მხარეს გახსენებთ და იცი თ რატომ? უბრა-  
ლად თქვენც ჩემსავით გეშინიათ იყო სინ-

დისიერები იქითკენ აი... ამიტომ არ მინდა მე  
თქვენ თვალში ვიყო კარგი კაცი და რაც ყვე-

ლზე საზიზარია, სამართლიანი და იგივე გინ-  
დათ ქვეშევნეულად ყველას რა, არა?

**სულხანი** — ჰო, არა, მე ვრჩები პატიოსან  
კაცად.

**გურამი** — და შენ არ გეშინია ეგეთი სახე-  
ლის?

**სულხანი** — ერთი წამითაც არა!  
**გურამი** — სულხან, არის ჩვენში ყველაზე

პატიოსანი ადამიანი! თქვით ყველამ!  
**გიული** — ხი, ხიკ!

**ჯიშუარი** — სულხანი ყველაზე პატიოსანი  
ადამიანია მართლა და რატომ, მაგან...

**ირაკლი** — მართლა პატიოსანი კაცია სულ-

ხანი, მე გურამის შანტაჟერ სიტყვას კი  
ვიმეორებ.

**დიდი ბოზა** — წმინდა კაცია და მორჩა. არ  
ეტყობა რომ ბავშვური გული აქვს? ყოველ  
სიტყვაზე იბნევა.

**რეზო** — ეგ დაბნევა ჭობია სულ სიმაოთ-  
ლის ლაპარაკს პირში.

**პატ. გურამი** — კრისტალური, გულუბრყვი-  
ლო და პატიოსანია!

**გურამი** — აი ჰეშმარიტება! შენ ხარ პატიო-  
სანი ადამიანი!

**სულხანი** — მამაკითე, კინალამ ფეხი არ  
წამოგვარი ცხედარს და იმიტომ წავებოძიციდი,

ღმერთო ჩემო, სიამოვნებით დაგახარობდი გუ-  
რამ, რა მართალი ხარ და მაგ სიმაოთლისთვის

სწორედ: როგორ შეიძლება იღვე აქ პატიოსან  
ადამიანს და უყურებდე ყველაფერ ამას არა!

არა! მე არა ვარ პატიოსანი, მე ვერ ვტარებ  
მაგ ტვირთს ზურგით, მე უსინდისო ვარ, მე

შენზე უსინდისო ვარ, ყველაზე უსინდისო...  
**გურამი** — სულხან, ნუ ვარდები მეორე უკი-

ღურესობაში და ნუ იძახი ყველაზე, მე ხომ  
გავიხუმრე და ვგავლიზიანეთ თქვენ, რომ დამე-

წყნარებინა ჩემი ნერვები...  
**ჯიშუარი** — ო, ეგ ბოროტი ხუმრობა!

**გურამი** — ბოროტი, ოღონდ მე განვიწმინ-  
დე და თქვენდამი უფრო კეთილი ვარ, ვიდრე

თქვენ ჩემდამი, მე როგორც უაღრესად ეგო-  
ისტს, ეს მდგომარეობა არაჩვეულებრივად მსი-

ამოვნებს.  
**სულხანი** — მე მინდა ვთქვა და აღარ შემი-

ძლია.

**ჯიშუარი** — შენ ჩვენ ჩიხში გვაყენებ.  
**ირაკლი** — ჩიხში გვაყენებს, ხო იცი...

**დიდი ბოზა** — საკუთარი თავი არა გაქვთ,  
მე როგორცა ვარ ისე ვდგევარ ყოველთვის.

**გურამი** — რომელი ხართ გულწრფელი? —  
მაგაზე არცერთი არ იტყვი თუარს, ვიცი —

თქვით ვარ თუ არა მე უსინდისო და საღდაც  
მკვლელის ჩამდენის ტოლა, თქვენ თვალში?

**სულხანი** — ხარ!  
**ირაკლი** — ხარ!

**ჯიშუარი** — ხარ და თითქოს არა ხარ და  
სულ სხვა ხარ!

**გურამი** — ასე მამაკითე, მე ისევ ბორო-  
ტად ვსარგებლობ თქვენი აღზნებით, უფრო

სწორად, გულუბრყვილობით.  
**სულხანი** — თანდათანობით სასარგებლო

ხდება!  
**ჯიშუარი** — ეგ არ არის პატიოსნება, ისარ-

გებლო მეგობრების ნდობით.  
**გურამი** — მეგობრების?

**ჯიშუარი** — რატომ გიკვირს, არა გვთელი  
მეგობრები?

**სულხანი** — ვასაგებია, ეგ არა გცემს პა-  
ტიეს, მაგას ეგ არ შეუძლია.

**გურამ რეაულიშვილი**  
იულონი

**გურამი** — პირიქით, მეტ პატივსა გცემთ, ვიდრე შეიძლება გეკუთვნით, მე მიწოდდა მეთქვა, ვიდრე თქვენსა მცემთ მე. თქვენ ჩემი ოღვა ვემშინათ. იმიტომ, რომ თქვენს ლოგიკურადა ვმსჯელობ — გულში კი ჩვენ ყველანი ერთნაირად პატიოსანი მართლები ვართ. მე რითი ვარ თქვენს პატიოსანი, იცით? მე არასოდეს არ ვაპატიებთ არაფერს მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი მეგობრები ხართ, არ ვეფერები მაგ სიტყვას (მეგობრობას), მე თქვენ არა ვთხოვთ იმსჯელოთ ჩემზე თქვენთან კავშირში და ჩემი მხრით არ ვლაპარაკობ თქვენზე, როგორც ჩემ მეგობრებზე, თქვენთან საქმე მაქვს, როგორც ცალკე ადამიანებთან.

**სულხანი** — აი ახლა... ეგ სწორი მიდგომაა.  
**გურამი** — ეგ მიდგომა კი არ არის, ეგ ეგრება და ვინც ეგვრ არ აკეთებს, ის მშინარაა.

**ჯიშვარი** — ჰო, მაგამოც სწორე ხარ, შენ ჩვენ აგვრებ, თორე ყველანი მაგ აზრისა ვიყავით.

**გურამი** — როგორ? მე ისევე ახალ შანტაქს მოვიწყობთ, უფრო სწორად, თქვენი დახმარებით შევეკამათები ჩემ თავს.

**სულხანი** — შენ სულ გამოგვეყვი ჩვენ.  
**გურამი** — პირიქით, თქვენ არსებობთ იმდენად, რამდენათაც მე ვმსჯელობ თქვენზე!  
**ირაკლი** — ეგ ფლოსოფია!

**გურამი** — ეს მე ვარ, აი თქვენ დარწმუნდით, რომ მე მშინარა არა ვარ და სიმართლეს პირდაპირ ვუყურებ თვალებში!

**ჯიშვარი** — ეგ სწორეა, მაგის... უნარი შენ ყველაზე მეტად გაქვს!

**გურამი** — აბა შეხედეთ მეორე მხრიდან, იქნება ეს ყველაზე მეტი, შიშია, რომ არ შემიძლია რაიმეც კი გაუგებარი დავტოვო ჩემ თავში. თქვენ იცით რომ მე მდევნის გაუთავებელი შიში რაღაცა ჩადენილი დანაშაულისთვის დამაგ შიშმა ქვეშეუცნობლად მიმიყვანა იქამდე, რომ აქ იულონის ვეფრდით ვამეყო დანაშაული და არა ვყოფილიყავი მისი მსაჯული — როგორც ეს როლები გაყოფის დროს ხდება.

**სულხანი** — ეგ სწორეა, ეგ შიში...  
**ჯიშვარი** — არ შემიძლია არ დავეთანხმო, სწორეა...

**ირაკლი** — ჰო!  
**გურამი** — ოი, თქვენ ან მეთანხმებით, ან არ მეთანხმებით, თან სწორეა ან არ არის სწორე, იცით? ამ ბოლომდე ვაგებხსივან, მე სინამდვილეში აღარაფერი არ მესმის და საერთოდ მიყვარს, რომ მსჯელობა შემიძლია, ოღონდ ამაში მაინც არ ვცდები, თუნდაც იმიტომ, რომ ყურს მივდებთ, რაც სულ არ მიეწერება თქვენ ზრდილობას... ერთი წამიც, ნუ აღელდებით, მე ვერ ბოლომდე არ მითქვამს, ნუ იჩქარებთ ან „არა“ თქვით და აყაყანდეთ, ან „ჰო“ და მოიწყებთ — თქვენ იცით, რომ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრი ან ამბავი შეიძლება ერთნაირად სწორი იყოს ადა-

მიანის შეგრძნებისათვის, და თვითუღლის სიწორის ფიზიკური შეგრძნება იმდენად მარტივად ასეთ დროს, რომ ყოველგვარი, საკუთარი თავიდან გამომდინარე ქეშმარიტი ლოგიკა საწინააღმდეგო ფიზიკური შეგრძნებისა, უსუსური ჩანს. აი, ზედათ, სულ ერთ სიტყვაში სამი სხვადასხვა რამე ვთქვი და ყოველი იმათგანი გამოდგება ქეშმარიტებად, სხვა, მათი საწინააღმდეგო რომ არ მოდიოდეს თავში. ამიტომ არის, რომ მარტო ადამიანს ვაკილებით კარგად ესმის ქეშმარიტება, ვიდრე მრავალმხრივად განვითარებულს. მაშ მოდით, სასამართლოს მსჯელობის დროს, ეცადეთ იფიქროთ მხოლოდ აზრის ლოგიკურ სისწორეზე — როგორც არ უნდა იყოს ის, მაინც ვერ გაეჭევა ქეშმარიტებას, ისეთს როგორსაც მაინც ვერ შევიტობს მას, ახლა კი მე ისევე მოსამართლე ვარ.

**რეზი** — როგორ შეიძლება მოსამართლე საქმის შედეგთან წინასწარ პესიმისტურად იყოს განმსჯელებული და თავს ძალით იღვწებდეს.

**პატ. გურამი** — პესიმისტი არ შეიძლება იყოს მოსამართლე.

**სულხანი** — არა, ეგ ოპტიმისტია, მე მივესალმები მაგის ოპტიმიზმს, რომელსაც ამდენი ლოგიკურად დასაბუთებული საწყისი აქვს, მე მყოფნის იმდენი ვეაქცობა, რომ პირადი ანგარიში გვერდზე გადავლო საქმის გარჩევისას, აი ეგვერ ოპტიმისტურად, რომელსაც არც ერთი წინააღმდეგობის არ ეშინია — გააჩნე გურამ საქმე.

**ჯიშვარი** — გურამი ოპტიმისტია როგორც მოქალაქე, ხოლო როგორც მსაჯული...

**სულხანი** — მაგაშიც ოპტიმისტია...  
**ირაკლი** — ჰო, ოპტიმისტია!

**გიგა** — საქმის გარჩევას ოპტიმიზმი რად უნდა?

**გურამი** — ეპ თქვენ, მე ყველას უნდა გავიწიოთ ანგარიში, საკადრისი ლანღვით მაინც, თქვენ კი ერთხელაც არ იფიქრეთ ჩემზე, ეს მაშინ, როცა თითქოს მე მხოლოდ ჩემ თავზე ვფიქრობ, თქვენ კი სხვებზე.

**ჯიშვარი** — რა, არ გინდა იყო მოსამართლე? მე ასე ვაგივებ.

**გურამი** — შენ გაიგე სწორად, მაგრამ არამე თუ არ მინდა — არ შემიძლია, მე არც ოპტიმისტი ვარ, არც პესიმისტი, უფრო სწორად მოკლებული ვარ რაიმე ასეთ გამოკვეთილ გრძნობას. მე ადამიანი ვარ ტენდენციების გარეშე, ხოლო მსაჯული წარმოუდგენელია უტენდენციოდ, ის უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ცალ მხრივ უფრო მეტად განვითარებული, რაც მის შეზღუდულ გონებას გამოყოფს, აიძულებს კონკრეტული საქმის შესახებ კონკრეტულითვე იმსჯელოს და გამოიტანოს საღდაც სულ ღრმად — ჩვენთვის შეუძნეველი, მაგრამ ყოველთვის წვერიმანობამდე, სწორი განაჩენი, სხვათაშორის, ამ თვისებით დაჯილდოებულა ყველაზე მივარდნილი უბნის მოსამართლეც, ისინი მა-



თემატიკური სიზუსტით საზღვრავენ ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულის ზომას, საზღვრავენ ყველგვარი ფსიქოლოგიური დაკვირვების გარეშე. მე კი როგორ შემოძლია ვიყო მსაჯული, როცა ჩემი თავი ერთი წამითაც კი არ მემორ ჩილება, ის მიძულდება ვალიზიან ხალხი, თქვენ, როცა ეს საკითრო არ არის და ჩემი ლოგიკურად თუ ფსიქოლოგიურად სწორი დაკვირვებებით წაივლდა სრულიად მცდარი მხარისკენ... მე უსუსური ვარ წვიმაში მოხვედრილი ჩიტვით, მე იულონის დანაშაულის შემესუბუქებაც კი ვერ შევძელი ჩემი ლაპარაკით და მის გამართლებას შევძლებ? ვახსოვდეთ, მოსამართლის ვალია არა დასჯა, არამედ გამართლება, რადგან სასჯელის სწორედ მიყენება ქვითავს მის დანაშაულს.

იულონ, ძმაო, მაპატიე, მე მინდოდა შენა დანაშაულის განაწილება ჩემ თავზე და ვერ შევძელი.

**იულონი** — ვერ შეძელი?  
**გურამი** — ჰო, ვერ შევძელი!  
**იულონი** — რა ვერ შეძელი?!  
**გურამი** — ვერ შევძელი თეზიოს მკვლელობის გადმოტანა ნაწილობრივ მაინც ჩემს თავზე... მე მხოლოდ ის ტრაგედია შენი და ყველასი აღვიქვი ჩემად და მაშინვე უკან დავიხიებ.

**იულონი** — ა!  
**ჯიშვარი** — ჩვენ ამ ამბებიდან გამოგვრჩა ყველაისთვის ყველაზე ძირითადი.  
**სულხანი** — ჩვენ გავერთეთ ჩვენი თავით და უკან დავგვრჩა იულონის ნათქვამი ე. ი. ეს არის გურამის დანაშაული.

**გურამი** — ეგ იყო ჩემი დანაშაული, მაგრამ ისე ამაღლევა იმ ამბავმა, რომ მომინდა რაიმე მსგავსი ჩამედინა, მე ვერ შევძელი მისი ზიდავა, როგორც ვერ შეძლო ის იულონმა.  
**სულხანი** — ასეთი აბსტრაქტული ტრაგედია არ ძალუძს ატაროს აღამიანმა მხრებით.

**ჯიშვარი** — და აღამიანი, იულონისთვის იძულებულია მატარებელი გახდეს საკუთარი კონკრეტული ტრაგედიისა.  
**გურამი** — ღმერთო ჩემო, მე კი მხოლოდ სასაცილო გავხდი, ყბედი და სასაცილო.  
**სულხანი** — მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ მაგას არ ამბობ იმიტომ, რომ განუგეშოთ.

**გურამი** — მე მზათა ვარ გადაგეცონო შენ შენი კარგაკაობისათვის.  
**სულხანი** — მოდი, გადაგეცნოთ, მე იცი რა გულუბრყვილო გული მაქვს, მე დიდხანს არ ვიმახსოვრებ გაბრაზებას.

**გურამი** — აი მაგ გულუბრყვილობისათვის გენაცავლე, სინამდვილეში, ხომ მხოლოდ იმისათვის ვთქვი ბოლო სიტყვები რომ თქვენ გენუგეშებინეთ, გეთქვათ, რომ მე არ გავხდი სასაცილო და ღმერთო ჩემო, როგორ უცებ დაიფანტნენ მთელი ჩემი სისწორეები.  
**გიული** — ხი, ხიკ!

**დიდი ბოზა** — ერთად ერთი სისწორე აქ

არის თეზიოს მოკვლა და ისიც იულონს ეკუთვნის.

**სულხანი** — ის გვეყუთვნის ჩვენ ყველას.

**დიდი ბოზა** — რამდენიც გინდათ ილაპარაკეთ, მაინც იულონმა მოკლა ის — ფაქტი! — გესმით?

**იულონი** — დიახ! დიახ! ეს მარტო ჩემი ტრაგედიაა და მას ვერ დაგანებებთ თქვენ, მე ვაგებ მასზე მხოლოდ პასუხს, გესმის გურამ, ყველა შენი ცდები ყურადღების ცენტრში ჩადგომისა, რომ ეს ამბავი გავეყო, ტყუილი იყო ტყუილი...

**სულხანი** — ნამდვილად ტყუილი.

**ირბალი** — ტყუილი.

**გიული** — ხი, ხიკ!

**გურამი** — ტყუილი? იცით რა არის ტყუილი? ახლა მართლს გეტყვით და დასვენა თქვენ თითონ გააკეთეთ.

**გიული** — ხი, ხიკ!

**გურამი** — ამას მე განგებ ვამბობ რუსულად, რადგან მიუხედავად თავისი გულგრილობისა, უცხო ენაზე ნათქვამი თითქოს ხაზს უსვამს, მაღლა აგდებს ან პირიქით დაბლა მყარად სვამს და გასაგებს ხდის აზრის საზღვრებს ყველთვის; ეპ ისევე ვიმართლებ თავს, რომ რუსულათა თქვეი, ისევე ის შიში რალაციანადმი, რომელიც მაიძულებს ბოლომდე ჩაეწვიე თითოეულ ფრაზას ჩემგან ნათქვამს ან ნაფიქრალს თითოეულ სიტყვას, რაც (როგორც ვაკვრიო აღწერიწნე) წარმოუდგენლად მაშორებს ძირითადი ცოდნისაგან, იმ ცოდნისაგან, რომელიც იცის ყველა რიგითმა აღამიანმა, რომელიც რალაციანური კანონზომიერებით აკეთებს, ამბობს, რაც მართლა გაუხარდება ე. ი. სიმართლეს და არასოდეს თავს არ იმართლებს (ამიტომ რომ არ აშავეებს) სად, სად შემოძლია მე მივიღო ეს ცოდნა, მე ხომ ნახვერად დაუშთავრებელი აღამიანი ვარ, დაბადებული უქმეშმარტოდ და ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, ვიპოვო ის მარტივი ჭეშმარიტება რაც, როგორც ვთქვი, იცის ყველა რიგითმა მუშაკმა... ეპ, მე ისევე გავერთე საკუთარი თავის ანალიზით.

**სულხანი** — ეგ ყველასი ჩვენი ტრაგედიაა.

**ჯიშვარი** — ჰო, სამწუხაროდ, მეტად თუ ნაკლებად...

**გურამი** — ვაპ მე, ოპ თქვენ ოლონდ დაეთანხმეთ კაცს, მომეწაპეთ ზედმეტი ჩემი თავის დამატებებით და მე თუ კიდე ესე თუ ისე თავს ვინარჩუნებ მხოლოდ იმიტომ, რომ შემოძლია დავცინოთ თქვენ, ისევე როგორც შემოძლია დავცინო ყველა ჩემ აზრებს და უცებ გავხლებ მხიარული, უცებ მომეშვას გულზე.  
**სულხანი** — აი ჩვენ ეგ არ შეგვიძლია, შენ ცოტა ზერადე ხარ.

**გურამი** — თქვენ, ერთად, შენ თავთან ერთად? თუმცა თქვენ მართლა ერთად ხართ,

**გურამი რჩაუღვირვილი**  
**იულონი**



თქვენი უბედურება კი ისაა, რომ არ შეგიძლიათ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, უფრო სწორად, არ შეგიძლიათ აღიქვათ, რომ გულზე მოშვებაც და მოწონაც ერთი და იგივე მდგომარეობაა.

**გიული** — ხი, ხიკ!  
**იულონი** — გურამ?  
**სულხანი** — გურამ, იულონი?  
**ირაკლი** — იულონი.

**ჯიშუარი** — სულ გადაგვაიწყა!  
**იულონი** — „სულ გადაგვაიწყა“ დაახ, სულ დაგვიწყდით, ყველანი გაერთეთ თქვენი თავით, მე ვუცდი დამნაშავეს განაჩენს და ვბრაზობ, როგორ შეგიძლიათ ამდენი ილაპარაკოთ თქვენ თავზე, როცა კაცის მკვლელობა, რომელმაც თავისი დანაშაული მთელი სიგრძე სიგანით იცის დგას თქვენ წინ, რომლებმაც დაიწყეს ის, მაგრამ მე არ მოგცემ ამის საშუალებას, დამივიწყეთ მე ჩემი ტრაგედიათ.

**რეზო** — იულონი სწორეა!  
**სულხანი** — მართალს ამბობს!  
**ჯიშუარი** — ჩვენ ახლა მართლა მასზე მეტად დამნაშავენი ვართ, მან კაცი მიიწ მოკლა, ჩვენ კი ცოცხალს ვაყენებთ შეურაცხვას.  
**გურამი** — ეგ მკვლელობა და ეგ უნდა ვაწყადდეს. თუნდაც მაგითა მაგის დანაშაულს არა აქვს შემსუბუქება.

**სულხანი** — როგორ შეგიძლია ასე ცივად იმსჯელო?

**გურამი** — გონებით!  
**იულონი** — თქვენ ისევე მივიწყებთ მე.  
**გურამი** — ნუ გეშინია, შენ შენი დარღობისთვის არ მოგცემს მოსვენებას.

**იულონი** — რომელი დარღობა?  
**ჯიშუარი** — რომ ერთთან ერთად არ აგებს საზოგადოება პასუხს.  
**გურამი** — შენ ამაში რწმუნდები, როცა ჩვენ შენ გვერდს გვივით.

**იულონი** — ხი, ხი, ხი მე ვიციანი, გესმით?  
**გიული** — ხი, ხიკ! გვესმის!  
**გურამი** — რატომ იცინი არ გვესმის, იქნება გინდა გავგაღიზიანო როგორც ეს გავაკეთე?

**იულონი** — შენ სწორე ხარ!  
**ჯიშუარი** — გინდა გავგაღიზიანო?  
**იულონი** — ჰო, მინდა გავაღიზიანოთ!  
**გურამი** — აღმინაო, რომელსაც აქვს ამდენი აბსტრაქტული ტრაგედია სხვა ვერ გააღიზიანებს, ჩემ მავალითზე ვიცო, თვითონ უფრო ეშლება ნერვები!

**იულონი** — რა აბსტრაქტული ტრაგედია?  
**გურამი** — როცა სხვებს ისევე არ ექცევიან, როგორც ერთს.

**იულონი** — აჰ ის ამბავი ბავარელის დახვრეტის შესახებ, რომელიც შეიძლება ტანჯვის მაძიებელი კაცისათვის იქცეს ტრაგედია?  
**ჯიშუარი** — რატომ იხსენებ შენი ცხოვრების ტრაგედიას ასე ზერელეთ, რომელიც საკუთარი თვალით ნახე და განიცადე?

**გურამი** — მაგას უნდა გავგაღიზიანო, მაგრამ აქ გამოცდილი ხალხია, ეს არ გამოგინდის!  
**იულონი** — არ გამოგინდის?

**დიდი ხოჯა** — აჰ!  
**სულხანი** — არავითარი შემთხვევაში!  
**იულონი** — რომ არ გამოგინდის ეგ ვიცი, მაგრამ რა არის გამოსასვლელი, ეგ არ მესმის.  
**რეზო** — ჩვენი გაღიზიანება, თ რა არის ეს იულონი.

**პატ. გურამი** — ვითომ არ იტანჯება იმ დარღობით.

**გიული** — ხი, ხიკ!  
**იულონი** — ბავარელის დახვრეტით ვიტანჯები? თქვენ რა, მართლა გეშინიათ რომ გავაღიზიანებო, ისე შორს იჭერთ ჩემ ცდას, არა? ჰო, იმ ბავარელის შესახებ კი ვიტყვი უბრალო სიმართლეს — ეს თვითონ გურამმაც იცის და რატომ დაივიწყა არ მესმის... მე ფრონტზე საერთოდ არ ვყოფილვარ, მე სულ ყოველთვის როგორც ავადმყოფი ზურგში ვიდექვი და პურის მოსაგავს ვიდებდი.

**გურამი** — აა, ახლა მაგონდება.. დედაშენი მიყვებოდა.

**სულხანი** — ღმერთებო... შენ რა, ტყუობი? ყველაფერი ტყუილი მოყვიე?

**ჯიშუარი** — ის ამბავი?.. იყო..  
**იულონი** — ის ამბავი მე არ მომსვლია, მე სანადირო თოფიც კი არ მისვრია არასოდეს.

**რეზო** — ჩაქოლვა უნდა მაგას!  
**სულხანი** — ჰო, ჰო, ჩაქოლვა მაგ მამაძალღს!

**იულონი** — რბილად ოდნავ, მე უფრო მეტს ვიტყვი!

**გიული** — აღარ ათქმევინოთ!

**სულხანი** — ა!

**გიული** — აღარ ათქმევინოთ!

**ირაკლი** — რა აღარ ვათქმევინოთ?

**იულონი** — არავფერი ისეთი.

**ირაკლი** — მართლა, აღარა თქვას არაფერი, ეგ ჩაქოლვის ღირსია!

**იულონი** — მაცაღეთ, მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ ეგ ისტორია მომიყენენ ექსპურსიის დროს, იცით ვინ მომიყვანა... გრიგოლაშვილმა — კინოსტუდიის დირექტორმა.

**ირაკლი** — ეს უკვე მეტისმეტია.

**სულხანი** — იულონი, ხალხის დაცინვა ყველაზე მეტი დანაშაულია!

**რეზო** — ეგ არ ჩავივლის ასე, საწყალო თეზიკო.

**პატ. გურამი** — რა ბიკი მოკლა, მერე ვინ?!

**გურამი** — იულონი, გეყოფა ხალხის გაღიზიანება!

**იულონი** — გაღიზიანება, არც მიცლია.

**ირაკლი** — არც უცლია...?!

**გურამი** — რას ნიშნავს შენი ტონი და იმის უარყოფა, რასაც მე გულში თითქოს ვამართლებ.

**იულონი** — თქვენ არ მაცდით და ისე ღე-



ლავთ! არ მითქვია, რომ ყველაფერი ის არ მო-  
ხდა, მაგრამ ის მე მომიყენენ... დიახ მომი-  
ყენენ!

**რეზო** — ვგ უნდა დახვრიტო!  
**იულონი** — ეჰ, თქვენ შეგეძლოთ მაინც კა-  
ცის დახვრეტა.

**ირაკლი** — თუ გადავწყვეტავთ, შეგვიძლია!  
**იულონი** — ცოცხლად დამარხვა, კი!

**გურამი** — აცალეთ იულონი!  
**იულონი** — სწორა, აცალეთ, როგორც გეუ-

ბნებოდით, მე მიდარდი ფანტაზია მაქვს და სიმა-  
რტოვისგან აღზნებული ნატვრა, ამიტომ ვახდა  
ჩემი მონაყოლი ჩემ ტრაგედიადა და ეს სარწმუ-  
ნოა, რადგან ჩემი სწორად მონაყოლი და არა  
თქვენი თვალთ ნახული იქცა გურამისათვის და  
თქვენითვისაც სინდისის ტრაგედიადა და ამ ტრა-  
გედიაში მისცა ერთი მიზანი თქვენს აზრს, ლაპა-  
რებს, მთავარი ის არის, რომ ის ამბავი საერ-  
ოდ იყო და არა ის, მე დამემართა პირადად თუ  
არა, თქვენ კი არც ცდილობთ გაგეგოთ, ისე  
აღუღლით ბავშვებით.

**სულხანი** — მართლა ისე მოგვივიდა...  
**ჯიშუარი** — რა მოგვივიდა „ისე“, აჲ იმ

ტრაგედიაზე აღარ არის სჯემე, არამედ თვითონ  
იულონი უნდა ვეძიოთ, მის ტონში.

**ირაკლი** — ჰო, მის ტონში უნდა ვეძებოთ.  
**გურამი** — ეჰ თქვენ (გვერდზე) მეც (იმით)

სწორედ იმიტომ რომ ორ გრძნობას, მოშვებას  
და მოწოდებას — ვერ აერთიანებთ, იმიტომ  
რომ არა გაქვთ უნარი დასცინოთ თქვნივე  
თავს, ყოველ ნაბიჯზე იზნევით სკოლები-  
ვით...

**სულხანი** — ღმერთო, საღდაც მიფერინავ,  
ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს მწყდ-  
ბი... მე პატიოსანი აღმადინე ვარ, გესმით...

**დიდი გოგა** — პატიოსნებას, შეეშვით კაცო,  
დამნაშავეს მიხედეთ!

**ჯიშუარი** — აჲ, ის ამბავი, რომელიც ფრო-  
ნტზე მოხდა...

**გურამი** — ის ამბავი შენ არ გესმის... არ ამ-  
ყვი... ის ამბავი მხოლოდ შეიძლება იგრძნო...

**იულონი** — რა ამბავია?  
**გურამი** — გერმანელის დახვრეტის...

**იულონი** — რომელიც მე მომიყენენ...?  
**გურამი** — ჰო, რომელიც შენ მოგიყენენ.

**იულონი** — ნუთუ შენც დაიბენი?  
**გურამი** — არ გესმის?

**იულონი** — არ გესმის?  
**სულხანი** — არ გვესმის!

**ჯიშუარი** — მე უარს ვამბობ სმენაზე!  
**ირაკლი** — აღარ უძლებს გონება ამდენ

არეულობას, ახლიდანა ვთქვათ. დავიწყეთ!

**იულონი** — ახლიდან? ხი, ხი, ხი, მე ვიცე  
თქვენ მზადა ხართ ახლიდან, ყველაფერი ახლი-  
დან დაიწყეთ, მაგრამ მე არ მოგცემთ ამის სა-  
შუალებას, მე კიდევ მაქვს ერთი სიურპრიზი  
თქვენთვის, გულშემატკივარი მისამართლები-  
სათვის მომზადებული.

**გურამი** — იულონი, ნუ სარგებლობ ჩენი  
მოთმინებით.

**იულონი** — ეგ თქვენივე სურვილია, მე რომ  
გავჩერდე თქვენ გაგიძლებთ!

**გურამი** — ხომ ხედავ, მიუხედავად შენი ამ-  
ხელა დანაშაულისა ასეთი გულისხმიერებით და  
ღმობიერებით გეძიევა ყველა.

**იულონი** — ღმობიერად და გულისხმიერად?  
**გურამი** — ნუთუ შენ თვითონ ვერა

გრძნობ?  
**იულონი** — მე ვერა ვგრძნობ?

**გურამი** — რატომ ლაპარაკობ გამომწვევად?  
**იულონი** — როგორ?! შენ გინდა რომ ლა-

ქუცი დავიწყო, თავის დამცირება მას შემდეგ,  
რაც კაცი მოვალე, უდანაშაულო კაცი და არა  
ენანობ ჩადენილ მკვლელობას, დიახ არა ვნა-  
ნობ...

**სულხანი** — არა ნანობ?  
**დიდი გოგა** — ეგ როგორ შე კაცო, მამ გი-

ხარია?  
**ჯიშუარი** — არ მესმის, არაფერი არ მესმის.

**ირაკლი** — მოლიანად გაუგებრობაში ვარ!  
**გურამი** — იულონი!

**იულონი** — რა იულონი ისევე ახლიდან, და-  
ვიწყო? სია-მოგ-ნე-ბი-თ, სიამოვნებით, მე  
სწორედ ახლიდან ვიწყებ, რა მოგივიდათ სად

გაქრა თქვენი არტისტულობა, დალოლი და  
მოწყვენილი სახეები გაქვთ, მე კი ეს-ეს არის  
ვაგრძელებ თქვენ დაწყებულ წარმოდგენას მე  
ამისი გულისათვის კაციც კი მოვალე, იცით  
რატომ მოვალე? რომ მქონოდა საკუთარი ტრა-  
გედია? — არა! გეტყვით, მე მიწოდებ მხოლოდ  
და მხოლოდ წამფეორსა და მეტი არაფერი.

**გურამი** — ბოროტად ტყუიობარ, იულონი!  
**პატ. გურამი** — ისეთი...

**სულხანი** — ბუნებრივი მკვლელობა იყო.  
**ირაკლი** — ნერვიულობისაგან კაცი აღარ

იყო.  
**იულონი** — ნერვიულობისაგან? აბა თქვენ

რა გეგონათ, მე ისევე და სულ ახლიდან ვიწყებ,  
აბა თქვენ რა გეგონათ, როცა უბრალო სიტყვის  
თქმისას არტისტულობისაგან აღზნებულ გიყე-  
ბსა გავლით, თვითონ გურამი არ ყვიროდა,  
ქვიანი ყველაზე, როგორც თვითონ იცის გულ-  
ში, ყვიროდა, გაშლილი, მალა აწეული ხელე-  
ბით: წერის დროს მე აი ასე მიწა ვიყვირო  
აუ, აუ უუუ... ბუსუსებმაკი და მამყარა, ისე-  
თი საზოგადო იყო ყველაფერი, თქვენ კი გუ-  
ლში გსიათმეგებლათ თქვენი ყალბი არტისტუ-  
ლობა.

**დიდი გოგა** — ცოტაა დაგრჩა სალაპარაკო  
იულონი!

**იულონი** — მით უფრო დიდი ვნებით ვილა-  
პარაკებ. იულონი კი იქდა კუთხეში და თამაშო-  
ბდა ვილაც საცოდავის როლს, რომელიც იმი-

**გურამი რამულიშვილი**

იულონი

ტომ შესთავაზეს მას, რომ თითონვე საცოდავი ვეჩვენებოდით — იულონი დიდი თავით, გაცვენილი თმებით, წვრილი კისრით და ვიწრო მონგრეული მხრებით.

**გუზამი** — გეყოფა იულონი!

**ბიული** — ხი, ხიკ!

**იულონი** — რა იულონი! ა! ხიხიკ ხი, გინდა ეგ სიტყვა უფრო ხმამაღლა იყვირო, სხვათაშორის მშვენიერი იქნებოდა ეგ სახელი ბერძნულ თეატრში, აბა საითათოდ დამიძახეთ თქვენებური ინტონაციით ყველა: იულონი!

**სულხანი** — იულონი!

**რამო** — იულონი!

**პატ. გუზამი** — იულონი!

**ბიბალი** — იულონი, კაცო, ხედავ?

**ბიული** — იულონი!

**დიდი ბოზა** — იულონი!

**გუზამი** — იულონი!!!

**იულონი** — ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰა, ჰა, ჰა, იულონი! ჰა, ჰა, ჰო, დიახ, მე ვარ იულონი... მე მეჩვენება, რომ ახლა ოდიშოს მეფესავით ვდგეკარ შუა სცენაზე, თქვენ კი გამოგიშვებოთ ხელები ჩემკენ და იძახით იულონი! იულონი! ეს წამი არის უმადლესი წერტილი ჩემი დამალული არტისტულობისა, მაშ იცოდეთ, ეს წამი, როცა მთელი ყურადღება ჩემზეა მომართული, ღირდა იმ ცოდვად, რაც მე ჩავიდინე და რომ შეიძლებოდეს ამ წამის გამეორება ახლიდან ჩავიდინდი იმ ცოდვას. ახლა მე შესმის ტორეადორისა, რომელიც, ჩემსავით დგას შუა არენაზე, მომზადებული უდანაშაულო მსხვერსპლის გასამირავად, ხოლო რაც უფრო დიდი, ალესილი რქები აქვს მსხვერპლს, რაც მეტია საფრთხე, მით უფრო დიდი იდებობის გრძნობა, მთელი ცირკი მისი სიცოცხლის ყოველ რისკს ბლავილით ხედება, და აი დგება წამი, როცა ის და ხარი სამარისებურ სიჩუმეში უახლოვდებიან ერთმანეთს, კაცის ხელი, რომელსაც იარაღი უჭირავს და ბრმა რქები! და ხდება ის! მკვლელობა! მთელი დარბაზი როგორც ერთი კაცი ამოიქშინებს და ბლავის; ყვირის ტორეადორი — ტო-რე-ა-დორ! მე შესმის ყურებში ამ ერთი წამის მთელი ყურადღების წამის დღესასწაულეობრივობა, ხმები იყოფიან, ერთდებან, ისევ იძახიან, იულონი! იულონი! აი. წამი ჩემს ცხოვრებაში საესე და უდიდესი, იდგე ყურადღების ცენტრში — ამითი მე ახლა ტოლი ვარ ტორეადორისა — ფიზიკურად ტოლი.

და თქვენ იცით — ამას მე ჩემი ხმით გეტყვით, ისევ არტისტული სხვაობისათვის — თუ დიდა ყურადღების ცენტრში დგომა ფიზიკურად, ორმაგად და ათმაგად დიდა იდგე ყურადღების ცენტრში აზრობრივად. დიახ! მე ისევ ვყვარებივარ, რადგანაც მინდა, რომ მე თვითონ შევიგრძნო ეს უდიდესი წამი შეგრძნებებისა, იცით თქვენ რა არის იდგე ყურადღების ცენტრში არა სხეულით, არამედ აზრით! — ეს არის ახლა იულონი! მან გააკეთა ის, რაც ვერ

შესძელით თქვენ, რაც ვერ შესძელით შენ, პიესის ავტორი — ეს არის იულონის, ვენება მისი ბოლო სიტყვა: არ არსებობს ვენება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ვენებათა შორის ყველაზე დიდი ვენება! ო ო ო... ხმა აღარ მყოფნის, ჩემად... იულონი...

**სულხანი** — იულონი ბიჭო!

**ჯიშხარი** — იულონი!!!

**გუზამი** — დემეტრო! აქ იმხელა ვნებები ტრიალებს, რომ ეს მკვლელობა ფორმლობისათვის რომ არ ყოფილიყო, რევიოლუციამეტი იქნებოდა.

**იულონი** — ჰო,

**გუზამი** — ა!

**იულონი** — ვთქვი თუ არა ყველაფერი ეს, მაშინვე ჩემში არტისტულობის შინაგანმა მიზიდულობამ ძალა დაკარგა და ყველაფერი ის მიმეჩვენა ტყუილად...

**გუზამი** — ძმაო იულონი...

**იულონი** — ძმაო? ნუთუ ისეთი კარგი როლი შეეასრულე, რომ თქვენ მოხარულები ხართ იყოთ ჩემი ძმები?

**ჯიშხარი** — მათ მაგიერ მე გეტყვი, შენა ხარ ჩვენი შენი ვნებებით.

**სულხანი** — ჩვენ არ შეგვიძლია გაგასამართლოთ შენ...

**იულონი** — არ შეგიძლიათ მომისაჯოთ სიკვდილი? თქვენ რა ამართლებთ ამ საზოგადოებრივ მკვლელობას? ნუთუ ჩემმა ასეთმა სიტყვებმა, ტყუილმა სიტყვებმა ასე იმოქმედა და ისევ გახლით არტისტები, ნუთუ ვერ შევძელი ზიზღი გამოიწვევია თქვენში, იმდენი მაინც რომ სიკვდილი მოგესაჯათ.

**გუზამი** — ჩვენ მკვლელობას არ ვამართლებთ, ჩვენ ვამართლებთ ცოცხლად დარჩენილის სიცოცხლეს.

**დიდი ბოზა** — ჩვენ აქ ყველანი ძმები ვართ, კაცო.

**ბიული** — ხი, ხიკ!

**სულხანი** — ყველაფრით ძმებ!

**ჯიშხარი** — თუ სხვაობა არის, მხოლოდ ის, რომ სხვადასხვა დედის შვილები ვართ...

**იულონი** — ძმებო, ბიჭებო, გამასამართლეთ, მომისაჯეთ... განა შეიძლება იმ კაცის გამართლება ვინც ასეთ ბიჭს მოკლავს, ძმაო თე...ხი...კო მე ვტირებვარ, ჰოო მე ვეღარ შევძელი ჩემი როლის ბოლომდე შესრულება. თუ ვინ იცის ეს ტი...არი...ლოცა თავის თავად როდია მე აბსოლუტურად აღარავფერო მესმის, მე მინდა მხოლოდ ვიტყვი შენს ცხედარზე...

**რამო** — თეზიკო ბიჭო ვის, ვის უნდოდა შენი სიკვდილი?

**პატ. გუზამი** — ვის ჰირდებოდა, საწყალო ბიჭო...

**გუზამი** — აი ვინ არის მთავარი დამნაშავე — ეს მე ვარ და მე ყველაზე მეტი ცრემლები მმართველს...



**იულონი** — შენ გმართებს ყველაზე მეტი ცრემლები, მე კი შენზე მეტს ვიტირებ...

**გურამი** — ძმო, თეზიკო, ძმო იულონი...

**ჯიშვარი** — ვის, ვის ჰირდებოდა ეს ცრემლები, ღმერთო ჩემო!

**გიული** — თითქოს ახლა მივხვდი, რომ თეზიკო მართლა მკვლარია.

**ბიშვანი** — ჩვენ დავილაღეთ, ჩვენ დავიცაღეთ!

**იულონი** — გთხოვთ, გემუდარებით მომისაჯეთ, მე მხოლოდ სიცოცხლის მეშინია ამ ქვეყანაზე, სიკვდილს კი არ ვიტყობ!

**დიდი ზოზა** — ეს ამბავი არ გამოვა! ჩვენ კული მოსამართლეები ვართ, მოგვიხდება შეტყობის ხელში გადაცემა!

**გურამი** — მხოლოდ იქა აქეთ ფორმები!

**სულხანი** — და რაც ყველაზე სამწუხაროა, იქ მიუსჯიან ნამდვილად სწორე განაჩენს!

**ბიშვანი** — ჩვენ ვტირივართ მის ცხედარზე!

**დიდი ზოზა** — მკვლელს კი გადაეცემა მთავრობის ხელში, რადგან ამ ამბის მიჩქმალვა შეუძლებელია!

(ფარდა)

**გურამი (ფარდის წინ)**

ეს პიესა მე დავწერე და ამ პიესის მსვლელობის დროს მოხდა მკვლელობა, ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი, წერაც, დადგმაც, მხოლოდ მოწყენილობისაგან იყო, მოწყენილობისაგან, რომელსაც არსად არ შეგაძლია გაქეცი.

მე ვიცი ამ ორჯიდან გარეთ ვაყვალს აზრი არა აქვს, რადგან თუ ერთ ოთახში ვერ ნახავ შენ ადგილს. მას ვერ ნახავ სულ, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღედაღამე თიელ მსოფლიოში დედამინიდან კი არსად არის გასაქცივი.

ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ეს პიესა მხოლოდ მოწყენილობის გულისხამის დავდგით?

ო. არა! აქ კიდევ არის სხვა რაღაცა და ის უნდა გავიგო. ახლა კი მე დავილაღე და ეს ერთად ერთი გზაა დროებით. გავექცე უველაფერს. ამ დამეს მე დავიძინებ. ღმერთო მომეცი უსიზმრო ძილი; გურამი! ნუ ტყუილხარ — მე მიყვარს ძილი სავსე სიზმრებით, საშინო, უცნაური სიზმრებით, მიუხედავად იმისა, რომ არსად ისეთი უმწეო არა ვარ, როგორც სიზმარში, შეიძლება სწორედ ამიტომაც მიყვარს ის. აქ ქვეშეცნეულად მრჩება შეგრძნება, რომ ყველაფერი რაც ძილში ხდება, მხოლოდ სიზმარია, მე უმძობროდა ვარ, მაშასადამე, ვიღაც სხვა აგებს სიზმრის შედეგზე პასუხს. ეს უნარი, დააბრალო სხვას რაიმე, რჩება ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის უდიდეს ნუგეშად, რომელიც, როგორც არ უნდა ვიცოდე, რომ სწორე არ არის, — ნუგეში მაინც არის! ჰო, სამწუხაროდ, ეს ასეა!

მაგრამ რა შუაშია აქ სიტუვა სამწუხაროდ? — ალბათ ისეც ნუგეშია — შეიძლება ყველაზე მეტიც, რომ გასაგები მრჩება არა რაიმე, არამედ ყველაფერი და სანამ შექენება ეს სურვილი რამის გაგებისა, მე ვერა, ვერ შეშვამს მოწყენილობა. დამე მშვიდობისა!

ყველაფერი ისეა, როგორც ძველთაგან მიღებული იყო თეატრში. ავტორი დგას თქვენ წინ და აკეთებს რევერანსს, დამშვიდობების რევერანსს და კიდევ ერთხელ გისურვებთ კარგ ძილს და კიდევ ერთხელ მისცემს თავს უფლებას გითხრათ თავისი ხანუყვარის აზრი: შესაძლებელია ყველაფერი ის იყო არაფრისათვის. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არაფრისათვის არაფერი არ არსებობს, თვით არასაქირო სიკვდილიც კი...

(ხმები ფარდის უკან)

**სულხანი** — ა!

**იულონი** — ააპ!

**ირაკლი** — ი!

**ჯიშვარი** — პო!

**ზოზა** — მშ!

**პატ. გურამი** — იო!

**რაზო** — ახლავე უცებ!

**გიული** — ხი, ხი!

(გურამი ფარდის წინიდან)

რაშია საქმე?

**იულონი** — როგორ თუ რაშია საქმე!

**გურამი** — თქვენ უკვე დამთავრდით და მო-

რაჩა, ახლა ფარდის უკან ხართ!

**იულონი** — თეზიკო?

**სულხანი** — თეზიკო?

**გურამი** — მაგას ხომ უკვე გამოუტანეთ განაჩენი, მთავრობას უნდა გადაეცეთ მისი მკვლელი!

**იულონი** — კი მაგრამ მოკლულისათვის ხომ

არ გვიკითხია?

**გურამი** — ახ, ხო!

**იულონი** — ვკითხობ!

**ბიშვანი** — ახლავე ვკითხოთ!

**გურამი** — კითხეთ მეტე, ააყანეთ!

**ბიშვანი** — შენა ხარ ავტორი, გაცოცხლება

შენი საქმეა, შენა კითხე!

**გურამი** — თეზიკო, გამოდი აქეთ!

**თეზიკო** — მოვდივარ!

**ბიშვანი** — ვაპ!

**თეზიკო** — გზას ვერ ვიგნებ!

**გურამი** — გაწიე ფარდა და გამოდი!

**თეზიკო** — მერე მკვლარსა აქვს შაგის უფ-

ლება?

**გურამი** — მე გაძლევ, უფლებას, მე ავტორი ვარ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული!

(თეზიკო გამოდის)

მე დიდხანს ლაპარაკი მიცვალებულგვთან არ მიყვარს იცოდე, რას ითხოვ მკვლელის სასჯელად?

**თეზიკო** — ისე არ ჩაეთვალოს ცხოვრებაში არაფერი, როგორც სიკვდილის შერე სიკვდილი აღარ ითვლება არაფრად...

**გუბანი** — შენთვის რას ითხოვ?

**თეზიკო** — სიცოცხლეს... სიცოცხლეს, ჩქარა, გესმით, თუ შეგიძლიათ...

**გუბანი** — რად გინდა მერე, არ გეშინია, რომ შენც არ ჩაგეთვალოს არაფერი? ცოცხალი მკვდარი რა სახაზავი იქნება?

**თეზიკო** — იყოს რაც უნდა იყოს, როგორც გინდათ, ოღონდ ცოცხალი ვიყო და სახარბოვლაზე ვეყოლო... გუბან მკვლავფერი შენს ხელშია...

**ბიზანი** — ყველაფერი შენ ხელშია, გააცოცხლე!

**გუბანი** — ვიცი, ძალიან გეწყინებათ ოღონდ არაფრად არ შემიძლია.

**ბიზანი** — რატომ?

**თეზიკო** — ა...

**გუბანი** — მაშინ პაერში ვრჩებით ჩვენ ყველანი, აბა თქვენ თვითონა თქვით, რა ტრაგედია იქნებოდა რომ კაცი არ მომკვდარიყო, ან ვინ დაიჭერება რომ ეს ტრაგედიაა? ის კი არა, თეზიკოც მეცოტავება ტრაგედისათვის, შეიძლება ეს ნაწარმოები დრამაში ჩამითვალონ, თქვენ თვითონა თქვით. სინამდვილეში იყო თუ არა ეს ტრაგედია?

**ბიზანი** — მეტი, მეტი იყო! მაგრამ მაინც გავატოვებოთ, იქნებ აღარ იყოს ტრაგედია საკვირის!

**გუბანი** — ეს სიკვდილი სისხლის გამოშვება და თქვენ უმაგისოდ ნახეთ რა იქნებოდა ნამდვილი ტრაგედია, რომელსაც ვერაინ ტრაგედის შერქმევასაც კი ვერ გაუბედავდა.

**თეზიკო** — მაშ, მე რა ვქნა?

**გუბანი** — შენ? არაფერი, შენ უკვე მკვდარი ხარ!

**თეზიკო** — ვისთვის? რისთვის? ვაი, ვაი, ვაი, გინახავთ თქვენ ადამიანი საკუთარ სიკვდილში მომტირალი?

**გუბანი** — გეყოფა, თეზიკო ტირილი, ის მართო პირისუფლის მართებს, მკვდარს სიკვდილი არ ეყოფა, რომ კიდევ არ იტიროს, წაიღი... შენ უნდა დაგასაფლაონ!

**თეზიკო** — კარგი... მივდივარ! (გადის)

**ბიზანი** — მიან გაიარა ჩვენ გვერდზე, წავიდა დასასაფლავებლად.

**გუბანი** — ისევ მარტო დავრჩი უმკვლროთ, უბიჭებოთ, უგმირებოთ, ისინი კულისებში დგანან და იცდიან, სანამ ისევ არ გამოვიძიხებდე... დაეუშვათ, უფრო დიდი ფარდა... (უშვებენ უფრო დიდ ფარდას) ერთი წამიც! (გამოდის უფრო დიდი ფარდის წინ) აი, მე გუბანი, ვდგევარ თქვენ წინ ნამდვილი გურამი, გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, სიყვარულით ყველაფრისადმი, არტისტული სიყვარულით, რომლის შეგრძნებაც ღმერთობამდე აღის, ის არის ყველაფრის გამგები, ყველაფრის მამატიბეული.

მე ვწლი ისევ ხელებს, მომანათეთ ნათურები — ჩემი ჩრდილი ეცემა უკანა ფარდას და აღის ჭერამდე, უფრო მაღლაც, მე უფრო ვწლი ხელებს გულუბრყვილო აშკარა არტისტული ბით და მზათა ვარ ჩავიტიო ჩემი გმირებიც, თქვენც, ჩემი თავიც და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე არტისტი ვარ, როგორც უცნაურად უნდა მოეჩვენოთ სცენაზე, მხოლოდ აქ დგომის დროს ყველაზე გულწრფელი ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ წვრილმანს.

ჩემი ხელები, ჩემი ჩრდილი იშლება სულ უფრო და უფრო დიდად, ის იტევს ყველაფერს და იხსნება მასში.

მე ვიცი, რა არის უდიდესი ყველა გრძნობათა შორის, ეს იცოდეთ თქვენც, ამიტომ მოხვედით თეატრში:

აი ჩემი აქ დგომის მაქსიმუმი: სცენაზე ყოფნა. ეს არის უდიდესი სიყვარული!

დასასრული

## ბოლოთქმა

გუბან რჩეულიშვილის შემოქმედებას ქართველი მკითხველი ჭერ კიდევ არ იცნობს სრულად. მის არქივში დაცული ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამოქვეყნებას ელოდება.

გუბან რჩეულიშვილის სამყარო გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვენ ვიცით, მისი შემოქმედების საზღვრები ბევრად უფრო ვრცელია. ყოველივე ამის დასადასტურებლად მარტო ეს პიესაც იკმარებს. აქ სრულიად ახლებურად ჩანს გუბან რჩეულიშვილის, როგორც მწერლის და პიროვნების დიდი სიფართოვე, მისი სულის სიმძლვე და გაჭანება, მისი დაუღეგარი, მშფოთვარე, ვნებანი. ვფიქრობ, ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის „ახსნილი“ ქართველი ადამიანის არტისტული ბუნება. მე არ ვიცი რამდენად სცენიურია ეს პიესა, მაგრამ იგი დიდი ინტერესით იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები. იქ იმდენი სერიოზული დაკვირვებაა ადამიანზე საერთოდ და იმდენი ორიგინალური მიგნება და წარმოჩენა ცხოვრების სხვადასხვა მოვლენისა, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ის პიესა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს არა მარტო გუბან რჩეულიშვილის შემოქმედებაში, არამედ უახლეს ქართულ ლიტერატურაში.

გუბან ბიზანიძე



# მაყვალა გონაშვილი

## ნატვრა

1.  
ფანჯრებს ბატისტის თეთრი  
ფარდები,  
იატაკებზე ხალიჩა ჭრელი.  
დუმს როიალი, კედელზე ხომლი  
და მოხატული იებით ჭერი.  
თითზე ალმასის მძიმე ბეჭედი,  
ოთახი სავსე ბროლით და ბოლით.  
სხვა რაღა უნდა ნეტავი დიაცს,  
რომ იყოს, მუდამ ერთგული ცოლი.  
მეკითხებიან —  
— სხვა რა გადარდებს? —  
დიდი სიჩუმე, ცხოვრება-თვლენა.  
ჩემი უიღბლო ბედნიერება  
ღმერთმა მას მისცეს, ვინც შური  
თვრება,  
სხვა რა მადარდებს? თეთრი  
მერცხალი  
ჩემს აივანზე აღარა ბუდობს  
და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს,  
ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.

2.  
ღმერთო, აკაციის ხედ მაქციე,  
ჩემი ტკივილები ეკლებად შემასხი,  
ჩემი სამკაულები — თეთრ-მტევანა  
ყვავილებად.  
ჩემი ლექსები მწვანე ფოთლებად  
ამიშრიალე.

ჩემი აუხდენელი სიზმრები  
რტოებზე ჩიტი-ჩიორებად  
ამიფრთხიალე  
და შუა ოთახში ამაფეთქე,  
როგორც ნაძვის ხე, ანდა ხე  
ნატვრისა.  
მოვა ჩემი საქმიანი ქმარი,  
სათვალეს შეიხსნის და გაოცდება...  
— რა უნდა აკაციის ხეს შუა  
ოთახში!  
ფარდებს ჩამოუშვებს, მეზობლებმა  
არ დამინახონ  
და არ დამცინონო,  
რტოსაც შემომამტვრევს, რომ  
დაიჯეროს  
ცხადია და არა სიზმარი.  
და შიშისაგან გაოფლილი თითებით  
აკრფეს ტელეფონის ნომერს.  
— ღმერთო, მაქციე აკაციის ხედ!

3.  
კაცი რომ წავა-წამოვა, ან ჭორს  
დატოვებს, ან სახელს,  
წყალი რომ წავა-წამოვა, დატოვებს  
მხოლოდ ქვიშას,  
მზე რომ ჩავა და ამოვა, ყვავილებს  
მოაფარდაგებს,  
ყავის ნალექზე მზე დამრჩა, ეს  
სიმარტოვეს ნიშნავს.

●  
თქვენ შემოხვედით და ქარებს  
ჩემსას,  
როგორც სიზმარმა მუხლი მოკვეთეთ.

ის კი, ვინც მართლაც მიღირდა  
ჩირად,  
გაშლილი ხელით, როგორც მოკეთე



მიკრავდა გულში, გამვლელ  
 გამომვლელს  
 აკრობდა ჩემი ღიმილი წრფელი,  
 თვალბუში სხივი მზედანანური,  
 გადამსხვრეული მკლავებზე წელი.  
 მე ვნებდებოდი და ამბორს ჩემსას  
 ერქვა მტრობა და შურისძიება,  
 და ნაფეხურზე ჩემი ცრემლები  
 ამოდოდნენ მზისფერ იებად.  
 მე უარგყავით, რადგან მიყვარდით,

დაგტოვეთ, რადგან უთქვენოდ  
 დღეს  
 არ ჰქონდა ფასი.  
 ტანთ გავიძარცვე დიბა-ატლასი,  
 ჩავიცვი ხამი ტილო და ფლასი.  
 ვერ დავივიწყე ვერასგზით მაინც,  
 თქვენი თვალბუშის სიღრმე და მწუხრი,  
 რადგან თქვენ ერთხელ შეჩერდით  
 ჩემთან  
 და ქარებს ჩემსას მოკვეთეთ მუხლი.

**ღეჴსა**


შეიმგლისფერებს ზეცა და ტანზე  
 უცებ მოიყრის ცეცხლის ყვავილებს,  
 ო, ამ სიჩუმის საშინელ ზმაურს  
 ვიცოდე ნეტავ, სხვაც თუ გაიგებს.  
 სხვასაც თუ სტანჯავს ღამის  
 სიფითრე  
 და მთვარის თეთრი, მკრთალი  
 ზენარი.  
 გამომაძევეს სიზმრის ქვეყნიდან  
 და უძილობით უნდა ვენამო.

ვერ დავიბანგე სული სიმღერით,  
 ვერ გავაბრუე ლექსის ჰაშიშით,  
 არა ყოფილა სხვა საუკუნე  
 ასე ცივი და ასე საშიში.  
 ისე ბევრია ახლა სათქმელი,  
 რომ უთქმელობა მღრღნის და  
 მადარდებს,  
 გავრბივარ... თუმცა ღამე ძალღივით  
 ფეხდაფეხ მომდევს განთიადამდე.

**და სიმარტოვის თეთრი გაღია...**

ის რა ნატვრაა, რის ასრულებაც  
 ადვილია და არც გეოცება,  
 ჩამოვარიგე დაღლილი გული  
 ნუგეშად, სითბოდ, სული —  
 ლოცვებად.  
 ცხოვრების ქოში მოვირგო მშვიდად,  
 სულ ადვილია ასე უგულოდ,  
 მეც შევეჩვიე სხვის გულგრილობას,  
 დამშვიდებული თვალთ ვუყურო.  
 მე რად მივდევდი გზებს გაუკვალავს,  
 შეხედეთ, როგორ გარბის ქუჩები,  
 თუ ისევ ძველი გზებით ვიარე,  
 ღვარძლსა და ქილიკს ვერ  
 გადვურჩები.  
 არადა კართან ძალღივით მიცდის  
 ეს მოჟღერიალე, ყალბი დიდება

აღარ ვაგროვებ ცრემლებს და ეკალს  
 არც სიმარტოვის შემეშინდება.  
 და ქმარი ჩემი, ჩემი მეუფე,  
 ჩემი პატრონი და მონა ჩემი,  
 იფიქრებს, რაა ქალის ოცნება,  
 როგორც ცხენისთვის თივა და ქერი.  
 თითზე შემაბამს აღმასის ბეჭედს  
 მეც მორჩილებით ვიქნები სავსე,  
 ღმერთმა სიმშვიდე მოგმადლოთ  
 ყველას,  
 ვინც მიყვარდით და ვინც  
 მტანჯუთ ასე.  
 გამახსენდებით, როგორც სიკვდილი,  
 როცა ქუჩაში წვიმს ან დარია,  
 ვიცი, მომელის ქალების შური  
 და სიმარტოვის თეთრი გაღია.





# ნიკლიდან „არხობის დილა“

## შენი ხმითა და ღიმილით

შენს ღიმილს ასხივებენ სოფლები,  
 შენს ღიმილს აელვებენ ქალაქები.  
 შენს ხმაზე მერცხლები მოფრენილან  
 და ჭერზე ბუდეებს ამაგრებენ.

შენი ხმით სახლის თუ ბუნაგისას  
 სვეტები დიდ თავხეცს იმაგრებენ...

ყმასა ცხოვრებაზე გულაყრილსა  
 მაშველი ღიმილი მიაგებე.

ტრფიალი დასტურით ადულაბე,  
 წყლულ დაჭრილს ღიმითვე  
 განუკურნე,  
 გოდების ღრუბელი გადუხაფრე,  
 იმედის სიმღერა დაუბრუნე.

## საუბარი მდინარე ასასთან

ნუ შეჩერდები,  
 ნუ შეყოვნდები,  
 სიმდოვრის სენით ნუ შედედდები, —  
 მონყურებული გელის კორდები,  
 ცადასაზიდი გიცდის კედლები...

სულზე მიუსწარ მწყურვალ ხრიოკებს  
 და თაკარაში გათანგულ კაცთა,  
 გვალვათა ბული დაანოკე, —  
 ეწერს აღირსე სიმწვანის განცდა.  
 ეგ შენი ვერცხლი ყანას გადაეც  
 და შენი ცეცხლი შეუგზნე ჰესებს,

იყავ სიკეთის მარად სათავე, —  
 ანათე, მოხან, თიბე და თესე...  
 კაცს მარად მხარში ედექ და ძმობდე,  
 აჯილდოვებდე ყველა უფლებით;  
 სიკეთეს გრძნობდე,  
 სიავეს გრძნობდე, —  
 იმოსებოდე მზით და ღრუბლებით...  
 ცათა ლაჟვარდი ზვირთად დაგედნოს,  
 ლაჟვარდისფერი თევზი აშენე...  
 სიზანტის სენი არ გადაგედოს —  
 ლურჯი ლოდები აშალაშინე...

## ის როდის იყო...

(მთიულური)

გიორგი წიკლაურს

ის როდის იყო,  
 ის როდის,  
 შენ რომ შაშხანას ისროდი? —  
 კლდეთა კოშკებზე ჯიხვებსა  
 სიკვდილ რო გაუმინოდი,  
 არხოტის ჭიუხებშია  
 ჭექა-ქუხილად ისმოდი...  
 და იქვე, სადმე კლდის ეხში  
 სისხლიან ნადიმს იზმოდი.

მაგგონდის სატრფოს ღალატი, —  
 კაეშნით დაინისლოდი  
 და მონადირულ კოცონთან  
 გათენებამდე ფჩიზლობდი.  
 ხვალ გამიმარჯვებს განგება: —  
 სულ სიზმარ-სიზმარ მისნობდი.  
 ცხოვრება არცთუ ისეა  
 შენ როგორც მაშინ იცნობდი.

აღარც შენა ხარ...  
ამ ქვეყანაზე  
ბევრი რამ დამრჩა თვალების გაღმა...  
გაფრენილია ყველა ლამაზი,  
ხანდახან ხელი ეხება ჩახმახს...  
მე მარტო შევრჩი ფიქრებს  
ამაზრზენს, —

ზოგი ჩაინვა  
და ზოგი ჩახმა...  
ერთი გამიქრა აღმა სავალზე,  
სხვა კი მდინარეს დაუყვა ჩაღმა...  
რა დარდი დამაქვს  
ამ ქვეყანაზე  
რომ ვუთხრა,  
როგორ გაიგოს ხალხმა?!

**ბროუნოვი — მდინარე ასასთან**

როგორ დაღლილხარ, ჩემო ძმაო,  
თვალები წმინდა აგმღვრევია...  
დაზანტებულხარ...  
უმოძრაოს  
არწივნი ღარ დაგმღვრიან...

დამწვა მე მასთან დაცილებამ,  
დარდის ბარდნარმა გადამთქერა...

ვიყავით არხოტს ყმაწვილები, —  
არხოტმა გვშვა და გვაჩანჩქერა...

ხოლო სიყმილი ვერ ჩაბუგა  
სიშორემ — მთები კიდევ მშია...  
იქ, მახსოვს, იყავ მზეჭაბუკი,  
დაბერებულხარ მინდვრებშია.


მას არ დაურჩა დაუხატველი,  
არც მეგვიპტელი,  
არც ხატაელი...

ძმობა უკვდავი,  
ძმობა ნამდვილი —  
ტარიელ,  
ფრიდონ და ავთანდილი.

გაცვდა და მახვილს ტარი ელევა —  
სხვა ვინ მოიხმარს ტარიელივით.

მძლე ერის გულის ძგერა ძალუმი —  
რუსთველი —  
სიბრძნე და სიყვარული...

სად არის სხვაგან მზის ათინათი,  
როგორც ნესტან,  
ვითარც თინათინ,



# თენგიზ ჩხაიძე

## პირველი მასწავლებელი

(ლირიკული ეპიუმი)

რბ მშვიდი კვირა დილა გამოერევა ხოლ-  
მე ზოგჯერ. ჭერ ისევ ძილ-ღვიძილში ხარ,  
წევხარ შენთვის ტბილად გარინდებული, ფი-  
ჭრი არ გიშფოთებს გონებას, არსად მიგეჭქა-  
რება, წამოსახტომი არა ხარ ლოგინიდან. იყა-  
ვი ერთხანს ასე და ინებიერე, ინანავე ოცნე-  
ბის ფრთებზე. მოულოდნელად საკვირველი  
სიცხადით აღდგება, რაც გულის ხსოვნას შე-  
მოუწახავს, ის სანტარო განცდა დაგეუფემი-  
ბა, საკუთარ თავთან დაბრუნება რომ ჰქვია...

ის კვირა დილაც სწორედ ამგვარი იყო.  
გონება გამოიფხიზლდა, მგვრამ თვალი არ გა-  
მიხელია. ისევ ის ვიწქეი გაუჩიებული. გუნება  
დაწმენდილი მქონდა. ტანში რაღაცნაირ სასია-  
მოვნო სიმსუბუქეს ვგრძნობდი, ირგვლივ სიწყ-  
ნარე სუფევდა, არსაიდან ჩქამი არ ისმოდა.  
სანუკვარ მუუდროებას დაესადგურებინა. რა-  
ღაც ტბილი მოგონება, გადავიწყებული და  
ნავლწყაროილი, თავისთავად გაცოცხლდა. თვი-  
თონვე ვგრძნობდი, როგორ დამთამაშებდა პირ-  
ზე ნეტარების ღიმი. თვალი თუმცა დახუჭუ-  
ლი მქონდა, ყველაფერს ცხადზე უცხადესად  
ვხედავდი, ისე ცინცხლად შევიგრძნობდი, თი-  
ტქოს ყოველივეს ახლა, აი, ამ წამს განვიც-  
დიო...

მორჩა, დავამთავრე სკოლა, ჩავაბარე მე-  
თერთმეტე კლასის გამოცდები. დამიდაც ეს  
ნანიანატრი დღე. უკან დარჩა გამოსაშვები  
საღამოს გნიასიცი; ჩაცხრა, ჩაწყნარდა ის პირ-  
ვანდელი ურიაბული და ვწივარ ახლა შინ  
მარტო, თბილისში გამგზავრების დღის მომ-  
ლოდინე, რაც უფრო ახლოვდება ეს დღე,  
მით უფრო მატულობს გულის ჩქროლვა და  
მდღეღარება. იმ დიდსა და ხალას სიხარულს,  
იმ განუსაზღვრელი თავისუფლებისა და ხელ-  
ფეხგახსნილობის გრძნობას, რაც სკოლის  
დამთავრებისას განიცადე, თანდათან შეერ-  
წყმის ფარული წუხილა და სევდა, სწორედ  
ისე, ხალისიან, მჩქეფარე მუსიკას რომ შე-  
ენაცვლება ხოლმე ნაღვლიანი ჰანგის უღერა.

რა იყო, რატომ მოგძაღებია წუხილი? ხომ  
მიადწიე შენსას, ფუჭად ხომ არ ჩაუვლია ამ-  
დენი წლის გულმოდგინებასა და რუდუნებას,  
გზა ხსნილი გაქვესო, შეიძლება ითქვას: აბა,  
სულ ახლოს ხარ უკვე სანუკვარ მიწანთან,  
ერთი ეგ გასაუბრებაც და... აბა, გაიხსენე, რა  
ძნელი და ილაჭგამწყვეტი გზა გამოიარე ამ  
უფლების მოსაპოვებლად. რა სიმწრის ოფლი  
გდენია, რა ნებისყოფის დაძაბვა დაგვირდა,  
რამდენჯერ სულ პატარა, ერთი ბეწო სიამოვნებაზე  
უარი გითქვამს. ერთი ბეწოს ვამბობ,  
თუმცა შენ იმ დროს, ვინ იცის, რად გაღი-  
და. აგერ, მოხვედი სკოლიდან, დაღლილ-და-  
ქანცული მოხვედი. თავი გაბრუებული გაქვს  
ქვხი გაკვეთილის შემდეგ. ნეტა დაგასვენა  
ახლა, პატარა შენს გემოზე გამყოფა. ოჰ, რო-  
გორ გინდა, ცოტა გადახალისდე. ჭერ ისევ  
თბილი, მზიანი სექტემბრის დღეები დგას.  
ჩაირბინე ეგერ, პლაჟზე, გაიბანავე ზღვაში;  
სასიამოვნოდ მოთენთილი ამოხვალ ნაპირზე,  
წამოგორდები თბილ სილაზე. გემრიელად  
გაუჩრდები. მაგრამ რისი ზღვა და რისი ბანაო-  
ბა დღეს იმდენი საშეცადინო გაქვს. საქმელს  
შეჭამ და წაისვენებ თუ არა, მაშინვე გაკვი-  
თილებს უნდა ჩაუჭდე. დგახარ ამ აუცილებ-  
ლობის წინაშე და უცბე ნებისყოფა გიმტყუ-  
ნებს, გრძნობ, რაღაც გორგალი გაწვება უშლ-  
ში, ღამის სიმწრის ცრემლები წამოგვივ-  
დეს. აბა, აბა! — თავს დროზე აილაშავე, —  
ნერვებს მიხედე გლახაკო! უნდა დაჭდე და  
იმეცადინო, ასეა საქირო და ასე იწამ კა-  
დეს.

ანდა შენს მავიდას უზიხარ აგერ, ჭერ  
ისევ მეზთემკლასელი ბიჭუკელა ხარ. წინ  
ისტორიის სახელმძღვანელო გიძვეს გაშლი-  
ლი და იმას ჩასცქერო. უეცრივე ეღენე დე-  
ილას, შენი კარის მეზობლის, წუნარი ძახილი  
მოგებმის: მოდი აგერ ჩვენთან, ცოტა დაის-  
ვენეო. გეძახის იმ დედაშვილური კილოთი,  
რასაც მისი მომართვისას თითქმის მუდამ



უამს გრძნობ. თავს სწრაფად აიღებ და ღია ფანჯარასთან შედარი, საერთო დერეფანში გაიხედავ. იქ, დერეფანში, კედელთან მიდგმულ მაგიდას, ეღვინე დიდასთან ერთად კიდევ ორი მეზობლის ქალი უზის ვაიზე, ჭუნტ ღამინდის არჩევენი სოფელში იყო ეღვინე დიდა წახული და იქიდან ჩამოიტანდა ჭუნტ სიმინდს. ახალა სწვდება უფრო ფურჩინის ჩუმი, საამური შრიალი. სხედან ღამაზად, თან ტაროს არჩევნე, თან წყნარად ჭუჭუპებდა. ნეტა თუ იციან, რა ბედნიერნი არიან რა სარობს, შენც იმათ გვერდით იჯდე, ნება-ნება აჩრვდე სიმინდს და თან სურნელს იუნოსავდე ნედლი ტაროსი, ფურჩინას. რა თავში იხილი ახლა ამ პელაგონის ომს. მაგრამ შეუყუამანებაც ვერ მოასწარი, ისე მოსწყდა ენას უარი, და თქვი თუ არა უარი, მამინე უცნაური ტკბობა იგრძენი, რა არის, თავს უფერო, სურვილის დაძლევა შევძელიო. ამ ტკბობას სიამაყის გრძნობა გაერთა: აქი ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინე.

განსაკუთრებით მაკუდუნებელი ორშაბათი დღეა. ამ დღეს ეკრანებზე ახალ ფილმს უჩვენებენ. აჩვენებ იტალიური სურათი — „დაბრუნდი სორენტოში“ ვადის. მერე ვინ თამაშობს... ზინო ბეი... შოი, ბიკო, რას გაიხარებდი, რა აღტაცების წუთებს იგეგმებდი შინი ხილვითა და მოსმენით! დღესვე კისრისტინო გაიქცოდა სანაპივად. მაგრამ, კარგად იცი, როგორმე უნდა გამოკვირადღებდე და შენც გულისხმევით ელოდები კვირადღის დადგომას. ტკბილად გიკვნესის გული ამ სოცნებო კვირადღის მოლოდინში. ეს მოლოდინი განიებებს ძალას, იღუმალ გაგულიანებს, ზიუტად ეზიდებოდ შენ უოველდღიური მოვალეობის ტვირთი. ზოლო ძალასა და მხნეობას უფერაფერზე უფრო მეტად გამოტეხს ერთი დიდი, უცვლელი, მუდმივი მოლოდინი, რაიც ზოგჯერ, ფიქრისას, ხილულ ხატადაც იქცევა. ეს ხატია უნივერსიტეტის თეორი, სათნო, კრძალულები აღმშრელი კედლები. ის გამოტეხს სტიმულს და გამოტეხობას გინარჩუნებს მათთან, როცა არც კი ფიქრობ მასზე, ისე, როგორც დამაშვრალი მთამსვლელი არ ფიქრობს, არ სცალია იფიქროს, რა გამოყოფილებას მოჰგვრის წყერზე ასვლა, რადგან მთლად გაუცაცებულა, კიდევ ერთი მეტრი როგორ დავძლიო, კიდევ ერთი მეტრით როგორ ავიმადლოო, ოღონდ ცოდნით კი იცი, ამ შთის თავზე რომ მოვექცევი, ერთს ლაღად ამოვისუნთქავ და მთელი ჩემი გარჯა და წვალება ამაღლიახაც ეღვრებაო... აი, დგახარ კიდევ იმ თეთრი შენობის ზღურბლზე. ერთი ნახიჯის გადადგმა გინდა, ერთი ნახიჯისა... გულს კი სევდა შეჰპარვია. არც საღმე წასვლის ხალხი გაქვს, ვერც წიგნს გაჰკარებინარ. მიკედები დერეფანში ღია ფანჯარასთან, ფიქრით მოცული, მოწყვნილი დიდხანს გაჰყურებ სივრცეს. პირდაპირ

მოჩანს ლურჯი უღვის უბე, ცაც ლურჯად კრიალებს. ქუჩა თითქმის გაუცაცრიელებულა დღის მზეზე, აქა-იქ თუ მოჰკრავ გამწვანდ-გამომწვანდელს თვალს. შეუმჩნევლად მინებებისარ აქა-იქ თითქმის უცხო მარტოობის გრძნობას. ან ვინ გეგულდება, კაცმა რომ თქვას, გულით ახლობელი ახლომახლო? მამა დიდი ხანია, აღარ არის. ეს ორი წელია, აღარც დედა. მამინაცვალი გულკეთილი კაცია, ვერ დაემდურები, რაც მართალია, მართალია. თუ რამ აქვს, შენთვის არ ენახება. ოღონდ თავისი ატარა სამყოფა სემოფარგულელი, ბერის არ მოეთხოვება. დღისით — სამსახური, საღამოთი — ამორჩეული კაფე, საღაც ფინჯან შავ ყავას შეეკცევა თავისივე ყაიდის ძმაცაცებთან ერთად, მასლათში ატარებს დროს. ამხანაგები არიან და, ყველას თავისი გასაჭირი ადგას, ვინ სად მიმოტანდა... თუ თავ-თავის კუთხეში მიყუ-უულა, საკუთარი საფიქრალი და საზრუნავიც ჰყოფნით. შენც ძალაუნებურად ფიქრს მისცემინახარ: რა იქნება, რა გელის? ზოგჯერ იგვენეული ფიქრი ჩავითრევს — იცი კი, რისი ცოდნაც გმართებს? მეტიანებულად მოიმედე ხომ არა ხარ შენი თავის? აბა, რა იცი... აქა-იქ... რაღაც... ეფემერულად... არაფერიც არ იცი! არაფერიც არ იცი! რეკავს გონებაში. კი, მაგრამ გამოცდაზე გასვლის წინაც ხომ გეგონა ზოლმე, არაფერი მახსოვს, არაფერი ვიციო. გასვლისას კი უმასხუნებდი, არცთუ ურიგოდ უმასხუნებდი. ამ იმედს ებღაუბებდი, ამითღა ინ-უგებებდი ცოტათი თავს...

დღის დღიდანვე ცხელა, სული მეზუთება. ჰო, რა ბული და აპანაქება იქნება ახლა თბილისში ერთ ადგილზე ვერ ვისვენებ, ვწრიალებ ოთახსა და დერეფანს შუა, როგორც ვალიაში გამოშვადებული. ვნებავ, დერეფნის კარში ეღვინე დიდა შემოდის (ეტყუაო, შესვენებისას გამოსულა), შოდის ნელი ნახიჯით, სახეზე მეტად სერიოზული იერი ადევს. რომ გამისწორდება, მოკლედ, რაღაც იღუმალი ხმით მეტუნება: — ნუკრი, — შინაურულ სახელს მეძახის, — ქვევით ჩადი, სამინისტროს დერეფანში.

ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი, არა, ვერ მოვისაზრე დაბნეულმა. თან ისეთი განსაკუთრებული გამომეტყველება ჰქონდა, სახე ცოტათი ასტეკოვდა კიდევ. მიიხარა და ჩაიარა, არ შეჩერებულა; არადა, იშვიათად ჩაივლიდა ისე, ერთი-ორი სიტყვა არ ეთქვა, არ გამხმრებოდა.

ანგარიშმოცემილად, გავმართე კარისაკენ, თან გუნებაში ვფიქრობ, რა უნდა იყოს? ქვემოთ, მეოთხე სართული, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უკავია: მათი დერეფნის ბოლოა აქეთ, ჩვენს მხარეს, უკანა ელსაკენ გამოდის. ჩავიარე თხუთმეტოდე საფეხური, ჩავიდი ვიწრო კიბის ბაქანზე და დერეფანში შე-

ვდგი ფეხი. ეს ვინ დამსხდარან აქ!.. ვისა ვხედ-  
ავს! ჩემი მასწავლებლები.. ჩემი რუსულის  
მასწავლებლები... მარი ციციშვილი და ნონა  
ტონოიანი. რამ გაახსენათ ჩემი თავი, ან ამ გა-  
განია სიტყვით აქ რამ მოიყვანათ? ხალა, მოყ-  
რძალეული შეხვედრა. მომიხვევს გვერდით,  
სკამზე, მეღაპარაკებთან თბილად, გულითადად.

მარი ციციშვილი მეტყობს კლასში მასწავლი-  
და, ნონა ტონოიანი — შეათვ-მეთვრთვითეტი,  
მის ხელში დავამთავრე სკოლა.

ახლა აგერ სხედან ორივენი. ზოგ რამეს მე-  
ციხთხიან. რა თქმა უნდა, აინტერესებთ, ხალ  
ვპირებს შესვლას, როცა ჩემს პასუხს ისმენენ,  
ნონა ტონოიანი თითქოს თავისთვის, როგორც  
თავისთავად ნაგულსხმვევ რამეს, ისე უბრალოდ  
ამოხვას — მაშ, პროფესორი გახდებით. ჩანს,  
აზრადაც არ მოსდის, რა ხდება ახლ ჩემს სუ-  
ლში. პროფესორობა კი არაა, ნეტა ერთი  
სტუდენტი ვაშხადა. გულის ხიდრმეში სირცხ-  
ვილხა ვგრძნობ, ასეთი წარმოდგენა რომ აქვს  
ჩემზე, მე კი ამისთანა უსუსრული ვარ. მაქვს კი  
უფლები, დავეცე სულთი. უმწეოდ ვგრძნობდ  
თავს, როცა აგერ მკაცრი ნონა ტონოიანი სხვა-  
გვარი შეხედულებისა უფილდა? ადრინდელი  
იმედნულობას მეთისმეტი გულგატეხილობა  
ხომ არ მოხუა?...

ისე აღგენ წასასვლილად, ერთი გატყლარ-  
კული ფრაზა არ ვამოურევიათ, არ გაუღმეშ-  
რებიათ მათი მოსვლით მოგვრელი სიხარული;  
არავითარი „ფრაზა“, არავითარი ოციცილობა:  
„აბა, შენ იცი!“ „არ შეგვარცხვილი!“ და მის-  
თანანი. ზევით, შინ ამობრძანებულიყავით-მეო-  
ქი, — ნავიანევად შეეპატივე, — თუმცა მე-  
უხერხულეობა იმ ჩემს ხალხადვ ოთახში მათ  
მეუფავა — მაგრამ არა ქნეს. წახვლისას კი...  
წახვლისას საჩუქარი მიმდენს. რა მაჩუქეს? რა  
და... არა, არა, სჭოხს, არ გითხრათ. თქმით,  
კონკრეტული ნივთის დასახელებით, ვაითუ  
დაკნინდეს საჩუქრის ფასი. არადა, იმ უბრა-  
ლო საჩუქარს განა რაიმე ფასი აქვდადებოდა?  
განა ის მართლა ნივთი, საჩუქარი იყო? განა  
საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ განუსაზღვრე-  
ლად უფრო დიდ რამეს წარმოადგენდა ჩემთ-  
ვის?..

თქვენ, მარი მასწავლებელო, და თქვენც, პა-  
ტივემულო ნონა, თუ იცით, რამოდენა მადლი-  
ერების გრძნობა დახადეთ თქვენი აღზრდი-  
ლის გულში. ვაგლახ, მე რით გადაგისადეთ  
სამაგიერო? ვერაფრით, სრულიად ვერაფრით.  
ოლონდ ნუ იფიქრებთ, ნუ, ნუ იფიქრებთ, იმ  
თქვენი გულის სითბოს კვალი არ დაეჩინოს,  
პირწმინდად გამქარალიყოს... თუ პაწაწკინტელა  
სიკეთ და სიწმინდე მაინც შეტრენია თქვენს  
აღზრდილს, თუ ცხოვრების გამოცდისას სიგ-  
ლახის ცდუნებას გასძალანებია, თუ შეტრ-  
ვიების უახსი ფარული შემწეობა უგრძნვია, იყო-  
დეთ, ეს თქვენი და თქვენაირების წყალობი-

თაც მომხდარა. მარი მასწავლებელო, თქვენ,  
ვაგივე, ჩვენ შორის აღარა ხართ, მაგრამ, თქვენ,  
ცოცხალს, ახლა ისე გელაპარაკებით; მჭერა,  
არის წუთები, როცა სული სულს ეხმანება  
დროის მიერ გათხრილი შავი უსუსრულის მიუ-  
ხედვად; მჭერა, ამ წუთს გესმით ჩემი გულის  
დადაისი. ბევრი კარგი გაკეთილი ჩავტარე-  
ბიათ ორივეს, მაგრამ, თუ არ მიწუნეთ, გიტყ-  
ვით, რომ ის სულ ბოლო, თქვენი ერთობლივ-  
ად ჩატარებული გაკეთილი, ჩვეულებრივ გა-  
კეთილზე უფრო ხანმოკლე, უველაზე მშვენი-  
ერი გახლდათ. უველაზე მშვენიერი და დაუვი-  
წყარი!

თვალი ავახილე, მაგრამ ის ტკბილი გარინდე-  
ბა არ დამრდევდვია. გონებაც კვლავინდებურად  
საოცრად დაწმენდილი, ხალხის მქონდა. ისევე  
ისე გაღურსული ვიწქეტი, გაუტოკებლად.  
თავისთავად ამოვიხიდა იმ აღამიანის სახე,  
თავისთავად მოპუვა წარსულის ცოცხალ მდი-  
ნარებას, იოლად და მკაფიოზე მკაფიოდ აღდა-  
დიდი ხნის გარდასული.

ნუთუ შემეძლო მეფიქრა, ის ყოველივე გან-  
ქარდა უკვე, ნისლში შთაინთქაო?

ნუთუ მართლა მეგონა, უგულო დროს თავისი  
გატანოს და დამეიწყებოდეს ის აღამიანი, საუ-  
მულამოდ დამშორებოდეს?

ნატა ქინქლაძე, ჩემი პირველი მასწავლებელი!  
ისეთი ხიბლი აქვს ამ სახელსა და გვარს  
ჩემს თვალში, პატარა ბავშვივით გულუბრყვი-  
ლოდ მგონია, განა ვინ იქნება იმისთანა, არ გა-  
ეგონოს, არ იცოდეს, ვინ არის ეს აღამიანი.  
ნატა ქინქლაძე!

ვიცი, წესისამებრ, ნატოს უნდა ვწერდე; ვცა-  
დი კიდევ, ასე დამეწერა, მაგრამ ვერ შევძელი.  
ვერა, ვერ შემიძლია თუნდ ერთი ასოც, ვერ  
შევხებოვარ ამ სახელს, თითქოს საკრალური რამ  
არისო, თითქოს ოდნავი ხელშეხებითაც მკრებე-  
ლურ რამეს ჩავიდნო. პირველად დედისაგან  
ვაგიგონე ეს გვარ-სახელი. ჭერ სკოლაში არ  
წაუყვანე, ჭერ თვლით არ შენახა ჩემი მასწა-  
ვლებელი, მაგრამ უკვე ვგრძნობდი ამ სახელის  
მიზნოდველ ძალას.

— ნატა ქინქლაძე გეყოლება მასწავლებლად,  
— მკაყოფილება, ჩუმი სიხარული ემჩნევა  
დედაჩემს, როცა ამას მეუბნება ეს-ეს არის სკო-  
ლიდან მობრუნებული. თხოვნა, ხეწნა დასჭი-  
რებია, რომ მის კლასში მივედებინებინო (ეტ-  
ყუნა, ცოტა დაგვიანებით მოუხუდა სკოლაში  
მისვლა, როცა ჩგუფი შეხვებული იყო უკვე).  
იქ დამსწრე ერთ მასწავლებელს ეთქვა, რა არ-  
ის, უველა რომ იმას ითხოვს, შვილი ქინქლა-

თენგიზ ჩხარტიანი  
პირველი მასწავლებელი



მის კლასში ჩამირიცხეთო, თაფლი ხომ არ სცხია ამ ქალსო.

ვერ ვამხელ, თორემ გულში როდი მიხარია სკოლაში წასვლა. მოსწყდებოდა ბაღურ გართობას, შენს გემოზე ყოფნას და თავი ამოჰყო უცხო გარემოში, მოექცე ჩარჩოებში, შეგეზღუდოს სილაღე გუნებას მიშხამავს ამის გაფიქრება. და თითქმის ერთადერთი, რაც ცოტათი მაინც მიკეთებს გულს, იმ ჭრეთ უცნობი ადამიანის სახელია, რომელიც უკვე სახამოვნოდ ჩაენმის ყურს, რომლის წარმოთქმისასაც ჩუმი, ალალი სიხარული დაეტყო დედას, სიხარული, რაიც ამგვარ იშვიათ ხილად ჰქცევია მასაც და უამრავ სხვასაც ამ გაცხარებული ომიანობის დროს, სიხარული, რაიც მომგვარა, იქნება, პირადად მისთვისაც უცნობმა ამ ადამიანმა, იმიტომ, რომ აქ, რაიონში, სადაც მამაჩემის ნაფუ უძარს მოვასურეთ ქალაქიდან, მეზობლებთან გარდა ცოტა ვინმეს თუ იცნობს დედაჩემი.

მაგრამ დედის სიკეთეს, ჩემთვის რომ გაისარჯა, მაშინ უფრო ვაფასებ, როცა სულ მალე, უკვე პირველკლასელი ბიჭი, სკოლის ეზოში გვერდით ჩავუვლი 1-ბ კლასის მასწავლებელს და ჩუმად გავაპარებ თვალებს მისკენ. მალეუად ვსინჯავ. ახლავა მეუფლება ნამდვილი მადლიერების გრძნობა დედისადმი. მართლაცადა, რა შეშველებოდა, ამ ქალის ხელში რომ მოვხვედრილიყავ. ერთი ნახე, რანაირია აწოწილი. ქუში პირისახე. დაწვისთავებზე ლაქასავით ატყვიანი სინთით, ტურჩემით შავი მერხლის უღვაში, ნიკაპზე — ბაღისს ღერები. ზედვე ეტყობა, ავი ვინმე იქნება. თუმცადა, ვხვდები თუ არა, რაჩიგ უხეირო, უღირს გრძნობას წამოვაცოფინე თავი ჩემს გულში, რაჩიგ დავამციორე და გავანადგურე ეს ქალი ტუთიღებრალოდ, მარტოოდენ შესახედაობით აღძრულ შთაბეჭდილებებს გამო, იმავე წამს სადღაც, გულის კუნძულში იმასაც ვგრძნობ, რომ, ვინცობაა მისი მოსწავლე ვყოფილიყავ, ყოველნაირად ვეცდებოდი, სწავლითაც და ქვევითაც მომეგო მისი გული, თავი შემეფყარებინა, ხოლო თუ ამას მივალწყდებ, მაშინ ხომ თვითონვე გადასხვადებდოდა, სულ სხვაგვარი გამოჩნდებოდა ჩემს თვალში.

პირველი გაკეთილი. ვწივარ ამ უცხო გარემოში, ამდენ უცნობ ბავშვს შორის მარტოდ დარჩენილი და გულგახეთქილი, მაგრამ ჩემდა შეუმჩინებლად თანდათან ვწყნარდები; მაწყნარებს ეს ატმოსფერო, — თუმცა ახლა ამას ვერ ვხვდები — აქ, კლასში რომ დავხებულა. ჭრ მხოლოდ ვგრძნობ, გაცნობიერებული კი არა მაქვს, რომ ეს რადაცნაირი მუდრო ატმოსფერო ავერ ამ ქალის, დედადან ჩემი მასწავლებლის, წყალობით გამეფებულა. არიან ადამიანები, ირგვლივ სიმშვიდეს, სიმჟღეროვებს რომ განფრთხენ; მათ გვერდით რადაც გუნებობრად გრძნობ თავს. ეს მალე ბუნებით დაწყობილია.

მივჩერებოვარ ამ ადამიანს, ყურს ვაბრუნებ მის აუჩქარებელ, მკაფიო, ხმადაბალ ლაპარაკს და აფორიაქებული გული ნელ-ნელა დგება საგულზე.

ახე, შუახნის ქალია, საშუალოზე მაღალი, ცოტა ტანსრული. უკან გადავარცხნილი, გადატკეცილი თმა გვერდებზე შევერცხლია. მთელი მისი არსებობაცაა მოდის ეს რადაც უხილავი, თილისმური ძალი. მაგრამ მეტადრე სახე იცატებს გულისყურს, სახის სათნო იერი. ჰო, კიდევ ხმა; ხმის კილო. საიდანღაც გულის სიღრმიდან მოედინება, განა ყელოდან ამოდის, ეს მისი სიღბოგარეული, მოაღერსე ხმა.

აი, ის წინა მერხთან, შუა ალაგას დგას. „დედაენა“ გაუშლია და წინ დართულ ნახატებს გვიჩვენებს, თან მიხებური მოხალბუნე ჰმით გვეკითხება, ან, ვინ ამოწერს, რა ხატია ამ სურათზეო. მარტვი სურათებია. ავერ, ბიჭები სახანოდ მიეშურებიან მდინარეზე. ავერ კიდევ თევზაობენ. ამის აღწერა რა ძნელი რამ არის. მაგრამ გახედვა არ გინდა თითის აწევა ვერ გადაგიწყვეტია. ამასობაში ერთი უკვე უახსუბებს წინა მერხიდან, მერე მეორედ დგება სახალბუნოდ. იღბლიანნი. მათ უკვე ერგოთ ნატა მასწავლებლის პირველი თბილი სიტყვა. არადა, მის ქებას ხომ სულ სხვანაირი ფასი აქვს. როცა გაქებს, პასუხს გიწონებს, ზედვე ეტყობა, ამას ხელოვნურად, მოვალეობის კარნახით კი არ აკეთებს, უბრალოდ, თავის გულწრფელ გრძნობას გამოხატავს. ქება კი ძუნელი იცის, გაუწვიადებელი, ხაზგაუსმელი, არც ფამილარობა და, ვთქვათ, თავზე ხელის გადასმა სჩვევია ნიშნად მოფერებისა. მეტწილად აღერსიან შემოხედვას ან აღერსიან კილოს სჭერდება; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს შემოხედვაც და ეს კილოც ესოდენ წრფელი, ესოდენ ბუნებრივია, განსაკუთრებით გვევირფხავება. მერე და მერე უფრო საოცარი რამის მოწმეც ვხვდები. ეს არის მისი ღიმილი. როცა ვისიმე უნარი, სიყოჩად მომეტებულ კმაყოფილებას მომგვარის, გაიღიმებს ხოლმე. გაღიმებისას მთელ სახეზე რადაც არაჩვეულებრივი ნათელი ეფინება. თვალები ამ დროს ოდნე ეტუტება (განა უფუფუნდება), საკვირველი ძალის მქონე, მომწუსხვეული შუქით უსხვოსნდება, შიგ რადაც ელვა-ციალი ირევა. თუ ბედმა წყალობა მოგანიჭა და, ეს ღიმილი შენც გეღერსა, უფრო დიდი ბედნიერება რადა გინდა, თავს სწორედ რომ მეტყობ ცაზე დაიგულდებ.

როგორა ხარ მოწადინებული და გაბეჭითბული, ყველაფერი სწორედ ისე ვაკეთო, ისე შესარული, როგორც ამას შენი მასწავლებელი ითხოვს მავ, მოსწავლემ ხელები უკან უნდა შემოიწყოს და ისე უნდა იჯდეს ვაკეთილზე? კეთილი და პატოსიანი. ამ წესს ბეჭითად ახრულდებ. არა, წუთითაც არ გავიწყდება, რომ არ შეიძლება უმიზეზოდ ხელი მერხზე

დალო. საკვირველია სწორედ, ხანდახან ზოგს როგორ გადასცილდება გულზე ეს ამბავი და შენიშვნას იღებს. რაკი ნატა მასწავლებლის ნება უნდა შეასრულო, უკან ხელეზღმეოწყობილი გაუშინებლად და გამართულად ქაღალის თითქმის გაუჭირვებელი იტან. ის კი რა, რაღაცნაირ სიტუაციასაც გრძნობს.

ჩვენი აღმზრდელი წრდილობის, ქვეყნის წინებს გვასწავლის, გავრჩებებს. სხვათა შორის, გვეუბნება: ყოველთვის, როცა მასწავლებელს შეხვდებით, უნდა მიესალმოთ. მეც ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებ მის ამ დავიგებას. შესვენებისას კბეზე ავბობავარ. ვხედავ, ნატა მასწავლებლის იმპოლი, უმაღლეს ნაბიჯს ვაწვდებდა, როცა გავუპირდაპირდები, მთელი მოკრძალებით, მთელი გულმოდგინებით ვესალმები: ხალაში, პატვიცემულო მასწავლებელიო იგი თავს მიკრავს და ქვევით მიუყვება. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ძირს, ეზოში ჩავრბივარ (ცოტა უკვე გავშინაურდისავით და საკუთარი სითამამის გამოჩენით თუ ვარ ატაცებული). ნატა ქინქლაძე ახლა ზევით ამოდის. მეც ვჩერდები და ისევ ისეთი მონდომებით, ისეთივე მოწინებით ვესალმები: ხალაში, პატვიცემულო მასწავლებელიო თავს კი მიკრავს, მაგრამ თვითონაც ჩერდება და — ნუგზარ, — მეუბნება (ღმერთო, რა სასამოვანოა მის ზავთაგან შენი სახელის გაგონება), ნუგზარ, ერთხელ ხომ მომესალმე უკვირ.

კიდევ კარგი, ასეთი აღერხიანი ხმა აქვს, ასეთი ტკბილი ქალია, თორემ ხომ მთლად წამოხდებოდა ნირი ამგვარი შენიშვნის გამგონენს. თანდათან მე ჩემს ადგილს ვიკავებ ნატა მასწავლებლის თვალში. თანდათან გარკვეული წარმოდგენა ექმნება ჩემზე. ვუფროხილდები ამ წარმოდგენას. არ მინდა შეეცვალოს. აწ ხომ — ამას უკვე კარგად ვგრძნობ — ჩემი ცხოვრების სხხარული თუ სედავ ბევრად აბის დამოკიდებული იმაზე, თუ რა თვალით შემხედავს იგი. რაც გამეწყობა, ვცდილობ, ფასი არ დავკარგო ნატა მასწავლებლის თვალში. ხოლო თუ შემთხვევით ისე მოხდა, ამ მხრივ რაიმე საფრთხე შემექმნა, მაშინ...

სწორედ შემთხვევით მოხდა, რომ არითმეტიკის საშუალო დავალების რვეული შინ დამჩრჩენის. გულმავიწყობა არა მჩვევია და ეს რა ღმერთი გამიწყრა დავალება შევასრული, რვეულის ჩანთაში ჩადება კი აღარ მომელონდა. ჩამოიჭრა ნატა მასწავლებელმა მერხებთან, ყველას წინ უდევს გამოყვანილი მაგალითით. მე კი... მე დავიკითხე თანაკლასელი ბიჭი ამ სპაგელად ღელეში აღმოვჩინდი. „დავალბა შესრულებული გვაქვსო, ამბობთ, — ჩვენ ორს მოგვმართავს. — კეთილი, წადით და მოიტანეთ. ოღონდ იცოდეთ, ახლა არ დააპირეთ დაწერა. ვიცო, რა დრო დაგვირდებოთ მოსახანად“.

მაშ, შეგვიძლია რვეული მოვიტანოთ? მაშ,

ნატა მასწავლებელი იმის საშუალებას გვაძლევს, ჩვენი სიმართლე დავუმტკიცოთ? თუ ეჭვი კი ეპარება? კარგი, აბა!

დაკვირ ფები და გამოვქანდი. ერთი წუთის დაკარგვაც არ იქნება, ერთი წუთისაც. გამოვვარდი სკოლის ეზოდან, მივრბივარ შარავნაზე, მოასფალტებულ შარავნაზე, რომელიც პირდაპირ, ლაშის ღელის ბოვისაკენ გაიშუღა. ერთი სურვილითა ვარ ნათებული, ერთადერთი სანუშვარი მიზანი მანებს ახლა — რა შეიძლება. აჰო! ვარ წარვუდგი ნატა ქინქლაძის რვეულით ხელში, რაც შეიძლება მაღე... ნამცეცი ეჭვიც არ უნდა ჩარჩეს მას გულში, ნამცეცი ეჭვიც... მივრბივარ ასფალტის კიდეკიდე, გზა ხალვათია, ხელს არაფერი მიშლის. იშვითად დროცა ან ურემი თუ გამოჩნდება ამ გზაზე, ანდა ათასში ერთხელ წირვაგამოყვანილი, დაჯანდაგებული ტონა-ნახევრიანი ხაზარგო მანქანა ჩიჩინინებს. გადასახვევს რომ მივატან, რომელიც ჭოგირთან მიხვლამდეა, სუნთქვა უკვე, ცოტა არ იყოს, მიჭირს, სახეზეც, ვგრძნობ, შეეწიფინდი; ეს შუადღის შმეც ისე აცხუნებს, თითქოს შუა ზაფხული იყოს. აქ ხელმარცხნივ უნდა ჩავუხვიო. მცირე დაღმარული ვეშვები, ასფალტი გათავდა. იწყება ოღროსოღროსო გზა. ორღობე. უკვე დარჩენილ მანძილს წარმოვოდგენ და გული შემოკრთება. ვაითუ, ვერ დავძლიო! მუშთალი შიში გამეკრავს. „ჰაიბ, შე გლახავ! — შემოვუძახებ თავს, — ასეა, ზოგჯერ გიბდებო დაამტკიცო, რომ ის, რაც შენ ძვირფასად მიგაჩნია, მართლაც რამედ გიღობს. და ეს უნდა დაამტკიცო გასაჭირის გაძლებით. აბა, რა გგონია!“

მივძმნულვებ შეუხვენივლივ, ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ვიღაც უხილავის თვალი დამმხერს, ხედავს, შედავათს არ ვაძლევ ჩემს თავს, სიცუღლუტებს არ ვიჩენ. ხანდახან მერჩვენება, ეს თვით ნატა ქინქლაძის მხერგა, თან რომ მომყვება...

განზე არ ვიხედები, მაგრამ ვატყობ, უკვირ გავმოვციდი ევტიხი ყურუშუბაძის ეზოს. აჰ, აბა, ფრთხილად, ფრთხილად. ქვები ყრია გზაზე! ზოგი ქვისა წყვეტი ამოშვარილა მიწიდან. გათავცილებით იყურე ძირს, ფები არ წამოქრია, თორემ მაგ შენს ფეხსაცმელს ისედაც ძლივს უდგავს სული და თუ ძირი ავარდა, კარგად შეყოლი მერე ძირი თუ ავარდა, ან ფების წამოკერისას თხრეშა გაადინე, ვინ იცის, რამდენი ხნით გაიგროძელდეს გზა. აბა, ყოჩაღად იყავ, დაბლა, დაბლა იცქირე. მტვრიან გზაზე უძრავად განრთხმულა დობე-ღობე გაყოლებული ხეების მოკლე, დაკბილული ჩრდილები. თავში კი ერთთავად რეკავს:

ჩქარა, ბიჭო, ჩქარა!

თენგიფ ჩხაიძე

პირველი მასწავლებელი

აბა, ხაცია შევუბნევ კიდევ, იქიდან კი რაღა ბერია ბუტას სახლამდე; ბუტას სახლს ვაცდები თუ არა, პატარა თხრილზე გადაბტები და შენი ეზოს ჭიშკარსაც მიადგები.

გასწი, ბიჭო, გასწი!

მადლობა ღმერთს, შენ არც დედა ჩანს, არც ბებია. სადმე ბოსტანში ან მეზობლისას იქნებოდა გაღასულნი. დამინახავდა დედაჩემი და ატებდა ერთ ვაიუშველებელს, რასა მგავხარ, და დღეში ხარ, რა ამოვარდნაზე გაქვს გულიო. უნდა ახსნა-განმარტებას მოვუყოლოდი, ტყუილად დამეკარგა დრო. არადა, დავაჟღე ჩემს რვეულს ხელი და გამოვრბინავრ უკანვე, მომაქვს ეს ჩემი ძვირფასი ვანძი. ცოტათი ვიღელავ, ვინმე მეზობელმა არ მომკრას თვალი, არ გადმოშახოს თავისი ეზოდან, სად მირბინარ ახე გამწარებულიო. არავისთვის არ მცალა ახლა, არ მინდა, ვინმემ რამე მკითხოს და ჩამციოს. უურშუბაძის ორღობისაკენ რომ შევეუხვევი, თავი უკვე სამშენდობლს დავიგული.

ჩქარა, ბიჭო, ჩქარა!

რა სიფრთხილთავე ეს ოღორღორღო და კვიანი გზის მონაკვეთი აქეთობას გამოვიარე, ისეთივე სიფრთხილთა და ძუნძულ-ძუნძულით ვავიარე იქითობასაც. ავირბინე, როგორც იქნა, ის პატარა აღმართი და გვიდეი ასფალტიან შერაგზაზე, მაგრამ... აუუუ, ამომგარდა კიდევ გული! ვახვითქული ვარ, ძლივს ქშენით ვითქვამ სულს, თავი გაბუფებული მაქვს, მუხლებში მომსხვავდა. ახლა კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მცირე მანძილი ნაბიჯით ვავიარო, მაგრამ ფტებში არ შემორჩილება, თავისით მიმაქანება. დიდ ვერაფერ შეღავათსა ვგრძნობ. არადა, კმარა უკვე ნაბიჯით სიარული. მთელი გზა ვირბინე და ავერ, როცა უკვე ახლოს ვარ მიწანთან, წყალში ხომ არ ჩავუკრი ყველაფერს. უკანასკნელ ძალღონეს ვიკრებ. მივრბინავ ისევ.

მიდი, ბიჭო, მიდი!

უკვე ისე ვავსავათი მეტისმეტი აღგზნებისაგან, აღარ მინადვლება, თუ ვინმე გამვლელი გაკვირვებული გამომაყოლებს თვალს. გავრბინავ და, აი, უკვე გამოჩნდა ჩვენი სკოლის ეზოს მწვანედ შეღებილი მავთულბადე. სულ უფრო მეტად ახლოვდება იგი, სულ უფრო მეტად ახლოვდება...

როცა თავი შეძლებისდაგვარად წესრიგზე მომყავს, ცოტათი ვშვიდდები და კლასში შევიდივარ, პირველი გრძნობა რატომღაც ეს არის: გულში უნებურად მივიკრს, რად არ მესმის ყუინა და ტაშისცემა, თუმცა ამისთანა რამ გზაში ჟიკრადაც არ მომვლიდა. მივიკრს ასევე, რად არ მესმის ნატა მასწავლებლისაგან ქების, მეტიც, აღტაცების სიტყვები. ამის მაგიერ ვგრძნობ, კლასში დასადგურებულა რაღაც მიმზღველი სიწყნარე, მყუდრო ატმოსფერო, რასაც, ეტყობა, ქმნის ნატა მასწავლებლის თავისებური, ტკბილი, ოდნავ დაბალი ხმა. იგი რაღაცას

ელაპარაკება სმენადქცეულ ბავშვებს. ჩემიკენ ნელა ახრუნებს კისერს, ოდნავ მიკრავს ხელებს, რითაც დაქდომის ნებასაც მრთავს და ამასაც მანიშნებს, ყველაფერი რიგზეაო. ძალაუნებურად ვცდილობ, რითიმე არ დავარდვიო ეს სიმყუდროვე, ჩუმად ვჭდები ჩემს ადგილზე. ისე რომ ვერც ვასწრებ თუ ვერ ვახარობ, გავარკვიო მაინც, ვინ ვის დავასწარიო მოსვლა, მე — ჩემს ამხანაგს, თუ მან — მე.

რა შეიღრება იმ გულის ღელვას. იმ სიამებს, რასაც იმ დროს განვიცდიოთ, როცა ჩვენი მასწავლებელი ახალ ასოს შეგვასწავლის და ბოლოს გკითხავს: აბა, რა სიტყვები იცით, ამ ასოთი რომ იწყებოდნენ. აი, მაშინ იმართება ნამდვილი შეჯიბრი, მაშინ დგება ცოდნის, ხარჯიანობის გამოჩენის ასპარეზი, დვინდება ვნებები. მაინც რა ხალხის სიხარული მოაქვს ასეთ წუთებს!

ხანდახან ამ დროს ეანი ბასილიას დედა შემოგვეწრება, მიუჭდება გვერდით თავის შვილს, რომელიც აიქ, პირველი მწკრივის პირველ მერხზე ზის, მიუჭდება და გვისმენს დიდი ამბით. ეანი ბასილია — ცინფერთავადა, ქერათმიანი ბიჭი — რაინახუკოს აღმასკომის თავმჯდომარის შვილია. დედამისი ტანმორჩილი, მკვირცხლი, ხალისიანი ქალი გახლავთ, მუდამ კოსტად, ფაქიზად გამოწყობილი. მიხი დასწრება სიხალისეს გვატყობს. ამ დროს შენც მეტ მონდომებას იჩენ. ატყობ: მოსწონს, ეამყება ნატა მასწავლებელს, მისი ბავშვები სიყოჩადეს რომ ავლენენ სტუმრის წინაშე. ხანდახან იგი ლექსსაც გვათქმევინებს ასეთ შემთხვევაში. ათქმევინებს, ცხადია, უნასაც. პატარა, ტანმკვირეი ეანი ცოცხლად წამოდგება, გადასწებს მერხის თავს, რომელსაც ორივე ხელით ბოლოებში ჩამტრნია და ხმამაღლა, რიხიანად, ისეთი ივრით, თითქოს ვიღაც მის წინ მდგომს ეჩხუბებო, ამბობს:

მტკიცე ხარ, მტკიცე, ბელალო,  
სახანჭლე ფოლადივითა...

თუ გინდა, განსაკუთრებული ალაგი ჰპოვო ნატა ქინქლაძის გულში, საამისოდ ერთი გზა არის მხოლოდ. ხვდები, გემისი, რა გზაა ეს. მიტომაც ამ გზის მიყოლა თუმცა ტვირთად, მაგრამ სასიამოვნო ტვირთად ვიჩანს. ის, რაც შენს მასწავლებელს შენგნით უნებნით, სიამოვნებას გგვრის თავდაც. ხოლო რაც ამ ერთობლივი სიამის გრძნობას საფაენლად უდევს, რაც მას ასაზრდოებს და შინარისთ ავსებს, რაღაც იმდენად დიდი, ფასეული და მშვენიერი, იმდენად ჰუვისთავად ნაგულისხმევი რომ აქის, განსჯა არცა სჭირდება. ისე ალაღად ვარ შეუკრობილი ამ ახლად თავჩენილი გრძნობით, რომ ჩემი მიზეზით, ჩემი მეტისმეტი გულმოდგინების გამო, ერთი სასიერო შემთხვევა ხდება...

ასო ქანი შეგვასწავლა ნატა მასწავლებელმა,



დაფარე გამოიყვანა თავისი ღამაში ხელით, ტექსტს დაგაწერინა, წაგვიკითხა შესაბამისი ტექსტი „დღედანაში“, წაგვიკითხა ჩვენც. და, აი, დგება აზარტული ფაში: აბა, რა სიტყვები იცით ქან ასოზეო. იწყება გაჯიბრება. უველა ცდომლობს, მონაწილეობა მიიღოს. სწორედ ამ დროს უნის დედა შემოგვესწრება. ხალხიანად შემოდის, ჩვეულებებისმებრ, კობტა მოძრაობით მიუსკუბდება თავის ვაჟიშვილს წინა მერხზე, ცნობისმოყვარედ ჭვისჭენს. ინტერესი უფრო ცხოველდება, ხან ერთის პასუხი გაისმის, ხან მეორისა. მოავრდება პირველი ტური. ახლა ისეთი სიტყვები უნდა ვთქვათ, ქანა ორჯერ რომ ერთოს. ამჯერად გაცილებით უფრო ცოტანი სწვენს ხელს, ერთი-ორჯერ მეც მხვდება წილად პასუხის გაცემა. მასწავლებელი კიდევ და კიდევ გვიკითხება. დაკვირვებული თვალი შეატყობს, აზარტი მასაც გადასდებია და ეს უნის გაორკეცებს. კვლავ სწევს ხელს, მაგრამ ნატა მასწავლებელი სხვას კითხობს. უკვე ორნი თუ ხამნი ხართ, ვისაც უარ-ხმალი არ დაგაურათ. ბოლო პასუხად სწორედ ის სიტყვა გაისმის, რაც შენ უნდა გეთქვა. ჩვენი მასწავლებელი ვეღარ ზომავს თუ რა არის, ისევ იმერტებს: აბა, კიდევ ვინ მეთქვის? აბა, კიდევ ვინ მეთქვის? არადა, ვკონზე ამოიწურა ამგვარი სიტყვების მარაგი. აქეთ-იქით ვიხედები, აღარავინ სწევს ხელს. უკვეა გაჩერებულია. მასწავლებელი კი არ გვეშვება, გვაგულიანებს, იმედიაანად შემოგვეცქერის, არ უნდა, გაწილებული დარჩეს. შენც ისე გინდა, იმედი არ გაუცრუო, ისერიგად გწავლა. ის ერთი მხსნელი სიტყვა იპოვო, გაახარო და გაიხარო... ნეტა მომაგონა, ნეტა მომაგონა! შეუძლებელია, არ იყო კიდევ ერთი ასეთი სიტყვა. ტვინსა ვძაბავ, ვძაბავ, ვძაბავ... ჭირიმე შენი, ვიპოვე! მიკვირს, ასე მშვიდად როგორ ვწევ თითს (შენც ერთ თითს ვწვედიო), იდეყვს მერხზე ვაბჯენ, როგორც წყისი და რივი მოითხოვს, თავს ვიკავებ რაიმე წამოძახილისაგან. ნატა მასწავლებელი ამასობაში აქეთ-იქით დადის, მერხებს შორის, თან სათითაოდ გვაველებს თვალს. ხედაწყოლს რა დამინახავს, ერთი თითქოს შეყოყმანდება, ვკითხო თუ არაო, მაგრამ მაშინვე მაცილებს მწერას, ვითომ, შენდა წილად კმარაო. გაბრაზებით გულშიაც როგორ გაუბრაზდები, როგორ ვაკადრებ, ოღონდ მოიდურთავად კი ვესიტყვები გუნებაში: „ახე, ხომ? ახე, ხომ?“ ახლა კი ვიღებ ხმას — „პატივცემულო მასწავლებელი!“ თან ისეთიარად შევთხოვ, ისეთი თროლოდ, როგორც დამშუული, საწყალობლად ნისკარტადებული ბარტყი შესწიხვოს სულის მოსაბრუნებელ საზრდოს დედაჩიტს. ვასწრებ, ირგვლივ თვალი გადავკრა. ჭერ არ ჩანს მეთქე. კვლავ არავინ წევს ხელს. მე კი მოთმინება მეტევა. სული აგერ, ჰა, ყელში მაქვს მოხჭენილი. საკვირველი სითამამე თუ სულაც თავხედობა: იდეყვი მერხის ზედპირს ასცილებია, მქლავი

გაწვართულა. მერე მთლად საშინელი რამ ხდება: ბაგეებს დასცდება ეს ყოვლად უმსგავსე „პატმასწავ“ დასცდება და სადღაც ტვინის პაწაწინა კუნთული აღნუსხავს გაკვირვებას, ამის გამო შენიშვნას არ ვიღებო, აღნუსხავს რაღაც-ნაირი სიამის შეგრძნებასაც, რაც თან ახლავს ამ უმსგავსე მიმართვას. ამ უბაში მიმართვის წყალობით თითქოს დაირღვაო რაღაც მიჭნა, რაღაც უხილავი ზღვარი, მასწავლებელსა და ჩემ შორის რომ არსებობდა. მაგრამ ეს თავისებურად ამო, ცოტა საჩოთრო განცდა ზღვარგადალახვისა მხოლოდ წამიერი შეგრძნებაა. განუყოფლად ბატონობს გრძნობა წმინდა სიხანუყოფლად ბატონობს გრძნობა წმინდა სიხანუყოფლის მოლოდინისა. ბოლოს და ბოლოს, ნატა მასწავლებელი ჩემ წინ ჩერდება — აბა, ნუგზარი — შეუბნება. მეც ვდგები და რიხით ვამბობ:

— ქ . . . ა !

ვამბობ და თან სახეზე მიგრჩერებივარ, უფრო კი ტრჩებს ვაქვრდები უნებურად მისას, რა სააღერსო სიტყვაა წერმოთქვამენ-მეთქი. მაგრამ ხდება უ... რამე: ტურიჩი უცნაურად შეუტოკდება, პირზე უბერხული დიმიდი ავგრიხება, სახეზე სწითლედ გადაქრავს და უცებ სიცილი აუტუდება. იმწამსვე მთელ კლასშიც სიცილი იფეთქებს. ისეთი გულიანი სიცილი დგას, თქვენი მოწონებული. ერთბაშად ვგრძნობ, რაშიც არის საქმე. ერთი პორობა, ღამის შერცხვებ, წითურ ავღვივებ, მაგრამ, რაკი ვხედავ, უბოროტო სიცილია, უბერხულობის განმმუხტავი, ძალაუნებურად მეც მხარს ვუბამ დანარჩენებს.

რას ვთვითქვამდი, თუ ამგვარ ყოფაში ჩამადგებდა და დასაცინი შეიქნებოდა სუბანად, ფაფა, რომელსაც იმ გაკვირვების, შიშიშლიანობის დროს ისე ხშირად მოუთმენდად ველოდებოდი ხლმედ დიდილოდობით, ფაფა, რომლის სახელს უფროსები, სულ რომ არ ეხამუშებოდათ, ისე წარმოთქვამდნენ შინ. ამ ფაფას, ჩვეულებრივ, წმინდად გაცრილი მჭადის ფევილისა და სველი-საგან\* ხარზავდნენ. მართალია, მერე და მერე, მეთადრე მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი შეიქნა „პერკულისი“, მან თანდათან დაკარგა გემო, მაგრამ მანამდე, კარგა ხნის მანძილზე, გემრიელი საჭმელი იყო. ოღონდ იმაზე აღარ დავფიქრებულვარ, პღებუბური საზრდელი რომ გახლდათ და სახელწოდებაც, ცოტა არ იყოს, მდარე უღერადობისა ჰქონდა. ახე იყო თუ ისე, იმდენი მაინც ივარგა, გაკვეთილი წარმატებით

\* სველს გურიაში (აგრეთვე იმერეთსა და ლეჩხუმში, როგორც მითითებულია ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“), ეძახიან შრატს, ანუ ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილ სითხეს. (ავტორის შენიშვნა).

თენგიზ ჩხარბიძე  
პირველი მასწავლებელი

დაგვაგვირგვინებინა და ერთი გულიანადაც გვა-  
ცინა. გულიანი ხიცილი კი იმხანად სწორედ რომ  
დიდ რამედ ღირდა.

არის კიდევ ერთი ისეთი უამი, რომელსაც  
მუდამ სასოებით, თითქმის ისეთივე ფარული  
მტელდვარებით, ისეთივე გულის ძვრით ელოდე-  
ბი, როგორც ვაჟი ელოდება ხოლმე პაემანზე  
საუვარელ ქალიშვილს. ეს ის უამია, როცა ნატა  
მასწავლებელი რიგრიგობით იღებს სუფთა წე-  
რის რვეულებს დასტიდან, წინ, მაგიდაზე რომ  
უწყვიტა, და სათითაოდ განიხილავს, აფასებს  
ჩვენი-ჩვენი ნაწერს. გასუსტული ვსხედვართ თით-  
ქოსდა რაღაც მსჭავრის მოლოდინში. თავი წა-  
გისრია და სმენად ქცეულხარ. ელი, როდის  
მოაწვევს შენი რიგის, როდის წაჩმობს? მაშინ  
შენს სახელსა და გვარს. სიტყვაზე უფრო მე-  
ტად მისი ხმა, ათანხარი ელფერის შემცველი  
მისი ხმის კლავი გამცნობს, მოეწონა თუ არა  
შენი ნაწერი, ან რამდენად მოეწონა. თუ მო-  
ეწონა, თუ მოწონება განსაკუთრებულ, აღერსი-  
ან კილოში უღერს, გული აგიუკვავდება. უკვე  
ისე გამოწვრთნილი ხარ, სმენაც ისერიგად გაგ-  
ფრთვია, ხელაღვე უსხტად გამოცინდა, მოწო-  
ნების ისარი რა დანაყოფს უწყვის შეფასების  
სკალაზე; თუ წინანდელ ზღვარს აღწევს ის ისარი,  
ხომ კარგი, თუ ვერ აღწევს, თანაც საგრძნობ-  
ლად ჩამორჩება, რაოდენ მტკივნეულია ამის  
შეცნობა.

უველაზე მეტი ქება ზაურ ბოჭორიშვილს  
ერგება ხოლმე. ღამის ადრეცა გამოითქმის  
მის მიმართ. ისედაც ყოველმხრივ გამორჩეული  
მოწაფეა. გრძნობ, აღიარებ მის უპირატესობას.  
და როცა ერთხელ, მოულოდნელად შეიტყობ,  
წავიდა ზაურ ბოჭორიშვილი, თბილისში გადა-  
ვიდაო, ეგოსტურ სიხარულს იგრძნობ, ჩამოგ-  
ვიდა შენი მჭობნი, ის, ვინც შენზე მეტ მო-  
წონებს იყვებო. მაგრამ ბოჭორიშვილის წას-  
ვლას ალალი სინანულიც ახლავს. შენ ხომ უკვე  
მოახწარი, რაღაც ფაქიში, უთქმელი გრძნობით  
შემსჭვავლოდი მას, შენ ხომ აგრე მოგწონდა  
მისი ღბილი, ზაერდოვანი თვალები, მუდამ  
მშვიდი იერი. ვანა მასთან გულმხურვალები, გა-  
უცნობიერებელი ბავშვური სიუკარული არ გა-  
კავშირებდა? და, აი, ხელის ერთი მოსმით გაწ-  
წყდა, მოისპო ეს ჩუმი კავშირი; წავიდა ჩვენი  
ზაური, წვენი თვალისჩინი. წავიდა და ჰქენბ  
სამუდამოდ დაგვკორდა; ვინ იცის, კიდევ შევ-  
ხედობით თუ არა ოდენმე ერთმანეთს.

ეს მოულოდნელი განწორება პირველი ყრუ  
ტკივილის აღმჭვრელი ცვლილებაა, ჩვენი ცვა-  
ლის ცხოვრებაში რომ ხდება.

გადის არც ისე დიდი ხანი და უფრო თვალ-  
საჩინო, უფრო მტკივნეული ცვლილება ხდება.  
რატომღაც გვატოვებინებენ ძველ, ნაჩვევ, შეთ-  
ვისებულ სკოლას და სხვა შენობაში გადავყა-  
ვართ. ავტობის ორსართულიანი, შეუღლებია შენო-  
ბაა. არ ვიცის, რატომ, დაუმთავრებელის შთაბეჭ-

დილებას ახდენს. ნეტა ვისი ნება-სურვილია  
მოხდა, ვის მოუვიდა აზრად, ხუდრე აეშალა  
ჩვენთვის. აკი ისე გავუშინაურდით იმ შენობა-  
სკოლას, ისერიგად შევეზარდეთ იქაურობას.  
იქ ხომ ყოველ კუთხე-კუთხულს ჩვენი ბავშვე-  
რი ოცნების, დარღობა თუ აღტყინების უზილა-  
ვი კვალი ატყვია, იქ ხომ მთელი სამყარო იყო  
გადაშლილი. ნუთუ ამ სამყაროს არსებობა არ  
უნდა გაგრძელებულიყო დიდხანს, დიდხანს,  
იქნებ დაუსრულებლადაც? რა საჭირო იყო  
ყოველივე ამის ხელყოფა, რაიმე ცვლილება?  
— გულუბრყვილოდ კვირობს გამოუცდელი  
ბავშვის გონება (სინამდვილეში კი ეს ახალი  
შენობა გახლდათ სკოლა. ომი რომ დაიწყო,  
ჰოსპიტალი გამოუყენებიათ, მაგრამ ახლა,  
როცა ომის ექო სულ უფრო და უფრო შორი-  
დან მოისმოდა, ჰოსპიტალი დაიკალა და სკო-  
ლაც თავის შენობაში გადავიდა). ხად ძველი  
სკოლის გუნდის ბებიათა და კვიპაროსებით  
დაჩრდილული განიერი, მოლიანი ეზო, იმდენ-  
გზისი ცუცხალი მოწერი ობობანას თუ ღაბტის  
გაცხარებულნი თამაშისა და ხად ამ ახალი სკო-  
ლის ეს ეზოდ წოდებული ერთი მოტყუული  
აღაგი. შუა ეზოში უშველებელი, კარგა საყუ-  
რათ აუზის ოდენა, ოთხკუთხა ორმოა გაჭრილი.  
ენა ვერ იტყვას, რა ფერი, რა ჭეჭუნიანი წყა-  
ლი ჩამდგარა შიგ, რა ხარახურა არ ყრია თავ-  
ბოლო ამორჩილი (ნარტების ორმო ყოფილია  
ჰოსპიტლისა, ქარისკაცებს ამოუთხრიათ). ჰო-  
და, არის ერთი გინახი და ურიაშული ამ ორ-  
მოს გარშემო, ფაციფუცი და გარბენ-გამორბენ-  
და. რა ხდება, რა ამბავია? ან თუ მენახძრებები  
რატომ არიან აქ. ტუმბო დაუღვამთ, ანთხევს  
და ანთხევს ფართუელიანი მთლი ამ მღვრიე  
დურდოს. ამორჩობა უნდათ? კი, მაგრამ ეს  
არეულობა რაღა (მრავალი წლის შემდეგ  
ვითხებ და შევიტყვე, რაც მომხდარა: რაუდენ  
კიკვაქეს თავის ვაჟიშვილ გიგუშასათვის —  
მომესწრო ბები, საშუალოს ამთავრებსო და —  
საგანგებოდ შეუკერინებია ფეხსაცმელი. ამ  
ახალთახალ, შეკვეთით შეკერილ ფეხსაცმელში  
გამოწყობილი გიგუშა ბურთის თამაშობდა სკო-  
ლის ეზოში. მოუქნებია ბურთისთვის ფეხი,  
წასძრობია ცალი ფეხსაცმელი და შიგ იმ ორ-  
მოში მოუღია ტყაანა. უცნობეობათ მაშინვე  
მამისათვის. გაქცეულა საწყალი რაუდენი, გა-  
მოუძახია სახანძრო რაში. მოვიდნენ და ის  
იყო, ხელის ტუმბო გამართეს, ქაჩავდნენ იმ  
დამპალ წყალს. დიდხანს ქაჩავდნენ და ეძებ-  
დნენ, მაგრამ ამაოდ. გიგუშას ფეხსაცმელმა  
პირი მოგვამათ).

ჭერ რიგაიანდ ვერ შევჩვევივარ აქაურობას,  
ამ აფორიაქებულ გარემოს, ამ უცხო საკლასო  
ოთახშიც ჭერ ჩემ ქერქში ვერ მიგრძვინა თავი,  
ნატა მასწავლებელმა კი, თითქოს ჭიბრეყო, ეს  
რაღაც ახიერებელი არითმეტიკული სავარჯი-  
შო მოიგონა: შაური რამდენი კაპიკია? ხაზი  
რამდენი კაპიკია? ამდენი და ამდენი კაპიკი



რამდენი შაურია? ამდენსა და ამდენ შაურს რომ ამდენი ახალი მივუშაბოთ (ან გამოვკლოთ), რამდენი კაპიო იქნება (ან დარჩება)?

ვდილობ, ვუპასუხო დასმულ კითხვას. პასუხი მცდარია. სხვა ახწორებს ჩემს შეცდომას. მაინც ვლამობ, სხვებს არ ჩამოვრჩე, თუმცა გულისყური წეროვნად ვერ მომიკრებია, ხოლო მარცხის გამო ნერვულობაზე წედ დამეროდი და გონება უფრო მეტად მეხნება. კვლავ ვდგები საპასუხოდ, კვლავ მეშლება პასუხი. ამჭერად უკვე შენიშვნა გაისმის ჩემი მისამართით — ნუგზარს დღეს რაღაც ვერა ვცნობი გინდაც მეხი დამცემოდეს, ისე მოქმედებს ჩემზე ეს სიტყვები. რა შეუბრალებლად უძერს მასწავლებლის ხმა. თქვა და მშვიდად მანება თავი, აღარ ვარსებობ მისთვის. მთელ ყურადღებას იმათ მიმართ იჩენს, ვინც სწრაფად და უშეცდომოდ პასუხობს. არადა, უნდა ნახოთ, რა ამბავში არიან ეს ჩემი ამხანაგები, რარივ ყოჩაღობენ, რა ეხსენს შეუღლან. მე კი გარყუხლად ვგრძნობ ამ დროს თავს. განა რას ეუმართლები მასწავლებელს? ვანა უფლებია მაქვს, გავუბრაფდე გულში ანდა გავუნაწყდდე? ჩემი ბრალია ყველაფერი, რისი ღირსიცა ვარ, ის დავიმსახურე. უბრალოდ, უბედური ვარ და ესაა. უბედური ვარ და მარტოხული. ვინ გაიგებს ჩემს ვარაზს, ვინ ჩამოიხედავს ჩემს გულში?

როგორ შევეთვისებთი ახალ ალაგს, თავისთავად ნეიტრალურს ჩვენდამი, ხომ იმაზეა დამოკიდებული, რა განცდა დავკვირდებმა იქსახარულის განცდა ყველაზე უკეთ გვაძლევინებს უცხოობის გრძნობას ახალი გარემოსადმი; ნათელ, ახლოებელ არეში დავგაგულეზინებს თავს.

დარღვეული წონასწორობის აღდგენას ამ ახალ სკოლაში, ვატყობ, ყველაზე უფრო რუსულის გაკეთილები მშველის (უკვე რუსულის სწავლა დავიწყეთ). ჩემი ამხანაგების უმეტესობას (ვინც აქაური მკვიდრია) უჭირს მისი ათვისება. დამარცვლით კითხულობენ, მახვილს სწირად ულაგო ალაგას სვამენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე ამოკითხავენ მარცვლებს, მაგრამ თავმოყრას და სიტყვად წარმოთქმას ვეღარ ახერხებენ. მე არ შეინელბა კითხვა, იმ ქალაქში, სადაც აქ გადმოსვლამდე ვიზრდებოდი, რუსულის ცოდნა ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ენა აღრიდანვე გავიტბე: აქ, ამ არემარეზე, იშვიათად თუ შეხვდები რუსს; სად უნდა ესწავლათ ენა?

ნატა მასწავლებელი რომ ახალ მასალას აგვისინის რუსულში, ტექსტს, ჩვეულებრივ, მე წამკითხებს ხოლმე. როგორღაც შეუძინებლად, თავისთავად მკვიდრდება წესი. მეც მითკება ეს ჩემი ახალი როლი. ვატყობ, კმაყოფილებას განიცდის მასწავლებელი. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ეშვაკობასაც მივმართავ. ავდგები და შინ წინასწარ ერთი ორჯერ

წავიკითხავ ხოლმე მომდევნო ტექსტს. შერეულ კლასში, გაკეთილზე, კიდევ გადავკვირვებ თვალს და როცა, ჩვეულებისამებრ, გამომიჩახებენ, ხოლომდე ისე ჩავაბულებულბ, ერთს არ წავზომიკლები. ეგ კია, მრცხენია გულში, ამგვარ უთანხრო პირობებში რომ ვართ ჩაყენებულბ მე და ჩემი ამხანაგები და ჩემს უპირატესობას, თითქოს პირადი რამ ღირსება თუ დამსახურება იყოს, ისე რომ ვაჩენ. კიდევ კარგი, ტაქტიანად იქცევა ნატა მასწავლებელი, სხვებს არ ახარბებს ჩემს რუსულს, შურს როდი უღვივებს, როდი აღნიშნებს. ამ ტაქტის წყალობით არის, სირცხვილს ისე მწვავედ რომ არ განვიცდი.

წონასწორობის სრულ აღდგენას მაინც მაშინ ვგრძნობ მხოლოდ, როცა ჩემს მასწავლებელს სახეამზიანებულს ვხედავ, დიან, მიხებურად სახეამზიანებულს. ეს ხდება რუსულის გაკეთილზე მისი ქალიშვილის თანდასწრებით. ვიცოდით, სტუდენტი ქალიშვილი ჰყავდა, თბილისში სწავლობდა. აგერ, გაკეთილზე შემოპყვა დედამისს და პირველად ვიხილეთ. სიტყვა ხილვა სწორედ რომ შეფერება მას: თბელი, ნორჩი, ნატიფი, არჩვეულებრივად მშვენიერი. ცოცხალი ფერია. მაინც თვალები აქვს გახაოცარი — დიდრონი, უძირო, რაღაც უცხოად, ოდნავ ირიბად აჭრის. მე ძლივს ბედავ, მზერა შევმართო მას (ისიც ხანდახან და წამიერად). დედა-შვილი თითქმის გვერდიგვერდ დგანან, ქალიშვილი — ფანჯრის კიდეთან, დედა კი ცოტა უფრო აქეთ. ფანჯარაში ჩანს — გარეთ ღრუბლიანი, ცრაბი დღეა (ეტყობა, ქალიშვილი ზამთრის არღადგებზე იყო ჩამოსული). ისე რომ, ოთახს ხილრმეში ოდნავ ბინდი დამჭარვს კიდევ.

ერთგვარი საზეიმო განწყობა სუფევს კლასში. ჭერ ერთი, ესოდენ სასურველი სტუმარი გვეწვია. შერე კიდევ, ნატა მასწავლებელს იმჩნევა, რარივ ჩემ სხიარულს განიცდის, მონატრებული ქალიშვილი რომ აგერ გვერდით ჰყავს. ხოლო თუ კარგად დააკვირდები, ამხაც შეატყობ: ენაყუბა, თავისი მოწაფეების ცოდნა და სიყოჩადე უჩვენოს სტუმრად მოსულს, თავი მოსწონს ამით. დღეს ის განსაკუთრებით გულისხმიერია. როცა რომელიმე ჩვენანი გაკეთილს უპასუხებს, თბილი დიმილი ჩაუდგება თვალბში. მისი ქალიშვილი ამ დროს სრულიად წყნარად დგას, გამომეტყველების შეუცვლელად; არა, აქაურობას გამოთიშვია, როდი ითქმის, ოლონდ დიდროს, უძრავ თვალბში, თითქმისა საგნების მიღმა რომ იცქირება, თითქმის არ იხატება რაიმე ემოცია. როცა ახალი მასალის ახსნის შემდეგ დგება ჭერი ჩემი სტენაზე გამო-

თენგიზ ჩხაიძე  
პირველი მასწავლებელი



სვლითა, მე პირნათლად ვასრულებ ჩვეულ როლს. შეკავებული მდღეობებით, თავდაქრებული ჩავიკითხავ ტექსტს (აქ, გაკვეთილზე-წი, კიდევ ორჯერ მოვასწარი გადამიკითხა). ჩავიკითხავ და ვხედავ, დიმილი უნათებს ხახვს ნატა მასწავლებელს, თვალები ოდნავ ეშუბება, მიუტრიალდება იქვე მდგომ თავის ქალიშვილს და შესციინებს, კი, სწორედ შესციინებს. ამის საპასუხოდ ქალიშვილის თვალეზას შეგინდან რაღაც მოაწევბა უნებლიეთ, მაგრამ, ვიღერ ის რაღაც დიმილად იქცეოდეს, ისევ მიინდლება და ჩაცხრება. და აქ ბუნდოვ-ნად ვგრძნობ განსხვავებას დედა-შვილს შორის, ვგრძნობ დედის უპირატესობას რაღაც არსებინ-თის მხრივ. მაშინ ასე გარკვევით ვერ ვხვდებო-დი და ვერც გამოვთქვამდი, რომ თურმე ქვე-შესწავლი (ბავშვის სულში) დედისა და შვი-ლის შეუპირისპირება ხდებოდა. შემოსავლის-თანავე ქალიშვილმა უცხო რამ ატომოფერო გა-წინა. ეს მისი მიწოდულობის ძალა შეუფრავთ ეჭობრებოდა დედის მაგნიტურ ველს. კარგა ხანს გარქმედებოდა ფარული კიდელი, უღმობელი და უხილავი ორთაბრძოლა. ვაგვირდებოდა კიდევ ვითქვა, ვის მხარეს იხრებოდა დამარჯ-ვების სასწორი. შესაძლოა, ერთხანს დედის ხობლი, ძალმოსილება ბეწვზეც ეკიდა. მაგრამ იმ ბოლო, გადამწვეტ ქაშს ძლევა მაინც მას ერგა. მისი მაგნიტური არე უფრო ძლიერი გა-მოდგა. ძნელ გამოცდას გაჭაღო და კვლავინ-დებურადვე ძვირფასი, ახლომელი დარჩა.

ხანდახან, მეტწილად გაკვეთილის ბოლოს, თუ თავისუფალი დრო გვრჩება, ნატა მასწავლე-ბელი რაიმე ლექსს წავგვიკითხავს ხოლმე თა-ვისი შეხედულების მიხედვით შერჩეულს. გა-რინდებულენ მივჩერებოვართ და ისე ვუსმენთ. უწის თავის მაგიდას, ხელთ გაშლილი წიგნი უპყრია და იღვრება მელოდიური სტრიქონები, რომელთაც მისი ტკბილი ხმა რაღაც განსაკუთ-რებულ მიწოდებულობასა და ილუმინებას ანი-ჭებს...

ერთხელ გაწეთით ხელში შემოდის და გვი-ცხადებს, ცოტა არ იყოს, საწუიშო კილოთი (ოღონდ მისთვის აგრე ჩვეული წრფელი კი-ლოთი), ნახეთ, რა ლექსი წავიკითხოთო. ნე-ტა რა ლექსია ამისთანა, ნატა მასწავლებელს რომ მოსწონება? საგაწუიშო ლექსები — ცო-დვა გამოტეხილი სჯობს, მაინცდამაინც არ ვი-წიდავს: მეტწილად ერთფეროვანია, ნაცნობი თემისა და პანგის გადამღერება. მაინც შეილ-გულისყურს აპყრობ სიტყვებს, რომელთაც მი-სი ბავენი წარმოთქვამენ. ესეც იმავე თემაზეა დაწერილი, მაგრამ სიტყვა და ხმა ავტორისა თავისებურად შედერს, ვულსა ხედება. „რომ შე-მეტლოს საფლავიდან... მხრების წამოწევა“. მხრების წამოწევა. კარგია. „მე სიცოცხლეს ხელმეორედ შევწირავდი... იმავე მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარეს“. იმავე მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარესო. მარჯვედ მიგნებული აზრია.

თანდათან გიმორჩილებს ლექსში გაწუიშული მძაფრი, წრფელი განცდა, მოგების სიტყვები მიმართვისა უოველი ქართველიხანდში — მოკ-ვედეს, მაგრამ მეტრდით შეგქრასო, ურწოში გი-უდერს აგრე მშობლიური, ამაღლებებელი ხმა ამ სიტყვების წარმოთქმელებისა, და შენ გრძნობ, როგორ დაგზრინა ტანში.

რამდენჯერ გიმღერია მერე ეს ლექსი სხეე-ბთან ერთად, ხალღესასწაულად სკოლის სამ-წყობრო ვარჯიშისას თუ პიონერთა ბანკში, რამ-დენჯერ გაგიგონია დიდ-პატარას მიერ წამღერე, და მუდამ ქაშს, რაღაცნაირი ნაერთოლარე გრძნობა აღძვრია, ალბათ, იმიტომაც, რომ ქვეშესწავლად მოგვარებია, ვისგან მოისმინე იგი პირველად. დრო ვერ მოერია, ვერ წარხოცა ეს გრძნობა, რომელსაც ვანუგრებოდა დაუ-კავშირდა იდუმალი ძალით მისილი სტრიქო-ნები, როგორც ერთი მიუტყობებელი ნიშანთა-განი იმ გარდასული ქაშის, როგორც ერთ-ერთი სიმბოლო იმ, რაც გინდა თქვი და, დიდი დროისა.

თითქმის ორწელიწად-ნახევარი გაგატარე ნა-ტა ქინქლაძის ხელში. დამთავრდა ომი და მალე ისევ ქალაქისკენ ვქენით პირი. ორწელიწად-ნახევარი მაგრამ ეს ისეთი ხანა იყო, ისეთი ხანგრძლივი და დაუვიწყარი, ბარე ორ ათეულ წელსაც რომ ათისდის.

თითქმის ათი წლის შემდეგ, უკვე სტუდენ-ტობისას, იმ რაიონში ჩასვლა მომიხდა. სიყრმის მეგობარს მამა გარდაიცვალა, დაკრძალვას უნდა დავსწრებოდი. ის იყო, ვაგონის კიბე ჩა-ვათავი, რომ ვიღაც ქალმა, ოდნავ ტანსრულმა, ჩემოდნით ხელში გვერდით გამიარა და ვა-გონში ავიდა. რაღაც მეცნაურა და უნებლიეთ მივხედე. თითქმის იმწამსვე მომემა წამოძახი-ლი, დიხს, წამოძახილი: „დედა, ნუწვარა“ მე უკვე ძირს ვიყავ ჩამხტარი, თვალი ვკიდე, რო-გორ დაიხარა ქალი ჩემოდნის დასადგმელად იქვე; ვაგონის შესასვლელთან; ამ დროს მატა-რებელიც აიძრა, მაგრამ მე, დახეულმა და ერთ ადგილას გახევებულმა, კიდევ მოვასწარი იმის დანახვა, რომ მას, წელში აშართულს, ჩემკენ მობრუნებულს, ისევ ისე ეციინა სახეზე ლი-მილი. აგრე მეჩვენა, ხანა არ დასტობოდა მა-ინცდამაინც, მხოლოდ ქალბა მოსძალიდობა, იერი თითქმის არ შეცვლოდა: იგოვს ხახვი იგი-ვე ძვირფასი, აგრე ნაცნობი ნაკრები, იგვე მისებური, ვანუგებრებელი ღიმილი... ახლა ბუ-ნდოვნად კი აღარა ვგრძნობ, უკვე შემძლია გავიჯრო და გავიცნობიერო, რა არის ამ ღიმილის თილისმური ძალა. ეს ღიმილი არენს ადამიანს, ვისაც მომადლებია იფათი ნიჭი სხეე-ლით გახარებია. ამგვარი გახარება — ასე ხალა. სი, ასე ხალაო და უანგარო — სხვის გამოი გა-ხარება მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ხარ ესა და ეს; რომ შენ ხარ შენ.

ეს ოხერი, თითქმის შევჩავიე თავი, ადვილად არაფერმა შემძრას, არ დამირღვიოს წონასწო-

რობა, თითქმის გამოვიმუშავებ გარკვეული იმუ-  
ნიტეტი. ახა, რაღას დავმდგარვარ აქ ლენინი-  
ვით, რას ველოდები, მატარებელმა ხომ ჩაიარ-  
ა. ამ შეხვედრამ რაღაცა აგინოჩქოლა შეგნით.  
იმ სიხარულიანმა წამოახილმა, იმ სხვიანმა  
ღიმილმა ისეთი გრძობა გაგიჩინა, თიქოს  
იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე ხარ; თითქოს შენს  
არსებაში იფარებოდეს რაღაც სიკარგი, რაიც  
უნდა ამომწეურდესო. არა, მოდი და. ნუ განცვი-  
ფრდები... მოდი და, ასე იოლად დაიწყნარე ეს  
აფორიაქებული გული...

მას შემდეგ ჩემი მასწავლებელი აღარხად  
შემხვედრია, არცთუ რაიმე მსმენოდა მასზე

მხოლოდ ამას წინათ ერთ ჩემს ძველ თან-  
კლასიელს შეგვხვდი შემთხვევით პროსპექტზე,  
ბაღის წინ. მივიკითხე-მოვიკითხეთ ერთმანეთი  
და, სხვთ შორის, ნატა ქინქლაძის ამბავი  
ვკითხე; ვკითხე, ცოტა არ იყოს, შეწეულად.  
კარგად არისო, მითხრა და სახე გაეხსნა; წლე-  
ულს აპრილში ვინახულეთ, დაბადების დღე  
მიველოცეთო. მძაფრი სიხარული ვიგრძე-  
ნი.

მაშ, ნატა ქინქლაძე ცოცხალია, ჩანართლად  
და კარგად არის!

იდუმალ რამ კანონზომიერებად თუ ხაზართ-  
ლიანობად მენიშნა ეს მისი დღეგრძელობა და  
კარგად ყოფნა, მენიშნა დასტურად ბუნებრივი  
სიკეთის გამძლეობისა.

შესაძლოა, ჩემს ძველ თანაკლასიელთან ამას-  
წინანდელმა შეხვედრამაც გამახსენა ახლა ნა-  
ტა მასწავლებელი, გამიცოცხლა იმჟამინდელი  
ამბავი,

გამახსენდა ყველაფერი და საოცრად მომი-  
ნდა მისი ხილვა. მინდა, მივიღე და ჩემი თვა-  
ლით ვნახო ამდენი ხნის შემდეგ. მინდა, გული  
ვიჭერო მისი ცქერით; მინდა, ვეახლო და მი-  
ვართვა... მივუძღვნა... დიდი კონა ლამაზი ყვა-  
ვილების, ოღონდ ბაზარში ნაყიდი კი არა,  
სადღე მინდვრად საკუთარი ხელით დაკრე-  
ფილი, მზისა და მიწის ცხარე სუნის რომ უდი-  
ოდეს... ჩემს დღეში რატომღაც სურვილი არ

გამჩენია, ვინმესთვის მაინცდამაინც ყვაული  
ბი მიმერთშია. სარვამართოდ ზოგიერთი  
ბლისთვის უოჩივარდას კონა მიჩუქებია; უბრა-  
ლოდ ზრდილობისა თუ ყურადღების ნიშნად.  
ახლა კი მსურს, წარმოუდგენლად მსურს, შეე-  
კრა ყვავილთა კონა, თითქოს პირველს მე აღ-  
მომიჩინოს ამ ნაწ, სუსტ ქმნილებათა საკვი-  
რველი ძალა და ჯადოთვისება... მე მივდივარ  
მასთან, ვეგებები და ვუწვი, ვუძღვნი დიდ,  
ლამაზ თიგულს, მზისა და მიწის სურნელი-  
ბით გაჯერებულს, ვუძღვნი და ეს ცოცხალი  
ყვავილების კონა ათასჯერ უფრო მეტს ეუბ-  
ნება, ვიდრე მე ან სხვა ვინმე ეტყოდა, გამო-  
თქვამდა ენით, ის უმეხლს მთელ ჩემს გულის-  
ნადებს, ის, ენამჭევი და ენამზიანი, უბადლო  
ოქროპირი...

გემახსოვრებათ, თუმცა გემახსოვრებათო,  
რა სათქმელია, თვალწინ გედგომებათ გოგი ქა-  
ვთარაძის სახის გამომეტყველება „ქორწილში“,  
იმ დროს, როცა იგი საბედოსთან წახსავილედ  
ემწადება დიდი ამბით; ოცნებით წარმოი-  
დგენს ამ შეხვედრას და ერთ წამს ნეტარებით  
გაირიხდება, იხადრება. დარწმუნებული ვარ,  
ჩემთვის რომ ვინმეს ჩუმად სურათი გადაედო,  
როცა წამანბას მიცემული, გასუდრული ვიქე-  
ლოვინში, ჩემი სახის გამომეტყველება, ფოტო-  
ზე აღბეჭდილი, ნაკლებად ეფექტური არ იქნე-  
ბოდა. მაგრამ ვიგრძენი თუ არა, პირზე ეს მო-  
სულელურონეტარი ღიმილი გადამფენოდა  
შეცვბი, ემანდ უცაბედად ცოლს არ გამოე-  
ღვიძოს, თვალს არ შემასწროს და რამე ფარ-  
სავი არ იფიქროს-მეთქი. აღგომა სჯობდა ისე.  
მით უმეტეს, უკვე ისმოდა ონკანის შიშინი  
და ფშეილი, მერე წანწარის ხმაც გავიგონე  
(შვილს ან მეუღლეს ღია დარჩენოდა ონკანი,  
რამდენჯერ უნდა გააფრთხილო კაცმა..) შე-  
ვედი სამზარეულოში. ვედროს დავწვი, ბა-  
რემ გავავსო-მეთქი. გამოვავლე ერთი ორჯერ  
წყალი და უკვე მომძაფრებულ ნაკადს შევე-  
დგი.

## დიმიტრი შველიძე

# „სანსტ-კაპიტოპოგოს უწყებანი“ პრეკლე II შესახებ

„უწყებანი“. 1758. 28. III. სანსტაბათი.  
10. კონსტანტინეპოლიდან 20 იანვარს

სულთანის თანდასწრებით შემდგარმა დივანმა დაადგინა სპარსეთის საზღვრებზე მნიშვნელოვანი არმიის შეკრება და მის მეთაურად ერზრუმის ფაშის დანიშვნა. აგვარი გადაწყვეტილების მიზეზია, იენიჩერთა მღელვარების უვნებელყოფის აუცილებელი საჭიროება, აგრეთვე უწყისრიგობა, რომელიც პორტას მიაყენა პრინც ერტკლეს მოულოდნელმა წინსვლამ. პორტა შეეცდებოდა, რათა მისი (ერტკლეს — დ. შ.) ძლევამოსილი არმია საბოლოოდ გამარჯვებული არ აღმოჩნდეს და რათა მორჩალებში მოიყვანოს ისინი, რომელნიც მირვეისისა (სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული ავღანელი ტომების ბელადი — დ. შ.) და ყულიხანის კვალს მიჰყვებიან.

„უწყებანი“, 1758. 4. VI. ბარსსკაჰი.  
ცნობიანი სპარსეთის ახლანდელი მღვთვარამოგას შესახებ, შითხუშული შვილი ოფიცირის ბუსტაჰ ფირდინანდ ბილდინრამის მიერ, რომელიც 1753 წლის 28 იანვარს სპარსეთიდან კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა

სრულიად არ შეეფერება სიმართლეს, თითქოს ნადირ შაჰი მოეკლას მის ძმისშვილს და მემკვიდრეს ადელ შაჰს. მას არ შეეძლო მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, რადგან იშვამად შაჰის კარზე არ იმყოფებოდა. ამ მკვლელობის მოთავე იყო შაჰის გვარდიის მეთაურიდან ყველაზე წარჩინებული მამოქმედ ხან უაჯარ ამარი. ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მამოქმედ ხანმა თავისი ხელმწიფის სიმდიდრე, მათ შორის გვირგვინი, სკიპტრა და ხმალი, გაიტაცა თავის მამულში, ერევნის მახლობლად, სადაც თავი მოუყარა ლაშქარს და სხვა დანარჩენი ხანების

მსგავსად დამოუკიდებელი გახდა. ერიგლერ-ხანმა, რომელსაც ვაჭტებში ირაკლის უწოდებენ, დაამარცხა იგი და წაართვა შაჰის რეგალიები, რომელნიც ახლაც მხთან ინახება ტფილისში. იმ საშინელი რბევის გამო, რაც სპარსეთმა ტახტის მაძიებელი სხვადასხვა ხანების მმართველობის ხანაში განიცადა, ახლა დანაშებით იგონებენ შაჰ ნადირის მფლობელობას. როგორც აღვინდელ რელატივებში იყო ნათქვამი, შაჰის ტახტზე ადილის ასვლის შემდეგ, იგი მალე ჩამოაგდო საკუთარმა ძმამ იზრაჰიმ შაჰმა, რომელიც, ამის შემდეგ, თვით აღმოჩნდა შაჰ ნადირის შვილიშვილის, შაჰ შარის ხელში, უკანასკნელმა კი ორივე სიკვდილით დასაჯა.

„უწყებანი“ 1758. 16. VII. ხუთშაბათი.  
14. რილაციის ბაბრქმელება სპარსეთის ახლანდელი მღვთვარამოგას შესახებ.

შაჰ შარის უბედურების მიზეზი იმდენად ნადირ-შაჰისეული სიმდიდრის ხორანსიდან გატაცების შიში არ იყო, რამდენადაც ხსენებული სიმდიდრის ხანიაგება. მას ჰყავდა ქართველი ფავორიტი რეჟულ ბეგი. შაჰ შარის თავისი ევნუხებიდან მხოლოდ მას ენდობოდა ყველაფერში და იმდენად განუსაზღვრელი ძალაუფლება მისცა, რომ მალე ამან სხვა ქვეყნეურომთეს უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით გამაღიზიანებლად ხანებზე მოქმედებდა და სწორედ ამან უბიძგა მათ ბოროტმოქმედებისაკენ, ის უკიდურესი თავისუფლება, რომლითაც რეჟულ ბეგი თავისი მბრძანებელის სერაღში შედიოდა. ხორანში ორი მამაცი ხალხი ცხოვრობს, კერძოდ, არაბები და ქურთები. პირველებში ყველაზე წარჩინებული იყო ემირ ალემ ხანი, ხოლო უკანასკნელთა შორის ტიაფურ ხანი, თავის ძმსთან ნალი ხანთან ერთად. ხსენებული მთავარი მეთაურები გაერთიანდნენ და თავიანთი თანა-

მოაზრენი შეიარაღებს. მათ შამ შარს წარმოუღ-  
გინეს ცუდი შედეგები სახელმწიფოსათვის, რაც  
რეზულ-ბეგებსადმი მის მიდრეკილებას შეიძლე-  
ბა მოაყოლოდა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გა-  
ფრთხილება შეემჩინა, როგორც ამბობენ, შამმა  
თავიდან შემოიპარცვა დიარსების ნიშნები და  
მიწაზე დაანარცხა სიტყუებით, რომ მას შეგობ-  
რად ეყოლება ის ვისაც თვითონ მოიხურვებს,  
და რომ რეზულ ბეგს დაიკავს, თუნდაც ამის-  
თვის უკიდურესი ზომების მიღება დასჭირდეს.  
(ამის შემდეგ) შეთქმულებმა აშკარად მოუწოდეს  
(დანარჩენ) ხანებს აღმდგარიყვენ შამის წინა-  
აღმდეგ. იერიშით აიღეს რა მეხემად წოდებუ-  
ლი სასახლე, მათ მოკლეს რეზულ ბეგი, ერთ  
ყველასათვის საძულველ ევენსთან ერთად,  
ხოლო ნალი ხანმა საკუთარ ხელებით დახთხა-  
რა თავიდან შამს; ამბობენლება მეთაურებმა  
თავიან ქვეშევრდომებთან ერთად გააძარცვეს  
სასახლე და დაეპატრონენ განქულის. ამის შემ-  
დეგ, შეუდგნენ ახალი შამის შერჩევას. მეშხე-  
დის იმამი რიზის მეჩეთში, მათ მოძებნეს სასუ-  
ღიერო პირი, ერთ-ერთი თორმეტი სპარსელი-  
წმინდანიდან, რომელიც იწოდებოდა სიედ მა-  
მუდად და დედის მხრიდან შამ სოლიმანის შვი-  
ლიშვილი იყო. იგი უკვე აღარ იყო ახალგაზრ-  
და და შამისის იმედიც აღარ ჰქონდა. წამოი-  
ყვანეს, შამად აირჩიეს და გვირგვინზე უფლე-  
ბისა და გვაროვნობის ნიშნად სოლიმან შამი  
უწოდეს. მაგრამ მისი მფლობელობა მხოლოდ  
ექვს კვირას გაგრძელდა. იმის გამო, რომ მან  
სიკვდილით დასაჯა ერთი ხანი, მორაგვი ამბოხე-  
ბის დროს, სოლიმანი ტახტიდან ჩამოაგდეს,  
მისი გვარეულობა კი დააბრმავეს. ამის შემდეგ,  
კვლავ მოძებნეს შამ შარი და თუმცა იგი ბრმა  
იყო, მაგრამ გამოაცხადეს, ერთი თვითი ხე-  
დავსო და ხელახლა ტახტზე დასვეს. ხსენებული  
ხელმწიფე, რამდენადაც ადრე მდიდარი იყო,  
იმდენად ღატაკია ამჟამად, რადგან არავითარი  
შემოსავალი არ გააჩნია. ქვეშევრდომები მხო-  
ლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ უხდიან მას  
კონტრიბუციას.

„უშუაბანი“. 1758. 20. VII. სამშაბათი.

15. ცნობების ბაზრძილება სპარსეთის  
ახლანდელი მდგომარეობის შესახებ

ხსენებული პარტიებიდან არც ერთს არ ემ-  
ხრობა ქართველი მთავარი ერეკლერ-ხანი, შეი-  
ლი თემურაზ ხანისა, რომელმაც მას თავისი  
ტახტი დაუთმო. მან დაიპყრო სპარსეთის  
ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის მდებარე  
პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი; მაგრამ  
ჭერ კიდევ ბევრია იქამდე, რომ მისი წარმატ-  
ებები, ან კიდევ მიწები იმდენად დიდი იყოს,  
როგორც ამას გაწვთებში აცხადებენ. სულ არაა  
გასაკვირი, რომ ამგვარ სასაზღვრო ადგილებში  
მიმდინარე მოვლენები, გადაჭარბებულად აღი-  
ქმება მეზობლებში და ნაირ-ნაირ მითქმა-მო-

თქმას იწვევს, რადგან ეს ხმები მოგზაურთა და  
ვაჭართა მეოხებით, ყველგან ადვილად ვრცელ-  
დება. ხსენებული ცნობები სპარსეთის საშინაო  
ფარგლებს არ სცილდება. რადგან ხამი შამის:  
აილის, იბრაჰიმისა და შარის ურთიერთობო-  
ბის დროს, პროვინციებში უკიდურესი არეუ-  
ლობა იყო, ამან ქართველ მთავარს შესაძლებ-  
ლობა მისცა გაძლიერებულიყო, მაგრამ არა იმ-  
დენად სხვათა მიწების დასაპყრობად, რამდენა-  
დაც საკუთარის დასაცავად. უფრო მეტად იგი  
ეზრძოდა ავღანელებს, რომელნიც ნადირ შა-  
მის სიკვდილის შემდეგ თავრიზის პროვინციაში  
ცხოვრობდნენ და დაღესტნის მცხოვრებ — ლე-  
კებს, ერთი რამ ცხადია, აქ მომხდარი მოვლენე-  
ბი, ხსენებული შამების წინააღმდეგ არ იყო მი-  
მართული. დასახელებული ხალხები (ე. ი. ლეკე-  
ბი და ავღანელები — დ. შ.) გარდა ვინმეს  
დატყვევებისა და ნადავლის ხელში ჩაგდებისა,  
არაფერს აღეძებენ ისიც იქ, სადაც დიდ წინააღ-  
მდეგობას არ ხვდებიან. ავღანელები ამჟამად  
ერივლერ ხანთან ანუ მთავარ ერეკლესთან კავ-  
შირში არიან. მათი ძალაუფლების ქვეშაა თავ-  
რიზი, აქულისი, ერდებილი და მთელი ნახიჯვა-  
ნის პროვინცია, რომლებიც არეულობის დროს  
დაიპყრეს. აქედან იღებენ ისინი შემოსავალს,  
ხოლო თვით არავის ხელისუფლებას არ ემო-  
რჩილებიან.

„უშუაბანი“. 1758. 27. VII. სამშაბათი.

16. ცნობების ბაზრძილება სპარსეთის  
ახლანდელი მდგომარეობის შესახებ

ერევნისა და განჯის ხანები ქართველ პრინცს  
იმ დროდან ემორჩილებიან, რაც მან ამ სახა-  
ნოებიდან ლეკები განდევნა. მისა მფლობელო-  
ბის ქვეშაა შირვანის პროვინცია, მხოლოდ,  
როგორც მოკავშირე, რომელიც არაფერს არ  
აძლევს მას, გარდა მებრძოლებისა, ესენი კი  
ემსახურებიან მას არა ჯამაგირისათვის, არამედ  
მხოლოდ ნადავლისათვის. ლეკები ორ პარტიად  
არიან გაყოფილი: ერთნი მშვიდობით და მე-  
გობრობით არიან დაკავშირებული ქართველ  
პრინციან, ხოლო მეორე პარტიას, რომელსაც  
აქი ჩელები მეთაურობს, იგი ყოველთვის  
ეზრძოდა მეტ-ნაკლები წარმატებით. დამარცხე-  
ბა, რომელიც გასული წლის გაწვთების მიხედ-  
ვით, თითქოს მან განიცადა ლეკებისაგან, სხვა  
არა იყო თუ არა ის, რომ იგი იძულებული გახ-  
და უკან დაეხია. ამის მიზეზი იყო (პრინცი ერ-  
ეკლეს) წინააღმდეგ სომეხი მებრძოლების ამ-  
ბოხი და მართალია მისი სამფლობელოს ნაწი-  
ლი მაშინ რამდენადმე აოხრებულ იქნა, ხოლო  
ქალაქი განჯა კი აღებულა, მაგრამ ნახევარი  
წლის შემდეგ მან ხელახლა იძია შური ლეკე-

დინიტირი შვილიძე

„სანატ-კამბრზურბის უშუაბანი“  
ბრძოლა II შესახებ



ზე და სრული გამარჯვება მოიპოვა მათზე. ასე რომ, აქი ჩელების ჭვილმა, რომელიც მათს ლეკებს მეთაურობდა, ვერ შეხსლო სწრაფად მთებში გაბრუნება და მებრძოლების, ტყვეებისა და ბარგის ნარჩენებით თუქეთის მიწაზე გაიქცა.

„უწყებანი“. 1758. 80. VII. პარასკევი.

17. ცნობების დასასრული სპარსიონის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ

...დასავლეთის ავღანელები, რომელიც თავრუნსა და მის გარშემო მდებარე მიწებს დაეუფლნენ, ასევე დანებებას არ აპირებენ და საცხოვრებელი მათი იარაღით დამორჩილება. ერთგულნი ხანი ანუ პრინცი ერთკლე, იმევე მდგომარეობაში აპირებს დარჩენას, რომელშიც ეხლა იმყოფება და იმ მიწების შერჩენას, რომლებსაც იგი დაეუფლა, მანამდე, სანამ რომელიმე პრეტენდენტი ტახტზე არ მომავრდება, შემდეგ კი დაემორჩილება მას, ვისაც მთელი სახელმწიფო ცნობს შამად... ერთგულნი ხანს ანუ პრინცი ერთკლეს, როგორც ჩანს შამ ისმაილთან, არავითარი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს; სამაგიეროდ მდგომარეობა აქვს შამ შერთან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ისინი სიპაბუქში იცნობდნენ ერთმანეთს, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ამჟამად ერთმანეთისაგან არაფერს ითხოვენ.

„უწყებანი“. 1758. 8. VIII. პარასკევი.

18. ალექსანდრე 16 აპრილისათვის.

სპარსეთის ტახტის მძიებელთა შორის ბრძოლა კვლავ გრძელდება. უხინათლო შავრუბ ხანის მომხრეები სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო პრინცი ერთკლეს პარტია იმდენად გაძლიერდა, რომ შეუძლია დანარჩენი სახივე პარტიას დაუპირისპირდეს. ამ პარტიათა მეთაურები არიან: კარინი ხანი, რომელიც ამჟამად ისპაჰანს ფლობს, მეორე, იახი ხანი, რომელსაც 80 000 კაცი ჰყავს, ხოლო მესამეა შამ მოჰამედი, რომელიც 40 000 კაციო მიემართება ისპაჰანსაკენ, რათა კარინი ხანი იქიდან განდევნოს და თავად დაჭდეს ტახტზე.

1748 წლიდან ქართლისა და კახეთის სამეფოებმა ფაქტიურად დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მომდევნო წლების განმავლობაში, აღმოსავლეთე ამიერკავკასიაში პირველობისათვის წარმოებული განუწყვეტელი ომების შედეგად, ქართლ-კახეთმა უპირატესობას მიაღწია და რამდენიმე მეჯობელი სახანო დაიმორჩილა. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებათა უშუალო შემოქმედის — მეფე ერეკლე მეორის სახელი თურქულ-ირანულ სამყაროს მოედო და ევროპას მისწვდა.

ახალგაზრდა ქართველი მეფის წარმატებებს რუსეთი დიდი ინტერესით ადევნებდა თავალს. ამ უურადღების დადასტურება რუსული პრესის უპირველეს ორგანოში, გაზეთ „სანქტ-პეტერ-

ბურგის უწყებებში“ გამოქვეყნებული ცნობები ერეკლე მეორის მოღვაწეობის შესახებ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე „სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნებული ცნობები საქართველოს, ქართველების, კერძოდ კი მეფე ერეკლე მეორის შესახებ, თავიანთი წარმომავლობის მიხედვით, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ და ძირითად ჯგუფში შედის ცნობები, რომლებიც რუსული ან ქართულ-კავკასიური საინფორმაციო წყაროებიდან მომდინარეობდა. ამ ცნობათა მნიშვნელოვანი ნაწილი პ. ბუტკოვმა გამოაქვეყნა კრებულში: «Материалы для новой истории Кавказа. А. 1722 по 1803 год», ч. III, СПб., 1869 г.

მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ცნობები, რომლებიც „სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ უცხოეთის, ევროპის პრესიდან იყო გადმოხლებული. უცხოური წარმომავლობის ცნობები, გარდა ორიოდ გამოწამყვანებისა, პ. ბუტკოვს თავის კრებულში არ შეუტანია.

რუსულ პრესაში, კერძოდ „მოსკოვისა“ და „სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნებული უცხოურ ცნობებს საქართველოს შესახებ, ქართველ საბჭოთა მკვლევართაგან, პირველმა ურადღებმა მიაქცია ი. ლორთქიფანიძემ. მან ამ გაზეთებიდან ამოკრიბა გარკვეული პერიოდის, კერძოდ, 1762-1767 წლებში დაბეჭდილი ცნობები საქართველოს შესახებ და 1940 წელს გამოაქვეყნა.

ი. ლორთქიფანიძის მიერ გამოქვეყნებული 24 ევროპული ცნობიდან უმრავლესობა ეხებოდა ქართველთა მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, ხოლო უშუალოდ ერეკლე მეფის შესახებაც ცნობა: ორ-ორი კონსტანტინეპოლიდან, ლივორიდან და ვენეციიდან, ეს ცნობები, რომლებშიც „მამაგი მთავარი ირაკლი“ მეორე აღიქვანდრე მაკედონელად იყო გამოცხადებული, ატეიალისტიებისათვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

1822 წლის ივნის-ივლისში, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო მივლინების დროს, ჩვენ გადავთვალიერეთ 1750—1761 წლების პერიოდის „სანქტ-პეტერბურგის უწყებათა“ ნომრები. აღმოჩნდა ორ ათეულამდე უცხოური ცნობა, რომლებიც, უშუალოდ ერეკლე მეორეს ეხება. ცნობათა უმრავლესობა 1752—1758 წლებშია გამოქვეყნებული, „უწყებებში“ ინტენსიურად ქვეყნდება რუსული და კავკასიური საინფორმაციო წყაროების მონაცემები ერეკლე II შესახებ. მართებულად შეინიშნავს მკვლევარი გ. მაკარაძე, რომ „რუსეთის პრესა 1758 წელს (და მომდევნო წლებშიც), როგორც ჩანს, ევროპაში გავრცელებული ხმების (რომ თითქოს ერეკლე მადე მთელ ირანს დაიპყრობდა), საპასუხოდ სავანებო ადგილს უთმობდა კავკასიაში მიმდინარე ამბებს“.



„უწყებებში“ გამოქვეყნებულ ცნობებში ასახულია ისტორიული მოვლენები, ნაწილობრივ 1747 წლიდან, უმთავრესად კი 1751 წლის მეორე ნახევრიდან 1758 წლის მიწურულამდე.

რა შეიძლება ითქვას ერკლე II-ის შესახებ „სანქტ-პეტერბურგის უწყებათა“ ფურცლებზე გამოქვეყნებული უცხოური ცნობების საერთო ხასიათზე? ჩვენს მიერ გამოზრუნებული ცნობების მეცნიერული ობიექტურობით შეფასება აღწნული პერიოდის მკვლევარ-სპეციალისტთა საქმეა. საერთოდ, გაზეთი დაუფარავი სიმპათიით იყო განწყობილი ერკლე მეფის კოლორიტული პიროვნების მიმართ, ასეთივე განწყობილებით იყო გაუღიანილი უცხოეთიდან მომდინარე ინფორმაცია, რომელსაც „უწყებები“ აქვეყნებდა. 1752 წლის 2 თებერვალს კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობა იტყობინებოდა, რომ ამჟამად, სპარსეთში 16 პრეტენდენტი ეცილებოდა ტახტს ერთმანეთს. „ითქმის ყველა სპრავიციას საუთარი შაჰი ჰყავს. ქართველი პრინცი ერკლე თავის სასრგებლოდ იყუდებს ამ არეულობას... და დიდი იმედი აქვს, რომ ხაცვა სპარსეთის ტახტსაც დაუფლდება“ („სანქტ-პეტერბურგის უწყებანი“, 1752, 20 მარტი). უფრო გვიანდელი ცნობა აღეპოლან იუწყებოდა, რომ 1758 წლისათვის სპარსეთში ყველაზე ძლიერი მმართველები იყვნენ: ქერიმ ხან ზენდლიერი მმართველები იყვნენ; ქერიმ ხან ზენდლიერი, აზატ ხან ავღანელი და მოჰამედ ხან უჯარი, მაგრამ „პრინცი ერკლეს პარტია იმდენად გაძლიერდა, რომ შეუძლია, სამივე პარტიას ერთად აღებულს, დაუპირისპირდეს“ („უწყებანი“, 1758, 5. XI).

1752 წლის 10 იანვრიდან 1758 წლის 28 იანვრამდე განვილი პერიოდში, კონსტანტინეპოლიდან და ვენეციიდან მოსული ცნობები იუწყებოან „პრინცი ერკლეს“ მიერ ვინმე შაჰ-დაუღის დედის, დამარცხებისა და ისპაანის აღების შესახებ. ცნობები, ცხადია, სპარსეთის შაჰობის რომელიღაც მებნაკლებად ძლიერ პრეტენდენტს გულისხმობენ, ამ სახელით კი სპარსეთის ისტორიაში არც ერთი ტახტის სერიოზული მამიებელი არაა ცნობილი, ცხადია, შაჰ დაუდი რომელიღაც პრეტენდენტის მეცვლილი სახელია. საერთოდ, „უწყებებში“ არა ერთი ისტორიული პირის სახელია დამახინჯებული სახით მოხსენიებული. მაგ: შაჰ შარი — შაჰროშის მაგიერ, კარინი ხანი — ქერიმ ხანის მაგიერ, ერიგლერ ხანი — ერკლეს მაგიერ. იას. ლორთქიფანიძის მიერ „უწყებებიდან“ ამოკრებილი ცნობებიც არა ერთი სახელია დამახინჯებული, მაგ: ქერიმ ხანი მოხსენიებულია-ცაუხ ხანად, ქარიმ ხანად და ა. შ.

შესაძლოა, შაჰ დაუდი „უწყებების“ უცხოელი ინფორმატორები გულისხმობდნენ აზატ ხანს, რადგან სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი უძლიერესი პრეტენდენტი, რომელთანაც ამ პერიოდში ერკლეს უშუალო მტრული დამოკიდებულება ჰქონდა, თავიანთს მფლობელი აზატ

ხან ავღანელი იყო. ბუნებრივია, ამგვარ მოწინააღმდეგესთან გამარჯვება ერკლე მეორეს ფართო საერთაშორისო ალიანება მოუპოვა, მით უფრო, რომ სპარსეთის შინაომს ევროპის დიდი სახელმწიფოები გაუაცოცხლებით ადევნებდნენ თავალ-ყურს.

ცნობათა მეორე ნაწილი შედარებით ზომიერი ხასიათისაა. ასე მაგალითად, სმირნადან მოსული ინფორმაცია თითქოს ცდილობდა ერკლე მეფის პიროვნებით გატაცებული, მტრული, ევროპული კორესპონდენციების აღფრთოვანებული ტონის დატყობას. „ცნობილი ქართველი პრინცი ერკლეს სამხედრო მოქმედება, — კეთილშობილთ ცნობაში, — არც ისე დიდმნიშვნელოვანია, როგორც ამას ევროპაში მიჩნევენ“. ერკლეს სულ 20 თუ 10 000 მებრძოლი ჰყავს, ამ ძალებით კი, ქართველი პრინცი მხოლოდ სპარსეთის საზღვრებს თუ მიუახლოვდება, შაჰის ტახტისა და ისპაანისათვის კი, რა თქმა უნდა, ვერ იბრძოდებს.

„სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნებულ ცნობათა უმრავლესობა ერკლე მეორის შესახებ კონსტანტინეპოლიდან იყო მოსული. ეს არცაა განაკვირი, რადგან აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და სპარსეთში მიმდინარე მოვლენებით ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული ქვეყანა ოსმალეთი იყო, მეფე ერკლეს მოღვაწეობის შესახებაც ევროპელთათვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, კონსტანტინეპოლი რჩებოდა.

„სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ XVIII ს-ის 50-იან წლებში, ევროპიდან მომდინარე ინფორმაციიდან ერკლე მეფის მიერ წარმოებული ომების შესახებ, გამოირჩეოდა შვედი ოფიცრის, ვინმე გილენერამის მიერ შეკრებილი ცნობები.

1758 წლის 16 ივლისის „სანქტ-პეტერბურგის უწყებებში“ დაიბეჭდა „ცნობები სპარსეთის ახლანდელი მფლობარეობის შესახებ, შეოსუნული შვედი ოფიცრის გუსტავ ფერდინანდ გილენერამის მიერ, რომელიც 1758 წლის 28 იანვარს ჩამოვიდა კონსტანტინეპოლში სპარსეთისათვის უცნობი ავტორია. მისი ვრცელი რეალაცია სპარსეთში მიმდინარე შინაომების შესახებ, გაგრძელებებით „უწყებების“ ექვს ნომერში დაიბეჭდა.

გილენერამმა უცხოელ ავტორთაგან, აღბათ, ერთ-ერთმა პირველმა მოუთითა ევროპელებს, რომ „ქართველი მთავარი“ (თავადი) ერკლე, „შველი თემურაზ ხანისა, რომელმაც მას თავისი ტახტი დაუთმო“, იბრძოდა „იმდენად არა უცხო მიწების დასაპყრობად, რამდენადაც საკუთარი ქვეყნის დასაცავად“. გილენერამი კარგად იცნობს ქართლ-კახეთის სამეფოს სა-

დომინირ შველიამ  
„სანატ-პეტერბურგის უწყებანი“  
ერეკლე II შესახებ

510


გარეო-პოლიტიკურ ვითარებას. მან იცის, რომ ერევნისა და განჯის სახანოები ერეკლეს ემორჩილებიან, ლეკები ორ პარტიად არიან გაყოფილი. ერთნი ერეკლესთან მეგობრულ განწყობილებაში არიან და მოკავშირეობენ მას, ხოლო მეორე პარტია, რომლსაც აჯი ჩელები მეთაურობს, ებრძვის „ქართველ პრინცს“.

მეფე ერეკლეს შესახებ კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის შვედი ოციერი. მოვიყვანო ამონაწერს მისი რელიგიის დასაწყისიდან, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1758 წლის 16 ივლისს დაიბეჭდა „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში“. „სახესებით არ შეეფერება სიმართლეს, თითქოს ნადირ-შაჰი მოეკლას მის ძმისწულს და მეგვიდარეს აღიღო-შაჰს. მას არ შეეძლო მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, რადგან იმჟამად შაჰის კარზე არ იმყოფებოდა. ამ მკვლელობის მოთავე იყო შაჰის გვარდიის მეთაურიდან ყველაზე წარჩინებული მაჰომედ-ხან ყაჯარ ამარი. ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ, მაჰომედ-ხანმა გაიტაცა თავისი ხელმწიფის სიმღიდრე, მათ შორის გვირგვინი, სკიპტრა და ხმალი და წაიღო თავის მამულში, ერევნის მახლობლად, სადაც თავი მოუყარა ლაშქარს და გახდა დამოუკიდებელი, როგორც სხვა დანარჩენი ხანები. ერიგლერ-ხანმა, რომელსაც გუფთებში უწოდებენ ირაკლი, დაამარცხა იგი, და წაართვა შაჰის რეგალიები, რომელნიც ახლაც ტფილისში ინახება“. აქ გილენერამის მხედველობაში ჰყავს ალბათ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი მაჰმად-ხანი, რომელიც 1749 წლის შემოდგომაზე, მულანის ველზე მომთაბარე თარაქმას თურქმანული ტომებით, ერევნის ასაღებად შემოიჭრა. ერევნის ხანმა დახმარება ქართლ-კახეთის სამეფოს სთხოვა. ერეკლემ დაამარცხა მაჰმად-ხანი, რომელიც ყარაბაღისკენ უკუიქცა და „ხარ-გვირაბის“ ციხეში გამაგრდა. „მოჰყვა ირაკლი მეფე და გარს მოაღდა, გადმოგვეცემს ომან ხერხეულიძე. ადილო ციხეცა და ცოლ-შვილიცა მაჰმად-ხანისა გამოიყვანა და რაცა აქვნდა სიმღიდრე ხაზინისა ყოველივე მეფემან ირაკლი წამოიღო და მობრძანდა ერევანს“ (ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეფობისა თეიმურაზის ძისა, საქართველოს ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოც. თბ., 1913 გვ. 251-252). ქართველი მემატიანისა და გილენერამის ცნობები, ერეკლეს მიერ მაჰმად-ხანის ნაძარცვი სიმღიდრის წართმევის შესახებ ერთმანეთს ეთანხმება. ადილი შესაძლებელია, გილენერამის ცნობა ისტორიულ კუთხიანობას ახაზავდეს, მით უფრო, ცნობილია, რომ ნადირ-შა-

ჰის მკვლელობის შემდეგ მისმა ხარლებმა შეატაცეს თავიანთი ყოფილი ხელმწიფის აურაცხელი ქონება.

თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის მეშვიდროუშან ზამირის აზრით, ერეკლეს დამარცხებული ჰყავდა მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარი — მრისხანე ალა მაჰმად ხანის მამა, იმხანად ასტრბაღის მმართველი და სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი უძლიერესი პრეტენდენტი. ზამირი 1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერს: „იმ ხანებში (სახუბარია ნადირის მკვლელობიდან 1750 წ.-მდე განვილი პერიოდზე — დ. შ.), მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარმა, რომელმაც ასტრბაღში და შემდეგ მაზანდარანში მოაპოვა დიდი ძლიერება, გაილაშქრა ერევანზე. ამ დროს გაერთიანდნენ მთელი რიგი მმართველები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ, როგორც კი მიუახლოვდა მოჰამედ ჰასან ხანი ერევანს, თეიმურაზი, ერევნის მმართველის მოკავშირე — თავის შვილთან ერეკლესთან ერთად, ერევნის დასაცავად გაემართა და სასტიკად დაამარცხა ირანელი მმართველი“ (მეშვიდროუშან ზამირი, საქართველოს ისტორიის ერთი მხარე, თურნ. „ბარახისიანი თარხინი“, № 5, 1974, უცნოელი ავტორები საქართველოს შესახებ. რეფერატების კრებული. ცნობები თარგმნა ზ. შარაშენიძემ, თბ., 1975, გვ. 45). გილენერამის ზემოთ მოყვანილი ცნობა ადასტურებს ერეკლეს მიერ მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარის დამარცხების ფაქტს. ჩანს, გილენერამისეული — მოჰამედ ხან ყაჯარ ამარი, ქართული წყაროების — მაჰმად ხანი და ცნობილი მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარი ერთი და იგივე პიროვნებაა, ასეა თუ ისე, გუსტავ ფერდინანდ გილენერამი კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს გვაწვდის ერეკლე მეფის ბრწყინვალე სამხედრო ბიოგრაფიიდან.

და ბოლოს, „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნებული უცხოური ცნობები მუშაძებელია მხოლოდ იმ ღირებულებით შევაფასოთ, თუ რამდენად ობიექტურად ასახავენ ისინი ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს, სინამდვილეს. ამ ცნობებში ყველაზე ფასეულია, მათში გამოხატული დიდი თანაგრძობა და სიმართა, რომელსაც მაშინდელი რუსეთისა და ევროპის საზოგადოება იჩენდა ქართველი ხალხის სახელგანთავსებელი და პოლიტიკური მოღვაწის ერეკლე მეორის მიმართ. ცნობები კიდევ ერთხელ მჭევრმეტყველოვნად ადასტურებენ ქართველი მეფის უპრეცედენტო პოპულარობას, „პრინცი ერეკლეს“ დიდ მხედართმთავრულ ავტორიტეტს უცხოეთში.





# გივი ალხაზიშვილი

## საიმილო სმები

მრბპალწპარ თქმულა: დრო უველაფერს ცვლის. დრომ მართლაც ბევრი რამ გადააფხასა, ბევრი რამ შეცვალა. შეიცვალა ესთეტიკური ღირებულებანი, გარემო, ცხოვრების წესი, შეიცვალნენ ადამიანებიც.

ჩვენი საუკუნე ფინიშს უახლოვდება, ახალი საუკუნის ბუნდოვანი სილუეტი, მისი გაურკვეველი არსებობა, ატომური და ნეიტრონული ბომბებით დანადგული დედამიწა, თანამედროვეობის აჩქარებული მაჩისცემა აორკეცებს და ამჟაფრებს ვნებებს. მაგრამ ლიტერატურაში ისევ ძველი ჭეშმარიტება ბატონობს: იმარჯეებს ისეთი სიახლე, რომელიც სამუდამო ექსპერიმენტად არ დარჩება და დროთა განმავლობაში კლასიკად იქცევა. ძიების გზაზე ფორმალისტ აღმომჩენთა თვითმიწურვი ენგელირობა, მათი დროებითი გამარჯვებები, სწრაფწარმავალია.

საფიქრალი, სასიხარულო და სამწუხარო მოვლენები, მოწუთრებული სათქმელი — ვეღარ იშვინებს ბრტყვილა საშოსს, სალონურ სიმშვიდეს, თვითმიწურ პლასტიკურობას, უფუნქციო სიტყვებს, გაპრანჭულ სტილს. თავის მოტყუებას, თვითილუწიას, მორჩილების უღელს — კომპრომისს, ყოველ დროს ჭყავდა თავის მომღერალი, დიხ მომღერალი და არა პოეტი, რადგან ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან განსხვავდება.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში (რა თქმა უნდა ახალგაზრდების შემოქმედებაც იგულისხმება) იმატა განსჯამ. როგორც მოგესხენებათ, განსჯა უფრო ფილოსოფოსების საქმეა ვიდრე პოეტების, მაგრამ პოეტური განსჯა მაინც სულ სხვა სამყაროა, მოაზროვნე პოეტის სამყაროა, ისეთი პოეზიაა, რომელშიც დრამატულის და ლირიკულის თვისებები ერთმანეთში შერწყმულა. აღწერის, ფესხმის პოეზია, ბუნების მშვენიერებით ვიზუალური ტკბობა, მე-

იზაუების სიტყვებით გადმობატვა, სტატიკური სურათის შექმნა, ცხადია, პოეტისგან დიდოსტატობას მოითხოვს. თუმცა, კიდევ უნდა გავიმეორო, დღეს ქართულ პოეზიაში მაინც განსჯის პრიმატი იგრძნობა. ხშირ შემთხვევაში განსჯა ცნობილი ფილოსოფიური ნააზრევის ბანალური გადამღერებაა, ზოგჯერ კი უმაღლესი პოეზია; ეს მაშინ, როცა განსჯა და განცდა — მარაღიული წყვილი, ერთარსებად გადაიქცევა და სულიერ დრამას გამოახივებს. პოეზია, რომელიც ირეალურს მოსტაცებს შუქს და ცდილობს მიწიერი, კონკრეტული მავალითებით გვაგრძნობინოს მისი მიღმეული არსებობა, ერთეულთა ზვედრია.

ცდება ის, ვინც სექტიკურად უუარებს ახალგაზრდულ პოეზიას, ვისაც ავიწყდება, რომ მის პირველ ნაბიჯებსაც სექტიკურად შეჭურებდა სხვა სექტიკოსი. ახალგაზრდულ პოეზიაში ბევრი რამ ზდება საინტერესო აქა-იქ, მაგრამ მაინც გაისმის. საიმედო ხმები, ხვალ რომ უფრო დაიწმინდება და დაიხვეწება. ზოგად საუბარს რომ არ გამოვედგენო ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის წიგნს განვიხილავ.

პაპა ზორნაული უმთავრესად ილილიური პეიზაჟების მხატვარია. თუმცა მისი პეიზაჟები არაა სტატიკური, რადგანაც ახალგაზრდა პოეტი სულის მოძრაობის უფაქიწეს ნიუანსებს ზუსტად გადმოგვეცემს და ამით ჩვენც გვაგრძნობინებს იმ მშვენიერებას, რომელსაც თვითონ ეწერა.

მშვიდი პეიზაჟები, ვიზუალური სახეებით ბავშვობის შთაბეჭდილებების გახსენება, ადამიანური სითბო — აი, ძირითადი თემატიკა ვაჟა ზორნაულის წიგნისა — „ქერ ნაპირამდე შორია“. შეილებს ჩემკენ სიცილით გამოქცეულს ვიტაცებ მალა და ვკოცნი, ვკოცნი მზის სუნთქვისავით თბულ კულულზეზე.

ირმის გულივით კრიალა სახეებზე  
და სალაპურის კრილებივით ლამაზ  
თვალბედი...

ვაჟა ხორნაული სოფლის პეიზაჟებს ოსტატურად ხატავს, მაგრამ, ზოგჯერ, მხატვრობა თვითმიწოდებით ვარჯიშს ემსგავსება. ერთ-ერთ ლექსში — „საყვარელია თქვენი უბანი“, პოეტი ცდილობს შედარებების სიუხვით გვაგარძნოხოს, რაოდენ საყვარელია „თქვენი უბანი“, მაგრამ, უნებლიეთ, შედარებები ერთმანეთს უშლიან ხელს, ერთმანეთს აქრობენ, ანელებენ და მხოლოდ ლამაზი სიტყვები ბრჭყვიანობენ, განცდა ამ ბრჭყვიანობა სიტყვების ქვიშაში იკარგება, ყოველი ახალი ფერი წინა ფერს შლის, თანაც ხასტირებული „მონატრები ბიბინებს“ ვიზუალური შედარებების ფონზე საერთოდ არ აღიქმება.

ზოგჯერ, ვაჟა ხორნაული, ერთი პოეტური სახის ვარიანტს ახდენს სხვადასხვა ლექსში. მაგალითად: „იქ, სადაც ყანა დეღამიწის ღიმილად მოჩანს“ და „დეღამიწის ღიმილივით მოვჩანდი ჰაერში“. არ შეიძლება ამ სახეებში არ გავახსენოთ ა. კალანდაძის „უაჟაო ჩანს ცის და მიწის სიცილში“.

ვაჟა ხორნაულის წიგნში ბევრი ოსტატურად შეხრთულეული ლექსი-პეიზაჟია. მე გავისვენებ ერთ-ერთ ლექსის რამდენიმე სტრიქონს:

მზე სიძულვილის ქვეყანაში ჯერ არ ყოფილა  
და მის სუსხიან ბუდეებში  
და ნაპრალებში,  
ჯერ არასოდეს ჩაუფენია  
ღედის ხმასავით თბილი სხივები.

ვაჟა ხორნაული თავისი სულიერი სიმშვიდით, ერთგვარი გაწონასწორებულობით, ფერწერით, მართლაც გამოიჩინა ახალი თაობის პოეტებისგან. მის ლექსებში დღევანდელი დამაბული რიტმი ნაკლებად შეიგრძნობა, იგი ბავშვობის შთაბეჭდილებებით და მშობლიური კუთხის უმშვენიერესი ბუნებით სასრლოობს, მის ლექს-პეიზაჟებში ზოგჯერ გაიფიქრებს ხოლმე ღედის სახე, შეყვარებული გოგო, ბავშვების, „სალამურის კრილებივით ლამაზი თვალბედი“ და ადამიანური სითბოთი აღივსება.

თამაზ ბაძაშვას ლექსების წიგნის („მე-სამე ზარი“) თემატიკა არაა მრავალფეროვანი. თამაზ ბაძაშვა განცდის მხატვარია. იგი სათქმელს გულდასმით ნიღაბს, ხანდახან თუ წამოსცდება, მაშინაც მძაფრად და ნერვიულად. შეთხილი წიგნი ერთ ვრცელ მონოლოგს წააგავს — ცალ-ცალკე ლექსებად დაყოფილს.

დაბადებამდე ჩვენი სული წყვილიაღში იწევა,  
იქ რა იქნება, რა მდულარე ცეცხლი  
დამბუგავს.

რა ნათელში გაიღვივებებს.  
ადამიანი იხადება და კვდება... რა უნდა იყოს  
უფრო ბანალური, ვიდრე სიკვდილ-სიცოცხლის

უმეა, მაგრამ დასაბამიდან დღემდე, ამ რო  
შეუცნობ სივრცეს ცდილობს ჩასწვდეს აქამ  
ინი, შეიცნოს ილუმინის არხი. ციტირებულ  
სამი სტრიქონი ის საძირკველია, რომელზეც  
ახალგაზრდა პოეტი აგებს თავის პოეტურ  
შენობას. „ორი სიცილივით“ დაფიქრების, გან-  
სჯის, ზოგჯერ სასოწარკვეთის მიზეზია. სევდა,  
რომელიც თითქმის დაუსაბამო სივრციდან შე-  
აღწევს ახალგაზრდა პოეტის სულში, გადაღის  
ლექსის სტრიქონებში. ამგვარი, თითქმის „უმი-  
ზეო“ სევდა, მარადიული თემების კვლავად-  
მომჩენისთვის ბუნებრივია. ყველა თავისებუ-  
რად ცდილობს გაიაროს „ორი სიცილივით“,  
მაგრამ ამ ქვეყნად მოსვლისა და ამ ქვეყნი-  
დან წასვლის კანონზომიერება მარად შეუც-  
ნობელია. ამ „ორ სიცილივით“ შორის ჩვენი  
სიცოცხლე გაბშულია შვის სხივივით, გაბშუ-  
ლია დროებით.

სისულელეა,  
ვის სჭირდება შენი ვნებები!  
გადაყარე, ქარებს მიუგდე,  
განაივებ და გაჟღანტე  
ბაბუაწვერას სუსტი ფიქვივით.

ახალგაზრდა პოეტის სასოწარკვეთილება დროებითია. დროებითი რომ არ ყოფილიყო, ამ ლექსს არ გამოაქვეყნებდა. ეს სტრიქონები იმ სიძარტვის დასაძლევად დაიწერა, რომელსაც იგი ვერ მოერია, ვერ გაუძლო და თავის ვნებები მკითხველს გაუშვილა. სწორედ ეს გამხელა გვაფიქრებინებს, რომ თამაზ ბაძაშვას სისულელედ არ მიაჩნია ვნებები. პირიქით, იგი მოჩვენებითად ეთანხმება სკეპტიკოს მკითხველს, რომელსაც ვნებების ლექსებად გამხელა სისულელედ მიაჩნია.

თამაზ ბაძაშვას ლექსების ლირიკული გმირი უკიდურესად დამაბული საშუალო ცხოვრობს, მისი ლექსებიც დამაბული დღეების ანარქიაა. ჭრელი, კონტრასტული ყოველდღიურობა აღმოჩენილის, მარადიულის თავიდან აღმოჩენის პირველად მოჩენის მძაფრ განცდებს უღვიძებს. მისი ხიხარულისა და მწუხარების სათავეც აქაა საქმენილი.

მაგრამ არ ჩანს ჩემი ირთა,  
ჩემი საყვარელი და ერთადელი ძმა,  
რომელიც მისხნის:

ესეც საკუთარი უძღვრების დასდევის გზების ძიება, მაგრამ უშედეგო. თუმცა ეს ლექსი, რომელსაც „შეო ამოლი“ ჰქვია, საკმაოდ მშვიდად, მშვეუბლური სტრიქონებით მთავრდება:

მზეო, ამოლი და დაამსხვრიე  
უცნაური ილუზიები, უცნაური  
სიტყვობანი.  
ჩვენ ხომ გული მოწამლულ ეკლებს  
შევახიეთ.

თუ ამ ლექსში იულა ლირიკული გმირის „საყვარელი და ერთადელი ძმა“, სხვაგან იგი წერს: „გულბრწყვილობაჲ! ხომ დავტოვებ

ერთმანეთი, როგორც... როგორც მოსიხსლე  
ქმნება. მაგრამ ეს ლექსი — „ოთხივე მხრი-  
დან“, მინც გულუბრყვილობის გამოსარჩლე-  
ბა, დატირება, ხოლო „იუდა საყვარელი და  
ერთგული ძმა“ თვითირონიის ჩაყოფა.

ო, დასასრულის დასაწყისო, ჩვენ  
ეჩვენეთ განწორებასაც,  
როგორც წყალი თავის კალაპოტს.  
ჩვენ ვეჩვენეთ სიკვდილზე ფიქრსაც,  
პურზე ფიქრსაც, ცოდვაზე ფიქრსაც.  
თამაზ ბაძალას ლექსებში კარბობს გამზუ-  
ლი ასოციაციური აზროვნება, მონოლოგი.  
ზოგჯერ იგი უნებლიე შეცდომას უშვებს. მა-  
გალითად: „და ბუნდოვანი სახეები, როგორც  
ზმანება მოდიან ჩემთან, ხელს მართმევენ,  
მეფერებინა“. „ბუნდოვანი სახეები“ ალბათ  
ზმანებებივით მოდიან და არა, როგორც ზმა-  
ნება“ „მოდიან“.

ახალგაზრდა პოეტმა, რომელმაც გულუბრყ-  
ვილობა გამოიტირა, თანდათან, ნელ-ნელა „მერ-  
მეტული ლექსისაკენ“ გადადგა ნაბიჯი.

გულუბრყვილობიდან მიაშორებამდე, პრი-  
მიტიულობამდე — ერთი ნაბიჯია, ხოლო „მერ-  
მეტული ლექსი“ თავისთავში ჩაკეტვას, დახ-  
შულობას და ფართო მკითხველიდან ერთგვარ  
გამიჭვენას ნიშნავს.

თამაზ ბაძალას ზოგიერთ ლექსში ტროპი  
მოკლებულია კონკრეტულობას, ხოლო რო-  
გორც ვიცით აბსტრაქტული ენა, უპირველეს  
ყოველივეს, მხოლოდ გრძნობის ანარეკლია. ახალ-  
გაზრდა პოეტის უმთავრესი მიზანია ალბათ ეს  
იყო — გრძნობის ანარეკლი მოემწყვდია  
ლექსებში.

მე, როგორც მკითხველს, მაინტერესებს მისი  
მომავალი წიგნი, მაინტერესებს, როგორ გან-  
ვითარდება მისი მხატვრული აზროვნება, რო-  
მელ გზას აირჩევს. მისი წიგნი — „მესამე  
ზარი“ ამგვარ მოლოდინს იმსახურებს.

•

გიმი სულბაბური, ერთ ვრცელ ლექსში —  
„სიმწიფის ატესტატი“, ამბობს:

მე ვარ ახალი  
თორემ სისხლი  
ძველის-ძველი მაქვს.  
მისი წიგნის, „სახეები თოვლში“, წაკითხვის  
შემდეგ შეუძლებელია არ გაიზარო ახალგაზ-  
რდა პოეტის ეს მოსაზრება. თუმცა ეს სამი  
სტრიქონი მხოლოდ მოსაზრება არაა, ერთგ-  
ვარი აღმოჩენაცაა, აღმოჩენა იმ სხვაობის  
შეგრძნებისა, რითაც იგი განსხვავდება წინა-  
მორბედი პოეტებისაგან, რითაც მისი თაობა  
განსხვავდება სხვა თაობებისაგან. ეს განსხვა-  
ვება არ ნიშნავს სრულ გაუცხოებას, პირიქით,  
მთელი თავისი სიხალით და განსხვავებულო-  
ბით ძველზეა აღმოცენებული.

ამ წიგნში დროის სული მძაფრად იგრძნო-  
ბა. თითქმის ყოველი ლექსი განცდილი, გა-  
აზრებული, მაგრამ უკვე ჩავლილი დროის ნა-

ყოფია, ერთგვარი პოეტური ანალიზია. განსხვავ-  
პოეზიაში დიდი ჭაფა ადგას ინტონაცია. ერთნა-  
ტონაცია ამავილებს, ამაფრებს განწყობი-  
ლებას.

შენ ვეღარასოდეს დაინახავ ქვეყნიერებას  
ჩემი თვალებით, პატარა მეგობარო!

ყველა ის ფიქრი, რაც საფერფლუმი  
ჩაისრისა,  
საგულდაგულოდ შევინახე კარადის თავზე,  
ვფიქრობდი: მივალ დიდი ხნის მერე,  
ხელს შევებებ, მოვეფერები...  
განა ვიცოდი, რომ ფიქრები მეგობრებივით  
იკარგებიან?  
გულუბრყვილობაზე! რანაირი ყოფილხარ  
თურმე.  
სულ მეგონა გავიზარდე, აღარაფერი  
მეტყინება,

დაემშვიდილი მეთქი,  
კი არ გავიზარდე, — გადავიზარდე  
და ჩემივე სხეული მაკრთობს.

გულუბრყვილობა ბავშვობასთან ერთად  
დაიკარგა. „ყველა ის ფიქრი, რაც საფერფ-  
ლუმი ჩაისრისა“ — დაიკარგა. არ შეიძლება  
არ შევინშნოთ, რომ ამ ლექსში — „გრძელი  
და მოსაწყენი“, ბავშვობასთან, გულუბრყვი-  
ლობასთან გამოშვებობება უაღრესად მძა-  
ფრადა ასახულია. ბავშვობასთან გამოშვებო-  
ბებას, „გაზრდას“ კი არა „გადაზრდას“,  
ბუნებრივი ნაღველი ახლავს. ამ ერთი სიტყვის  
გათამაშება — „კი არ გავიზარდე, —  
გადავიზარდე“, უფრო ამაფრებს და  
აღრმავებს სათქმელს.

გივი სულაყაურის პოეტური ენა ტრადიცი-  
ულიაგან განსხვავდება, — მაგრამ მაინც ტრა-  
დიციულიდანაა აღმოცენებული.

დავანგულ მთვარეს,  
ლრუბლის ტუჩებით  
უკანასკნელად შევხო ღამე.  
სწორედ ამიტომ მისი ლექსი არაა ბუნდო-  
ვანი, დახვეწილია, კონკრეტული და მთლიანია.

შენ, მოგზაურო,  
კარგი გიქნია,  
ჩვენს ქალაქში  
რომ შემოსულხარ.  
ეს ქალაქი ერთადერთია  
მთელს მსოფლიოში —  
გაუთხოვარი და სვედიანი  
ქალებით სავსე.

ეს ნაღველიან სტრიქონები შთამაგონებლად  
ეღრეს და მტკიცნულ კარბლემასაც, ვითომ  
სხვათაშორის, მაგრამ მაღალპოეტურად ეხმი-  
ანება.

„ქალები, რომლებიც უკვე ქალადღის ფერ-  
მკრთალ ყვავილებს გვიან“, და „ხელგაშლი-

გიმი ალხაზიშვილი  
სანიმელო ხმები



ლი ადამიანი", რომელიც „ქვარსა ჰგავს თურმე“, „მდინარისაგან ორად გაკრილი ბებერი ქალაქის“ მკვიდრნი არიან, ისინი უმწერენ „სიბნელეში თოვლწაფარებულ ხაგნებს, რომლებიც სანთლის ნაღვენთებს გვანან“.

ქალაქური ყოფა, თავისი კონტრასტებით, პეიზაჟებით, თანამედროვე ახალგაზრდა კაცის სულიერი სწრაფვა, — ახლებურად აუღერდა გიგი სულაკაურის კრებულში — „საგნები თოვლში“. მტკვარი, ამ წიგნში, არა მხოლოდ მფარგაფიული ორიენტირია, იგი მარადიული მდინარების გამომსახველია, მარადიული თანამედროვეა, წარსულისა და აწმყოს შემკავებელი სიმბოლოა.

საით გაჰყვით მაისის მტკვარს, უფლისწულებო და მათხოვრებო, ხედავთ ამოდის მზე, სრულყოფილი, როგორც სიტყვა, ანდა უბრალოდ,

როგორც ქართული ასომთავრული. გიგი სულაკაურის მრავალი ლექსი იწყება სტრიქონებით, რომელიც ალბათ ხანგრძლივი ფიქრის მერე აღმოცენდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი განცდილს და გააზრებულს გარკვეული დროის მერე აღადგენს, უკვე სხვა თვლით უმწერს ჩავლილ მოვლენებს. ამგვარი დროითი და სივრცობრივი დისტანცია, ახალგაზრდა პოეტს საშუალებას აძლევს დაწეროს ლექსი, რომელიც თავისებური შედეგია განვლილ დროში დახარკული ფიქრისა და განცდისა. არიან პოეტები, რომლებიც განწყობილებას მყისვე აღბეჭდვენ ფურცელზე, გიგი სულაკაური კი პირიქით, თითქოს სათქმელს თავისთავში აძველებს, ცდის და მხოლოდ მერე წერს, როცა მის აუცილებლობაში — აღარ ეპარება ეჭვი. მის მხატვრულ აზროვნებაში ფერწერული, ვიზუალური შედარებები პარაბოლს, ისინი ქმნიან სასურველ ფონს პოეტური განწყობისთვის, განსჯაში კი, არც თუ ისე იშვიათად, იგრძნობა ირონიული, ზოგჯერ სარკასტული ინტონაცია. საკუთარი თავისადმი მიმართული ირონია ნაცადი ხერხია.

რომ შემეძლოს, ამ დღეს დავშლიდი და მერე, მეც, როგორც ძველ საათს შევაკეთებდი. ან ავაწყობდი...

სამწუხაროდ, ჩიტი არა ვარ, თბილ ქვეყნებისკენ რომ გავფრინდე გაზაფხულად.

რადგან ადამიანი „ჩიტი არაა“, და „თბილ ქვეყნებისკენ“ ვერ გაფრინდება, უნდა შეეძლოს ან შეებრძოლოს ხვედრს, რადგან „არსის ხვედრი არსშივეა“.

ვახტანგ ხარჩილავას წიგნზე — „ალტერნატივა“, ბევრი რამ ითქვა საჯარო მსჯელობის დროს, ხანტერესო წერილებიც დაიბეჭდა ლიტერატურულ პრესაში. წიგნის ტრაფარეტული ანოტაცია ახალს არაფერს გვეუბნება, ამიტომ, უმჯობესია, კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ლექსები და შევეცადოთ წარმოვაჩინოთ უმთავრესი.

ვახტანგ ხარჩილავა ახალგაზრდა პოეტებს შორის უველაზე უფრო ტრადიციული პოეტია. ტრადიციულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ დამკვიდრებულა, ნაცად ფორმებს მიმართავს, არამედ იმიტომაც, რომ მისი მხატვრული აზროვნება, პოეტური სტრუქტურა ტრადიციულის გაცრქელებაა მაშინაც კი, როცა იგი ვერლიბრს წერს. მის წიგნში კი ფორმათა სიუხვე და თემატური მრავალფეროვნება თვალშისაცემია. მეჩვენება რომ ვახტანგ ხარჩილავა კლასიკურ ლექსში უკეთ ახერხებს სათქმელის ეფექტურად გამჟღავნებას, ვიდრე თავისუფალ ლექსში. ეს რა თქმა უნდა ნაკლებად არ ჩათვლება, მხოლოდ მის პოეტურ ბუნებაზე მიგვაინშნება. არც მიფიქრია ერთმანეთისთვის დამპირობისებრება ერთი პოეტის დაწერილი ორგვარი, — სხვადასხვა ფორმის ლექსები, უბრალოდ მსურდა ახალგაზრდა პოეტისთვის გამეშობილა ჩემი ეჭვი, რომელიც შეიძლება არც კი იყოს სწორი. საფიქრალი, რომელსაც მკითხველს აღუძრავს ვახტანგ ხარჩილავას ლექსები, მრავალგვარია. ერთ-ერთ ლექსში იგი წერს:

მზისა და მთვარის გასაყართან მარტოკა ვცხოვრობ, აქეთ ლამეა, იქით დღეა, შუაში შე ვარ და ორ ნაწილად მერღვევა ტანი.

ლიბიკული გმირის აღსარება საყურადღებოა. თუნდაც იმიტომ, რომ იგივე ლექსი მთავრდება შემდეგი სტრიქონებით: „ჩემი სამყაროც, შეფერილი ორფერი დროით...“ პოეტი დღისა და ღამის დროს აქუცმაცებს, ორ ნაწილად ჰყოფს, თვითონაც „ორ ნაწილად ირღვევა“ და რადგან დღე-ღამის შუაში დგაჩ თვითონვე ამთლიანებს პირობითად დაყოფილ დროს. მარადიული კითხვებით, საოცრებებით აღსავსე სიცოცხლეს გაფართოებული თვალეებით შესცქერის და დაასკვნის: მაშინ გაქრები, როცა ამოვსნი, როცა გავიგებ ქვეყნად უველაფერს...

ვახტანგ ხარჩილავა ლექსიდან ლექსში, სტროფიდან სტროფში, გამუდმებით, გულმოდგინედ ეძებს სიცოცხლის არსს, ზოგჯერ დაეჭვებული და ნაღვლიანცაა, მაგრამ მაინც საგრძნობია ის ოპტიმიზმი, რომელიც ქართული ხასიათის საერთო თვისებაა.

ცხოვრების დაწყება არასოდეს არ არის გვიან, მთელი ცხოვრება შეიძლება იცხოვრო ერთ დღეს...



და შეყვარება, შეყვარება, თვით შეყვარებაც, თუნდაც სიკვდილის წინა დღესაც არ არის გვიან.

ვახტანგ ხარჩილაძე მთლიანად უარყოფს გრძნობათა პერმეტულობას და გულუბრყვილობას, ამ ორ, ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ თვისებებს და მკითხველს გასაგებში პოეტური ერთობის დასაბუთება. მარადიული თემები არც ვახტანგ ხარჩილაძესთვისაა უცხო. იგი ცდილობს თავისი ფიქრი, სწრაფა, განცდები მკითხველისას დაუკავშიროს, ფართო მკითხველთან პქონდის უშუალო კონტაქტი. მისი ლექსები ყოველთვის კონკრეტულ მოვლენებს ასახვენ, მაშინაც კი, როცა იგი ერთგვარად განუყენებულ თემებზე წერს.

ბნელს და ნათლის, დღის და ღამის დიდი ომია კაცთა ცხოვრება და სულ გასოვდეს: ამ ომში ორი დროშით თუ აღმით არ იომებია...

ბოლო, მეოთხე სტრიქონში „ალბი“, ვფაქრობ, ზედმეტი სიტყვაა. მიუხედავად გარკვეული ოპტიმიზმისა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ დაეჭვება დაეუფლება ხოლმე პოეტს.

ის რაც ჩანს არის! მაგრამ უჩინარს როგორ მიეცეს სახე და ფერი? მზისფერი არის ის თუ ლურჯია, სიტყვით ცხადდება თუ პანწში მღერის.

ვისი ხედვრია, ჩვენი თუ ცისა, ასე ცისფერი და მოლაციცი. იქნებ უბრალოდ ენაულობთ სიზმარს და ამ სიზმარსაც ღმერთი გვასიზმრებს. დღაქტიკური ინტონაცია, ფინალის ერთგვარი აფორიზმულობა, მის ზოგიერთ ლექსში აშკარად შეინიშნება. ზოგჯერ საკუთარ აღმოჩენას გადაკეთებს და სხვაგვარად იმეორებს.

ალბათ მარტოდენ სიზმარი ვარ, მარადისობას სულ ერთი წამით დასიზმრებული. ახეთ დაეჭვებას ამძაფრებს შემდეგი სტრიქონებიც: „შე სხვებს რა ვუთხრა, როცა თვითონაც არ ვიცი სად ვარ ანდა ვინა ვარ“. დაეჭვება არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, არ შეიძლება უცოდველ ბავშვებს მკაცრი სიმართლე პირში მიახალო, იმედი გადაუწურო. სიცოცხლე გრძელდება, სიცოცხლე უნდა გააღამაზო.

მწევანდება ჩემი მწირი მიწიერი, მაღლობელი ვარ მთელი არსებით, რომ არ გამწირე და დამიტოვე გზა ხეალის დღეში გადასასვლელი. „ხეალის დღეში“ კი აღამიანს სიხარულიც მოედის და მწუხარებაც, და საერთოდ, ათასი მოულოდნელი რამ მოედის; მოულოდნელას მოლოდინი აწრთობს აღამიანის სულს.

და ვითქვიფები ათას სხვა ხმაში, ვით შორეული სუნთქვა მდინარის და ვცოცხლობ იმით, რაც ჩემში დარჩნა თქვენითვის უცნობი და უჩინარი.

ვახტანგ ხარჩილაძეს ლექსების წიგნი „ალტერნატივა“ მრავალმხრივ საინტერესო კრებულია. წიგნში შესული რამდენიმე ლექსი აშკარად არ შეეფერება მის საერთო დონეს. ბრტყილა საპკაულის შთაბეჭდილებას ტოვებს შემდეგი სტრიქონი: „და სავსე მთვარეს, ვით აზარფუნას, გვაწოდებს ღმერთის დაღლილი ხელი“.

ვახტანგ ხარჩილაძეს პოეტური ენა ნაცადი და ტრადიციულია. ტრადიციულ ლექსში სიხალის აღმოჩენა, თავისებურების შენარჩუნება ურთულესი საქმეა, ეს სირთულე ვახტანგ ხარჩილაძემ დასძლია. უკვლავ უფრო ადვილია ახალი ფორმებით სიხალის ილუზიის შექმნა, მაგრამ ასევე უდიდესი ნიჭია საჭირო ახლებური ლექსის, განსხვავებული მხატვრული აზროვნების, ახალი ფორმების დასამკვიდრებლად ამიტომაც პოეტის ფრჩევანი, ტრადიციულ ლექსში გაამჟღავნოს თავისი პოეტური სამყარო, რასაც ახერხებს კიდევ, მის შემოქმედებით პოპოციაზე მიგვანიშნებს.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც უკვლავ დროში, ქართულ პოეზიაში ახლაც მრავალადა პოეტური სიხალის ილუზიის შემქმნელი, ვიდრე ქეშმარიტი სიხალისი მაძიებელი პოეტი.

ახლა უმრავლესობას წარმოადგენს პოეტები, რომლებიც ტრადიციული ლექსის ცრურთგულების ნიღბით, მხოლოდ სტერეოტიპებს ქმნიან. მე ბევრჯერ შემომჩნევია, ნიჭიერ პოეტს, ახალი პოეტური ენის დამამკვიდრებელ პოეტს, როგორ მისდევნებდაფთხ სხვები და სხვები. დღევანდელი ინფორმაციის საშუალებათა წყალობით, ახალი პოეტური აღმოჩენა თვალისდახმახამებაში, სხვათა საკუთრება ხდება. ისიც შემიანისავს, ნიჭიერი პოეტი როგორ გაურბის მიმბაძველებს, ათანარი პოეტური ეშმაკობა სჭირდება, გონების სრული დაძაბვა სჭირდება, ერთი ნაბიჯით რომ გაუწეროს ან გზა აუზნიოს მდევრებს. მაგრამ მიმბაძველები გულშევიდად, უსირცხვილოდ ისაკუთრებენ სხვათა პოეტურ აღმოჩენებს და თავისად ასაღებენ. საინტერესოა, რა მოხდება, თუ რამდენიმე პოეტი, რომლებიც დღევანდელი ქართული პოეზიის დონეს განსაზღვრავენ, თავს შეიკავებენ და ათიოდე წელი მანაც არ გამოაქვეყნებენ ლექსებს. ზოგჯერ შეიძლება სევდიანად ინატროს პოეტმა ძველი დრო, როცა მხატვრული ნაწარმოები ერთ ან რამდენიმე ეჭმეშპლარად

პივი პლხაზიშვილი  
საჩხედაო ხმები

არსებობდა ხელნაწერების სახით, როცა მიმ-  
ბაძევილი, ძალაუნებურად, გასაგები მიზეზების  
გამო, ერთი ან რამდენიმე საუკუნით იგვიანებ-  
და, როცა დიდი დაფიქრება არ იყო საჭირო, რა-  
თა პლაგიატი მიმბაძევილისგან განგვესხვავებინ-  
ა. ასეთი ოცნება, რა თქმა უნდა ფუჭია.  
ჩვენ ვერაფერს შევცვლით. ახალმა დრომ ახა-  
ლი რიტმები დაამკვიდრა. ინფორმაციის უსწ-  
რაფესმა საშუალებებმა ფრიად აამაღლა სა-  
შუალო დონე და გაამრავლა პოეტური სიამ-  
ლის ილუზიის შემქმნელთა რიცხვი. ასეთ  
ქაოსში კრიტიკოსებს დიდი ჭაფა ადგათ,  
რათა ერთმანეთისგან განასხვავონ ასლის შეე-  
თებელნი და ორიგინალის ავტორი. ასეთ  
დროს ჩვენი წყარუბა, სულერიითას პოინცი-  
აზე დგომა, დაუშვებელია.

დალილ ბედინანძის „კეთილი მგზავრო-  
ბა“ 1970 წელს გამოცა „მერანა“. მთელი  
კრებულის შინაგან კონტრასტებზეა აგებული.  
გულუბრყვილოდ გამბედილ სათქმელს, სასა-  
უბრო ინტონაციას ზოგჯერ მძაფრი ირონია  
და პარაოქსული აზროვნება ცვლის. ზოგჯერ  
ნიღაბს ჩამოიხსნის ლირიკული გმირი და  
ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მისი მეორე მე,  
რომელიც მისსავე პირველ მეს უარყოფს.  
დალილა ბედინანძე თავის ლექსებში გვევ-  
ლენება, როგორც მეთვალყურე, მჭვრეტელი,  
უვლადფერი იმისა, რაც მის სულში და მის  
ირგველი ხდება. შეფასებს, განსჯის, დასკვნე-  
ბი გამოაქვს, პარაოქსურ აწენებს ლექსს.  
მე გავისხენებ ორ სტრიქონს ორი სხვადასხვა  
ლექსიდან, რათა ავტორის პარაოქსულუ-  
ბაში მკითხველიც დავარწმუნო.

- 1) „ქვეყნად სიყვითლე და სიკვლე ღმერთისგან  
მოღის“.
  - 2) „რადგან ერთ კაცს თუ უღალატე,  
გინდაც ყველასთვის ვიღალატენია“.
- ეს ორი სტრიქონი აშკარად მიგვანთხენებს  
ურთიერთგამორიცხვებზე შეხედულებასზე, რო-  
მელიც სულიერ დისპარმონიას ქმნის, სამყაროს  
არღვევს, აქუცმაცებს, ასოციაციური აზროვ-  
ნება შინაგან ქაოსს ასახავს.

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე  
ჭვარცმულ რითმებს  
და მარცვლებდათვლილ სიტყვებს

ლექსში ვათავისუფლებ.  
„ოთხ სტრიქონზე ჭვარცმული სიტყვები“  
გაცილებით ადრე სხვებმა ვათავისუფლეს.  
როცა დისპარმონია ვახსენე, მე არ ვვლახს-  
მობდი დალილა ბედინანძის ლექსების მხო-  
ლოდ გარეგნულ, ფორმალურ მხარეს, მსურ-  
და აღმჩინებოდა მისი პოეტური აზროვნების  
დისპარმონიულობაც. ახალგაზრდა პოეტი ისე  
ახლოს იცნობს ცხოვრების ფსიქეს, რომ ზოგ-  
ჯერ ვანუსაზღვრელ სითამამეს იჩენს.

სანაგვის გვერდით, როცა გავივლი,  
სადაც სიყვარულის ნარჩენებზე ერთმანეთი  
უყვარდებოთ ხოქოებს და ჭიებს,

როცა ნარწყვეის ნორჩ თაიგულში  
ცვირწარგული ლუფიკუნული  
ნესტოებით ყნოსავს საკუთარ  
უძლურებას... და ა. შ.  
სარკაში, რომელიც ამ სტრიქონებში ჩა-  
ბუღებულა, შემთხვევითი არაა. მის ლექსებში  
სხვაგანაც იგრძნობა დაუნდობელი სარკაში,  
და არა ირონია. არასასურველი, უარყოფა-  
ლის მიმართ. აი, კიდევ ერთი მაგალითი:  
საოჯახო მაგიდასთან ქალს აცვია  
ძილის ხალათი...

საუბრის თევზზე მის ტუჩის ვინაგერტი  
— საღლიც მინახავს ეს ქალი... საღლიც...  
„აა... ცოლია... თანაც — ჩემი“

პოეტი ქალისთვის „აღარასოდეს“ ჩვეულებ-  
რივი სიტყვაა. მისი „პირველი სიყვარული სი-  
ამაყემ ცრემლად აქცია“. მიუხედავად ამისა  
მის „ღმერთს ყოველთვის კაცის სახე და  
სიმაკირე ჰქონდა“, ამიტომაცაა, რომ ლექს-  
სები, „საღამოს ღვინო“ და „აღლოპოლი“, აშ-  
კარად გაღმოსცემს ქალის ფსიქოლოგიას,  
მის „შეურიებლობას ყოველდღიურ ერთფე-  
როვნებასთან. ასეთი დისპარმონიული და ქა-  
ოსური განწყობილებების გვერდით აშკარად  
მოულოდენელია გულუბრყვილო ლექსები —  
„დაიმახსოვრე“ და „სამშობლო“. უბრალოდ  
და შთამბეჭდავად რაიმეს თქმას დიდი ოსტა-  
ტობა სჭირდება, თვითმზნური უბრალოება კი  
ბავშვურ გულუბრყვილობას, უფრო სწორად,  
თავის გაბავშვებას ჰგავს.

დაიმახსოვრე, რომ მუსიკა  
არა მხოლოდ ვიოლინოს და ქნარის ხმაა,  
საქსოვი დაზვის და ჩაქუჩის ხმა უფროერე  
დიდი არის მუსიკა.

პოეტს უნდოდა, რომ შრომის ჰიმნი ეთქვა  
უბრალოდ, რომ „საქსოვი დაზვის და ჩაქუ-  
ჩის ხმა“ უფრო დიდი მუსიკაა, ვიდრე ვიო-  
ლინოს და ქნარის ხმა. რა თქმა უნდა, პირ-  
დაპირ არ უნდა გავიგოთ ეს მიპერბოლა,  
მაგრამ ასეთი მიპერბოლა მაინც დაუჭერებე-  
ლია, რადგან საქსოვი დაზვის ხმაურს და ჩა-  
ქუჩის მონოტონურ კაუნს არავინ აღიქვამს,  
როგორც მუსიკას. რაც შეეხება მუსიკის შექ-  
მნას, ან ვიოლინოზე კარგად დაკვრას, არანაკ-  
ლები შრომა და ნიჭი სჭირდება, ვიდრე რო-  
მელიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებას.

ლექსში „სამშობლო“ პოეტი უპირისპირდება  
სხვა პოეტებს, რომლებიც ბევრს დაბარაკო-  
ბენ სამშობლოს სიყვარულზე. თვითონაც სამ-  
შობლოს სიყვარულზე საუბრით იწყებს ლექსს  
და უცებ ახსენდება:

მე თუ დაგვირდი...  
მაგრამ ჭობია ამაზე ცოტა ვილაპარაკო...  
ღღებები მიღის და ემზღებდა  
მარტოლენ შენთვის

ჩემი ზეარაკი.

„კეთილი მგზავრობა“ ჰქვია დალილა ბედი-  
ანძის წიგნი და წიგნში შესულ პირველ

ლექსსაც, მაგრამ ეს ლექსი წიგნის მთავარ  
თვისებას არ გამოხატავს. ეს ლექსი ტყუპის-  
ცალია ლექსებისა — „ღამისხოვრე“ და  
„სამშობლო“. ზოგჯერ გაკვირვებას ვერ მა-  
ლავს მკითხველი: როგორ ახერხებს პოეტი  
„ნარწყვის ნორჩ თაიგულში ცხვირჩარგული  
ლოთისა“ და „ტვინის ვინეგრეტის“ მერე შე-  
ინარჩუნოს ბავშვური გულბურჟვილობა?!.  
დალილა ბედინაიძის „კეთილი მგზავრობა“  
სწორედ ურთიერთგამომრიცხავი კონტრასტე-  
ბით, ნიღბების სიმრავლითა და ქაოსურობითაა  
ხანტერესო. თუმცა აქვე უნდა შეინიშნოს:  
ღირიკული პროზა, რომელიც ღრმად შეჭრი-  
ლა მის ლექსებში, ერთგვარ ბანალურობას  
გვაგრძნობინებს. ღირიკული ფილოსოფიურო-  
ბა ლექსშივე უარყოფს პოეზიას.  
გაივლიებ — მიყვარხარ!  
დავიძინებ — მიყვარხარ!  
კარგად ხარ მიყვარხარ  
და თუ ავად ხარ უფრო მიყვარხარ!

შეიგინე, არ გაგაჩუმებ, არ მეწყინება!  
ამ წიგნში ორ სხვადასხვა კაცს ხატავს პო-  
ეტი. — ერთს, რომელიც სძულს, ალბათ  
„ალუკოლინსა“ და „საღამოს ღვინოს“ ღირი-  
კულ გმირს, ხოლო მეორეს, რომელიც უყვარს  
(ლექსებში „სიყვარული ქალაქის ფონზე“ და  
„პირველი სიყვარული“).

სხვა პოეტი ქალის ინტონაცია აშკარაა, რო-  
ცა დალილა ბედინაიძე წერს „შენი კმაყო-  
ფილების ეკლიანი სამკუთხედებით ჩამოკაწ-  
რულ ღამებში ჩემი ღების და ჩემი დიდე-  
ბის ცრემლი მოყვანავ“, ასევე ნახვისარაა  
— „გამოქვაბული მერვე სართულზე“.

ბალახი, მდინარე, ტუე, ხეობა, პირმზითი —  
ეს სიტყვები ხშირად შეგხედებთა მკვირი მკ-  
დღურის ლექსებში; ამ სიტყვებს პოეტი სხვა-  
გვარ დატვირთვას ანიჭებს და ისინიც, სულ-  
შთაბერილინი, პერსონაჟებივით მოქმედებენ,  
ავტორისეული ოცნებისა და სინანულის მესა-  
იდუმლენი არიან. წიგნის სათაური „ღამშვი-  
დობება საგვარეულო სახლთან“ ზუსტად გაღ-  
მოსცემს წიგნის შინაარსს.

მთის შიტოვებულ სოფლებზე ლექსების წე-  
რა დიდი ხანია რაც მოდად იქცა. ამ თემაზე  
წერენ ლექსებს ისინი, ვინც მართლა განიც-  
დას მთის დაცარიელებას და ისინიც, ვინც  
ფეხისხმას აუყოლილნი, ხელფურფი საშუალებ-  
ებით თვალებს იოსებენ და თვალთმაქცი კი-  
რისუფალივით უაღბათ ტირიან. დავით მჭედ-  
ლურის ერთ ლექსს გავიხსენებ:

ისე შეენატრი ჩემი სიყრმის მოვონებებს,  
ვითომ იქ იღვეს მამაჩემი,  
ან ჩემი ძმა,  
ან დაი ჩემი,

და დღეაღმის კუბო არ იღვეს.  
— იქ რა დაგრჩა, შე უბედურო,  
სიბერეის და შიმშილის მეტი.  
ეს სულის შემგვრელი აღსარება, ცხადია,  
ყოველგვარ სიუალებს და გამოწავლას გამო-  
რიცხავს და მკითხველს რწმუნდება — რამ-  
ხელა დარდთანაა დაკავშირებული საგვარე-  
ულო სახლის გახსენება და მასთან გამომშ-  
ვიდობება. პირდაპირ უნდა ითქვას, სწორედ  
ეს გრძნობა აერთიანებს ამ წიგნში შესულ  
თითქმის ყველა ლექსს. პოეტი, რომელიც  
ქალაქში ცხოვრობს, საგვარეულო სახლზე  
ტბილ-შწარე მოგონებებით არსებობს, როცა  
ნაფუძვარს ესტუმრება, იტყვის:

ოცბლები ხართა ჩემო ტყეებო!..  
ქარების ფეხქვეშ მტოვებულნო,  
თქვენზე წუხილმა ქალაქის ყბებს  
ვამომგლიჯა,

მოვედ, რათა თვალი დაგავლოთ.  
„ქალაქის ყბები“, „ბეტონის ჩონჩხები“ და  
ქალაქის მისამართით თქმული შრავალი „ეპი-  
თეტი“, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხ-  
ველზე, თითქოს პოეტი (ეს მხოლოდ დავით  
მჭედლურს არ ეხება) იძულებით ცხოვრობდეს  
ქალაქში. რადგან საგვარეულო სახლს არაფერი  
ეშველება, პოეტი შეგნებულად ამბობს:  
საგვარეულო სახლო მშვიდობი!  
მე დაიქვნიე ხელი და მივალ.

თითქოს პოეტმა უკვე გამოიტრია ბავშვო-  
ბის სახლი, გრძნობს, რომ ამ თემაზე დაუ-  
რულებლად წერა ერთფეროვნების საშიშროე-  
ბას უქმნის. იგი ეძებს ახალ გზას, რომელიც  
სულ სხვაგან, ახალ საფიქრალთან, ახალ სი-  
მაღლებთან წაიყვანს.

დაუსრულებელ მდინარებაში  
მეც ჩემი გზა მაქვს და სასწაული,  
მივდივარ შენგან...

იოლი არაა შეიგულო საკუთარ კერას, რო-  
მელიც სამუდამოდ ჩაქრა, სადაც აღარავინ მო-  
გელის, ამიტომაც ლექსიდან ლექსში, გზადაგზა  
კვლავ გაიხსენებს:

ალარც დედა მომელის სახლში,  
ხვასტავი ჭირმა ამომიწყვტა,  
ხოლო ცეცხლი კვამლს ცაში გაჰყვა,  
და ცარიელი მიწურიდან —

ერთადერთი გზა ტყეში გადის.  
პოეზიაში ყველაფრის ბოლომდე და ზუს-  
ტად გაშიფვრის პრეტენზია სახიფათოა. მეც  
ერთი წამით არ მიფიქრია ზუსტი შემფასებ-  
ლის პრეტენზიით გამეანალიზებინა ახალგაზ-  
რდა პოეტების ლექსები. მხოლოდ ვცდილობ  
ჩემი მოსაზრებანი და შთაბეჭდილებები მოყ-  
რძალბებულად გაუუმხილო მკითხველს.  
დავით მჭედლურზე, ამ ხანტერესო პოეტ-

გივი ალხაზიშვილი  
სანიმედო ხმები

ზე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ თუ თქმულა ქართულ კრიტიკაში. არადა მის წიგნებში დაბეჭდილი ლექსები, ცალკეული სახეები თუ ძიებები აღბეჭდილი სტრუქტურული აუცილებელ ყურადღებას იმსახურებს.

დავით შვედლური, ისევე, როგორც ვახტანგ ხარჩილავა, რითმიანი და ურითმო ლექსის, ორივე ფორმის ერთგულია. კვლავ ჩემი ეჭვი უნდა გამოვთქვა: დავით შვედლური რითმიან ლექსში უფრო თავისუფლად გრძობს თავს, რითმიან ლექსში უფრო ჩამოქნადილი და ტრევადია მისი სათქმელი. თავისუფალ ლექსში კი უფრო აბსტრაქტულ ენას ენდობა, ზოგადის განზოგადებას მიჰყვება და ძნელად შეიგრძნობს მთავარი. ამით იმის თქმა არ მინდა, თითქმის მის წიგნებში არ წამოეკითხოს კარგი თავისუფალი ლექსები. როგორ არა, იმ ლექსების ნაწილი მიმოვიხილეთ კიდევ, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: კარგი რითმიანი ლექსები უფრო მეტი აქვს ავტორს, ვიდრე თავისუფალი. დასრულებული, მაღალმხატვრული ლექსები: „შებედრა“, „ეს კაცი კაცის იერით დადის“, „წამთრის დღესასწაული“, „ხოშარის იქით მათურის ხევი“, „ახლოს იძახდა მოძახური“ და სხვა. დავით შვედლური „ოსტატურად ხტავს პეიზაჟს:

აქედან მოჩანს:  
ნელ-ნელა ლბება  
ზევების ლეში — თეთრი ვეშაპი,  
კოსმიურ ზღვიდან დედამიწაზე  
მარტის ქარებში გადმოჩეხილი.

„ზევების ლეში — თეთრი ვეშაპი“ — მხოლოდ ვიზუალური შედარება, მაგრამ ბოლო ორი სტრიქონი — „კოსმიურ ზღვიდან დედამიწაზე მარტის ქარებში გადმოჩეხილი“ — ვიზუალურ სახეს უფრო ამრავალმხრივებს.

„კანცელარიის მავადების საზოგადოებრივი ველზე“, ხალაც „უშწუროდ ქნება თეთრი ყვავილი“, ზოგჯერ ისეთი მძაფრი ლექსებიც იწერება, როგორცაა „მანვიმს და მანვიმს ანუ მინაწერი წიგნზე „ქართლის ცხოვრება“.

მაწვიმს და მანვიმს  
და რომ თქვას კაცმა  
წვიმა ათასჯერ სჯობსა სიცხეს,  
რა მეტი გზაა —  
მოთმენას ეიკრებ  
და მძივის ასხმას  
თავიდან ვიწყებ.  
ამ წიგნში („დადამშვიდობება საგვარეულო სახლთან“) გამოიკვეთა ლირიკული გმირი, რომელსაც თამამად შეუძლია თქვას:  
დაუსრულებელ მდინარებაში  
მეც ჩემი გზა მაქვს და სასწაული...

პოეტური გულუბრყვილობა ბაბუა დანელი. ას ლექსების ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. გულუბრყვილობა ლირიკული გმირიც, რომელსაც „დიდი ზათრი აქვს ყველა ქალაქელის“,

იგი ჩამოთვლის თითქმის ყველა პროფესიის მოქალაქეს, ახალგაზრდას თუ ბებერს, მოუბრუნებს მათ და დაასკვნის:  
და მაინც (რა ვენა), უნდა გითხრათ: მარტო ჩემია ეს

ქალაქი, მარტო ჩემი...  
ვინ იცის, იქნებ ეს  
ქალაქი არის იმდენი, რამდენიცა ვართ ქალაქელები...

ამ ლექსით ახალგაზრდა პოეტმა ქალაქის სიყვარული გაამჟღავნა, დიდი სიყვარული, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ უმიზნო ტავტოლოგია, სიტყვათა განზრახ გამეორება ანელებს ლექსის დინამიკას („მაგრამ რა ვენა, რა ვენა, რა... თუმცა ვინ იცის, ვინ იცის...“).

ბათუ დანელიას მრავალი ლექსი ქალაქს და ქალაქელებს ეხება: ახა დავუკვირდეთ რამდენიმე ლექსის დასაწყისს: — „დიდამშვიდობით, ქალაქელებო!“, „ი, მე ვხედავ, — ქალაქის თავზე“, — „შენ მაშინ ფიქრით დადელი ჩანხარ ჩემო ქალაქო“, „ქალაქის მკვიდრო“ და ა. შ.

გულუბრყვილობა შემთხვევით არ მიხსენებია, ახა დავუკვირდეთ ჰარზ გრძნობებს როგორ გამოხატავს პოეტი.

ფანჯარას ფარდა აღარა აქვს და ვხედავ აცანს  
როგორ ურწევს, შენი ხნის ქალი. ბავშვის  
ტირილიც მესმის,  
ღმერთო, — რა კარგია, რა  
საყვარელი...

ქალაქის მკვიდრო, თქვენი არ ვიცი, მე კი ყველი  
თქვენგანი მიყვარს და  
გათენებას ველოდები ხბოს  
აღტაცებით.

ვხედავ ნაცნობი მეგობრე ხეცტავს  
ტროტუარს, აბა!  
ღედა რომ გაწყებლავს ბავშვს და შერე  
გულში

იხუტებს სიბრაულისაგან, ქარს ისე ჰყავდა ჩახუტებული აყვავებული ბალი, აბა!  
პოეტური გულუბრყვილობის, უშუალოდის გარდა ბათუ დანელიას ლექსებში შესამჩნევია ჰარზი მეტაფორული აზროვნება. მაგალითად: თითო სამარეს ვითბრი ყოველდღე მე ამ ზეცაში, ყოველდღე თითო ოცნებას ვმარბავ.

ამ ქალაქის წვეთი ცრემლი ვარ...  
მის ქვის ლოყაზე დაგორებულნი.  
მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ქალაქს სიყვარული გაუმზილა, სოფლის ნოსტალგია მაინც არ ასვენებს: „პირველსავე მატარე-

ბელს გავატან ჩემს თავს დასავლეთისკენ და შეიძლება არც ვიპარუნო პირი აქეთენი“. პოეტს გულუბრყვილოდ უჯვარს, გული სწყუდებოდა, რომ „ვხვდებით ქულაში და ერთმანეთს არც ვესალმებით“, იგი სირცხვილით იწვიხს, რადგან ქალაქში „ერთ დღეს, ერთი კაბით ცხედარიც ჩააქვთ და პატარაძალიც აპყავთ სიმღერით“. ეს უკვე სოფლები კაცის მიერ დანახული ქალაქია, რომელიც უყვარს, მაგრამ ვერ შეზღუდვია. აქი თვითონვე გვიხმელს კიდეც: „სოფლები ბიჭო, ვადაგრაა შენ ამ ქალაქშია. — სულ დავავიწყდა კერის კვამლი, ფეხის თითებში ტალახის სითბო“..

ამ წიგნის — „ქალაქი ფრთებქვეშ“, ლირიკული გმირი შეურყენელი ბუნების, გულგლია და გულუბრყვილოა. მომაჭალი გვიჩვენებს გახუცებულ თუ არა საგულად ბავშვობიდან წარყოლილი გულუბრყვილობა. ერთი რამ კი ცხადია, პოეტის ძალა მხოლოდ გულუბრყვილობაში არაა, მითუმეტეს რომ თუ გულუბრყვილობა თვითმონად იქცა — პრიმიტიული ბავშვით ერთი ნაბიჯია. ჭერ კი პირველი წიგნით გადადგმული პირველი ნაბიჯი საიმედოა.

კომბა ბრატულის პირველ წიგნს — „ორ-შაბათი“, ჩემი წინასიტყვაობა დაერთვის. თავს ნებას არ მივცემ საკუთარი ნაწარვი გავიშეორო. მხოლოდ ერთს დავამატებ, რაც წინასიტყვაობაში არ ვთქვი. კობა არაბულის ლექსები „ორ-შაბათი“ და „ლექსი პასტორალი“ მკვეთრად გამოარჩევს მის ხელწერას. სიურრეალისტური ხილვები; ლექსებში გაჟღერებული შკაპრი ინტონაცია — უარყოფს უშიწნო ცრემლისღვრას და წუწუნს. ამგვარ სიმკაცრეში წარვივით გაისმის მწარე შეკითხვა:

რა გიხარია, ჩემო ცოლო?..  
იქნებ ვაქი გიზის მუცელში,  
რომელიც 21001 წელს დიდგორზე წავა  
და სამოსელს გაპყიდის..

დისკუსია, რომელიც „ციხკარმა“ წამოიწყო, მონად ისახავს უფრო ახლოს გაცნოს მკითხველს ქართულ პოეზიაში მოსული ახალი თაობა, წარმოაჩინოს მათი შემოქმედების მხატვრული თავისებურებანი, ის ტენდენციები, მათ წიგნებში რომ აღიბეჭდა.

ჩემს წერილში მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის წიგნი მიმოვიხილე, არჩევანი სუბიექტური იყო. შევებე მხოლოდ იმ პოეტთა წიგნებს, რომელთა შემოქმედებასაც უკეთ ვიცნობდი. არ მინდოდა სახელდახელოდ, ნაჩქარევად გადავყვითხა სხვა პირველი წიგნები და ნაჩქარევი დასკვნები გამოვტანა.

განხილული წიგნები უფლებას მაძლევს აღვნიშნო: ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება

მრავალმხრივია და ხაინტრეკო. მოუხედავად იმისა, რომ განხილულ პოეტებს ბევრი რამ აქვთ საერთო, ძირითადად მიიწვი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოლო სის საერთო, რაც მათ წიგნებში შეიმჩნევა, წინა თაობის პოეტთა მხატვრულ გამოცდილებათა დამკვიდრებასა და განვითარების იგრობა. მჭერა რომ ბევრი მათგანი ამ ცდუნებას თანდათან დააღწევს თავს და საკუთარ გზას უკეთ გამოკვებს. ჩემი აზრით, ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტის ვერლობაში პარაბოზს გაუმართლებელი, თვითმინწერი ფილოსოფიურობა, ულოგიკო მსჯელობა, მრავალსიტყვაობა, რაც თავისთავად ანელებს პოეტურ გაცნობას და აღუნებს ლექსის მთლიან დინამიკას. ვერლობაში, აღნათ, ახალი გზებია საძებნი, რათა ახალგაზრდა პოეტებმა დაძლიოს სტერეოტიპი, რომელიც კარგა ხანია შეიქმნა. ვერლობის სტერეოტიპული მოდელი, რომელიც გულუბრყვილო მსჯელობით და თითო-ორილა მოულოდნელი შეტეფორით შენდება, უკვე მოძველდა და მრავალი პოეტის საერთო საკუთრებად იქცა.

ნაკლებ აღარ გავამხვილებ უურადლებას, ამის უფლებას მაძლევს ის კარგი ლექსები, რომლებიც მათ წიგნებში ამოვიკითხე, რითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; ნაკლებ კი, ჭერჭერობით, უმრავლესობას საერთო აქვს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ავიც და კარგიც პოეტს საკუთარი უნდა ბქონდეს. მაგრამ, მოდით, ნუ დავავიწყდება რომ პირველ წიგნებს მიმოვიხილავდით, დავულოდოთ ზვადინდეულ დღეს, მათი წიგნები ამ მოლოდინს იმსახურებენ.

დასასრულ, მინდა მოკლედ შევეხო ბ. პეტრიპშვილის წერილს „შვიდობა თქვენსა მოსვლასა“. თავის წერილში იგი წერს: „დისკუსია იმისა, რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრები და თუ საჭირო გახდება ვიკამათოთ კიდეც“.

კამათის სურვილი მეც გამიჩნდა, რადგან პეტრიაშვილის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვიზარებ, ზოგიერთ მოსაზრებას კი დაზუსტება სჭირდება. დავიწყო თანმიმდევრობით. პეტრიაშვილი თავისი წერილის შესავალ ნაწილში აღნიშნავს: „პოეტური ნიჭი არის უნარი საწყაროსთან პოეტურ მიმართულებისა და ამ მიმართების სიტყვებად ჩამოყალიბება. მაგრამ პოეტი წერს სხვისთვის — მკითხველისთვის. და მისი საბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადასცეს თავისი გულის დღევა...“

აქ კი შემოდის ობიექტური ფაქტორი: ადამიანის მიერ სიტყვიერი სახეების აღქმის უნარი. პოეტმა სწორედ ისე უნდა განაღვოს სიტყვები, რომ გათვალისწინებულ იქნას აღქმის უნარი. და

ბიძი ალსაწიშვილი  
სანიმდო ხმები

რაც უფრო მეტად აქნება ლექსში გათვალისწინებული აღნიშნული კანონები, მით უფრო მეტად აადრელებს ლექსი მკითხველს... ხოლო აღქმის კანონების გათვალისწინებლად დაწერილი ლექსი, რაც არ უნდა ნიჭიერი კაცისა იყოს, მკითხველს ვერ აადრელებს... ახლა ისლად ავტორჩენია დავამტოვო, რომ აღქმის ობიექტური კანონების გათვალისწინებით წერას ოსტატობა ჰქვია“.

გ. პეტრიაშვილის წერილიდან ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოკლავთ, რომ მკითხველთან ერთად გამენაღოვნებინა დამაწყობებელი თუ არა მისი მსჯელობა. ვფიქრობ, ცალმხრივია პეტრიაშვილისეული განმარტება პოეტური ნივისა: „პოეტური ნივი არის უნარი საშუაროსთან პოეტური მიმართებისა და ამ მიმართების სიტყვებად ჩამოყალიბება“. პოეტური ნივი გაცილებით უფრო მრავალმხრივი და სერიოზული ფენომენია, ვიდრე „უნარი საშუაროსთან პოეტური მიმართებისა“. რას ნიშნავს „საშუაროსთან პოეტური მიმართება“? იღუშალიან-ეც სწრაფავს? შეუცნობელის შეცნობის გამაფრებულ სურვილს, ენით უთქმელი განცდების პოეტურ ენაზე ამტკველებას? მრავალი რამ შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ გარკვეულ, დაზუსტებულ, ამომწურავ პასუხს ვერავინ იტყვის. შემდეგ გ. პეტრიაშვილი განმარტობს: „მაგრამ პოეტა წერს სხვისთვის — მკითხველისთვის. და მისი საბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადაცეს თავისი გულის ღელვა“. ნუთუ ლექსის წერისას გამუდმებით იმაზე ფიქრობს პოეტი: სხვისთვის ვწერ და უკეთ უნდა დავწერო?! ლიტერატურის ისტორიამ იცის ფაქტები, როცა პოეტები წერდნენ თავისთვის და მხოლოდ მერე აღმოჩნდებოდა, რომ თურმე სხვისთვისაც წერდნენ. თუმცა დავეთანხმებით გ. პეტრიაშვილს რომ „პოეტი წერს სხვისთვის“, მაგრამ გავარკვიოთ, ვინ არის მკითხველი? თუ მარტივად ვუპასუებთ მკითხველი არის ის, ვინც კითხულობს, ხოლო მკითხველში ისინი, ვინც კითხულობენ. არსებობს ათსანიერი მკითხველი, გადამკითხველი, ზოგს აშუალო პოეზია ურჩევნია კლასიკურს, ზოგი პოეზიის კითხვას პროზას ამჯობინებს, ზოგი თავშესაქცევ წიგნებს უფრო ეტანება და არაფრად დაგიდევს რუსთაველს, დანტეს, შექსპირს, სერვანტეს და ა. შ. აქვე დამოამდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მკითხველი ფრიალ ზოგადი ცნებაა და ეს ერთი სიტყვა — „მკითხველი“, ყველანაირი მისწრაფების და გემოვნების ადამიანს ნიშნავს ერთად. გავყვით გ. პეტრიაშვილის ლოგიკას: პოეტის „საბოლოო მიზანი ისაა, რომ მკითხველს გადაცეს თავისი გულის ღელვა... აქ კი შემოღის ობიექტური ფაქტორი: ადამიანთა მიერ (ე. ი. მკითხველის მიერ) სიტყვიერი სახეების აღქმის უნარი“. გ. პეტრიაშვილმა შესანიშნავად იცის, თუ ადამიანს, მკითხველს

„ობიექტური სახეების აღქმის უნარი“ არ აქვს ცუდი მკითხველი, ამიტომ მოვანისწინებ „ობიექტურ ფაქტორზე“. ჩვენ ბევრჯერ ნახავს, რომ პოეტს თავის „გულის ღელვა“, ხშირად ცრუგულისღელვა, უმარტივესი გაცვეთილი საშუალებებით „გადაუცია“ მკითხველისთვის, მსმენელისთვის, დროებითი წარმატებისთვისაც მიუღწევია. თუ ნიჭიერი პოეტისთვის „საბოლოო მიზანია“ „გულის ღელვის გადაცემა“, ამას ხომ უმნიშვნელო პოეტებზე ახერხებენ შესაბამის აუდიტორიაში. ე. ი. პოეტისთვის „გულის ღელვის“ გადაცემა კი არაა საბოლოო მიზანი, არამედ მისი უკეთ გამოხატვა. „გულის ღელვის“ გადაცემას შემდეგს თუ არა პოეტი, მხოლოდ პოეტზე არაა დანაკიდებული — მკითხველთა დონეც უნდა ვიგულისხმოთ. მაგალითად: ბარათაშვილმა და ზოდერდრელმა „გულის ღელვა“ ვერ გადაცეს მაშინდელ მკითხველს და მათმა წიგნებმა ძალიან დიღბანს უცადეს შესაფერ დროს და მკითხველს.

ე. ი. არც „გულის ღელვის“ გადაცემა მთავარი და ერთადერთი მიზანია.

შემდეგ გ. პეტრიაშვილი განმარტობს: „პოეტმა სწორედ ისე უნდა განალაგოს სიტყვები, რომ გათვალისწინებულ იქნას აღქმის ობიექტური კანონები“.

როცა მწერალი რაიმეს გვიჩვენებს, უნდა ვიგულისხმობთ, რომ საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებას გვიზიარებს, მაგრამ არ უნდა დავავიწყდეთ, რომ ყველა შემოქმედს თავის საკუთარი გამოცდილება გააჩნია და ძალაუნებურად თავს არ უნდა მოვანებოთ, არ უნდა დავაკანონოთ მხოლოდ ერთადერთი და თითქმის შეუცვლადი მოსაზრება, მითუმეტეს, როცა საქმე შემოქმედებას ეხება.

„აღქმის ობიექტური კანონების“ გათვალისწინება, თუ კი „აღქმის ობიექტური კანონების“ მზა და საყოველთაო რეცეფტი არსებობს, — ყველას თავისებურად, სუბიექტურად შეუძლია, ყველა თავისი მკითხველის „აღქმის ობიექტურ კანონებს“ მიენდობა. მკითხველი კი, როგორც აღვნიშნეთ: მრავალგვარია, ჰრეკელია.

„რაც უფრო მეტად იქნება ლექსში გათვალისწინებული აღნიშნული კანონები, მით უფრო აადრელებს ლექსი მკითხველს“, ავტორებს თავის მსჯელობას გ. პეტრიაშვილი. ნუთუ „აღქმის ობიექტურ კანონებს“ ითვალისწინებდნენ გენიალური პოეტები, როცა მარადიულ შედეგებს წერდნენ, ნუთუ მათი „საბოლოო მიზანი“ მხოლოდ ის იყო „მკითხველისთვის როგორმე გადაეცათ თავიანთი გულის ღელვა“?! არა, ასე მარტივად ნუ მოვიწადინებთ საბოლოოდ გავარკვიოთ შემოქმედებით პროცესს, იღუშალს „აღქმის ობიექტურ კანონებს“ ნუ მოვუმარკვებთ, ქვეცნობი-

ერ და გსუცნობიერებელ სამყაროს კონკრეტულ საგნებად ნუ წარმოვიდგენთ.

ბ. პეტრიაშვილი ასე ავითარებს თავის თეორიას: „აღქმის ობიექტური კანონების გათვალისწინებით წერას ოსტატობა პქვია... ოსტატობაზე ფიქრი სხვაზე ფიქრი. მაშასადამე ოსტატობა წინეობრივი ცნებაა“. მე მესმის მისი კეთილი განზრახვა, ახალგაზრდა პოეტებს ესაუბროს გულახდილად, თავის აზრი გაუზიაროს, მაგრამ აზრის გაზიარება ზოგჯერ იცვლება თვითდაქვრებული მტკიცებებით და იგი ურთულეს საკითხებზე გააოგლებულად მხტვობს. ვერც იმაში დაეთანხმება ბ. პეტრიაშვილს, რომ „ოსტატობა წინეობრივი ცნებაა“ და სხვა არაფერი. რადგან მრავლად არსებობს ოსტატურად დაწერილი უწინეობანი. თუ ოსტატურად შეიძლება აინახოს უწინეობა, ოსტატობა წინეობრივი ცნება აღარ იქნება.

მთელ ამ ვრცელ ამონაწერში, რომელიც გავაანალიზე, ერთმა სიტყვამ მოშტრა ყური, რომელსაც ბ. პეტრიაშვილი მრავალჯერ იმეორებს: „გათვალისწინებულ იქნა ს აღქმის ობიექტური კანონება“. „გათვალისწინებულა“ თვითმიზნად არ უნდა იქცეს, თორემ პოეტი დაკარგავს იმ თავისუფლებას, რომელიც შემოქმედებით პროცესს ახაზროებს. ამდენი გათვალისწინების შეზღუდვაც ჩვენ შეიძლება მივიღოთ წინასწარ დაუსტებელი, ყოველნაირად გაანაწილებული „გათვალისწინებული“ უემოციო ნაწარმოები, რომელსაც „გულის დღევა“ ჯაჟღედა.

ბ. პეტრიაშვილი თავის წერილის დასაწყისში ნკითხველს მიმართავს: „ვეცადოთ მართლა გარუმოთ არ გამოგვივიდეს ლაპარაკი, შევიტრათ საქმეში და კონკრეტულად ვილაპარაკოთ“. ამ დაპირების შემდეგ იგი ვრცლად მიმოიხილავს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის წიგნს, დაწვრილებით აანალიზებს ყოველ ნიუანსს, ყოველ სტრიქონს და რჩევა-დარბეზებს აძლევს ავტორებს. იგი ზოგიერთი წიგნის განხილვისას ჩქარობს და მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვით შემოიფარგლება: „კარგია“, „ეს ცუდია“, „კარგია კრებულის მშვიდი სტრიქონები“, „მეც მომეწონა“. თვითონვე დასძენს: „რადგან ხშირად მიწევს თქმა: „ეს შეცდომაა“, „უნდა შევიზნო“, „ავტორს ვურჩევ“ მეტი, არ მინდა ეს ვინმეს საწყენად დარჩეს. შენიშვნის და რჩევის უფლებას ჩემს თავს ვაძლევ ისე იმიტომ, რომ მეტრად ვთვლი თავს, არამედ იხევ და იხევ იმიტომ, რომ „სხვისი სხვამან უკეთ იცის“.

ეს მობოდიშება, ერთგვარი თავის მართლება იმიტომ დასტირდა, რომ თვითონაც იგრძნო, რომ რამდენიმე წლით უმცროს კოლეგებს,

ზოგ თანატოლ პოეტსაც კი, რომელმაც გვიან გამოსცა პირველი წიგნი, მოსწავლეობივით ესაუბრებოდა. იმის ახსნა-განმარტება, რომ „ჩვენი გული, გრძნობა და გონება ისეა მოწყობილი, რომ უველაზე უკეთ ორგანული მთლიანობა ახდენს ჩვენზე შთაბეჭდილებას...“ რომ „ამიტომ ყველა ლექსში უნდა ვეცადოთ ორგანული მთლიანობის მიღწევას“, კეთილსურვილს შეიცავს თავისთავად, მაგრამ ვანა შეიძლება ვინმეს ასწავლო „გულის, გონების და გრძნობის „ორგანული მთლიანობა“ როგორ მიიღწევა ლექსში? როცა ჩვენი კოლეგებს ვესაუბრებით, ახაკობრივი განსხვავება, უფრო მეტი წიგნის ავტორობა არ უნდა გვაძლევდეს იმის საშუალებას, რომ ზემოდასა და ვხედოთ მათ და მარტივი პოეტის გაკეთილებს ჩავუტაროთ.

გურამ პეტრიაშვილი ახალგაზრდა პოეტებს ურჩევს: „ძალიან ხშირად არ მოდის ის, რასაც შთაგონება პქვია ან ანგელოზი, რომელიც ყურში ჩახსურჩულებს ხოლმე პოეტს“. შთაგონების, ანგელოზის, მუზის, ანტიკურობიდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნემდე გულწრფელად სჭიროდათ პოეტებს და ლექსებსაც უძღვნიდნენ. არც ისეა საკამათო, რომ შთაგონება ყველა კემპარტივი პოეტის ხშირი სტუმარია. სახედნიეროდ იგი დღესაც არსებობს, რომ შთაგონება სულის თავისებური მდგომარეობაა. აღბათ გურამ პეტრიაშვილმა იმის თქმა უნდოდა, რომ შრომა, დაუღალავი შრომა სტირდება პოეტს. ამაში კი მართალია იგი; გასწორების, გადაკეთების, ძიების, კითხვის გარეშე არაფერი გამოუვა პოეტს. როცა ოსტატობაზე საუბრობდა იგი, აღბათ იქვე უნდა ეთქვა, რომ ოსტატობა გამოუღებელი შრომით მიიღწევა, რომ საშუალო ნიჭის პოეტმა, შრომის წყალობით შეიძლება მიიღწოს ვერსიფიკაციულ ოსტატობას.

არა გამოირიცხული, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტს სჭიროდეს „ანგელოზის“ — შთაგონების, მეორეს უფრო ნაკლებად; ერთი ქმნიდეს მხატვრულ ნაწარმოებს, მეორე აკეთებდეს, „განალაგებდეს სიტყვებს“, ანდა დგამდეს, როგორც რეჟისორი სპექტაკლს. ყველა თავისი სუბიექტური მეთოდით ხარგებლობს. მე იმის თქმა არ მინდა, რომ არ გავარჩიოთ ავი და კარგი. უნდა გავარჩიოთ, მაგრამ როგორ? აღბათ უნდა გავაანალიზოთ და წარმოვარჩიოთ პოეტური ნაწარმოების თავისებურებანი, მხატვრული ტენდენციები. მხოლოდ იმის მტკიცება, რომ „არ მომწონს“, „ცუდია“, „ძალიან კარგია“ არაფერს მოგვცემს, და ბოლოს მინდა ბ. პეტრიაშვილისვე სიტყვებით დავასრულო: „დისკუსია იმისა, რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრები და თუ საჭირო გახდება, ვიკამათოთ კიდევ“.

# პარპენი, ანუ თავისუფლების სიყვარული

ცხვრის ფარას აღევნებული ანდალუსიელი მწერის ბივი სევლიანად აკენებდა სალამურს. გზად ჩავლილმა მუსიკოსმა, სულმნათმა კაცმა, ქრისტობალდ როხასმა, ანდალუსიის მინდვრებიდან წამოიყვანა და ალკარასის კონსერვატორიაში მიიბარა ბესამე კარო. უკუღმართმა გარემომ გააუბრეშა პატარა ბივის ფაქიზი სული. ბონაპარტისტი „მემისტორი“ („ბონაპარტისტში“ საზოგადოდ ტირანიის დამცველი და ძალივით ერთგული იგულისხმება) გონებალუნგი კარტუზო ბაბილონია სტუდენტებისაგან გარდასული დიქტატორის ქება-დიდებას შიოხვოვდა. ნორჩი მუსიკოსის სილამაშითა და სათნოებით აღსავსე სულს ბეთპოვენი უფრო ემხიანებოდა, ვიდრე კორსიკელი დიქტატორი. კარტუზო ბაბილონია მთელი ცხოვრება ვატერლოსთან ნაოლეონის დამარცხებას მისტიროდა; ბესამესათვის კი დიდი აღამიანის ქვეშაირი დამარცხება ის იქნებოდა, ნაოლეონისადმი მიძღვნილი მესამე სიმფონიის თავფურცელი ნაკუწებად რომ არ ექცია კომპოზიტორს. პატარა მუსიკოსში ტირანიის მოძულე ამოიციეს და აღდგენით სამუშაოებზე გაგზავნეს. აღდგენითი სამუშაოები იმას ჰქვია, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, გამასწორებელ სამუშაოებს ვეძახით. აქ კი გადაუგვარებს და დაუმახინებს პატარა მუსიკოსს სათუთი სული. არადა, სული მარმონიით ჰქონდა სავსე ბესამეს. აკი თვითონვე ამბობს: „ბოლო მარმონია... ნამდვილ მუსიკოსს სულში უნდა ედგას“. დაირღვა ბესამეს სულის მარმონიულობა და აღდგენას თხოულობდა იგი...

ამ ამბავს გურამ დოჩანაშვილი გვიყვება მოთხრობაში „ვატერ (პო) ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“. მოთხრობა სათაურადანვე ცოტა უცნაურად გამოიყურება. თავი რომ დავანებოთ სიტყვათა თამაშს, „ვატერლოო“ — „ვატერპოლოო“, მკითხველის გაოცებას ქართული მწერლის მიერ შორეული ანდალუსიელი მწერის თავგადასავლის თხრობაც იწვევს. თუმც ეს გაოცება არც ახალი იქნება და არც მოულოდნელი მათთვის, ვინც წაიკითხა გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი“. ამ რო-

მანით უკვე შეგავჩვია მწერალმა ამბის ერთგვარ გაუცხოებას, უცხოენოვან ტოპონიმებსა და ონომასტიკას. ეს ფაქტი მკითხველმაც შეინშნა და სალიტერატურო კრიტიკამაც. ამიტომაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ რა მხატვრულ კანონზომიერებას ეფუძნება მწერლის ამგვარი არჩევანი. პირველყოვლისა, თვალშისაცემია ის გარემოება, რომ აღნიშნული მოთხრობა ვერ თავსდება ე. წ. ყოფითი რეალიზმის ჩარჩოებში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გროტესკული რეალიზმის ნიმუშთან.

კრიტიკოსები შეინშნავენ, რომ თანამედროვე პროზაში მოთხრობისა და რომანის კლასიკური ნორმები არა თუ დარღვეულია, არამედ პაროდირებულიც, პაროდირების საგნად იქცა ფაბულირება, ჩვეულებრივი სწორხაზოვანი თხრობა, მწერლის გულმოდგინება, რეალურ სინამდვილედ მოგვაჩვენოს გამოგონილი ამბავი. პირიქით, თანამედროვე პროზაში ხაზგასმითა აღნიშნული ამბის არარეალურობა და ხელოვნურობა. თუმც, ამ მხრივ, ქართველ მწერალს „შორს წახვლა“ არ სჭირდება — კლასიკური მაგალითი აქვს სულოხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ხაზით, სადაც მწერლის დამოკიდებულება მხატვრული გამოხატონისადმი სათაურშივე მინიშნებული.

არც გ. დოჩანაშვილი ცდილობს სინამდვილედ მოგვაჩვენოს მის მიერ აღწერილი ამბავი. მაგრამ ამით გამოხატონი ფასს არ კარგავს, რადგან ხელოვნებაში მხატვრული სიმართლეა მოკვარი და რეალურობისა და გამოგონილის ურთიერთობას თავისი კანონზომიერება აქვს. ამ კანონზომიერებაზე მკაფიოდ მიუთითებს მწერალი ერთ აღრეულ მოთხრობაში — „საქმე“. „ლუკას ხელთ უპყრია ნაღდი ქვეყანა. მარტოა ცდა დიდი აღამიანების გონებითა და მარტყენა ხელით ბოძებული, შექმნილი თითებში გამოჩუქედილი კალმითა და ბატის ფრთით, რომელსაც ვერავითარი „ნამდვილი ამბავი“ ვერ შეედრებოდა — ეს მხატვრული სიმართლე იყო, სინამდვილეთაგან ყველაზე ძლევაშისილი, უდალდისი“.



გ. დოჩანაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ამბის პირობითობას, მხატვრულ გამოხატვას. „ვატერ (პო) ლოოსი“ მთხრობელი შენიღბული კი არ არის, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, წინა პლანზე გამოდის. მოთხრობა იწყება იმის აღწერით, თუ როგორ, „დაჯდა წერად“ აფრედერიკ მე (მთხრობელის სახელია) იგი ერთგვარად ჩართულია ნაწარმოების ფაბულაში, მონაწილეობს სიუჟეტურ პერსონაჟებში, ამჟღავნებს და ააშკარავებს ავტორის ტენდენციას, რაც მკითხველს ხელს კი არ უშლის, პირიქით, მოვლენებისადმი მის ანალიტიკურ და მოკიდებულებას ემხსურება. რაც მთავარია, მწერლის ირონიული მიმართება მთხრობელისადმი არ არღვევს ნაწარმოების აზრობრივ-სტილურ ერთანობას, მის გროტესკულ ხასიათს. აფრედერიკ მე „მაგიდას მიუჭდა და იქვე აღმოაჩინა, რომ ამ უკანასკნელ ავიეტის სახეობასთან ერთად ამბის ხორცუხსნისხასიათის საჭიროა სკამიც, და სინათლაც, და მხედველობაც... და სხეულის სხვათათვის წვრილმანიც დაწყებული თავით და დამთავრებული იმით, რითაც სკამზე უნდა დაჯდო...“

უკვება „კავკასიელი აფრედერიკი“ ანდალუზიელი ბიჭისა და შორეული პროვინციის — შურისის მკვიდრთა უცხო თავგადასავალს და ამ „გაუცხოებს“ თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს. იგი საშუალებას იძლევა სინამდვილის ანალიტიკური ხედვისა და მისი არსის განვითარებისათვის. ნაცნობი და შეჩვეული მოვლენა განსჯის ობიექტად იქცევა და მკითხველის გონებრივ აქტივობას უწყობს ხელს. „გაუცხოების“ დროს მოვლენისა თუ საჯნის ობიექტივაცია, პირველ ყოვლისა, მხატვრულ განვითარებას ემსახურება. საგნებსა და მოვლენებს თითქმის დაკარგული აქვთ კონკრეტული სახე და მათი წარადგინა არის სცენარულადა. ხელოვანი კონკრეტულ სახეთა და მოვლენათა უკან მათ ღრმა აზრს ჰვრტებს. „გაუცხოების ეფექტის“ ფუნქციონირება ბერტოლტ ბრეტტი მოქმედების ადგილს შორეულ ეპოქაში თუ უცხო მხარეში (ჩინეთსა ან კავკასიაში) გადატანის პირობებისა თუ იდენტის წარადგინა ხასიათს ავლენდა და მის აქტიულობაზე მიუთითებდა. ისე არ მინდა გამოვიყენო, თითქმის მხატვრული განვითარების ერთადერთ საშუალებად „გაუცხოების ეფექტი“ მიმაჩნდებ. ეს არჩევანის საკითხია და, ბუნებრივია, ქართველ მწერალსაც აქვს არჩევანის უფლება. მით უფრო, რომ უფრავს „გვეფხისტყაოსნის“ მაგალითი უმაგრებს. გავიხსენოთ რუსთველის — „ისე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“

გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში ანტიკონკრეტული საშუალებად „გაუცხოების ეფექტია“ გამოყენებული. ამიტომაცა მოქმედების დრო XIX საუკუნის 50-იანი წლები, ხოლო მოქმედების ადგილი შორეული ანდალუზია თუ ესპანეთის ქალაქები. „გაუცხოების ეფექტის“ შედეგობით

ამბავი ერთგვარ ეგზოტიკურ მომხიბვლელობადა და პარაბოლურობასაც იძენს. სწორედ პარაბოლურობა აძლევს საშუალებას მწერალს, არ მისწყდეს სინამდვილეს, რუსთველის მშობლიურ გარემოთა და თანადროულ სინამდვილეს გულისხმობდა „სპარსული ამბავი“, თორემ სხვაგვარად როგორ იტყუოდა გამოჩენურებულ არაბ სპასპეტზე „ტაბილ-ქართულით“ ესაუბრებოდაო გულისხმობს — თინათინ არაბთა მეფეს.

„გაუცხოების ეფექტის“ დროს პერსონაჟთა სახედობა იმდენად პირობითია, რომ ზნორად ავტორი არად დაგიდევთ შეუსაბამობას პერსონაჟის სახელსა თუ გვარსა და მის ეროვნულ წარმომავლობას შორის. ამგვარი პირობითობაც ნაწარმოების იდეისა და პერსონაჟის ხასიათის განვითარებას ემსახურება. ბ. ბრეტტი სპულიადაც არ ისხავდა მიწად ქართული ონომასტიკის წესტად დაცვას, თორემ გერმანულ მწერალს როგორმე ქართული სახელი ქეთევანი მაინც ექნებოდა გაგონილი (გერმანულ ლიტერატურაში პოპულარული ქეთევან წამებულის გამო) და ქართველ ქალს გრუშეს აღარ დაარქმევდა, აღარც გვარად იქნებოდა მისი პერსონაჟი ხახავი — ჩაჩავს ნაცვლად. ამგვარ პირობითობასთან გვაქვს საქმე გ. დოჩანაშვილის მოთხრობაშიც. სხვაგვარად რატომ დაარქმევდა მწერალი თავის პერსონაჟს უცნაურ სახელსა და გვარს — ბესამე კაროს (ბესამე ესპანურად მაკოკოს ნიშნავს, კარო იტალიურად — ძვირფასი)?

საერთოდ, პერსონაჟთა არაკონკრეტული წარმომავლობა და მახასიათებელია გროტესკული რეალისმისათვის. ამის გამოა, რომ „მემისტორი“ კარტუზო ზან ჰერ კარტუზო, ზან კარტუზ ფედოტიჩი, ზან კარტუზო სან, ზან კარტუზო ფედოტიჩი ძე და სხვა. აღნიშნული, ისევე და ისევ, მხატვრულ განვითარებას უწყობს ხელს.

წერის ამგვარ მანერას ძალიან ცოტა აქვს საერთო XIX საუკუნის პროზისათვის და მახასიათებელი ე. წ. „თხრობის უშუალობასთან“. თანამედროვე პროზას თხრობის უშუალობისა და თანამედვერობის ნაცვლად გარკვეული „მონტაჟურობა“ ახასიათებს. გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში ძირითადად ამბავს მოხდენილად ერწყმის პროსპერ მერიმეს კარმენის თავგადასავალი. კარმენის სახე და ამ სახის მწერლისებური ინტერპრეტაცია ლაბიტკოვად გახდეს მოელ მოთხრობას, ქმნის აზრობრივ კვეთქებს და ნაწარმოების იდეის გახსნას უწყობს ხელს. აღკარახის თავისუფლებანართმულ და დამონებულ მკვიდრთ კარმენის სახე უპირისპირდება. დაუმორჩილებელი ბოჟა ქალის იგავითუწვდენელი პოეტური მშვენიერება და სილადე თავისუფლების წყურვილს ადვივებს.

„ადღენით სამუშაოებში“, რომელსაც „ზატო-

ამირან გომარტაილი  
პარამინი, ანუ თავისუფლების სიძვარული

ნი“ დანიელ მუსხილიანი რეჟისორის განაგებს, არსებითად სატელევიზიო ატმოსფეროა აღწერილი. ამ სატელევიზიო თავისებური „კატერპილარისთვის“ ამზადებს რეჟისორი აღსადგენლებს. მაგრამ ეს არაა სპორტული თამაში და არც წყალბურთთან აქვს რაიმე საერთო. რეჟისორის საწვრთნელი ვარჯიში და თვით თამაშიც ადამიანის სულის დამახინჯებასა და მხეცური ინსტინქტების გაღვივება სემსახურება. აღსადგენლები ერთმანეთს თავ-პირს უსიხლიანებენ, ძვლებს უშტერებენ და წყალში ახრჩობენ. რაც მთავარია, ამ დროს აღსადგენელთა მწვრთნელი თუ შედამხედველი მათგან გულგრილობის, აუღელვებლობისა და სინშიდის ნიღაბს მოითხოვს. „აბა ზე, თაჰო, ფრანცისკას მუცელში წიხლი ხეოქე, თანაცკი თავზე უწყინარად გადაიხვი ხელი, ვითომ თმას იხწორებ“, — ასე მოდგმავდა რეჟისორი აღსადგენლებს. როგორც ზედათ, სწავლების წესი, ქალღმობთან ერთად, თვალთმაქცობასაც ითვალისწინებდა. თვალთმაქცობა ზომ აუცილებელი ატრიბუტია ტირანიისა. გარდა ამისა, დიქტატურის დროს დიდი ვასავალი აქვს პირმოთნობას, სიტირებს, დასმენას, ურთიერთ მოსყიდვას, სულიერ პროსტიტუციას...

„მემისტორი“ კარტუზის „სახეღვაკარდნილი“ ცოლი, მერგრეტ ბოსკანა, ლოპეს დე მორალესის საყვარელია. კარტუზომ მშვენიერად იცის ეს, მაგრამ მიანიც უსრმოკრილი შონა ადგილობრივი მმართველისა. თუმც ბატონი და მონა, როგორც წესი, არ ენდობიან ერთმანეთს. მოენდო მისულ კარტუზს. გაუშიშვლებდალ არ უშვებენ ჰერცოგის კაბინეტში — მორალესი შიშობს დანა არ ჰქონდესო. თავის მხრივ, არც კარტუზია მშვიდად. ცოლის ვაზაბებს აღარ დაქვებებს, საკუთარი თავის შიში აქვს... ვაშიშვლებული „უსამოვრო ეკვით ფაქრობდა: ამ უშვერებმა... რა-ზე არ მიყოფ...“ ასე, რომ ურთიერთ „სიყვარულში“ ბარბ-ბარბ არიან მონა და ბატონი.

რეჟისორის აღსადგენელი თუ საყვარელი სრულიადაც არაა მოწვეტილი გარესამყაროს. იგი აღკარასის ტირანული გარემოს წიაღში აღმოცენდა და მისი განუყოფელი ნაწილია — აღკარასის შერყენილი, დამახინჯებული და გოგონაწართმეული სასოგადოების ფანტაზიის ნაყოფია. აქი „კატერპილარისტა“ პაქტობას მყურებელიც ბლომად ჰყავს და აღსადგენელთა გამოჩენაზე ზომ „დაჩაბაში შემახილებითა და აბლოდისმენტებით შეიყა“. აღკარასი და საყვარელი ერთია. ამდენად, ტირანული სახელმწიფო ტოტალური საყვარელია. ამ ატმოსფერომ დაამახინჯა ბესამეს სამშვიველიც. თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა ბესამეს რეჟისორის სატელევიზიო, მაგრამ ბოლოს ისე გაიწაფა, რომ შიშის ზარს სცემდა აღსადგენლებს. აქ უნებლით მახსენდება ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილი ჭაბუა ამირჯიბის რომანის პარაბოლი: მეზღვაურებს ისეთი ვირთავის გამ-

ოყვანა სურთ, რომელიც მუსრს გაავლებს მდინელებს ბომაღღზე. ამ მიზნით დამშვენილ მხრებს რკინის კასრში ათავსებენ წყვილ-წყვილად და ბოლოს, ბომაღღზე ასაყვანად, იმ ვირთავას შეარჩვენ, რომელსაც ყველა თანამომე შემოეჭმება. როცა მუშნი წარანდაი აბრავები ურთიერთს გადაჰქიდა და ერთმანეთი გააფუენა, დათა თუთაშიამ თქვა: „კაცოჰამია ვირთავა გამოყვანეს მავათ.“ პარაბოლის აზრობრივი შინაარსი ერთნაირია ორივე ნაწარმობენ, რადგან ერთია არსი და მიზანი ტირანიისა — იგი ადამიანში ადამიანურს კლავს. ოღონდ სხვადასხვა მხატვრული ხერხითა და განსხვავებული პარაბოლით აქვთ გადმოცემული მსგავსი იგავური შინაარსი ზ. ამირჯიბისა და გ. დოჩინაშვილის. ლოპეს დე მორალესის, მისი იდეოლოგიის კარტუზო ბაბილონისა და ქალთ რეჟისორის აღდგენითი სამუშაოების მიზანიც იგივეა — კაცობის ვირთავის გამოყვანა სურთ მათ. შიდაწიეს კიდევ მიზანს. გადაგვარდა და გაუხეშდა ბესამეს სული. ამის დასტური მისი კონკრეტული საქციელია.

„ბესამე მუღამ ღონეს იკრფდა, რომ შეხედლებოდა უფრო მწარედ ვისიმე ჩქმეტა, იმ სამი თითით, რომლებითაც რომ სოფლის პატარა ეკლესიაში კვირ-კვირაობით პირჯვარს იწერდა“. ასე იცვლება დიქტატურის პირობებში ღვთაებრივი სათნოება უხეშ ძალად, ვერავობად და გაუტანლობად.

მერმე... უმწიკლო გოგონას, ქრისტობალდ როხანის შვილიშვილს, სათნოებით სავსე რამონას დაუპირა გაუპატიურება ბესამემ. მოთხრობაში რამონა სიკეთის, სიღამაზის, სისპეტაკისა და უმანკოების სიმბოლოა. ამაზე მიანიშნებს მისი შრავალი სახელი: „ჰალის რამონა“, „ბინდის რამონა“, „ნდოხის რამონა“, „დიდსულგონების რამონა“ და სხვა. ერთი სიტყვით, იგი მშვენიერისა და პოეტურის, ამაღლებულია და ღვთაებრივის ხატია. აღდგენით სამუშაოებგამოვლილი, გაუხეშებული და გადაგვარებული ბესამეს სამშვიველისათვის კი უცხოა ნდობაც, დიდსულგონებაც, ჰალის მშვენიერებაც და ბინდის ფერით ტუბობაც. ამიტომაც დაუთარა გაუპატიურება გოგონას, რომელშიაც ღვთაებრივი სული იყო ჩაბუდებული. ქრისტობალდ როხანის მოვლოდენი გამოცხადება იხსნის ბესამეს სულს წაწმენდისაგან. ბესამეს „მხარე დაედო, ჩამოაწვა მრავალნაყოფი, დიდ ქრისტობალდ დე როხანის უფშიძმესი, მუსიკოსის ვეება ხელი“. კვლავ ჩაედვარა სულში პასტორალური იდილიის მანგები... კვლავ ჩაესმოდა: „ფარაში დამიდოდა ერთი ციკანი...“ ეს სიტყვები ბავშვობის შორეულ, შეურყენელ დღეებს ასხენებს მას და კვლავ სიყვარულითა და ღვთაებრივი პარმონულიობისაგან მოიქცევა ბესამე. შიშოლიერ სოფელში დაბრუნებული „ნაშუაღამევს ქობიდან ფრთხილად გამოდიოდა ბესამე კარო და უშაღ-



ღებო მახლობელ სოფლებს დამ-ღამობით ისე ფაქიზად, ისე წმინდად ედებოდა მთავრის ეფენები, შინარე გლეხებს, მიწის მუშაკთ, დალოცვლი მიწის მფლობელებსა და ყმებს ძილში მკრალ შევბად ეფინებოდათ ამ სუვევლაზე იღუშალი საკრავი ხმები...“ „ღამის ღებანში თითქოს კენტად იჭდა ბესამე, გარემოსილი ფლეთის მწუხროთ, და ეხ, სწორად ეს გახლავთყე მისი ნამდვილი აღღვენიოთი სამუშაოები, ქვეყანასა და მის ჭინჭველტოზე მჩატე ფლეთით მიმომფენი თავისუფლება და სიყვარული“.

ასე აღხდგა სახიერება ბესამეს სულისა.

ჩვენს ხალიტრატურო კრიტიკაში აღნიშნულია, რომ გ. დოჩანაშვილის სტილური თავისებურება ვლინდება სიტყვების უჩვეულო და მოულოდნელ გამოყენებაშიც. მწერალს ახასიათებს სიტყვისადმი ერთგვარი თავისუფალი დამოკიდებულება მისი ახალი შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით. ამ შემთხვევაში სიტყვის სემანტიკური შესაძლებლობები ფართოდება. მაგალითად, როდესაც გ. დოჩანაშვილი კეთერაძეებზე იტყვის „ღმერთო, კეთილად გეტარებინოს ხამივე საქართველოს ძნელ, მიმთხვეულ გზებზე...“ აქ სიტყვა „მიმთხვეული“ ზუსტად შეესატყვება როგორც ნაწარმოების სტილი, ასევე კეთერაძეების დამოკიდებულებას მშობლიური გარემოსადმი. სწორად ამ „მიმთხვეული გზების“ სიყვარულს აწვავის შალვა კეთერაძე ვაღდენილ და გაზულუქებულ თანამდებობის პირს (მოთხრობა — „ერთი რამის სიყვარულს დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ქმა კეთერაძე“).

„ვატერ(პო)ლოოში...“ გროტესკული პარაბოლის შექმნას ემსახურება არა მარტო ფანტასტიკურ-მოჩვენებითი გარემო და ეგზოტიკური ფონი, არამედ ნაწარმოების ენაც. ბ. ბრეტეწერს: „ეგზოტიკური ბაზისია პარაბოლისათვის სიტუაცია, რომელიც ჩვენს წინა, იმდენად ახლოსა და იმდენად ჩვეულებრივია, რომ არ გამოდგება ზოგადი დასკვნებისათვის, მაგრამ თუ მას ეგზოტიკურ გარემოში გადავიტანთ, იგი გადაიქცევა აღეგორიად. თუ მისთვის გამოვიყენებთ ეგზოტიკური გამოთქმებით მორთულ ენას, მაშინ ენაც პარაბოლის მსახურით განხედება“ (ხაზი ჩემია — ა. გ.).

„ვატერ(პო)ლოოში...“ სიტყვისადმი მწერლის დამოკიდებულებას მოხირობის გროტესკული ხასიათიც აპირობებს. გ. დოჩანაშვილის მოთხრობის ენაც, მისი ქართულიც გროტესკულ გამოსახვას ემსახურება. ანტონაძე არ გვეხამუება „მეზობლარის“ ცოლზე თქმული „სახელგავარდნილი“. მაგრამ იუვენიორის ხიზუსტეა საჭირო, რათა სიტყვისადმი ავგვარმა დამოკიდებულებამ არ დააზარალოს მწერალიცა და ნაწარმოებშიც. ზომიერების გარეშე მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურება გამაღვიანებლად თვალში ხაცემი იქნება და შინარის აღქმას შეუ-

შლის ხელს. ეს საშიშროება, აღაღაღა, შეიჩინება განახალიველი მოთხრობის ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. „სადამიანცოტათოდნავთ თითქოსდაიქნებ“). ხატუვის უჩვეულო და მოულოდნელი გამოყენება ისევე უნდა გვეხმარებოდეს აზრობრივი შინარის აღქმას, როგორც ზემოთ ნახხენები სიტყვა „მიმთხვეული“ გვეხმარება შევიგროხოთ შალვა კეთერაძის დამოკიდებულება მშობლიური მიწა-წყლისადმი.

უდავოდ საინტერესო მოთხრობის მიმართ კიდევ ერთი შენიშვნაც მაქვს: ცოტათი ვაჭიანურებულთა თხრობა ზოგიერთ ეპიზოდში. აღხადგენილთა „აღწარდის“ რქესახისეული მეთოდს არხი და მიწანი თუ აღნიშნული პასაჟის აზრობრივი ფუნქცია სავსებით გასაგებია მეთხველისათვის ორიოდ მაგალითის შემდეგ. რქესახის „აღწარდელთა“ ბრძოლის დაწვრილებითი აღწერა კი ვაჭიანურებულის შობაბედობლებას ტოვებს: ანელბს ექსპრესიულობას და ამ ეპიზოდის მომატებული ირონიულ-პაროდული სტილი, პირიქით, სიმთაფრეს აკლებს აღწერილ ამბავს. არადა, ავტორის მიწანი იყო მეთხველის შეტრწუნება და აღშფოთება ადგილზეა რქესახის სატუსალოთი.

აღსანიშნავია, რომ გროტესკული რეალიზმის ქართული ნიმუშებისათვის ერთგვარი შინაგანი ოპტიმიზმია დამახასიათებელი. გ. დოჩანაშვილის მოთხრობის ფინალიც ოპტიმიზმით გვაკვებს იმის გეგმ, რომ „ეპქრენდ, დაიკარგენ საცხა“ ამა ქვეყნის ძლიერნი „უფლებადიდაღშემოსილი კურფიურსტები...“ „ხოლო ბეთოვენი, თითქოს იმაზე დამოკიდებულნი, თქვენ წარმოდგინეთ, დარჩა“. მერე ავტორმა სულთა მარადიული საუფლოდად გამოიხმო „ღიდაბოცრები, სულ ექვისი კაცო... ხახი, ბენდელი, მოცარტი, ვივალდი, როსინი, ვერდი...“, მაგრამ უველაზე შთამბეჭდავად მაინც ქართული მოთხრობის ფურცლებზე გაცოცხლებული კარმენის სახე მოგვევება, როგორც სიმბოლო გაუტბეელი ნებისა და თავისუფლების უხაზღვრო სიყვარულისა და ვხედდებით, რომ მწერალს „ტყუალუბრალოდ კი არ ახხენდებოდა თავნება ქალი სახელად — კარმენ, თავისუფლებას, სულის ველურად აუვავებულ ბუჩქნარს, მისით ეტრფოდა და დიდად უყვარდა თავისუფლება“.

**მრცალი მიწაწარი**

„მამ, აბა გადაშალეთ წიგნი ჩემი და გულახხმა ჰყავთ წყითხული. აი მაშინ აღხათ... არც ისე უხაზმწო საგანთ დაინახავთ, ვაითუ ვისმე სათაურისა წყითხვისას რომ გეგონათ“.

ფრანსუა რაბლე „გარბანტუს და პანტაბრეშილი“

ჩემი წერილი რედაქციაში კარგა ხნის მიტანილი იყო, როდესაც ეურნალ „შნათობში“



(№ 9, 1982 წ.) გამოქვეყნდა ელიზბარ ჯაველიძის კრიტიკული სტატია, „პოეზიისა და პროზის მიჯნაზე“, რომლის ერთი ნაწილი გ. დონაშვილის მოთხრობის განხილვას ეძღვნება.

ე. ჯაველიძე კარმენის სახესთან დაკავშირებით წერს: „აფრედერიკ მე-ს და კარმენის ერთგვარი „ლირიკული დიალოგები“, რომელიც, ჩვენი აზრით, ებრძვის მიწვე-შედგებობრივი მიმართებით ავტობულ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, არღვევს ნაწარმოების ლოგიკურობას, შემოაქვს აბსურდის ელემენტს და ამკვიდრებს უსისტემობას“. სხვაგან კიდევ აღნიშნავს, რომ კარმენის სახე... „არ ემსახურება მოთხრობის ძირითადი პრობლემის ახსნას და მწერლისეული ჩანაფიქრის განვითარებას“.

ე. ჯაველიძე კარმენის სახე აბსურდის თეატრის პრინციპებიდან გადმოდებულად მიიჩნია, მისი აზრით, „ლირიკული წიაღსვლას“ (იგულისხმება კარმენის სახე — ა. გ.) ძირითადი მიზანი ნაწარმოებში ალოგიკური, აბსურდული ელემენტის შემოტანა... და ის კიდევ ერთხელ მიგვანახებს, რომ ხელყოფნა და საერთოდ ცხოვრება აბსურდია და მეტი არაფერი“.

კრიტიკოსს მოთხრობის ენაც „აბსურდის“ მსოფლმხედველობის გამომატველად მიაჩნია, რადგან „ამ უაზრო და აბსურდულ სამყაროში ყველაფერი და, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ენაც აბსურდის მსახური უნდა იყოს, რადგანაც მას (აბსურდულ ენას) უფრო მეტად ახერხებს ძალა გარეწვლად მოწესრიგებულ, მაგრამ შინაგანად უაზრო და აბსურდულ ყოფაში ჩაგვახედოს“. ყოველივე ეს მწერლის პოზიციადაა მიღებული და ამის შემდეგ კრიტიკოსს ალოგიკურად ეჩვენება მოთხრობის ფინალი. იგი წერს: „რამდენადც მე მესმის გ. დონაშვილის ჯერ არ დგას აბსურდული ხელოვნების მიმდევართა პოზიციაზე. ყოველ შემთხვევაში ამ მოთხრობიდან ეს არ ჩანს. მწერლისათვის... ზოგადად სამყარო მისაღებია და მოსაწონია. მისი ღრმარწმენით, სიკეთე ბოლოს მიერ განიმარტვებს ბოროტებაზე ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ მოთხრობის ფინალი“.

მაგრამ ნაწარმოების ფინალის მოჩვენებითი ალოგიკურობა შექმნა კარმენის სახის არასწორმა ინტერპრეტაციამ და ამის შედეგად, მოთხრობის აბსურდის ხელოვნების პრინციპებზე დაუყვანა. არადა, კარმენის სახის აზრობრივი შინაარსის ამოკითხვა აუცილებელია ნაწარმოების გააზრებისათვის.

კარმენის სახე, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, და ჩემი წერილის სათაურადაც გავიტანე, გ. დონაშვილის მოთხრობაში სიმბოლოა თავისუფლებიანა. მიუხედავად დონ ზოგის თავდავიწყებამდე მისული სიყვარულისა, პროსპერ მერიმეს ბოშა ქალს არ ძალუძს შეელიოს ცხოვრების ღალსა და თავისუფალ წესს. თავისუფლების დათმობას სიკვდილი ურჩევს და

არაფრად დაგიდევთ ავისმომასწავებელ გრძნობასაც. კვდება კარმენი და ეს სულთახანა, თავნება ქალი მოთხრობის ფურცლებიდან ისე გადმოდის ჩვენში, როგორც მარადიული ხატება დაუმორჩილებლობისა და თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულისა. აქ უნდა ვეძიოთ ამ სახის ეშხიცა და მომხიბვლელობაც. ასე წაკითხვაც შეიძლება პროსპერ მერიმეს „კარმენისა“. რაც მთავარია, ასე კითხულობს მას გ. დონაშვილი და მის მოთხრობაში კარმენის სახე არღვევს რეალური სახის ხამანებს და თავისუფლების სახე — სიმბოლოდ წარმოგვიდგება, რომელიც მწერლისა და მისი მკითხველის „ტრფობის“ საგანია. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: „თავისუფლებას, სულის ველურად აუვავებულ ბუჩქნარს მისით ეტრფოდა და დიდად უყვარდა თავისუფლება“. აქედან გამომდინარე, ღალი და დაუმორჩილებელი ბუნების ბოშა ქალს მერიმესეული ქალური ხიბლი და მიწვინდევლობაც შენარჩუნებული აქვს და იდეალისკენ ლტოლვის წყურვილსაც აღვივებს. ალკარასის ტირანულ სამყაროს კარმენის სახე უპირისპირდება, როგორც სიმბოლო თავისუფლებიანა. ეს ერთი, და მეორე, მიუხედავად ამ „ტრფობიანისა“, ატორმა იგი გროტესკის შესაქმნელადც „გაწირა“. მართალია, კარმენი თავად არაა გროტესკის ობიექტი, მაგრამ მისი მეშვეობით იქმნება გროტესკული გამოსახვა და ამდენად, კარმენი ნაწარმოების უნარულ (გროტესკულ) სტრუქტურაშიცაა ჩართული. ე. ჯაველიძე აღნიშნავს, რომ კარმენის სახეს, ან როგორც იგი უწოდებს — „ლირიკულ წიაღსვლას“, პრობლემისათვის იყენებს მწერალი და მისი მეშვეობით, „თანამედროვეობის ზოგირდით მორალურ-წინეობრივ საკითხს და მის ობიექტულურ გააზრებასაც კილავს“. ამგვარად, კარმენის სახეს, თუ შეიძლება ითქვას, ორმაგი ფუნქცია აქვს მოთხრობაში. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ „აქლია ფუნქციური დანიშნულება და არ ემსახურება მოთხრობის ძირითადი პრობლემის ახსნას და მწერლისეული ჩანაფიქრის განვითარებას“. არც „ალოგიკურობისა და უაზრობის ელემენტის შეაქვს მოთხრობის მთლიან კომპოზიციაში“.

ნაწარმოების ანალიზისას მისი აზრობრივი შინაარსიდან უნდა ამოვიდეთ და გარედან თავს მოხვეული კრიტიკულებით არ უნდა მივუდგეთ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერლის მიერ ამა თუ იმ მხატვრული ხერხისა ან მეთოდის გამოყენებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და მისი აზრობრივი ფუნქცია უცნობი დარჩეს ჩვენითვის. სხვადასხვა შემთქმედმა ერთი და იგივე მხატვრული მეთოდის გამოყენებით სრულიად განსხვავებული შინაარსი შეიძლება შექმნას. ეს არაა გათვალისწინებული კრიტიკულ წერილში. ე. ჯაველიძე წერს: „მწერალს არ განუწარმავს ამ მოთხრობაში ხასიათების შექმნა

და მათი განვითარების გადმოცემა. ის გვთავაზობს სქემა — იდეებს... ანეთი მეთოდით თანამედროვე დასავლური ლიტერატურიდან არის აღებული“. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გ. დოჩანაშვილი იგივე მხატვრული შინაარსის შესაქმნელად იყენებს აღნიშნულ მეთოდს, როგორადაც თანამედროვე დასავლური მწერლობა მიმართავს მას.

გ. დოჩანაშვილის შემოქმედებაში ზოგჯერ მართლაც არ გვხვდება ხასიათების განვითარება და 'საქმე გვაქვს სქემა-იდეებთან. მაგალითად, ბესამეს საულიერი მეტამორფოზის ეპიზოდში არაა ნაჩვენები პროცესი ამ შვიწვევი ფერაცვალებისა და ამდენად, ხასიათის განვითარებულობა. მეტიც, სქემა-მოდელით აზროვნება განსაკუთრებით შეინიშნება მწერლის პიესაში „ხორაში ქართული ციკლა“. პიესაში პერსონაჟთა სახელდებაც კი ამაზე მიუთითებს. მაგალითად, ერთ-ერთ პერსონაჟს „დამაშოშინებულ“ ჰქვია და ამით თავიდანვე გაცხადებული პერსონაჟის ხასიათი. და მისი ფუნქცია პიესის მხატვრულ-აზრობრივ კონსტრუქციაში. იგი საზოგადოების იმ ნაწილს განასახიერებს, რომელიც მუდამ შფოთისა და ამბოხის წინააღმდეგია და ობიექტური გულისფანქვლით ირჩევს დამაშოშინებლის პოლიციას. მაგრამ მიუხედავად სქემა-იდეებით აზროვნებისა, პიესაში დასმული პრობლემა და მისი ოპტიმისტური გადაწყვეტა მთლიანად გამოირიცხავს მსოფლმხედველობრივ თანხედრას ახსურდის თეატრის პრინციპებთან.

ე. ჭაველიძის ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ სქემა-მოდელით აზროვნება ახასიათებდა შუა საუკუნეების ლიტერატურასა და ხელოვნებას (ეს მისი წერილიდან ჩანს და ადრეც საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი. იხ. მისი „აღმოსავლური პოეზიის ტიპოლოგიისა და შესწავლის მეთოდისათვის“, „მნათობი“, № 4, 1981). ეს ფაქტი აშკარას ხდის, რომ გ. დოჩანაშვილი აღნიშნული მხატვრული მეთოდის გამოყენებისას სრულიად არ იყო ვალდებული, საკუთარი მსოფლმხედველობა თანამედროვე დასავლური მწერლობის მსოფლმხედველობრივი მოდელისათვის დემორჩილებინა. ამ შემთხვევაში მსგავსი მხატვრული მეთოდის გამოყენებას ერთი სერიოზული წყარო გააჩნია — შუა საუკუნეების ლიტერატურა.

სქემა-მოდელით აზროვნება არც რენესანსის ეპოქის გროტესკული რელიგიოზიოზისაა უცხო. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ „ვატერ (პო)ლოო...“ გროტესკული სატირია და ვიქტორბო, გაუგებრობა მოთხრობის ტანრობრივი თავისებურებების გაუთვალისწინებლობამაც გამოიწვია. ნაწარმოებში უველაფერი გამოსახვის გროტესკულ მანერას ემორჩილება და ქმნის გროტესკული მწერლობისათვის დამახასიათებელ ერთიან მხატვრულ სამყაროს. პოეტური პროზაც კი ამ სამყაროს აუცილებელი

მხატვრული კომპონენტია. მომხიბლავი პოეტურობითაა აღსავსე რაბლეს „გარგანტუა პანტაგრელიც“. სხვათაშორის, გ. დოჩანაშვილისეული თარგმანი მაქსიმალურად ცდილობს, შეინარჩუნოს პოეტურობა რაბლეს თხზულებში. ქართულად მთარგმნელი რაბლეს თხზულების მაღალმხატვრული პოეტურობის შეგრძნებას პროზისა და პოეზიის მონაცემებით გვიქმნის.

პოეტურობას მარტო რიტმული პროზა არა ქმნის გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში. კიდევ ერთხელ ვადაიკითხეთ ბესამეს ბავშვების მოქალაქე მაგრამ პოეტური აღწერა: შემოდგომის საღამოს იდილიური სურათი ღარიბი გლეხის ქოხში, დედის ნანა... და დამეთანხმებით ამაში. აქ იმდენი ლირიზმი და უნაწესი კაშხანია, რომ ნიკო ლორთქიფანიძის პოეტურ პროზას გაახსენებს ქართულ მკითხველს. არც ლორთქიფანიძისეული სევდიანი პოეტური აქცია აღნიშნულ მხატვრულ სასახეს. პოეტურობითაა აღსავსე არა მარტო ბესამეს ბავშვების აღწერა, არამედ ჭერ კიდევ წინააღმდეგობრივი ბესამეს რამონათონ ურთიერთობაცა და სიკეთისაკენ მისი კვლავ მოქცევის ეპიზოდები. ამ წინფაქიში, პოეტური გარემოს დაპირისპირება ალკაისის წინააღმდეგობრივ საზოგადოებასთან ნაწარმოების აზრობრივი შინაარსის წარმოჩინებას ემსახურება.

მოთხრობაში წერის პოეტური მანერა ხშირად გამოიყენება ირონიის შესაქმნელად. მისი მეშვეობითაც მართავს მწერალი მკითხველის ემოციურ განწყობილებას. მაგალითად, რეკსანის სატუსალოს ეპიზოდებშიც გამოიყენება სოლემ პოეტური ინტონაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში რიტმული პროზა ცრუპათეტიკურობის გამოსახტვისა და პაროდირების საშუალებაა და ირონიის საშხახურშია ჩაყენებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობის ენობრივ-სტილური თავისებურება, რომელმაც დიდი აზრობა სხვადასხვაობა გამოიწვია და ჩემი აზრით, მოთხრობისადმი მკითხველთა ერთი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზიც გახდა. ამდენად, იგი საგანგებო მხედლობის თემაა.

„ვატერ(პო)ლოო...“ ენობრივ-სტილურ თავისებურებას, უპირველეს ყოვლისა, მოთხრობის გროტესკული ხასიათი აპირობებს. უცნაური, ფანტასტიკურ-მოჩვენებითი სამყაროს ასახვასა და გადმოცემას, გროტესკისათვის დამახასიათებელ სარკაზმს, სატირასა და პაროდულლობას, ენაც თავისებური ესპირობება. მეტიც თავისებურია რაბლეს გროტესკის ენა-ზოგიერთი ადგილი პირდაპირ გაუგებარი და ბუნდოვანია რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრელიცში“. მაგალითად, მკითხველისათვის ნა-

ამირან გომართელი  
კარმინი, ანუ თავისუფლების სიპარული

თელია მხოლოდ საერთო არის და მიზანდასახულობა „გარგანტუსს“ მეორე თავისა, ხოლო კონკრეტული შინაარსის ამოკითხვას, ცალკეული წინადადების აზრის გაგებასა და მათ ლოგიკურად დაკავშირებას კი მკითხველი ვერ ახერხებს. ასეა ეს ორიგინალშიც. ამიტომაცაა, რომ ე. ზაგრატიონის ქართულ თარგმანში ეს თავი გამოტოვებულია და ამ ბუნდოვანი ტექსტის მიზანდასახულობა მხოლოდ ახსნილი. გ. გოგიშვილის თარგმანში კი მკითხველი ამაღელვებელად ლოგიკური შემეცნების მეშვეობით გაიზაროს აღნიშნული თავის შინაარსი. ამ შემთხვევაში ემოციური არის და მიზანდასახულობა. ერთი სიტყვით, პირობითობით სავსე მხატვრული სამუაროს შექმნისას ნაწარმოების ენაც ამ პირობითობის მხსნურაა.

იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე გ. დონანაშვილის მოთხრობაშიც. მისი მოთხრობის ენობრივ-სტილური თავისებურებაც გამოსახვის გროტესკული მანერით არის გაპირობებული. ამ დროს ძალზე ხშირია მწერლის მიდრეკილება ახალი სიტყვიერი კონსტრუქციის შექმნისა თუ სიტყვათქმნაობისაკენ. ეს აქტიური პროცესია და თანაბრად ემსახურება, როგორც აზრობრივი ასპექტის, ისე ემოციური, გამომსახველობითი დატვირთვის გაზრდას. სიტყვას, კონკრეტული შინაარსის ვადმოცემის გარდა, ემოციური გამომსახველობაც გააჩნია და მისი მეშვეობით უსუსტად მუდგნდება ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟსა, ფაქტისა თუ მოვლენისადმი. მაგალითად, გ. დონანაშვილის მიერ „ჩამომავკეთის“ კვლობაზე შექმნილი სიტყვა „ჩამომალაპორანტეს“ („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) გაცილებით მეტ ემოციურ და აზრობრივ დატვირთვას ატარებს, ვინემ გამოთქმა — „ლაბორანტეს დადამიყვანის“. ასე რომ, ახალი სიტყვიერი კონსტრუქცია გ. დონანაშვილის პროზაში ემოციური განწყობილების შექმნას ემსახურება და არა აბსურდული შინაარსის გამოსატყვის; აზრობრივი კავშირი მხატვრულ ტექსტთან ემოციური შემეცნების მეშვეობითაც მყარდება.

განსახილველ მოთხრობაში მწერლის კარტულუზი ბაბილონიაზე ამბობს: „ისტორიისა მიმომასწავლელ“. სხვაგან კიდევ კარტულუს „მეისტორიე“ ეწოდება. მაგრამ მწერალს რომ კარტულუზი ბაბილონიაზე „ისტორიის მასწავლებელი“ ან „ისტორიკოსი“ ეთქვა, ვანა ეს შექმნიდა იმგვარ სარკასტულ დამოკიდებულებას ტორანის იდეოლოგიური ლაქისადმი, რასაც — „ისტორიისა მიმომასწავლელ“ ან „მეისტორიე“? ამგვარ პოზიციას სრულიად არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ე. ჯაველიძე გვეუბნება: „გ. დონანაშვილი ცდილობს, სიტყვას საერთოდ მოუხსნას აზრობრივი ფუნქცია, არაფრის გამომსახველად აქციოს“. ეს კი, მი-

სი აზრით, გამოწვეულია ავანგარდისტების პოზიციის გაზიარებით, რომლებმაც „დაწყვიტეს“ ის დაშლა და შექმნეს უაზრო აბსურდულ სიტყვათა ფორმები და გამოთქმები, რითაც სურდათ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ ყოველგვარი არსებობა და ყოფიერება აბსურდია“.

ვატერპოლისტა პაეტროვის მაყურებელს გ. დონანაშვილი „გულისგულშიგან შემატკივარს“ უწოდებს. მიუხედავად ხელმოწერობისა, იგი გაცილებით უფრო სხვაგვარ დამოკიდებულებას გვაქმნის რეჟისორის ვატერპოლისტა გონიზანდისშული, უაზრო ემოციებს აყოლილი, ბრბოდქცეული მაყურებლისადმი, ვიდრე ყოველდღიურ მეტყველებაში სპორტის თაყვანისმცემელთა მიმართ დამოკიდებული სიტყვა — „გულშემატკივარს“. რატომღაც ეს არაა გათვალისწინებული და კრიტიკოს „გულისგულშიგან შემატკივარი“ არაფრის გამომსახველად მიაჩნია. აქვე ერთი რამ უნდა შევნიშნოთ კიდევ, ე. ჯაველიძის მწერლის მიერ, როგორც იგი ამბობს, „ენის დამსხვრევის“ მიზნით შექმნილი „არაფრისმთქმელი სიტყვები“ თუ სინტაგმები მოაქვს ცალკე, კონტექსტის გარეშე. არამც თუ უკონტექსტად, არამედ მოთხრობის აზრობრივი დე მხატვრულ-სტილური მთლიანობის გაუთვალისწინებლადაც კი გაუგებარი იქნება მათი მხატვრული და, გენეზით, სემანტიკური ფუნქცია.

მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამითაც ნათელი უნდა იყოს, რომ „ვატერ(პო)ლოს...“ ენობრივი თავისებურება მოთხრობის გროტესკული ხასიათით, გამოსახვის სატირულ-ირონიული თუ პაროდული მანერით არის გაპირობებული და ნაწარმოების აზრობრივ-სტილურ ერთიანობას ემსახურება. სხვა საკითხია, ყოველთვის აღწერს თუ არა მწერალი მიზნად ან ამ პრიციპის მოპარება ბოძ არ ვნებს ნაწარმოებს? მე პირადად მგონია, რომ მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურება ზოგჯერ მოკლებულია მხატვრულ ფუნქციას. ეს განსაკუთრებით შეიენიშნება მწერლის ახალ მოთხრობაში „განსმდგომი შუაკაც“ („სიკაიკა“, № 9, 1982). „ვატერ(პო)ლოს...“ სატირული გროტესკია და მისი აზრობრივი შინაარსი ძირითადად თანმიერებაშია გამოსახვის სატირულ-ირონიულსა თუ პაროდულ მანერასთან. „განსმდგომი შუაკაცი“ კი, ჩემი აზრით, ეს თანმიერება დაარღვეულია. ამ უკანასკნელს ყოფითი შინაარსი აქვს და ნაწარმოების ტრაგიკული ინტონაცია, მასში გამოსატყვის სულის შემშთაველი ატმოსფერო, წინდაცემული გარემო (მოთხრობაში საქმისანთა ყოფა აღწერილი), განსაკუთრებით კი ფინალის განწირული სულისკვეთება, ვერ გულისხმობს გამოსახვის ირონიულ-პაროდულ სტილს. მიუხედავად სანტიტერესო აზრობრივი შინაარსისა, ძირითადად

ამ ნაკლოვანების გამო, მოთხრობა მოკლებულია მხატვრულ მთლიანობას. „ვატერ(პო)-ლოოში...“ კი, სათაურიდან მოყოლებული გროტესკისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-შინაარსობრივი მთლიანობა არსებითად არსად არ ირღვევა.

გ. დონანაშვილმა მოთხრობის გროტესკული ხასიათი სათაურშივე გავეჩინა არა მარტო უცნაური სახელდებით „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენილი სამუშაოები“, არამედ უფრო აშკარად, ისევე და ისევე გროტესკული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხუმრობანარკვი, ფრჩხილებში მიწერილი უანრობის განსაზღვრებით — ფანტასტიკური მოთხრობა. გროტესკი ზომ რეალობისა და ფანტასტიკის, ტრაგიკულია და კომიკურის შეხამებაზეა დამყარებული. აქი ლექსიკონებშიც წერია, გროტესკული — უცნაურს, კომიკური — ფანტასტიკურს ნიშნავს. მოთხრობას რომ შევნიერებულ ფანტასტიკასთან არაფერი აქვს საერთო, ყველასათვის ცხადია. მართალია, ე. ჯაველიძემ აღნიშნავს, რომ მოთხრობა გროტესკია, მაგრამ ანალიზისას არ არის გათვალისწინებული მისი უანრობრივი სპეციფიკა.

სხვათაშორის, ხუმრობანარკვი, ფხვედომეცნიერული ტონი ნაწარმოების დასათაურებისას საერთოდ ახასიათებს გროტესკულ თხზულებას. ფხვედომეცნიერულია ხაზგასმულია რაბლეს თხზულების სათაურშიც: „მზავი... რომელიც შეუთხზავს ოდესღაც კონტინენტის გამომხდელ მაგისტროს ალფორების ნაწიგს“. სატირიკოს გოგოლი კი „სერიოზულად გვიმტკიცებს“, „სადამოები დიკანის მახლობელ ხუტორში“ მეფუტკრე მწითური პინკოს დაწერილია, ესეც სათაურშივეა გაცხადებული.

საერთოდ გროტესკულ კლასიკას შესავლიდანვე ახასიათებს ერთგვარი ავტობიოგრაფიული ტონი და ავტორის ფაქტობრიული, ლაზღანდარა დამოკიდებულება მკითხველთან. ყველაფერი ამის მიღმა კი სერიოზული შინაარსი გამოსჭვივს და მისი ამოკთხვაა მთავარი. ამიტომაც აღარება რაბლე თავის თხზულებას სიღრმებს, პაწია ზარდახშებს, რომელთა ჭრელაჭრული მოხატულობა, უცნაური და სასაცილო გოგორება ფასადებზედ განს ნიღბავდა.

„სახელმორჭმულნო მემთვარენო და ღირსად პატივცემულნო ცუღკირშეყარენო (რამეთუ თქვენდა ძღვენად, და არა ვინმე სხვისა, დამწერია წიგნი ჩემი)“, — აქი ელანდანდარაება რაბლე მკითხველს პირველივე ფრაზიდან.

გოგოლის თხზულებაში „სადამოები დიკანის მახლობელ ხუტორში“ უკვე მკითხველი ლაზღანდარობს. „ეს რაღა ამზავია: სადამოები დიკანის მახლობელ ხუტორში, რა არის ეს, რა სადამოებია?“ და ა. შ.

ამგვარი, ხუმრობანარკვი შესავალი და ლაზღანდარობა ახასიათებს გ. დონანაშვილის მოთ-

ხრობასაც. ამ მხრივ იგი კლასიკური გროტესკის კვალს მიჰყვება და თავიდანვე შევსჯანს მწერალს გროტესკული პირობითობითა და სარკაშით აღსავსე მხატვრულ სამყაროში. ამიტომაც ახსენდება კავასიელ ურდერის, რომ ამის ზორცუხსნიხათვის საჭირო იყო კალამიც, კალმისტარიც, სკამიც, სინათლეცა და მხედველობაც. აგრეთვე იხილ. „როითაც სკამზე უნდა დაქდე“. აქვე ვიტყვი, რომ სკაბრეულობა საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა გროტესკისა და იხილ ირონიხა და სარკაშის სამხედრო ში ჩაუყენებელი. ამიტომ არც გ. დონანაშვილის მოთხრობაში უნდა გაგვაკვიროვს სკაბრეულობამ. რაბლე მკითხველს შესავალში „სტირ-მამააღლებად“ და „ვირისავებად“ იხსენიებს. მერე და მერე კი ისეთი კასკადია სკაბრეული გამოთქმებისა, რომ მასთან შედარებით გ. დონანაშვილის მოთხრობა დაწყებით კლასიკის საკითხავად გამოდგებოდა. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ მხატვრულ სტრუქტურას, ნაწარმოების საერთო განწყობილებასა თუ სიტუაციას უნდა გათვალისწინება, თორემ მხატვრულ კონტექსტს მოცილებული სკაბრეული ფრაზა ან გამოთქმა მკითხველს მართლაც შეიძლება მოეჩვენოს შეურაცხყოფილად. რაც მთავარია, სკაბრეულობა საერთოდ დამახასიათებელია გროტესკისათვის და ამ მხრივ არც ქართული მოთხრობაა გამონაკლისი.

ასევე აუცილებელია ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინება, როდესაც საქმე ენება სიცილისა და იუმორის გროტესკულ თხზულებაში. გროტესკული სატირის ხასიათიდან გამომდინარე, არა გვაქვს უფლება, მოვთხოვოთ მწერალს: მხატვრული განსხეულების მთავარი იარაღი იუმორი და ნატიფი სიცილი უნდა იყოს, რადგან სატირიკოსის სიცილი განსხვავდება იუმორისხის სიცილისაგან. გროტესკული რეალიზმის ცნობილი მკვლევარი მ. ბახტინი წერს: «Смеющийся сатирик не бывает веселым. В пределе он хмур и мрачен». ამიტომაც იშვითად შეხედებით „ნატიფ სიცილს“ სატირიკოსთან. ამას უნდა გათვალისწინება და მშინ აღარ ვუსაყვედურობთ მწერალს იუმორის ნების უქონლობას; აღარც მისი სარკაში მოგვეჩვენება „თავისმოსაწონებელ ოხუნჯობად“.

გროტესკულ ნაწარმოებში თავიდანვე გვაშადებს ავტორი ისეთი მხატვრული პირობითობისათვის, რომ მერე დაუყოლებლად და უცნაურად აღარ მოგვეჩვენოს არც ვარგანტუხა და პანტაგრუელის საოცარი თავგადასავალი და აღარც ჩვენი მოთხრობის გმირის ისტორია თუ რეჟანის უცნაური „აღსადგენელი“.

რაბლე მთელი დამაქრებლობით გვარწმუნ-

ამირან გომარათელი  
კარმინი, ანუ თავისუფლების სიყვარული

ნებს .....ამ იგავ მოუწვდომელი წიგნისა შე-  
სწავსა სწორედ ის ხანი და უამი მოვიდომე, რა  
ხანიცა და უამიცა ჯანღონის შესანარჩუნებლად  
ანუ ჰამაზე და სმაზე დამეზარა“.

მსგავსად „გარჯანტუასა და პანტაგრულის“  
ავტორისა, სატრაპეზოდ არის გაშავებული  
ბესამებს თავდადასავლის ავტორიც. ამაზე მიგვა-  
ნიშნებს სიგარეტის ტაფაშვარი, რომელიც კავ-  
კასიელი აფრედერიკი შეიქცევა: „აქ აფრედე-  
რიკ მეს ცოტათი მოგვიშვიდა და გაახსენდა,  
ფანტასტიკურ ნაწარმოებში ფანტასტიკური  
მოვლენებიც: საჭირო რა... ამოიღო ორი ღერი  
სიგარეტი, სამკუთხა ტაფაზე დადო, კარაქით  
შესწვა და მიირთვა“.

გროტესკისთვის დამახასიათებელ პირობი-  
თობას თუ არ გავითვალისწინებთ (დააკვირდით  
ხუმრობით ნათქვამ — „ფანტასტიკურ ნაწარმო-  
ებში ფანტასტიკური მოვლენებიც საჭირო  
რა“), მაშინ უცნაურ ახირებად მოგვეჩვენება  
უცვლელივე ეს. აქი ზოგიერთი სერიოზულად ამ-  
ტყობებდა: რაბლემ „გარჯანტუა და პანტაგრუ-  
ელი“ ორ კერძს შორის შექცევის შესვენების  
უამს დაწერაო. ასე სახიფათოა ნაწარმოების  
საერთო ხასიათისა და განწყობილებისაგან, მი-  
ნი მხატვრული სტრუქტურისაგან მოწყვეტილად  
და მოცილებულად რაიმე ფრანსისა თუ ზოგჯერ  
მთელი პასაჟის განიღვრა-გაანალიზება.

სხვათაშორის, სამკუთხა ტაფაზე კარაქში შემ-  
წვარი სიგარეტი ანოციაციით მახსენებს „გარ-  
ჯანტუას“ შესავალში რაბლეს მიერ ხუმრობით  
დასახელებულ მის აბრახამებულ თხზულებას „ქო-  
ნში მოშუშული მუხუდო კომენტარებით“. მოთ-  
ხრობაში ჩართული კარმენის თავდადასავალი  
ხოშ კომენტარებით მოსდევს კარაქიან ტაფაზე  
სიგარეტ „კარმენის“ შეწვის ამბავს. ამ შემ-  
თხვევაში სიგარეტის ტაფაშვარი კომიკური  
ეფექტის შექმნას ემსახურება, მაგრამ მწერლის  
სარკასტული ხუმრობას ხშირად კონკრეტული  
მინამარტო აქვს.

გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში მხატვრულ  
ტექსტს დართულ სქოლიოებს მარტოოდენ  
შეითხველის უწყინარი ღიმილის გამოწვევა არა  
აქვთ მიზნად. ისინი ფსევდომეცნიერულობის  
კრიტიკისთვისაცაა მოხმობილი. ამიტომ ვან-  
მარტას ავტორი სქოლიოებში: „ხაში — საკუ-  
მელია ერთგვარი“, „მადლიერ ქალქია ესანეთ-  
ში“, განმეორებთ მადლიდის მხედებისას შე-  
ნიშნავს — „კარგი რა, რამდენჯერ უნდა ამბ-  
სენეიო“.

რაბლე ხშირად მიმართავს სხვადასხვა ავტორ-  
თა ციტირებას. კომიკურ ეფექტთან ერთად ასე-  
თი უხვი ციტირების მიზეზი, ხშირად ფსევდო-  
მეცნიერულობის კრიტიკა, მაგალითად, ფრან-  
გი მწერალი უცნაურ და არაბუნებრივ დაბა-  
ლებათა ამბავს გვიყვება და პლინიუსს იმოწ-  
მებს: „წაიკითხეთ მისი „ბუნების ისტორიის“  
მეშვიდე წიგნი, თ. III და ნუ გამოიჩინებთ საქმე“.

მაინცდამაინც ნუ შეგვაშფოთებს ზოგიერთ  
მსგავსი გროტესკულ კლასიკისა და ქარაბულ  
გროტესკულ მოთხრობას შორის. მთავარია,  
რომ ფრანგი კლასიკოსიცა და ქართველი მწე-  
რალიც გროტესკულ გამოსახვას საკუთარი სათ-  
ქმელის გადმოსაცემად მიმართავენ.

მე მაგონია რექსანის სახეც დასაბამს რაბლეს  
ჰუმანისტული აღმწერდელიდან, პინოკარტოდან იღებს.  
პინოკარტი რაბლეს პედაგოგიკურ შეხედულე-  
ბათა იდეალია. სწორედ ამის გამო უწოდო ილია  
ჭავჭავაძემ ახალი საპედაგოგიო თეორიის ფუ-  
ძემდებელი“ გამოჩენილხა და სახელგანთქმული“  
ფრანსუა რაბლეს. პინოკარტი აღსაწერდელი  
სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ  
განვითარებას ისახავდა მიზნად. ასე უწოდო  
იგი გარჯანტუას. რაბლეს აღმწერდელი ლიტერა-  
ტურული არქტიპია რექსანისა, ოღონდ პარო-  
დირებულია ეს სახე. დიქტატურის პირობებში  
აღწერდის მეთოდიც ადამიანის გადაგვარებას,  
მხეცური ინსტიტების გაღვივებასა და მისი გო-  
ნების დაჩლუნგებას ემსახურება. ამ აზრითაა  
რექსანი პანოკარტის ლიტერატურული ხასის  
პაროდია, ისიც მეჩვენება, რომ გ. დოჩანაშვი-  
ლის მოთხრობაში პინოკარტის სახე ორ პარო-  
დიულ პროტოტიპად იყოფა. ესენია: რექსანი  
და კარტუზო ბაბილონია. რექსანი მხეცური ინ-  
სტიტების გაღვივებას ისწავავს „აღსაგენ-  
ლებში“, კარტუზო ბაბილონია აღსაწერდელია  
გონების დაჩლუნგებას ემსახურება, ორთვეს  
„აღწერდის“ მეთოდს კი საბოლოოდ ერთი შე-  
დეგი აქვს — პიროვნების ჰარმონიულობის  
დარღვევა. ასე ცნობდება დიქტატურისა და ტო-  
რანის პირობებში „გამოჩენილი და სახელ-  
განთქმული“ მოაზროვნის აღმწერდელითი  
სისტემა და პედაგოგიური იდეალი.

ლიტერატურული არქტიპებისაკენ მიდრეკი-  
ლება ადრეც შეიმჩნეოდა გ. დოჩანაშვილის  
პროზაში. ლიტერატურაზე სიფიქსემდე შეყვარ-  
ებული აცის, ქართველი ფოტოგრაფის ვასიკო  
კეერტაძისა და მისი თანაშემწის კლიმის ლი-  
ტერატურული წინახატია სარაინო რომანების  
კითხვით შეშლილი ესპანელი იდალგო და მისი  
ერთგული საჭურველმტვირთველი („კაცი, რო-  
მელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“). ამ  
შემთხვევაში ლიტერატურული არქტიპი მითო-  
ლოგიური მარდელისათვის დამახასიათებელ მარ-  
ადიულ სტრუქტურას იძებს და ახალ დროში  
გადმოტანილი, განსხვავებული შინაარსით იგეხ-  
ება.

გროტესკული სატირისთვის დამახასიათებე-  
ლი ნიშნები სხვა მხრივაც ვლინდება გ. დოჩანა-  
შვილის მოთხრობაში. მ. ბახტინი ნ. გოგოლის  
სატირის გამოყოფივას აღნიშნავს:  
«Найдем мы у Гоголя и чрезвычайно последовательную систему превращения имен в прозвище».

ეს გროტესკული სატირის თვისებაა და გო-



გალონანც იქიდან მოდის. გ. დოჩანაშვილსაც ახასიათებს იგი. თავისი შინაარსითა და ელერადობით კარტუზო ბაბილონია უფრო მეტსახელია, ვინემ სახელი და გვარი. ასევე, მერგრეტ ბოსკანა (განსაკუთრებით გვარად წარმოსახული მეტსახელი, რომელსაც სკაბრეზულ გამოთქმად გადაქცევაზმედ მარტივი ფონეტიკური პროცესი-და აქლია). მეტსახელებად ელერს რექსანი (ელერადობით შინაური ოთხფეხის სახელს გვაგონებს) და ლოპეს დე მორალესი (რა მორალის კაციც იყო, იცის მკითხველმა). არც ქრისტობალდ როსასის სახელდება უნდა იყოს შემთხვევითი. ამ ღვთისნიერი კაცის სახელიც მაცხოვრის სახელზე მიგვანიშნებს.

მეტსახელების პრინციპი თუ სკაბრეზულობა ააშკარავებს გროტესკის კავშირს ბალაგაურს, კარნავალურ ხელნაწილებსთან. ცნობილია, კარნავალურობა განაპირობებს ნაწარმოების პაროდული არსს. პაროდის დიდი დონით შეიცავს გროტესკი. ამიტომაცაა დამახასიათებელი გროტესკისათვის, მწვავე სატირასთან ერთად, სალღობო, კარნავალური ინტონაცია (სწორედ ამ ორი საწყისის დაპირისპირება ქმნის რენესანსის ეპოქის გროტესკული რეალიზმის ამბივალენტურ ხასიათს). „ვატერ(პო)ლოლოში...“ მუქ, სატირულ ფერებშია დახატული რექსანის კოჰონეტური აღსადგენელი თუ აღკარასის ტრანული გარემო, მაგრამ არც სალღობო, კარნავალური ინტონაცია აქლია მოთხრობას. ეს არაერთგვის შემჩნევა ნაწარმოებში.

კარნავალური დღესასწაულები გაჯაფხულის პირზე იმართება და ბუნების განახლებასა და ფერისცვალებასთან იყო დაკავშირებული. ინტერმედია თუ ინტერლუდია აუცილებელი თანხლები მუსიკალური ელემენტი იყო კათოლიკური კარნავლისა. ანდლუზიელი მწეყმის ბიჭის სულიერი ფერისცვალება მუსიკის თანხლებით აღინიშნება. ფესშიველია, მიწაზე მუარად მღვარი ბესამე კარო, მათრობელა მავრით სასიამოვნოდ გაბრუებული, თავისებურ ლირიულ ინტერმეცოს ასრულებს ფლიტაზე — „და უძაღლებო მახლობელ სოფლებს ღამ-ღამობით ისე ფაქიზად, ისე წმინდად ეღებოდა მთვარის ეფენები, მძინარე გლეხებს, მიწის მუშაო, დალოცვლ მთწის მფლობელებსა და ვიგებს, ძილში მკრთალ შვებათ ეფინებოდა ამ სუყველაზე იდუმალი საკრავის ხმები...“

მოთხრობის დასასრულს კი ავტორი კარნავალური ხანასაბის წამყვანივით ეშვიდობება მკითხველს და შეძახილით (შორისდებულით — „ეჰ“) ამთავრებს თხრობას: „აქ აფრედერიკს სხვა აღარა დარჩენია, დაგმშვიდობოთ. ხოლო ხივრცეში არაფერი იპარგება, ეჰ“. ეს სალღობო, კარნავალური განწყობილება საბოლოო ჯამში ამბივალენტური შინაარსის გამოხატვას ემსახურება.

თანამედროვე გროტესკული ნიმუშები უფ-

რ სასოწარკვეთილი ხასიათისა, ეს მკაფიოდ იგრძნობა აბსურდის თეატრშიც, კუკუსთან თუ თომას მანის გროტესკშიც. გროტესკული აღმშენებლობის მიერ მიცვალებული პაპის ორშაბათის ყენივით ვირზე უკუღმა შესმის ეპიზოდო. ტილაძის რომანში „უოველმან ჩემმან მკოვნილმან“, მაგრამ ეს საოცრად მკრებელური აქტი ალექსანდრეს სულიერი განწყობის დასაბამად იქცევა და პიროვნების მშვენიერ აღორძინებას უწყობს ხელს. სწორედ ამის შემდეგ მიდის ალექსანდრე ციმბირში, ტყვეობაში დაბადებული ობოლი ქმისწულის გამოხასხნელად და პაწია მართას, როგორც დვთაებრივ წიაღში, ისე აბრულებს მშობლიურ გარემოში. ასე რომ, აღარ არება საფუძველი სეპტიციონისათვის.

იმედითაა გამბეჯალული ილიას გროტესკი „კაცია-ადამიანი?!“ ეს მკაფიოდ გამოხვევის მოთხრობის დასასრულს. „მე თუ შენ მიუვარხარ, მკითხველფ, იმისთვის მიუვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განწარხავ, დღესა თუ ხვალე, შენში გაიადვილებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევს...“ ასე რომ შინაგანი ოპტიმიზმი არც რენესანსული და არც ქართული გროტესკისათვის არაა უცხო.

ამ მხრივაც აგრძელებს გ. დოჩანაშვილი ქართული მწერლობის გზას. მის მოთხრობაშიც შერნარჩუნებულია შინაგანი ოპტიმიზმი თუ იმედანი განწყობილება და ნაწარმოების ორსობრივი შინაარსიდან გამომდინარე, მისი დასასრულიც არ გამოყოფრება ალოგიკურად. ამიტომაც აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ: „მისი (გ. დოჩანაშვილის — ა. გ.) ღრმა რწმენით, სიკეთე მიანც გამიარჯვებს ბოროტებაზე. მაზე მეტყველებს ამ მოთხრობის ფინალი“.

დასასრულ, უნდა შევინშნოთ, რომ გ. დოჩანაშვილის მოთხრობა თავისი ხასიათით უფრო კლასიკურ გროტესკს უკავშირდება, თუმც, როგორც არ უნდა მიმართავდეს, გ. დოჩანაშვილი წარსულის შემეკიდრეობას, დასკვნა ერთია, მისი მოთხრობა თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს ემსახურება და სწორედ ამით არის იგი საინტერესო და ორიგინალური. ამავე დროს, გროტესკული რეალიზმის თანამედროვე დასავლური ქმნილებებისაგან განსხვავებით გ. დოჩანაშვილმა შეინარჩუნა ქართული სიტყვაკაშუული მწერლობისათვის და მახასიათებელი ოპტიმიზმი და იმედიანი განწყობილება.

მკითხველი იმაშიც მინდა დავარწმუნო, რომ ეს კრებული მინაწერი სრულიადაც არ გამოუწვევია პოლემიკაში ჩაბმის ან ვისიმე გამოქმენების განწარხავს. „მნაობში“ გამოქვეყნებული წერილი განსჯის საბაბსა და საფუძველს მამლევდა და ჩემი მინაწერიც ამ განსჯის შედეგად მიღებული დასკვნების მკითხველისათვის გაზიარების სურვილმა წარმოშვა.

# სოფელი და ზესთასოფელი

აქედან ერთი ნაბიჯიდა იყო საჭირო კოსმოგონიიდან ნატურფილოსოფიაზე, მითოსურიდან რაციონალურ აზროვნებაზე გადასასვლელად და ეს ნაბიჯი მიღებულა ნატურფილოსოფოსებზე დადგენის, მითოსურ სახეებს დაესხნენ და ბუნების მოვლენათა შესწავლას მიჰყვესო ხელო, დასძენენ მკვლევარნი, და შემდეგ: ნივთთა და მოვლენათა მრავალგვარობის სამყაროში ისინი ერთი პირველსაწყისის ძიებას შუადგენენ, თეოკოსმოგონიის ტერმინოლოგია კი არ შეუცვლიათ მხოლოდ, არამედ მისი შინაარსიც, რადგან მითების თემა ანუ შინაარსი დეათებები იყო, ფილოსოფოსებისა კი — ბუნებაო.

ახე მოხდა ტეშმარტიად. ფილოსოფოსნი რაციონალიზმის გზას დაადგენენ, გარესინამდვილეს მიმართეს, მასში დაინთქენ და მათთვის ცნობილ სტიქიონთან იმგვარის შერჩევას შეეცადნენ, რომელსაც, მათი თვალსაზრისით, სხვებზე მეტად ხელეწიფებოდა უსოგადესის, საყოველთაო საწყისის, პირველსაწყისის პირველსტიქიონის („არქეს“) სახელი დაერქმებინა. თაღესმა, როგორც ვიცით, წყალი დასახა ამგვარ პირველსაწყისად, ანაქსიმანდრემ — განუსაზღვრელად („აპეირონი“), ანაქსიმენმა — ჰაერი, ჰერაკლიტემ — ცეცხლი, ბოლოს ემპედოკლემ ოთხივე ცნობილი სტიქიონი (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) წარმოადგინა შერწყმულად... აზრის ზეობით გალაღებული და შთაგონებული ფილოსოფოსნი აღმოჩენას აღმოჩენაზე აკეთებდნენ, გარესინამდვილის უფრო და უფრო ღრმა შრეებს სწვდებოდნენ და დამახასოებულ გამარჯვებას ზეიმობდნენ.

და საქმე იმგვარად წარიმართა, ამ გარესინამდვილის კვლევის პათოსში ერთხანს თითქმის ყველას გადავიწყდა საკვირველი არსება — კაცი, რომლისთვისაც იყო გაჩენილი, თუკი „ძველი ალექსის“ შემქმნელებს ერწმუნებოდნენ, ის წყალიც, ის მიწაც, ჰაერიცა და ცეცხლიც. დაიბ, ფილოსოფიის (უფრო ზუსტად — დასავლური ფილოსოფიის) საწყისი ნაბიჯები ფაქტურად კაცის იგნორირების ნიშნით გადაიდგა და, რაკი ყოველი დასაწყისი მომდევნო მსვლელ-

ლობასაც განსაზღვრავს ხოლმე მნიშვნელოვანწილად, მერე და მერე უმრავლესობისთვის „წმინდა“ ფილოსოფიად ის წარმოსახა მხოლოდ, რაკი სუბიექტური მომენტისგან აბსოლუტურად იქნებოდა დაცლილი. ამგვარი ვითარების პირველი უთვალსაჩინოესი შედეგი, ჩემის აზრით, იყო არისტოტელეს საზარლად სქემატური მსოფლმხედველობა, რომლის წიაღშიც ცოცხალი სინამდვილე (კვლავ ჩემის აზრით) შექანიკურ მოდელთა კონსტრუქციებად არის ყველგან ქცეული, კაცის სული კიდევ — ლამის ბუნალტრული აღრიცხვის საგანად; ხოლო საბოლოო შედეგად ხსენებული ვითარებისა შესახება ის ამბობება, ჰერ კირკეგორმა და შემდეგ ეგზისტენციალისტებმა რომ მოუწყვეს კლასიკურ ფილოსოფიას. დაბოლოს, იმავე ხსენებულმა ვითარებამ განაპირობა ფილოსოფიის ისტორიკოსთა ჩვეული მეთოდი, რომლის ნიადაგზეც მუდამ ისე ხდება, რომ სულიერი სამყაროს რაობასთან დაკავშირებული უმშვენიერესი მოძღვრებანი მათს წიგნებში საერთოდ გვერდავლინი თუ არ არიან, ყოველ შემთხვევაში პეტიტით აწყობილი სქალიოების საცოდავ ხედრს ვერ ასცდებიან ხოლმე.

აქ გაკვადნიერდეთ და ისიც აღვნიშნოთ, რომ ფილოსოფიის ისტორიკოსთაგან საქმის არსება, ჩვეულებრივ, იმგვარად ისახება, თითქოს ნატურფილოსოფოსების მიერ არჩეული გზა თავისთავად ერთადერთი იყო და უალტერნატივო, თითქოს მითოსიც, ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემებიც, ბერძნული კულტურის სხვა მონაპოვარნიც და აღმოსავლურ კულტურათა უმკველი გავლენანიც ოდენ იმისთვის იყვნენ მოწოდებულნი, ოდენ ის მისია შესასრულეს კაცობრიობის ისტორიაში, რომ ნატურფილოსოფოსთა მსვლა შეემზადებინათ და მათი სავალი ბილიკები გაეკვალათ. თითქმის სრულიად იგნორირებულია ხოლმე ის რალი, რელიგიურმა ფილოსოფიამ რომ შესასრულა აზროვნების, წნეობის, ფსიქიკის, ყოფის, ეთნოსის, მწერლობის, ხელოვნების, საერთოდ, კულტურის განვითარებაში, უთვალავი, აურაცხელი პიროვნების სულიერ ფორმირებასა და დახვეწაში და, ამდე-

დასასრული. იხ. „ციცკარი“ № 1, 2.

ნად, მრავალი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის აღმსავლელის საქმეში. შედარებას თუ მიემართავთ, ამ მხრივ ტრადიციული, „წმინდა“ ფილოსოფიის ზეგავლენის მასშტაბები ხომ უნუგეშოდ მცირეა და ხშირად — არაღმარავადებიც (ცხადია, მხედველობაში მაქვს ანტიკური ეპოქა და შუა საუკუნეები).

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰესიოდეს მემკვიდრეობაში კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მხოლოდ ის ელემენტები კი არ არის განსაკუთრებით ყურადღებასიხსატყვი, რომლებმაც ნატურფილოსოფიის აღმოცენებას შეუწყვეს ხელი, არამედ (იქნებ უფრო მეტადაც) ის ელემენტები, რომელთა გავლენებამაც მომდევნო ხანაში უფართოესი ასპარეზო გადაუშალა კაცის შინაგანი რაობის შემსწავლელ მოძღვრებებს.

მერის ამ მხრივ მიმპრობელნი იმას შევნიშნავთ, რომ, თუ კოსმოლოგიური ასპექტით ქაოსიდან ზეგნამდე სამყაროს ისტორია წესრიგის, სიმწყობრისა და სინათლისკენ აღმასვლაა, ანთროპოლოგიური ასპექტით ვითარება პირუთუ ისახება: ერთი რომ, კაცთა მოდგმა შემთხვევით არის გაჩენილი და ღვთაებთა მანცდამანც გულმოწყალებ დაშოკიდებულებას ვერ ღირსებია; მეორეც, ჰესიოდეს თანახმად, ამ ქვეყნად კაცთა ხუთ მოდგმის უცხოვრია (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, ვიროთა და რკინის თაობები) და ეს მოდგმანი თანდათანობით კი არ უმჯობესდებოდნენ, — უარესდებოდნენ.

პირველი (ოქროს) თაობის ადამიანები ღვთაებობით ცხოვრობდნენ თურმე, აზღვრეცვლად, მშვიდად, ჭირი არ იცოდნენ რა იყო და ჭაფა, არც სიბერე, ლხინით ატარებდნენ წუთისოფელს, ხოლო სიკვდილის უამი რა მოატანდა, მიძინებდნენ თითქოს. მერე და მერე სულ უკულმა წახულა საქმე. ჰესიოდეს თანამედროვენი უკვე რკინის საუკუნის ეკუთვნოდნენ და „სამუშაონი და ღღენის“ ავტორი იმას ნატრობს — ნეტავი არ მეცოცხლა ამ თაობასთან ერთად, ან მანამდე მოვკვდარიყავი, ან უფრო გვიან დავხადებულყავი!

ეს თაობა სულს ვერ მოქთვამსო, — მოგვითხრობს ჰესიოდე, — ილაჭგამწყვეტი შრომა, ჭირი და უხედურება არის მისი ხვედრი, მამა-შვილი ერთიმეორეში ვერ მორიგდება, ახანაგი ახანაგს უცხოდ ექცევა და მასხინძელი — სტუმარს, ძმათა შორის ოდინდელი სიყვარული განქარდება, მოხუც მშობლებს პატვის აღარ მიავებენ, სიმართლეს მუშონი შეცვლის, ქალაქები მოოხრდება, სამართლიანსა და კეთილ კაცს აღარავინ დააფასებს, პატავი თავხედსა და ავაზაკს მიეწყვება, სადაც ძალაა, სიმართლეს იქ იქნება, სირცხვილის გრძობა სულაც გაქრებაო („სამუშაონი და ღღენი“, 109-113).

ამგვარ სავალალო ხვედრს უქადის ჰესიოდერიკინის საუკუნის შთამომავალთ. თანაც დანერგვის: კაცი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ იცის, რა არის სიკეთე და რა — ბოროტება. ზეგნმა კაცთა მოდგმის უღიდესი სიკეთე მოუბოძა — სიმართლე. ვარსა სად არის სიმართლემ? ის, რაც ცხოვრებაში ხდება, კაცის ბუნებასაც ეწინააღმდეგებაო და ღვთაებრივ კანონსაც — სიმართლეს ფექვეშ არის გათელილი.

რა გამოსავალი ესახება ჰესიოდეს ამ ვითარებიდან? თითქმის არავითარი. ერთადერთ უნუგეშო ნუგეშად ის რჩება — ზევსი ამას მუდამ როდი მოითმენსო! ხოლო ვინც ზევსის სამართლიან მსჯავრს ვერ მოეწყურება? მისი ცხოვრებისეული ვალია ზომიერების დაცვა უველადერში (ზომიერება ძველ ბერძენთა ერთი უსაყვარლესი პარანოია).

ამ უსაშველო პესიმოზმს ის ამბავი განაპირობებს, რომ ჰესიოდე არ იცნობს სულის უკვდავებისა და საბოლოო მისაგებულის იდეას — ჯილდოდ და სასჯელიც მხოლოდ ამ ქვეყნად მიეწყება კაცს.

საიგიო მისაგებულის იდეა არც მომეროსს გააჩნდა (ტანტალოსისა და სიზიფოსის სასჯელი სავროთ სურათს ვერ ცვლიდა), მაგრამ მომეროსს მანცდამანც არ აუტყვიებია თავი ეთიკური პრობლემებით. მის პათოსს კაცის გონიერებით, ძლიერებით, სიმარტყვითა და უსლოვანებით აღტაცება განსაზღვრავდა და არა ზნეობრივი სიფაქიზის ნიუანსები: გონიერი, ძალოვანი, მარტვე და მამაცი კაცი მტერსაც ამარცხებდა, მტრად მოვლენილ ნადირსაც, საზარელ ურჩხულებსაც, და არც ღვთაებებს ეპუტებოდა მანცდამანც — სამყაროში ადვილს იმკვიდრებდა შეუპოვრად. ეს საიმდროოდ გაუგონარი აღმოჩენა გახლდათ დასავლეთის ქვეყნიერებისათვის და ამ აღმოჩენის სიდიადით დამთვრალი ცნობიერება გამარტყვებისკენ მიმავალ გზათა არჩევანის ეთიკურ ასპექტებს ატრირივდა ვერ ჩაულრმავებოდა. ამ ჩაღრმავების მომშხამველი სიტყბო სხვას უნდა გამოეცადა — მომეროსთან შედარებით ნაკლებად პარსიონიულ, ნაკლებ ეგზალტირებულ და ალბათ ნაკლებ სრულყოფილ შემოქმედს, ისეთს, როგორიც იყო ჰესიოდე.

ბერძნული ეთიკა „სამუშაონი და ღღენით“ დაიწყო, ბრძანებენ მკვლევარნი. ოდონდ, მე რომ მკითხოთ, ეს ზვის დასაწყისი კი არ ყოფილა, სინგალი უფრო იყო, მანამდე შეუცნობელ სოციალურ და ეთიკურ ასპექტთა მიკვლევით თვზარდაცემული კაცის განწირული ძახილი, რამეთუ ამ სფეროში უნუგეშოდ ქარწყლდებოდა გონიერულად გაწყობილი მშვენიერი სამყაროს პარსონია და დიდებულება.

რამაზ თმარაძე  
სოფელი და ზმსთასოფელი



და იქნებ იმ უფსკრულთა წამიერი დაღანდ-  
ვაც იყო ეს ამბავი, კაცის სულის უსასრულო  
სიღრმის რომ შეადგენენ და მათთან შედარე-  
ბით სასაცილოდ პაწაწინტოლა რომ არის  
სპილენძის ზეცისა და მკერდგანიერი დეღამი-  
წის განათიშად პირდაპირნილი სივრცე, რომ-  
ლის გაწოშვა, თავად ჰესიოდეს სიტყვით („თე-  
ოგონია“, 720-724), ამგვარი ხერხით ყოფილა  
შესაძლო: სპილენძის გრდემლი რომ გადმოვი-  
სროლოთ ზეციდან, ცხრა დღე-ღამეში ჩამო-  
აღწევსო დეღამიწას (სხვათა შორის, ზუსტად  
ამდენსავე ხანს იფრენს მიწის პირიდან ჩატ-  
ყორცნილი გრდემლი, ვიდრე ტარტაროზში და-  
ცემოდეს).

სოციალურ და ეთიკურ ასპექტთა აქცენტი-  
რების გარდა კიდევ ერთი ფრიად საგულთხი-  
შო კონცეფცია უნდადგება ჰესიოდეს შთაშობა-  
ვლობას, საკუთარი თუ მითოსიდან ნასესხები:  
„თეოგონიის“ თანახმად, სამყაროში „ჩასახულ“  
არსებთან ერთ-ერთი პირველია „უკვდავ ღვთა-  
ებათა შორის უმშვენიერესი ეროსი“ (ქაოსი,  
დეღამიწა, ტარტაროზი, ეროსი...), რომლის  
ძალის ამოქმედებაც განსაზღვრავს თეოგონიის  
ანუ კოსმოგონიის მომდევნო საფეხურებს (ღა-  
მისა და ერეოსის, დეღამიწასა და ურანოსის,  
ტიტანთა და ტიტანიდთა სასიყვარულო დაწყ-  
ვილებით შეიქმნა მთელი სამყარო). რადგან  
სამყაროს გაჩენა ღვთაებათა შობას ნიშნავდა  
საიმდროოდ, ბოლო შობას არსთა, თუნდაც  
ღვთაებრივ არსთა, ურთიერთსწრაფვა, ურთი-  
ერთსიყვარული უდევს საფუძვლად.

ასე რომ დავიშახსოვროთ: ეროსი, სიყვარუ-  
ლი იშთავითვე გაიარებოდა ონტოლოგიური  
მნიშვნელობის მქონე ძალად და არა მხოლოდ  
ბიოლოგიურ თუ ზენოობრივ-ესთეტიკურ გრძნო-  
ბად, როგორც დღესდღეობით გვემის მისი  
არსება. ამ უძველეს საზოგადო მომენტს მე-  
რე და მერე საკაცობრიო მნიშვნელობის უდი-  
დესი მომღვრებები და უმშვენიერესი ქმნი-  
ლებები დაუკავშირდება (ფერეკიდე, ორფეო-  
სენდი, პითაგორა, პარმენიდე, ემპედოკლე,  
პლატონი, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანობა,  
ფსევდო-ლიონისე არეოპაგეიტი, სუფიზმი, რუ-  
სთავილი, დანტი, გურამიშვილი...).

ამასობაში ჩვენ მოვატანეთ იმ ხანას, ძველი  
წილთაღრიცხვის VI საუკუნეს, როდესაც სა-  
ბერძნეთის სულიერ ცხოვრებაში მანამდე  
გაუგონარი ძვრები მოხდა მამდევნო, კლა-  
სიკური ეპოქის კულტურული ზეაღვლესი  
მკვიდრი ბალავარი ჩაიდგა. როგორი იმპულსე-  
ბი ასულდგმულბდა ამ ხანის დამდევს ბერ-  
ძენთა ცხოვრებას? ვნახეთ უკვე, რომ, ერთი  
მხრივ, ეს იყო რაციონალურ აზროვნებაზე  
გაბნევის ტენდენცია, რასაც პირველ ფილო-  
სოფოსთა (ანუ ნატურფილოსოფოსთა, ანუ  
ფიზიკოსთა) ასპარეზზე გამოსვლა მოჰყვა. ის-

იც ითქვა, რომ, მეორე მხრივ, წინა პლანზე  
წამოიწინა სოციალური და ეთიკური ასპარე-  
ზის სიუვარულის მომღვრება.

კაცმა რომ თქვას, ეს „ერთი მხრივი“ და  
„მეორე მხრივი“ უადგლო მითითებები უნდა  
ყოფილიყო ადამიანის სულიერ ძალთა მარ-  
მონილად განვითარების შემთხვევაში გარე-  
სინამდვილისა და შიდასინამდვილის წვდო-  
მის პროცესებს ერთიმეორე არ უნდა გამო-  
ცრიცხათ და, მავალითად, სტიქონება და  
ეროსს არ უნდა გაძნელებოდათ ერთი და  
იმვე მოძღვრების (ან მომღვრებათა) წიაღში  
მეზობლობა. მაგრამ ისიც აღინიშნა უკვე, რომ  
თავდაპირველად საქმე სხვაგვარად წარმოიქმ-  
ნა და რაციონალურ, მეცნიერულ პოზიციასზე დაღ-  
გომის ერთ უპირველეს საწინდრად სულიერის  
სფეროსთვის ზურგის შექცევა იქნა მიჩნეული.

ოღონდ ის არ თქმულა ზემოთ, რომ მოვლე-  
ნათა ამგვარ მდინარებას, მესოდეს მემკვიდ-  
რეობის ცალმხრივად ათვისების გარდა, სხვა  
გარემოებებმაც შეუწყეს ხელი. და ამთაგან  
ერთი უმთავრესი გახლდათ შემდგე: საამი-  
როოდ საგრძნობლად შეირაა რწმენა მითოსის  
ღვთაებებისადმი, რის შედეგადაც დემიოლო-  
გიზაციისადმი სწრაფვა აზროვნების უსაჩინო-  
ეს ტენდენციად გამოკვეთა. ამას ფილოსოფიის  
თითქმის ყველა ისტორიკოსი აღნიშნავს და  
შემდგე კულტურის განვითარების ერთადერთ  
გზად მეცნიერულ აზროვნებაზე გადასვლას სა-  
ხავს. მეცნიერულ აზროვნებაზე მხოლოდ იმ  
გაგებით, როგორითაც ნატურფილოსოფოსები  
მიუღვნენ საყიოსს. გარნა ბერძნული კულტუ-  
რის ისტორია ცხადყოფს, რომ ეს ერთადერთი  
გზა არ ყოფილა.

ფილოსოფიის ისტორიკოსთაგან ყველა როდ-  
იხინებს ეს ერთ დიდად საინტერესო მოაზრო-  
ვნეს, პირველ ფიზიკოსთა ხანაშივე, ძველი  
წილთაღრიცხვის VI საუკუნის დასაწყისში (ზო-  
გიერთი შეხედულების თანახმად — VII საუ-  
კუნის მიწურულს) რომ ცხოვრობდა. ფერეკი-  
დე სირსოელი გახლდათ ეს მოაზროვნე, ვინც  
საბერძნეთში პირველმა თქვა უარი აზრთა  
და ამბავთა ღმესად გადმოცემის ტრადიციასზე  
და პროზად დაიწყო წერა (მისი ნაწერებიდან  
ფრაგმენტებია შემორჩენილა). ანთროპომო-  
რფული მითების მომძლავრებელი კითხვის  
ეპოქაში მან თავადვე მიჰყო ხელი მითთაქმ-  
ნადობას და ფრიად საგულთხიშო აზრთა წყო-  
ბა გამოავლინა. ოღონდ მანამდე, მსგავსად  
თითქმის ყველა ადრეული ბერძენი მოაზრო-  
ვნისა, ფერეკიდემაც აღმოსავლეთში გაიწაფა  
გონება: ეგვიპტეში იმპოგეურაო, მოფციტბ-  
რობენ, ასტრონომია ბაბილონში შეისწავლაო,  
გარდა ამისა, რაღაც ფინიკიური წიგნებით  
სარგებლობდაო. მიწისძვრის წინასწარმეტყვე-  
ლების ნიჭით გაუთქვამს თურმე სახელი.  
ქვემოთ საგანგებო ყურადღებას მივაპყრობთ  
იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მეცნიერი

მის მსოფლმხედველობას ორფეოსულ მოძვრებას უკავშირებს.

ფერეკიდეს მსოფლმხედველობა პომეროზისა და ჰენიოდესაზე მეტად არის დემითოლოგიურული, აღნიშნავენ მკვლევარნი, მითოსურსა და მეცნიერულ აზროვნებას შორის განუყოფნებენ მას ადგილს იმის დაზღვეუბებლნი, რომ საიმპროოდ მითოსს მთლიანად მოწყვეტილი აზროვნება ოდემ პირველ ნატურფილოსოფოსთა მსგავს მიქანიურ მოღვაწეობას შობდა და არა კუმპარიალ მეცნიერულ სურათს სამყაროსას. დემითოლოგიის ცილის საბუთად ის არის აღნიშნული, რომ ფერეკიდემ აღიარა სამყაროს პირველსაწყისთა მარადიულობა. ციტატა მისი თხზულების დასაწყისიდან: „ზასი და ქრონოსი მარად იყოფებოდნენ, მათთან ერთად — ზონიაც“.

ზასი, ქრონოსი, ზონია მარადიული პირველსაწყისები არიანო, განმარტავს ერთი მკვლევარი. მეორე უფრო მართებულ ფორმულირებას გვაწვდის: ზასი, ქრონოსი, ზონია მარადიული პირველსაწყისები არიანო. იმტომ რომ ფერეკიდეს ზასი არის იგივე ზევსი, ქრონოსი — დრო (ქრონოსიდან — ყოფილა ნაწარმოები), ზონია — დედამიწა.

ზევსი რომ მარადიული არსებობდა და არა შობილი ღვთაება, ეს მითოსიდან შორს გაქონებულ ნახტომს ნიშნავს. ოღონდ ნატურფილოსოფოსთა მხარეს არა. ქრონოსის გამოც იგივე თქმის. ზონიას რაც შეეხება, ის რომ ლიტონი დედამიწა ყოფილიყო და მეტი არადიერი, მესი მარადიულობის შემთხვევაში რელიგიური ფილოსოფიისა და ნატურფილოსოფიის ნაწავს მივიღებდით, რამეთუ ერთ-ერთი საწყისი მატერიალური ბუნების აღმოჩნდებოდა და უცნაურად დაუპირისპირდებოდა პირველ ორს. მაგრამ საქმე სხვაგვარადაა.

ზევსისა და ქრონოსის მსგავსად, ზონიაც არსებობდა და არა მატერიალური საწყისი, უკნთ რომ ვთქვათ, ქალღმერთია, ღვთაება. თურმე ეს ქალღმერთი „ქალიშვილობის“ სახელს იცვლის და გეად იწოდება მას შემდეგ, რაც ზევსი, ვითარცა თავის საკლეს, საქორწინო საჩუქრად და მუდმივ საუფლოდ უძღვნის თავის მიერვე შექმნილ, უკვე მატერიალურ დედამიწას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დედამიწის სული მატერიალური დედამიწის გაქონამდე არსებობდა და მხოლოდ შემდეგ შეუერთდა მას, ისევე როგორც, რელიგიური წარმოდგენის მიხედვით, დამოუკიდებელ პრინციპად არსებული სული უერთდება და ერწყმის ხოლმე კაცის სხეულს. კლავ ციტატი ფერეკიდესეული ფრაგმენტისა: „ზონიას ვეა ეწოდა, რამეთუ ზევსმა მას დედამიწა მიუბოძა საქორწინო საჩუქრად“.

ოღონდ საკუთრივ იმ საქორწინო საჩუქრის ამბავიც არანაკლებ საკულისხმოა. ზევსი სიყ-

ვარულის ღვთაებად, ეროსად ქცეულა და ისე შეუქმნია დედამიწა და ოკეანე. უფრო მეტი ჩვეულება მოთხოვდა, მიჯნურს მშვენიერი სახლარდენი მოუქსოვია თავისი საცოლესათვის, ოღონდ, რეალურ სახიფათოვან განსხვავებით, ამ სახლარდენში დედამიწის, ოკეანისა და ოკეანის მკვიდრთა სახეები ამოუქნაგავს (რაც მითოსისა და რელიგიის ენაზე დედამიწისა და ოკეანის შექმნას ნიშნავს სწორედ. სახეები რომ შექმნა, ისევე როგორც „სახე ყოვლისა ტანისა“, ეს თემაც უადრესად მიმზიდველია, მაგრამ ამის ირგვლივ საუბარი შორს წავიყვანდა).

თავის მხრივ, არც ქრონოსი ყოფილა გულხელდაკრეფილი. მისი თესლისგან წარმოიქმნა ციცხლი, ჰერი და წყალი, ხოლო ამ სტიქიონთაგან — ღვთაებათა, ნახევარღვთაებათა და დემონთა რამდენიმე დასი. აქ ყურადღებას ის გარემოება იყაროს, რომ ოთხი ელემენტი ანუ სტიქიონი, — ციცხლი, ჰერი, წყალი, მიწა, — რომელთაგანაც თითოეულისგან ცალცალკე თუ ოთხივესგან ერთად თხზავდნენ მატერიალურ სამყაროს ფერეკიდეს თანამედროვე ან მომდევნო ხანის ფილოსოფოსნი (ამასთან, მომდევნო ოფხი ელემენტისა იმდენად გაუჭადა ფილოსოფიურსა და რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებას, რომ შერე და შერე ქრისტიანულ თხზულებებშიც კი დამკვიდრდა), დაიხ, ეს ოთხივე სტიქიონი უკვე ნაცნობია ფერეკიდესთვის. და მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოითქვას იმის გამო, რომ ამ ამბავს ფილოსოფიის ისტორიკოსნი თითქმის უყურადღებოდ ტოვებენ ხოლმე. ეს მით უფრო საოცარია, რომ ფერეკიდეს სწორედ ამ მატერიალურ სტიქიონთაგან გამოჰყავს მეორეხარისხოვან ღვთაებათა და ნახევარღვთაებათა დასები, ესე იგი სულიერ-სხეულებრივი თუ სხეულებრივ-სულიერი არსებანი.

უმთავრესი მანც სხვა არის ჩვენთვის. ეს გახლათ, ჭერ ერთი, სიყვარულის (ეროსის) დასახვა ონტოლოგიური მნიშვნელობის მქონე, სამყაროს შემოქმედ ძალად, რაიც ჰენიოდეს მიერ მიკვლეული თუ მის მიერ დაფიქსირებული უძველესი მითოსური თვალსაზრისის გამომხატველია, და, მეორეც, მონოთეიზმისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი და ამასთან დაკავშირებული აქცენტირება იმ მატერიალური სულიერი სინამდვილისა (როგორც ვნახეთ, ზევსისა და ზონიას სამიჯნუროთავგადასავალი სამყაროს შექმნამდე გაიშალა სულიერ სფეროებში და მატერიალური სამყაროს შექმნა მათი სიყვარულის ოდენ შედეგი იყო და არა საუფქველი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზესთასოფლის იდეა ბერძნულ აზ-

რემაზ მთარაძე  
სოფელი და ზნათასოფელი

როვნებაშიც იკვეთება და მითოსური მსოფლმხედველობა რელიგიურ-ფილოსოფიურმა უნდა შეცვალოს თანდათანობით.

ფერეკიდეს ნაწერებიდან, ითქვა უკვე, ფრანგებთან შეშორება, ანუ რომ დღესდღეობით ვეღარ მოხერხდება იმის დადგენა, აღძრა თუ არა ფერეკიდეს წინაშე სოფლისა და ზესთასოფლის, სხეულისა და სულიის დუალიზმის პრობლემა (რაც სულიერი სინამდვილის შეხებზე განვითარებული მოძღვრების თანმხლები არის მუდამ). მაგრამ თუ ვირწმუნებთ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც მისი მსოფლმხედველობა ორფეოსელთა მოძღვრებას უკავშირდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პრობლემა ამა თუ იმ სახით მიხთვისაც ნაცნობი უნდა ყოფილიყო.

თქმულდება მოგვითხრობს: კოლხეთში ღაშკარობისას არგონავტებს თან ახლდათ ორფეოსი. სწორედ ის ლეგენდარული მომღერალი, ქვესკნელის მეუფე რომ მოაქაღვრა თავისი გარდაცვლილი მეუღლის საძებრად ჰადებს ჩასულა. ჰენამეტრის შემქმნელი ჰომეროსამდე, რელიგიური მოძღვრების დამფუძნებელი ორფეოსი.

ვეღარავინ შეიტყობს ალბათ, რატომ უკავშირდება ორფეოსის სახელი მინცდამაინც კოლხეთს მოსვლას ბერძენებისას (ამ მხრივ მაცდუნებელი საფიქრალი შეიძლება გაუნდეს ქართველ კაცს). ალბათ არც ის მომხდარა შემთხვევით, რომ ორფეოსის მეუღლე ვერდიკე მინცდამაინც ჯევისს ნაებებს უმსხვერპლია. ამ შემთხვევებში ვარაუდების ამარა ვართ დარჩენილი და უღმობელი დროის საბურველი ფარავს ჩვენი მზერისგან სინამდვილეს. და იგივე საბურველი იმასაც უჩინარს ყოფს, რასაც ორფეოსის მიერ დაფუძნებული რელიგიური მოძღვრების მიმდევარნი იქმნენ ლამის ათასწლეულის მანძილზე (თუკი მართლაც არგონავტების თანამედროვე იყო ორფეოსი), ვიდრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქცხე საუკუნეში. ფერეკიდეს, სოლონის, პირველი ნატურფილოსოფოსების ხანაში, ახალი ძალით არ გახშიანდა ორფეოსული იდეები.

როგორც ჩანს, ისევ და ისევ მითოსური მსოფლმხედველობის მწვავე კრიზისი იყო ამის ერთ-ერთი მიზეზი, აგრეთვე მისი თანმხლები მოვლენები — ეთიკურ მისწრაფებათა წინა მღვანე წამოწევა (საგულსხმოა, რომ გნოშიკურ პოეზიაში ზევსი ოდენ ბუნებრივი არსებობის მომწყობად და დამფუძნებლად კი აღარ წარმოისახება უკვე, არამედ აგრეთვე — ხამყაროს ზნობრივ გამრიგდაც), სულის მოძღვრებისა და სიიჭის მისაგებების იდეისკენ მიქცევა, რითაც დამოუბტა ეპოქა და რამაც ვაცილებით უფრო ღრმა კვლია დაიწაინა ერის კულტურულ ცხოვრებას, ვიდრე პირველ ფიზიკოსთა საქმიანობაში.

ორფეოსი იდეალურად მოცული პირველი იყო და მისი მოძღვრება იდეალურების საზღვარებში აღნიშნავს ახალ ეტაპს. მხოლოდ იმიტომ კი არა, თავად ორფეოსი მენადებმა რომ დაგლიჯეს დიონისესდაგვარად (ამ ფაქტის თუ ამ ლეგენდის ახსნა ახე თუ იხე იქნებ მოხერხებულყოფილად); არც იმიტომ მხოლოდ, რომ ორფეოსული ლიტერატურა დაკარგულია და ამ მოძღვრების გასაცნობად წინაუქმო ვერსიებიდა შემორჩა; ანდა ორფეოსელთა ღვთისმსახურება საიდუმლოდ რომ აღსრულებოდა და ხელდაუსხმელთათვის მიუწვდომელი რომ იყო, საერთოდ, ორფეოსილებს ღვთისმეტყველოთ რომ უწოდებდნენ. მთავარი სხვა რამ არის.

საკვირველსა და გამოგნებელ მოძღვრებას ეზიარენ იმხანად ლიტონი ათენელნი ორფეოსელთაგან: კაცის სული უსიცოცხლო აჩრდილი კი არ არისო, არამედ — ღვთაების წლი, სხეულში მომწყვედომელი კეთილი საწყისი, თავისი არსებით უკვდავი და განუქარვებელი. ეს კიდევ არაფერი. ერთი სხეულის სიკვდილის შემდეგ სული გარდასხეულდება, სხვა სხეულში განსხეულდებაო (მეტემფსიქოზი, რენეკარნაცია).

ვიდრე სულის რაობის სხვა საკითხებს ჩავუღრმავებოდეთ, მანამდე გარდასხეულების იდეას მივხედოთ მცირე ხნით. ეს შეხედულება ერთობ ძველი არისო, ზრძანებენ მკვლევარნი, ამასთან, კულტურულად დაწინაურებულ ხალხთა კეთვნილებას კი არ შეადგენდა მხოლოდ, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ ხალხებსაც ჰქონდათ, მაგალითად, ზულუსებს, გრენლანდელებს, ჩრდილოამერიკელ ინდიელებს, ბორნეოს მკვიდრთ, გვინელებს და ბირმელებსაც; ეს შეხედულება შეესატყვისება საწარმოო ძალთა განვითარების პირველყოფილ დონეს, როდესაც ანიმიზმის ტყვეობაში მოქცეული ადამიანი ილლად წარმოადგენდა სულის გარდასხეულებას ცხოველში, ფრანველში, მწერშიც და თვით მცენარეშიც.

გარსა ჩვენს შემთხვევაში ნიშანდობლივი ის არის სწორედ, რომ, ვიდრე ორფეოსელთა მოძღვრება არ გახშიანდა ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, ბერძენნი ბაიბურში არ იყვნენ სულთა გარდასხეულების ამბებზე. არც მომროს სმენოდა რამე ამ იდეისა, არც ჰესიოდეს, თითქოს არც სხვა ვისმე. ამიტომაც გამოიჭედა ამ არსმენილმა შეხედულებამ გავრცელება ორფეოსელთათნ და შემდეგ პითაგორას პიროვნებასთან დაკავშირებით. ეს ერთი. ესეც არ იყო, გარდასხეულების იდეის მიმდევარი კლასიკური ქვეყნის — ინდოეთის კულტურა სწორედ იმას გავრცელებებს, რომ მეტემფსიქოზის მოძღვრება რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარების უმაღლეს საფეხურებზე მუშავდებოდა ყველაზე ინტენსიურად. აგერ სულ ახლახანსაც, მეოცე საუკუნის დამდეგს, დიდი ინდოელი მოაზროვნე და რელიგიური რეფორმა-

ტორი ვიქეკანანდა ამჟამად აცხადებდა — შანკარას (VIII-IX საუკუნეთა ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო. და ამ ამზავს ვინმე ბნელეთის მოციქული კი არ გვამცნობს, არამედ — რომენ როლანი.

გარდასხეულების მოძღვრება ერთ-ერთი ურთულესია რელიგიურ-ფილოსოფიურ იდეათაგან, მის ირგვლივ ჰაიპარად, ურთოკრული ინფორმაციების ამარა მსჭელობა არ ეგების. ორფოცენტრული დაკავშირებითაუ შეუწყნარებელია საწარმოო ძალთა განვითარების დონეს გადავბარალოთ უველაფერი და ასე დოვუჩქროთ ამ თავისთავად წარდამცემი მოძღვრების წარმოჩენა ბერძნულ სინამდვილეში. მეცნიერება აღდემდე სწორედ ამას იქმნოდა. ფილოსოფიის ისტორიებში მეტემფისიქონის საკითხებს წვრილ-წვრილი შრიფტით აწყობილი თითო-ორილა აბზაცი თუ ერთობა, ისიც შეუწყნარებლად სწობსტორი ტონით დაწერილი, ვითომ — სერიოზულ მეცნიერებას ამდაგვარი ზღაპრებისათვის სად სცალია! არადა, ბრაჰმანიშმა და ბუდიშმა რომც დავესხნათ, ამ ზღაპრებს ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკუთრათ პლატონის მსოფლმხედველობაში, ხოლო ეს მსოფლმხედველობა, მეტი თუ არა, ოც საუკუნეს მიანც განსაზღვრავდა დასავლური (და არა მარტო დასავლური) ქვეყნიერების უბრიწყინვალეს მოაზროვნეთა და შემოქმედთა კულტურული მოღვაწეობის მიმართულებას.

რაკი ვიცით, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე მეტემფისიქონის იდეა ბერძენთათვის უცნობი იყო, და, ამასთან, რაკი ამ საუკუნეში ორფეოსებმა ერთბაშად გააზიანეს ეს იდეა, ბუნებრივად აღძვრის კითხვები: საკუთრივ ორფეოსელი თუ იცნობდნენ ამ იდეას მანამდე, სხეულზე საუკუნემდე, როდესაც დიდი ხნის განსაზღვრაში არ ამხედდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის ნიუანსებს? სხვაგვარად: ეს იდეაც ხომ არ იყო ერთ-ერთი მიზეზი მათი სექტის საიდუმლო, ფარული ხასიათისა? შემდეგ: თუკი მათთვისაც უცნობი იყო ეს იდეა, საიდან შეითვისეს, ვის დაესხენ? და ბოლოს: მეტემფისიქონის იდეის არარსებობის შემთხვევაში როგორი შეიძლება ყოფილიყო სულის მათეული მოძღვრება?

ამ კითხვათა პასუხს ოფიციალურ მეცნიერებაში ვერ ვპოვებთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საერთოდ არც აღძვრის ამგვარი კითხვები. ერთადერთი ის კითხვა დაიხა ჩქურ — ვისგან გადმოიღეს ორფეოსებმა გარდასხეულების მოძღვრება? და პასუხი ამგვარია: ინდოელთაგან, ოღონდ სპარსელთა მეშვეობითო.

იქნებ არავისგან გადმოუღიათ? მე იმას კი არ ვამბობ, თითქოს თავისთავად გამოარცხელი იყოს შესაძლებლობა ამ იდეის ინდოელიდან გადმოღებისა. საქმე ის არის, რომ ამგვარ მოსაზრებაზედ საკითხის გამოწველივით გამოიძიების შე-

დეგ უნდა მისულიყო მეცნიერება, მას შემდეგ, რაც დადგინდებოდა, რომ საკუთრივ საბერძნეთში მეტემფისიქონის მოძღვრებას მართლაც იცნობდნენ მანამდე. ანდა მას შემდეგ, რაც გაირკვეოდა — შესაძლოა თუ არა ამ მოძღვრების შემუშავება ინდოელიალურ სულიერ ძიებათა მეშვეობით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ერთი რამის თქმა შეიძლება კიდევ: მეტემფისიქონის მოძღვრება, ინდოელთაგან განსხვავებით, ბერძენებმა ვერასოდეს გაითავისეს, ეს მოძღვრება მათთვის წინააღმდეგობრივად დარჩა ბოლომდე. მითუბრუნდა ორფეოსელთა, პითაგორას, პლატონის და ნეოპლატონელთა განუწმლად დიდი სულიერი ზეგავლენისა მთელ ანტიკურსა და შუასაუკუნეთა ქვეყნიერებაზე.

მივუბრუნდეთ ამ საკითხს, თუ როგორია სულის რაობა და სხეულისა და სულის მიმართება ორფეოსელთა თვალსაზრისით.

აკი ორმაგი ბუნებისა, მასში ორი საწყისია: დაბალი, სხეულებრივი და მაღალი, სულიერი. სული, როგორც იქვეა უკვე, ღვთაების წილია, უკვდავი. მისი ღვთაებრივობა სხეულებრივ გარესში ვერ ვლინდება, სხეული მისთვის საპყრობილეა, ბორცელი, ტუეობა, მეტიც — სამარც. სააქო ცხოვრება ტანჯავა სულისთვის, მისი შებილწვა. სიცოცხლე ფაქტიურად სიკვდილისათვის მომზადება, ხოლო სულის სწრაფვის უმაღლესი მიზანი არის სხეულისაგან თავის დახსნა.

ამასთან დაკავშირებით ერთი ევროპელი მეცნიერი დასკვნის: ამ თვალსაზრისმა გათიშა ძველელნიური ცნობიერება და საბოლოოდ ჩაკლა ბერძენთა ცხოვრებისეული კონცეფციის მთელი სილამაზე და პარმონია. საკვირველია, დემტრისმანი ბერძენთა ცხოვრებისეული კონცეფციის სილამაზე და პარმონიას სწორედ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნის მომდევნო ხანიდან ვიცნობთ, ანა მანამდე პომპროსისა და მესიოდეს, აგრეთვე მათ მიერვე ფესვირებული მითების გარდა რა არის ჩვენთვის ცნობილი? ხოლო თუკი მეექვსე საუკუნის შერმონინელი ხანაც გვინდასტურებს ცხოვრებისეული კონცეფციის სილამაზე და პარმონიას, ჩანს, რომ ორფეოსელთა მოძღვრებას ვერ მოუხერხებია მისი ჩაკლა, მით უფრო — საბოლოოდ ჩაკვლა. ამგვარი სააზროვნო ლაპსუსი იმის შედეგია უწინარეს ყოვლისა, რომ, როგორც არაერთგზის ითქვა უკვე, ოფიციალური მეცნიერება სულის მოძღვრების რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემებს დიდაცუური ამარტავებით უვლის გვერდს „ემეშარტი“ ფილოსოფიის სხვაგან მგულვებელი და ამ პრობლემათა დაუმუშავებლობა და გაუთვალისწინებლობა არის ქვეყნის არაერთი მკვლევარის დაბრკო-

რეპუბლიკა  
სოფელი და ჯანსაღსოფელი



ღებვის ღოდად. ამავე დროს, მრავალი და მრავალი ხალხის სულიერი განვითარების ისტორია სრული უძველესობით ადასტურებს, რომ აზრისა და სულიერი ძალთა აღმავლასთან ერთად უძველესი შეიმუხრება ხოლმე სამყაროს ის მთლიანი, ჰარმონიული, თავისებურად (უკეთ — თავის დროს) ფრიალ მომხიბვლელი ხატის, რათა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადგეს აღმდრეველი მთლიანობა და ჰარმონია და რათა ამ უკანასკნელმა უმეღგომში ხელახალ რღვევას ახე-ლახალ აღდგომას დაუთმოს ადგილი. ამ პროცესის საბოლოო შედეგთა განჭვრეტა კაცის გონების არ ძალუძს დღესდღეობით. ოღონდ ისტორია უნდა ამით არაფერი იცვლებდეს. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ბერძენთა პირველადი კონცეფცია უნდა შემუხრულიყო და ამის გამო გლოვა და წუხილი ჩვენს თვალსაზრისს ვერაფერი შემატებს. აქ უმთავრესი ის არის, რომელი ხალხის კულტურაში ბერძენთა და რომლისაში უნდა დარღვეული ჰარმონია ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გამოვლიანება. ამის თაობაზე დაწვრილებით — ქვემოთ.

სულის ორფეოსული მოძღვრების პირველ უმთავრეს დებულებათა გაცნობას ჩვენთვის ცხადი უნდა გაეხადოს: ეს დებულებები ან მართლაც სასურეთთა განმავლობაში მუხავდებოდა ორფეოსელთა დახშული, საიდუმლო სექტის წიად, ან კიდევ სულის მოძღვრება მათ შუამზარეული სახით გადმოიღეს უცხოელთაგან, ვთქვათ, იმავე ინდოელთაგან (უმეფეოდ თუ სპარსელთა მეშვეობით). სხვაგვარად ვერაფრისდებებით ვერ აიხსნება ესოდენ მკვეთრი დებულებები, იგზომ უღმობელი დუალიზმი სხეულის და სულისა. ამგვარი რამ ერთბაშად ვერ აღმოცენდებოდა იმ მარტვ თვალსაზრისზე, ბერძენს რომ ადგენს სულის რაობასთან დაკავშირებით (მეხიოდება და, ჩანს, ფერეკიდეს ჩათვლით). ეს ამბავი მით უფრო აშკარა შეიქნება, თუკი ამ პირველ უმთავრეს დებულებებს ორფეოსელთა შემდგომ შეხედულებებსაც დავურთავთ.

სულის სწრაფვის უმაღლესი მიზანი სხეულის ტყვეობისაგან თავის დახსნა არისო, ითქვა ზემოთ. ოღონდ, ორფეოსული მოძღვრების თანახმად, ეს ერთობ ძნელად აღსაბრუნებელი მიზანია. საქმე ის არის, რომ ორფეოსელებს უკვე აქვთ საიქიო მიხატებლის მკაფიოდ გამოხატული იდეა: მიწიერ ცხოვრებაში ჩადენილ ცოდვათა გამო სულს ქვეყნელში მიეწღვება სანაცვლო სატანჯველი. მაგრამ ამით არ ამოიწურება უკველივე. ცხოვრებისეული ცოდვათა გარდა ორფეოსელნი თანდაყოლილი ცოდვიანობის თვალსაზრისსაც მისდევენ: ღვთაებრივი საუფლოდან მიწიერ არსებობაში სულის ჩამოტყუცნა სულის ზესთასოფელური დაცემის, პირველ-ცოდვის შედეგად მიღებული სასჯელია (შუ შეგვატყუნებს საოცარი მსგავსება ბიბლიურ თვალსაზრისთან). ამ დახშულ რკალში, დახადებათა

ბორბალის საწარმელ საუფლოში მოქცევის სული საიმისოდ არის განწირული, რომ მადესში ტანჯვის შემდეგ კვლავ და კვლავ გარდასხეულდეს, ვიდრე ყველა დანაშაულს (პირველ-ცოდვის ჩათვლით) არ მოინანიებს, არ გამოიყიდის და საბოლოოდ არ განიწმინდება. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა მას საშუალება თავის ქეშმარტ სამშობლოს, თავდაპირველ-ნეტარ ღვთაებრივ ყოფას დაუბრუნდეს. ხოლო საბოლოო განწმინდა, საბოლოო განთავისუფლება და დიდად სამწელო რამ არის, ხანისოდ ერთი ცხოვრება არასჯივით არ კმარა. სწორედ ამის შედეგია ახალ-ახალ შობათა გრძელი, ათასწლეულებზე გაწეილი მწკრივი — დახადებათა ბორბალი (ინდური ტერმინი გახლავთ).

შეხანადამე, მიწიერი ცხოვრება არის ტანჯვა, რომელიც საიქიოსაც გრძელდება და მომდევნო გარდასხეულებისთანავე განახლდება, ხოლო გარდასხეულებათა მწკრივი ზეგარდმო დაწებებული სასჯელია. ნუთუ ამგვარი უსაშველო პესიმიზმით განისაზღვრება ორფეოსელთა მთელი მსოფლმხედველობა? დიას, ორფეოსელთა მოძღვრება პესიმიზტური არისო, — შუგანსით აღნიშნავენ მკვლევარნი.

თვალსაზრისს, მზერის კუთხეს გაჩინა. ამდაგვარად თუ მივუდგებით საკითხს, ბუღიშვიც პესიმიზტური რელიგიაა, ქრისტიანობაც... სხვათა შორის, სწორედ ამასვე დაასკენის ერთი თანამედროვე გამოჩენილი დასავლელი სწავლელი, რომელსაც მოცალეობის უმს რელიგიათა ისტორიის შესწავლისთვის მიუყვია ზელი: ყველა მაღალგანვითარებული რელიგია პესიმიზტური არისო. იმას აღარ დავგდევთ, თუ როგორდა მოახერხებს ამ პესიმიზტურმა მსოფლმხედველობებმა კულტურული აღმავლის უმძაფრესი იმპულსები მიეცა მილიონობით და მილიონობით აღამიანისთვის. ინდოეთშიც, ჩინეთშიც, სპარსეთშიც, პალესტინაშიც, საბერძნეთშიც, დასავლეთ ევროპაშიც...

ამ საკითხის არსებაში უკეთ გასარკვევად მიუთებისა და თუნდაც ომიროსის განთქმულ ოპტიმიზმს შევუდაროთ ორფეოსელთა პესიმიზმი. პირველთათვის კაცის არსებობის რაობა ამგვარად წარმოისახება: ნათელგადაფრქვეულ, ჰარმონიულ, მშვენიერ მშისქვეშეთში წამიერი ტუბობა, რასაც გარდუვალად მოსდევს ქვეყნელს დანქნა და შვეთის, მოუხველეთის ლანდისმაგვარ მწუხარე მკვიდრად გადაქცევა საშუალოდ და უკვლად უნუგეშოდ. სულ რამდენიმე გამონაკლისი იცის მითოსის მთელმა ისტორიამ, როდესაც ღვთაებებმა ესა თუ ის გმირი თავისთან წაიყვანეს და ამით უკვდავად აქციეს შუამდინარული უთანაფიშობის მსგავსად (ამგვარადვე უკვდავებას ესწრაფვოდა გილგამეში და ამიტომაც ვერ ეწია საწადელს). მაგრამ ეს ღვთაებათა კეთილგანწყობილების შემთხვევითი გამოვლინება და არა რამე ხალხის კანონზომიერ-



რება. კაცთა მოღვაწისთვის უკვადავებასთან ზიარების პერსპექტივა ერთხელ და სამუდამოდ დახშულია. და, იოქვა უკვე, ეს იწვევს სიცოცხლის მოტრფიალემ მომეროსის დიდ ტრაგიკულ და, ცალკეულ შემთხვევებში, პეხიმიზმსაც.

საიქიო ცხოვრებაში, როგორც ვნახეთ, ორფოსელნიც ბერს ვერაფერს პოვებდნენ ხანუგეშოს და ამას ხაპაროს სატანყველად მიჩნევაც წედ ერთოვლა. მაგრამ რაოდენ განუწოზმელი პერსპექტივა ესახებოდა ამა თუ იმ ინდივიდის მისი ხული უკვადავი ყოფილა, ამასთან — ღვთაებრივი, ღმერთის წილი, თავისი პირვანდელი არსებით უმაღლესი რამ. მართალია, გარდახსულდებათა წრეში მომწყვადული ხული იტანება, მაგრამ ოდესმე, გარდახსულდებათა გარკვეული ციკლის შემდეგ (რომლის ხანგრძლივობა მის საკუთარ უნარსა და მცდელობაზეც არის დამოკიდებული) საბოლოოდ განიწმინდება და ღვთაებრივი საუფლოს აბსოლუტურ ნეტარებას დაუბრუნდება. და მაშინ — „ღმერთი იქნები და არა მოკვდავი“ (ყოფილა ამგვარი წარწერა). რამეთუ ყოველ ხულს მისი მოქმედების მიხედვით მიეგება სანაცვლო, ხოლო ღვთაებრივი მსჯავრი უმაღლეს სამართლიანობას გამოხატავს.

ერთი კიდევ, ორფეოში უკვე იცნობდა იმ მოძღვრებასაც, რომლის მიხედვით ინდოვადუალურ ხულს ძალთა საღმრთო ექსტაზის ტაშს მიეახლოს, ეზიაროს ღვთაებას თუ ღვთაებრივს (მომდევნო დროის მისტიკოსთა სწრაფვის საგანი). ეს მოძღვრება, ისევე როგორც ორფეოში საერთოდ, დიონისეს მითსა და მის კულტს უკავშირდება.

მოგვხსენებთ, დიონისეს რელიგია ერთი უმშვენიერესია ძველ ბერძნულ სარწმუნოებათაგან (თუმცა მკვლევარნი გულდაჩერებულნი აცხადებენ, რომ დიონისეს მითი წარმოშობით არც არის ბერძნული. ამასთან დაკავშირებით ქართველებსაც რომ გვაქვს რაღაც-რაღაც პიკეტეზები, ეს ამბავი, რამდენადაც ვციკი, მხოლოდ მცენიერებას ნაკლებად აწუხებს). აქ ვერ დავყვებით ამ მომხიბვლელი მითის მთლიანად წარმოდგენის საცდურს. ის გავიხსენოთ მხოლოდ, რაც ორფეოში უკავშირდება და რასაც ორფეოსელი საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს.

ყრმა დიონისე, ზევსის ძე, რომელსაც მამამისმა მთელი სამყაროს განმგებლობა მიუბოძა იმთავითვე, ტატანებმა დაგლიჯეს და შთანთქქეს. ზევსმა ტატანები ელვის ისრებით დაფრფლა და მერე ამ ტიტანურ-დიონისური ფერფლისგან შექმნა კაცი: ოღონდ მანამდე ტიტანებისაგან შთანთქმას გადარჩენილი გული დიონისეს ათენამ ზევსს მიართვა. ზევსმა ეს გული გადაუღაპა და სხვა დედისაგან ხელახლა ზვა დიონისე, უკვე მეორე დიონისე.

აქ მკვლევარნი ორ გარემოებას მიიპყრობენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთი რომ, ორფოსული თვალსაზრისით თანახმად, კაცთა მოღ-

ვა თიოგონიის გვერდითი შტო კი არ არის არამედ თიოგონიის პირდაპირი შტოდგია, მთელი კურთხევა მისთვის პროცესის მიზანი; მეორეც, ტიტანებოროტსა და მდებალ საწყისს განასახიერებენ, დიონისე — კეთილსა და ღვთაებრივს, და რაკი კაცი ამ ორს საწყისის ნაზავია, თავად არსებას მისას შეადგენს გაორება, შინაგანი წინააღმდეგობა და განხეთქილება, მუდმივი ბრძოლა სხეულებრივს, ტიტანურსა და დიონისურს, ღვთაებრივს შორის.

მკვლევარნი ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე შემდეგ მომენტებზე. კაცთა მოღვაწის შესაქმნელად ღვთაებრივი მსხვერპლი ყოფილა აუცილებელი! ზევსი მსხვერპლად სწირავს საკუთარ ძეს (რალა თქმა უნდა, ქრისტიანობა გვაფრთხილებს). ამის შედეგად ღვთაებრივი ერთიანობა განიყოფება და სიმრავლედ იქცევა (დიონისეს დაგლიჯა). მაგრამ ამის შედეგადვე სამყარო ოდენ ტიტანური, მატერიალური კი აღარ არის ამიერიდან, არამედ აგრეთვე დიონისური, ღვთაებრივი, რამეთუ დაგლიჯილი და შთანთქმული დიონისე არისს ყოველ ატომში იმყოფება. ამასთან, უაღრესად საგულისხმოა, რომ ზევსი ხელმოკრულ შობს დიონისეს და მკვდარი ღვთაების ეს აღდგომა, აღორძინება, მეორედ შობა, განყოფილი, განწვავებული მთლიანობის აღდგენა სასიყვარულო აქტის შედეგად ბორცულდება: სიყვარული არის ის ძალა, რომელიც სიმრავლედ განწინილ ყოფიერებას კვლავ ღვთაებრივი ერთიანობისაკენ მიიქცევს (გავიხსენოთ ზემოთ, ფერტიკედ მხოლდმხედველობასთან დაკავშირებით ნათქვამი სიყვარულის ონტოლოგიური მნიშვნელობის თაობაზე).

ამდგვარ გრანდიოზულ ღვთაებრივ-კოსმოსურ მოვლენათა რკალში არის ჩართული კაცი ორფოსული მოძღვრების თანახმად. ნიშანდობლივია, რომ ხულისა და სხეულის დუალიზმს აქტიურ არ შერწყმა სოფლისა და ზესთახოფლის დუალიზმი, უწყისი ღვთაებრივი კერ არ გარღვეულა საბოლოოდ. სხეულებრივი არსებობის მკვეთრად ნეგატორი შეფასებისდა მიუხედავად, ხილული სამყარო მაინც ღვთაებრივია (რაც მცენიერებას საფუძველს აძლევს ორფოსულითა პანთეონის საკითხი აღძრას).

კიდევ ერთი მომენტი იპყრობს ყურადღებას. მითოსური სამყაროს ღვთაებანი სხეულებრივ-მატერიალური არსების მქონენი იყვნენ კაცისნაირად, მაგრამ მითოსოს კაცი, მიუხედავად გარეგნულად, ზედპირულად მათთან ენოლენი სიახლოვისა, მაინც უწუგეშოდ იყო გამიწმული

1 ეს უკვე შუამდინარულში მითოსმაც იყოთა. იხილეთ ზურაბ კიკნაძის ზემოთ მითითებული წიგნი.

რედაქტორი  
სოფელი და ზესთასოფელი



მთვან. უწინარეს უკვლისა იმიტომ, რომ ღვთა-  
ებანი უკვდავი იყვნენ, ხოლო კაცნი — მოკე-  
დავნი. გარდა ამისა, კაცნი შემთხვევით იყვნენ  
გაჩენილნი, ღვთაებთა მხრივ მაინცდამაინც დი-  
დი ხიშათით არ სარგებლობდნენ და, ბოლოს,  
სამყაროელ პროცენტში თითქმის არავითარი  
როლი არ ჰქონდათ მიიჩნიალი. თუ შევადარებთ  
უკვლესავე ამას ორფეოსულ კონცეფციას კაც-  
თა მოღვაწის თაობაზე, ცხადი შეიქნება, რამხელა  
ნაბიჯია წინ გადადგმული მითოსურ აზროვნებას-  
თან (და თუგინდ ნატურფილოსოფიასთან) შედ-  
რებით.

ამით არ ამოიწურება უკველივე, ორფეოსული  
მოდერების თანახმად, კაცს იმის პერსპექტივაც  
ესახებოდა, რომ ოდესმე, გარდასხეულებათა  
თუნდაც მრავალათასწლოვანი ციკლის შემდეგ,  
ღვთაებრივი წარმოშობის მისი სული ღვთაებ-  
რივსავე საუფლოს დაუბრუნდებოდა მარადი-  
ული ნეტარი ყოფის დასამოყდრებლად, და  
იმის აღთქმაც ეძლეოდა, რომ აქვე, მიწიერ  
არსებობაში, ამ კონკრეტულ განსხეულებაშივე  
მიახლებოდა თუ მისწვდომოდა ღვთაებრივს  
(შერწყმას ნუ ვიტყვით ზოგიერთი მკვლევარ-  
ის დაჩაღ, ღვთაებრივს შერწყმის იდეა მერ-  
მინდელი და უფრო რთული რამ არის). ეს სა-  
ყოველთაოდ, ახსნილად დიონისიურ დღისასწა-  
ულზე შეიძლება და აღსრულებულიყო, ორგანო-  
ტული ხიშმაგისა და თავაწყვეტის საღმრთო  
ებას, როდესაც ექსტაზში შესულ პიროვნებას  
სხეულის შემოპყვეთი გარსისაგან განთავისუფ-  
ლების თუნდაც წამიერი გრძნობა ეუფლებოდა,  
ხოლო უფრო მაღალ საფეხურზე — ორფეოსული  
მისტერიის ფარულ, ოდენ ხელდასხმულთათვის  
მისაწვდომ ვითარებაში, ხანგრძლივი და ძნელად  
დასათმენი მზადების, ასეულის, გაწმენდისა და  
განწავლის შემდეგ, მაგარ ამ ეს უკვე იდუმალო-  
მეტყველების სფეროა და ამ ნაშრომის ფარგ-  
ლებს სცილდება...

ორფეოსული მოძღვრება არ იცნობს მკა-  
ფიოდ გამოხატული შემოქმედი ღმერთის იდეას  
(ყოველ შემთხვევაში — ჩვენამდე მოღწეული  
ინფორმაციის თანახმად). ამ მხრივ ორფეოსელ-  
თა კოსმოგონია მითოსურ თვალსაზრისთან უფრო  
ახლოს დგას, ვიდრე მონოთეიზმთან, თუმცა მი-  
აჩნიათ, რომ მონოთეიზმისაკენ უკვე გადადგმუ-  
ლია ნაბიჯი. ამიტომ სულისა და სხეულის მკაც-  
რი დუალიზმი და ამასთან დაკავშირებული მო-  
ძაგება სოფლისა (მიწიერი სინამდვილე ბორო-  
ტებისა და უსამართლობის საწყაროა, ანანკეს  
— აუცილებლობის, იძულებისა და ძალადობის  
— საუფლო, რეალურა და დაუძლეველი) არ აღ-  
ძრავს იმგვარ თვალსაზრისს წინაუკრობას, რო-  
გორც ჩამოყალიბებული მონოთეისტური რე-  
ლიგიოზისთვის არის ნიშნული სოფლისა და ზე-  
სთაოფლის მიმართების საკითხში. ზესთასო-  
ფლის იდეა, არსებული ცნობების მიხედვით თუ  
ვიმსჯელებთ, ჭრბნობით არც არის ჩამოწვე-

თული, ბუნდოვანი შინაარსის მქონეა. ორფეოსე-  
სელთა უმთავრესი მოწაპოვარი საკამო სიღრმის-  
დამუშავებულ სულის მოძღვრება გახლდათ, იმ  
ზომამდე, რომ შემდგომში სულის მოძღვრებას  
პრინციპულად ახალი არცთუ ბევრი რამ შეს-  
ძენია. ამიტომაც აღნიშნავენ ხოლმე მკვლევარ-  
ნი — ორფეოსელებმა დიდი გავლენა მოახლი-  
ნესო ჭერ პლატონის მსოფლმხედველობაზე,  
შემდეგ კი თვეთ ჭრბნობაზე.

ოლონდ მანამდე მათი მოძღვრების ძალუმე  
პულსაცია გადასწვდენია ორფეოსივით იდუმა-  
ლებით მოცულ კიდევ ერთ უსაჩინოეს პიროვნე-  
ბას — პითაგორას.

„პითაგორელებს თუ ვერწმუნებით... მე ოდეს-  
მე, ამავე ჭობის ხელში მჭერელი, კვლავაც გე-  
სახებრებით თქვენ, ახლანდელივით მსხდომთ  
ჩემს წინაშე, და ყოველივე დანარჩენიც ასევე  
განმეორდება“<sup>1</sup>, — ეუბნებოდა თავის მსმენე-  
ლებს არისტოტელეს მოწაფე ევდემოსი დროის  
პრობლემისადმი მიძღვნილი ლექციის კითხვისას.

არისტოტელეს, მიუხედავად „პოეტის“ აე-  
ტორობისა, პოეზიის თუ პოეტურის სახელოებს  
არასოდეს გაუვლია. სტაგირელის მანქანასავით  
აწყობილი გონება და ცივი გული უხვირო მეტ-  
ზურები იქნებოდნენ საამისოდ. ამ მხრივაც არ  
მკავდა მის საღმრთო მოძღვარს გვარაიანად უმა-  
ღური შეგირდი. ხოლო თავის მხრივ, ეტყობა,  
საკუთარი ყაიღის შეგირდებს ირჩევდა დასამოძ-  
ღვრად. ამას გვაფიქრებინებს ამ წუთას სხენე-  
ბული ევდემოსის უნდელი კილო და შეფარული  
სქესისი ამგვარი შემპარსუნებელი იდეის გად-  
მოსვლისას. ეს არ არის სიღრმეთა მზილველი  
ბრძენის გულშეუძერელი აუმიღვრევლობა, ეს  
არის კილო სასწორის პინაზე ქვეყნელ-ზესკენ-  
ლის საიდუმლოთა იოლად შემდგებელი კაცისა,  
რომლის ხელშიც თვით უტყვევლებს იდეებს  
ერთმევათ ხოლმე სიცოცხლე და ფერადოვნება.  
ეს — სხვათა შორის.

ახლა თავად იდეის თაობაზე.  
რა არის ეს, რა გონებას წარმოშვა ამგვარი  
ზარდაშენი იდეა? ღმერთმა დაგვიფაროს იმის-  
გან, რომ მსგავსი სიძნელის პრობლემას საკუთა-  
რი თავის მოიგონებდებოდა შევკადრეთ ხელყოფა.  
უმჯობესი იქნება ავტორიტეტულ მეცნიერს მო-  
ვუსმინოთ.

ეს არის საწყაროს ციკლური პერიოდების  
რწმენა, რომელიც ჰქონდათ ანაქსიმანდრეს, მე-  
რაკლიტეს, ემპედოკლეს, აგრეთვე გვიანი ხანის,  
თვით მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნეებს. უძ-

<sup>1</sup> „მაგარამ გულში დარღს ნუ ისევ, ოცნება ნუ  
გშორდება, — ყოველივე იგი ისევ ისევ განმე-  
ორდება“ (გალაკტიონი).

ველესი კოსმოგონები იმის წარმოსახვით ემა-  
ყოფილდებოდნენ, თუ როგორ დაიწყო სამყაროს  
არსებული წყობა და იმას არ დაგიდევდნენ, თუ  
რა იყო მანამდე, ან სამარადისოდ იარსებებს თუ  
არა ეს წყობა. აზრის შემდგომი განვითარებისას  
საქირო შეიქნა არჩევანი — აბსოლუტური და-  
საწყისი და აბსოლუტური დასასრული, თუ და-  
უსაზამო და დაუბოლოებელი სამყაროელი პრო-  
ცესი? ბერძენმა ფილოსოფოსებმა უწყყმანოდ  
მიიღეს მეორე: არც დასაწყისი და არც დასას-  
რული, არამედ გარდაქმნათა მუდმივი და დაუცა-  
დებელი პროცესი.

აქედან ორგვარი გამოსავალი იხაზებოდა: სამ-  
ყაროელი პროცესი შესაძლოა მსგავსი ყოფი-  
ლიყო ტრაექტორიისა, შესაძლოა — წრებრუნ-  
ვისა. პირველ შემთხვევაში ეს პროცესი წარმო-  
ედგინებოდა უცნობი მიზნისკენ სწრაფვად,  
მეორეში — ყოველივე არსებულის წრიულ დი-  
ნებად, საწყისი წერტილისკენ მარად მიქცევად.  
პირველ თვალსაზრისს სრული ანალიზებით არ  
მოქმედებოდა, მეორის სასარგებლოდ მეტყვე-  
ლებდა მცენარეთა კვლევისა და აღორძინების  
გამომდებელი მონაცვლეობა და მატერიის წრე-  
ბრუნვა, რაიც საფუძვლად ედვა პირველნივითი-  
ერების მოძღვრებას (ხოლო ხელთა ხვედრი —  
„საღესი აზრდილის სახით არსებობდნენ სულნი,  
თუ ნეტართა საუფლონი ამაღლდებოდნენ — გა-  
მონაკლისად მიიჩნეოდა ბუნების ამგვარად  
ცხოვრების საერთო მდინარებაში და აქ დარღვე-  
ული პარმონია გარდასხეულების მოძღვრებამ  
აღადგინა). ნივთთა წრებრუნვის ყველაზე დამა-  
ჭირებელი მაგალითი იყო წელიწადის დროთა  
მონაცვლეობა და განსაზღვრულ ვადებში გამო-  
ჩენა მოედვარე, აღმანიასა და ბუნების ცხოვ-  
რებაზე გავლენის მომხდენი (და ამიტომ — უმე-  
ველად დვთაბრვი) ცის სხეულებისა. ამ მხრივ,  
ასტრონომიაში პირველად შეხვდნენ ერთიმეორეს  
ღვთებისა და კანონზომიერების იდეები, რის  
მეოხებითაც წესრიგისა და კანონიერების ცნებე-  
ბი ღვთაბრვი ნების ნათელით გაბრწყინდა. რაც  
მთავარია, საღმრთო ხელმწიფების ცნება საბო-  
ლოლო ჩამოსცილდა თვითნებობის ბატონობის  
ცნებას, მათი აღრევა თუ გაიგივება შეუძლებე-  
ლი შეიქნა.

ამრიგად ჩამოყალიბებული რწმენა ყოველივე  
მომხდარის ციკლური მობრუნებისა განმტკიცდა  
ბაბილონური მოძღვრებით — სამყაროელი ანუ  
დიდი წელიწადის ცნებით, რომელიც 36.000 წე-  
ლიწად შეიცავდა. ამასთან, ეს ვიება წელიწად-  
იც კი ოდენ ერთი დღე იყო სამყაროს ცხოვ-  
რებისა. ეს თვალსაზრისი იქიდან უნდა იყოს მი-  
ედებული, რომ, თუკი მზე, მთვარე, ცდომილი  
განსაზღვრული დროის შემდეგ საწყის წერ-  
ტილს უბრუნდებიან, იგივე უნდა მოსდიოდეთ  
სხვა („უძრავ“) სხეულებსაც, რომელთა მოძ-  
რაობის შესამჩნევად საუკუნოვანი დაკვირვებე-  
ბა საჭირო.

აღმოსავლელ ასტრონომთა ამ შეხედულებას  
გამოყენებდნენ ციკლურ მოქცევათა ბერძენული  
აგრეთვე ინდური დოქტრინები. ჰერაკლიტეს  
ჰქონდა პერიოდული სამყაროელი ააღების მოძ-  
ღვრება. ბაბილონელიც აღიარებდნენ პერიოდულ-  
ლად განმეორებად ცეცხლით მოსვრასა თუ  
წარღვას. „ორკეი შემუსვრის“ პითაგორული  
მოძღვრება — ზეციური ცეცხლის ჩაშორება და  
მთვარის წყალთა ჩამონთქრევა — ბაბილონუ-  
რისგან უნდა იყოს ნასესხები.

მაგრამ მარადი მოქცევისა და განმეორების  
საკვირველი მოძღვრება აწინდელი სამყაროსა  
და დედამიწის შედგენილობის ციკლური განწა-  
ვევის თვალსაზრისიდან უნდა მოდიოდეს და  
არა ბაბილონური სამყაროელი წელიწადის მოძ-  
ღვრებიდან, რომლის თანახმადაც, როცა ვარ-  
სკვლავანი კვლავ დაუბრუნდებიან თავთავიანთ  
პირვანდელ მდგომარეობას, ყოველივე მომხდარ-  
ი ხელახლად განმეორდება.

ასევე ნაკლებ სარწმუნოა იმის ფიქრი, თით-  
ქოს ეს მოძღვრება ხელთა გარდასხეულების  
იდეიდან აღმოცენებულიყოს: ჭერ ერთი, ამ მოძ-  
ღვრებას სტოელთა გვიანი სკოლის წარმომად-  
გენელიც იცნობდნენ, მაგრამ სტოელებს მე-  
ტემფსიქოზი არ სწამდათ; მეორეც, იმ ეპოქაში  
„სული“ გონებრივ და სულიერი თვისებათა ერ-  
თობლიობად როდი მიიჩნდათ; და ბოლოს, მე-  
ტემფსიქოზის თეორია ამ მოძღვრებას ვერ ახ-  
სნის, რადგან ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ  
აღამიანთა აურაცხელი რაოდენობა კვლავ ერ-  
თდროულად წარმოდგება თავთავის ძველი სხე-  
ულით და თავთავის სულიერი თავისებურებით.  
ევდემოსი კვლავ რომ აღედგეს იმავე სხეულებე-  
რივი და სულიერი თვისებებითურთ, ჭერ მი-  
სი მშობელი და წინაპარი უნდა აღდგნენ,  
აგრეთვე — მთელი წყება მისი სულიერი წინა-  
პრებისა (არისტოტელი, პლატონი, სოკრატე და  
ასე შემდეგ...). მას რომ ხელთ ეპურა, იმ ჭოხის  
კვლავ საარსებოდ ის ხეც უნდა აღდგეს, ამასთან,  
იმავე თესლიდან უნდა აღმოცენდეს, იმავე ნი-  
აღაწეც, იმავე ქვეყანაში და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, აწინდელ აღამიანთა, ნივთთა,  
ამბავთა ამგვარი მომავალი განმეორება აუცი-  
ლებლად განაირობებულაა შერწყმულ მიზეზთა  
ზუსტი განმეორებით, და ხსენებულ მოძღვრება-  
შიც ეს არის სწორედ: ყოველივე ქმნადის მკაც-  
რი მიზეზობრივი კავშირის რწმენა, აგრეთვე  
რწმენა იმისა, რომ მიზეზთა ამ მწყრვის ამოსა-  
ვალად ექნება ზუსტად ისეთივე წერტილი, რო-  
გორიც წინათ ყოფილა. ეს რწმენა ჰქონდათ  
პითაგორელებს (ჰერაკლიტესთანაც ვხვდებით  
მას) — რიცხვთა მოძღვრება სწორედ იმ რწმე-  
ნას ემყარება, რომ მოვლენათა ერთობლიობას  
კანონზომიერება მართავს უუქველად. და მარად  
განმეორებათა იდეა არის სწორედ მათემატი-

კურად ზუსტი გამოხატვა სამყაროს საწყისი მდგომარეობის ციკლური განმეორებებისა.

სახელგვანი სწავლულის მთელი ეს მსჯელობა უაღრესად საგულხისხმოა. ოღონდ ამასთან დაკავშირებით აღიძვრის კითხვა: მხოლოდ ამგვარად შეიძლება თუ არა მოაზრებულ იქნას სამყაროს საწყისი მდგომარეობის ციკლური განმეორებანი? ანაქსიმანდრესა და პერაკლიტეს შემთხვევაში ეს თვალსაზრისი იქნებ სავსებით დამაკმაყოფილებელიც გამომდგარიყო. მაგრამ საქმე პითაგორას შეიხება, ხოლო ყოველივე ქმნადის მკაცრი მიზეზობრივი კავშირისა და ციკლური პერიოდების მოძღვრებას პითაგორას მსოფლმხედველობაში იქნებ სხვა საფუძველიც განაპირობებდა, იდეალური საფუძველი. და ამგვარი შეხედულება წინასწარვე გამოირიცხული რომ ვერ იქნება, ამის საწინდარია პითაგორას ნააზრევო მის მთლიანობაში (თუნდაც იმ სახით, როგორც იატ ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით არის ცნობილი).

აბსოლუტური დასაწყისი და აბსოლუტური დასასრული, თუ დაუსაბამო და დაუბოლოებელი სამყაროული პროცესი? — ამ კითხვას გადააწყდნენო ბერძენი ფილოსოფოსნი, მოგვიმოხრობს, როგორც შემოთ ვნახით, თ. გომპერცი. აბსოლუტური დასაწყისი და აბსოლუტური დასასრული მონოთეისტურ რელიგიათა თვალსაზრისია, დაუსაბამო და დაუბოლოებელი სამყაროული პროცესი — ნატურფილოსოფიისა. ოღონდ ფრიალ საგულხისხმო ის არის, რომ პითაგორას ამ ქვეყნად მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე უკვე არსებობდა ორივე ამ თვალსაზრისის გამაერთიანებელი საკვირველი მოძღვრება და პითაგორას მხრივ ამ მოძღვრების ნაცნობობას ასე თუ ისე უნდა გვიდასტურებდეს მისი ნახევრად ლეგენდარული ბიოგრაფიის ის მონაცემები, რომელთა თანახმად, ეგვიპტელთა და ქალდეეკელთა გარდა, ინდოელ ბრძენთაგანაც უნდა განსწავლულიყო პითაგორა.

ხოლო ინდური მოძღვრება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხს ამგვარად განიხილავს.

სამყაროში უწყვეტი, პირდაპირი ბაზით არაფერი ვითარდება. ყოველი საგანი გარკვეულ წერტილამდე მოძრაობს, შედეგ უკან იხევს. ყოველგან ურთიერთს ცვლის ქმედება და მოვანება. ეს არის მონაცვლეობის სამყაროული კანონი. თავად სამყარომაც უნდა განიცადოს ქმედებისა და მოვანების პერიოდები. ქმედების პერიოდის დროს დიადი პირველმიზეზი წარმოქმნის

მისი სამყაროს, მოვანების პერიოდში საწყისი პირველმიზეზს უბრუნდება. მომდევნო გამოვლენის რიგი რომ დადგება, ახალი სამყარო წარმოიქმნება წინაპორბედ სამყაროთა ტოლქმედად. ასე რომ ღვთაებრივი შემოქმედება განუწყვეტლივ გრძელდება დაუსაბამოდ და დაუბოლოებლად. ყოველ ცალკეულ სამყაროს აქვს თავისი დასაბამი და დასასრული, მაგრამ თავად შემოქმედების არც დასაბამი აქვს და არც დასასრული. ქმედებისა და მოვანების ამ სამყაროულ პერიოდებს ეწოდება უზუნაესი ღვთაების — ბრამას დღეები და ღამეები, აგრეთვე — ბრამას ამოსუნთქვა და შასუნთქვა. ამოსუნთქვა არის გამოვლენილი სამყარო, რომელიც შასუნთქვა შასუნთქვას. მთელ ამ პროცესს ეწოდება „კალა“ ანუ ციკლი. „კალა“ ზუსტი მნიშვნელობით „წარმოდენას“ ნიშნავს, რამეთუ სამყარო სხვა არაფერია, თუ არ ღვთაებრივი აზროვნება.

სამყაროული გამოვლენის კანონის თანახმად, მოქმედების წარმოქმნილი მიზეზი თავისთვის იგივეობრივი რჩება, მოქმედება არ ცვლის მის წარმოქმნილ მიზეზს. სამყაროში ყოველივე წარმოიქმნება ღმერთის მიერ, რომელიც ყოველსავე არსებულში თავისი სრული მთლიანობით იმყოფება და მაინც რჩება ღმერთად — უცვლელად, მარად თავისთვის იგივეობრივად, ერთნაირად თავის გამოვლენათა უსასრულო სხვადასხვაობის წიაღ. ამის თვალსაზრისი მაგალითია რკინის მავთულს მიმაგრებული ნაკვერჩხალი, რომელსაც სწრაფად თუ დავატრიალებთ, ცეცხლგან წრეს ვიხილავთ. მერმე პირველ წრეს ერთეულად თუ მივიჩნევთ და ამ ერთეულს სხვა ცენტრის ორგვლივ ვაბრუნებთ, ახალ, უფრო რთულ წარმონაქმნს მივიღებთ. შემდგომშიც ამგვარად მოქცევის მეოხებით ერთი ნაკვერჩხალი უსასრულო სივრცის აღსება შეიძლება. მთელ სამყაროში სხვა არა არის რა, ვარდა ღმერთისა, რომელიც ამ სამყაროს ყოველ წერტილში სრული თავისი მთლიანობით გვიქვს. ამ პროცესის აღმნიშვნელი სანსკრიტული სიტყვა Vivartha ზუსტი თარგმანით „გრიგალისებურ მოძრაობას“ ნიშნავს.

სამყარო არის გრიგალისებური მოძრაობა, მარად უცვლელბელი ღმერთის მიერ წარმოქმნილი. გარნა ეს სამყაროული მოძრაობა, ეს გრიგალი სხვა არაფერია, თუ არ აზროვნება, გონიერი მისწრაფება. სამყაროში ჩვენ აღვიქვამთ ოდენ მოძრაობას, ხოლო მოძრაობის წარმოქმნილ ძალას არ ვიცნობთ. ერთადერთი შემთხვევაა ამ ნაცნობობისა — ძალას ვიცნობთ ჩვენშივე თავად. ხოლო რაკი ძალა გონიერია ჩვენში, ესე იგი ჩვენს მიერ მისი ცნობის ერთადერთ შემთხვევაში, ჩვენს გარეშე არსებულ ძალადაც გონიერად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ყოველი მოძრაობის წარმოქმნილი პირველმიზეზი თუ გონიერია, მის მიერ წარმოქმნილი მოძრაობანი მისი აზრების გამოხატვაა მხოლოდ და მხოლოდ.

1 Теодор Гомперц, Греческие мысли, т. I, 1911, С.Петербург, стр. 121-125.



შესაქმის პროცესის განხილვა სხვა თვალსაზრისითაც არის შესაძლო, მაგალითად, მუსიკალური თვალსაზრისით. შემოქმედის მიერ წარმოსთობილი მოძრაობანი რიტმული რბევებია და მათი აღქმა მუსიკალურ ბგერათა ფორმითაც ხერხდება. ამ თვალსაზრისით სამყარო არის ერთი უსაზღვრო ჰარმონია. გარნა რამდენადაც ბგერა და იდეა ერთი და იგივეა, შესაძლოა აგრეთვე საუბარი სამყაროს შექმნაზე დაიდი ბგერის, სიტყვის მეშვეობით.

კიდევ სხვა თვალსაზრისით შესაძლოა სამყარო განხილვებოდეს როგორც ფერთა ჰარმონია. შესაქმე, ღვთაებრივი აზროვნება ანუ ხიტყვის რიტმული რბევიან ფერის ანუ სინათლის განფენასაც ნიშნავს. აქედან ბუნებრივია გადასვლა სამყაროს გეომეტრიულ სურათზე და გამოვლენის წარმოდგენა, როგორც მათემატიკური პროცესისა, რადგან ფერნი განლაგდებიან ფორმებსა და ფიგურებში, ფერს ვერ აღვიკავთ სივრცეში არსებულ გარკვეულ ფორმათა გარეშე, ეს ფორმები კი მუდამ სწორი და გეომეტრიულია. დაბოლოს, გეომეტრიული ფიგურები შესაძლოა რიცხვებად იქნეს დასახული.

პირველმიზეზი გამოვლენისას უცვლელი რჩება, ის არის ერთადერთი აბსოლუტური რეალობა, სხვა ყოველივე მისი პერიოდული, ციკლური გამოვლენა — ერთიანი ნათელის წარმავალი აჩრდილები. ამგვარივეა აწინდელი სამყარო, ჩვენი სამყარო, რომელიც მის წინააღმდეგ არსებული სამყაროს ნაყოფია და, თავის მხრივ, მომავალი, ახალი სამყაროს საფუძველი. ასე გრძელდება შესაქმე წარსულისა და მომავლის ორკეცი მარადსობით. გამოვლენილი სამყაროა დასბოლოს მოვანების პერიოდი რომ მოჰყვება, ღვთაებრივი აზროვნება, იდეათა შექმნა წყდება, სამყაროში მოქმედი ძალნი თანდათანობით ნეიტრალდებიან. ბოლოს სამყარო იშლება — ბრამა იძინებს. ყოველივე მოვანებულია, უძრავი, დასისური. არაფერი არ არსებობს. სრულდიად სამყაროული ღამე მეუფებს ბრამას ხელახალ გაღვიძებამდე. ოღონდ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: უზენაესი პრინციპი ორ სახეს ავლენს.

ბრამან (ნეიტრალური) არის აბსოლუტური, უატრიბუტო, გამოვლენილი სამყაროსადმი მიუწვდომელ მონაროებაში მყოფი.

ბრამა (მამარი) არის პირველი, სამყაროს შემოქმედი, მაშასადამე მისღამი გარკვეულ მიმართებაში მყოფი.

ბრამან ჰეშმარითად გამოუთქმელია. ბრამა, უკვე იმითომ, რომ პირველია, არ იძლევა აბსოლუტური იყოს.

აბსოლუტური არ მოიხსენიება, მხოლოდ უარყოფითად განიხადვრება: „ეს არა, ეს არა“. მისი გამოხატვა ოდენ ღუმილით არის შესაძლო.

ბრამა არის უკვე არსი, რეალური, უფალი. კალპას გარეორაჟზე იღვიძებს ბრამამ.

უფლის პირველი აზრი გაღვიძებისას: „არაფერი არ არის“. შეგნება ამისა უდრის არყოფნას, არაარსს. ამრიგად, შესაქმის მეორე საფეხურზე ვლინდება ყოფნისა და არყოფნის, არსისა და არაარსის დაპირისპირება. მიიღება ორსახოვნება: პლიუსი და მინუსი, მამრობითი და დედრობითი საწყისები. არსისა და არაარსის ეს თანაფარდობა ყოველი გამოვლენისას გარდუვალა (საგულისხმია, რომ არსი, რეალური აღინიშნება ტერმინით Sat, არყოფნა, არაარსი — Avidya. ეს უკანასკნელი ერთდროულად ნიშნავს: „არ არსებობს“, „უცნობია“, მაშასადამე „არსებობა“ და „ცოდნა“ გაიფიქრებულა). ეს არის შესაქმის მეორე საფეხური.

უზენაესი არსება წარმოქმნიდა და იცნობდა სამყაროს წარსულში. ახლა იგი იაზრებს: „არაფერი არ არის“. მომდევნო მომენტი იქნება უფლის მიერ წარსულის მოგონებისკენ მიქცევა, გარდასული და გამქარალი სამყაროს აღდგენა მის ღვთაებრივ აზრში. უზენაესი არსების ამ მოგონებას ეწოდება Mahat — ილიად, დაუსრულდებელი. ამასთანავე მამატ აღინიშნავს ღვთაებრივ აზროვნებას. მამატ — არსებული სამყაროს პირველსახე — სხვა არაფერია, თუ არ გარდასულ სამყაროთა მოგონება!

მაშასადამე, პითაგორასეული თვალსაზრისის აღდგენას რომ შევეცადოთ ინდური სიბრძნის გათვალისწინებით, იმავე ჯოხის ბელთ მპყრობელი იგივე ევდემოსი რომელიმე მომდევნო გარდასხეულებისას თუ ვერ მოეგონებოდა იმავე მსმენელებს, როგორც ამას თ. გომპერტი ფიქრობს, აწინდელი სამყაროს ხელახალი გამოვლენისას, ზემოთ გაღვივებული ინდური მოძღვრების თანხმად, ამგვარი განმეორება ოდენ შესაძლო კი არა, აუცილებლად მოსახდენ ფაქტად უნდა დასახულიყო. და საფიქრებელია, რომ ამ ასპექტით უფრო სარწმუნოდ გამოიხატება პითაგორასეული თვალსაზრისი, ვიდრე ოდენ მატერიალური, ოდენ ფიზიკური საწყისი მდგომარეობის ციკლური განმეორებათა მოძღვრების ასპექტით. ეცებ არ იყოს, გარდასხეულების მოძღვრების პითაგორულ-ორფოსული (ოღონდ ინდური წარმოსთობის) ტერმინი „დაბადებათა ბორბალი“ მიწაზე სულის მუდმივ მობრუნებას ნიშნავს და უთვალავ მოქცევათაგან ერთ-ერთის დროს ევდემოსი და მისნი მოწუფენ იქნებ კვლავაც შეეროილყვენ ერთად?

1 ჩატერჯი, ინდოეთის იდუმალი რელიგიური ფილოსოფია. შეადარეთ: „რამ ყოფილი, იგივე ყოფილი, და რამ ქმნა, იგივე ქმნული. და არა რამ არს ყოველივე ახალ მზესა ქვეშ...“ (ეკლუზიასტე, 1,9-10).

რამაზ თვაბამძე  
სოფელი და ზმისთასოფელი



ინდოელ ბრძენთაგან მართლა განისწავლა თუ არა პითაგორა, ამის დაბეჭდებით თქმა ძნელია, ოღონდ მეტემსხიქოზის მოძღვრების გულდაჭერბული მიმდევარი რომ იყო, ეს უტყუარად არის დადასტურებული. თავისი წინა განსხეულებანი ახსოვდა თურმე პითაგორას: ღვთაება შერშენის ვაჟი ყოფილა, ერთ-ერთი გარდასხეულებისას — ტროას ომის მოწაწილე. მრავალ სხვა საოცარ ამბავსაც იხსენებდა. მისი ეს რწმენა სხვათა და სხვათა აღიწინებდათ კიდევ. ქსენოფანეს ეკუთვნის ცნობანი ლექსი, მკვლევართაგან მიჩნეული პითაგორას დაცინვად: ერთხელ, ამბობენ, პითაგორამ რომ ჩაიარა, ლტყვს სცემდა ვიღაც და პითაგორამ უბრძანა: ნუ ურტყამ, ჩემი საყვარელი კაცის სული უღდას მაგ ლტყვს, ზნაზე ვიცანიო. პერაკლიტესაც დაუგესლავს პითაგორა: განსწავლა ჭკას ვერ შეხმენს კაცს, ახე რომ არა, პითაგორასაც შეხმენდა.

„ელინთა შორის უბრძენეს პითაგორას“, — რაგვრც პეროდოტე ბრძანებდა.

ძველი წელთაღრიცხვის 580-570 წლებს შუა დაბდეულა პითაგორა, დაახლოებით 500 წელს გარდაცვლილა. ჩვენთვის საკულრსხმო უნდა იყოს, რომ პელაგეი ყოფილა შთამომავლობით. საბერძნეთის სალოკავებისა და კულტთა გახაცნობად იმოგზაურა, ფერკიდესაც მაშინ გაეცნო და დემოწაფაო. იმასაც მოგვითხრობენ: თაღენისს რჩევით ეგვიპტეს გაემგზავრა და ოცდობრი წელიწადი დაყო იქ, ჭურუმთა ორდენის წევრი შეიქნა, მერე ხაბლოწოდ ჭურუმებთან გაატარაო თორმეტი წელიწადი. შესაძლოა ფინიკიაშიც იყო ნაშყოფი, სპარსეთშიც და თვით ინდოეთშიც.

შემოთავ ითქვა: აღერულ ბერქენ მოაწროვნეთაგან უმრავლესობა აღმოსავლეთში განისწავლემოდა. აღბათ იქიდანვე ჩამოჰყვა პითაგორას სულიც უკვდავებისა და ღვთაებრიობის უმტკიცები რწმენა, შესაძლოა — სულთა გარდასხეულებისა და საწყაროთა გარდავლენის მოძღვრებაც. ახეა თუ ისე, მის მიერ დაარსებული რელიგიური ორდენი ორფეოსელებისას რომ შეიქრწა, მეტემსხიქოზის თეორია საერთო აღმოჩნდა თუ შეიქნა მათთვის. შესაძლოა საეროთად ამ ნიადაგზეც მომხდარიყოს მათი დაახლოება.

გარდასხეულების იღვის გარდა სიბრძენს დაწვდებული კაცის თავისებური იდეალიც აღმოსავლეთიდან უნდა წამოჰყოლოდა პითაგორას — ჭვრეტად დანთქმული მოაწროვის იდეალი. აქ მოვსმინეთ პროფესორ სერჯე დანელიას, რომელსაც ეს საკითხები სხვა მკვლევარებზე უკეთ აქვს გადმოცემული:

„ყველა აღამიანები შეიძლება სამ ჭკუფად გავანაწილოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად არიან მათი სულელი სხეულისაგან დამოკიდებული: უმდაბლეს ჭკუფს შეადგენს უმრავლესობა, რომელიც ბრძნობით ცხოვრობს. მეორე ჭკუფს შეადგენს მოქმედი ნაწილი კაცობ-

რიობისა. ხოლო მესამეს და უმაღლეს ჭკუფს ეკუთვნიან ისინი, ვინც მიიღრძობს ბას ეწევა, ვინაიდან ასეთი ცხოვრება ყველაზე უფრო ნაკლებად აკავშირებს სულს სხეულთან და ყველაზე უფრო დამოუკიდებლობას აძლევს მას. ის კი, ვინც გრძნობით ან პრაქტიკული მოქმედებით ცხოვრობს, ამქვეყნიურ დამოკიდებულებებში იხლართება: სული მისი უფრო დამოკიდებულია და მისი კავშირი სხეულთან უფრო ვიწროა, ვიდრე თეორიული ცხოვრების მატარებელი აღამიანისა. წუთისოფელი შეიძლება ოლიმპიის დღესასწაულს შევადაროთ: აქ უამრავი ხალხი ირევა. ბევრი მოვლს იმისათვის, რომ ივაჭროს — იყიდოს ან გაჰყიდოს ან შეიძინოს ჭონება, რომელიც სიამოვნების წყაროა; ესენი ემგავხებიან იმათ, ვინც ბრძნობით ცხოვრობს. ზოგი მოღვის იმისათვის, რათა შეეხებრებაში მონაწილეობა მიიღოს და თავი გამოიჩინოს; ესენი ემგავხებიან იმათ, ვინც მოქმედი სწინარეობს ეწევა. არიან ისეთებიც, რომელნიც არც ჭონების შესაქმნად მოსულან და არც თავის გამოხატვად, არამედ მხოლოდ საჭვრეტად. მათი რიცხვი ძლიერ მცირეა. ესენი არ ერევიან იმაში, რაც ხდება დღესასწაულში, არამედ გარედან უყურებენ მას, რადგან მხოლოდ ცოდნის სურვეთი აქვთ. სწორედ ამ უკანასკნელებს ემგავხება ის, ვინც თეორიულ ცხოვრებას ეტანება. ისიც ამქვეყნიური ცხოვრების განზე დგას და არ ერევა იმ შენლა-შემოხლაში, რომელიც გრძნობების დასაქმყოფილებად ხდება. არც ჭონების შექმნა, არც ამქვეყნიური სახელის მოხვეჭა აწუხებს მას. ის მარტო სიბრძენს ან ცოდნას ეძებს და ყველაზე ნაკლებად არის ჩათრეული წუთისოფლის ტრაილში, რომელსაც ის მხოლოდ უჭვრეტს, და ყველაზე უფრო განწმინდილი სხეულისაგან. ახეთს კაცს პითაგორის ფილოსოფოსის ან სიბრძენის მოყვარულს უწოდებდა (ტერმინი, პირველად მის მიერ შემოღებული): ის არ არის ბრძენი ან დასრულებული სიბრძენის პატრონი (ვინაიდან სრული სიბრძენე ამ ქვეყნად მიუღწევია და ბრძენიც მხოლოდ ღმერთია). ის მხოლოდ მაძიებელია სიბრძენის“.

დაიხ, მან შემოიღო ტერმინი „ფილოსოფოსი“, რათა „გაცოფებული სიბრძენე ამა სოფლისა“ (პავლე მოციქულის სიტყვება) ღვთაებრივ სიბრძენეს არ გატოლებოდა. მაგრამ მისინ მრავალრიცხოვანი მოწაფენი იმ ზომამდე სცემდნენ თავყვის, რომ შთამომავლობამ ნახევრად ღვთაებად დასაბა პითაგორა. უკანასკნელი ხანის მკვლევარნიც კი აღნიშნავენ, რომ ის იყო ერთი ყველაზე თავისებური პიროვნება ოდენ საბერძნეთში კი არა, მთელ ქვეყნიერებაზეც. იყო გენიალური

1 „თეორია“ ბერძნულად იმავე ჭვრეტას ნიშნავს. რ. თ.

2 ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია სსკრპის წინ, ტფილისი, 1926, გვ. 222-223.



მათემატიკოსი, ასტრონომიაში გადატრიალების მომხდენი მეცნიერი, ამასთან, დამფუძნებელი რელიგიური სექტის და ძმობისა, რომელიც ევროპულ რაინდულ ორდენებს ჩამოჰკავდა, ღვთისმეტყველი, ნათელმზილველი და ზნეობრივი რეფორმატორი. ერთი სტრატეგია არ შემორჩენილა პითაგორასეული, ჩანს, არც წერდა. მაგრამ განუზომელი გავლენა ჰქონდა მოხვედრი. რაიც მისი სიტყვის ძალასა და პირად მავალითს ემყარებოდა. „მოდგარმა ბრძანა თავად, — მის მოწაფეთა შორის ეს საბუთი ყოველგვარ სხვა არაგუმენტს აღემატებოდა. ის იყო ერთი იმ იშვიათ პირთაგანთაგანი, ვინც უპირველად შერწყავდა თავის თავში ზნეობრივი განწყენდის უმაღლეს იდეალებს, ღრმა რელიგიურ გრძნობებს, მისტიურ ხილვებს და მეკლერაოს, მათემატიკოსის, ფილოსოფოსის მეცნიერულ სისტემათს.“

მისი იდეალური მოძღვრების მიმდევარნი ხელდასხმულთა დახშულ რელიგიურ ორდენში იყვნენ გაერთიანებულნი (ზოგიერთი ცნობის თანახმად, ამ კავშირში მამაკაცებთან ერთად ქალებსაც დებულობდნენ). ორდენის წევრნი უმკაცრეს დისციპლინას ემორჩილებოდნენ და გულმოდგინედ აღასრულებდნენ წესებს, ასკეტურ ვარჯიშებს. კავშირში მისაღებს ხანგრძლივი ზნეობრივი და გონებრივი გამოცდა უნდა გაეკლო, ვიდრე ხელდასხმის ეღირსებოდა და მისტერიებს ეზარებოდა. ამ გამოცდაში შედიოდა დუმილის აღქმა, უსიტყვო ფიქრი, ორფეოსულ-პითაგორული მოძღვრების აზრის მისტიური წვდომა. ამგვარი ცნობაც არსებობს — საზოგადოების წევრები ევოტერიკოსებად (ხილრმეს ზიარებულად) და ევოტერიკოსებად (ნაკლებ ზიარებულად) იყოფოდნენო. მაგრამ მეკლევარნი მიიჩნევენ, რომ ეს მწიღევნო დროის ამბავია, გვიანდელ პითაგორელთა შორის დანერგული წესი.

ალონზე იღვიძებდნენ თურმე პითაგორელნი და გაღვიძებისთანავე მესხიერების გასაწაფუხ ვარჯიშს ასრულებდნენ. შემდეგ ზღვის სანაპიროსკენ გასწევდნენ და იქ ეგებებოდნენ მზის ამოსვლას<sup>1</sup>. მერმე ძმობის წევრნი გაიანჯრებდნენ, რა საქმიანობა ეტლოდათ იმ დღეს, ივარჯიშებდნენ და შრომას შეუდგებოდნენ. საღამოსანს — ერთობლივი ბანაობა, საერთო ვახშამი, რასაც

ზრდა მოჰყვებოდა, დაბოლოს — ერთად კობხვა წიგნისა. ძილის წინ პითაგორელი თავს ანგარიშს აბარებდა განვლილი დღის გამოცდილებას. „მშვიდი თვალებით ძილს ვერ მივცემოდი, ვიდრე სამჯგის არ გაიანჯრებდი განვლილ დღეს: როგორ ვიცხოვრე დღეს? რა მოვიმოქმდე? რომელი ვალი დამრჩა აღსრულებული?“

ძმობის წევრთა ეთიკა გულისხმობდა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ მოვლილობათა შეგნების სიმკაცრეს, თავის დაურევებს, ვენებათ უკადურებს დაოკებას, გრძნობისმიერი ტბობის მოძაგებას (რისთვისაც უებარ საშუალებად მიიჩნეოდა ფიზიკური ვარჯიში, მუსიკა და აზრის კონცენტრაცია), აგრეთვე — უმცროსთაგან უფროსთა შორიხილბას, შეგობრობისა და ამხანაგობის კულტს. უმნიშვნელოვანესი რაღაც, როგორც აღინიშნა უკვე, ცხოვრების განსულებერებას და ჰვერეტის ცხოვრებას ჰქონდა მიუთვინებულნი.

ზნეობრივი განწყენდის იდეალები, ხულის უკვადებისა და ღვთაებრობის, საიქო მისაგებობისა და გარდასხეულების რწმენა იყო, როგორც ჩანს, ის საერთო სფერო, რომელშიც თითქმის სავსებით თანხედებოდა ორფეოსელთა და პითაგორელთა შეხედულებები. მეკლევარნი, ერთი მხრივ, იმას აღნიშნავენ, რომ პითაგორამ თავისი ღვთისმსახურების წესი ორფეოსულ მისტერიებს დააფუძნა, მეორე მხრივ, იმას, რომ მისი პირველი მიმდევარი და მისი რელიგიური ორდენის წევრნი სწორედ ორფეოსელნი უნდა ყოფილიყვნენ. იმასაც დასძენენ — ორფეოსულ პიონთა ავტორები მეტწილ შემთხვევებში პითაგორასეული სამშოს წევრნი იყვნენო. ასე რომ ეს ორი მაღალი მოძღვრება ურთიერთს შერწყვა და განუზომლად დიდი ზეგავლენა მოახდინა საბერძნეთის მთელ მომდევნო სულიერ ცხოვრებასა და კულტურაზე.

მართალია, მეცნიერებაში ის გარკვეული სხვაობაც არის აღნიშნული, რაიც ამ ორ მოძღვრებას შორის არსებობდა: ორფეოსელთა მოძღვრებაში სტაბილური მეოცნებე უანჯრია, პითაგორულში — ცოდნის გონივრული წყურვილი, პირველში არის პირადი ხსნის მოთხოვნილება, მეორეში — სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის ზრუნვა, პირველში — სიწმინდისკენ სწრაფვა და ცოდვის შიში, მეორეში — ზნეობრივი დონის ამაღლებისკენ სწრაფვა და სამოქალაქო წყობილების გაუმჯობესებისკენ მიდრეკილება, ერთი მხრივ შეინიშნება საკუთარი თავის ვაჟკაცური რწმენის ნაკლებობა, მონაწიე ასევე, მეორე მხრივ — მკაცრი დისციპლინა და თვითგამოკიდით დამკვიდრებელი ზნეობა, ერთი — რელიგიური მშობა, მეორე — — რაინდული ორდენი, პირველი არ იცნობდნენ მათემატიკურსა და ასტრონომიულ გამოკვლევ-

<sup>1</sup> მეორეოდენი ნაოცნებარიც ჩავურთოთ სამეცნიერო წიგნებიდან ამოკრებილ ამ მონათობობს: პითაგორასეული კავშირი სამხრეთ იტალიაში დაარსდა, ქალაქ კროტონში. იქ ზღვის ნაპირი აღმოსავლეთს გაჰყურებს. და მზის ამოსვლის შეგებების რელიგიური ჩვეულების გარდა, ამ ამბავში მეღანდებთა თვად პითაგორას ნოსტალგია მზის აღმოსავლის მხარეს დაშთენილი სამშობლოს — პელაგონთა საცხოვრისის გამო. მსგავსმა გრძნობამ დარია ერთხელ ხელი საბერძნეთში ზღვის პირას დამკვიდრებულ იოანე ათონელს, როცა ესპანეთს გაქრა გაიზრახა.

რამზე თხზარბამ სოფელი და ზმთასოფელი

ვებს, მეორენი — კოსმოგონიურსა და თეოგონიურ შემოქმედებასო. მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებით საქმის ვითარებას, ეს „ერთი მხრივი“ და „მეორე მხრივი“ ან სულ გაქარწყლდება, ანდა იმდაგვარ ნიუანსებად შემოგვრჩება ხელთ, რომელთა არსებობაც სავსებით შეხატლლა ერთი და იგივე მოძღვრების წიაღში. ეს თქმის, კერძოდ, დასიხისპირებათა პირველი პუნქტის თაობაზე: მეოცნებე ფანტაზია და ცოდნის გონივრული წყურვილი კულტურის გულცივი ისტორიკოსთა გამომშრალი ფსიქიკისთვის არიან ურთიერთგამომრიცხველი წინააღმდეგობანი და არა პითაგორასნაირი ცეცხლოვანი სულის მქონე ადამიანთათვის. მომდევნო პუნქტების მთლიანად ან თუგინდ ნაწილობრივ გაბათილებაც არ უნდა იყოს ძნელი.

პითაგორული ცხოვრების, ანუ ზნეობრივად ამაღლებული ცხოვრების ზემოხსენებულ წესებს თავისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჰქონდაო, აღნიშნავენ მკვლევარნი. ეს იყო პითაგორას და პითაგორებთა შეხედულება კოსმოსზე, როგორც მოწესრიგებულსა და სიმეტრიულ მთლიანობაზე. ოღონდ კოსმოსის მშვენიებას მხოლოდ ის მისწვდება, ვინც მართებულ ცხოვრებას ეწევაო, — ასე სწამდათ პითაგორელებს.

და თუმცა იმნაირ მართებულ ცხოვრებას ბევრი გვაკლია ალბათ, ჩვენც შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რაგვარად ესახებოდათ კოსმოსი პითაგორას და პითაგორელებს.

ოღონდ მანამდე გავიხსენოთ, რომ, მრავალი სხვა ხალხის მსგავსად, ძველ ბერძენებსაც დედამიწა მიწის ბრტყელ ნაჭრად მიაჩნდათ, სამყაროულ ოკეანეში მოტავტავედ თუ ზღაპრულ ცხოველზე დამყარებულად. პირველმა ანაქსიმანდრემ უარყო საურდენზე დასვენებული ბრტყელი დედამიწა და ცილინდრულად დასახა იგი. მაგრამ ეს რაჟებრი იყო იმ გადატრიალებასთან შედარებით, პითაგორელებმა რომ მოახდინეს. დედამიწაც, სხვა ციური სხეულნიც ბურთისებურნი არიანო, ბრძანა პითაგორამ. ამას მოჰყვა გენიალური მიხედვრა: მზის, მთვარისა და ვარსკვლავიანი ცის სადღეღამისო ძვრა რეალობა კი არ არის, არამედ — მოჩვენება, რასაც თავად დედამიწის ბრუნვა იწვევს! ოღონდ საკუთარი ღერძის ირგვლივ დედამიწის ბრუნვამდე არ ამალღებულა აზრი: დედამიწა ბრუნავს სფეროებური სამყაროს ცენტრის გარშემო, ამასთან, იმ ცენტრისკენ მუდამ ერთი მხრით არის მიქცეული და ამიტომ მეორე ნახევარსფეროს მკვიდრთაგან, ჩვენგან ცენტრი არ იხილვება. ჩვენგან არ იხილვება აგრეთვე დედამიწასა და ცენტრს შორის არსებული მეორე დედამიწა, უფუდედამიწა თუ უკომიწა („ანტიმთონი“), რომელიც უძრავ ვარსკვლავთა ცასთან ერთად, მზესთან, მთვარესთან და ზუთ ცდომილთან ერთად (უკომიწიანად და დედამიწიანად სულ ათი

გამოდიოდა ციური სხეული) ცეცხლისბუნებათერის წიაღ მოძრავი უვლის გარს სამყაროულ ცენტრს. ხოლო ეს ცენტრი, თავის მხრივ, უნდა სამყაროული ანუ ცენტრალური ცეცხლი, ხალხმართო ჰესტია! „ღვთაებათა დედა“, „ზევის სახლი“, „საღმართო საკურთხეველი“, „სამყაროს კერა“, საღმართო ჰესტიას ირგვლივ ასევე საღმართო ციური სხეულთა ბრუნვას როკვად მიიჩნევენც პითაგორელები. მსგავსად იმისა, როგორც მლოცველნი უვლიან გარს საკურთხეველს, ისე ბრუნავენ ფერხულში ჩართული მნათობნი ყოველგვარი სიცოცხლისა და მოძრაობის წმიდათაწმიდა წყაროს ირგვლივ, როგორც კერის ცეცხლია მიჩნეული კაცთა სამყაროდრეგების საღმართო შესაქრებლად, ისე სამყაროული კერა არის სამყაროს ანუ კოსმოსის წმიდათაწმიდა ცენტრი. იქიდან გამოსხივდება სინათლე და სითბო, იქიდან იღებს მზე თავის მხურვალეობას და შემდეგ გადასცემს ორსავე დედამიწას (ამ ჩვენს მიწას და უკომიწას) და მთავრობს.

და ყოველივე ამის მომხრებობელი მკვლევარნი დახტენენ, რომ აქ თავს იყრის ელინური მსოფლმხედველობის ყველა ზენაკალი: არსებობის ამაღლებული სიხარული, ღვთაებრივ ძალთა მიერ განგებული სამყაროს წინაშე მოწიწება, სიღამაზის, ზომიერებისა და მარმონის საღმართო გრძნობა. ამ მსოფლმხედველობის თანახმად, პერიფერიული ცეცხლოვანი წრით გარემოსილი და დაცული სფერული კოსმოსი მინადობელ თავშესაფარადაც წარმოისახებოდა, საკურთხევლადაც და ხელოვნების ქმნილებადაც, მომდევნო ეპოქებს სამყაროს ესოდენ დიადი და ესოდენ ნუგეზის მომფენი სურათის ხილვა უკვე აღარ ეწერათო.

გარნა ეს სურათი სრული ვერ იქნება, კიდევ ორიოდ სიტყვა თუ არ თქვა სფეროთა ჰარმონიის თაობაზე, რამაც საუბუნეთა განმავლობაში შარავანდედი შემმატა პითაგორას იღუმალებით მოსილ პიროვნებას. სფეროთა ჰარმონია ეწვალა ციურ სფეროთა წრებრუნვით აღძრულ და დაუტავებლად მომდინარე ბგერათა რიტმს, იმ ბგერებს, რომელთაც თავიანთი საღმართო როკვისას გამოსცემენ ეს სხეულნი და რომელნიც, ერთად შერწყმულნი, ჰარმონიულ მელოდიად იქმნებიან. ყოველ ციურ სხეულს თავისებური ახბერება, თავისი მელოდია აქვს (იმისდა მიხედვით, თუ რა მანძილით არის დაშორებული ესა თუ ის სხეული ცენტრალურ ცეცხლს), ოღონდ ეს ცალკეული მელოდეზი გრანდიოზულ სამყაროულ მუსიკად ერთიანდება. და გადმოცემა გვაუწყებს — პითაგორას ესმოდა ეს საღმართო მუსიკა, ეს იგავითუწვდომელი ჰარმონია, რომელსაც ჩვენ ჩვენთვე ბუნების სიმცროსის გამო ვერ აღვიქვამთო (გავიხსენოთ ზემოთ მოხ-

1 ჰესტია კერის, ოჯახის განმასახიერებელი ქალღმერთის სახელი გახლდათ.

მოზილი ინდურის სიბრძნე: შესაქმის პროცესის განხილვა მუხიკალური თვალსაზრისითაც არის შესაძლო. შემოქმედის მიერ წარმოშობილი მოძრაობანი რიტმული რხევებია და მათი აღქმა მუხიკალურ ბგერათა ფორმითაც ხერხდება, ამ თვალსაზრისით სამყარო ერთი უსაზღვრო ჰარმონიაა...).

ერთი შენიშვნა: მეცნიერებაში დადგენილია, რომ პითაგორას მოძღვრება თავისი პირვანდელი სახით აღარ შემორჩენილა. ამჟამად ერთობ ძნელი გასარკვევია, რა ეკუთვნის მისი მოძღვრების სახელეთი მოღწეული სიბრძნეადა თვად პითაგორას და რა — მოღვეწეო ხანის პითაგორელებს, რომლებიც, მათი კავშირის დაზუსტული ხანათისდა მიუხედავად, სხვა მოაზროვნეთა ზეგავლენისგან მთლიანად თავისუფალნი ვერ იქნებოდნენ. ამ მომენტის გამოთვლისწინებლებმა უნდა განვიხილოთ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

პითაგორელთა დიდებული და მშვენიერი კოსმოსი ერთ უცნაურ თვისებას ავლენს: ცენტრალური ცეცხლის ირგვლივ ხალმართო ეთერის წიაღ ციურ მნათობთა ძვრა სრულქმნილი, ღვთაებრივი რამ არის, ხოლო დედამიწის, მთვარის-ქვეშეთის ცხოვრება ცვალებადია და უსრული (ის სხვათა, რომელიც ელიველთა იდეალურ, უცვლელ სამყაროსა და ჰერაკლიტეს ცვალებად სამყაროს შორის არსებობდა, პითაგორეიზმში სამყაროს სხვადასხვა უბნებს დაუკავშირდა). მოკლედ, კოსმოსის დიდებულიებასა და მშვენიერებაში მთვარისქვეშეთს, დედამიწას წილი აღარ უდევს. უსაინოვის პითაგორეის — ფილოლაის (ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში მცხოვრების) ნააზრების თანახმად, ერთიმეორეს უპირისპირდება მთვარისზედეთი — კოსმოსი და მთვარისქვეშეთი — ურანოსი. პირველი არის წესრიგისა და სიწმინდის სამყარო, მეორე — უწესრიგად წარმოქმნად ნეტათა სამყარო. კოსმოსში ზღვარი უფლოსს, ურანოსში — განუსაზღვრელობა. აქ ოდენ ნაწილობრივ დაჩნდება საზღვარი, იმ ზომით, რა ზომითაც განუსაზღვრელი ორგანიზებულია საზღვრის მიერ, ანუ მატერია — რიცხვთა მიერ.

გულგრილად მოგვიტობრენ ყოველსავე ამას სწავლულნი და რატომღაც აღარ უღრმავდებიან საკითხს, თუ როგორ არის ყოველივე ეს შესაძლო, რანაირად ხდება, რომ ცენტრალური ცეცხლის ირგვლივ მბრუნავი და, მასთანადემ, კოსმოსის წილი მთვარისქვეშეთი აღარ მიიჩნევა ამ კოსმოსის ღვიძლ, ორგანულ ნაწილად? ამით ხომ ირდევდა სამყაროს მთლიანობა და ჰარმონია, მისი ხფეროსებური სისრულე? თუკი მატერიის კარგად ცნობილი თვისებები — ცვალებადობა და განუსაზღვრელობა — ოდენ მთვარისქვეშეთის ზვედრია, რისგანდა არის შესთზული წესრიგისა და სიწმინდის საუფლო — მთვარისზედეთი? ნუთუ მზე, ზუთივე ცდომილი და

უძრავ ვარსკვლავთა ცა იმმატერიალური ბუნების არიან? მაშინ როგორღა აიხსნება ბუნებრივი, სივრცულ-სხეულებრივი არსებობა? რაგინდ წმინდა, დახვეწილ, ფაქიზ, ღვთაებრივ ბუნებასაც უნდა ავლენდეს ეთერი თუ ცეცხლი, ხომ მაინც მატერიალური სტიქიონია, რომელიც მატერიალურსაც კანონებს უნდა ექვემდებარებოდეს და, თუკი ასეა, როგორღა უპირისპირდება თვისებრივად, არსებითად მთვარისქვეშეთის ელიმენტებს (მაერი, წყალი, მიწა)? დაბოლოს, თუკი „ძველი აღთქმის“ შემქმენლნი ავლიდნენ იმ აზრამდე, რომ, მიუხედავად თავისი წმინდა ბუნებისა, ზეცაც არ არის უცვალებელი და მარადიული რამ („და ვითარცა კვამლი განჯარდეს...“ „...უფალო... ქმნულნი ხელთა შერთანი ცანი არიან. იგინი წარხდენ... ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძველდენ...“), რატომ ვერ მოხერხდა იგივე იმ ნააზრების, რომლის ერთი უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტი სამყაროთა ციკლური გამოვლინებების მოძღვრება იყო?

ამ წერილში მიღებული ტრამინოლოგია რომ გაიხსენოთ, იხე გამოდის თითქოს, რომ, პითაგორული მოძღვრების თანახმად, სოფელი არის მთვარისქვეშეთი — დედამიწა და მისი შემადგენელი ელიმენტები, ხოლო ზესთანოფელი — მთვარისზედეთი, ეთერიული, ცეცხლოვანი, ღვთაებრივი სამყარო წესრიგის და სიწმინდისა, ზეცა, თავისი ბუნებით მაინც ზილვადი, მაინც სივრცულ-სხეულებრივი, მაინც მატერიალური რამ (თუგინდ უწმიდესი და უდახვეწილესი მატერია ვივლოდისხმოდო). ასეა თუ არა? შევეცადოთ ამ კითხვის პასუხის მოკვლევას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ხელმოკარულნიც დავჩრეთ საბოლოოდ.

აღბათ აუცილებელი იქნება თვალის მოვავლოთ პითაგორასეულ მოძღვრებას მთლიანად (თუნდაც იმ მწიბრი მასლის მომხედვრება, ოცდახუთი საუკუნის შემდეგ რაც შემოგვჩრდა).

აქ, უწინარეს ყოვლისა, იმის გახსენება მოგვიწევს, რომ სულის პითაგორასეული მოძღვრება სავსებით თანხედება ორფეოსელებისას. უმთავრესი საერთო დებულებები: სული უცვლადი, ღვთაებრივი ბუნების მქონე, დამოუკიდებელი საწყისი; ზეციური სამშობლოს დატოვება და მიწაზე განსხეულება მისთვის არის სასჯელი ცოდვით დაცემის გამო; სხეული მისი საყრობილია, სამარე; ამქვეყნური ცხოვრების რაობისდა კვლობაზე სულს საიქიო არსებობაში სანაცვლო შეიკება; ამსთან, მუდამდ ვარდახეულებდა, მუდამივად გამოიმწყვდევა სხეულში; ოდენ მართალნი თავისუფლდებიან ამ სატანკველისგან და უბრუნდებიან პირვანდელ ღვთაებრივ ნეტარებას.

ეს დებულებები პითაგორული (იხევე როგორც რიმბე თმბარამი სოფმლი და ზმსთასოფელი

ორფეოსული) მოძღვრების გულისგულს შეადგენენ, მათს პითაგორულობაში ეჭვი არავის შეუტანია. ხოლო აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიწიერი არსებობა პითაგორასათვის მართლაც უმდაბლესი რამ არის — ტანჯვის, უწესრიგობისა და წარმავლობის საუფლო, თავისი არსებით არაპეშმარტი, არაპარმონიული.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს მისი უწესრიგობა, არაპეშმარტიება, არაპარმონიულობა აბსოლუტური როდია. მატერიალურ ნივთებსაც აქვთ წესრიგი, პეშმარტიება, პარმონიულობა, როდენ იმ წომით მხოლოდ, რა წომითაც განუსაზღვრელობა ანუ მატერია დასაზღვრულია და ორგანიზებული. რის მეოხებით? რიცხვისა და პარმონიის მეოხებით. რიცხვი არის საზღვარი, პარმონია არის განსხვავებულ გვართა შეერთება, შეუთანხმებელთა შეთანხმება. პარმონია შერწყმას საზღვარს — რიცხვს და განუსაზღვრელს — მატერიას, რითაც ეძლევა დახაზამი ნივთიერ, ხილულ სამყაროს. ეს — ფილოსოფიის ენით რომ ითქვას, ხოლო რელიგიური ფილოსოფიის ენით: ხილული, მატერიალური სამყაროც არის ზიარებული წესრიგს, პეშმარტიებასა და პარმონიას იმდენად, რამდენადაც ორგანიზებულია და მოწესრიგებული ღვთაებრივი აზრის მიერ. რამეთუ პითაგორასეული რიცხვები — ყოველივეს არსება — ხაღმართ აზრთა გამოვლინებებია მხოლოდ და მხოლოდ!

ახლა თუ გავიხსენებთ, რომ ეთერიული, ცეცხლოვანი მთვარისზედეთი ანუ კოსმოსი, მთელი თავისი ღვთაებრიობის მიუხედავად, მაინც სიცრულს-სხეულებრივი, ხილული, მატერიალური ბუნებისაა, ცხადი უნდა შეიქნეს, რომ მთვარის-ქვეშეთსა და მთვარისზედეთს შორის ოდენ ხარისხობრივი, შეფარდებითი სხვაობაა და არა თვისებრივი, აბსოლუტური. კოსმოსის მატერია — ცეცხლი — თავისი ბუნებით ყველაზე ღვთაებრივია და ამიტომ იქ უფრო ძალუმაღ ვლინდება ხაღმართ წესრიგი, პეშმარტიება და პარმონია. რაც უმთავრესია — თავისთავად კი არ არის კოსმოსის ეს თვისებები, ისევ და ისევ რიცხვთა მიერ არის დასაზღვრული, ორგანიზებული და მოწესრიგებული. ამიტომ ბრძანებს

1 აქ არც საშუალებია და არც აუცილებლობა იმისა, რომ ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ პითაგორასეული რიცხვთა მოძღვრება, თავისთავად უაღრესად საგულისხმო და საინტერესო. გარდა ამისა, ეს მოძღვრება ანტიკური ფილოსოფიის ნებისმიერ ისტორიაში არის გადმოცემული (მართალია, როგორც წესი, ყოველად უგემურად და არსების ჩაუწევდომლად!).

ფილოლი: „რიცხვის ბუნება ოდენ დემონურ და ღვთაებრივ ნივთთა შორის კი არ მოქმედებს, არამედ ყოველგან, ყველა კაცობრიულ საქმესა და მიმართებაშიც...“


რას ნიშნავს იდემონურ და ღვთაებრივ ნივთთა შორის? აქ გვმართებს გავიხსენოთ, რომ მითოსისა და პოლითეისტური რელიგიის ღვთაებანი და დემონები წმინდად სულიერი არსებანი კი არ იყვნენ, არამედ სულიერ-სხეულებრივნი, სიცრულს-მატერიალურნი, ზოგიერთი მოძღვრების თანახმად — ცეცხლოვანი თუ ცეცხლისაგან (ან ეთერისაგან) შობილნი. რაც მთავარია — შობილნი და არა დაუბადებელნი. ხოლო შობა, შექმნა, პითაგორული მოძღვრების თანახმად, სხვაგვარად ვერ განხორციელდებოდა, თუ არ განუსაზღვრელია და საზღვრის, ანუ მატერიის და რიცხვის (ღვთაებრივი აზრის) პარმონიული შეწყვეთი.

აქედან იხი უნდა შეიქნეს გასაგები, თუ რატომ ერქვა სამყაროულ ცენტრალურ ცეცხლს ანუ შესტაის ღვთაებთა ღედა. ეს ღვთაებანი იმ ცეცხლისაგან ანუ უწმინდესი და უდაბეწვილესი მატერიისაგან იყვნენ შეთხზულნი. ისინი დემონებთან ერთად ადავსებდნენ სამყაროს და განავსებდნენ მის საქმეთ (კოსმოს ბედილბალის ჩათვლით). და პითაგორა სულაც არ უარყოფდა ამ ღვთაებთა და დემონთა — ზეციური სამყაროს, კოსმოსის უმაღლეს მკვიდრთა — არსებობას, პირუტყ, ისიც და მისი მოწაფენიც მსხვერპლს სწირავდნენ ღვთაებთა.

როდენ ამასვე იქმოდნენ პლატონიც და ნეოპლატონელებიც. და მათთვის სამყაროულ საქმეთა განწყებელი ეს ღვთაებანი სამყაროს შენოქმედ არსებებად როდი მიიჩნეოდნენ. მათ ზემოთ იღგა აბსოლუტურად იმმატერიალური, ტრანსცენდენტული, შეუცნობელი, გამოუთქმელი (პლატონის სიკეთე, ნეოპლატონელებთა ერთი. სიკეთე ქმნიდა, ერთი ემანირდებოდა).

ყოველივე ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამოვლინარეობს, რომ პითაგორაც აღვიდა ხილული, მატერიალური, გამოვლენილი სამყაროს მიღმა მღვარი ტრანსცენდენტული არსების იდეამდე (დამოუკიდებელთა თუ ინდური სიბრძნის მეშვეობით). სწორედ ამას უნდა განეპირობებინა მისი მოძღვრების იდეალური ხასიათი. რადგან ის, რაც ცნობილი შეიქნა შთამომავალთათვის და ჩვენამდისაც მოაღწია, ვასახაიდუმლოებელს თითქოს არავფრს უნდა შეიცავდეს. ალბათ ამიტომ ამზობს პორფირიუსი: „უდალდაჭერებული ვერავინ იტყვის, თუ რას ასწავლიდა პითაგორა თავის მოწაფეთ, რამეთუ ამათ დუმილის ხასტიკი აღთქმა მქონდათ დაღებული“.

(პირველი კარის დასასრული)



პოლ დევო

როდის ჩავიდა პეტრე იბერი იერუსალიმში

ბაგმოჩინილმა ბელგიელმა მეცნიერმა პოლ დევომ ბრიუსელის ბოლანდისტთა საზოგადოების ჟურნალში „ანალექტა ბოლანდიანა“ — გამოაქვეყნა ნარკვევი, რომელიც ეძღვნება — პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

პ. დევოს კვლევის მიზანია ჭეშმარიტების სხვი შეიტანოს პეტრე იბერის ცხოვრების ერთ მონაკვეთში. ეს არის პერიოდი მისი ლტოლვისა კონსტანტინოპოლიდან (სადაც იგი ცხოვრობდა, როგორც აზატი მძევალი და ასრულებდა სიმპერატორო მეჩინიბეთუხუცესის მოვალეობას) წმინდა ქალაქ — იერუსალიმში.

მთარგმნილისაბაჲ

ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ, თუ როდის გაიპარნენ კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმს ჯერ კიდევ ნაბარსუგოხად წოდებული პეტრე იბერი და მისი თანამგზავრი ლაზი მითრიდატი, რომელიც შემდგომში იოანე ევსუქად იწოდებოდა.

ჩვენი დროის მკვლევართა პასუხი ერთია: 429 ან 430 წელს. მაგალითად 1895 წელს ი. ბ. შაბო წერდა: პეტრე იერუსალიმში ჩავიდა 430 წელს. რ. რაბემ ამავდ წელს გამოაქვეყნა სირაულიდან თარგმნილი იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრება“, სადაც იგივე თარიღია დასახელებული. 1928 წელს ი. მარკვარტი 429 წელს მიუთითებდა, 1952 წელს ე. ჰონიგმანიც დაახლოებით 430 წელს ვარაუდობდა, 1955 წელს მახეილ თარხნიშვილი აღნიშნავდა: იქიდან (კონსტანტინოპოლიდან) გაიქცა იერუსალიმს, სადაც მიიღო წმინდა მელანიამ და 430 წელს უბოძა მას ბერის სამოსი.

ჩა არის ამ აშკარა ერთსულოვნების მიზეზი? რაზე თავისი გმირის დახადების თარიღებს ასე ანგარიშობდა: „პეტრეს დახადების წელი არ შეიძლება ზუსტად დავადგინოთ, რადგან რუფუსის მიერ მოცემული ცნობა მხოლოდ მიახლოებითია. უფრო საფიქრებელია, რომ ეს თარიღი იყოს 409 წელი, რადგან, როდესაც თორმეტი წლის პეტრე კონსტანტინოპოლში ჩავიდა, თეოდოსი და ევდოკია უკვე დაქორწინებული იყვნენ; მათ კი 421 წელს იქორწინეს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მელანია პეტრეს 424 წელს შეხვდა კონსტანტინოპოლში. აქედან გამოდინარე ვფიქრობთ, პეტრე კონსტანტინოპოლში

ჩავიდა 422 წელს, ხოლო დახადებულ იქნა იყოს 409 წელსა\* მეორე მხრით რააზე იოანე რუფუსს იშველიებს, რომელიც წერს: ჩვენი საერთო მამა წმინდა კახით შემოსვის ღირსად აღიარეს მას შემდეგ, რაც ოცი წელი შეუსრულდაო. ამ კონტექსტის საფუძველზე რააზე დასკვნის: წმინდა კახით იგი შეიმოსებოდა იერუსალიმში ჩასვლის პირველხვე განებში. ამგვარად, ლოგიკური თანამიმდევრობა უფლებას გვაძლევს ვფიქროთ, რომ პეტრე იერუსალიმში ჩავიდა დაახლოებით 429-430 წელსაო.

ჩვენი აზრით, პეტრეს იერუსალიმში ჩასვლის თარიღის შემსწავლენი უგულვებელყოფდნენ იოანე რუფუსის ერთ მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორი ლტოლვილი წმინდა ქალაქის მიმართულებით, პოსტორისა და მცირე აზის გავლით, გაემგზავრა მხოლოდ რვა წლის შემდეგ. ე. ი. 437 ან 438 წელს.

უპირველეს ყოვლისა, მოვიშველიოთ რუფუსის ტექსტი, სადაც ამ მგზავრობის შესახებ ნა-

\* თარიღი, რომელიც თითქმის ყველა ავტორის მიერაა აღიარებული Cf. D. M. Lang, Peter the Iberian and his biographers, The Journal of Ecclesiastical History, t.

1951, 152 მომავალი ბერი და ასკეტი დაიბადა დაახლოებით 409 წ. მისი მამა იყო ბაზმერი, ქართლის მეფე. ქართლი — საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონი — ცნობილი იბერიის სახელწოდებით.

თქვაში: ღმერთი, რომელმაც დაიფარა და ისხ-  
ნა ისინი: წარუძღვა მათ, გამოუცდელებს უცხო-  
რბასა და წმინდა ადგილებში, სტუმართმოყვა-  
რ და მამიანებისა კენ, რომელთაც ამაღლებული  
მისწრაფებები ასულდაგმულდებდათ. მინდა  
ვთქვა, რომ მათი მასპინძლები იყვნენ ნეტარი  
მელანია რომაელი, მისი მეუღლე პინიანუსი და  
დედა ალინა... როგორც კი მელანია შეიტყო  
ორი ასაღვარდა წმინდანის — პეტრესა და  
იოანეს — იერუსალიმში ჩასვლის ამბავი და  
თანდა დადგინა, თუ ვინ იყვნენ და ხაიდა  
(მოდარდებდა), უმაღლესხარული შეეგება... მე-  
ლანია იგონებს მოგვიანებით: კონსტანტინეს  
საიმპერატორო ქალაქში ყოფნისას ერთხელ  
უნახავს ნეტარი პეტრე, რომელიც იქ მეფურ  
პატრეში იმყოფებოდა. მელანიას ძალანა შეუ-  
ყვარდა ყმაწვილი, რადგან იგრძნო, რომ ქრის-  
ტეს მადლი ბავშვობიდანვე ჰქონდა მიწიჭებუ-  
ლი.

მელანიას საიმპერატორო ქალაქში ჩასვლის  
მიუხედავად იყო შემდეგი: ღვთისმოსავ იმპერატორ  
თეოდოსთან გამოცხადდა იმპერატორ ვალენ-  
ტიანის მიერ გზავნილი ვინმე რომაელი დი-  
დულიანი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დაეგორწი-  
ნებინა იმპერატორი და ნეტარი თეოდოსის ას-  
ული; თეოდოსმა, რომელიც ჯერ კიდევ არ ზი-  
არებოდა ქრისტეს მადლს, მოისურვა ენახა ნე-  
ტარი მელანია და შეუთვალა, რომ მიიღებდა  
ქრისტიანობას, თუ იგი (მელანია) პირადად ეწე-  
ოდა მას და აუწყებდა სულის ხსნიას და საუკუ-  
ნო განათლების სიტყვებს. მეფეს, როგორც  
ვთქვით, უყვარდა ქრისტე... როდესაც მელანია  
ცანლა მას და მისთვის ჩვეული დვიოური მად-  
ლით აზიარა იგი და ექვმარიტ ქრისტიანად აქ-  
ცია (რაც მრავალთა მიმართ ჩაუდგინა), დაბ-  
რუნდა წმინდა ქალაქში და განახლა განდგომი-  
ლად ცხოვრება... ამგვარად, ასკვის მთხრობე-  
ლი, მელანია-უმცროსი ანუ პინიანუსის მეუღლე  
და ალინას ქალიშვილი, სიხარულით შეეგება,  
ვითარცა საკუთარ შვილებს ორ წმინდა ლტოლ-  
ვილს.

პეტრეს მეზავნიადიხა და მისი ცხოვრების  
უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წლის მოწ-  
მის მიერ დაწერილი ამ სტრიქონების გვერდით  
უნდა მოვიხსენიოთ მღვდელი გერონტიუსი,  
რომელიც კარგად იცნობდა მელანიას და მას-  
თან ერთად იმოგზაურა კონსტანტინოპოლში.  
გერონტიუსი მოგვიხსრობს მელანიას მიერ დე-  
დასა და მამათა მონასტრის მშენებლობის  
შესახებ ზეთისხილის მთაზე და ამბობს, რომ  
მელანია მღვთისმოსავ დედათა მონასტერი ალი-  
ნისა გარდაცვალების შემდეგ ააშენა, დაახლო-  
ებით 431 წელს, ხოლო მამათა მონასტრის მშე-  
ნებლობა პინიანუსის გარდაცვალების შემდეგ  
დაიწყო დაახლოებით 432 წელს და ერთ წელს-  
წადში დაამთავრა.

აქვე მოვიხსენიოთ ის ფაქტიც, რომ პლანინიას

და კონსტანს მესამეს ხუთი წლის ვაჟი — რომ-  
ავალი ვალენტინიანი მესამე (დაბადებული  
351 წელს) და ევდოქსისა და თეოდოსი-  
351 წელს 419 წ.) და ევდოქსისა და თეოდოსი-  
ორის ასული, ორი წლის ევდოქსია დანიშნულ-  
ებად ითვლებოდნენ 424 წელს. ისინი დაქორ-  
წინდნენ მხოლოდ 18 წლის შემდეგ, 437 წ. 29  
ოქტომბერს. რომის სენატორი რუფინუს ანტ-  
ონის აგრიპინუს ვოლუზიანუსი — ალინას  
ძმა და მელანიას ბიძა, ასაკით მისი ტოლი — ამ  
ქორწინების მოსამზადებლად კონსტანტინოპო-  
ლში 436 წ. ჩავიდა. მაშინ იგი ჯერ წარმართი  
იყო.

გერონტიუსი გვიყვება, თუ როგორ დაჩქარ-  
და ვოლუზიანუსის ქრისტიანობაზე მოქცევა:  
მელანია ის-ის იყო ჩავიდა კონსტანტინოპოლში,  
იგი მიიღო ლაუსუსმა. მისვლისთანავე, მელანი-  
ამ მოუწოდა ბიძას „წიარებოდა უკვდავების  
აბანოს“... ბიძის საქმეში მელანია მისწრაფი  
პროკლეტ ჩარია; შემდეგ თვითონაც ავად გახ-  
და... მელანია მოითხოვა საკაცე-ეტლით მიე-  
ყვანათ ავადმყოფთან... „მე დავწინაურდი, გვი-  
ყვება გერონტიუსი, და ხასხლეში ვიკითხე, თუ  
როგორ გრძნობს თავს ექს-პრეტექტი. ქალაქის  
ცნობილმა პირებმა მიპასუხეს: გუშინ მან წმი-  
ნდა ქალის (მელანია) ნახვა მოისურვა და რის  
გაიგო მისი მძიმე ავადმყოფობა, ღვთისმოსავ  
დედოფელ ევდოქსიას ბიძა ელთერი მოაყვა-  
ნინა და, უზუნაეის შემწეობით, განათლებულ  
იქნა. შევტყვე თუ არა ეს ამბავი, აგრძობე-  
ბს გერონტიუსის, უმაღლესხარული მხედარი ნე-  
ტარ მელანიათან, რათა სასიხარულო ცნობა  
შემეტყობინებინა“. მსწრაფლმომჭობნიებული მე-  
ლანია ფეხით მიდის და უკანასკნელ დამებს  
უთვქნ თავის ბიძას, რომელიც 437 წლის 8 ია-  
ვარს — ორშაბათ დილას — გარდაიცვალა.  
მელანია კიდევ ორმოცო დღე დარჩა კონსტანტ-  
ინოპოლში. იქ ყოფნის ბოლო დღეები აღწე-  
რილია ციტირებული ნაწარმოების 288-ე გვე-  
რდზე. მელანია გარდაიცვალა იერუსალიმში,  
დაახლოებით სამი წლის შემდეგ, 439 წლის 31  
დეკემბერს.

ცოტათა კი გაგვიგრძელდა რუფუსისა და გე-  
რონტისის ციტირება, მაგრამ ვესურდა სწო-  
რად გაგვეშუქებინა რუფუსის მიერ აღწერილი  
ვოლუზიანუსის ეს სტუმარობა კონსტანტინოპო-  
ლში, რადგან აქვე ახსენებს იგი მელანიასა და  
პეტრეს პირველ შეხვედრასაც. გერონტიუსი  
ამასვე აღვეწერს, როდესაც გვაცნობს მელანი-  
ას ბიძის — ვოლუზიანუსის ოფიციალურ მისიას  
კონსტანტინოპოლში, რასაც მოჰყვა ვოლუზიან-  
უსის რელიგიური კრიზისი და ქრისტიანობაზე  
მოქცევა 438 წლის დასასრულსა თუ 437 წლის  
დასაწყისში. ვიმეორებთ, ამ ოფიციალური მის-  
იის მიხედვით იყო ვალენტინიანესა და ევდოქსის  
მოახლოებული ქორწინება არა 18 წლის წინ  
უსუსურ ბავშვთა ნიშნობა, რაც ეგონათ რა-  
ბებს ინტერპრეტაციით დაბნეულ მკვლევარებს.

შეცდომა გახატებოდა იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დღევანდელი „მელანიას ცხოვრება“ ბერძნულად რვა წლით გვიან გამოვიდა რაბელ მიერ გამოქვეყნებულ „პეტრეს ცხოვრებასთან“ შედარებით, ხოლო კარდინალ რამპოლას „მელანიას ცხოვრება“ — მთელი ათი წლის შემდეგ. ბუნებრივია, ხსენებულ ავტორთ ამ ფაქტის უყოღინარობა ეპატიებათ.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რუფუსის წიგნი იმ სახით, როგორც ჩვენს ხელთაა, არაა თავისუფალი ბუნდოვანებისაგან. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი ვგრძნობ, რომ პეტრე იმ ხანად, როდესაც მელანიამ იხილა კონსტანტინეპოლში, უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ამის დაშვების უფლებას გვაძლევს 487 წლის ოფიციალური მისია. ჩვენ კი ვიცით, ამ პერიოდისათვის პეტრე ოცი წლის მანძილზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორიგენის ნაცვლად ხელთა გვაქვს თარგმანი, სადაც, შესაძლებელია ბერძნული მიმღებობები არასწორადაა თარგმნილი. ისიც კი დასაშვებია, რომ რუფუსს, რომელიც თავისი გმირის ბავშვობის პირადი მოწმე არ ყოფილა, პეტრეს ცხოვრების რომელიმე თარიღი შეაკრიბა სიწესტივერად აღეგინოს. რუფუსის ნაშრომი პეტრეს იერუსალიმში ჩასვლის შესახებ 487 წელს უფრო ემთხვევა, ვიდრე 429 ან 480 წელს და ამ რატომ: 429 ან 480 წელს ჩასულ პეტრეს იერუსალიმში დაუბეჭდებოდა სამი პიროვნება: მელანია და ჯერ კიდევ ცოცხალი ალბინა და პინიანუსი. ტექსტში კი ნახსენებია მხოლოდ მელანია, ვინაიდან ალბინა და პინიანუსი 487 წლამდე გარდაიცვალნენ. გარდა ამისა, აშკარაა, რომ პეტრე და იოანე გზაში არსად შეუყოვნებულან და იერუსალიმში ჩასვლისთანავე მიაშურეს მამათა მონასტრის, სადაც შემდგომში ასკეტურად ცხოვრობდნენ. ამ სამაგალითო ღვთისმოსავეებმა სულ მალე დაიშასხურეს სამონასტრო წმინდა სამოსი. შემოსვა აღასრულა ზეთისხილის წმინდა მთის მონასტრის წინამძღვარმა — სახელოვანმა გერონტიუსმა.

ამგვარად, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მელანიას უკანასკნელი ქველმოქმედება კონსტანტინოპოლში გამგაზრებად — ანუ მამათა მონასტრის მშენებლობა — შორდა 429-480 წელს. ამას დაემატება ის ფაქტიც, რომ ორი ლტოლვილის მიერ კონსტანტინოპოლიდან წამოღებული სპარს მოწამეთა ნაწილები ალბათ, სულ მალე, განლაგეს მარტირიუმში, რომელიც მელანიამ დედაქალაქიდან დაბრუნებისთანავე აშენებინა. ზეთისხილის მთაზე აღმართული მამათა მონასტრის სამლოცველოს წარწერა გაკეთდა სავარაუდო 488-489 წლის 16 მაისს (ამ საკითხს ჯერ-ჯერობით ღიად ვტოვებთ).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ახალგაზრდებს შეე-

ძლოთ დაეტოვებინათ დედაქალაქი მხოლოდ მელანიას იქიდან წასვლის. ე. ი. 487 წელს ამგვარად, თუ დავეყრდნობით სამლოცველოს წარწერას, მივგანია, რომ პეტრესა და იოანეს იერუსალიმში ჩასვლის თარიღი იქნება 487 ან 488 წლის 16 მაისი terminus ante quem. ამიტომაც განვახსენებთ სტატიის დასაწყისში: იბერიისა და მისი თანამგზავრის ლტოლვის აღგილი უნდა ჰქონოდა 487 ან 488 წელს.

ახლა, ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ მიხედავება 487 ან 488 წელი პეტრეს შემდგომი ცხოვრების ქრონოლოგიას.

ვინაიდან რუფუსი გვამცნობს, რომ შემოსვის დროს პეტრე ოცი წლისა იყო, გამოდის, რომ მისი დაბადების თარიღი უნდა იყოს არა 409 წელი, არამედ 417. მაგრამ პეტრეს ქართული „ცხოვრება“ გვამცნობს, ოცისა კი არა, ოცდახუთისაა, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. აქედან გამომდინარე დავასკვნით, რომ პეტრე დაბეჭდულა საქართველოში დაახლოებით 412 წელს. ეს თარიღი დემთხვევად დაახლოებით პეტრეს 50 წლის ასაკს, რომელსაც მიაწერს მას იოანე რუფუსი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს მოწმე გვისახლებებს თავისი გმირის საუკუნო განსვენების მხოლოდ დღესა და რიცხვს (1 დეკემბერი, კვირა). ამას ემატება ტექსტში არსებული ზოგიერთი უზუსტობანი, რაც ახნევს მკვლევარებს და შეცდომით ათქმევინებს: 488, 489 ან 490 წელს.

მართალიც, შვარცმა ცნო ძველსირიულში შემონახული ბერძნულად დაწერილი რუფუსის მეორე შრომის Plerophories შემდეგი მითითების მნიშვნელობა: „ეპისკოპოსი აბა პეტრე (იბერი) ერთხელ ესაუბრა აბა ისიას (ეგვიპტელს), რომელიც (პეტრე) მშვიდად ცხოვრობდა თავის მეორემეტე ინდიქტონში“ (812 წლიდან შემოდებული იყო 16 წლიანი წელთაღრიცხვა. მეორემეტე ინდიქტონი მთავრდება 492 წელს. ლ. კ.) ეს მოხდებოდა, დაახლოებით, 488 წლის 1 სექტემბერსა და 489 წლის 81 აგვისტოს შორის. ამას დავურთოთ ის მრავალი ეპიზოდი, რაც პეტრეს ცხოვრების ბოლო წლებში მომხდარა და მივალთ დასკვნამდე, რომ პეტრეს გარდაცვალების თარიღი არ უნდა გახდეს 491 წლის 1 დეკემბერს.

ამგვარად, დაბადებულმა საქართველოში 417 ან 412 წელს, პეტრემ უფალს მიაბარა თავისი წმინდა სული 491 წლის დეკემბრის კვირა დღეს. ეს თარიღი არ ეწინააღმდეგება იმ 80 წელს, რასაც მიაწერს მას იოანე რუფუსი — მისი ერთგული და უკანასკნელი მეგობარი; ეს არის ის იოანე რუფუსი, რომელმაც შეცვალა პეტრე იბერი, როდესაც აკურთხეს იგი მონოფიზიტი ეპისკოპოსის ტახტზე მიაუშას ნავთხადაგურ დაწამა.

ფრანგულიდან თარგმნა ლეილა კაკაბაძემ

## სოციალური „ციხის“ ახალგაზრდა ავტორები

მავალა გონაშვილი დაიბადა 1959 წელს, წითელწყაროს რაიონის, სოფელ არბოშიში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა „ციხის“ 1978 წელს. დამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს საქ. ტელევიზიის სახელმწიფო გადაცემა რედაქციაში.

ნაილი ნაქარიშვილი დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ფლევიში, 1948 წელს. დამთავრა თსუ ეკონომიური ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1970 წელს. გამოცემული აქვს ლექსთა ორი კრებული. ამჟამად მუშაობს საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრში.



ჩვენის მისამართი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 90-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-33, პასუხისმგებელი მდივანი 72-42-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ციხის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადეცა ასაწყობად 17. 01. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 02. 83 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. ცაბატი 15.85. შეკვ. № 162. უც 06924. ტირაჟი 56.500.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს  
საქართველოს

ფასი 60 ჰპპ.

0520560 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ